რედაქტორები: როლფ გოლობი, პიტერ კრაფი, ვილტრუდ ვეიდინგერი

მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ –
საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ – საგაკვეთილო გეგმები
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის

რედაქტორები: როლფ გოლობი, პიტერ კრაფი, ვილტრუდ ვეიდინგერი
ავტორი: პიტერ კრაფი
ილუსტრაციები: პეტი ვისკემანი

წიგნი IV

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წიგნები I –VI
დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში
სწავლების პროცესი, ცნებები, მეთოდები და მოდელები

ევროპის საბჭოს გამომცემლობა

ამ ნაშრომში წარმოდგენილ მოსაზრებებზე პასუხისმგებელია ნაშრომის ავტორი და ავტორისეული მოსაზრებები შესაძლებელია არ ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოზიციას.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია ამ გამოცემაში შესული მასალის თარგმნა, რეპროდუქცია ან გავრცელება ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით, ელექტრონული (CD-Rom, ინტერნეტი და ა. შ.), მექანიკური, მათ შორის ფოტოგრაფიული, ჩანაწერით თუ ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების სხვა ნებისმიერი საშუალებით, კომუნიკაციის დირექტორატის საჯარო ინფორმაციისა და გამოცემების განყოფილების წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

მოცემული ნაშრომის მომზადებას, დიზაინსა და რედაქტირებას ხელმძღვანელობდა ციურიხის უნივერსიტეტის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის (Pädagogische Hochschule Zürich) განათლების საერთაშორისო პროექტი (www.phzh.ch/ipe).

გამოცემის თანადამფინანსებელია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC).

მთარგმნელი: მაია გვიტიძე
რედაქტორი: ნათია ნაცვლიშვილი

ილუსტრაციები: პეტი ვისკემანი
ყდის დიზაინი: ევროპის საბჭოს საგამომცემლო განყოფილება

ევროპის საბჭოს გამომცემლობა
F-67075 სტრასბურგი Cedex
http://book.coe.int

© ევროპის საბჭო, 2010 წლის სექტემბერი

გამოცემაზე მუშაობდნენ:
ემირ აძოვიჩი – ბოსნია და ჰერცოგოვინა
მანუელა დროლი – გერმანია
ქრისტიან ფალეგერი – შვეიცარია
როლფ გოლობი – შვეიცარია
სარა კეატინგ–ქეთვინდი – ევროპის საბჭო
საბრინა მარუნჩედუ კრაუსე – შვეიცარია
ოლაფ ოლაფსდოტირი – ევროპის საბჭო
კარენ ოშეა – ირლანდიის რესპუბლიკა
უიმ ტელმანი – ბელგია
ვილტრუდ ვეიდინგერი – შვეიცარია

სარჩევი

შესავალი.....

1. რას გვთავაზობს სახელმძღვანელო? (მოკლედ).....
2. რას წარმოადგენს სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ – მისი სამი განზომილება.....
   - 2.1 შემეცნებითი განზომილება: სწავლა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ.....
   - 2.2 მონაწილეობითი განზომილება: ვსწავლობთ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვისთვის.....
   - 2.3 კულტურული განზომილება: ვსწავლობთ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის საფუძვლებზე.....
3. სახელმძღვანელოს კონცეპტუალური ჩარჩო – გამოწვევები, კონსტრუქტივიზმი, კომპეტენციები.....
4. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, ევროპული მიდგომა.....

ტექსტში გამოყენებული სიმბოლოების განმარტება.....

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, ინტერაქტიული, კონსტრუქტივისტული სწავლა.....

1. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, დიდაქტიკის ძირითადი საკითხები.....
2. ინტერაქტიული, კონსტრუქტივისტული სწავლის მაგალითი – მოსწავლეები წარმოიდგენენ მათთვის იდეალურ მსოფლიოს.....
3. ყველა ადამიანი თავისებურად სწავლობს – „ჩვენ ვქმნით მსოფლიოს ჩვენს საკუთარ გონებაში“.....
4. კონსტრუქტივისტული სწავლა და სოციალური ურთიერთობა.....
5. მასწავლებლის როლი კონსტრუქტივისტული სწავლის პროცესში.....
6. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებითა შესახებ, მასწავლებლის როლი.....
   - 6.1 მასწავლებელი – ლექტორი და ინსტრუქტორი – ეხმარება მოსწავლეებს მოსაზრებების ჩამოყალიბების/კონსტრუირების პროცესში.....
   - 6.2 მასწავლებელი – კრიტიკოსი და კორექტორი – ეხმარება მოსწავლეებს მცდარი მოსაზრებების დეკონსტრუირებაში.....
   - 6.3 მასწავლებელი – შემოქმედი და პრაქტიკული დავალების მომწოდებელი – ეხმარება მოსწავლეებს მოსაზრებების რეკონსტრუირებაში.....
   - 6.4 მასწავლებელი – პლენარული სხდომის თავმჯდომარე – ხელს უწყობს კონსტრუქტივისტული სწავლის ყველა ფორმის გამტკიცებას.....
7. დემოკრატია როგორც შემსწავლელთა საზოგადოება – დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი ცნებებისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომა.....

ნაწილი 1 – საზოგადოებაში მონაწილეობა

თავი 1: ინდივიდუალობა. არჩევანის გაკეთება. ჩვენ ვმართავთ ჩვენ ცხოვრებას და სხვა ადამიანების ცხოვრებასაც.....

თავი 2: პასუხისმგებლობა. მონაწილეობა, პასუხისმგებლობის აღება. თავისუფლება გულისხმობს პასუხისმგებლობას.....

თავი 3: მრავალფეროვნება და პლურალიზმი. თანხმობა უთანხმოების საფუძველზე? როგორ ვთანხმდებით საყოველთაო კეთილდღეობაზე?.....

ნაწილი 2 – პოლიტიკაში მონაწილეობა: კონფლიქტის მოგვარება, პრობლემის გადაჭრა

თავი 4: კონფლიქტი. თევზჭერის კონფლიქტი. როგორ გადავწყვიტოთ მდგრადი განვითარების პრობლემა?.....
თავი 5: წესები და კანონი. რომელი წესები მოქმედებს ჩვენს სასარგებლოდ? თამაში გადაწყვეტილების მიღებაზე.....
თავი 6: მთავრობა და პოლიტიკა. პოლიტიკური ციკლის მოდელი. როგორ აგვარებს დემოკრატიული საზოგადოება მის წინაშე მდგარ პრობლემებს?.....
თავი 7: თანასწორობა. მაჟორიტარული წესი – სამართლიანია? როგორ მოვაგვაროთ უმრავლესობა–უმცირესობის პრობლემა დემოკრატიულ საზოგადოებაში.....

ნაწილი 3 – პოლიტიკაში მონაწილეობა: მონაწილეობა კომუნიკაციის მეშვეობით

თავი 8: თავისუფლება. საჯარო დებატები. რატომ ვერ დავიცავთ (სიტყვის) თავისუფლებას მკაცრი წესების გარეშე.....
თავი 9: მედია. დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობა მედიის საშუალებით. მედიის მესვეურები და მისი მომხმარებლები – ცენზორები და დღის წესრიგის დამდგენნი.....

სახელმძღვანელო მოსწავლეებისთვის, მოსწავლეებისთვის დასარიგებელი მასალით.....

შესავალი

1. რას გვთავაზობს წინამდებარე სახელმძღვანელო?

წინამდებარე სახელმძღვანელო შედგება ცხრა სასწავლო თავისაგან და ეხება სწავლებას დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ. როგორც სახელმძღვანელოს სათაური „დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობა“ ასევე ყდაზე გამოსახული ილუსტრაცია მიგვანიშნებს, რომ სახელმძღვანელოში შესული თავები განკუთვნილია მოსწავლეებისთვის და განიხილავს მოსწავლეების, როგორც ახალგაზრდა მოქალაქეების როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში. ყოველი თავი გვთავაზობს განსაკუთრებულ მიდგომას, რაც უბიძგებს და სტიმულს აძლევს მოსწავლეებს მონაწილეობა მიიღონ იმ საზოგადოებებში, რომლებსაც ისინი ეკუთვნიან.

თითოეული თავი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს დამოუკიდებლად ან სხვა თავებთან კომბინაციაში სხვადასხვაგვარად. მთლიანი სახელმძღვანელო წარმოადგენს ახალგაზრდა მოქალაქეების დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობისთვის წვრთნისა და მომზადების სასწავლო გეგმას.

სახელმძღვანელოში შესული თითოეული თავი მოიცავს ოთხ გაკვეთილს და განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის (10–12 კლასები). თითოეული თავი ეძღვნება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი ცნებებიდან ერთ–ერთს, როგორებიცაა: ინდივიდუალობა – პასუხისმგებლობა – მრავალფეროვნება და პლურალიზმი – კონფლიქტი – წესები და კანონი – მთავრობა და პოლიტიკა – თანასწორობა – თავისუფლება – მედია. ეს ცხრა ძირითადი ცნება წინამდებარე სახელმძღვანელოს აკავშირებს ამ სერიის სხვა წიგნებთან რომლებიც განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი და საბაზისო საფეხურებისათვის (სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ წიგნი II და წიგნი III)[1]. სამივე წიგნი ერთად გვთავაზობს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითად ცნებათა სპირალური სწავლების პროგრამას.

თითოეული თავი ეძღვნება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ერთ ძირითად ცნებას და მოიცავს ოთხ გაკვეთილს. სახელმძღვანელო გვთავაზობს სწავლების თანმიმდევრულ განრიგს შესაძლებლობების ფარგლებში. მოსწავლეებზე დასარიგებლად განკუთვნილი მასალა მოწოდებულია ცალკე სახელმძღვანელოს სახით.

ამგვარად წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია მასწავლებლებისთვის და არა მოსწავლეებისთვის. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ მიერ მოწოდებული დეტალური საგაკვეთილო გეგმა დაიმსახურებს როგორც აღსაზრდელების, ასევე დამწყებ პედაგოგთა მოწონებას, ხოლო, რაც შეეხება გამოცდილ პედაგოგებს, მათ მოეპოვებათ მოსაზრებები და მასალები, რომელთაც წარმატებით გამოიყენებენ გაკვეთილებზე. წინამდებარე სახელმძღვანელო ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სფეროში მოღვაწე მასწავლებელთა დახელოვნების მიზნით.

წინამდებარე სახელმძღვანელო ასევე განკუთვნილია სასწავლო პროგრამების ავტორთა, სახელმძღვანელოთა რედაქტორთა და მთარგმნელთათვის ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში. შესაძლებელია სახელმძღვანელოს თარგმნა და მისი მორგება მოცემული ქვეყნის განათლების სისტემის მოთხოვნებზე.

---

[1] სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წიგნი II: ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში – სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისთვის; სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წიგნი III: ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში –სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზისო საფეხურისთვის.

ევროპის საბჭო გთავაზობთ თავდაპირველი სახელმძღვანელოს განახლებულ ვერსიას. თავდაპირველი გამოცემა ეკუთვნის ბოსნიასა და ჰერცოგოვინას და ამ გამოცემის მიზანი იყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახლად შემოღებული საგნის – დემოკრატია და ადამიანის უფლებები – დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნა (2002 წელი). 1996 წლიდან მოყოლებული ევროპის საბჭო ჩართულია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სფეროში მასწავლებელთა და ტრენერთა დახელოვნების საქმიანობაში, მასწავლებელთა მომზადებისა და სასწავლო მასალებით უზრუნველყოფის საშუალებით. როლფ გოლობი და პიტერ კრაფი (მოცემული სახელმძღვანელოს თანაავტორები) არიან ამ პროექტში მონაწილე ტრენერთა საერთაშორისო გუნდის წევრები.

2. რას წარმოადგენს სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ – მისი სამი განზომილება

დემოკრატიული მოქალაქეობის და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მიზნები და პრინციპები დაკავშირებულია სწავლებისა და სწავლის სამ განზომილებასთან. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურის მოსწავლეები არიან ახალგაზრდა მოქალაქეები, რომლებსაც:

- აქვთ ცოდნა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები და ის პირობები, რომელზეც ამ უფლებების დაცვაა დამოკიდებული (რაც ხორციელდება დემოკრატიასა და ადამიანის უფლებების **შესახებ** სწავლის საშუალებით);

- აქვთ სკოლაში, როგორც მიკროსაზოგადოებაში ყოფნის გამოცდილება, სადაც დაცულია მოსწავლეთა თავისუფლება და თანასწორობა; აქვთ ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები (რაც ხორციელდება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის **საფუძველზე** სწავლით);

- გააჩნიათ კომპეტენცია/უნარი და თავდაჯერებულობა, რათა დაიცვან საკუთარი უფლებები და ამავდროულად ჩამოყალიბებული პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდნენ სხვა ადამიანებსა და იმ საზოგადოებას, სადაც მათ უწევთ მოღვაწეობა (რაც ხორციელდება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების **დაცვისთვის** სწავლის საშუალებით).

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პრინციპები მოკლედ და საუკეთესოდ შეიძლება იქნეს ახსნილი მაგალითით – აზრის თავისუფლება და აზრის გამოხატვის თავისუფლება. იგივე მაგალითია მოყვანილი სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წიგნი III–ის წინასიტყვაობაში (გვ.5); წინამდებარე სახელმძღვანელოში ადამიანის ეს კონკრეტული უფლება უფრო სიღრმისეულად არის განხილული (სპირალური სწავლების პროგრამა).

2.1 შემეცნებითი განზომილება: ვსწავლობთ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზისო საფეხურზე, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია) (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 2.5 და 2.6). მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ყველა ადამიანს შეუძლია ისარგებლოს თავისუფალი აზრის უფლებითა და გამოხატვის თავისუფლებით, ასევე შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი მედიასაშუალებით (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 10). მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელია თუნდაც მხოლოდ ეს უფლება დემოკრატიის განსახორციელებლად.

მოსწავლეები ასევე უნდა იცნობდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–14 მუხლს. იგი ერთგვარად განამტკიცებს აზროვნების და გამოხატვის თავისუფლებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას, ამატებს რა მათ თანასწორობის და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს: ქალი და კაცი, მდიდარი და ღარიბი, ახალგაზრდა და მოხუცი, მოქალაქე და ემიგრანტი – ჩვენ ყველა თანაბრად ვსარგებლობთ ამ უფლებებით.

და ბოლოს, მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ, თუ რატომ უნდა იცავდეს თავისუფლებებს კანონი და რომ მათ ასევე ეკისრებათ პასუხისმგებლობა (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მუხლი 29). გამოხატვის თავისუფლება საშუალებას აძლევს მოქალაქეებს პლურალისტულ საზოგადოებაში წინ წამოწიონ საკუთარი ინტერესები და კონკურენტული გარემო გულისხმობს იმას, რომ იქნებიან წარმატებულებიც და ხელმოცარულებიც. კონსტიტუციამ, წესებმა და კანონებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი გარემო, რომელიც გარკვეულად შეზღუდავს ძლიერთა თავისუფლებებს და დაიცავს სუსტებს – განსხვავებათა გათანაბრების გარეშე. ყველა პრობლემა წესებით ვერ გვარდება, ასე რომ საზოგადოების წევრებს უნდა გააჩნდეთ ურთიერთპასუხისმგებლობა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 1950 წლის 4 ნოემბერი)

მუხლი 10
გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.

მუხლი 14
დისკრიმინაციის აკრძალვა

ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა ნიშნისა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წლის 10 დეკემბერი)

მუხლი 29
1. ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.
2. თავის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, როგორიც კანონითაა დადგენილი მარტოოდენ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მოკლედ, ეს სამი მუხლი გამოხატავს ინდივიდუალურ თავისუფლებებსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით ამ თავისუფლებათა რეგულირებას შორის არსებულ ერთგვარ დაპირისპირებას. საზოგადოებრივი წესრიგი ერთი მხრივ ზღუდავს და მეორე მხრივ იცავს ამ თავისუფლებებს.

მოსწავლეები, რომელთაც შეუძლიათ ამის ახსნა საკმაო ინფორმაციას ფლობენ დემოკრატიასა და ადამიანის უფლებათა შესახებ, და როგორც შეამჩნევთ, სწორედ ეს არის წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული თავების ძირითადი თემა. სწორედ ეს წარმოადგენს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების შემეცნებით განზომილებას.



დიაგრამა: ადამიანის უფლებათა სქემა – წინამდებარე სახელმძღვანელოს ლაიტმოტივი

2.2 მონაწილეობითი განზომილება: ვსწავლობთ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვისთვის

ამ სახელმძღვანელოს სახელწოდება „მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“, გვახსენებს, რომ მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორ გამოიყენონ საკუთარი თავისუფლებების უფლება, მაგალითად, საკუთარი უფლება ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, თავისუფალი აზროვნების, მოსაზრებისა და გამოხატვის თავისუფლება. მათ აგრეთვე უნდა ჰქონდეთ სხვებთან ურთიერთობის საკუთარი გამოცდილება – მაგალითად, ჯგუფში საკუთარი ინტერესების წამოყენება, დათმობაზე მოლაპარაკებები, ან შეთანხმება იმის თაობაზე თუ როგორ განიმარტება „საყოველთაო კეთილდღეობა“ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მუხლი 29). მათ უნდა შეეძლოთ წესების ფარგლებში მოქმედება და დაწესებული შეზღუდვების დაცვა. ისინი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ სხვათა კეთილდღეობას და მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობას.

მოკლედ, მოსწავლეებს არა მარტო უნდა ესმოდეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის ზემოთგანხილულ სამ მუხლს შორის არსებულ კავშირს, არამედ უნდა ისწავლონ, თუ როგორ დააფასონ ის ღირებულებები, რომლებიც ამ მუხლებით არის დაცული და იმოქმედონ შესაბამისად. ამგვარად, მათ უნდა შეეძლოთ საკუთარი ინტერესების სხვათა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებთან შეთანხმება. მოსწავლეებმა, რომლებიც ამ პრინციპებზე არიან აღზრდილნი, იციან თუ როგორ მიიღონ მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში. ეს არის დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მონაწილეობითი განზომილება – დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვისთვის სწავლა.

ახალგაზრდა მოქალაქეები, რომელთაც გააჩნიათ სურვილი მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ საზოგადოებაში, უნდა ფლობდნენ მრავალგანზომილებიან კომპეტენციებს, რომლებიც მოცემულია ქვევით მოყვანილ მოდელში.

მონაწილეობისა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციები	
ანალიზისა და განსჯის კომპეტენციები	მეთოდები და უნარები
ადამიანის უფლებათა დაცვაზე დამყარებული მიდგომა და ღირებულებები	

მოცემული კომპეტენციები ღირებულებებზე ორიენტირებული უნდა იყოს; მაგალითად, რასისტების ხელში, ისინი შესაძლოა დემოკრატიული საზოგადოებისთვის საფრთხედ იქცნენ.

წინამდებარე სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია მსგავსი კომპეტენციების განვითარებაზე. ყოველი თავის შესავალში მოცემულია მატრიცა, რომელიც მასწავლებელს საშუალებას აძლევს მოახდინოს სახელმძღვანელოში მოცემული თავების კომბინირება და ამრიგად ისეთი სასწავლო გეგმის შედგენა, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება დაეუფლონ კომპეტენციებს, მათი საჭიროებებისა და სკოლის სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით. ქვემოთ მოცემულია კომპეტენციათა ცხრილი სახელმძღვანელოს მე–2 თავისთვის (ძირითადი კონცეფცია: პასუხისმგებლობა).

თავი	**კომპეტენციის განვითარების განზომილებები**			**მიდგომები და ღირებულებები**
	პოლიტიკური ანალიზი და შეფასება	**მეთოდები და უნარები**	**პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება**	
2. პასუხისმგებლობა	დილემის აღქმა გადაწყვეტილების შედეგების ანალიზი პრიორიტეტების განსაზღვრა და მიზეზების ჩამოყალიბება	ყურადღებით განხილვა და გაანალიზება გადაწყვეტილების მიზეზებისა და კრიტერიუმების გაზიარება	გადაწყვეტილების მიღება არასრულყოფილი ინფორმაციის საფუძველზე მარცხის რისკის გაცნობიერება	სხვადასხვა მიდგომის გამოყენება სხვათა ინტერესებისა და უფლებების აღიარება ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული საზოგადოება
1.ინდივიდუალობა	გააზრება იმისა, თუ რა გავლენას ახდენს ჩვენი არჩევანი სხვებზე			სხვადასხვა მიდგომის გამოყენება
4. კონფლიქტი	მდგრადი განვითარების პრობლემა	მოლაპარაკების სტრატეგიები	კონფლიქტის მოგვარება	
6. მთავრობა და პოლიტიკა	პოლიტიკა – პრობლემების გადაწყვეტისა და კონფლიქტების მოგვარების პროცესი			
7. თანასწორობა	დემოკრატიის კულტურული განზომილების აღიარება		უმრავლესობისა და უმცირესობის უფლებათა დარეგულირება	ურთიერთაღიარება

2.3 კულტურული განზომილება: ვსწავლობთ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძვლებზე

დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობა საპასუხისმგებლო საქმეა – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შესაძლებელი და აუცილებელია საჭირო კომპეტენციების დაუფლება და განვითარება. აქედან გამომდინარე დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას გააჩნია კულტურული განზომილება. სწავლებისა და სწავლის კულტურა უნდა ასახავდეს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითად გზავნილს. ცოდნის შეძენა შესაძლებელია სწავლებისა და დირექტივების მიღების საშუალებით (ლექციის

მოსმენა, კითხვა); კომპეტენციების დაუფლება–განვითარება ხდება ტრეინინგის საშუალებით (დემონსტრირება, პრაქტიკა, წვრთნა). თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ღირებულებების შეძენა ხორციელდება სკოლაში სოციალიზაციის საფუძველზე. მოზარდის დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს სკოლაში, გაკვეთილზე შეძენილი გამოცდილება, მშობლების, მასწავლებლებისა და თანატოლების მაგალითები. მაშინ, როცა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების **შესახებ** სწავლება გარკვეულ სასკოლო საგანთა (მაგ. სოციალური მეცნიერებები, ისტორია, სამოქალაქო განათლება) ამოცანას წარმოადგენს, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის **საფუძვლებზე** განხორციელებული სწავლების პროცესი გამოწვევაა მთლიანი სკოლისთვის – დემოკრატია და ადამიანის უფლებათა დაცვა სკოლის საზოგადოების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს.

წინამდებარე სახელმძღვანელო იყენებს პრაქტიკულ ამოცანა–დავალებებზე დაფუძნებული სწავლის მიდგომას: ყოველ თავში მოცემულია ძირითადი ამოცანა, რომელიც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას გამოიმუშაონ ესა თუ ის კომპეტენცია. ჩვენ კომპეტენციას ვიძენთ მაშინ, როცა ის გვჭირდება, სწორედ ამიტომ ეს ამოცანები ეხება პრობლემებს, რომელთა ერთი ხელის მოსმით გადაჭრის გზა არ არსებობს – სწორედ ისე, როგორც ეს რეალურ ცხოვრებაში ხდება. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში, სწორედ სწავლების მეთოდი წარმოადგენს მის ძირითად გზავნილს.

3. სახელმძღვანელოს კონცეპტუალური ჩარჩო – გამოწვევები, კონსტრუქტივიზმი, კომპეტენციები

ახალგაზრდა მოქალაქეები დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობენ როგორც თავისუფალი პიროვნებები, მაგრამ მათ არ გააჩნიათ თანაბარი შესაძლებლობები.

როგორც დინამიკური, პლურალისტული საზოგადოებების წევრებს, საზოგადოებებისა, რომელთა შორის მსოფლიო მასშტაბით არსებობს ურთიერთდამოკიდებულება, ახალგაზრდა მოქალაქეებს უწევთ ისეთი რთული გამოწვევების წინაშე დგომა, როგორიცაა, მაგალითად, კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი რესურსების სიმწირე, არშემდგარი სახელმწიფოების საფრთხე და ა.შ. ეს ის პრობლემებია, რომელთა გადაჭრა კონკრეტული სკოლის დონეზე ვერ განხორციელდება, მაგრამ სკოლას შეუძლია აღზარდოს იმ უნარით აღჭურვილი ახალგაზრდა თაობა, რომელსაც ამ პრობლემებთან გამკლავების საშუალებები ექნება.

ამგვარ გამოწვევებთან გამკლავება მოითხოვს ძალისხმევას, გულისხმობს შეცდომებს და განსხვავებულ ინტერესებს შორის დათმობაზე მოლაპარაკებებს. ამგვარ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება აღვიქვათ, როგორც საყოველთაო კეთილდღეობის მისაღწევად გადადგმული ნაბიჯი. შედეგი, როგორც წესი, არ არის სრულყოფილი და მყისვე ხდება კრიტიკის საგანი და ყოველთვის არის მცდელობა ამ შედეგის გაუმჯობესებისა. აქედან გამომდინარე, პლურალისტულ, დემოკრატიულ საზოგადოებას პოლიტიკისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომა გააჩნია. დემოკრატია მთლიანად არის დამოკიდებული ყველა თაობის კომპეტენტურობასა და პასუხისმგებლობაზე. ხოლო კონსტრუქტივიზმი არის ის პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს კომპეტენციებისა და უნარების განვითარებას და ასე უსასრულოდ.

სწორედ ეს ძირითადი ცნებები – გამოწვევები, კონსტრუქტივიზმი, კომპეტენციები – უდევს საფუძვლად წინამდებარე სახელმძღვანელოში შესულ ყველა თავს:

- დინამიკური, პლურალური, დემოკრატიული საზოგადოებებისთვის დამახასიათებელი **გამოწვევები**;
- დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობისთვის საჭირო **კომპეტენციები**;
- დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღებისა და კომპეტენციების განვითარებისთვის დამახასიათებელი **კონსტრუქტივიზმი**.

წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემულ ყველა თავში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი კონცეფცია დაკავშირებულია კონკრეტულ გამოწვევასთან, რაც იძლევა კომპეტენციების კონსტრუქტივისტული ჩამოყალიბებისა და განვითარების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, ცნებები არ ქმნიან შემეცნებითი საქმიანობის

ცხრა ცალკეულ მოდულს, არამედ უნარების, ღირებულებების და პერსპექტივების ქსელს, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან. ქვემოთ მოყვანილი მატრიცა გვაძლევს წინამდებარე სახელმძღვანელოს კონცეპტუალურ ჩარჩოს.

	კონსტრუქტივისტული მიდგომა...	
თავი # **ძირითადი ცნება**	**ძირითადი ცნებებისადმი, როგორც გამოწვევებისადმი:**	**კომპეტენციის განვითარებისადმი, როგორც მუდმივი პროცესისადმი.** **მოსწავლეები სწავლობენ...**
თავი 1 ინდივიდუალობა	რა სამუშაო ავირჩიო? ვინ იქნება ჩემი პარტნიორი? გვინდა ვიყოლიოთ შვილები? ...	გააცნობიერონ, გამოთქვან და პრიორიტეტულად დასახონ საკუთარი ინტერესები და მიზნები
თავი 2 პასუხისმგებლობა	რა იქნება ჩემი გადაწყვეტილების შედეგები? რა პრიორიტეტი მაქვს მოცემულ დილემაში? რა ღირებულებებსა და პრინციპებს ვანიჭებ უპირატესობას?	აიღონ პასუხისმგებლობა დილემიდან გამოსავლის მოძებნაზე – მოიპოვონ ინფორმაცია, გაანალიზონ შედეგები, განსაზღვრონ პრიორიტეტები, გააკეთონ არჩევანი
თავი 3 მრავალფეროვნება და პლურალიზმი	რაში გამოიხატება ჩემი ინტერესი? რა დათმობაზე შეიძლება წავიდე? რა არის ჩვენთვის, როგორც გუნდისთვის საყოველთაო კეთილდღეობა?	პლურალისტურ და კონკურენტულ გარემოში, მოლაპარაკების გზით წავიდნენ სამართლიან და ქმედით დათმობაზე
თავი 4 კონფლიქტი	რაში მდგომარეობს პრობლემა? რა ინტერესებს მოიცავს იგი? რომელი გამოსავალია სასურველი და მისაღები?	მოაგვარონ კონფლიქტი არაძალადობრივი მეთოდებით
თავი 5 წესები და კანონი	რა წესები გვჭირდება მოქმედებების სარეგულირებლად? რომელ წესებზე შეგვიძლია შევთანხმდეთ?	ჯეროვნად შეაფასონ ინსტიტუციონალური გარემოს ფუნქცია – კონსტიტუცია, კანონები, წესები და საერთო ღირებულებები
თავი 6 მთავრობა და პოლიტიკა	რომელი საკითხები შედის და რომელი არა პოლიტიკურ დღის წესრიგში? რომელი პრობლემაა განხილვის საგანი? რა არის პრობლემის გამოსავალი და როგორ შეიძლება განვახორციელოთ იგი?	მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების პროცესებში – ინსტიტუციონალური გარემოს შიგნით და მის გარეთ
თავი 7 თანასწორობა	რაში მდგომარეობს უმრავლესობისა და უმცირესობის ინტერესები? რა დათმობა შემიძლია შევთავაზო? რაზე უნდა დათანხმდეს უმცირესობა? როგორ არის დაცული ჯგუფის ინტერესები ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით?	ხელი შეუწყონ სოციალური ერთობის გამყარებას უმრავლესობისა და უმცირესობის ინტერესთა გაწონასწორების საშუალებით
თავი 8 თავისუფლება	რა არის ჩემთვის მთავარი? როგორ ვაპირებ ჩემი არგუმენტის გამტკიცებას? როგორია ჩემი ოპონენტის სტრატეგია?	ისარგებლონ აზრისა და სიტყვის თავისუფლებით, დებატებში მონაწილეობის უნარის გამოყენებით
თავი 9 მედია	ვის მსურს მივმართო? რა არის ჩემი მიზანი?	ისარგებლონ მედია–კომუნიკაციებით

	რა არის ჩემი გზავნილი? სად მოვიპოვო ინფორმაცია?	

4. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, ევროპული მიდგომა

ათწლეულზე მეტია რაც ევროპის საბჭო წევრ ქვეყნებში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების დანერგვისა და განვითარების ინიციატივით გამოვიდა. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების კოორდინატორები, ექსპერტები, მასწავლებლები და ტრენერები ბევრი წევრი ქვეყნიდან მონაწილეობდნენ დისკუსიებში, რისი შედეგიც არის დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სპეციალისტებისთვის განკუთვნილი ამ სერიის ექვსი წიგნი.

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ გულისხმობს დემოკრატიული მოქალაქეობის და ადამიანის უფლებების სწავლებისადმი „ევროპულ მიდგომას“. გამომდინარე ჩვენი სკოლების, განათლების სისტემის, სწავლებისა და სწავლის ტრადიციების სპეციფიკიდან, როგორც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ასევე დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის სწავლების განზომილებები შესაძლოა განსხვავებული იყოს. მაგრამ ჩვენთვის საერთოა ერთი რამ, აღქმა იმისა, რომ სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ წარმოადგენს ჩვენს სკოლებში განათლების საერთო კურსს. ჩვენთვის, ყველასთვის ნათელია, რომ მეთოდი, რომელსაც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ითვალისწინებს, გულისხმობს ერთ გზავნილს – სწავლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძვლებზე.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ამ გამოცემის საშუალებით რედაქტორები და ავტორები შეეცადნენ მოემკათ ნაყოფი იმისა, რასაც წლების განმავლობაში ევროპის საბჭოს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესი ესწრაფოდა. სწორედ ევროპული მიდგომა იყო ის, რაც ამ სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში დახმარების ძირითად წყაროს წარმოადგენდა. განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო შემდეგი:

ქ–ები მანუელა დროლი და კარენ ოშეა იყვნენ ჩემი თანაავტორები, როდესაც ჩვენ შევქმენით ამ სახელმძღვანელოს წინამორბედი ვერსია, რომელიც განკუთვნილი იყო დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში მონაწილე მასწავლებლებისთვის ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში. ბ–ნმა ემირ აძოვიჩმა, რომელიც ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ევროპის საბჭოს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროექტის კოორდინატორი გახლავთ, უზრუნველყო ჩვენი პროექტის ორგანიზაციული მხარე. ამ სახელმძღვანელოში განხილული ძირითადი ცნებების ჩამოყალიბებაში დახმარება გაგვიწიეს ბ–ებმა დონ როუმ, ტედ ჰადლესტონმა და უიმ ტელმანმა. დონი კითხულობდა ჩვენს პირველ ნამუშევრებს, ხოლო ტედი იყო ჩვენი ყველაზე კრიტიკულად განწყობილი და კონსტრუქციული პარტნიორი საჭირბოროტო საკითხების განხილვისას.

ქ–ები ოლაფ ოლაფსდოტირი და სარა კეატინგ–ქეთვინდი წარმოადგენდნენ ჩვენს პარტნიორებსა და ამ პროექტის კოორდინატორებს ევროპის საბჭოში. მათ დიდი მოთმინება და ნების სიმტკიცე გამოიჩინეს მთელი ამ პროექტის განხორციელების მანძილზე.

პეტი ვისკემანს ეკუთვნის ყდაზე გამოსახული ილუსტრაცია, რომელიც ესოდენ ზედმიწევნითა და სიზუსტით გამოხატავს წინამდებარე სახელმძღვანელოს ცხრავე თავში განხილულ ძირითად თემებს და მიანიშნებს ამ თემებში ჩადებულ ძირითად ცნებებზე. ქ–ნი ვილტრუდ ვეიდინგერი და ბ–ნი როლფ გოლობი იყვნენ ჩემი რედაქტორები და პარტნიორები მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისას.

ჩემი თანამშრომლობა ბ–ნ ქრისტიან ფალეგერთან გამორჩეულია არაერთმხრივ. ჩვენ მნიშვნელოვან თემებს განვიხილავდით ერთად ამ პროექტზე მუშაობის ადრეულ ეტაპზე. მან მე მომაწოდა ძალიან ღირებული აზრები და წინადადებები და ბოლოს მან წაიკითხა ამ სახელმძღვანელოს საბოლოო ვარიანტი; მთელი ამ ხნის განმავლობაში, მისი კრიტიკული და კონსტრუქციული შენიშვნები ჩემთვის დიდი სტიმულის მომცემი იყო.

და ბოლოს, ჩემი კოლეგების, თანამშრომლებისა და მეგობრების მხარდაჭერისა და წახალისების გარეშე მე ამ სახელმძღვანელოს ვერ შევქმნიდი. მე უღრმესი მადლიერების გრძნობით ვარ გამსჭვალული ყველა მათგანის მიმართ; თუმცაღა პასუხისმგებლობას ვიღებ ნებისმიერ შეცდომაზე, რომელიც მკითხველმა შეიძლება აღმოაჩინოს ამ სახელმძღვანელოში.

პიტერ კრაფი
ციურიხი და ულმი
2009 წლის დეკემბერი

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, ინტერაქტიული, კონსტრუქტივისტული სწავლა

ზოგადი დახასიათება

1. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, დიდაქტიკის ძირითადი საკითხები

2. ინტერაქტიული, კონსტრუქტივისტული სწავლის მაგალითი – მოსწავლეები წარმოიდგენენ მათთვის იდეალურ მსოფლიოს

3. ყველა ადამიანი თავისებურად სწავლობს – „ჩვენ ვქმნით მსოფლიოს ჩვენს საკუთარ გონებაში“

4. კონსტრუქტივისტული სწავლა და სოციალური ურთიერთობა

5. მასწავლებლის როლი კონსტრუქტივისტული სწავლის პროცესში

6. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებითა შესახებ, მასწავლებლის როლი

    6.1 მასწავლებელი – ლექტორი და ინსტრუქტორი – ეხმარება მოსწავლეებს მოსაზრებების ჩამოყალიბების/კონსტრუირების პროცესში

    6.2 მასწავლებელი – კრიტიკოსი და კორექტორი – ეხმარება მოსწავლეებს მცდარი მოსაზრებების დეკონსტრუირებაში

    6.3 მასწავლებელი – შემოქმედი და პრაქტიკული დავალების მომწოდებელი – ეხმარება მოსწავლეებს მოსაზრებების რეკონსტრუირებაში

    6.4 მასწავლებელი – პლენარული სხდომის თავმჯდომარე – ხელს უწყობს კონსტრუქტივისტული სწავლის ყველა ფორმის გამტკიცებას

7. დემოკრატია როგორც შემსწავლელთა საზოგადოება – დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი ცნებებისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომა

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, ინტერაქტიული, კონსტრუქტივისტული სწავლა

1. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, დიდაქტიკის ძირითადი საკითხები

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში, ისევე როგორც ზოგადად სწავლების პროცესში, მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია გააცნობიეროს მიზნები და ნათლად განმარტოს მიზეზები იმ არჩევანისა, რომელიც აუცილებლად უნდა გაკეთდეს და იმ პრიორიტეტებისა, რომელიც უნდა იქნეს დასახული.

1. რა ცოდნა უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლის პროცესში?

მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ თუ როგორ მიიღონ მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში, როგორც მოქალაქეებმა. მათ სჭირდებათ გამოიმუშაონ:

- პოლიტიკური ანალიზისა და შეფასება/განსჯის კომპეტენცია, როდესაც მათ უწევთ პოლიტიკური პრობლემებისა და საკითხების გადაწყვეტა;
- პოლიტიკური გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის კომპეტენცია;
- მთელი რიგი მეთოდიკის გამოყენების უნარი.

2. რისთვის სჭირდებათ მოსწავლეებს დაეუფლონ ამ კომპეტენციებს?

დემოკრატია დამოკიდებულია მოქალაქეებზე, რომელთაც გააჩნიათ სურვილი და უნარი მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და დასაქმდნენ და ვალდებულებები აიღონ საზოგადოებრივ დაწესებულებებში. მოსწავლეებს სჭირდებათ ეს კომპეტენციები და უნარები, რათა მათ შეძლონ ადამიანისა და სამოქალაქო უფლებების დაცვა და საკუთარი ფუნქციების და აღებული ვალდებულებების შესრულება, როგორც აქტიურმა მოქალაქეებმა (ვსწავლობთ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვისთვის).

3. ამას მივყავართ შემდეგ კითხვამდე. თუ ეს არის ის, რაც ახალგაზრდა მოქალაქეებმა უნდა ისწავლონ – სწავლის შედეგების თვალსაზრისით – რა უნდა იღონონ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში მონაწილე მასწავლებლებმა, რათა ეს შედეგი გარანტირებული იყოს?

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში მონაწილე მასწავლებლებმა მოსწავლეებს უნდა მიაწოდონ ის, რაც უზრუნველყოფს მათი მოსწავლეების:

- ცოდნას და სწავლისადმი კონცეპტუალურ მიდგომას – ვსწავლობთ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ;
- უნარების გამომუშავებას;
- მასწავლებელი ასევე თავად უნდა იყოს მაგალითი და სწავლისთვის შექმნას ისეთი გარემო, დამოკიდებულებისა და ღირებულებების თვალსაზრისით, რომელიც ესადაგება დემოკრატიულ კულტურას (ტოლერანტობა, ურთიერთპატივისცემა, ადამიანის უფლებებისადმი ღირსეული დამოკიდებულება) – ვსწავლობთ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის საფუძვლებზე.

4. ზემოთმოყვანილ სამ საკითხზე უკვე ვიმსჯელეთ წინამდებარე სახელმძღვანელოს შესავალში. თუმცა, რჩება ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: როგორ ითვისებენ მოსწავლეები მათთვის

მიწოდებულ მასალას დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში?

როგორც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში მონაწილე მასწავლებლებს, ჩვენ უნდა გვესმოდეს, თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენი მოსწავლეების სწავლის პროცესი და როგორ შეგვიძლია ჩვენ ხელი შევუწყოთ ამ პროცესს. რათა პასუხი გაგვეცა იმ კითხვაზე, თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენი მოსწავლეების სწავლის პროცესი, ჩვენ ავირჩიეთ ინტერაქტიული, კონსტრუქტივისტული სწავლის კონცეპტუალური ჩარჩო. ამ მიდგომის საშუალებით ჩვენ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის საფუძვლებზე სწავლებას ვუკავშირებთ დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესებს. დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესი არსებითად სწავლის კოლექტიური პროცესია. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ჯონ დიუიმ სკოლას უწოდა „მინიატურული საზოგადოება, საზოგადოება ემბრიონულ ფაზაში“.[2] ამ თავში ჩვენ შევეცდებით დავამტკიცოთ ინტერაქტიული, კონსტრუქტივისტული სწავლის პრიორიტეტულობა. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს მეთოდი ეხმარება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში მონაწილე მასწავლებელს უკეთ გაიგოს:

- მოსწავლეების მიერ, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში, მათთვის მიწოდებული მასალის ათვისების პროცესი;

- მათი, როგორც მოსწავლეთათვის სწავლის პროცესში ხელშემწყობის როლი;

- დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღება არის კოლექტიური სწავლის პროცესი.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება და სწავლა ისევე, როგორც პოლიტიკა დემოკრატიულ საზოგადოებაში, შეიძლება განხილულ იქნეს კონსტრუქტივისტულ ჭრილში. ეს შესაძლებელია და სასარგებლოც, გამომდინარე იმ სტრუქტურული ანალოგიიდან, რომელიც არსებობს კონსტრუქტივისტულ სწავლებასა და დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღებას შორის. როგორც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილები, ასევე დემოკრატიული საზოგადოებები, წარმოადგენენ, ან სულ მცირე, უნდა წარმოადგენდნენ შემსწავლელთა საზოგადოებებს, რომლებიც ეფუძნება ადამიანის უფლებათა დაცვას. აქედან გამომდინარე ინტერაქტიული კონსტრუქტივიზმი ამყარებს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითად მიდგომას – ვასწავლით დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძვლებზე, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვისთვის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ: ასეთი სწავლება სასარგებლოა, ემსახურება ადამიანის უფლებათა დაცვას და ამავდროულად აკმაყოფილებს მოსწავლეებისა და მოქალაქეთა მოთხოვნილებებს განათლებაზე.

თეორია გამყარებული უნდა იყოს კონკრეტული მაგალითით. ამიტომ, შემდგომ თავში მოყვანილია მაგალითი იმისა, თუ ბავშვთა უფლებების სწავლების პროცესში რამდენად შედეგიანია ინტერაქტიული, კონსტრუქტივისტული სწავლა.

[2] ჯონ დიუი, სკოლა და საზოგადოება, ნიუ იორკი, 2007 წ. გვ.32

2. ინტერაქტიული, კონსტრუქტივისტული სწავლის მაგალითი – მოსწავლეები წარმოიდგენენ მათთვის იდეალურ მსოფლიოს

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, V წიგნში, ვიკვლევთ *ბავშვთა უფლებებს,* შესულია თავი, რომელიც მოიცავს ოთხ გაკვეთილს, მესამე კლასელი მოსწავლეებისთვის, სათაურით „ჩვენ ჯადოქრები ვართ!“.[3] სადაც მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გამოთქვან საკუთარი სურვილები და აზრები, იმასთან დაკავშირებით თუ როგორი უნდა იყოს მსოფლიო, ხოლო შემდგომი განხილვისას ისინი იკვლევენ მათთვის იდეალურ მომავალ მსოფლიოზე მათი წარმოდგენების მორალურ და პოლიტიკურ შედეგებს.

პირველი გაკვეთილი შემდეგნაირად იწყება:

„მასწავლებელი დაფაზე ხატავს ორ ფიგურას: ჩვეულებრივ ადამიანს, ქალს ან კაცს და ჯადოქარს.

შიმშილი

სიღარიბე

მოწყენილობა

დაბადების დღე

...

მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში, ისინი ასევე ხატავენ ორ ფიგურას და ცდილობენ ერთად უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

- როგორ მოქმედებს ჩვეულებრივი ადამიანი გარკვეულ სიტუაციაში?
- როგორ მოქმედებს ჯადოქარი იგივე სიტუაციაში?

რამდენიმე წუთის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ნახევარწრედ განალაგებს დაფის წინ, რათა არც ერთ მათგანს არ ჰქონდეს შეზღუდული მხედველობის არეალი (მრავალრიცხოვან კლასებში შესაძლებელია მოსწავლეების ორმაგ ნახევარწრედ განლაგება). მასწავლებელს ყველა მოსწავლის პასუხი გადააქვს დაფაზე სიის სახით – ყოველგვარი კომენტარისა და მსჯელობის გარეშე. გთავაზობთ შემდეგ ცხრილს მოსწავლეთა მოსაზრებების დასატანად.

---

[3] როლფ გოლობი / პიტერ კრაფი, სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წიგნი V: *ვიკვლევთ ბავშვთა უფლებებს,* ევროპის საბჭოს გამომცემლობა, სტრასბურგი, 2007 წ., „ჩვენ ჯადოქრები ვართ!“, გვ. 22–26; შედარებისთვის იხ. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წიგნი VI, *ვასწავლით დემოკრატიას,* ევროპის საბჭოს გამომცემლობა, სტრასბურგი, 2008 წ., „ჩვენ რომ სასწაულმოქმედნი ვიყოთ“, გვ. 59.

მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას მიაპყრობს გადაწყვეტილებებისკენ და საშუალებას აძლევს მოსწავლეებს საკუთარი კომენტარი გააკეთონ ამ გადაწყვეტილებებზე. რა თქმა უნდა წარმოიშობა ახალი კითხვები! მასწავლებელს სურს შეიტყოს:

- შეგიძლიათ აღმოაჩინოთ გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო კეთილმა ან ბოროტმა ჯადოქარმა?
- ბოლოს როდის ინატრეთ რომ ჯადოქარი ყოფილიყავით, და რისი შეცვლა გსურდათ?
- რა არის თქვენი ყველაზე დიდი ოცნება ამჟამად?

მასწავლებელი მოუწოდებს მოსწავლეებს, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და ყველა მათგანს ამხნევებს. (...)“

ეს მაგალითი გვიჩვენებს ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტს იმისა, თუ როგორი ურთიერთობა ყალიბდება მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის კონსტრუქტივისტული სწავლის გარემოში.

მასწავლებელი	მოსწავლეები
...მოსწავლეებს აძლევს ისეთ დავალებას, რომელიც: – მოსწავლეებისგან მოითხოვს სხვადასხვა პერსპექტივების განხილვა–გაზიარებას (რეალობა–უტოპია) – იცავს მოსწავლეების აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას. ...მოსწავლეთა მოსაზრებები გადააქვს დაფაზე; ... ამატებს სტრუქტურებს (ძირითადი სიტყვები და ცნებები); ...რეაგირებს რა მოსწავლეთა პასუხებზე, იყენებს იმპროვიზაციის უნარს; ...სვამს კითხვებს, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება მიაკვლიონ თავიანთი მოსაზრებების მიზეზებსა და განსაზღვრონ მათი შედეგები; ...ამხნევებს მოსწავლეებს და მათ პასუხებს დადებით შეფასებას აძლევს.	... აყალიბებენ და ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს; ...გამოთქვამენ და ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს; (მაგალითში მათ მოსაზრებებს გააჩნია როგორც პიროვნული ასევე პოლიტიკური განზომილება) ...ფიქრობენ თავიანთ სურვილებზე და რეალურ ცხოვრებაში ამ სურვილების განხორციელების შესაძლებლობებსა და დაბრკოლებებზე; ...პოულობენ სხვაობას კეთილ და ბოროტ ჯადოქრობას შორის.

კონსტრუქტივისტული სწავლის ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებსა და მოსაზრებებს და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში:

- როგორ აღიქვამენ მოსწავლეები მსოფლიოს, რომელშიც ისინი ცხოვრობენ?
- როგორ განიხილავენ ისინი იმას, რაც მათ გარშემო ხდება?
- რას შეცვლიდნენ ისინი, რომ შეეძლოთ?
- რა წარმოადგენს მათ ყველაზე დიდ საზრუნავს – რომელი პრობლემა აწუხებთ მათ ყველაზე მეტად?
- რომელ მოსაზრებებს იზიარებენ ისინი საკლასო გარემოში – რითი განსხვავდება მათი მოსაზრებები?

– აშკარაა, რომ მოსწავლეები ფიქრობენ იმაზე, რაც მსოფლიოში ხდება და აფასებენ მიმდინარე მოვლენებს, და მათი შეფასებები დიდად განაპირობებს იმას, თუ რას მოიმოქმედებენ ისინი და როგორ ჩაერთვებიან მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში.[4]

კონსტრუქტივისტული სწავლის პროცესში, მოსწავლეებს საშუალება აქვთ გამოვიდნენ ექსპერტების როლში. სწავლის პროცესის ორგანიზებისას გათვალისწინებულია და ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რაც მოსწავლეებმა უკვე იციან, და არა იმაზე, რაც მათ არ იციან. ჯადოქრის როლში, ყველა ბავშვს გააჩნია, და აქვს შესაძლებლობა სხვასაც გაუზიაროს, საკუთარი მოსაზრება და ამ შემთხვევაში არ მოქმედებს „მართებულის და მცდარის“ სტანდარტი. ნაცვლად ამისა მნიშვნელოვანია ის მიზეზი, თუ რატომ უჩნდება ამა თუ იმ ბავშვს ესა თუ ის მოსაზრება – მათი რა გამოცდილება განაპირობებს ამ მოსაზრებების ჩამოყალიბებას? რა ადარდებს მათ? რა არის ბიჭების ან გოგოების სურვილები და მოთხოვნილებები? კონსტრუქტივისტული სწავლა ითვალისწინებს ინდივიდუალური მოსწავლის პერსპექტივასა და სწავლისა და აზროვნების პროცესს.

კონსტრუქტივისტული სწავლა წარმოადგენს ადამიანის და ბავშვთა უფლებების დაცვის მაგალითს – თავისუფალი აზროვნება, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება; თანაბარი შესაძლებლობები; ურთიერთაღიარებისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპები; და განათლების მიღების უფლება.

კონსტრუქტივისტული სწავლის გარემოში, მასწავლებლის მოვალეობაა დაეხმაროს მოსწავლეებს სხვადასხვა გზით – იგი აწვდის მოსწავლეებს პრაქტიკულ დავალებას ან წამოჭრის პრობლემას, პატივს სცემს და იცავს მოსწავლეების თავისუფლებისა და თანასწორობის უფლებებს, აძლევს მოსწავლეებს მითითებებს, დირექტივებს (ცნებებს) და ამხნევებს მათ. მასწავლებლისთვის უცნობია, თუ რა პასუხს მიიღებს მოსწავლეებისგან და მზად არის იმუშაოს მოსწავლეებისგან მიღებული პასუხების შესაბამისად (იმპროვიზაცია). მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება ერთმანეთს გაუზიარონ და შეადარონ საკუთარი მოსაზრებები, და ხშირად მათთვის შერჩეული თემები და დავალებები აიძულებს მათ დაამყარონ ურთიერთგაგება ან მიიღონ გადაწყვეტილება. მასწავლებელი მხოლოდ ხელშემწყობის ფუნქციას ითავსებს; მას შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს მოსწავლეთა სწავლის პროცესის შედეგები, მაგრამ სრული სიზუსტით ვერ განსაზღვრავს მათ.

კონსტრუქტივისტული სწავლა უფრო ხელს უწყობს კომპეტენციების განვითარებას, ვიდრე მოსწავლეების მიერ ფაქტების დამახსოვრებას და ინფორმაციის ათვისებას. კონსტრუქტივისტული თვალსაზრისით, ნებისმიერი, ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამის გარშემო ჩნდება ეჭვი იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა განხორციელდეს სწავლის პროცესი ცალკეული ფაქტების დამახსოვრებით, თუ არ მოხდა მათი გაგება და შეფასება.

სახელმძღვანელოს შემდეგ თავში უფრო დეტალურად არის განხილული ეს საკითხი, სადაც პარალელია გავლებული ინტერაქტიული, კონსტრუქტივისტული სწავლის თეორიის ზოგიერთი ასპექტსა და დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების კონსტრუქტივისტულ კონცეფციას შორის.

3. ყველა ადამიანი თავისებურად სწავლობს – „ჩვენ ვქმნით მსოფლიოს ჩვენს საკუთარ გონებაში“

როდესაც წიგნში რაიმე ისტორიას ვკითხულობთ, ჩვენს გონებაში ფილმის მსგავსი წარმოსახვა იქმნება. ჩვენ ვამატებთ დეტალებს ან სცენებს, რომლებზეც ავტორი მიგვანიშნებს ან რომელზეც არაფერს ამბობს, ჩვენ შეგვიძლია პერსონაჟთა სახეებიც კი შევქმნათ წარმოსახვაში. ზოგიერთი ისტორია იმდენად ღრმად აღწევს ჩვენს წარმოსახვაში, რომ ამ ისტორიაზე გადაღებული ფილმის ნახვის შემდეგ იმედგაცრუებულები ვრჩებით, ვინაიდან ჩვენს წარმოსახვაში გაცილებით უკეთესი

[4] დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება იძლევა საშუალებას და აქედან გამომდინარე უნდა ისწავლებოდეს ადრეული ასაკიდან. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წიგნი V იწყება თავით, რომელიც განკუთვნილია საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვებისთვის, რომელთაც ჯერ წერა–კითხვა არ უსწავლიათ. იხ. თავი 1, „მე მაქვს სახელი – ჩვენ გვაქვს სკოლა“ გვ. 13–16.

ფილმი შევქმენით, რომელიც უნიკალურია, ვინაიდან ყოველი ადამიანი თავის გონებაში ერთი და იგივე ისტორიაზე სხვადასხვა „ფილმს“ ქმნის.

ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეგვიძლია „შევქმნათ მსოფლიო ჩვენს გონებაში“. მსოფლიო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არის ის მსოფლიო, როგორადაც ჩვენ მას აღვიქვამთ – იგი შედგება წარმოდგენებისა და გამოცდილებებისაგან, ცნებებისა და შეფასებებისაგან, რომელთა ავტორებიც ჩვენ თვითონ ვართ. სწავლისა და შემეცნების პროცესში, ადამიანი ცდილობს მისცეს ფორმა იმას, რაც მას ესმის და რასაც ის კითხულობს – მას სურს კარგად გაიგოს ის, რასაც სწავლობს. ერთერთმა მკვლევარმა, რომელიც ადამიანის ტვინს იკვლევდა, იგი დაახასიათა როგორც „მანქანა, რომელიც მნიშვნელობების ძიებაშია“. რაღაც უნდა მოვუხერხოთ იმას, რაც აზრს არ ქმნის. თუ ინფორმაცია გამოტოვებულია, ჩვენ ან ვეძებთ მას, ან ვავსებთ მას ვარაუდით. სტერეოტიპები რთული საკითხების გამარტივებაში გვეხმარება.[5]

მასწავლებლები გამოცდილებით აღმოაჩენენ ხოლმე, რომ როდესაც ისინი ლექციას ატარებენ, ყოველი სტუდენტი ითვისებს და იმახსოვრებს ერთგვარად სხვადასხვა მესიჯს. ზოგი სტუდენტის მეხსიერებაში ინფორმაცია დიდ ხანს რჩება, იმიტომ, რომ მათთვის ამ ინფორმაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო ზოგს იგივე ინფორმაცია უკვე მეორე დილით აღარ ახსოვს, ვინაიდან მათთვის ამ ინფორმაციას არ ჰქონდა მნიშვნელობა. კონსტრუქტივისტული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, თუ რა ხდება სტუდენტის გონებაში.

კონსტრუქტივიზმი სწავლის პროცესს აღიქვამს, როგორც აბსოლუტურად ინდივიდუალურ პროცესს:

- მოსწავლეები აყალიბებენ მნიშვნელობას. ახალი ინფორმაციის დაკავშირება ხდება იმასთან, რაც მოსწავლემ უკვე იცის ან რაც გაიგო.

- მოსწავლეებს, რომლებიც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე მოდიან, საკუთარი ინდივიდუალური ბიოგრაფია და გამოცდილება აქვთ.

- სქესი, კლასი, ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა თუ რელიგია ყოველ მათგანს ინდივიდუალურ თვალთახედვას უყალიბებს.

- ჩვენ ინტელექტის სხვადასხვა ფორმის მატარებელი ვართ, რაც სცდება საყოველთაოდ მიღებულ გაგებას იმის თაობაზე მათემატიკაში ხარ ძლიერი თუ ენების ათვისებაში.[6]

- არ არსებობს პიროვნული თუ პოლიტიკური მართებულობის აბსოლუტური სტანდარტი. ადამიანისთვის პრობლემად იქცევა ის, რასაც იგი პრობლემად აღიქვამს, მსმენელის გონება ირჩევს დაიმახსოვროს თუ დაივიწყოს ინფორმაცია.

4. კონსტრუქტივისტული სწავლა და სოციალური ურთიერთობა

აქამდე ჩვენ განვიხილეთ ინდივიდუალური მოსწავლის პერსპექტივა. მოსწავლეები ეძებენ მნიშვნელობას, მაგრამ მოსწავლეები ასევე უშვებენ შეცდომებს. როგორ უნდა გავასწოროთ მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომა? კონსტრუქტივისტული მიდგომით, მოსწავლემ თავად უნდა განახორციელოს არასწორი მოსაზრების დეკონსტრუქცია და თავადვე მოახდინოს მისი რეკონსტრუქცია მართებულ მოსაზრებად. მაგრამ, როგორ უნდა მიხვდეს ინდივიდუალური

---

[5] იხ. როლფ გოლობი / პიტერ კრაფი (რედაქტორები) სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წიგნი III: *ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში*, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, სტრასბურგი, 2008 წ. თავი 1, „სტერეოტიპები და ცრურწმენები. რა არის თვითმყოფადობა? როგორ აღვიქვამ სხვებს და როგორ აღმიქვამენ ისინი?“ გვ.19–38.

[6] იხ. ჰოვარდ გარდნერის ნაშრომი მრავამხრივ ინტელექტზე.

მოსწავლე, რომ მან შეცდომა დაუშვა? არსებობს ორი გზა, თუ როგორ უნდა აღმოფხვრას მოსწავლემ ხარვეზები და გამოასწოროს შეცდომები.

პირველი, ჩვენ ჩვენს შეცდომებს თავად აღმოვაჩენთ, მივხვდებით რომ ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პრობლემას არ ჭრის ან ჩვენს მიერ წამოყენებული არგუმენტი აზრს არ ქმნის.

მეორე, ჩვენ სხვებისგან ველოდებით ჩვენს შეცდომებზე შენიშვნებს და ხშირად მათგან დახმარებასაც ველით.

კონსტრუქტივისტული სწავლა, აქედან გამომდინარე, არ არის მხოლოდ ინდივიდუალური პროცესი. მას აგრეთვე გააჩნია მეორე, ასევე მნიშვნელოვანი, კოლექტიური სწავლის განზომილება. მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს, ერთმანეთთან და მასწავლებელთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის საშუალებით. ამიტომაც ვუწოდეთ ჩვენს კონცეფციას ინტერაქტიული კონსტრუქტივისტული სწავლა.

ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზე გამოსახულია კონსტრუქტივისტული სწავლის ინდივიდუალური და სოციალური დონე; ეს არის კონსტრუქტივისტული სწავლის სოციალური განზომილება.

დიაგრამაზე ასევე ნაჩვენებია, რომ მოსწავლეებს მუდმივად აქვთ კავშირი გარე სამყაროსთან. როდესაც ისინი საკუთარ მოსაზრებებისა და გეგმების მართებულობას ამოწმებენ, სწორედ გარე სამყაროზე არიან დამოკიდებულნი. ეს არის კონსტრუქტივისტული სწავლის სუბიექტ–ობიექტის განზომილება.



სწავლისა და გადაწყვეტილების მიღების განზომილება

როგორც მოსწავლეები საკლასო ოთახში, ასევე მოქალაქეები დემოკრატიულ სახელმწიფოში ურთიერთობენ ერთმანეთში, როგორც მოსწავლეთა საზოგადოება. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ჯონ დიუიზე, რომელიც სკოლას „მინიატურულ საზოგადოებას, საზოგადოებას ემბრიონულ ფაზაში“

უწოდებდა.[7] აქედან გამომდინარე, ურთიერთობა, რომელსაც სკოლაში მოსწავლე ამყარებს სხვა მოსწავლეებთან და მასწავლებელთან რეალური ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს და არა ხელოვნურად შექმნილ გარემოს, რომელიც მათ მომავალი რეალური ცხოვრებისთვის ამზადებს.

როგორც პოლიტიკაში, ასევე სკოლაში, ყოველთვის არიან წევრები, რომლებიც გამოცდილებით, ცოდნით, აღქმის უნარით და ასევე ძალაუფლებით სხვებზე მაღლა დგანან – მასწავლებლები, პოლიტიკური ლიდერები, მენეჯერები, მეცნიერები და ა.შ. თუმცა, თანამედროვე ცხოვრებაში, არც ერთი ამ პირთაგანი არ ფლობს აბსოლუტურ ძალაუფლებას. დემოკრატია და კანონის უზენაესობა გარკვეულწილად ზღუდავს ნებისმიერი მათგანის ძალაუფლებას, და ეს შეზღუდვა გამოიხატება შრომის გადანაწილებით, რომელიც ყველას თავისი მოღვაწეობის სფეროს განუსაზღვრავს.

თუმცა, სერიოზული საფრთხე ექმნება დემოკრატიის პრინციპს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ყველას აქვს თანაბარი შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს დემოკრატიულ საზოგადოებაში. რაც უფრო რთული ხდება საზოგადოებები, რომელსაც ჩვენ მივეკუთვნებით, და რაც უფრო რთულად გადასაჭრელი პრობლემები წარმოიშობა, მით ურო მეტად ხდება ინდივიდუალური მოქალაქე დამოკიდებული საკუთარ კომპეტენციებზე, რათა მონაწილეობა მიიღოს დემოკრატიულ საზოგადოებაში. დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, განათლება არის ის კარიბჭე, რომელიც საშუალებას აძლევს ზრდასრულ მოქალაქეს გახდეს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი და მონაწილე.

5. მასწავლებლის როლი კონსტრუქტივისტული სწავლის პროცესში

მოსწავლეები მნიშვნელობის ძიებაში არიან და ყოველი მოსწავლე ამ ძიებას ინდივიდუალურად, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გზით ახორციელებს. მოსწავლე ახალ ინფორმაციას – ახალ ამბავს, ლექციაზე მოსმენილ ინფორმაციას, წიგნში ამოკითხულ საინტერესო მოსაზრებას და ა. შ. – მის გონებაში არსებულ ცოდნისა და გამოცდილების სისტემებთან აკავშირებს. კონსტრუქტივიზმი ნიშნავს, რომ ჩვენ ცოდნის, აღქმისა და გამოცდილების საკუთარ სისტემებსა და სტრუქტურებს ვქმნით.

კონსტრუქტივიზმის თვალსაზრისით, კარგად ცნობილი დიდაქტიკური სამკუთხედი ახალ მნიშვნელობას იძენს:



სწავლის პროცესი
(მნიშვნელობის ჩამოყალიბება)

სამწახნაგოვან ურთიერთობებში მესამე მხარე ხანდახან გამოირიცხება. კონსტრუქტივისტული სწავლის პროცესში, ეს მესამე მხარე არის მასწავლებელი. სწორედ მოსწავლეა ის, ვინც აყალიბებს შესასწავლი ობიექტის მისეულ აღქმას. მნიშვნელობის ჩამოყალიბება ხდება მოსწავლის გონებაში, რაც სცდება მასწავლებლის აღქმის ფარგლებს. ის, რასაც მასწავლებელი ხედავს, არის შედეგი – რას ქმნის მოსწავლე და როგორია მისი მოქმედება. მასწავლებელი ხედავს მის ქმედებას და ვერ ხედავს, თუ რა

[7] ჯონ დიუი, სკოლა და საზოგადოება, ნიუ იორკი, 2007 წ. გვ.32

კომპეტენციას ფლობს იგი. და საბოლოოდ მხოლოდ სტუდენტი წყვეტს და არა მასწავლებელი, თუ რა აინტერესებს მას და რისი სწავლა ღირს, და რა ემახსოვრება მას მთელი ცხოვრების მანძილზე და რას დაივიწყებს.

კონსტრუქტივისტული სწავლა შეიძლება დავყოთ სამ ქვეკატეგორიად, და ამ შემთხვევაში მასწავლებლის როლი მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მხარდაჭერის თვალსაზრისით.

1. მოსწავლეები აყალიბებენ მნიშვნელობას – ისინი აღმოაჩენენ და ქმნიან რაღაც ახალს. მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს მათ:

   – შექმნას სწავლის შესაძლებლობები;

   – დაუსახოს მათ რთული და სააზროვნო ამოცანა;

   – მიაწოდოს მათ საშუალებები ინფორმაციის სახით, მისცეს მათ მიმართულება (ლექცია შესასწავლ ობიექტზე)

   – გაამხნევოს და ხელი შეუწყოს მოსწავლის თვითშეფასების ამაღლებას;

   – ...

2. მოსწავლეები ახდენენ შეძენილი ცოდნის რეკონსტრუქციას – ისინი იყენებენ შეძენილ ცოდნას და სცდიან მას. ზოგადად ყველა ჩვენთაგანი მიმართავს მსგავს ხერხს, მაგრამ სკოლაში ამ პროცესის ხელშემწყობი არის მასწავლებელი:

   – მოსწავლეებს აძლევს მოსაზრებების გაზიარების, პრეზენტაციისა და დისკუსიის შესაძლებლობებს;

   – ფორმალურად ატარებს ტესტირებებს და ახდენს მოსწავლეთა შეფასებას;

   – მოსწავლეებს სთავაზობს ან მოითხოვს პორტფოლიოს შექმნას;

   – აძლევს მოსწავლეებს რთულ დავალებებს, მაგალითად პროექტის სახით;

   – ...

3. მოსწავლეები არღვევენ მათ მიერვე შექმნილ კონსტრუქციებს ან აკრიტიკებენ თავიანთ ან ერთმანეთის შედეგებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კრიტიკული შეფასებისა და ტესტირების ელემენტის გარეშე ნებისმიერი სწავლების მცდელობა შეუსაბამო ხდება როგორც საზოგადოებისთვის, ასევე თავად ინდივიდუალური მოსწავლისთვის.

6. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, მასწავლებლის როლი

სწავლებისა და სწავლის ძირითად ელემენტს წარმოადგენს ის, თუ როგორ ურთიერთობენ და ამყარებენ კომუნიკაციას მოსწავლეები ერთმანეთთან და მასწავლებელთან. მასწავლებლის პროფესიული კომპეტენცია საშუალებას აძლევს მას გააცნობიეროს და განსაზღვროს, რა იქნება გარკვეული ქმედების შედეგი და ეს ქმედებები გამოიყენოს, როგორც საშუალებები. მასწავლებელი გვევლინება სხვადასხვა ამპლუაში და მისი როლი გაცილებით მრავალფეროვანია, ვიდრე ტრადიციულ, შინაარსზე ორიენტირებულ კლასში, სადაც იგი წამყვანი ინსტრუქტორის ფუნქციას ასრულებს („ცარცი და საუბარი“). ინსტრუქტორის როლი მხოლოდ ერთ-ერთია იმ მრავალთაგან, რომელსაც მასწავლებელი ასრულებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ნაკლები სიხშირით. კონსტრუქტივისტული სწავლა მასწავლებლისგან მოითხოვს ასწავლოს „ისე, რომ არ ილაპარაკოს“, მეტი დრო და ასპარეზი დაუთმოს მოსწავლეებს.

მომდევნო თავებში მოცემულია ის ოთხი როლი, რომელსაც მასწავლებელი ჩვეულებრივ ასრულებს კონსტრუქტივისტული სწავლის პროცესში:

1. მასწავლებელი – ლექტორი და ინსტრუქტორი.

2. მასწავლებელი – კრიტიკოსი და კორექტორი.

3. მასწავლებელი – შემოქმედი და პრაქტიკული დავალების მიმწოდებელი.

4. მასწავლებელი – პლენალური სხდომის თავმჯდომარე.

აბსტრაქტული მითითებების მიცემის ნაცვლად, თუ როგორ უნდა შეასრულოს მასწავლებელმა ზემოთაღნიშნული როლები, სახელმძღვანელოში მოყვანილ მაგალითებში, რომელიც გაკვეთილის მსვლელობას შეეხება, დეტალურად არის აღწერილი მასწავლებლის ფუნქციები დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე.

6.1 მასწავლებელი – ლექტორი და ინსტრუქტორი – ეხმარება მოსწავლეებს მოსაზრებების ჩამოყალიბება/კონსტრუირების პროცესში

ლექტორის ძირითადი წესი არის პრინციპი „60:40“; 40%, სასურველია უფრო მეტიც, იმისა, რაზეც ლექტორი საუბრობს, ნაცნობი უნდა იყოს სტუდენტებისთვის. ამ ზედმეტი ინფორმაციის გარეშე კონსტრუქტივისტული სწავლა ვერ განხორციელდება.

წინამდებარე სახელმძღვანელოში, ძირითადი ცნებები ქმნის დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროგრამის დიდაქტიკურ ხერხემალს. მოსწავლეებს უნდა მივაწოდოთ ეს ცნებები, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი მითითებებს აძლევს მოსწავლეებს ლექციის ან საკითხავი მასალის სახით, შესაძლოა ორივე სახით ერთდროულად. მოსწავლეებისთვის, როგორც კონსტრუქტივისტული სწავლის ობიექტებისთვის, უკვე ცნობილია კონტექსტი, რაზეც მასწავლებელმა უნდა ისაუბროს. ჩვეულებრივ მნიშვნელობის ეს ღია, დაუსრულებელი სტრუქტურა შედგება კითხვებისაგან ან გამოცდილებისაგან, რომელიც ახსნას საჭიროებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებულია სახელმძღვანელოში მოყვანილი გაკვეთილის აღწერის მაგალითები, სადაც მასწავლებელი ლექტორისა და ინსტრუქტორის როლში გამოდის.

თავი #/ძირითადი კონცეფცია	მაგალითები და წყარო მასალიდან
თავი 2 პასუხისმგებლობა	გაკვეთილი 4: მასწავლებელი არჩევს თემას, რომელიც დომინირებდა მოსწავლეების დისკუსიაში და აწვდის მათ კონცეპტუალურ ჩარჩოებს თემის განხილვისთვის. მასალა მასწავლებლებისთვის 2.3 წარმოადგენს ლექციის მოდულს, რომელიც ეხმარება მასწავლებელს მოამზადოს საგაკვეთილო მასალა.
თავი 3 მრავალფეროვნება და პლურალიზმი	გაკვეთილი 2: მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს საყოველთაო კეთილდღეობის ცნებას (იხ. მასალა მასწავლებლებისთვის 3ბ).
თავი 4 კონფლიქტი	გაკვეთილი 3: მოსწავლეებმა აღწერეს თავიანთი გამოცდილება კონფლიქტურ სიტუაციებში. მასწავლებელი ეხმარება მათ აღიქვან ის პრობლემა, რომელმაც წარმოშვა ეს კონფლიქტი, მოჰყავს რა მდგრადი განვითარების მიზნების მაგალითი (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 4.2).
თავი 4 კონფლიქტი თავი 5 წესები და კანონი	მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ერთ ან ორ გადაწყვეტილების მიღების თამაშში. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს შემაჯამებელ მოხსენებაში აღიდგინონ საკუთარი გამოცდილება და აცნობს მათ მოდერნიზაციის ცნებას (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 5.5).
თავი 6 მთავრობა და პოლიტიკა	გაკვეთილი 2: მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს პოლიტიკური ციკლის მოდელს (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 6.1 და 6.2). წინა გაკვეთილზე სწრაფი, ჯგუფური გამოკითხვის (ბრეინშტორმინგის) დროს მოსწავლეებმა განიხილეს პოლიტიკური დღის წესრიგის შედგენის საკითხი და მზად არიან ამ ინფორმაციის მისაღებად.
თავი 9 მედია	გაკვეთილი 1: მოსწავლეებმა გამოთქვეს თუ რომელ გაზეთს ანიჭებენ უპირატესობას. მასწავლებელი მათ მოსაზრებებს აკავშირებს ცენზურის კონცეფციასთან. არა მარტო მედია გამოდის ცენზორის როლში არამედ მისი მომხმარებელიც.
	გაკვეთილი 4: მოსწავლეები აღიდგენენ საკუთარ გამოცდილებას მედია გზავნილის ავტორთა როლში.

	მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს მედიაში ახალი ამბების წარმოებისას გასათვალისწინებელ ორ მნიშვნელოვან მომენტზე: მედიის ყველა გზავნილი განსაკუთრებული ყურადღებით არის შედგენილი და მედიის რედაქტორები და ახალი ამბების მწარმოებლები ცენზორისა და დღის წესრიგის დამდგენის ფუნქციას ასრულებენ (იხ. მასალა მასწავლებლებისთვის 9ა).

6.2 მასწავლებელი – კრიტიკოსი და კორექტორი – ეხმარება მოსწავლეებს მცდარი მოსაზრებების დეკონსტრუირებაში

სახელმძღვანელოში მოცემულ გაკვეთილების აღწერაში მასწავლებლის, როგორც კრიტიკოსის და კორექტორის როლის შემსრულებლის მაგალითები მოყვანილი არ არის – იმ ობიექტური მიზეზის გამო, რომ მასწავლებელს ამ როლის შესრულება შეიძლება მოუწიოს ნებისმიერ დროს და ამის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. მასწავლებელმა თავად უნდა გადაწყვიტოს რა საჭიროებს შესწორება/გამოსწორებას. თუმცა შესაძლებელია ზოგადი მაგალითების განხილვა.

რელევანტურია თუ არა კონკრეტული შეცდომა? სხვა სიტყვებით, აუცილებელია კონკრეტული შეცდომის გასწორება?

უპირატესობას ვანიჭებთ მოსწავლის რეაგირებას: ექნება თუ არა მოსწავლეს საშუალება, მაგალითად პრეზენტაციისა ან დისკუსიის დროს დაშვებული შეცდომა აღმოაჩინოს მოგვიანებით და გამოასწოროს იგი?

თუმცა გარკვეულ სიტუაციებში მოსწავლემ უნდა გამოასწოროს დაშვებული შეცდომა, განახორციელოს ჩამოყალიბებული აზრის დეკონსტრუქცია და მისი რეკონსტრუქცია. მაგალითად, როცა მთელი კლასი და გაკვეთილის მსვლელობა დამოკიდებული მოსწავლის პრეზენტაციაზე.

ურთიერთპატივისცემის პრინციპი: ჩვენ შეგვიძლია ვაკრიტიკოთ ერთმანეთის შეცდომები – მაგრამ ჩვენ პატივს ვცემთ პიროვნებას. ეს აუცილებელია, რათა ხელი შევუწყოთ მოსწავლეთა თვითშეფასების ამაღლებას და გავამხნევოთ ისინი.

სახელმძღვანელოს მე–8 თავი გვთავაზობს დებატებს მოსწავლეებს შორის, სადაც მოსწავლეები ერთმანეთის მოსაზრებებს კრიტიკულად განიხილავენ და ახორციელებენ იმ მოსაზრებების დეკონსტრუქციას, რომელიც მათ მცდარად მიაჩნიათ.

6.3 მასწავლებელი – შემოქმედი და პრაქტიკული დავალების მიმწოდებელი – ეხმარება მოსწავლეებს მოსაზრებების რეკონსტრუირებაში

ინტერაქტიული, კონსტრუქტივისტული სწავლის პროცესი დამოკიდებულია სწავლის ადეკვატურ შესაძლებლობებზე – შესაფერისი საგნები, მასალა, დრო, წესები, ინსტრუქციები, მონიტორინგი, ინდივიდუალური მხარდაჭერა. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე მასწავლებელს ევალება ამ შესაძლებლობების მოსწავლეთათვის მიწოდებაზე ზრუნვა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებულია სახელმძღვანელოში მოყვანილი გაკვეთილის აღწერის მაგალითები, სადაც მასწავლებელი შემოქმედისა და პრაქტიკული დავალების მიმწოდებლის როლში გამოდის.

თავი #/ძირითადი კონცეფცია	მაგალითები და წყარო მასალიდან
თავი 1 ინდივიდუალობა	გაკვეთილი 4: მოსწავლეები ერთვებიან პროექტში - „სამუშაოს შესწავლა სპეციალისტის გამოცდილებაზე დაკვირვებით“, რათა აღმოაჩინონ თუ რომელი სამუშაო აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც მათ თავად განსაზღვრეს, როცა განიხილავდნენ საკუთარ შესაძლებლობებსა და ინტერესებს.
თავი 3 მრავალფეროვნება და პლურალიზმი	გაკვეთილი 3: მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნო საყოველთაო კეთილდღეობის ცნება. მოსწავლეები ერთვებიან გადაწყვეტილების მიღების თამაშში, რათა მოლაპარაკების გზით მიაღწიონ შეთანხმებას იმის თაობაზე თუ რა წარმოადგენს საყოველთაო კეთილდღეობას.
თავი 4	კვლევითი ამოცანა: მოსწავლეები ეცნობიან მდგრადი განვითარების მიზნების მოდელს, სწავლობენ

კონფლიქტი	რა თევზის ჭარბჭერის პრობლემას. ისინი იკვლევენ მდგრადი განვითარების სხვა საკითხებს, როგორიცაა ნახშირორჟანგის ემისია ან ბირთვული ნარჩენების შენახვა/თავიდან მოცილება.
თავი 4 კონფლიქტი თავი 5 წესები და კანონი	მასწავლებელი გვევლინება თამაშის ან პროცესის მენეჯერად. იგი მოსწავლეებს უნიშნავს დროს, და ამოწმებს, რომ დაცული იყოს თამაშის წესები, მაგრამ არ აწვდის მოსწავლეებს იმ პრობლემის გადაჭრის გასაღებს, რომელიც მოსწავლეებმა უნდა გადაჭრან.
თავი 5 წესები და კანონი	გაკვეთილი 4: მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს კითხვარს (მასალა მოსწავლეებისთვის 5.6), რომელიც მათ ეხმარება შესწავლის პროცესში.
თავი 6 მთავრობა და პოლიტიკა	გაკვეთილი 3: მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დავალებას გამოიყენონ პოლიტიკური ციკლის მოდელი (მასალა მოსწავლეებისთვის 6.1 და 6.2) მაგალითის სახით მიწოდებულ კონკრეტულ შემთხვევაში.
	გაკვეთილი 4: მოსწავლეების მიერ გამოთქმული სამი ძირითადი მოსაზრებებიდან მასწავლებელი ირჩევს ერთერთს (იხ. მასალა მასწავლებლებისთვის 6.2). ყველა ძირითად მოსაზრება შეიცავს ცნებას, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს სამუშაოს შესრულებაში, მაგრამ მათ სამუშაო ზედმიწევნით უნდა შეასრულონ, ამიტომ მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს, რომელი ცნება შეარჩიოს.

6.4 მასწავლებელი – პლენარული სხდომის თავმჯდომარე – ხელს უწყობს კონსტრუქტივისტული სწავლის ყველა ფორმის გამტკიცებას

დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის საფუძვლებზე სწავლება და სწავლა ყველაზე აშკარად გამოიხატება გაკვეთილზე პლენარული სხდომის მოწყობისას, როდესაც მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება ერთმანეთს გაუზიარონ მოსაზრებები და მოაწყონ დისკუსიები. პლენარულ სხდომებზე მოსწავლეები სარგებლობენ აზრის, მოსაზრებისა და გამოხატვის თავისუფლებით. დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა შეუძლებელი იქნება, თუ მოსწავლეები ჯეროვნად არ არიან გაწვრთნილნი იმაში, თუ როგორ გამოიყენონ ეს ძირითადი დემოკრატიული უფლებები.

გაკვეთილის აღწერისას, ჩვენ მასწავლებლებს ამ სხდომებზე ძირითადად თავმჯდომარის ფუნქციის შესრულებას ვთავაზობთ. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა, ვინაიდან მოსწავლეები უპირისპირდებიან მასწავლებელს საკუთარი მოსაზრებებით, რომელზეც მასწავლებელს უწევს რეაგირების მოხდენა. გარკვეულწილად, მასწავლებელს შეუძლია წინასწარ განსაზღვროს კონცეპტუალური ჩარჩო, რისი დახმარებითაც შეძლებს მნიშვნელობა მიანიჭოს და სისტემაში მოიყვანოს მოსწავლეთა მოსაზრებები, მაგრამ მასწავლებელს ძირითადად იმპროვიზირება უწევს.

სახელმძღვანელოში მრავლად არის მოწოდებული მაგალითები იმისა, თუ როგორ უნდა შეასრულოს მასწავლებელმა თავმჯდომარის როლი. მასწავლებელს საერთო ჯამში უწევს ორგვარი პლენარული სხდომის თავმჯდომარეობა. პირველი, მასწავლებელი იმგვარად იწყებს გაკვეთილს, რომ მოსწავლეები მყისვე ერთვებიან განხილვაში. მეორე, მასწავლებელი თავმჯდომარეობს პლენარულ სხდომას, რომელიც მოსწავლის მიერ არის ინიცირებული – საშინაო დავალების შედეგები, დისკუსიები, მოსწავლეთა რეაგირება მასწავლებლის მიერ მიწოდებულ მასალაზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ორივე ტიპის პლენარული სხდომის მაგალითები.

ა. მასწავლებლის მიერ ინიცირებული პლენარული სხდომა

თავი #/ძირითადი კონცეფცია	მაგალითები და წყარო მასალიდან
თავი 1 ინდივიდუალობა	გაკვეთილი 1: მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე, ჩვენ ყოველდღიურად გვიწევს არჩევანის გაკეთება და გადაწყვეტილების მიღება – რა მაგალითების დასახელება შეუძლიათ მოსწავლეებს?
	გაკვეთილი 3: რატომ აგრძელებთ სწავლას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალ საფეხურზე?
თავი 2 პასუხისმგებლობა	გაკვეთილი 1: რას მოიმოქმედებდით, თქვენს წინაშე რომ ეს პრობლემა წამოიჭრას?
თავი 3 მრავალფეროვნება და პლურალიზმი	გაკვეთილი 1: მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს გამართონ სწრაფი, ჯგუფური დისკუსია. მასწავლებელი მითითებას აძლევს მოსწავლეებს ერთმანეთთან დააკავშირონ, დააჯგუფონ და დაასათაურონ მოსაზრებები.
თავი 4 კონფლიქტი	კვლევითი ამოცანა: მოსწავლეები ეცნობიან მდგრადი განვითარების მიზნების მოდელს, სწავლობენ რა თევზის ჭარბჭერის პრობლემას. ისინი იკვლევენ მდგრადი განვითარების სხვა საკითხებს, როგორიცაა ნახშირორჟანგის ემისია ან ბირთვული ნარჩენების შენახვა/თავიდან მოცილება.

თავი 4 კონფლიქტი თავი 5 წესები და კანონი	მასწავლებელი გვევლინება თამაშის ან პროცესის მენეჯერად. იგი მოსწავლეებს უნიშნავს დროს, და ამოწმებს, რომ დაცული იყოს თამაშის წესები, მაგრამ არ აწვდის მოსწავლეებს იმ პრობლემის გადაჭრის გასაღებს, რომელიც მოსწავლეებმა უნდა გადაჭრან.
თავი 5 წესები და კანონი	გაკვეთილი 4: მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს კითხვარს (მასალა მოსწავლეებისთვის 5.6), რომელიც მათ ეხმარება შესწავლის პროცესში.
თავი 6 მთავრობა და პოლიტიკა	გაკვეთილი 1: მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს გამართონ სწრაფი, ჯგუფური დისკუსია („მდუმარების კედელი“). მასწავლებელი მითითებას აძლევს მოსწავლეებს ერთმანეთთან დააკავშირონ, დააჯგუფონ მოსაზრებები და დაჯგუფებისა და კატეგორიების დამატების გზით ჩამოაყალიბონ სისტემა.
თავი 8 თავისუფლება	გაკვეთილი 1: მასწავლებელი აცხადებს „ყველა მოსწავლე ვალდებულია კიდევ ერთი წელი დაჰყოს სკოლაში“. მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს ამ განცხადებასთან დაკავშირებით – ისინი ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას. ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, ასე რომ დადებითი ან უარყოფითი პასუხის გარდა არ არსებობს სხვა ალტერნატივა.

ბ. მოსწავლეების მიერ ინიცირებული პლენარული სხდომა

თავი #/ძირითადი კონცეფცია	**მაგალითები და წყარო მასალიდან**
თავი 1 ინდივიდუალობა	გაკვეთილი 1: მოსწავლეები ასახელებენ მიზეზს, თუ რატომ აირჩიეს ციტატა. მასწავლებელი ასწავლის მათ თუ როგორ უნდა „ჩაიწეროს“ მათი მოსაზრებები გონებაში.
	გაკვეთილი 3: მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს, თუ როგორ წარმოუდგენიათ მათ თავიანთი მომავალი. მასწავლებელი წინასწარ ვერ განჭვრეტს მოსწავლეების აზრებს, მაგრამ კონცეპტუალური ჩარჩო მას საშუალებას მისცემს იმუშაოს მოსწავლეების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე.
თავი 4 კონფლიქტი	გაკვეთილი 3: მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს გადაწყვეტილების მიღების თამაშში, მასწავლებელი თავმჯდომარეობს მოსწავლეების შემაჯამებელ სხდომას, ისმენს მოსწავლეების მოსაზრებებს, გამოყოფს ძირითად და მნიშვნელოვან განცხადებებს და გადააქვს ისინი დაფაზე ან ფლიპჩარტზე.
	გაკვეთილი 4: მოსწავლეები იწყებენ გაკვეთილს შინ მომზადებული ინფორმაციებით. ისინი ადგენენ დღის წესრიგს და მთელი გაკვეთილის კონცეპტუალურ ჩარჩოს. ჩვენს მიერ მოწოდებული გაკვეთილის აღწერა ეხმარება მასწავლებელს წინასწარ განსაზღვროს ის ძირითადი საკითხები, რომელსაც მოსწავლეები დასვამენ, და დაგეგმოს როგორი რეაგირება განახორციელოს.
თავი 7 თანასწორობა	გაკვეთილი 1: მასწავლებელი კითხულობს შემთხვევაზე აგებულ მონათხრობს და მოსწავლეებს უსვამს ერთ კითხვას, „რაში მდგომარეობს პრობლემა?“ მოსწავლეებს ეძლევათ დრო მოსაფიქრებლად და თავიანთი მოსაზრებების ფურცელზე დასატანად. შემდეგ მოსწავლეები ხმამაღლა გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს. მასწავლებელი ამხნევებს მათ, რათა დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრებები. შემდეგ იგი მოსწავლეთა მოსაზრებებს აქცევს კონცეპტუალურ ჩარჩოში, რომლის განსაზღვრაც წინასწარ არის შესაძლებელი. თავი 7, გაკვეთილი 4 – ში მოცემულია ამ მეთოდის კიდევ ერთი მაგალითი.
თავი 8 თავისუფლება	გაკვეთილი 1: მოსწავლეებმა იმსჯელეს საკითხზე და წამოაყენეს საკუთარი და განიხილეს ერთმანეთის არგუმენტები. მასწავლებელი სვამს კითხვას, „საკითხის რა მახასიათებელი აქცევს მას დებატებისთვის საინტერესო მასალად?“ იგი აჯამებს მოსწავლეთა მოსაზრებებს, რომელიც მოსალოდნელია, რომ შეესაბამება მასალა მოსწავლეებისთვის 8.1–ში მოცემულ კრიტერიუმებს.

7. დემოკრატია როგორც შემსწავლელთა საზოგადოება – დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი ცნებებისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომა

ინტერაქტიული, კონსტრუქტივისტული სწავლა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებსა და მთლიანად სკოლას აღიქვამს, არა მარტო, როგორც საზოგადოებას, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვას ეფუძნება, არამედ, როგორც მოქალაქეთა ერთიანობას, რომელიც ჩართულია გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვისთვის სწავლა, აქედან გამომდინარე, ნიშნავს, რომ მოსწავლეები ემზადებიან მომავალი ცხოვრებისთვის, როგორც პიროვნებები და როგორც საზოგადოება, რაც მუდმივ სწავლის პროცესს გულისხმობს. არსებობს ორი არგუმენტი, რომელიც ამ მოსაზრებას ამყარებს.

პირველი არის ნორმატიული, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვას ეხება. მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობის და დღის წესრიგში დაყენებული საკითხის განხილვისას, საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისა და საკუთარ ინტერესთა დაცვის შესაძლებლობა.

ეს გულისხმობს, რომ ყოველი გადაწყვეტილების მიღების პროცესი არის მოქალაქეებისთვის ღია და შეუზღუდავი; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მხოლოდ ფარსი იქნება.

მეორე არის ანალიტიკური, რომელიც ეხება ჩვენი თანამედროვე საზოგადოებების კომპლექსურობას, ამ საზოგადოებებს შორის მსოფლიო მასშტაბით არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას, და იმ შემაშფოთებელ გამოწვევებს, რომელსაც გვიქადის კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების შემცირება, საფრთხე, რომელსაც არშემდგარი სახელმწიფოები უქმნიან ჩვენს უსაფრთხოებას, ან მზარდი სხვაობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის – და ეს ვრცელი სიის მხოლოდ მცირე ნაწილია. არავის გააჩნია მზა პასუხი იმაზე, თუ როგორ უნდა გადავჭრათ პრობლემები, რომლებიც თავს იჩენს, როგორც ჩვენს პირად ცხოვრებაში, ასევე გლობალურ დონეზე. ჩვენ მუდმივად ვართ ჩართული სწავლის პროცესში, მუდმივად ვეძებთ რა გამოსავალს რთული სიტუაციებიდან და პრობლემების გადაჭრის გზებს.

სწორედ ამის გამო, წინამდებარე სახელმძღვანელოში, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი ცნებები განხილულია ინტერაქტიული, კონსტრუქტივისტული მიდგომით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სახელმძღვანელოში გამოყენებული ძირითადი კონცეპტუალური მიდგომა, ცხრავე თავისთვის.

თავი #/ძირითადი კონცეფცია	**დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება: კონსტრუქტივისტული ცნება:**
თავი 1 ინდივიდუალობა	ინდივიდუალობა: ჩვენ ვქმნით ჩვენს პიროვნებას, ჩვენს მიერ გაკეთებული არჩევანით.
თავი 2 პასუხისმგებლობა	პასუხისმგებლობა: ჩვენ ვქმნით ჩვენს საერთო ღირებულებებს.
თავი 3 მრავალფეროვნება და პლურალიზმი	ინტერესები და საყოველთაო კეთილდღეობა: ჩვენ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ იმ საკითხებზე, რომელიც ჩვენი ხედვით ჩვენს საყოველთაო კეთილდღეობას უკავშირდება.
თავი 4 კონფლიქტი	კონფლიქტი: პრობლემა და კონფლიქტი არის ის, რასაც ჩვენ აღვიქვამთ, როგორც პრობლემას და კონფლიქტს.
თავი 5 წესები და კანონი	წესები და კანონები: ეს ის საშუალებებია, რომლებიც პრობლემის გადაჭრაში გვეხმარება და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების ჩარჩოებს ქმნის.
თავი 6 მთავრობა და პოლიტიკა	პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესები: მათი მიზანია გადაჭრას გადაუდებელი პრობლემები.
თავი 7 თანასწორობა	ჩართულობა და სოციალური ერთობა.
თავი 8 თავისუფლება	თავისუფლებისა და უფლებების დაცვა, მაგ. აზრის და გამოხატვის თავისუფლება.
თავი 9 მედია	მსოფლიოს აღქმა მედიის საშუალებით: მედიის მწარმოებლები და მომხმარებლები, როგორც ცენზორები და დღის წესრიგის დამდგენელნი.

ნაწილი 1

მონაწილეობა საზოგადოებაში

თავი 1

ინდივიდუალობა – არჩევანის გაკეთება
ჩვენ ვმართავთ ჩვენს ცხოვრებას და სხვა ადამიანების ცხოვრებასაც

თავი 2

პასუხისმგებლობა – მონაწილეობა, პასუხისმგებლობის აღება
თავისუფლება გულისხმობს პასუხისმგებლობას

თავი 3

მრავალფეროვნება და პლურალიზმი – თანხმობა უთანხმოების საფუძველზე?
როგორ ვთანხმდებით საყოველთაო კეთილდღეობაზე?

თავი 1

ინდივიდუალობა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის

არჩევანის გაკეთება
ჩვენ ვმართავთ ჩვენს ცხოვრებას
და სხვა ადამიანების ცხოვრებასაც

1.1 წარმოდგენები არჩევანსა და ინდივიდუალობაზე

ვის მოსაზრებას ვიზიარებ?

1.2 გადავხედოთ წარსულს: რომელმა არჩევანმა შეუწყო ხელი ჩემს ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბებას, როგორიც დღეს ვარ?

რომელმა არჩევანმა მოახდინა ჩემს ცხოვრებაზე ყველაზე დიდი ზეგავლენა?

1.3 გავიხედოთ მომავლისკენ: სამი არჩევანი, რომელიც განაპირობებს ჩვენს მომავალს

თავისუფლება მდგომარეობს არჩევანის გაკეთების ან არ გაკეთების უნარში

1.4 რომელი სამუშაოა ჩემთვის შესაფერისი?

სამუშაოს არჩევის ჩემი კრიტერიუმები

დამატებითი სამუშაო: სამუშაოს შესწავლა სპეციალისტის გამოცდილებაზე დაკვირვებით

თავი 1
ინდივიდუალობა
არჩევანის გაკეთება

წინასიტყვაობა მასწავლებლებისთვის

„ვინ იქნება ჩემი პარტნიორი?“

„გვინდა გვყავდეს შვილები?“

„რა სამუშაოს ავირჩევ?“

თავი ეძღვნება თეზისს: არჩევანი აყალიბებს პიროვნებას

ყველა ჩვენთაგანი, ცხოვრების მანძილზე, სამ უმნიშვნელოვანეს არჩევანს აკეთებს. წარსულში ჩვენ თავადაც ვეძებდით პასუხებს ამ კითხვებზე, ისევე როგორც ჩვენი მოსწავლეები აკეთებენ ამას ამჟამად. ეს სამი არჩევანი განაპირობებს ჩვენს მომავალს – განსაზღვრავს, როგორი იქნება ჩვენი ცხოვრება. ამ მნიშვნელოვან საკითხებზე გაკეთებულ არჩევანზე შემდგომში უარის თქმა მტკივნეული და რთული პროცესია, ხოლო, როდესაც საქმე შვილებს ეხება – პრაქტიკულად შეუძლებელი. ჩვენი გადაწყვეტილებები არა მარტო ჩვენს ცხოვრებაზე ახდენს გავლენას, არამედ სხვა ადამიანების ცხოვრებაზეც.

ინდივიდუალობა – ინტიმური, ზედმიწევნით პირადული საკითხი

წინამდებარე წიგნში შესული თავებიდან, მოცემული თავი, რომელიც ინდივიდუალობის ცნებას განიხილავს, ყველაზე მეტად უახლოვდება მოსწავლეთა პირად გამოცდილებასა და სურვილებს. ამ თავში მოცემული ამოცანები მოსწავლეების მიერ არჩევანის გაკეთებას მოითხოვს. გამოყენებული მეთოდი ასახავს მოსწავლეების გამოცდილებას.

თავი 1: გეგმა

პირველ გაკვეთილზე მოსწავლეები ეცნობიან არჩევანის გაკეთების მნიშვნელობას. მეორე გაკვეთილზე მოსწავლეებს უწევთ გადახედონ წარსულის გამოცდილებას: რომელმა არჩევანმა მოახდინა მათ ცხოვრებაზე ყველაზე დიდი ზეგავლენა? მესამე გაკვეთილზე ისინი მომავლისკენ იხედებიან, პასუხობენ რა ზემოთ მოცემულ სამ კითხვას. მეოთხე გაკვეთილზე მათი ყურადღება გამახვილებულია ამ სამი კითხვიდან ერთ–ერთზე, კერძოდ – სამუშაოს არჩევაზე. დამატებითი სამუშაოს სახით მათ ვთავაზობთ სამუშაოს შესწავლას სპეციალისტის გამოცდილებაზე დაკვირვებით (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 1.4).

ინდივიდუალობა – კონსტრუქტივისტული ცნება

მოცემულ თავში ინდივიდუალობის ცნება განხილულია კონსტრუქტივისტულ ჭრილში. ჩვენი ინდივიდუალობა სტატიკური, სრულყოფილი სახით კი არ გვეძლევა, არამედ იგი ვითარდება მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე, სწავლის პროცესში და მისი ჩამოყალიბება ხორციელდება ჩვენს მიერ გაკეთებული არჩევანით. ჩვენს მიერ გაკეთებულ ზოგიერთ არჩევანს ჩვენ მომავალში ვეღარ შევცვლით; ზოგის შეცვლა და გამოსწორება შესაძლებელია, ჩვენი სურვილისამებრ (იხ. მასალა მასწავლებლებისთვის 1.3).

კომპეტენციების გამომუშავება: კავშირი სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა თავებთან

რას გვიჩვენებს ეს ცხრილი

წინამდებარე სახელმძღვანელოს სათაური, *დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობა,* გულისხმობს იმ კომპეტენციებს, რომელსაც აქტიური მოქალაქე უნდა ფლობდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში. მოცემული მატრიცა გვიჩვენებს სახელმძღვანელოში შესულ თავებს შორის სინერგიის ეფექტის პოტენციალს. მატრიცა გვიჩვენებს, რომელი კომპეტენციების განვითარება ხდება პირველ თავში (შეფერილი, ჰორიზონტალური მწკრივი ცხრილში). მუქი შტრიხებით შემოსაზღვრული ვერტიკალური სვეტი გვიჩვენებს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების კომპეტენციებს –მისი გამოყოფა ხდება, დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობასთან მჭიდრო კავშირის გამო. ჰორიზონტალური მწკრივები გვიჩვენებს სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა თავებთან კავშირს: რომელ კომპეტენციებს იძენს მოსწავლე, სახელმძღვანელოში მოცემულ ამ თავებში, რომელიც მათ პირველ თავში სჭირდებათ?

როგორ გამოვიყენოთ მატრიცა?

მასწავლებლებს მოცემული მატრიცის გამოყენება სხვადასხვა გზით შეუძლიათ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილის დასაგეგმად.

- ეს მატრიცა ეხმარება მასწავლებლებს, რომლებსაც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მცირე რაოდენობით გაკვეთილის ჩატარება უწევთ: მასწავლებელს საშუალება აქვს აარჩიოს ეს თავი და გამოტოვოს სხვა თავები, თუ მიიჩნევს, რომ მოსწავლეები გარკვეულწილად უკვე ფლობენ სხვა ძირითად კომპეტენციებს, მაგალითად მოცემულ თავში ასეთი კომპეტენციებია – არჩევანის გაკეთება, პლურალიზმის აღქმა, თავისუფლების უფლების დაცვა, პასუხისმგებლობის აღება არჩევანზე, რომელიც გავლენას ახდენს სხვა ადამიანებზე.

- მოცემული მატრიცა ეხმარება მასწავლებელს დარწმუნდეს სინერგიის ეფექტში, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები ერთი და იგივე კომპეტენციას განმეორებით იძენენ, ერთმანეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა კონტექსტში.

თავი	კომპეტენციის განვითარების გაწზომილებები			მიდგომები და ღირებულებები
	პოლიტიკური ანალიზი და შეფასება	მეთოდები და უნარები	მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება	
1. ინდივიდუალობა	არჩევანის გაკეთება და ამ არჩევანის შედეგების გააზრება სამუშაოს არჩევა და კრიტერიუმების გააზრება	მოდელების ანალიტიკურ საშუალებათა რანგში გამოყენება პრეზენტაციები დისკუსიებში მონაწილეობა	გადაწყვეტილების მიღება – კრიტერიუმების, მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა	პასუხისმგებლობა – გაცნობიერება იმისა, თუ რა გავლენას ახდენს ჩემი არჩევანი სხვებზე მზადყოფნა და უნარი გაითვითცნობიერო პირადი სურვილები, მოთხოვნილებები და მოვალეობები
2. პასუხისმგებლობა				ურთიერთაღიარება
3. მრავალფეროვნება და პლურალიზმი	ინდივიდუალური არჩევანი ქმნის ინდივიდუალობის მრავალფეროვნებას			
6. მთავრობა და პოლიტიკა	პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება შეესაბამება ინდივიდუალურ არჩევანს. პირადი ბედნიერების		საჯარო კამათი და დებატები (ვმონაწილეობთ საზოგადოების მიერ გადაწყვეტილების	მზადყოფნა და უნარი მოუსმინო ადამიანებს, რომელთაც განსხვავებული ინტერესი და

	მიზანი შეესაბამება საყოველთაო კეთილდღეობის მიზანს		მიღების პროცესში)	თვალსაზრისი გააჩნიათ
8. თავისუფლება			თავისუფლების უფლების დაცვა	

თავი 1: ინდივიდუალობა– არჩევანის გაკეთება ჩვენ ვმართავთ ჩვენს ცხოვრებას და სხვა ადამიანების ცხოვრებასაც

გაკვეთილის თემა	კომპეტენციის გამომუშავება/სწავლის მიზანი	მოსწავლის ამოცანა	მასალა და რესურსები	მეთოდი
გაკვეთილი 1 წარმოდგენები არჩევანსა და ინდივიდუალობაზე	საკუთრი თვალსაზრისისა და არჩევანის განსაზღვრა. ჩვენი არჩევანით სხვებს ვამცნობთ თუ ვინ ვართ, და ვაწვდით ინფორმაციას ჩვენს პიროვნებაზე.	მოსწავლეები ირჩევენ ციტატას და ასახელებენ თავიანთი არჩევანის მიზეზს.	მასალა მასწავლებლებისთვის 1.1 (ციტატების ფურცლის სამი ასლი დაჭრილი ცალკეულ ციტატად, მოამზადეთ გაკვეთილის დაწყებამდე)	ჯგუფური სამუშაო. პლენარული განხილვა.
გაკვეთილი 2 გადავხედოთ წარსულს: რომელმა არჩევანმა შეუწყო ხელი ჩემს ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბებას, როგორიც დღეს ვარ?	ავტობიოგრაფიული პერსპექტივა. ჩვენს მიერ გაკეთებულ არჩევანს, ისევე, როგორც სხვების მიერ გაკეთებულს ძლიერი გავლენა აქვს ჩვენს ცხოვრებაზე.	მოსწავლეები ფიქრობენ იმაზე თუ რომელმა არჩევანმა იქონია ძლიერი ზეგავლენა მათ ცხოვრებაზე.	მასალა მოსწავლეებისთვის 1.1. ფლიპჩარტები და სხვადასხვა ფერის მარკერები, ქაღალდის მოგრძო ფურცლები (A6) წებო ან წებოვანი ლენტი.	დამოუკიდებელი სამუშაო. პლენარული განხილვა.
გაკვეთილი 3 გავიხედოთ მომავლისკენ: სამი არჩევანი, რომელიც განაპირობებს ჩვენ მომავალს	გადაწყვეტილებების მიღება, პრიორიტეტების დასახვა. ადამიანის უფლებები გვაძლევს არჩევანის საშუალებას, თუ როგორ წარვმართოთ ჩვენი ცხოვრება – ჩვენ ვწყვეტთ გავაკეთოთ თუ არა არჩევანი.	მოსწავლეები ფიქრობენ იმ რამდენიმე მნიშვნელოვან არჩევანზე რომელიც მათ მომავალს განაპირობებს.	მასალა მოსწავლეებისთვის 1.2. ფლიპჩარტი, მარკერები.	დამოუკიდებელი სამუშაო მასწავლებლის მიერ დარიგებულ მასალაზე. პლენარული განხილვა.
გაკვეთილი 4 რომელი სამუშაოა ჩემთვის შესაფერისი?	გადაწყვეტილების კრიტერიუმთა იდენტიფიცირება, დაბალანსება და პრიორიტეტულის გამორჩევა. ძირითადი კრიტერიუმი სამუშაოს არჩევისას არის: „რომელი სამუშაო შეესაბამება ჩემს ინტერესებს და უნარებს.	მოსწავლეები თანხმდებიან ან უარს ამბობენ შემოთავაზებულ სამუშაოზე და ასახელებენ საკუთარი გადაწყვეტილების მიზეზებს.	მასალა მოსწავლეებისთვის 1.3. მასალა მასწავლებლებისთვის 1.2 (გამოჭერით მოსწავლეების რაოდენობაზე დაახლოვებით 10–ით მეტი ფურცელზე გამოსახული მართკუთხედი სამუშაოს წარწერით)	დამოუკიდებელი სამუშაო მასწავლებლის მიერ დარიგებულ მასალაზე. პლენარული განხილვა.
დამატებითი სამუშაო: სამუშაოს შესწავლა სპეციალისტის გამოცდილებაზე დაკვირვებით	სპეციალისტისთვის ინტერვიუს ჩამორთმევა; კვლევითი პროექტის დაგეგმვა სამუშაოს ვარიანტების დამუშავება	მოსწავლეები გეგმავენ და ახორციელებენ კვლევით პროექტს	მასალა მოსწავლეებისთვის 1.4	პროექტი

გაკვეთილი 1
შეხედულებები საკუთარ არჩევანზე და იდენტობაზე
ვის აზრს ვიზიარებ?

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	საკუთრი თვალსაზრისისა და არჩევანის განსაზღვრა.
სწავლის მიზანი	ჩვენი არჩევანით სხვებს ვამცნობთ თუ ვინ ვართ, და ვაწვდით ინფორმაციას ჩვენს პიროვნებაზე.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები ირჩევენ ციტატას და ასახელებენ თავიანთი არჩევანის მიზეზს.
მასალა და რესურსები	მასალა მასწავლებლებისთვის 1.1, ციტატების ფურცელი დაჭრილი ცალკეულ ციტატად, მომზადებული გაკვეთილის დაწყებამდე.
მეთოდი	ჯგუფური სამუშაო. პლენარული განხილვა.
დროის ბიუჯეტი	1. მოსწავლეები აკეთებენ არჩევანს. 15 წთ.
	2. მოსწავლეები ასახელებენ საკუთარი არჩევანის მიზეზებს. 15 წთ.
	3. მოსწავლეები ერთმანეთის არჩევანს ადარებენ და ფიქრობენ საკუთარ არჩევანზე. 10 წთ.

ინფორმაცია

გაკვეთილის განმავლობაში მოსწავლეები აკეთებენ არჩევანს და არჩევანის გაკეთების თემას საკუთარი პირადი გამოცდილების მაგალითზე ეცნობიან. ეს ინდივიდუალობის რთული ცნებისადმი პრაქტიკულ მიდგომას წარმოადგენს, ნაცვლად თეორიული მიდგომისა, რაც მოსწავლეებს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ ინდივიდუალობის ცნება არ არის განყენებული ცნება, არამედ, პრაქტიკულად პირდაპირ კავშირშია მათ ცხოვრებასთან.

გაკვეთილზე ჭარბობს მოსწავლეებს შორის კომუნიკაცია. მოსწავლეების სახით დაფისკენ განლაგება არაპროდუქტული იქნება, ამიტომ, თუ საკლასო ოთახი ამის საშუალებას იძლევა მოსწავლეები განალაგეთ კედლების გასწვრივ ნახევარწრის ფორმით.

გაკვეთილის აღწერა

1. მოსწავლეები აკეთებენ არჩევანს

მოსწავლეები აყალიბებენ კონტექსტს

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს თემას. მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე, ყოველდღიურად, ჩვენ ვაკეთებთ არჩევანს და ვიღებთ გადაწყვეტილებებს – რა მაგალითების მოყვანა შეუძლიათ მოსწავლეებს? მოსწავლეები პასუხობენ და მოჰყავთ მაგალითები საკუთარი გამოცდილებიდან. მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს, რომ მოსწავლეები საუბრობენ მხოლოდ გადაწყვეტილებებზე და სიღრმისეულად არ განიხილავენ დეტალებს, არ საუბრობენ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და იმაზე, თუ რამ განაპირობა მათ მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება. გაკვეთილის პირველი ხუთი წუთის განმავლობაში, რაც შეიძლება მეტ მოსწავლეს უნდა მიეცეს საუბრის საშუალება. მასწავლებელმა შემდგომ უნდა განიხილოს მათ მიერ მოყვანილი მაგალითები; იგი ადგენს მოსწავლეების პასუხებში რა თანაფარდობაა ყოველდღიურ გადაწყვეტილებებსა (სენდვიჩის ყიდვა, საუზმეზე რაიმე ცხელი სასმელის მირთმევა) და ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს შორის, როგორიცაა სამუშაოს არჩევა. მასწავლებელი აღნიშნავს, თუ რა ტენდეციები გამოიკვეთა მოსწავლეების არჩევანში.

მოსწავლეები ირჩევენ ციტატებს

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ ისინი მოისმენენ ციტატებს, რომელთა ავტორები სხვადასხვა ეპოქის და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან. მოსწავლეების ამოცანა შემდეგში მდგომარეობს:

- მოსწავლეები ირჩევენ ციტატას, რომელსაც ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან.

- მოსწავლეები, რომელთაც ერთი და იგივე ციტატა შეარჩიეს, ქმნიან მცირერიცხოვან ჯგუფს (არაუმეტეს ექვსი მოსწავლისგან შემდგარს) და ერთმანეთს უზიარებენ ამ ციტატის შერჩევის მიზეზებს. ჯგუფები ირჩევენ სპიკერს.

- ხუთი წუთის შემდეგ, ეწყობა პლენარული რაუნდი, სადაც ყოველი ჯგუფის სპიკერი მოკლე განცხადებას აკეთებს მისი ჯგუფის არჩევანთან დაკავშირებით, კითხულობს ციტატას და ასახელებს მოსწავლეების მიერ განხილულ მიზეზებს, თუ რატომ ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან ისინი მოცემულ ციტატას. თუ ჯგუფის წევრებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ მოცემულ ციტატასთან დაკავშირებით, სპიკერი საკუთარ მოხსენებაში ამ განსხვავების შესახებაც საუბრობს.

მასწავლებელი მთელ კლასში მერხებზე ჩამოარიგებს ციტატებს, რომლებიც ცალ-ცალკე ფურცელზეა მოცემული, მოსწავლეები, რომელთაც გადაეცათ ციტატა, ხმამაღლა კითხულობენ მას მთელი კლასის გასაგონად. შემდეგ მოსწავლეები შეუდგებიან თავიანთი დავალების შესრულებას. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს მათ. თუ ჯგუფი მრავალრიცხოვანი გამოვიდა, მასწავლებელი მას მცირერიცხოვან ჯგუფებად ყოფს. წინასწარ უნდა იყოს მომზადებული ციტატების ასლები, საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებისთვის გადასაცემად. მასწავლებელი ინიშნავს, რომელი ციტატები აირჩიეს მოსწავლეებმა და რომელი არ აირჩიეს. მასწავლებელი ვერ მოისმენს მოსწავლეების მიერ ციტატების განხილვას, ვინაიდან მოსწავლეები ჯგუფებში მუშაობენ და რამდენიმე მათგანი ერთდროულად ისაუბრებს, ასე რომ, კლასში იქნება ხმაური, სწორედ ისე, როგორც კლიენტებით სავსე კაფეში.

2. მოსწავლეები ასახელებენ საკუთარი არჩევანის მიზეზებს

სპიკერები აკეთებენ განცხადებებს

მასწავლებელი მოსწავლეებს აუწყებს, რომ მათი დავალების პირველი ეტაპი ამოიწურა და მოუწოდებს მათ მოაწყონ პლენარული სხდომის რაუნდი, რომელსაც მასწავლებელი გაუწევს თავმჯდომარეობას. მოსწავლეები თავთავიანთ ჯგუფებად უსხედან საკუთარ მერხებს, სპიკერები რიგრიგობით საუბრობენ. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი ახსენებს სპიკერებს, ისაუბრონ იმ მიზეზებზე, თუ რატომ გააკეთა მათმა ჯგუფმა არჩევანი (შეარჩია ესა თუ ის ციტატა). მოსწავლეებს შეუძლიათ მოითხოვონ მეტი ინფორმაცია. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს, რომ დისკუსია არ გაიმართოს მანამ, სანამ ყველა სპიკერი არ დაასრულებს თავის გამოსვლას.

მასწავლებელი და მოსწავლეები ადგენენ მოსაზრებათა გრაფიკულ გამოსახულებას ჩანაწერის სახით

სანამ შემდეგი სპიკერი გამოვა სიტყვით, მასწავლებელი მსმენელებს სთხოვს შეაჯამონ წინა გამომსვლელის მიერ ჩამოყალიბებული მნიშვნელოვანი განცხადებები, მაგალითად „ჩვენ მიერ გაკეთებულ არჩევანთაგან უმეტესობას ვერ შევცვლით“, ან „როდესაც ვაკეთებთ არჩევანს, ჩვენ ვსარგებლობთ პიროვნების თავისუფლების უფლებით“. მასწავლებელი ან მოსწავლე ახარისხებს მსგავს განცხადებებს მარტივი გრაფიკული გამოსახულების სახით (მაგალითი იხ. ქვემოთ).



3. მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ და აანალიზებენ თავიანთ არჩევანს.

მოსწავლეები კითხულობენ მოსაზრებათა გრაფიკული გამოსახულების ჩანაწერს – მრავალი არჩევანის დოკუმენტი

მოსაზრებათა გრაფიკული გამოსახულების ჩანაწერი ამ გაკვეთილის დამასრულებელი ეტაპის წარმატებით წარმართვაში გვეხმარება.

მასწავლებელი სვამს ერთ სააზროვნო კითხვას, რომელზეც მოსწავლეებს მრავალი განსხვავებული პასუხი შეიძლება ჰქონდეთ, ვინაიდან ისინი ექსპერტების როლში გამოდიან: სპიკერებმა დაასრულეს თავიანთი მოხსენებები იმის შესახებ, თუ რას ფიქრობენ მოსწავლეები სხვადასხვა ციტატებზე, რომლებიც არჩევანის გაკეთებას ეხება. ჯგუფები შედგა თავად მოსწავლეების არჩევანის მიხედვით –

აქედან გამომდინარე, რა დასკვნის გაკეთება შეგვიძლია მოსწავლეებზე, გრაფიკული გამოსახულებით თუ ვისარგებლებთ?

მოსწავლეებს სჭირდებათ დრო მოსაფიქრებლად. მათ ეს დრო უნდა მიეცეთ – რა შეიძლება იყოს იმაზე უკეთესი, ვიდრე მოსწავლეებით სავსე კლასი, რომლებიც ჩუმად ფიქრობენ და აზროვნებენ? ამიტომ ნუ ვიჩქარებთ ამ პროდუქტიული ეტაპის დასრულებას მაშინვე, როგორც კი პირველი მოსწავლე გამოთქვამს თავის მოსაზრებაზე საუბრის სურვილს. ამის შემდეგ, რამდენიმე მოსწავლეს სიტყვით გამოსვლის საშუალება უნდა მივცეთ. მოსწავლეები გამოთქვამენ მრავალ განსხვავებულ მოსაზრებას, და ეს განსხვავებული მოსაზრებები იქნება პროდუქტი იმ კონტექსტისა, რომელიც თავად მოსწავლეებმა შექმნეს თავიანთი არჩევანითა და როგორც დააფიქსირეს მოსაზრებათა გრაფიკული გამოსახულების შედგენისას.

დასკვნა: ძირითადი მოსაზრებები

მასწავლებლის ამოცანაა დაასრულოს გაკვეთილი ძირითად მოსაზრებათა შეჯამებით. ამ მოსაზრებების ჩამოყალიბება შესაძლებელია პირდაპირ ან რამდენიმე განცხადების სახით, რომელსაც ლაიტმოტივად გასდევს ეს ძირითადი მოსაზრება. მასწავლებელი წერს დაფაზე ან დაიტანს ფლიპჩარტზე რამდენიმე ძირითად სიტყვას, რომელიც დასკვნის შინაარსს ესადაგება:

1. ამ გაკვეთილზე მოსწავლეებმა *გააკეთეს არჩევანი, საუბრობდნენ* რა არჩევანზე.

2. მოსწავლეებმა გააკეთეს *სხვადასხვა* არჩევანი, სხვადასხვა მიზეზებისდა გამო (ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი):

   – პირადი გამოცდილება;

   – ღირებულებები;

   – სქესი;

   – ზრუნვა სხვებზე, პასუხისმგებლობა;

   – ადამიანის უფლებები;

   – ...

3. მოსწავლეთა არჩევანი მეტყველებს იმაზე, რომ ისინი განსხვავებული პიროვნებები არიან – მათ მიერ გაკეთებული არჩევანის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რას წარმოადგენენ ისინი – მათი ინდივიდუალობის შესახებ.

გაკვეთილი 2

წარსულის გადახედვა: რომელმა გადაწყვეტილებამ მომიყვანა აქამდე?
რომელმა არჩევანმა იქონია ძირითადი გავლენა ჩემს ცხოვრებაზე?

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	ავტობიოგრაფიული პერსპექტივა.
სწავლის მიზანი	ჩვენს მიერ გაკეთებულ არჩევანს, ისევე, როგორც სხვების მიერ გაკეთებულს ძლიერი გავლენა აქვს ჩვენს ცხოვრებაზე.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები ფიქრობენ იმაზე თუ რომელმა არჩევანმა იქონია ძლიერი ზეგავლენა მათ ცხოვრებაზე.
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 1.1. ფლიპჩარტები და სხვადასხვა ფერის მარკერები, ქაღალდის მოგრძო ფურცლები (A6) წებო ან წებოვანი ლენტი.
მეთოდი	დამოუკიდებელი სამუშაო. პლენარული განხილვა.
დროის ბიუჯეტი	1. მოსწავლეები ფიქრობენ იმაზე თუ რომელმა არჩევანმა იქონია ძლიერი ზეგავლენა მათ ცხოვრებაზე. 15 წთ.
	2. მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ აღმოჩენებს 10 წთ.
	3. მოსწავლეები განიხილავენ და ფიქრობენ თავიანთ აღმოჩენებზე 15 წთ.

ინფორმაცია

არჩევანი, გარკვეულწილად, აყალიბებს ჩვენს ინდივიდუალობას. ამ გაკვეთილზე მოსწავლეები თვალს გადაავლებენ თავიანთ განვლილ ცხოვრებას. შემდგომ გაკვეთილზე ცვლიან მხედველობის არეს და მომავალზე იწყებენ ფიქრს. მაგრამ არსი უცვლელი რჩება – როგორ ვქმნით ჩვენ ჩვენს საკუთარ ცხოვრებას და სხვების ცხოვრებასაც, ჩვენს მიერ არჩევანის გაკეთებით?

მოცემულ გაკვეთილზე, მოსწავლეები პირველ რიგში საკუთარ ბიოგრაფიას აყალიბებენ ზემოთმოყვანილ კითხვაზე პასუხის გაცემით. შემდეგ პლენარულ სხდომაზე, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ დასკვნებს და ადარებენ ერთმანეთს.

გაკვეთილის აღწერა

მოსამზადებელი სამუშაო

გაკვეთილის დაწყებამდე, მასწავლებელს ფლიპჩარტზე ან დაფაზე გადააქვს დიაგრამა, რომელიც მოცემულია მასალა მოსწავლეებისთვის 1.1 –ში.



1. მოსწავლეები იკვლევენ მათ მიერ გაკეთებულმა რომელმა არჩევანმა იქონია გავლენა მათ ცხოვრებაზე

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს, თუ რაში მდგომარეობს მათი ამოცანა

მასწავლებელი მოსწავლეებს გაკვეთილის ძირითად ამოცანას აცნობს. თვალსაჩინოებისთვის მათ ფლიპჩარტზე გამოსახული დიდი ზომის დიაგრამა აქვთ. მასწავლებელი მათ წინა გაკვეთილზე გავლილ მასალას ახსენებს. მოსწავლეებმა გააკეთეს არჩევანი, და მხოლოდ ამ არჩევანის საფუძველზე, ჩვენ წარმოდგენა შეგვექმნა თითოეული მათგანის ინდივიდუალობაზე. მოცემული გაკვეთილი იგივე თემას სხვა ჭრილში განიხილავს: რა გავლენა იქონია ჩვენი ინდივიდუალობის ჩამოყალიბებაზე და ჩვენს ცხოვრებაზე გაკეთებულმა არჩევანმა? და ვინ გააკეთა ეს არჩევანი? ჩვენ თავად თუ სხვა ადამიანებმა?

ფლიპჩარტზე გამოსახულ დიაგრამაზე იგივეა გამოსახული, რაც მოსწავლეებისთვის დარიგებულ სამუშაო ფურცლებზე. ფურცლის ზედა ნახევარზე მოსწავლეები ჩანაწერებს აკეთებენ იმ რამდენიმე არჩევანის შესახებ, რომელიც მათ თავად გააკეთეს, ფურცლის ქვედა ნახევარში – სხვების მიერ გაკეთებულ რამდენიმე არჩევანზე. დროის ხაზი, რომელიც მარცხნიდან მარჯვნივ გასდევს ფურცელს ასახავს პერიოდს მათი დაბადებიდან დღევანდელ დღემდე, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, აღნიშნონ როდის მოხდა ამა თუ იმ არჩევანის გაკეთება, რომელმაც მათი პიროვნების ჩამოყალიბებაზე იმოქმედა.

მოსწავლეები ადგენენ თავიანთ ავტობიოგრაფიებს

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს მასალას მოსწავლეებისთვის 1.1, რომელზეც მოსწავლეები დამოუკიდებლად მუშაობენ (10–15 წუთის განმავლობაში). ისინი თავიანთ გამოცდილებას განიხილავენ ავტობიოგრაფიის თვალსაზრისით. მოსწავლეები ექსპერტების როლში გამოდიან. თემა და ინფორმაცია, გამომდინარე მისი პირადული ხასიათიდან, ყოველი მოსწავლისთვის ძალიან

მნიშვნელოვანია და მათ უნდა გადაწყვიტონ რა გაუზიარონ სხვა მოსწავლეებს, გაკვეთილის შემდეგ ეტაპზე.

2. მოსწავლეთა გამოცდილებების შედარება

მოსწავლეები ეცნობიან ამოცანას

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს შემდეგ დავალებას. მოსწავლეებმა ამ ეტაპზე ერთმანეთს უნდა გაუზიარონ თავიანთი აღმოჩენები. ყოველ მოსწავლეს ურიგდება A6 ფორმატის 2 ფურცელი და მარკერები (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია რამდენიმე მოსწავლემ ერთი მასალით ისარგებლოს). ყოველ ფურცელზე მოსწავლემ უნდა დაწეროს მხოლოდ ერთი არჩევანი, რადგან შემდეგ ამ ინფორმაციის დაკავშირება ხდება სხვა მოსწავლეების მიერ გაკეთებულ ჩანაწერებთან.

მასწავლებელს დროის ხაზზე დააქვს წლები, დაწყებული ყველაზე უფროსი მოსწავლის დაბადების წლით, და დამთავრებული მიმდინარე წლით.

მოსწავლეები თავიანთი ავტობიოგრაფიებიდან არჩევენ ერთ ან ორ ინფორმაციას, შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

- რომელმა არჩევანმა იქონია განსაკუთრებით ძლიერი გავლენა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაზე?
- რომელი ინფორმაცია მსურს გავუზიარო სხვა მოსწავლეებს?

მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ, თუ ვინ გააკეთა არჩევანი (მე, „დედაჩემმა“ „მეგობარმა“ ...) და არჩევანის გაკეთების თარიღი, მაგრამ საკუთარი ვინაობის მითითება არ არის აუცილებელი.

მოსწავლეები ახორციელებენ მნიშვნელოვან არჩევანთა ზოგად კვლევას

მოსწავლეები ფურცელზე დაწერილ ინფორმაციას მერხებზე აწყობენ, ნაწერით ქვემოთ. ოთხი მოსწავლისგან შემდგარი ჯგუფი კრებს ამ ფურცლებს და მიაქვს ფლიპჩარტთან.

მოსწავლეები განლაგდებიან ფლიპჩარტის წინ ნახევარწრის ფორმით – საჭიროების შემთხვევაში, ორ რიგად. ჯგუფის ერთ–ერთი წევრი კლასს აცნობს შეგროვილ მასალას, კითხულობს რა ყველა ფურცელზე დატანილ ინფორმაციას. ჯგუფის მეორე წევრი განსაზღვრავს ფლიპჩარტზე ფურცლის ადგილს. ერთი და იგივე ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, ფლიპჩარტზე მაგრდება ერთი; ხდება განმეორებადი ინფორმაციების დათვლა და მონაცემის ჩაწერა, ხოლო ფლიპჩარტზე მიმაგრებული ტექსტი ჯდება ჩარჩოში, რაც მიუთითებს, რომ ეს არჩევანი იყო ხშირი და ამის გამო მნიშვნელოვანი. ჯგუფი თანამშრომლობს მთელ კლასთან და ისინი ერთად ქმნიან და განიხილავენ მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციების საფუძველზე შექმნილ ერთიან დიაგრამას.

3. მოსწავლეები მსჯელობენ და ფიქრობენ საკუთარ აღმოჩენებზე

მოსწავლეები ეძებენ განმეორებადი ინფორმაციის ნიმუშებს და მნიშვნელოვან ელემენტებს

მასალა ყველასთვის ახალია და აქედან გამომდინარე რთულია შინაარსის წინასწარ განსაზღვრა. ძალიან ხშირად მოსწავლეებს არ სჭირდებათ მითითება, ისინი საკუთარი კომენტარების გაკეთებას დაუყოვნებლივ იწყებენ.

საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი აღნიშნავს, რომ შემდეგ ეტაპზე მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ, რომელია ყველაზე შთამბეჭდავი ინფორმაცია და დეტალი.

შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ნიმუში:

სიყმაწვილე – მეტი დამოუკიდებლობა: ადრეულ ბავშვობაში არჩევანს, რომელიც ჩვენს პიროვნებას ეხება, აკეთებენ სხვები (მშობლები, ოჯახი, მასწავლებლები, ექიმები). როდესაც მოზრდილ ასაკში შევაბიჯებთ, ჩვენ თვითონ ვაკეთებთ მეტ არჩევანს. აქედან გამომდინარე, ფლიპჩარტზე ამ მონაკვეთში ყველაზე მეტი ინფორმაციის კონცენტრაციაა მოსალოდნელი – რომელიც ზევით მიმართული ისრის მაჩვენებლით მეტ ავტონომიასა და პირადულ პასუხისმგებლობებზე მიუთითებს, რაც მატულობს ასაკის მომატების პარალელურად. მოსწავლეს შეუძლია ისარი დაიტანოს დიაგრამაზე (იხ. ქვემოთ მოცემული დიაგრამა).

„მე ჩემს არსებობას ჩემს მშობლებს უნდა ვუმადლოდე“: ასე იწყება ყველა ჩვენგანის ბიოგრაფია და ეს არის ის, რაც ჩვენ ყველას საერთო გვაქვს. იგი იმდენად ელემენტარულია, რამდენადაც თავისთავად იგულისხმება. ჩვენი ფესვები ჩვენი ოჯახებიდან მოდის.

მრავალფეროვნება და პლურალიზმი: შესაძლოა ვერ მოხერხდეს ნიმუშის მოძებნა. ეს პლურალიზმის ფენომენზე მიუთითებს – ჩვენ ერთმანეთისაგან განვსხვავდებით, ისევე როგორც ჩვენი ცხოვრების გზები, და ჩვენი არჩევანი განაპირობებს ჩვენს ინდივიდუალურ პიროვნებებად ჩამოყალიბებას.



ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ჩვენი ავტონომია – თავად გავაკეთოთ არჩევანი.

გაკვეთილი 3

მომავლის განჭვრეტა: სამი არჩევანი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს მომავალ ცხოვრებას
თავისუფლება გულისხმობს შესაძლებლობას გავაკეთოთ ან არ გავაკეთოთ არჩევანი

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	არჩევანის გაკეთება, პრიორიტეტების დასახვა.
სწავლის მიზანი	ადამიანის უფლებები გვაძლევს არჩევანის საშუალებას, თუ როგორ წარვმართოთ ჩვენი ცხოვრება – ჩვენ ვწყვეტთ გავაკეთოთ თუ არა არჩევანი.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები ფიქრობენ იმ რამდენიმე მნიშვნელოვან არჩევანზე რომელიც მათ მომავალს განაპირობებს.
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 1.2. ფლიპჩარტები მარკერები.
მეთოდი	დამოუკიდებელი სამუშაო მასწავლებლის მიერ დარიგებულ მასალაზე.. პლენარული განხილვა.
დროის ბიუჯეტი	1. მოსწავლეებისათვის თემისა და დავალების გაცნობა. 10 წთ.
	2. მოსწავლეები ფიქრობენ მომავალში გასაკეთებელ რამდენიმე მნიშვნელოვან არჩევანზე. 10 წთ.
	3. პრეზენტაცია და გაანალიზება. 20 წთ.

ინფორმაცია

„ვინ იქნება ჩემი პარტნიორი?“ – „გვინდა გვყავდეს შვილები?“ – „რომელ სამუშაოს ავირჩევ?“

მოცემულ გაკვეთილზე, მოსწავლეები განიხილავენ ამ სამ არჩევანს. ამგვარად მათ ხედვა წარსულიდან მომავალზე გადააქვთ. წინა გაკვეთილზე, მათ განიხილეს წარსული, იმსჯელეს რა, თუ რომელმა და ვის მიერ გაკეთებულმა არჩევანმა მოახდინა მათ ცხოვრებაზე და მათი პიროვნებების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა, მათ ბავშვობაში და შემდგომ წლებში. მოცემულ გაკვეთილზე ისინი თავიანთ მომავალს გადახედავენ. ისინი მნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთებაზე დაფიქრდებიან –მომავალი პარტნიორის, ოჯახის და პროფესიის არჩევანზე – რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი ინდივიდუალობის ჩამოყალიბებაზე.

მოსწავლეები გათვითცნობიერდებიან გენდერულ საკითხში: ქალის როლი, ტრადიციულად, იყო პარტნიორის არჩევა და ოჯახი – პროფესიის გარეშე, მაშინ როცა კაცის ძირითად როლს წარმოადგენდა საარსებო საშუალებების მოპოვება (პროფესია) და პარტნიორის არჩევა, ხოლო ოჯახზე ნაკლები პასუხისმგებლობა. დღევანდელ დღეს, ქალები ადრეული ასაკიდან ინტენსიურად სარგებლობენ განათლების უფლებით, რომლის მიზანიც პროფესიის არჩევაა. ამგვარად, მაშინ როცა ქალები ცდილობენ გამონახონ გზა, რათა ეს სამივე ფუნქცია შეათავსონ – პროფესია, პარტნიორი და ოჯახი – მამაკაცების უმეტესობა, მაგრამ არა ყველა, კვლავ აგრძელებს თავისი ტრადიციული როლის თამაშს.

გაკვეთილის აღწერა

1. მოსწავლეები ეცნობიან გაკვეთილის თემას და ამოცანას

მასწავლებლის გამოწვევა მოსწავლეებს (ინდუქციური მიდგომა)

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს ისეთი კითხვის დასმით, რომელზეც პასუხი ყველა მოსწავლეს აქვს, და ეს კითხვა შემდეგში მდგომარეობს: რატომ ესწრებიან ისინი გაკვეთილებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალ კლასებში?

მოსწავლეების, როგორც გოგონების ასევე ბიჭების, პასუხი იქნება ის, რომ მათ სურთ აირჩიონ პროფესია, ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ უმაღლესი განათლება, სწავლა განაგრძონ უნივერსიტეტებში.

მასწავლებელი რამდენიმე მოსწავლეს აძლევს სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობას, რათა გამოიკვეთოს ნათელი სურათი. შემდეგ იგი აჯამებს მოსწავლეების პასუხებს დიაგრამის გამოყენებით, რომელიც მოსწავლეებისათვის განკუთვნილ მასალაშია მოცემული (მასალა მოსწავლეებისთვის 1.2). მას დიაგრამა გადააქვს დაფაზე ან ფლიპჩარტზე და აღნიშნავს მასზე პირველ არჩევანს – პროფესია.



მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ ეს არის ის არჩევანი, რომელსაც მოსწავლეებმა პრიორიტეტი მიანიჭეს თავიანთი პასუხებით, რაც იმაზე მეტყველებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს არჩევანი მათი ინდივიდუალობისათვის. ამგვარად, ისინი სარგებლობენ ადამიანის უფლებებით – ზოგადად არჩევანის უფლებით, და კონკრეტულად პროფესიის არჩევანის თავისუფლებით. მოსწავლეებმა, შესაძლოა, მართებულად აღნიშნონ, რომ ეს თავისუფლება მეტნაკლებად შეზღუდულია, რადგან, მაგალითად, არსებობს გარკვეული სამსახურები, რომელზეც ყველას ხელი არ მიუწვდება, არსებობს უმუშევრობა ან ძლიერი კონკურენცია. ეს თემა არ უნდა განიხილებოდეს ამ ეტაპზე, მას შემდეგ გაკვეთილებში იხილავთ.

მასწავლებელს მოსწავლეთა ყურადღება გადააქვს სხვა მნიშვნელოვან არჩევანზე: მინდა მყავდეს ცხოვრების მეგზური (პარტნიორი)? და თუ მინდა, ვინ იქნება ჩემი პარტნიორი? (შესაძლოა, ეს არჩევანი უკვე გაკეთებული მაქვს) და მსურს მე ან გვსურს ჩვენ გვყავდეს შვილები? მასწავლებელი დიაგრამაზე ამატებს ტერმინებს „პარტნიორი“ და „შვილები“, ამგვარად, დიაგრამა მასალა სტუდენტებისთვის ანალოგიური ხდება.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს, დადებითი ან უარყოფითი. მათ შეუძლიათ გააერთიანონ სამივე არჩევანი, ან გააერთიანონ მხოლოდ ორი და უარი თქვან მესამეზე. ყოველი ჩვენთაგანი განსხვავებული ცხოვრებით ცხოვრობს, რაც დამოკიდებულია იმ არჩევანზე, რომელსაც ვაკეთებთ, ან არ ვაკეთებთ. ჩვენ ვსარგებლობთ ჩვენთვის მონიჭებული ადამიანის უფლებებით, მაგრამ, ამავდროულად, ჩვენ პასუხისმგებლობას ვიღებთ საკუთარ ცხოვრებაზე, ისევე როგორც, სხვა ადამიანების (პარტნიორი, შვილები) ცხოვრებაზე.

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს დავალებას

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს მასალა მოსწავლეებისთვის 1.2–ს. იგი მოსწავლეებს აცნობს ადამიანის უფლებებს, რომელიც მათ სამუშაოს არჩევის, პარტნიორთან ცხოვრების და შვილების ყოლის ძირითადი არჩევანის შესაძლებლობას აძლევს (მასალა მოსწავლეებისთვის 1.2, ნაწილი 1). მოსწავლეების ამოცანას წარმოადგენს თავიანთ არჩევანზე დაფიქრება და მიღებული გადაწყვეტილების მასალა მოსწავლეებისთვის 1.2, ნაწილი 2–ში მოცემულ მატრიცაზე დატანა.

მოსწავლეების მხრიდან სურვილის გამოთქმის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ საკუთარი არჩევანი თავიანთი მშობლების მიერ გაკეთებულ არჩევანს შეადარონ. ეს დამატებითი ინფორმაცია კლასში განხილვას არ ექვემდებარება. ინფორმაცია მათ მიერ გაკეთებული არჩევანის შესახებ ანონიმური რჩება.

2. მოსწავლეები ფიქრობენ მათ მიერ გაკეთებულ ძირითად არჩევანზე

მოსწავლეები მუშაობენ დამოუკიდებლად, ერთმანეთისთვის მოსაზრებების გაზიარების გარეშე. მასწავლებელი არ ამოწმებს მოსწავლეების მიერ შესრულებულ სამუშაოს, რომელსაც ისინი მათთვის დარიგებულ ფურცლებზე ასრულებენ, ვინაიდან მოქმედების თავისუფლება და გულახდილობა აუცილებელია, როდესაც საქმე ეხება ასეთ დელიკატურ საკითხს.

მასწავლებელი მოსწავლეებს ამზადებს შემდეგი ეტაპისთვის. იგი ფლიპჩარტს ამაგრებს დაფაზე ან კედელზე. უკეთესია, მოსწავლეები მხედველობის არეს მოშორებული იყვნენ ფლიპჩარტზე მუშაობის დროს. ფლიპჩარტზე მოსწავლეებს გადააქვთ მათ მიერ მასალა მოსწავლეებისთვის 1.2–ში მოცემული მატრიცის მოდიფიცირებული ვარიანტი.

ვინაიდან მოსწავლეებისთვის უკვე ცნობილია მატრიცის შინაარსი, ტექსტი შესაძლოა შემოკლებული იქნეს შემდეგნაირად:

სამუშაო – **პ**არტნიორი – **შ**ვილები

ვაკეთებთ მომავლის არჩევანს		გოგოები	ბიჭები
სამივე	პ + შ + ს		
სამიდან ორი	პ + შ		
	პ + ს		
	შ + ს		
სამიდან ერთი	პ		
	შ		
	ს		

მასწავლებელი ფლიპჩარტთან ტოვებს მარკერს მოსწავლეებისთვის.

3. პრეზენტაცია და ფიქრი

მოსწავლეები თავიანთი არჩევანის პრეზენტაციას ახდენენ

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, როგორ დაიტანონ ფლიპჩარტზე თავიანთი არჩევანი დისკრეტულად. ისინი რიგრიგობით უნდა გამოცხადნენ ფლიპჩარტთან და აღნიშნონ თავიანთი არჩევანი, მარტივი სიმბოლოს „1“-ის გამოყენებით.

გოგოებს და ბიჭებს ცალ-ცალკე, მათთვის განკუთვნილ სვეტებში შეაქვთ თავიანთი პასუხები.

მოსწავლეები რიგრიგობით მიდიან ფლიპჩარტთან და აღნიშნავენ თავიანთ არჩევანს. როდესაც ყველა მოსწავლე შეასრულებს ამ სამუშაოს, ორი მოსწავლე ითვლის და აჯამებს თითოეულ გრაფაში დაგროვილი პასუხების რაოდენობას.

მოსწავლეები აკეთებენ კომენტარს და განიხილავენ შედეგებს

შედეგის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. საინტერესოა, რამდენი მოსწავლე, როგორც გოგო, ასევე ბიჭი, აპირებს სამივე არჩევანის პრიორიტეტად დასახვას და რამდენი აჩერებს საკუთარ არჩევანს სამიდან ორზე, და კონკრეტულად რომელ ორზე.

„პარტნიორი + სამუშაო“: მამრობითი სქესის წარმომადგენელთა ტრადიციული არჩევანი „მარჩენალი + დიასახლისი“. მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ რა შედეგი იქნება, იმ შემთხვევაში, თუ მათი პარტნიორიც იგივე არჩევანს გააკეთებს – ამ შემთხვევაში გვაქვს „ორმაგი შემოსავალი, შვილების გარეშე“ მოდელი.

„სამუშაო + შვილები“: იშვიათი არჩევანია, ვინაიდან ეს ნიშნავს მარტოხელა მშობელს. მაგრამ მოსწავლეებისთვის ცნობილი იქნება, რომ ოჯახების მნიშვნელოვანი რაოდენობა სწორედ ამ მოდელს ესადაგება, მაგრამ ეს არ არის პიროვნების მიერ გაკეთებული არჩევანი, არამედ განქორწინების, ან ერთ–ერთი პარტნიორის გარდაცვალების შედეგია.

„პარტნიორი + შვილები“: მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა მიერ გაკეთებული ტრადიციული არჩევანი, იმ შემთხვევაში, თუ ეს მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. ახალგაზრდა დედების უმეტესობა და ახალგაზრდა მამების შედარებით მცირე რაოდენობა, აკეთებს ამ არჩევანს გარკვეული დროის განმავლობაში, სანამ შვილები მცირე ასაკის არიან. ისინი სამუშაოს უბრუნდებიან, როგორც კი ამის საშუალება ეძლევათ.

„სამუშაო + პარტნიორი + შვილები“: მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ ეს უკანასკნელი არჩევანი გამოწვევაა. არის განსხვავება სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა მიერ გაკეთებულ არჩევანში? სავარაუდოდ გოგოების უმეტესობა ამ უკანასკნელ არჩევანზე შეჩერდება. ამ შემთხვევაში, რა არის ამის მიზეზი? მასწავლებელმა არ არის აუცილებელი მოსწავლეებს მათ მიერ გაკეთებული არჩევანის მიზეზების დასახელება მოსთხოვოს, თუ მათ თავად არ გამოთქვეს ამის სურვილი. თუმცა, მასწავლებელს შეუძლია აღნიშნოს, თუ როგორ შეიძლება ინდივიდუალურმა არჩევანმა გავლენა იქონიოს მთელ საზოგადოებაზე: თუ უმრავლესობა ირჩევს არ იყოლიოს შვილები, შობადობა მცირდება. არ უნდა შეიქმნას მორალური ზეწოლა, მაგრამ მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ ის სამომავლო შედეგები, რასაც მათი არჩევანი აუცილებლად განაპირობებს (იხ. ქვემოთ მოყვანილი დამატებითი მასალა).

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, მასწავლებელი ელოდება შედეგებს და ამის შემდეგ რეაგირებს – საჭიროების შემთხვევაში იმპროვიზაციის გამოყენებით. როგორც აღვნიშნეთ, მასწავლებელს ამოცანის შესრულებაში ეხმარება წინასწარი განსჯა, ისევე როგორც გაკვეთილის შეფასება მისი დასრულების შემდგომ, რაც ხელს უწყობს იმპროვიზირების უნარის განვითარებას და იმპროვიზირების დროს თავდაჯერებულობის გამომუშავებას.

დამატებითი მასალა

შობადობის შემცირების, მოსახლეობის საშუალო ასაკის მატების და მოსახლეობის შემცირების პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას მსოფლიო მასშტაბით, ძალიან ბევრ, მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანაში, მათ შორის ჩინეთში, გერმანიასა და იტალიაში. ყოველივე ამან შეიძლება სერიოზული პრობლემა შეუქმნას ქვეყნის ეკონომიკასა და მოხუცებულობის საპენსიო სისტემას. მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ სტატისტიკური მონაცემებით და ამ კუთხით შეაფასონ სიტუაცია საკუთარ ქვეყანაში. ასევე, მათ ასევე შეუძლიათ განიხილონ პრობლემა და იმსჯელონ პრობლემის გადაჭრის გზებზე.

გაკვეთილი 4
რომელი სამსახური შემეფერება ?
რა კრიტერიუმებით ვირჩევ სამსახურს

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	გადაწყვეტილების კრიტერიუმთა იდენტიფიცირება, დაბალანსება და პრიორიტეტულის გამორჩევა.
სწავლის მიზანი	ძირითადი კრიტერიუმი სამუშაოს არჩევისას არის: „რომელი სამუშაო შეესაბამება ჩემს ინტერესებს და უნარებს.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები თანხმდებიან ან უარს ამბობენ შემოთავაზებულ სამუშაოზე და ასახელებენ საკუთარი გადაწყვეტილების მიზეზებს.
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 1.3. მასალა მასწავლებლებისთვის 1.2 (გამოჭერით მოსწავლეების რაოდენობაზე დაახლოვებით 10–ით მეტი ფურცელზე გამოსახული მართკუთხედი სამუშაოს წარწერით)
მეთოდი	დამოუკიდებელი სამუშაო მასწავლებლის მიერ დარიგებულ მასალაზე.. პლენარული განხილვა.
დროის ბიუჯეტი	1. მოსწავლეები თანხმდებიან ან უარს ამბობენ შემოთავაზებულ სამუშაოზე 20 წთ.
	2. მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ სამუშაოს არჩევის თავიანთ კრიტერიუმებს 20 წთ.

ინფორმაცია

1.3 გაკვეთილის მსვლელობისას, მოსწავლეებმა განიხილეს სამი ძირითადი საკითხი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს მათ მომავალ ცხოვრებაზე – ესენია: არჩევანი სამუშაოს, პარტნიორის და ოჯახის (მშობლობის) შესახებ. მოცემულ გაკვეთილზე მოსწავლეები უფრო ძირფესვიანად იკვლევენ იმ კრიტერიუმებს, რომელიც უკავშირდება ამ არჩევანთაგან ერთ–ერთს – სამუშაოს არჩევას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორ კრიტერიუმს: რომელი სამუშაო მაინტერესებს? რა სამუშაოს შესრულება შემიძლია?

ეს კითხვები რამდენადაც რელევანტურია, იმდენად რთულია მათზე პასუხის გაცემა, განსაკუთრებით მეორე კითხვაზე. აუცილებელია ვფლობდეთ კონკრეტულ ინფორმაციას; სპეციალისტის გამოცდილებაზე დაკვირვებით სამუშაოს შესწავლის შემოთავაზებული პროექტი მოსწავლეებს ამ სირთულის დაძლევაში დაეხმარება.

გაკვეთილის აღწერა

1. მოსწავლეები თანხმდებიან ან უარს ამბობენ შემოთავაზებულ სამუშაოზე

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას, ამახვილებს რა მათ ყურადღებას ფლიპჩარტზე, რომელზეც გამოსახულია სამკუთხედის ფორმის დიაგრამა სამი ძირითადი არჩევანით. წინა გაკვეთილზე მოსწავლეებმა განიხილეს ის სირთულეები, რომელიც უკავშირდება სამი ძირითადი არჩევანის გაკეთებას, სამუშაოს, პარტნიორისა და შვილების შესახებ.

მოცემულ გაკვეთილზე, მოსწავლეები კონცენტრირებას ახდენენ ამ სამი არჩევანიდან ერთ-ერთზე – მათ მომავალ სამუშაოზე.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ დასაწყისისთვის მათ უნდა წარმოიდგინონ, რომ აქვთ შემოთავაზება სამუშაოს თაობაზე. მასწავლებელი მათ ამ შემოთავაზებას ბარათზე დაწერილს აწვდის. მათ შეუძლიათ დათანხმდნენ შემოთავაზებულ სამუშაოს ან უარი თქვან მასზე.

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს მეთოდს – შრომის ბაზრის მარტივი სიმულაცია

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს მასალას მოსწავლეებისთვის 1.3 და სთხოვს მათ, შეავსონ პირველი ხაზი: აქვთ მათ უკვე შერჩეული მათთვის სასურველი სამუშაო? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მოსწავლეებს მოუწევთ მოიცადონ შემდეგ საფეხურზე გადასვლამდე.

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს წესებს. როდესაც მოსწავლეები მიიღებენ ბარათზე დაწერილ შემოთავაზებას სამუშაოს თაობაზე, ისინი იღებენ გადაწყვეტილებას, დათანხმდნენ ამ შემოთავაზებას თუ უარი თქვან მასზე. თავიანთი გადაწყვეტილების მიზეზები მათ გადააქვთ მათთვის დარიგებულ ფურცლებზე.

ამის შემდეგ მათ შეუძლიათ დაიწყონ სხვა სამუშაოს ძიება. მოსწავლეებს შეუძლიათ გაცვალონ ბარათები, ან მათი ბარათი მასწავლებლის მაგიდაზე განლაგებული ბარათებიდან ერთ–ერთით შეცვალონ. ისინი ჩანაწერს აკეთებენ ყველა შემოთავაზებულ სამუშაოზე, დათანხმების ან არდათანხმების მიზეზების მითითებით.

თუ ისინი აღმოაჩენენ სამუშაოს რომლის შესრულებასაც ისურვებდნენ, ბარათს იტოვებენ. ბარათის დაბრუნებისა და მისი ახალი ბარათით შეცვლაზე უარის შემთხვევაში ისინი უმუშევრებად მოიაზრებიან.

შრომის ბაზრის სიმულაციის დაწყებამდე, მოსწავლეებს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ არსებულ წესებსა და მათ ფუნქციებზე.

მასწავლებელი ყველა მოსწავლეს ურიგებს ბარათს. ბევრი მათგანი, ბარათის მიღებისთანავე, სავარაუდოდ, პროტესტს გამოთქვამს და ეცდება რაც შეიძლება სწრაფად მოიშოროს თავიდან შემოთავაზება ამა თუ იმ კონკრეტული სამუშაოს თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი ახსენებს მათ საკუთარ დავალებას, მათთვის დარიგებულ ფურცლებზე დაწერონ ის მიზეზები, რის გამოც უარს ამბობენ შემოთავაზებულ სამუშაოზე.

მოსწავლეები მონაწილეობენ შრომის ბაზრის სიმულაციაში – ვეძებთ სამუშაოს

მას შემდეგ რაც მოსწავლეებს ურიგდებათ ბარათები, სამუშაოს შემოთავაზებით, მასწავლებელი მათ მითითებებს აღარ აძლევს, აკვირდება, თუ რამდენი მოსწავლე თანხმდება შემოთავაზებას სამუშაოს თაობაზე და ახსენებს მოსწავლეებს გააკეთონ მოკლე ჩანაწერები

2. მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ სამუშაოს არჩევის საკუთარ კრიტერიუმებს

მოსწავლეები განსაზღვრავენ ძირითად კრიტერიუმებს, რომლითაც მათ ისარგებლეს სამუშაოს არჩევისას

მოსწავლეები სხდებიან წრიულად ან ერთმანეთის პირისპირ, რათა მათ შორის შედგეს კომუნიკაცია.

მასწავლებელი მოსწავლეებს თხოვს ხელის აწევით დაადასტურონ ვინ დათანხმდა შემოთავაზებულ სამუშაოს და ვინ არა.

შემდეგ საფეხურზე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს შექმნან ოთხიდან ექვს კაცამდე შემადგენლობის ჯგუფები და ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი კრიტერიუმები. მათ ამოცანას წარმოადგენს შექმნან ჩამონათვალი იმ კრიტერიუმებისა, რომელსაც ჯგუფის ყველა წევრი იზიარებს.

ხუთი წუთის შემდეგ, თითოეული ჯგუფის სპიკერი გამოდის სიტყვით და აყალიბებს ჯგუფის მიერ მიღებულ კრიტერიუმებს, ხოლო ჯგუფის მეორე წევრს დაფაზე ან ფლიპჩარტზე გადააქვს ეს შედეგები. კრიტერიუმები, რომლებიც მეორდება ჯგუფიდან ჯგუფში აღინიშნება, რათა ხაზი გაესვას მათ მნიშვნელობას. შედეგები შეიძლება შემდეგნაირად გამოიყურებოდეს:

რომელი სამუშაოა ჩემთვის შესაფერისი? სამუშაოს არჩევის კრიტერიუმები
პირადი ინტერესი
კვალიფიკაცია – სამუშაოს მოთხოვნები
კარგი შემოსავალი
სამუშაო საათები
მოქნილი სამუშაო საათები
გარანტირებული სამუშაო

მოსწავლეები განსაზღვრავენ სამუშაოს არჩევის ძირითად კრიტერიუმებს

თუ მოსწავლეთა ჯგუფების მიერ მოწოდებული სამუშაოს არჩევის ესა თუ ის კრიტერიუმი მეორდება, მოსწავლეები მსჯელობენ იმის თაობაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს კრიტერიუმები. ისინი საკუთარ მოსაზრებებს ერთმანეთს უზიარებენ და ასახელებენ მიზეზებს.

მეორე მხრივ, მოსწავლეებს აქვთ იმის თავისუფლება, საკუთარი, განსხვავებული მოსაზრება გააჩნდეთ და, აქედან გამომდინარე, არ არის აუცილებელი იყოს აბსოლუტური ერთსულოვნება. მაგალითად, მაღალი შემოსავალი, შეიძლება, ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იყოს ერთი მოსწავლისთვის, მაშინ, როცა მეორე – უპირატესობას ანიჭებდეს კვირის ბოლოს თავისუფალ დროსა და მოქნილ სამუშაო საათებს. თუმცა, არსებობს ერთი საკითხი, რაშიც მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა გაათვითცნობიეროს.

არავის არ სურს აღმოჩნდეს უმუშევარი, აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ გარანტირებული სამუშაო ხშირად არის უპირველესი პრიორიტეტი. თუმცა, ბიზნესის მომავლის წინასწარ განჭვრეტა რთულია და მოსწავლეები ნებისმიერ სფეროში წააწყდებიან კონკურენციასა და კონკურენტულ გარემოს. მოსწავლეებს შერჩეული უნდა ჰქონდეთ სამუშაო, ან სულ მცირე სამუშაოს კატეგორია („სამართლის სფერო“ – „მედიცინა“) მაინც, როდესაც სკოლას ამთავრებენ, და სათანადო განათლებისა და წვრთნის მიღების შემდეგ ამ სამუშაოს ძებნას უნდა მიჰყონ ხელი. დანამდვილებით ვერავინ განსაზღვრავს, ოთხ ან ხუთ წელიწადში როგორი იქნება მათი სამუშაო პერსპექტივა.

აქედან გამომდინარე მოსწავლეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ორ კრიტერიუმზე:

1. რა მაინტერესებს და რისი კეთება მომანიჭებს სიამოვნებას?

2. რისი კეთება შემიძლია კარგად? რა წარმოადგენს ჩემს ძლიერ მხარეს? კონკურენციის პირობებში, რითი შემიძლია თავის წარმოჩენა?

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დროს ამ კითხვებზე პასუხის მოსაფიქრებლად და ელოდება მათგან პასუხს.

მოსწავლეები კრიტერიუმების გამოყენების პრობლემაზე მსჯელობენ

ფიქრობენ რა იმაზე, თუ ეს ორი ძირითადი კრიტერიუმი როგორ მოარგონ სამუშაოს არჩევის პროცესს, მოსწავლეები, სავარაუდოდ დარწმუნდებიან, თუ რა სირთულეებთან არის ეს ყველაფერი დაკავშირებული. მოსწავლეებს უფრო უადვილდებათ ზემოთ მოცემული კითხვებიდან მეორეზე პასუხის გაცემა. თავიანთი მშობლების, მეგობრების და აგრეთვე მასწავლებლის დახმარებით, მათ შეუძლიათ გაარკვიონ საკუთარი კომპეტენციის პროფილი.

პირველი კითხვა უფრო მეტად პრობლემატურია, ვინაიდან, მოსწავლეებს სჭირდებათ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა მოთხოვნებს უყენებს მათ და რა პერსპექტივებს უკავშირდება ესა თუ ის სამუშაო. ეს ის საკითხებია, რომლებიც სცდება სკოლის კომპეტენციის ფარგლებს და სადაც მასწავლებელი ექსპერტის ფუნქციას ვერ შეასრულებს, აქედან გამომდინარე, მოსწავლეებმა ინფორმაცია ამის თაობაზე თავად უნდა მოიპოვონ. ამგვარად მოსწავლეებს არჩევანის თავისუფლებისა და ინდივიდუალობის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ეტაპის გავლა მოუწევთ.

ბევრ ქვეყანაში სკოლები მოსწავლეებს უზრუნველყოფენ პრაქტიკით, რომელიც სამუშაოს ადგილზე, სპეციალისტის გამოცდილებაზე დაკვირვებით შესწავლას გულისხმობს. შემოთავაზებული დამატებითი სამუშაო მისაღები იქნება როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მათი მშობლებისთვის, და ბიზნესის სფეროში დასაქმებული პირებისთვის.

დამატებითი სამუშაო: სამუშაოს შესწავლა სპეციალისტის საქმიანობაზე დაკვირვებით

პრობლემები, რომელსაც მოსწავლეები აწყდებიან და რაში გამოგვადგება სპეციალისტის საქმიანობაზე დაკვირვებით სამუშაოს შესწავლის პროექტი

მოსწავლეებს კარგად ესმით ის, თუ მათი მომავალი ცხოვრებისთვის რამდენად მნიშვნელოვანია შესაფერისი სამუშაოს არჩევა, შეიტყვეს, თუ რომელი კრიტერიუმებია მნიშვნელოვანი ამ არჩევანის გაკეთებისას, მაგრამ ისინი ასევე დარწმუნდნენ, რომ სანდო, უახლესი ინფორმაციის გარეშე, ვერ შეძლებენ გაარკვიონ, რომელი სამუშაოს მოთხოვნები შეესაბამება მათ მონაცემებს. სპეციალისტის საქმიანობაზე დაკვირვებით სამუშაოს შესწავლის პროექტი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს ამ ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით.

რაში მდგომარეობს მოსწავლეთა ამოცანა

მოსწავლეები სწავლობენ სამუშაოს, რომელიც მათი აზრით შეესაბამება მათ მიერ ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს. ისინი რამდენიმე სამუშაო დღეს ატარებენ სპეციალისტთან. აკვირდებიან მათ საქმიანობას, ეცნობიან, ვისთან უწევთ მათ თანამშრომლობა. კითხვარის დახმარებით (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 1.4) მოსწავლეები ინტერვიუს ართმევენ სპეციალისტს. შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, ისინი ასრულებენ მარტივ სამუშაოს, პირადი გამოცდილების მისაღებად (სტაჟიორის მსგავსად). სკოლის გაკვეთილებზე დასწრების ნაცვლად, ისინი სამუშაო საათებს ატარებენ სპეციალისტის გვერდით. მაგალითად, თუ ქირურგი ოპერაციას იწყებს დილის 6 საათზე, მოსწავლე, რომელმაც არჩევანი ქირურგის პროფესიაზე შეაჩერა, მის გვერდით უნდა იყოს საოპერაციოში (რათა დარწმუნდეს, რამდენად შეუძლია დაესწროს ოპერაციას).

მოსწავლეები კითხვარზე დაყრდნობით წერენ მოხსენებას. ეს მოხსენება მათ შეუძლიათ მასწავლებელს ჩააბარონ, შესაფასებლად, რაც ერთგვარად სტიმულს აძლევს მოსწავლეებს სათანადოდ შეასრულონ დავალება. მოსწავლეებმა ჩანაწერები თავიანთი მოხსენებისთვის ყოველდღიურად უნდა აწარმოონ და მოხსენება მთელი სამუშაო კვირის განმავლობაში დაწერონ, და არ გადადონ ეს ამოცანა კვირის ბოლოსთვის - ამგვარად ისინი სწავლობენ დროის ეფექტურად განაწილებას.

მოხსენებას უნდა ჰქონდეს სისტემატიური ანგარიშის ფორმა და არა დღიურის ჩანაწერებისა, რათა მოსწავლემ ყურადღება გაამახვილოს სამუშაოს არჩევის ძირითად კრიტერიუმებზე.

მოსწავლეებმა მათთვის სასურველი სამუშაოს სპეციალისტი თავად უნდა მოძებნონ, შესაძლოა მშობლების, ოჯახის წევრების და მათი მეგობრების დახმარებით. უმჯობესი იქნება, თუ ეს სპეციალისტი არ იქნება მათი მშობელი ან ნათესავი.

სკოლისა და მასწავლებლების მხარდაჭერა

მოსწავლე ასრულებს მნიშვნელოვან დავალებას და პასუხისმგებელია შედეგებზე. სკოლა აძლევს მას ამის შესაძლებლობას, ადგენს განრიგს და ჩარჩოებს, ზრუნავს პროექტის ლიცენზირებაზე და აგვარებს იურიდიულ საკითხებს (შესაბამისი სამინისტროს თანხმობა, დაზღვევა). პირველ ეტაპზე, სკოლა ასევე უკავშირდება მშობლებს, რომელთაც მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება უწევთ ამ პროექტში (იხ. ქვევით).

მოსწავლეს გადაეცემა ლიცენზიის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარადგინოს იმ სამუშაო ადგილზე, რომლის შესწავლასაც გეგმავს. პროექტის დასრულების შემდეგ, სკოლა მადლობის წერილებს უგზავნის ყველა დაწესებულებას, რომელმაც უმასპინძლა მის მოსწავლეებს.

შესაძლებლობის ფარგლებში, მასწავლებელს შეუძლია მოინახულოს მოსწავლე სამუშაო ადგილზე, პროექტის მიმდინარეობის პერიოდში. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, საჭიროების შემთხვევაში, ტელეფონით ნებისმიერ დროს დაუკავშირდნენ მასწავლებელს.

პროექტის შემდგომი სამუშაო

რეკომენდებულია მოსწავლეთა მოხსენებების შემოწმება, რათა მოსწავლეები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ სამუშაოს. მასწავლებელი განსაკუთრებული პატივისცემით უნდა მიუდგეს მოსწავლეთა მოხსენებებს, რადგან ეს მოხსენებები მათ პირად დოკუმენტებს წარმოადგენს. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პროექტის განმავლობაში და ინტერვიუს აღებისას იგი მოსწავლეების გვერდით არ იმყოფებოდა და ამ შემთხვევაში მოსწავლეები მეტად კომპეტენტურნი არიან ვიდრე მასწავლებელი. აქედან გამომდინარე მოხსენებათა შემოწმება უნდა ეყრდნობოდეს აზრის ნათლად ჩამოყალიბების, თანმიმდევრობის დაცვის, სრულყოფილად შესრულების შეფასებას. მოსწავლეთა თვალსაზრისით, მსგავსი ამოცანის შესრულებისას ისინი გაცილებით უფრო მეტს იღებენ ვიდრე ტესტირების დროს და მასწავლებელი უნდა შეეცადოს რაც შეიძლება მაღალი შეფასებები მისცეს მათ ნამუშევრებს.

მოსწავლეებს უნდა მიეცეთ ერთმანეთისთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარების საშუალება. ეს გაცილებით მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებით არის გათვალისწინებული. ძალიან ეფექტურია სკოლის ფარგლებში, სპეციალურად ამ პროექტისთვის მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება, რაც საინტერესო და სასარგებლო იქნება იმ მოსწავლეებისთვის და მათი მშობლებისთვის, რომლებსაც შემდგომ წელს მოუწევთ მსგავს პროექტში მონაწილეობის მიღება. კარგი იქნება თუ ღონისძიებაზე მოწვეული იქნებიან ამ პროექტში სკოლის პარტნიორი დაწესებულებისა და ადგილობრივი პრესის წარმომადგენლები.

მშობელთა მხარდაჭერა

პირველ რიგში, მშობელს შეუძლია დახმარება გაუწიოს მოსწავლეს საკუთარი მონაცემებისა და ინტერესის განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაში. მშობლები თავიანთ შვილებს დაბადებიდან იცნობენ და აქედან გამომდინარე სკოლის მასწავლებლებზე უკეთ იცნობენ მათ მონაცემებს. მშობლები უმეტეს შემთხვევაში მომხრე არიან ამგვარი პროექტებისა, ვინაიდან მზად არიან ნებისმიერი სახის დახმარება გაუწიონ საკუთარ შვილებს სამუშაოს მოძებნაში. გასაგები მიზეზების გამო, მშობლები ზედმეტად ამახვილებენ ყურადღებას გარანტირებულ სამუშაოზე. არაპროგნოზირებადი ეკონომიკის პირობებში, მშობლები არ გამოდგებიან მრჩეველებად თავიანთი შვილების კარიერის დაგეგმვის საკითხში.

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეს სამუშაოს ადგილზე შესწავლისთვის სპეციალისტის მოძებნაში

როგორც წესი, მოსწავლეებს, ამ პროექტში მონაწილეობისას, ევალებათ მოძებნონ სპეციალისტი, რომელიც მათ სამუშაოს ადგილზე შესწავლაში დაეხმარება. მათ მშობლებს, რიგ შემთხვევაში ნათესავებსა ან მეგობრებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიონ მოსწავლეს და დააკავშირონ საჭირო სპეციალისტთან. რაც არ უნდა რთული აღმოჩნდეს სპეციალისტის მოძიების პროცესი, მოსწავლე პირველივე შემოთავაზებს არ უნდა დათანხმდეს. ისინი რეალურ სამუშაო ადგილს კი არა, სპეციალისტს ეძებენ, რომელიც მათ დაეხმარება გაერკვიონ სამუშაოს სპეციფიკაში. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა ისეთი სპეციალისტის მოძებნა, რომელიც გარკვეულ სამუშაოს ასრულებს, მაგალითად, ახალი ამბების წამყვანი ტელეჟურნალისტის, მაშინ შესაძლებელია მოიძებნოს ალტერნატივა იგივე სამუშაო კატეგორიაში, მაგალითად, ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტი.

ადგილობრივი დაწესებულებების მხარდაჭერა

ნებისმიერი სპეციალისტისთვის, ერთი კვირის განმავლობაში პროექტში მონაწილე მოსწავლის მასპინძლობა გარკვეულ პასუხისმგებლობასა და მათი მხრიდან დიდ ძალისხმევას გულისხმობს. თუმცა, ბევრი დამქირავებელი დაინტერესებულია კვალიფიციური და კარგად ინფორმირებული კანდიდატების მოზიდვით და მათი თვალთახედვით, მსგავსი პროექტი მომავალი კადრების გამოცდისა და მათთვის სამუშაო ადგილის შეთავაზების შესაძლებლობაა.

მოსწავლეებს სჭირდებათ მენტორი ან ზედამხედველი. ეს ფუნქცია შეიძლება შეასრულოს იმ სპეციალისტმა, რომელთანაც მოსწავლე მუშაობს, ან სხვა კადრმა. მოსწავლეები ერთი კვირით თავისუფლდებიან სკოლის გაკვეთილებიდან, ასე რომ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას არ

იღებენ. პროექტში მონაწილეობისას, ისინი რეგულარულ სამუშაოს არ ასრულებენ, მათ საკუთარი განრიგი აქვთ, რის შესახებაც მითითებულია კითხვარში (მასალა მოსწავლეებისთვის 1.4)

რა გავლენას ახდენს პროექტში მონაწილეობა მოსწავლეების მომავალზე

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ პროექტში მონაწილეობა ბევრ მოსწავლეს ეხმარება უფრო სერიოზულად და ჩამოყალიბებულად მიუდგეს სკოლაში სწავლის ბოლო წლებს. ისინი მეტად ერკვევიან საკუთარ ინტერესებში, მეტ დაინტერესებას იჩენენ იმ გარკვეული საგნების მიმართ, რომელთა შესწავლაც მათ მომავალი კარიერის შექმნაში დაეხმარება. მოსწავლეებზე დიდი გავლენა აქვს იმას, თუ, მაგალითად, ვინმე –სკოლის ფარგლებს მიღმა – მათ მიუთითებს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მართლწერასა და კალიგრაფიას. და რაც ყველაზე მთავარია, თუ მოსწავლე აღმოაჩენს, რომ მას შეუძლია თავისუფლად გაართვას თავი დაკისრებულ მოვალეობებს პროფესიულ სფეროში, ეს მათი თვითშეფასების ამაღლებასა და თვითრწმენის გამტკიცებს უწყობს ხელს.

მოსწავლეთა უმეტესობა სკოლაში ბრუნდება გადაწყვეტილებით, იმის თაობაზე, თუ რა იქნება მათი მომავალი სამუშაო, მათ შეუძლიათ დაგეგმონ რა მიმართულებით გააგრძელებენ სწავლას სკოლის დამთავრების შემდგომ. მეორე მხრივ, თუ პროექტში მონაწილეობისას ისინი გადაწყვეტენ, რომ სხვა სამუშაო უნდა ეძებონ, ესეც თავისთავად წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან მოსწავლეები ილუზიებისგან თავისუფლდებიან და რეალურად უყენებენ საკუთარ თავს საკითხს, თუ სად სურთ მოღვაწეობა და რომელი სამუშაო შეესაბამება მათ მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს.

ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით:
დიდი ბრიტანეთი: www.prospects.ac.uk
ბადენ–ვურტემბერგი, გერმანია: www.schule-bw.de/schularten/gymnasium/bogy

მასალა მასწავლებლებისთვის 1.1: ციტატები არჩევანსა და ინდივიდუალობაზე

ჩვენ ცხოვრებაში გადადგმული ნაბიჯებითა და ჩვენს მიერ გაკეთებული არჩევანით ვქმნით იმ პიროვნებას, რომელსაც დღეს წარმოვადგენთ, და იმ სახეს, რომელსაც ვატარებთ. კენეტ პეტონი
გადაწყვეტილება არის რისკი, რომელსაც ფესვები თავისუფლად ყოფნის გამზედაობაში აქვს გამდგარი. პაულ ტილიჩი
ყველაფერი რასაც ამჟამად აკეთებ არის ის, რაც შენ აირჩიე გეკეთებინა. ზოგ ადამიანს არ უნდა, რომ ეს დაიჯეროს. მაგრამ თუ შენ 21 წლის ასაკს გადააბიჯე, შენი ცხოვრება სწორედ ისეთია, როგორიც შენ თავად შექმენი. შენი ცხოვრების შესაცვლელად შენი პრიორიტეტები უნდა შეცვალო. ჯონ მაქსველი
მე მჯერა, რომ ჩვენს არჩევანზე პასუხისმგებელი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ ვართ, და ჩვენ მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯის და ჩვენ მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვის შედეგი, როგორც ჩვენივე ფიქრის ყოველი ნაყოფი ჩვენვე უნდა ვიწვნიოთ. ელიზაბეტ კუბლერ როსი
რჩევისთვის მიმართეთ მამაკაცს, დახმარებისთვის – ქალს. მარგარეტ ტეტჩერი
თავისუფლება, ამ სიტყვის კონკრეტული გაგებით, მდგომარეობს არჩევანის გაკეთების უნარში. საიმონ უეილი
უდიდეს გონებას უდიდესი ზიანის და ამავდროულად უდიდესი სიკეთის მოტანა შეუძლია რენე დეკარტი
ის ძირითადი, რასაც ისტორია გვასწავლის არის, რომ ადამიანთა ქმედებებს თავისი შედეგები აქვთ და ჩვენ მიერ გაკეთებული არჩევანის შეცვლა შეუძლებელია. ისინი სხვა არჩევანის გაკეთების გზას გვიკეტავენ და ამით მომავალს განაპირობებენ. გერდა ლერნერი
ყველა ადამიანი ფლობს კარგსა და ცუდს შორის არჩევანის გაკეთების ძალას. ორიგენი
პიროვნება არ არის მზა მასალა, იგი მუდმივად განიცდის ფორმირებას არჩევანის საშუალებით. ჯონ დეუი
ქალმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ არავის შეუძლია მოგცეს ძალაუფლება, იგი თავად უნდა მოიპოვო. როზანა ბარი
ორი ცუდიდან არჩევანის გაკეთების დროს, მე ყოველთვის მირჩევნია გამოვცადო ის რაც ჯერ არ გამომიცდია. მეი უესტი
ქალები და კატები აკეთებენ იმას რაც სიამოვნებთ, კაცებს და ძაღლებს დასვენება სჭირდებათ და ამასთან შეგუება უწევთ. რობერტ ჰენლეინი
ინტუიციას წვრთნა სჭირდება – ყურადღებით უნდა მოუსმინო და მიენდო გულისხმას, რომელიც გკარნახობს რა თქვა და რა გადაწყვიტო. ინგრიდ ბერგმანი

ერთი გემი აღმოსავლეთით მიდის,
დასავლეთით აუღია გეზი მეორეს,
ქარი კი ერთი მიმართულებით ქრის.

ანძაზე აღმართული აფრებით,
და არა ქარის სურვილით განვსაზღვრავთ
საით მივდივართ დღეს.

დროის ტალღები ჰგავს
ზღვაზე მონაბერ ქარს,
ჩვენი ცხოვრების გზაზე.

არც ომსა და არც მშვიდობას,
არამედ ჩვენს ნებას მხოლოდ
მივყავართ ჩვენს მიზნამდე.

ელა ვილერ ვილკოქსი

მასალა მასწავლებლებისთვის 1.2: ბარათები, სამუშაო ადგილის მითითებით

✂

საჯარო მოხელე (ადგილობრივი მუნიციპალური ადმინისტრაცია)	სარეკლამო აგენტი	ვეტერინარი
არქიტექტორი	ფოტოგრაფი	დაწყებითი სკოლის მასწავლებელი
მექანიკოსი	წყალკანალის მენეჯერი	ბანკირი
საავადმყოფოს ექიმი	სწრაფი კვების ობიექტის მენეჯერი	ბიბლიოთეკარი
IT გაყიდვების მენეჯერი	პოლიციელი	სასამართლოს მოხელე
გიდი	მაღაზიის გამყიდველი	საავადმყოფოს ექთანი
ეკონომისტი	კარტოგრაფი	დალაქი
მოცეკვავე	გაზეთის კორესპონდენტი	წიგნით მოვაჭრე
მეტეოროლოგი	ფსიქოთერაპევტი	პილოტი
დამლაგებელი	ავტობუსის მძღოლი	ელექტრიკოსი

თავი 1.3 საბაზისო ინფორმაცია მასწავლებლებისთვის
ინდივიდუალობის კონსტრუქტივისტული ცნება

ინდივიდუალობის ცნებასთან კავშირში კონსტრუქტივიზმი გულისხმობს, რომ ჩვენ საკუთარ ინდივიდუალობას ჩვენ თავად ვაყალიბებთ ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და გაკეთებული არჩევანის საშუალებით. კონსტრუქტივიზმი ხაზს უსვამს პიროვნების აქტიურ როლს და სწავლის ელემენტების მნიშვნელობას. ცხოვრების მანძილზე ჩვენ ვუშვებთ შეცდომებს, გვიან ვაცნობიერებთ არასწორ არჩევანს. ჩვენ შეგვიძლია ზოგიერთი არჩევანის შეცვლა (დეკონსტრუირება) და მათი გამოსწორება, მაგრამ ზოგიერთი არჩევანი შეუქცევადია. დროს, სხვა რომ არაფერი, უკან ვეღარ დავაბრუნებთ. კონსტრუქტივიზმი არჩევანის გაკეთების დინამიკას აკავშირებს შედეგთან, ჩვენს ინდივიდუალობასთან, რომელიც გარკვეულწილად სტატიკური და სტაბილური ყალიბდება.



სახელმძღვანელოს მოცემულ თავში ყურადღება გამახვილებულია იმ აქტიურ როლზე, რომელსაც ჩვენ, ჩვენდათავად ვასრულებთ ჩვენი ინდივიდუალობის ჩამოყალიბებაში – და ერთმანეთის ინდივიდუალობის ჩამოყალიბებაში, სადაც ჩვენი როლი უფრო პასიურია. რა თქმა უნდა, ინდივიდუალობის ჩამოყალიბება გაცილებით უფრო რთული პროცესია და დამოკიდებულია ბევრ სხვა ფაქტორზე (ცვლადებზე), რომელიც განსაზღვრავს ან ზღუდავს ჩვენი საკუთარი ცხოვრებისა და ინდივიდუალობის ჩამოყალიბების შესაძლებლობებს. ამ ფაქტორებში იგულისხმება წარმოშობა, საზოგადოებრივი ფენა, სქესი, ეკონომიკური და კულტურული პირობები და ბუნებრივი გარემო.

არსებობს ორი ფაქტორი, რის გამოც ამ თავში, არჩევანით განპირობებული ინდივიდუალობის ჩამოყალიბებისადმი კონსტრუქტივისტულ მიდგომაზეა გამახვილებული ყურადღება. პირველი, ეს მიდგომა ინდივიდუალობას უკავშირებს ადამიანის უფლებებს. არჩევანის გაკეთება გულისხმობს მოქმედების თავისუფლებას. მეორე, მოსწავლეებისათვის ეს მიდგომა ყველაზე ადვილად აღსაქმელი და გასაგებია, ვინაიდან იგი ესადაგება მათ საკუთარ გამოცდილებას და იმ კითხვებს სცემს პასუხს, რომელსაც ისინი საკუთარ თავს უსვამენ.

არა მარტო ინდივიდუალობის ცნებაა გაცილებით უფრო რთული და კომპლექსური, ვიდრე მოცემული სახელმძღვანელო აღწერს მას, არამედ თვითონ არჩევანის ცნებაც. ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია სახელმძღვანელოს ამ თავში გამოყენებული დიდაქტიკური მიდგომა: მოსწავლეები აანალიზებენ კავშირს ორ რთულ, კომპლექსურ ცნებას შორის, მაგრამ არ ხდება ამ ცნებათაგან არც ერთის სრული ანალიზი.

თავი 2
პასუხისმგებლობა
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის

მონაწილეობა, პასუხისმგებლობის აღება
თავისუფლება გულისხმობს პასუხისმგებლობას

“Quidquid agis, prudenter agas, et respice finem.”

[რასაც უნდა აკეთებდე, იმოქმედე ფრთხილად და იფიქრე შედეგებზე]
ლათინური ანდაზა; წყარო უცნობია

2.1 მეგობრის დაკარგვის რისკი – თუ წესის დარღვევა?

დილემას ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით

2.2 და 2.3 რას გააკეთებდი?

ვიღებთ პასუხისმგებლობას საკუთარ გადაწყვეტილებებზე

2.4 რა არის ჩვენი საერთო ღირებულებები?

პიროვნების პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ საზოგადოებაში

თავი 2
პასუხისმგებლობა
მონაწილეობა, პასუხისმგებლობის აღება

წინასიტყვაობა მასწავლებლებისათვის

პასუხისმგებლობის აღება – ყოვლისმომცველი პერსპექტივა

ჩვენ მუდმივად ვიღებთ გადაწყვეტილებებს, როგორც მნიშვნელოვანს ასევე უმნიშვნელოს. რას მივირთმევთ დღეს საუზმეზე? მანქანით წავიდეთ თუ ავტობუსით? რომელ პარტიას მივცე ხმა? რა საქმიანობას მივყოფ ხელს სკოლის დამთავრების შემდეგ?

ყოველი გადაწყვეტილების მიღების დროს ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ერთ არჩევანს და უარს ვამბობთ სხვაზე. და მიუხედავად იმისა, ვათვითცნობიერებთ თუ არა ამას, ჩვენი გადაწყვეტილება გავლენას ახდენს სხვა ადამიანებზე. ნებისმიერი რამ, რაც არ უნდა გადავწყვიტოთ ან მოვიმოქმედოთ, ყოველთვის იქნება განსჯის საგანი, ვინაიდან არსებობს სხვა ალტერნატივა, რომელზეც შეიძლება არჩევანი შეგვეჩერებინა.

პასუხისმგებლობის აღება გულისხმობს, ამ ალტერნატივების და ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგთა გათვალისწინებას. ამ თვალსაზრისით, პასუხისმგებლობის აღება არის პერსპექტივა, რომელიც მოიცავს ზედმიწევნით ყველაფერს, რასაც ჩვენ ცხოვრებაში ვაკეთებთ – ჩვენ პირად ცხოვრებაში, ჩვენს ურთიერთობებში ოჯახთან, მეგობრებთან, კოლეგებთან და მთლიანად საზოგადოებასთან, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით.

პასუხისმგებლობის აღება – ადამიანის უფლება და გამოწვევა

გადაწყვეტილების მიღებისას ჩვენ ვსარგებლობთ ადამიანის უფლებით – იყოს თავისუფალი. თავისუფლება გულისხმობს პასუხისმგებლობას, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია და უნდა ავირჩიოთ, რომელი პრინციპებით გვინდა ვიხელმძღვანელოთ. თავისუფლება გულისხმობს, რომ ჩვენ მარტო, დამოუკიდებლად გვიწევს გადაწყვეტილების მიღება და, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობის აღება სირთულეებთან არის დაკავშირებული. არსებობს გარკვეული კომპეტენციები და უნარები, რომელიც გვეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში და რომელიც გამომუშავებას ექვემდებარება. მოცემული თავის მიზანს მოსწავლეებისთვის სწორედ ამ კომპეტენციების სწავლება და გამომუშავება წარმოადგენს.

მოსწავლეებს მოუწევთ ერთობლივად განიხილონ და ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი მოსაზრებები ისეთ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც რეალურ ცხოვრებაში მარტოს გვიწევს – სხვადასხვა სირთულის დილემიდან გამოსავლის ძიება, არჩევანის გაკეთება და პრიორიტეტების განსაზღვრა.

პასუხისმგებლობისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომა

ის, თუ როგორ უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა საუკეთესოდ ისწავლება და უფრო ადვილად გასაგები ხდება კონკრეტულ სიტუაციებში, რომელიც გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა დილემა – ვინაიდან იგი გადაწყვეტილების შედეგების ზედმიწევნით და გულისყურით განსჯას მოითხოვს.

ღია, სეკულარულ და პლურალისტულ საზოგადოებაში, ჩვენ ვერ უგულებელვყოფთ იმ ფაქტს, რომ არსებობს ღირებულებების ჩარჩო, რომელზეც საზოგადოების ყველა წევრი თანხმდება – ამგვარი

ჩარჩოს არსებობა მნიშვნელოვანია საზოგადოების სტაბილურობისთვის. ამრიგად ჩვენ მოლაპარაკების საფუძველზე უნდა შევთანხმდეთ პასუხისმგებლობის აღებისას რა წარმოადგენს ჩვენ საერთო ფასეულობებს.

პასუხისმგებლობის აღება გამოწვევა და სწავლის მუდმივი პროცესია; ამ თვალსაზრისით, მოცემულ თავში პასუხისმგებლობა განხილულია კონსტრუქტივისტული მიდგომით.

რა სირთულეებს შეიძლება წავაწყდეთ პასუხისმგებლობის შესახებ სწავლებისას და როგორ ავიცილოთ თავიდან ეს სირთულეები

პასუხისმგებლობის შესახებ სწავლებისას შეიძლება წავაწყდეთ ორი სახის სირთულეს – აბსტრაქტული მორალიზაცია და ინდოქტრინაცია.

მორალიზაცია გულისხმობს „კარგ მოქალაქეობაზე“ საუბარს, კონკრეტული საკითხის გათვალისწინების გარეშე. მოსწავლეები ეცნობიან იმას, რომ პასუხისმგებლობის აღება მხოლოდ მათ სურვილზეა დამოკიდებული. მათთვის არ არის ცნობილი, თუ რა სირთულეებს შეიძლება უკავშირდებოდეს პასუხისმგებლობა, და რამდენად მნიშვნელოვანია იმ მიზეზების ჩამოყალიბება და სხვებისთვის გაზიარება, რომელიც მათ არჩევანს უდევს საფუძვლად.

ინდოქტრინაციის სირთულეს აწყდება მასწავლებელი, რომელიც ცდილობს მოსწავლეებს თავს მოახვიოს გარკვეული ღირებულებები. მათი მხრიდან ასეთი მოქმედება დაუშვებელია, და რა ფასეულობებიც არ უნდა წამოაყენოს მან, მოსწავლეები შეეცდებიან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ისინი და გააბათილონ (მოახდინონ მათი დეკონსტრუირება).

ამ სირთულეების თავიდან ასაცილებლად, მოცემულ თავში ყურადღება გამახვილებულია ძირითად ამოცანაზე, რომელიც მოსწავლეებს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების საშუალებას აძლევს. მასწავლებელი მხოლოდ ხელმძღვანელობს და ეხმარება მათ.

მოსწავლეები განიხილავენ თუ როგორ გადაწყვიტონ დილემა. მაგალითები მოსწავლეთა ყოველდღიური ცხოვრებიდან არის აღებული და ამგვარად მოსწავლეები ექსპერტთა როლში გამოდიან.

მოსამზადებელი სამუშაო

რეკომენდებულია მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად იმუშაოს დასახულ ამოცანაზე (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 2.1 – 2.4 და მასალა მასწავლებლებისთვის 2.1 – 2.3). ამგვარად მასწავლებელი უკეთ გაერკვევა სწავლის შესაძლებლობებსა და იმ სირთულეებში, რომელსაც მისი მოსწავლეები შეიძლება წააწყდნენ. შედეგი, თავისთავად – გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ როგორ გადაიჭრას დილემა – რა თქმა უნდა არ არის „მართებული“ პასუხი, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოქმედებს სუბიექტური მიდგომა საკითხისადმი, რაც მოსწავლეებმა შეიძლება გაიზიარონ ან არ გაიზიარონ.

კომპეტენციების გამომუშავება: კავშირი სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა თავებთან

რას გვიჩვენებს ეს ცხრილი

წინამდებარე სახელმძღვანელოს სათაური, მონაწილეობა *დემოკრატიულ საზოგადოებაში,* გულისხმობს იმ კომპეტენციებს, რომელსაც აქტიური მოქალაქე უნდა ფლობდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში. მოცემული მატრიცა გვიჩვენებს სახელმძღვანელოში შესულ თავებს შორის სინერგიის ეფექტის პოტენციალს. მატრიცა გვიჩვენებს, რომელი კომპეტენციების განვითარება ხდება მეორე თავში (შეფერილი, ჰორიზონტალური მწკრივი ცხრილში). მუქი შტრიხებით შემოსაზღვრული ვერტიკალური სვეტი გვიჩვენებს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების კომპეტენციებს –მისი გამოყოფა ხდება, დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობასთან მჭიდრო კავშირის გამო. ჰორიზონტალური მწკრივები გვიჩვენებს სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა თავებთან კავშირს: რომელ კომპეტენციებს იძენს მოსწავლე, სახელმძღვანელოში მოცემულ ამ თავებში, რომელიც მათ მეორე თავში სჭირდებათ?

როგორ გამოვიყენოთ მატრიცა?

მასწავლებლებს მოცემული მატრიცის გამოყენება სხვადასხვა გზით შეუძლიათ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებს გაკვეთილის დასაგეგმად.

- ეს მატრიცა ეხმარება მასწავლებლებს, რომლებსაც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მცირე რაოდენობით გაკვეთილის ჩატარება უწევთ: მასწავლებელს საშუალება აქვს აარჩიოს ეს თავი და გამოტოვოს სხვა თავები, თუ მიიჩნევს, რომ მოსწავლეები გარკვეულწილად უკვე ფლობენ სხვა ძირითად კომპეტენციებს, მაგალითად მოცემულ თავში ასეთი კომპეტენციებია – ანალიზი, მედიის რეფლექსიური გამოყენება და პასუხისმგებლობა.

3. მოცემული მატრიცა ეხმარება მასწავლებელს დარწმუნდეს სინერგიის ეფექტში, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები ერთი და იგივე კომპეტენციას განმეორებით იძენენ, ერთმანეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა კონტექსტში. ამ შემთხვევაში, მასწავლებელი ირჩევს რამდენიმე თავს და კომბინირებულად აწვდის მათ მოსწავლეებს.

თავი	კომპეტენციის განვითარების განზომილებები			მიდგომები და ღირებულებები
	პოლიტიკური ანალიზი და შეფასება	მეთოდები და უნარები	პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება	
2. პასუხისმგებლობა	დილემის აღქმა გადაწყვეტილების შედეგების ანალიზი პრიორიტეტების განსაზღვრა და მიზეზების ჩამოყალიბება	ყურადღებით განხილვა და გაანალიზება გადაწყვეტილების მიზეზებისა და კრიტერიუმების გაზიარება	გადაწყვეტილების მიღება არასრულყოფილი ინფორმაციის საფუძველზე მარცხის რისკის გაცნობიერება	სხვადასხვა მიდგომის გამოყენება სხვათა ინტერესებისა და უფლებების აღიარება ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული საზოგადოება
1.ინდივიდუალობა	გააზრება იმისა, თუ რა გავლენას ახდენს ჩვენი არჩევანი სხვებზე			სხვადასხვა მიდგომის გამოყენება
4. კონფლიქტი	მდგრადი განვითარების პრობლემა	მოლაპარაკების სტრატეგიები	კონფლიქტის მოგვარება	
6. მთავრობა და პოლიტიკა	პოლიტიკა – პრობლემების გადაწყვეტისა და კონფლიქტების			

	მოგვარების პროცესი			
7. თანასწორობა	დემოკრატიის კულტურული განზომილების აღიარება		უმრავლესობისა და უმცირესობის უფლებათა დარეგულირება	ურთიერთაღიარება

თავი 2: მონაწილეობა, პასუხისმგებლობის აღება თავისუფლება გულისხმობს პასუხისმგებლობას

გაკვეთილის თემა	კომპეტენციის გამომუშავება/სწავლის მიზანი	მოსწავლის ამოცანა	მასალა და რესურსები	მეთოდი
გაკვეთილი 1 მეგობრის დაკარგვის რისკი თუ წესის დარღვევა?	პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების კომპეტენცია: არჩევანის გაკეთება და მიზეზების განსაზღვრა. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჩვენს მიერ ყოველდღიურად გაკეთებულ არჩევანზე. დილემის ცნება და პასუხისმგებლობა.	მოსწავლეები ფიქრობენ ყოველდღიურ დილემურ სიტუაციებში მათ მიერ გაკეთებულ არჩევანზე და ერთმანეთს უზიარებენ არჩევანის მიზეზებს.	მასალა მასწავლებლებისთვის 2.1 და 2.2. მასალა მოსწავლეებისათვის 2.1 და 2.2.	პლენარული განხილვა, ლექცია, ჯგუფური სამუშაო.
გაკვეთილი 2 და 3 რას მოიმოქმედებდი?	გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების კომპეტენცია: დილემიდან გამოსავლის ძიება. ჩვენ განსხვავებულ არჩევანს ვაკეთებთ, როცა დილემის წინაშე ვდგებით. ამგვარად ჩვენ ვსარგებლობთ ადამიანის უფლებით იყოს თავისუფალი.	მოსწავლეები განიხილავენ დილემის მაგალითებს და იხსენებენ საკუთარ გამოცდილებას.	მასალა მოსწავლეებისთვის 2.1 – 2.4. მასალა მასწავლებლებისთვის 2.2. ფლიპჩარტები და მარკერები.	ჯგუფური სამუშაო.
გაკვეთილი 2 და 3 რას მოიმოქმედებდი?	პასუხისმგებლობის აღება გულისხმობს დილემასთან გამკლავებას – ინფორმაციის შეგროვებას, შედეგების გათვალისწინებას, პრიორიტეტების განსაზღვრას, გადაწყვეტილების მიღებას.	მოსწავლეები განიხილავენ დილემის მაგალითებს და იხსენებენ საკუთარ გამოცდილებას.	მასალა მოსწავლეებისთვის 2.1 – 2.4. ფლიპჩარტი, მარკერები.	ჯგუფური სამუშაო.
გაკვეთილი 4 რა არის ჩვენი საერთო ღირებულებები?	მსჯელობა კრიტერიუმებსა და ღირებულებებზე. დემოკრატიული საზოგადოება ემყარება საერთო ღირებულებებს. ადამიანის უფლებები გვაწვდის ღირებულებათა იმ ჩამონათვალს, რომელზეც ჩვენ შეგვიძლია შევთანხმდეთ.	მოსწავლეები არჩევენ დილემის მაგალითს, თავიანთი გადაწყვეტილებების შესახებ აკეთებენ მოხსენებებს, ერთმანეთს ადარებენ და განიხილავენ საკუთარ პრიორიტეტებს.	მასალა მასწავლებლებისთვის 2.2 წინა გაკვეთილზე მომზადებული ფლიპჩარტი, მარკერები. მასალა მოსწავლეებისთვის 2.5; ან ფლიპჩარტზე დატანილი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.	გეგმის ერთობლივი შემუშავება. პრეზენტაციები. დისკუსია.

გაკვეთილი 1
წესის დარღვევა თუ მეგობრის დაკარგვის რისკი?
ყველგან დილემას ვაწყდებით

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების კომპეტენცია: არჩევანის გაკეთება და მიზეზების განსაზღვრა.
სწავლის მიზანი	ჩვენ პასუხს ვაგებთ ჩვენს მიერ ყოველდღიურად გაკეთებულ არჩევანზე. დილემის ცნება და პასუხისმგებლობა.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები ფიქრობენ ყოველდღიურ დილემურ სიტუაციებში მათ მიერ გაკეთებულ არჩევანზე და ერთმანეთს უზიარებენ არჩევანის მიზეზებს.
მასალა და რესურსები	მასალა მასწავლებლებისთვის 2.1 და 2.2. მასალა მოსწავლეებისათვის 2.1 და 2.2.
მეთოდი	პლენარული განხილვა, ლექცია, ჯგუფური სამუშაო.
დროის ბიუჯეტი	1. მოსწავლეები ცდილობენ თავი გაართვან ყოველდღიურ დილემებს. 10 წთ.
	2. მოსწავლეები ეცნობიან დილემის ანალიზის ხერხს. 20 წთ.
	3. მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გადაწყვეტილებებს სკოლის ტესტის მაგალითზე. 10 წთ.

ინფორმაცია

მოცემულ გაკვეთილში მოსწავლეები ეცნობიან, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელია პასუხისმგებლობის აღება. საცდელ ეტაპზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათ უწევთ პასუხისმგებლობის აღებაზე გადაწყვეტილების მიღება და ისინი ეცნობიან დილემის ცნებას.

ინდუქციური მიდგომით მასწავლებელი მთელ კლასს აქტიურად რთავს გაკვეთილის მსვლელობაში. რამდენიმე წუთში უკვე ყველა მოსწავლე ფიქრობს იმაზე, თუ როგორ გადაჭრას დილემა, რომელიც მათთვის კარგად არის ცნობილი, რადგან მაგალითი სკოლის ყოველდღიური ცხოვრებიდან არის აღებული.

პირველი გაკვეთილი ეძღვნება ძირითად თემას – დილემიდან გამოსავლის ძიებას, არჩევანის გაკეთებას და ამ არჩევანთან დაკავშირებული პრიორიტეტების განსაზღვრას. დამატებითი თემის შემოტანის ნაცვლად, შემდეგ გაკვეთილებზე უფრო ღრმად არის განხილული დილემის გადაჭრის თემა. ამ სახელმძღვანელოში მოცემული ყველა სხვა თავის მსგავსად, ეს თავიც კონკრეტული საკითხისადმი დიდაქტიკური მიდგომის პრინციპს ეფუძნება – „ვაკეთოთ ცოტა, მაგრამ ხარისხიანად“. მიზეზი იმისა, თუ რატომ ვირჩევთ ცოტას და ვტოვებთ ბევრს, ჩვენი გამოცდილებაა. ყველაზე შედეგიანია სწავლის პროცესის ინტენსიურობა და არა ექსტენსიურობა.

გაკვეთილის აღწერა

ეტაპი 1: მოსწავლეები ფიქრობენ ყოველდღიურ სიტუაციებში მათ მიერ გაკეთებულ არჩევანზე

მასალა მასწავლებლებისთვის 2.1

მასწავლებელი ამცნობს მოსწავლეებს, რომ ისინი ახალი თავის და შესაბამისად ახალი თემის განხილვას უნდა შეუდგნენ და უკითხავს მათ შემდეგ მაგალითს.

წარმოიდგინეთ, შემდეგი სიტუაცია. თქვენს კლასში ტარდება ტესტირება ისტორიაში. თქვენ კლასში ერთ–ერთი საუკეთესო მოსწავლე ხართ და თქვენც კი ეს ტესტი რთულად მიგაჩნიათ. უკანა მერხზე მჯდომი თქვენი მეგობარი გეხმიანებათ და გთხოვთ აჩვენოთ თქვენი პასუხები. თქვენ კარგად გესმით, რომ მსგავსი საქციელი ტესტის დროს იკრძალება და როგორც თქვენი მეგობარი, ასევე თქვენც მკაცრი სასჯელის მიღების საფრთხის წინაშე დგებით, იმ შემთხვევაში, თუ მეგობრის თხოვნას დააკმაყოფილებთ. რას მოიმოქმედებთ? მეგობრის დაკარგვას ამჯობინებთ, თუ წესის დარღვევას?

მასწავლებელი ამ კითხვას, რომელიც გაკვეთილის თემას უკავშირდება წერს დაფაზე ან ფლიპჩარტზე.

იგი მოსწავლეებს შეახსენებს, რომ მათი პასუხი ან დადებითი ან უარყოფითი უნდა იყოს – არ არსებობს ალტერნატიული ან შუალედური გამოსავალი, მოსწავლეებს ერთმანეთში აზრთა გაცვლა–გამოცვლის უფლება არა აქვთ. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს თხოვს ხელის აწევით დაადასტურონ თავიანთი გადაწყვეტილებები. მოსწავლეების პასუხები – რამდენი მათგანი ირჩევს მეგობრის დაკარგვის რისკს და რამდენი მათგანი წესის დარღვევას – მასწავლებელს გადააქვს დაფაზე ან ფლიპჩარტზე.

იმართება განხილვა. მოსწავლეები ასახელებენ საკუთარი არჩევანის მიზეზებს და რამდენიმე წუთის შემდეგ მასწავლებელს ამ განხილვის შედეგებიც დაფაზე გადააქვს. მოსალოდნელია, მოსწავლეებმა წამოაყენონ შემდეგი არგუმენტები:

მეგობრის დაკარგვას ამჯობინებთ, თუ წესის დარღვევას?	
დადებითი პასუხი (X რაოდენობა)	**უარყოფითი პასუხი (Y რაოდენობა)**
კარგი მეგობრები ყოველთვის ეხმარებიან ერთმანეთს. სხვა შემთხვევაში შეიძლება მისი დახმარება მე დამჭირდეს. ჩვენ ერთმანეთის დახმარება გვჭირდება. თუ ერთმანეთს არ დავეხმარეთ ეს სამყარო ცივი და მიუსაფარი იქნება, სადაც არავის ადარდებს სხვისი ბედი. ...	მისთვის, ვინც კანონმორჩილია წესის დარღვევა უსამართლობაა. წესის დარღვევით მე ჩემს საკუთარ თავს ვუქმნი საფრთხეს. მეგობარმა მსგავს რისკზე წასვლა არ უნდა მომთხოვოს. მეგობრის დაკარგვის საფრთხე იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ერთგული მეგობარი გყავს. შეიძლება აუხსნა მეგობარს, რატომ ვერ ეხმარები და ისიც გაგიგებს და პატივს სცემს შენს გადაწყვეტილებას. ...

ეტაპი 2: მოსწავლეები ეცნობიან დილემის ანალიზის საშუალებას

მასალა მოსწავლეებისთვის 2.1 და 2.2.

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს მასალა მოსწავლეებისთვის 2.1 და 2.2 და აცნობს მათ დილემის ცნებას (მასალა მოსწავლეებისთვის 2.1) მოკლე ლექციის საშუალებით. მოსწავლეების მიერ წამოყენებული არგუმენტები ერთგულების სხვადასხვა აღქმას გამოხატავს: ან ჩემი მეგობრის ერთგული ვრჩები და ნებისმიერი რისკის ფასად ვეხმარები მას, როცა იგი მთხოვს, ან წესების ერთგული ვრჩები, მეგობრის დაკარგვის რისკის ფასად, ვინაიდან სკოლის არსებული წესები ტესტის დროს ყველას თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს. მიზეზები, რომელიც მოსწავლეებმა დაასახელეს – ან, რომელსაც მოსალოდნელია რომ დაასახელებენ – უკავშირდება ღირებულებებს: როგორ ესმით მათ მეგობრობა, ერთგულება, დახმარებისათვის მზადყოფნა, სამართლიანობა, წესებისა და კანონებისადმი მორჩილება.

მოცემულ სიტუაციაში ისინი იძულებულნი არიან უღალატონ ორიდან ერთ ერთგულების პრინციპს და იმ ღირებულებებს, რომელიც მათ უდევს საფუძვლად – დგანან რა მეგობრის დაკარგვის და რეპუტაციის შელახვის რისკის წინაშე ან სასჯელის და ტესტში ცუდი შედეგის მიღების და იმ წესის დარღვევის რისკის წინაშე, რომელსაც ისინი რეალურად ემხრობიან. ამ ტიპის სიტუაციას, როდესაც ნებისმიერი შენი არჩევანი მხოლოდ ზიანს მოიტანს და საიდანაც არ არსებობს კარგი გამოსავალი, დილემა ეწოდება. მოყვანილი მაგალითი ტიპური დილემაა:

- კომპრომისი შეუძლებელია. უნდა განსაზღვრო რა არის შენთვის პრიორიტეტული.
- დროში იმდენად ხარ შეზღუდული, რომ უნდა მიიღო მყისიერი გადაწყვეტილება, რაც ამ გადაწყვეტილების შედეგებზე დაფიქრების საშუალებას გართმევს.
- შენს გადაწყვეტილებას ვერ შეცვლი მოგვიანებით, ასე რომ მისი შედეგები შეუქცევადია.
- შენ იღებ გადაწყვეტილებას – შენც და სხვებსაც მოგიწევთ შემდგომ შედეგებთან გამკლავება.

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, სწორედ ისე, როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების დროს, ჩვენ მუდმივად ვდგევართ დილემის წინაშე. მსგავსი დილემების მოგვარება ძნელია წამოჭრილი საკითხის სირთულისა და დროის სიმცირის გამო.

თუმცა დილემის გადაჭრა და პასუხისმგებლობის აღება, გარკვეულწილად, უნარის ფლობას მოითხოვს, რომელიც გამომუშავებას ექვემდებარება. უნარის გამომუშავებას რამდენიმე გაკვეთილი ეძღვნება, სადაც მოსწავლეები განიხილავენ დილემის მაგალითებს ყოველდღიური ცხოვრებიდან, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაჭრას საჭიროებენ.

მასალა მოსწავლეებისთვის 2.2 მოსწავლეებს აწვდის იმ საშუალებებს, რომელიც მათ დილემასთან გამკლავებაში დაეხმარება. მოსწავლეებს ეძლევათ დავალება: ეს საშუალებები მიუსადაგონ სკოლის ტესტის მაგალითს. მოსწავლეებს ეძლევათ დაახლოებით 5–10 წუთი, რათა აირჩიონ ერთიდან სამ კითხვამდე, რომელიც მათი აზრით რელევანტური და სასარგებლოა და კარგად გააანალიზონ ეს კითხვები. მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება და პლენარულ რაუნდზე ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი მიზეზები. მოსწავლეები მუშაობენ სამ ან ოთხკაციან ჯგუფებად.

ეტაპი 3: მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გადაწყვეტილებებს სკოლის ტესტის მაგალითის თაობაზე

დასკვნით პლენარულ რაუნდზე, თითოეული ჯგუფის სპიკერი წარმოადგენს მისი ჯგუფის გადაწყვეტილებას და საუბრობს იმ პრიორიტეტებზე, რომელმაც მისი ჯგუფი ამ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა. მასწავლებელი თავმჯდომარეობს სხდომას და ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეების მიერ შერჩეულ კითხვებსა და კრიტერიუმებზე.

გაკვეთილის დასასრულს, მასწავლებელი საუბრობს ამ კრიტერიუმებზე, რითაც მოსწავლეებს უყალიბდებათ წარმოდგენა, თუ რომელ პრიორიტეტებს იზიარებენ ისინი და რა განსხვავებული პრიორიტეტები აქვთ. აანალიზებენ რა იმ პრიორიტეტებს, რომლებმაც ისინი საკუთარ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა, მოსწავლეები იღებენ პასუხისმგებლობას.

გაკვეთილი 2 და 3
რას გააკეთებდი?
ჩვენ პასუხისმგებლობას ვიღებთ საკუთარ გადაწყვეტილებებზე

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების კომპეტენცია: დილემიდან გამოსავლის ძიება.
სწავლის მიზანი	ჩვენ განსხვავებულ არჩევანს ვაკეთებთ როცა დილემის წინაშე ვდგებით. ამგვარად ჩვენ ვსარგებლობთ ადამიანის უფლებით იყოს თავისუფალი. პასუხისმგებლობის აღება გულისხმობს დილემასთან გამკლავებას – ინფორმაციის შეგროვებას, შედეგების გათვალისწინებას, პრიორიტეტების განსაზღვრას, გადაწყვეტილების მიღებას.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები განიხილავენ დილემის მაგალითებს და იხსენებენ საკუთარ გამოცდილებას.
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 2.1 – 2.4. მასალა მასწავლებლებისთვის 2.2. ფლიპჩარტები და მარკერები.
მეთოდი	ჯგუფური სამუშაო.
დროის ბიუჯეტი	1. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ძირითად ამოცანას. 10 წთ. 2 ძირითადი ამოცანა: მოსწავლეები განიხილავენ დილემას. 70 წთ.

ინფორმაცია

სამოქალაქო, დემოკრატიულ საზოგადოებაში პასუხისმგებლობის აღებას კონსტრუქტივისტული განზომილება გააჩნია: ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორ ავიღოთ პასუხისმგებლობა მოცემულ სიტუაციაში. დილემურ სიტუაციაში პასუხისმგებლობის აღება, რაც ხშირად შეზღუდულ დროში ხდება, რთულია, მაგრამ საჭირო უნარის გამომუშავება შესაძლებელია.

მოცემული თავის ძირითადი ამოცანა ამ მიზანს ემსახურება. მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ და განიხილავენ არსებულ დილემურ სიტუაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს და საკუთარ პრიორიტეტებს. პასუხისმგებლობის აღება კონკრეტული საკითხია და, აქედან გამომდინარე, მოსწავლეებს ეძლევათ დილემური სიტუაციის ოთხი მაგალითი, რომლებიც შინაარსით ერთმანეთისგან განსხვავებულია (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 2.3): პასუხისმგებლობის აღება იმაზე, რაზეც სხვას უნდა ეზრუნა, მასწავლებლისადმი ან მეგობრისადმი ერთგულების დარღვევის აუცილებლობა, მეგობრისადმი ერთგულების ან კანონმორჩილების დარღვევა, გადაწყვეტილება იმის თაობაზე, დაუჭირო თუ არა მხარი პროექტს, რომლის შესახებაც არ ფლობ სრულ ინფორმაციას.

მოსწავლეები ამზადებენ პრეზენტაციებს საკუთარ არჩევანზე, სადაც მათ ყურადღება უნდა გაამახვილონ არჩევანის გაკეთების მიზეზებზე (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 2.4). მოსწავლეთა პრეზენტაციების ხელშესაწყობად მასწავლებელს ფლიპჩარტზე გადააქვს მოსწავლეებისათვის

დარიგებული მასალის შეცვლილი ვერსია (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 2.2).

დამატებითი, პროექტის ტიპის დავალება მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, შეაფასოს მოსწავლეების მიერ კომპეტენციის დაუფლების დონე (იხ. ქვემოთ მოცემული ეტაპი 3).

გაკვეთილის აღწერა

1. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს მოცემული თავის ძირითად ამოცანას

მოცემული დავალების მიზანს წარმოადგენს დილემის გადაჭრის გზების და სათანადო კრიტერიუმების ანალიზი. რეალურ ცხოვრებაში, ჩვენ ამ გადაწყვეტილებების მიღება წამებში გვიწევს და თუ სურვილის შემთხვევაში, მათი გამოსწორების საშუალება არ მოგვეცა, ამან მომავალში შესაძლოა ჩვენში სინანული გამოიწვიოს. პოლიტიკაშიც გადაწყვეტილების მიღების პროცესი ხშირად უკავშირდება დილემას - სადაც მიზნები წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან.

მოცემული დავალების შესრულებისას, მოსწავლეებს შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღების ეს რთული პროცესი ნელი ტემპით შეისწავლონ და გააანალიზონ ის პასუხისმგებლობა, რომელის აღებაც მათ უწევთ დილემურ სიტუაციაში, ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების დროს.

მოსწავლეებმა თავიანთი გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზები მათთვის დარიგებულ ფურცლებზე (მასალა მოსწავლეებისთვის 2.4) უნდა დააფიქსირონ. თუ ჯგუფური მუშაობის დროს ისინი ვერ შეძლებენ ერთ კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე მისვლას, ფურცლებზე უნდა დაიტანონ ორივე გადაწყვეტილება შესაბამისი დასაბუთებით.

მოსწავლეები ქმნიან ოთხ–ექვსკაციან ჯგუფებს. ისინი ირჩევენ ჯგუფის მენეჯერს, პირს, რომელიც პრეზენტაციაზეა პასუხისმგებელი და საქმის მწარმოებელს, რომელიც პრეზენტაციის დროს დახმარებას უწევს თავის ჯგუფს. მოსწავლეები განიხილავენ დილემური სიტუაციის ოთხ მაგალითს, რომლებიც მათთვის დარიგებულ ფურცლებზეა მოცემული (მასალა მოსწავლეებისთვის 2.3) და ირჩევენ კითხვებსა და კრიტერიუმებს მასლა მოსწავლეებისთვის 2.2 – ში მოცემული ჩამონათვალიდან. მოსწავლეებს შეუძლიათ განიხილონ სხვა დილემური სიტუაციების მაგალითები საკუთარი გამოცდილებიდან და პოლიტიკიდან.

2. ძირითადი ამოცანა: მოსწავლეები განიხილავენ დილემას

მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში. ისინი სრულიად არიან პასუხისმგებელი საკუთარ სამუშაოზე, მათ შორის შესვენებების გამოცხადებაზე, საშინაო დავალებაზე, მასალის მოძიებაზე და ა.შ.

3. მასწავლებლის მოვალეობა

მასწავლებელი თვალყურს ადევნებს მოსწავლეების მუშაობის პროცესს. ამ პროცესზე დაკვირვებით მასწავლებელს საშუალება ეძლევა შეაფასოს მოსწავლეთა კომპეტენციის განვითარების დონე – თანამშრომლობა და გუნდური სამუშაო, დროის მენეჯმენტი, დილემის აღქმა, გაანალიზების, საკითხის ჩაწვდომის, მსჯელობისა და განსჯის კომპეტენცია.

მასწავლებელი არ ერევა მოსწავლეების მუშაობაში და არ ეხმარება მათ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოსწავლეები თავად არ მიმართავენ მას დახმარების თხოვნით; ამ შემთხვევაში მასწავლებელი მათ არ აწვდის პასუხს, არამედ ეხმარება მათ თავად იპოვონ პასუხი მოცემულ კითხვაზე.

მზადება მეოთხე გაკვეთილისთვის:

- მასწავლებელი ამზადებს ექვს საპრეზენტაციო ცხრილს (იხ. მასალა მასწავლებლებისთვის 2.2). ყოველი ცხრილი დატანილია ფლიპჩარტზე გასაკრავად გამიზნულ ცალკე ფურცელზე. ამ ფურცელთაგან ოთხზე, მასწავლებელს დააქვს სახელმძღვანელოში მოცემულ დილემურ სიტუაციათა მაგალითების სათაურები და არჩევანის ალტერნატივები.
- მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეების მუშაობის პროცესს და ეკითხება მათ, თუ როგორ ართმევენ თავს დაკისრებულ ამოცანას. თუ მოსწავლეები პასუხობენ რომ ამოცანა მათთვის რთულია ან ისინი გამოსავალს ვერ პოულობენ, ამ პრობლემაზე მასწავლებელმა უნდა ისაუბროს მეოთხე გაკვეთილის მესამე ეტაპზე.

გაკვეთილი 4
რა არის ჩვენი საერთო ღირებულებები?
პიროვნების პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ საზოგადოებაში

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	მსჯელობა კრიტერიუმებსა და ღირებულებებზე.
სწავლის მიზანი	დემოკრატიული საზოგადოება ემყარება საერთო ღირებულებებს. ადამიანის უფლებები გვაწვდის ღირებულებათა იმ ჩამონათვალს, რომელზეც ჩვენ შეგვიძლია შევთანხმდეთ.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები არჩევენ დილემის მაგალითს, თავიანთი გადაწყვეტილებების შესახებ აკეთებენ მოხსენებებს, ერთმანეთს ადარებენ და განიხილავენ საკუთარ პრიორიტეტებს.
მასალა და რესურსები	მასალა მასწავლებლებისთვის 2.2 წინა გაკვეთილზე მომზადებული ფლიპჩარტი, მარკერები. მასალა მოსწავლეებისთვის 2.5; ან ფლიპჩარტზე დატანილი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.
მეთოდი	გეგმის ერთობლივი შემუშავება, პრეზენტაციები, დისკუსია.
დროის ბიუჯეტი	1. გეგმის ერთობლივი შემუშავება. 10 წთ 2. პრეზენტაციები და დისკუსია. 15 წთ. 3. განვლილი თავის განხილვა. 15 წთ.

ინფორმაცია

ძირითადი დავალების შესრულების დროს მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა წამოეჭრათ მრავალი საკითხი. შესაძლებელია, რომ ყველა წამოჭრილი საკითხის სრულყოფილი განხილვა ვერ მოესწროს ერთ გაკვეთილზე. აქედან გამომდინარე, საჭიროა შეირჩეს განსახილველი საკითხები. მოსწავლეებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ საკითხების შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, ვინაიდან წამოჭრილი პრობლემები მათ ისევე ეხებათ, როგორც მასწავლებელს და ისინი ისევე არიან პასუხისმგებელი, როგორც მასწავლებელი. განსახილველი საკითხების შერჩევას, უმჯობესია, დიდი დრო არ დაეთმოს, რათა დრო საკმარისი დარჩეს შერჩეული საკითხების განხილვისთვის.

თუმცა თუ მოსწავლეებს არ სურთ მათ მიერ შესრულებული სამუშაოდან რაიმე საკითხის განხილვა, მათი ნება უნდა იქნეს გათვალისწინებული. თავიდან რომ ავიცილოთ მოსწავლეების იმედგაცრუება, საჭიროა მათ კარგად ავუხსნათ, რომ რამდენიმე საკითხის ძირფესვიანად განხილვით ისინი გაცილებით მეტ ცოდნას მიიღებენ, ვიდრე ყველა მათ მიერ წამოჭრილი საკითხის მოკლე მიმოხილვით. მოსწავლეებმა უნდა გადაჭრან დილემა, ვინაიდან დრო, ისევე როგორც საზოგადოების ყურადღება, მწირი რესურსია – არა მარტო გაკვეთილზე, არამედ საზოგადოებრივ რეალობაშიც. ცენზურა და დღის წესრიგის განსაზღვრა აუცილებლობას წარმოადგენს ისევე, როგორც ძალაუფლებით სარგებლობის დემონსტრირება (ამ საკითხის სრულყოფილი განხილვა შეგიძლიათ

იხილოთ მოცემული სახელმძღვანელოს მეცხრე თავში).

ეს საუკეთესო შესაძლებლობაა იმისა, რომ მოსწავლეები პრაქტიკულად გაეცნონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ელემენტებს. რაც უფრო სწრაფად გაართმევენ მოსწავლეები თავს განსახილველი საკითხების შერჩევის ამოცანას, მით უკეთესი, მაგრამ არც ერთმა მოსწავლემ არ უნდა იგრძნოს, რომ მისი არჩევანი დაკმაყოფილებული არ არის. მოსწავლეებმა უნდა გამონახონ ოქროს შუალედი მონაწილეობის ეფექტურობასა და სამართლიანობას შორის. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს უმრავლესობა (კენჭისყრის დროს უმცირესობის პრობლემასთან დაკავშირებით იხ. თავი 8).

გაკვეთილის ბოლო ეტაპზე, ჩვენ გთავაზობთ, ყურადღება გაამახვილოთ ორიდან ერთ–ერთ იმ ძირითად საკითხზე, რომელსაც ყოველთვის გულისხმობს ღია საზოგადოებაში პასუხისმგებლობის აღება: კომპლექსურობისა და სტაბილურობის დილემები (იხ. მასალა მასწავლებლებისთვის 2.3, ლექციის მოდული 2 და 3).

კომპლექსურობის დილემა უკავშირდება იმ გამოცდილებას, რომ პასუხისმგებლობის აღება რთული ამოცანაა და უფრო და უფრო რთულდება, რაც უფრო კომპლექსური ხდება ის სოციალური სისტემა, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები გააჟღერებენ ამ გამოცდილებას, მასწავლებელმა მათთან ერთად უნდა განიხილოს ეს საკითხი. მოსწავლეებს, შესაძლოა, დასჭირდეთ მასწავლებლის გამხნევება, რათა შეცდომის დაშვების რისკზე წავიდნენ, ნაცვლად იმისა, რომ თავი შეიკავონ გადაწყვეტილების მიღებისგან.

სტაბილურობის დილემა, მეორე მხრივ, უკავშირდება იმ გამოცდილებას, რომ ჩვენ, უმეტესწილად, ჩვენს თავთან მარტო ვრჩებით, როდესაც ვიღებთ გადაწყვეტილებებს, და ვერ უგულებელვყოფთ იმას, რომ ყველა ჩვენგანს საერთო ღირებულებები გვაქვს. რამდენად არის საჭირო მსჯელობა ამის თაობაზე და როგორ ვაწარმოოთ იგი? ადამიანის უფლებები გვთავაზობს ღირებულებათა მთელ სისტემას, რომლის პრინციპსაც ადამიანის ღირსების პატივისცემა წარმოადგენს და რომელიც მისაღებია ყველა ძირითადი რელიგიისთვის. აქედან გამომდინარე, მოცემული გაკვეთილი მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების თვალსაზრისით.

გაკვეთილის აღწერა

მზადება გაკვეთილისთვის

გაკვეთილის დაწყებამდე მასწავლებელი საკლასო ოთახში გამოფენს მოსწავლეთა პრეზენტაციებისთვის განკუთვნილ ცხრილებს.

ეტაპი 1: გეგმის ერთობლივი შემუშავება

გაკვეთილის პირველ ეტაპს მასწავლებელი წარმართავს. იგი რიგრიგობით მიდის ოთხ ფლიპჩარტთან, რომლებზეც დილემის მაგალითთა სათაურებია დატანილი, მოსწავლეების ყურადღებას მიაპყრობს ორ შესაძლო არჩევანს და მოსწავლეები ხელის აწევით ადასტურებენ, რომელ არჩევანს აძლევენ ისინი უპირატესობას. მასწავლებელს კენჭისყრის შედეგები გადააქვს ფლიპჩარტზე.

მოსწავლეთა ჯგუფები, რომლებმაც საკუთარი გამოცდილებიდან განიხილეს დილემური სიტუაციები, მოკლედ აცნობენ კლასს დილემის შინაარსსა და ჯგუფის მიერ არჩეულ დილემის გადაჭრის გზას და კლასის თვალსაჩინოებისთვის გამოფენენ საკუთარ ფლიპჩარტს.

მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მოსწავლეებს არ ექნებათ დრო იმისათვის, რომ დეტალურად განიხილონ საკუთარი არჩევანი თითოეული შემთხვევისთვის და ამიტომ მათ ხელის აწევით უნდა დაადასტურონ, რომელი შემთხვევის განხილვა სურთ. მოსწავლეთა მხრიდან თანხმობის შემთხვევაში, ამ პროცედურულ საკითხზე შემდგომი მსჯელობა არ იმართება.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს შორის აზრთა უთანხმოება წამოიჭრება იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი შემთხვევა უნდა იყოს შერჩეული განსახილველად, მასწავლებელს შეუძლია მათ შესთავაზოს საკუთარი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რომელი შემთხვევის განხილვა იქნება უმჯობესი. ამ შემთხვევაში უნდა ვისარგებლოთ შემდეგი კრიტერიუმებით:

- არჩევანს ვაჩერებთ იმ დილემაზე, რომელიც მოსწავლეების განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა;

- არჩევანს ვაჩერებთ იმ დილემაზე, რომელზეც მოსწავლეებმა ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღეს –მოსწავლეებს გააჩნიათ საერთო ღირებულებები და პრინციპები.

- არჩევანს ვაჩერებთ იმ დილემაზე, რომელიც მოსწავლეებისთვის დავის საგანს წარმოადგენს – შეუძლიათ მოსწავლეებს შეთანხმდნენ გარკვეულ ღირებულებებსა და პრინციპებზე?

- არჩევანს ვაჩერებთ მოსწავლეების მიერ შემოთავაზებულ დილემაზე, რომელიც მათ საკუთარი გამოცდილებიდან აიღეს.

ის, თუ ზემოთ მოცემული კრიტერიუმიდან რომელით უნდა ისარგებლოს მასწავლებელმა, დამოკიდებულია ფლიპჩარტებზე დატანილ მასალაზე.

ეტაპი 2: პრეზენტაცია და დისკუსია

მოსწავლე, რომელსაც პრეზენტაციის გაკეთება ევალება, გამოდის კლასის წინაშე და აყალიბებს, თუ რა უდევს საფუძვლად მისი ჯგუფის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ჯგუფის მეორე წევრი ეხმარება მას და პრეზენტაციის შესახებ მოკლე ჩანაწერებს აკეთებს ფლიპჩარტზე.

მოსწავლეები, მასწავლებლის დახმარებით, ერთმანეთს ადარებენ მათ მიერ შერჩეულ კრიტერიუმებს და განიხილავენ საკუთარ არჩევანს. მასწავლებელი უძღვება დისკუსიას.

დისკუსიის შედეგების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. მოსწავლეები შეიძლება შეთანხმდნენ ან ვერ შეთანხმდნენ მოცემულ სიტუაციაში პასუხისმგებლობის აღების პრინციპებზე. ფლიპჩარტის შუა მესამედი შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისკუსიის შედეგების შესახებ ჩანაწერების გასაკეთებლად.

ეტაპი 3: ანალიზი

მასწავლებელი ქვემოთ მოცემული საკითხებიდან ირჩევს ერთ-ერთს. მასწავლებლის არჩევანს განაპირობებს მოსწავლეების დისკუსიაზე დაკვირვება და მათ მიერ გაკვეთილის ძირითადი ამოცანის შესრულებისას წამოჭრილი საკითხები. ამ კონკრეტული არჩევანის განხილვა მოსწავლეებთან ერთად არ არის რეკომენდებული, ვინაიდან მასწავლებელს მოუწევს მოსწავლეებისთვის ახსნა–განმარტებების მიწოდება ვრცელი ლექციის სახით.

არჩევანი 1: კომპლექსურობის დილემა:
მოსწავლეები აანალიზებენ იმ სირთულეებს, რომელიც პასუხისმგებლობის აღებას უკავშირდება

პლენარული სესია იწყება მოსწავლეების მიერ იმის განხილვით, თუ დისკუსიის დროს რომელი ეტაპი იყო უმტკივნეულო და რომელი იყო დაკავშირებული სირთულეებთან.

სავარაუდოდ, მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ პასუხისმგებლობის აღება მსგავს სიტუაციებში არის რთული და დიდ დროს მოითხოვს. ხშირად შეუძლებელია იმ შედეგების გათვალისწინება, რაც ჩვენს არჩევანს მოყვება, გვიხდება „*respice finem*“ – „იფიქრე შედეგებზე“ პრინციპის უგულებელყოფა.

მასწავლებლის პასუხი არის ის, რომ მოსწავლეთა არგუმენტი აბსოლუტურად გამართლებულია, მაგრამ როგორია ალტერნატივა? არ მივიღოთ გადაწყვეტილება და არ ავიღოთ პასუხისმგებლობა? მოვითხოვოთ სრულყოფილი ინფორმაცია და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილება?

რა თქმა უნდა, ცხოვრება გრძელდება და ჩვენ მრავალჯერ აღმოვჩნდებით მცდარი გადაწყვეტილების გაკეთების რისკის წინაშე. მაგრამ მსგავს შემთხვევებთან გამკლავება გაცილებით ადვილდება, როცა ვიცით, თუ რა რისკთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ჩვენი შეცდომა და რა გამოწვევებს გვთავაზობს თანამედროვე კომპლექსური საზოგადოება (იხ. მასალა მასწავლებლებისთვის 2.3, ლექციის მოდული 2). სწორედ ამ თვალსაზრისით არის ფრიად მნიშვნელოვანი ამ თავში შემოთავაზებული სწავლება და ტრენინგი.

არჩევანი 2: სტაბილურობის დილემა:
მოსწავლეები აანალიზებენ საკუთარ გამოცდილებებს ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით

მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს იმ ღირებულებებსა და პრიორიტეტებზე, რომლებზეც მოსწავლეები შეთანხმდნენ, ან ვერ შეთანხმდნენ გამართული დისკუსიის დროს და რომელმაც წამოჭრა შემდეგი კითხვა:

⇨ რა არის ჩვენი საერთო ღირებულებები?

სწორედ ეს წარმოადგენს გაკვეთილის თემას; მასწავლებელი ამ კითხვას წერს დაფაზე, სათაურის სახით ფლიპჩარტების ზემოთ; შესაძლოა ფურცელზე დატანილი ეს კითხვა გაიკრას კედელზე.

მოსწავლეები თვალს გადაავლებენ გამართულ დისკუსიას, იმის მიხედვით თუ რა არის დატანილი ფლიპჩარტებზე.

ამის შემდეგ ჩნდება შემდეგი კითხვები:

⇨ რომელ ღირებულებებზე ვერ მივაღწიეთ თანხმობას? არის ეს ღირებულებები ურთიერთგამომრიცხავი?

⇨ რომელ ღირებულებებზე უნდა იყოს მიღწეული თანხმობა?

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ეს კითხვა: ჩვენ პასუხისმგებლობის აღების დროს ერთმანეთზე ვართ დამოკიდებული. რითი შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ მსგავს სიტუაციებში?

მოსწავლეებმა იციან, ან ხვდებიან, რომ არ არსებობს საყოველთაო რელიგია ან ეთიკის ფილოსოფია და ძალით თავსმოხვეულ ღირებულებებს არავინ არ მიიღებს. ერთადერთი წყარო, რომელიც ყველასთვის მისაღებ ღირებულებებს გვაწვდის არის ადამიანის უფლებები.

მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე, მუხლი 1:

„ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.“

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წლის 10 დეკემბერი), მუხლი 1;

დეკლარაციის სრული ტექსტი იხილეთ მასალა მოსწავლეებისთვის 2.5.

მოსწავლეები მოცემულ მუხლს ეძებენ მათთვის დარიგებულ მასალაში (მასალა მოსწავლეებისთვის 2.5).

ეს მუხლი ძალიან ინფორმაციულია:

- ჩვენ დაბადებიდან ვსარგებლობთ ადამიანის უფლებებით: ეს უფლებები ხელშეუვალია, არავის აქვს უფლება ჩამოგვართვას ეს უფლებები.
- ჩვენ ვართ თავისუფალი.
- ჩვენ ვართ თანასწორი.

მასწავლებელი, ამრიგად, მოსწავლეებს უჩვენებს, თუ როგორ უნდა იქნეს განმარტებული მსგავსი მუხლი – დინჯად, სიტყვა–სიტყვით. მოსწავლეები აგრძელებენ:

- ჩვენ გაგვაჩნია ღირსება: ჩვენ ერთმანეთს პატივისცემით უნდა მოვეპყროთ.
- ჩვენ გაგვაჩნია გარკვეული უფლებები.
- ჩვენ „მონიჭებული გვაქვს გონება“: ჩვენ გვაქვს დამოუკიდებლად ფიქრის უნარი.
- ჩვენ „მონიჭებული გვაქვს სინდისი“: ჩვენ შეგვიძლია პასუხისმგებლობის აღება.
- ჩვენ „ერთმანეთის მიმართ უნდა ვიქცეოდეთ ძმობის სულისკვეთებით“: ჩვენ ერთმანეთზე უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა, რაც გულისხმობს ზრუნვას მათზე, ვინც სხვა ადამიანების დახმარებაზეა დამოკიდებული.

მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებებს გააჩნია არა მარტო ვერტიკალური განზომილება – ურთიერთობა ქვეყნის მთავრობასა და ინდივიდუალურ მოქალაქეთა შორის – არამედ ჰორიზონტალური განზომილებაც – ურთიერთობა ინდივიდუალურ პირებს, როგორც საზოგადოების წევრებს შორის. ჩვენ შეგვიძლია საკუთარ თავს განუსაზღვრელი თავისუფლება მივცეთ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სამოქალაქო საზოგადოებაში, რომელიც გვაწვდის იმ ძირითად ღირებულებათა ჩარჩოებს, რომელიც ჩვენთვის ყველასთვის მისაღებია და რომელზეც ჩვენ ყველას შეგვიძლია შევთანხმდეთ.

არჩევანი დამატებითი სამუშაოსთვის

ამ შემაჯამებელ ეტაპზე რეკომენდებულია ორივე არჩევანის განხილვა. ამ თავის დამატებითი სამუშაოს სახით შესაძლებელია მეორე არჩევანის განხილვა.

პასუხისმგებლობის პერსპექტივა შეიძლება დავუკავშიროთ ამ სახელმძღვანელოში მოცემულ პრაქტიკულად ყველა თავს. იხილეთ ამ თავის დასაწყისში მოცემული, სახელმძღვანელოს სხვა თავებთან კავშირის შესახებ შედგენილი მატრიცა.

მასალა მასწავლებლებისთვის 2.1

როგორ გამოვიყენოთ დილემის ანალიზში დამხმარე საშუალება

(მასალა მოსწავლეებისთვის 2.2): ნიმუში

წინასიტყვაობა შეიცავს რჩევას მოსწავლეებისთვის, შეარჩიონ რამდენიმე კითხვა და კარგად დაფიქრდნენ ამ კითხვებზე. აქედან გამომდინარე მოცემულ ნიმუშში განხილულია რამდენიმე კითხვა მოსწავლეთათვის განკუთვნილი მასალიდან, მაგრამ არ არის აუცილებელი მასწავლებელმა აირჩიოს ჩვენს მიერ შემოთავაზებული კითხვა ან განიხილოს იგი ჩვენს მიერ შემოთავაზებული მიდგომით. ამ ნიმუშში გაცილებით მნიშვნელოვანია მეთოდი, ვიდრე აზრის განვითარება–ჩამოყალიბება. სწორედ ამიტომ ჩვენ არ გთავაზობთ გადაწყვეტილებას.

მაგალითი # 4: რომელი ბანანი ვიყიდო? (მასალა მოსწავლეებისთვის 2.2)

1. მოიპოვე **ინფორმაცია**.

ვინ არის მონაწილე?

რა სურთ მათ? (რაში მდგომარეობს მათი მოთხოვნები, მიზნები და ინტერესები?)

ვინ არის მონაწილე?	**მიზნები და ინტერესები**
მე, როგორც მყიდველი	იაფი საქონლის შეძენა. ხარისხიანი საქონლის შეძენა.
სუპერმარკეტი	მყიდველის მოზიდვა. მოგება.
ვაჭრობა ურთიერთხელსაყრელობის პრინციპზე	ბანანის მწარმოებელი მცირე მეწარმეების დახმარება
ბანანის მწარმოებლები	ოჯახის სარჩენი საშუალებების მოპოვება. ხარისხიანი პროდუქტის გაყიდვა. წარმოების გაფართოვება.

რაში მდგომარეობს პრობლემა/დილემა?

იაფი ბანანის შეძენა	ძვირი ბანანის შეძენა
იაფი ბანანის შეძენა დამეხმარება დავზოგო ფული, რომელსაც სხვა მიზნებისთვის გამოვიყენებ. დახმარების არ გაწევა იმ ხალხისთვის, ვისი მომავალიც, ნაწილობრივ, ჩემს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, ჩემში სინდისის ქენჯნას იწვევს.	თუ შევიძენ ბანანს, რომელიც მეტი ღირს, ამით დავეხმარები ბანანის მწარმოებელ მცირე მეწარმეებს. გააჩნია, რამდენად მეტი ფასის გადახდა მომიწევს.

რა კავშირი აქვს ამ შემთხვევას ჩემთან?

> მე ვმონაწილეობ გლობალური ბაზრის მართვაში. ჩემი გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რა ვიყიდო, პირდაპირ გავლენას ახდენს სხვათა მომავალზე.

რა ინფორმაციას არ ვფლობთ – რა არის ჩვენთვის გაუგებარი?

მე პირდაპირ ვმონაწილეობ გლობალური ბაზრის მართვაში. ჩემი გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რა ვიყიდო, პირდაპირ გავლენას ახდენს სხვათა მომავალზე. ჩვენ არ ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ გარკვეულ ინფორმაციას ვფლობთ ერთმანეთის შესახებ და ჩვენი ქმედებებით, იმით, თუ რას მოვიმოქმედებთ, კავშირი გვაქვს ერთმანეთთან.

მე არ ვიცი რამდენად არიან დამოკიდებული მეწარმეები ჩემს დახმარებაზე. შესაძლოა სხვა მყიდველმა უკვე კილოობით შეიძინა მათი ბანანი, მაგრამ შეიძლება არც შეუძენია.

რა შედეგს მივიღებთ, თუ მოვიპოვებთ ინფორმაციას, რომელსაც არ ვფლობთ?

რეალურ ცხოვრებაში, გადაწყვეტილების მიღება, მსგავს სიტუაციაში მყისიერად ხორციელდება. მე მჭირდება საკვები, გადაწყვეტილება უნდა მივიღო იმისდა მიუხედავად, რომ არ ვფლობ სრულ ინფორმაციას; ეს შემთხვევა არ არის გამონაკლისი, არამედ ჩვეული მოვლენაა.

2. გაანალიზე შედეგები

რა არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა არსებობს?

რა შედეგს მოიტანს თითოეული ეს არჩევანი და ვისთვის ...?

არჩევანი	არჩევანი 1: იაფი ბანანის შეძენა	არჩევანი 2: ძვირი ბანანის შეძენა
მე როგორც მყიდველი	არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად დიდია ან მცირეა ჩემი შემოსავალი, სხვაობა საგრძნობი არ იქნება და კომპენსაცია შესაძლებელია ერთ ჰამბურგერზე ან ერთ ფილა შოკოლადზე უარის თქმით. სხვა შემთხვევაა, თუ მე ვალი მაქვს და ყველანაირად უნდა ვეცადო შევამცირო ჩემი ხარჯები.	
ბანანის მწარმოებლები	რჩება დახმარების გარეშე.	მოკრძალებული დახმარება, მასშტაბური ეფექტით (ვაჭრობა ურთიერთხელსაყრელობის პრინციპზე)
სუპერმარკეტი	არ გაგვაჩნია ზუსტი მონაცემები, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩვენს მიერ ბანანის შეძენით სუპერმარკეტი მოგებას ნახავს ნებისმიერ შემთხვევაში, იაფ ბანანს შევიძენთ თუ ძვირს.	
ვაჭრობა ურთიერთხელსაყრელობის პრინციპზე	არანაირი სარგებელი ურთიერთხელსაყრელობის პრინციპზე ვაჭრობისთვის.	სარგებელი ურთიერთხელსაყრელობის პრინციპზე ვაჭრობისთვის.

3. ჩამოაყალიბე შენი პრიორიტეტები.

რამდენად მაქვს გაცნობიერებული ჩემი გადაწყვეტილების შედეგები?

მე არ გამაჩნია სრულყოფილი სურათი და ვერ შევძლებ მის მოპოვებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პრიორიტეტად არ დავისახე სრულყოფილი ინფორმაციის მოძიება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მე უნდა მივიღო გადაწყვეტილება, დავჯერდე იმ მწირ ინფორმაციას, რომელსაც სხვები მაწვდიან, ამ შემთხვევაში ვაჭრობა ურთიერთხელსაყრელობის პრინციპზე. ინფორმაცია კი, რომელსაც მე ვფლობ არის, რომ ჩემს მიერ გაღებული უმნიშვნელო

თანხაც კი დიდად წაადგება განვითარებად ქვეყნებში ბანანის წარმოებით დაკავებულ მცირე მეწარმეებს.

რომელი მორალური თუ რელიგიური პრინციპებია ჩემთვის მნიშვნელოვანი?

ეს კითხვა განსაკუთრებულია და ჩვენ ჩვენი მრწამსის შესაბამისად შეგვიძლია გავცეთ პასუხი.

ჩემი გადაწყვეტილება ერთხელ და სამუდამოდ კეთდება თუ მექნება საშუალება შემდგომში შევცვალო იგი?

მსგავსი გადაწყვეტილების მიღების საშუალება მრავალჯერ მექნება. დღეს შეიძლება გადავწყვიტო ვიყიდო ძვირი ბანანი, ხვალ –იაფი. მე შემიძლია გავაანალიზო ჩემი გადაწყვეტილება, მაგრამ წარსულში მიღებულ გადაწყვეტილების შედეგს ვეღარ შევცვლი.

4. მიიღე გადაწყვეტილება

აუცილებელია ერთი მიზნის მიღწევაზე გავამახვილო ყურადღება და უარი ვთქვა სხვა მიზნებზე?

აუცილებელია. თქვენ ყიდულობთ იაფ ან ძვირ ბანანს და არა ორივეს ერთად. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ იყიდოთ ცოტაოდენი იაფი და ცოტაოდენი ძვირი ბანანი, არადამაჯერებლად ჟღერს.

მოცემულ პირობებში, რას მკარნახობს ინტუიცია? რომელი გადაწყვეტილებაა ჩემ პიროვნებასთან ყველაზე ახლოს?

ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვენი ინტუიცია, შესაძლოა, ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი გზამკვლევი იყოს და შეიძლება, ხშირად უფრო სანდოც გამოდგეს, ვიდრე ხანგრძლივი განსჯა და ფიქრი. ჩვენ ვიქცევით ისე, როგორც ვგრძნობთ რომ უმჯობესი იქნება. პასუხისმგებლობის აღება, ამგვარად, გულისხმობს ჩვენს მცდელობას გავაანალიზოთ და ხანდახან შევცვალოთ ის, რასაც ინტუიცია გვკარნახობს.

მასალა მასწავლებლებისთვის 2.2

ფლიპჩარტის ფორმა დილემური სიტუაციების შედარებისთვის (გაკვეთილი 4)

თითოეული დილემის მაგალითისთვის საჭიროა ერთი ფლიპჩარტი. რჩევები იმის თაობაზე, თუ როგორ განვათავსოთ ფლიპჩარტზე ალტერნატიული არჩევანი იხილეთ მასალა მოსწავლეებისთვის 2.4.

დილემის მაგალითი:

(დაასათაურეთ მასალა მოსწავლეებისთვის 2.3–ში მოყვანილი მაგალითების მიხედვით).

ალტერნატიული არჩევანი	მიზეზი
(დილემის გადაჭრის პირველი არჩევანი შეიტანეთ აქ) ჯგუფი #	
(დილემის გადაჭრის მეორე არჩევანი შეიტანეთ აქ) ჯგუფი #	
(დატოვეთ თავისუფალი დამატებითი ჩანაწერებისთვის) ჯგუფი #	

მასალა მასწავლებლებისთვის 2.3

თავისუფლება და პასუხისმგებლობა – ლექციის სამი მოდული

წინამდებარე მასალა წარმოადგენს ლექციის მოდულებს, რომელთა შორისაც მოსწავლეთა სწავლის მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა მოხდეს არჩევანის გაკეთება. ლექციის მიწოდება მოსწავლეებისთვის შესაძლებელია, როგორც სახელმძღვანელოს ამ თავში მოცემული ოთხი გაკვეთილის ფარგლებში, ასევე, დამატებითი გაკვეთილის სახით. მოდულებში განხილულია თანამედროვე საზოგადოებაში პასუხისმგებლობის აღების პირობები:

მოდული 1: შესწავლა იმისა თუ როგორ ავიღოთ პასუხისმგებლობა შეუძლებელია რისკზე წასვლის გარეშე.

მოდული 2: როგორ ვახორციელებთ პასუხისმგებლობის აღებას თანამედროვე საზოგადოებაში, რომელიც სულ უფრო და უფრო კომპლექსური ხდება, რაც ჩვენგან ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოყენებას მოითხოვს?

მოდული 3: დემოკრატიული საზოგადოებების სტაბილურობას კულტურული განზომილება ახასიათებს – მის ფარგლებში მოქმედი წესები, რომლებიც არ შეიძლება ძალით თავსმოხვეული იყოს, არამედ რომლის თაობაზეც ხდება შეთანხმება საზოგადოების წევრებს შორის.

1. რისკისა და პასუხისმგებლობის დილემა

არჩევანის დამოუკიდებლად გაკეთება ადამიანის უფლებაა, მაგრამ ეს თავისუფლება პასუხისმგებლობას გულისხმობს. ჩვენ ყოველთვის უნდა გვესმოდეს, თუ რა შედეგების მომტანი იქნება და რა გავლენა ექნება ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილებას და ჩვენს მოქმედებას ჩვენზე და სხვა ადამიანებზე, დღეს და მომავალში, მოცემულ ადგილას და სხვა ნებისმიერ ადგილას მსოფლიო მასშტაბით (იხ. მდგრადი განვითარების მოდელი, მასალა მოსწავლეებისთვის 4.2).

მეორე მხრივ, იმას, თუ როგორ უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა, ჩვენ მხოლოდ თავისუფლების პირობებში ვსწავლობთ, რომელიც მარცხის თავისუფლებასაც გულისხმობს. მაგალითად, ახალგაზრდებს სურვილი აქვთ საღამოები და თავისუფალი დრო სახლიდან მოშორებით გაატარონ. ეს გამოცდილება მოსწავლეებისთვის უცხო არ იქნება. მათ მშობლებს სურთ, რომ შვილები სახლში დროულად დაბრუნდნენ; პასუხისმგებლობას ამ შეთანხმების შესრულებაზე იღებს ახალგაზრდა. დამოუკიდებლად გადაადგილების თავისუფლებისა და მასთან დაკავშირებულ ყველა რისკზე წასვლის გარეშე, ვერავინ ისწავლის პასუხისმგებლობის აღებას.

2. კომპლექსურობისა და დემოკრატიის დილემა

მოცემულ თავში, სტუდენტები აანალიზებენ, როგორ იღებენ ისინი პასუხისმგებლობას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენ, ხშირად, წამებში გვიწევს გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გადავჭრათ დილემა. მოცემული თავის ძირითადი ამოცანა (გაკვეთილი 2 და 3) საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აუჩქარებლად გაანალიზონ პასუხისმგებლობის განზომილებები, და ამგვარად, ისინი გამოიმუშავებენ და იუმჯობესებენ ინტუიციას. პასუხისმგებლობის აღება საჭიროებს უნარს, რომელიც რთულ სიტუაციებში მყისიერ გარკვევასა და შემდგომ ინტუიციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღებაში გვეხმარება, გადაწყვეტილებისა, რომელმაც უნდა გაუძლოს კრიტიკას. ჩვენი ყოველდღიური გამოცდილებით, ვიცით, რომ ეს „ბუნებრივია“ და ჩვენ ყველას გვაქვს გაცნობიერებული ის რისკი, რაც რთულ სიტუაციებში მყისიერი გადაწყვეტილების მიღების დროს დაშვებულ შეცდომებს უკავშირდება. წვრთნა და გამოცდილება გვეხმარება ინტუიციის გაუმჯობესებაში, მაგრამ პრობლემა გადაუჭრელი რჩება.

სოციალურ და გლობალურ დონეზე, კომპლექსურობა და სირთულე სხვა ხარისხში გადადის. მაგალითად, ჩვენ ხშირად გვაქვს არჩევანი, როგორ მივიდეთ A პუნქტიდან B პუნქტამდე, მაგალითად

სახლიდან სკოლამდე. მანქანით მისვლა ყველაზე ხელსაყრელი არჩევანია, მაშინ, როცა ავტობუსით ან ველოსიპედით მგზავრობა დიდ დროს გვართმევს, რომ აღარაფერი ვთქვათ შესაძლო დაგვიანებასა ან წვიმიან ამინდში დასველებაზე და ა.შ. რა არჩევანს ვაკეთებთ? ამ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ კრიტერიუმით, რომელიც უკავშირდება კლიმატის ცვლილებაზე მანქანით მგზავრობის გავლენას. მაგრამ ჩემი მანქანით მგზავრობა მოიტანს კი რაიმე სხვაობას, მით უმეტეს, როცა ავტობუსით და ველოსიპედით მხოლოდ მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი სარგებლობს? საკითხი მეტად რთულია იმისთვის, რომ ერთმა პიროვნებამ გადაწყვიტოს (იხ. თავი 4). იგივე შეიძლება ითქვას, როდესაც ჩვენ მონაწილეობას ვიღებთ მსგავს საკითხებზე გამართულ პოლიტიკურ დებატებში – მართებულად ვიქცევით და საკმარისს ვაკეთებთ იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ კლიმატის ცვლილება?

საკითხის კომპლექსურობის ზრდადობა ტიპიურია თანამედროვე საზოგადოებაში. საზოგადოებები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული გლობალური ბაზრის საშუალებით და ურთიერთდამოკიდებული ხდებიან, იმ თვალსაზრისით, თუ როგორ უდგებიან კლიმატის ცვლილების მსგავს გლობალურ საკითხს. საკითხის კომპლექსურობასთან გამკლავება ართულებს პასუხისმგებლობის აღებას. ეს, გარკვეულწილად, არის ის, რაც ჩვენ უნდა გავიღოთ თანამედროვე საზოგადოებაში, ცხოვრების სტანდარტების ზრდის სანაცვლოდ, რაც თავისთავად განპირობებულია ამავე საზოგადოებაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და განათლების სფეროებში არსებული მიღწევებით.

ისეთი კომპლექსური საკითხების მოგვარებაში, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ინტუიცია ვეღარ გაგვიწევს დახმარებას. ჩვენ ექსპერტთა რჩევა გვჭირდება. დემოკრატიულ საზოგადოებაში, მოქალაქეები და პოლიტიკოსები, რომლებიც ექპერტებზე არიან დამოკიდებული, იმ სამყაროს აღქმის თავლსაზრისით, სადაც მათ უწევთ ცხოვრება, დგანან იმ საფრთხის წინაშე, რომ აღმოჩნდნენ ახალ, პოსტდემოკრატიულ, ოლიგარქიულ წყობაში, სადაც ყველაფერს განაგებენ ექსპერტები, რომელთა კონტროლის ძალაც მოქალაქეებს აღარ შესწევთ. ეს არის კომპლექსურობისა და დემოკრატიის დილემა.

დემოკრატიის მარცხი და წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იღებს მონაწილეობას დაინტერესებული ადამიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ პროცესისადმი პასუხისმგებლობით მოკიდება განათლებულ მოქალაქეებს საჭიროებს. განათლება არის ერთადერთი საშუალება, რითიც ჩვენ შევძლებთ კომპლექსურობის დილემის გადაჭრას. განათლების გაფართოება თანამედროვე საზოგადოების მხოლოდ მზარდი კომპლექსურობის წყაროს კი არ წარმოადგენს, არამედ კომპლექსურობისა და დემოკრატიის დილემის გადაჭრის ძირითად საშუალებადაც გვევლინება.

3. თავისუფლება–სტაბილურობის დილემა: თავისუფლება, პლურალიზმი და ჩვენი მოთხოვნილება, - გაგვაჩნდეს საერთო ღირებულებები

მუხლი 18

ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, მომღვრებაში ღთვისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით.

მუხლი 19

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წლის 10 დეკემბერი); დეკლარაციის სრული ტექსტი იხილეთ მასალა მოსწავლეებისთვის 2.5.

პიროვნებები, რომლებიც სარგებლობენ ამ უფლებებით, ქმნიან პლურალიზმს, მისი სხვადასხვა ფორმით (იხ. თავი 3). ერთი შედეგია ის, რომ ადამიანები ირჩევენ სხვადასხვა რელიგიურ აღმსარებლობასა და ღირებულებათა სხვადასხვა სისტემას – ეს განსაკუთრებით აშკარაა იმ ფონზე, სადაც წარმოდგენილია ემიგრანტთა საზოგადოებები. თანამედროვე საზოგადოებები არის სამოქალაქო და პლურალისტული – მისი წევრები ქმნიან ინდივიდუალურ მსოფლმხედველობასა და ინდივიდუალობას (იხ. თავი 1). პასუხისმგებლობას გააჩნია კონსტრუქტივისტული განზომილება.

მეორე მხრივ, ყოველი საზოგადოება დამოკიდებულია ღირებულებათა გარკვეულ სისტემაზე, რომელიც ამ საზოგადოების წევრების შეთანხმების საფუძველზე ყალიბდება. დემოკრატია თანაბრად არის დამოკიდებული, როგორც ძლიერ სახელმწიფოზე, ასევე ქმედით პოლიტიკურ კულტურაზე.

ეს არის თავისუფლება–სტაბილურობის დილემა: დემოკრატიული და სეკულარული სახელმწიფო დამოკიდებულია კულტურულ გარემოზე, რომლის შექმნაც და ძალით გატარებაც მის ინსტიტუტებს და ხელისუფლებას არ შეუძლია. ვერ უგულებელვყოფთ ყველასთვის მისაღებ და მოსაწონ ღირებულებათა, წესებისა და მიზანთა სისტემას. ზოგადად განათლება და, განსაკუთრებით, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება, გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ გამოწვევასთან გამკლავებაში. ადამიანთა უფლებები, სავარაუდოდ, წესთა და პრინციპთა ერთადერთ სისტემას წარმოადგენს, რომელიც საყოველთაოდ შეიძლება იქნეს მიჩნეული (იხ. ამ თავში მოცემული გაკვეთილი 4, სადაც ლაპარაკია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველ მუხლზე). ადამიანის უფლებები ემყარება ურთიერთაღიარების პრინციპს – ოქროს წესს – და არ ანიჭებს უპირატესობას ერთ რომელიმე რელიგიას ან ეთიკურ თუ მორალის ფილოსოფიას. ამ თვალსაზრისით, ადამიანის უფლებები არა მარტო პრობლემის წყაროს, არამედ ამავე პრობლემის გადაჭრის საშუალებასაც წარმოადგენს.

თავი 3
მრავალფეროვნება და პლურალიზმი
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის

თანხმობა უთანხმოების საფუძველზე?

როგორ ვთანხმდებით საყოველთაო კეთილდღეობაზე?

“La multitude qui ne se rйduit pas a l’unitй est confusion; l’unitй qui ne dйpend pas de la multitude est tyrannie.”

[სამართლიანობა ძალადობის გარეშე უძლურია, ხოლო ძალადობა სამართლიანობის გარეშე – ტირანია.]
ბლეზ პასკალი (1623 – 1662)

3.1 მე რომ პრეზიდენტი ვიყო...
მოსწავლეები განსაზღვრავენ საკუთარ პოლიტიკურ პრიორიტეტებს

3.2 რომელი მიზნების განხორციელება გვსურს?
მოსწავლეები ქმნიან პოლიტიკურ პარტიებს

3.3 რა არის საყოველთაო კეთილდღეობა?
თანხმობა უთანხმოების საფუძველზე

a. პლურალისტულ დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობა
მოსწავლეები იხსენებენ საკუთარ გამოცდილებას

თავი 3
მრავალფეროვნება და პლურალიზმი
თანხმობა უთანხმოების საფუძველზე?

წინასიტყვაობა მასწავლებლებისთვის

1. კავშირი მრავალფეროვნებას, პლურალიზმსა და დემოკრატიას შორის

მრავალფეროვნება – მაგალითები

– დაქირავებული მუშაკები და დამქირავებლები დაობენ ხელფასებისა და სამუშაო საათების გამო.

– გარემოსდამცველები დაობენ სატვირთო ავტომანქანების მძღოლების ლობისტებთან ახალი გზის გაჭრის შესახებ არსებული გეგმის გამო.

– მშობლებს სურთ მეტი მასწავლებელი ზრუნავდეს მათი შვილების განათლებაზე. გადასახადის გადამხდელთა ლობისტებს გადასახადების შემცირება სურთ.

– ექიმებს და არამწეველებს უნდათ ბარებსა და რესტორნებში მოწევა სრულად აიკრძალოს. მიწათმფლობელები და თამბაქოს მწარმოებლები ნებისმიერ ადგილზე მოწევის ნებართვის მომხრე არიან.

– ახალგაზრდებს ცარიელი შენობის ახალგაზრდულ ცენტრად გადაკეთება სურთ. ადგილობრივი მოსახლეობა შიშობს, რომ ამის გამო მათ ღამით ხმაურთან შეგუება მოუწევთ.

მრავალფეროვნების ცნება ასახვას ადამიანებს შორის განსხვავებებს – მათ ინტერესებს შორის განსხვავებებს, მაგრამ არა მხოლოდ: ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ცხოვრების სტილით, ეთნიკური წარმოშობით, რწმენითა და ღირებულებებით, სოციალური სტატუსით, სქესით, იმით, თუ რომელ თაობას ეკუთვნიან, დიალექტით და წარმოშობის ადგილით (მაგალითად, ქალაქიდან თუ სოფლიდან). მრავალფეროვნება კიდევ უფრო იზრდება სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების პარალელურად.

წარმოადგენს მრავალფეროვნება პრობლემას?

პლურალიზმის შესახებ არსებული თეორიების მიხედვით, შეუძლებელია განისაზღვროს რა წარმოადგენს საყოველთაო კეთილდღეობას, სანამ ამ საკითხის თაობაზე საჯარო მსჯელობა არ გაიმართება. ჩვენ გვჭირდება შეთანხმება იმის თაობაზე, თუ რა არის ჩვენთვის ყველასთვის ხელსაყრელი. საყოველთაო კეთილდღეობა მოლაპარაკების საგანს წარმოადგენს. განვიხილოთ ზემოთ მოყვანილ მაგალითთაგან ორი.

- დაქირავებული მუშაკები და მათი დამქირავებლები უნდა შეთანხმდნენ ხელფასებზე, რომელიც მუშაკებს ცხოვრების სათანადო სტანდარტებით უზრუნველყოფს, ხოლო დამქირავებელს საშუალებას მისცემს აკონტროლოს ხარჯები.

- ახალგაზრდული ცენტრის შექმნის საკითხი შეიძლება შემდეგნაირად გადაიჭრას: აშენდეს ცენტრი, მაგრამ დაეკისროს წესების დაცვა, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის სიმშვიდეს უზრუნველყოფს. საუკეთესო გამოსავალია შეთანხმება დიალოგისა და მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო შედეგი, უმეტეს შემთხვევაში არის დათმობაზე წასვლა.

პლურალიზმი, აქედან გამომდინარე, უკავშირდება საზოგადო კეთილდღეობის ცნებას. პირველ რიგში, ყველა მხარე გამოთქვამს თავის განსხვავებულ ინტერესს და შემდეგ ისინი ეძებენ გამოსავალს,

რომელიც მისაღები იქნება ყველა მხარისთვის. არაფერია „ეგოისტური“ საკუთარი ინტერესის ნათლად გამოთქმაში. პირიქით, ეს პროცესის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ არავის უნდა ჰქონდეს მოლოდინი იმისა, რომ მისი ინტერესი სრულად იქნება დაკმაყოფილებული. კონსტრუქტივიზმის ცნება ხაზს უსვამს იმას, რომ პროცესი გულისხმობს სწავლის ელემენტს, რომელიც თან სდევს მცდელობასა და შეცდომის დაშვებას. პრაქტიკა გვიჩვენებს, რამდენად მართებულია მიღებული გადაწყვეტილება და შესაძლოა აუცილებელი გახდეს მისი შეცვლა ან გაუმჯობესება, რაც განხილვისა და მოლაპარაკების შედეგად უნდა განხორციელდეს.

როგორ უკავშირდება პლურალიზმი დემოკრატიას?

პლურალიზმი კონკურენციის ფორმას წარმოადგენს. მხარეები საკუთარი ინტერესების დაცვაში უწევენ ერთმანეთს კონკურენციას და მოლაპარაკების პროცესში ხდება როგორც ძალაუფლების, ასევე არგუმენტაციისა და განსჯის უნარის გამოყენება. მაგრამ ამ სახის კონკურენცია ასევე გარანტიაა იმისა, რომ ვერც ერთი მხარე ვერ მოიპოვებს დომინანტის პოზიციას. მრავალფეროვნება და პლურალიზმი ქმნის პოლიარქიის სისტემას (ძალაუფლება არა მარტო ერთეულთა ხელში), რომელიც დემოკრატიულ კონსტიტუციაში კონტროლისა და გაწონასწორების პრინციპის სოციალური ექვივალენტია. პლურალიზმი სათავეს უდებს ლიბერალიზმს, ეკონომიკაში არსებული კონკურენციის გავრცელებით საზოგადოებრივ და პოლიტიკის სფეროებზე.

როგორ ხორციელდება პლურალიზმის საშუალებით ინტერესთა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება?

მრავალფეროვნება და პლურალიზმი ასპარეზს აძლევს ინტერესთა შორის უთანხმოებას და საკითხთა შესახებ აზრთა სხვადასხვაობის არსებობას განაპირობებს („უთანხმოების სფერო“). პრობლემის მოგვარება შესაძლებელია „თანხმობის სფეროს“ არსებობის პირობებში. პლურალიზმი მოქალაქეებისგან მოითხოვს შეთანხმებას გარკვეულ ძირითად ღირებულებებსა და წესების თაობაზე:

- ურთიერთაღიარება: მოწინააღმდეგე მხარე აღიქმება როგორც ოპონენტი, მაგრამ არა როგორც მტერი.
- ძალადობის დაუშვებლობა: მოლაპარაკებები წარმოებს მშვიდობიანი გზით, ვერბალურად და არა ფიზიკური ძალის გამოყენებით.
- კომპრომისზე წასვლა: ყველა მხარე აცნობიერებს, რომ გადაწყვეტილება მიიღწევა მხოლოდ კომპრომისის საფუძველზე.
- უმრავლესობის წესი: თუ საკითხის მოგვარება კენჭისყრას მოითხოვს, გადაწყვეტილებას იღებს უმრავლესობა.
- მცდელობა და შეცდომა: გარემოებების შეცვლის გამო, ან არასწორი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, იმართება ხელახალი მოლაპარაკებები.
- სამართლიანობა: გადაწყვეტილება უნდა ესადაგებოდეს და არ არღვევდეს ადამიანის უფლებებს.

პლურალიზმის ცნების კრიტიკა

კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ პლურალისტულ საზოგადოებაში ძალაუფლება უმრავლესობის ხელშია, მაგრამ მრავალფეროვნების გამო მისი გადანაწილება არათანაბრად ხორციელდება. აქედან გამომდინარე ინტერესთა შორის კონკურენციის დროს ზოგიერთი მხარე სხვაზე მეტი უპირატესობით სარგებლობს.

ამგვარი მსჯელობა ხაზს უსვამს თავისუფლებასა და თანასწორობას შორის არსებულ კონფლიქტს – ეს კონფლიქტი, როგორც დემოკრატიისთვის, ასევე ადამიანის უფლებებისთვის არის დამახასიათებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ აღმოფხვრას არ ექვემდებარება. პლურალისტები ხაზს უსვამენ კონკურენტული დემოკრატიის ლიბერალურ აღქმას, კრიტიკოსები – დემოკრატიის ეგალიტარულ ხასიათს.

პლურალისტულ საზოგადოებაში, თავისუფლებასა და თანასწორობას შორის არსებული კონფლიქტი წარმოადგენს საზოგადო კეთილდღეობის საკითხის ბირთვს. თავისუფლება ნიშნავს კონკურენციას, კონკურენცია კი შობს წარმატებულებსა და წარუმატებლებს, და შესაბამისად უთანასწორობას. ამრიგად, საყოველთაო კეთილდღეობაზე შეთანხმების პროცესში, მონაწილე მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ სუსტი მხარის მოთხოვნილებები.

არსებობს პლურალიზმის ალტერნატივა?

პლურალიზმის უარყოფა „ავტორიტარიზმის ცდუნებას“ უხსნის გზას. საყოველთაო კეთილდღეობას განსაზღვრავს ხელისუფლება, და ნებისმიერი, ვინც ამ განსაზღვრებას არ ეთანხმება აღიქმება მტრად. ამის მაგალითია კომუნისტური პარტიები. ისინი პრეტენზიას აცხადებდნენ ერთპიროვნულ ლიდერობაზე, მეცნიერული ახსნა–განმარტებებით ცდილობდნენ რა განესაზღვრათ საყოველთაო კეთილდღეობა. უარყოფილი იყო როგორც ლიბერალური, ასევე ეგალიტარული დემოკრატია.

საბოლოო ჯამში, პლურალიზმის ალტერნატივას წარმოადგენს დიქტატურა. ამის შესახებ უინსტონ ჩერჩილი ამბობდა: „დემოკრატია მმართველობის ყველაზე უარესი ფორმაა, თუ არ ჩავთვლით ყველა იმ მართველობის ფორმას, რაც კი ოდესმე გამოგვიცდია“. პლურალისტული დემოკრატია გარკვეული რისკის შემცველია, მაგრამ მის წევრთა შორის განსხვავებების მშვიდობიანად მოგვარების თვალსაზრისით, მმართველობის საუკეთესო ფორმაა.

2. დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობა – რას გვთავაზობს მოცემული თავი

მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ ისინი პლურალისტული დემოკრატიული საზოგადოების წევრები არიან:

- მათ თავიანთი აზრები და ინტერესები ხმამაღლა უნდა გამოთქვან, თუ სურთ, რომ ისინი გათვალისწინებულ იქნეს; დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობა ასევე ნიშნავს იმ კონკურენციაში ჩაბმას, რომელსაც პლურალიზმი გულისხმობს.

- დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობა გულისხმობს საყოველთაო კეთილდღეობაზე მოლაპარაკების გზით შეთანხმებას.

- დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობა, ყველა მხარისგან მოითხოვს ყველასთვის მისაღები ძირითადი ღირებულებების აღიარებას, ძალადობის დაუშვებლობას, დათმობაზე წასვლისთვის მზადყოფნას და უმრავლესობის წესს.

მოცემულ თავში გამოყენებულია პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლის მიდგომა. მოსწავლეები მრავალფეროვნებას ეცნობიან საკლასო ოთახში მიღებული გამოცდილებით, ხოლო პლურალიზმს – საყოველთაო კეთილდღეობაზე შეთანხმების მიზნით გამართულ მოლაპარაკებებში აქტიური მონაწილეობით.

გაკვეთილი 1: პირველი კითხვა, რომლის შესახებაც მოსწავლეებმა ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები უნდა გაუზიარონ, არის ის, თუ რა საკითხს დააყენებდნენ ისინი დღის წესრიგის სათავეში, თავიანთი ქვეყნის პრეზიდენტები ან მთავრობის ლიდერები რომ ყოფილიყვნენ. მოსწავლეები დაინახავენ, თუ მოსაზრებათა როგორი მრავალფეროვნება იქნება გამოთქმული მათი მხრიდან მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. კლასი წარმოადგენს მრავალფეროვანი საზოგადოების მოდელს.

გაკვეთილი 2 და 3: იწყება მოლაპარაკების პროცესი. მოსწავლეები, რომლებიც იზიარებენ ერთ გარკვეულ ხედვას ან ძირითად მიდგომას, ქმნიან პოლიტიკურ პარტიებს (ამ ინსცენირებაში სხვა ტიპის ჯგუფები არ დაიშვება); სხვებს აქვთ არჩევანის უფლება – განზე გადგნენ. მოსწავლეები განსაზღვრავენ საკუთარ მიზნებსა და პრიორიტეტებს და შემდეგ მართავენ მოლაპარაკებებს. შედეგი იქნება ან ის, რომ ისინი შეძლებენ გადაწყვეტილების მიღებას და კომპრომისის მიღწევას, რომელსაც ყველა ან უმრავლესობა მაინც იზიარებს, ან ვერ შეძლებენ ყოველივე ზემოთ თქმულის განხორციელებას – სწორედ ისე, როგორც ეს რეალურ ცხოვრებაში ხდება. ისინი გამოცდილებით

ისწავლიან, თუ რა უპირატესობა აქვს ორგანიზებულ ჯგუფს, როგორიცაა პარტია, ინდივიდუალურ პირებთან შედარებით, კონკურენტულ გარემოში, როდესაც ხდება დღის წესრიგის დადგენა და გადაწყვეტილების მიღება.

გაკვეთილი 4: მოსწავლეები აჯამებენ საკუთარ გამოცდილებას და მსჯელობენ მოცემულ თავში განვლილ მასალაზე.

მასწავლებლის როლი მოსწავლეებისთვის მიმართულების მიცემითა და მათი დახმარებით შემოიფარგლება. ოთხივე გაკვეთილის განმავლობაში, მოსწავლეები სწავლობენ მოქმედებაში. რეკომენდებულია, მასწავლებლის მხრიდან ძირითად ცნებებზე რამდენიმე მოკლე ინსტრუქციის მიწოდება მოსწავლეებისთვის, რაც ხელს შეუწყობს კონსტრუქტივისტული სწავლის პროცესს. მასწავლებელი ამ ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს მაშინ, როცა ისინი მზად არიან ამისთვის. მასალა მოსწავლეებისთვის და მასალა მასწავლებლებისთვის გვაწვდის საჭირო რესურსებსა და ინფორმაციას.

კომპეტენციების გამომუშავება: კავშირი სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა თავებთან

რას გვიჩვენებს ეს ცხრილი

წინამდებარე სახელმძღვანელოს სათაური, მონაწილეობა *დემოკრატიულ საზოგადოებაში,* გულისხმობს იმ კომპეტენციებს, რომელსაც აქტიური მოქალაქე უნდა ფლობდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში. მოცემული მატრიცა გვიჩვენებს სახელმძღვანელოში შესულ თავებს შორის სინერგიის ეფექტის პოტენციალს. მატრიცა გვიჩვენებს, რომელი კომპეტენციების განვითარება ხდება მესამე თავში (შეფერილი, ჰორიზონტალური მწკრივი ცხრილში). მუქი შტრიხებით შემოსაზღვრული ვერტიკალური სვეტი გვიჩვენებს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების კომპეტენციებს –მისი გამოყოფა ხდება, დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობასთან მჭიდრო კავშირის გამო. ჰორიზონტალური მწკრივები გვიჩვენებს სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა თავებთან კავშირს: რომელ კომპეტენციებს იძენს მოსწავლე, სახელმძღვანელოში მოცემულ ამ თავებში, რომელიც მათ მესამე თავში სჭირდებათ?

როგორ გამოვიყენოთ მატრიცა?

მასწავლებლებს მოცემული მატრიცის გამოყენება სხვადასხვა გზით შეუძლიათ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილების დასაგეგმად.

- მოცემული მატრიცა ეხმარება მასწავლებელს დარწმუნდეს სინერგიის ეფექტში, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები ერთი და იგივე კომპეტენციას განმეორებით იძენენ, ერთმანეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა კონტექსტში.

- ეს მატრიცა ეხმარება მასწავლებლებს, რომლებსაც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მცირე რაოდენობით გაკვეთილის ჩატარება უწევთ: მასწავლებელს საშუალება აქვს აარჩიოს ეს თავი და გამოტოვოს სხვა თავები, თუ მიიჩნევს, რომ მოსწავლეები გარკვეულწილად უკვე ფლობენ სხვა ძირითად კომპეტენციებს, მაგალითად მოცემულ თავში ასეთი კომპეტენციებია – არჩევანის გაკეთება, პლურალიზმის აღქმა, თავისუფლების უფლების დაცვა, პასუხისმგებლობა აღება არჩევანზე, რომელიც გავლენას ახდენს სხვა ადამიანებზე.

თავი	კომპეტენციის განვითარების განზომილებები			მიდგომები და ღირებულებები
	პოლიტიკური ანალიზი და შეფასება	**მეთოდები და უნარები**	**მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში** **პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება**	
3. მრავალფეროვნება და პლურალიზმი	საერთო ინტერესებისა და კონფლიქტის სფეროთა განსაზღვრა პოლიტიკის ორი განზომილება: პრობლემების გადაჭრა და ბრძოლა ძალაუფლებისათვის	საჯარო გამოსვლა საზოგადოებისადმი მოწოდებით მიმართვა დროის მენეჯმენტი	პოლიტიკური პრიორიტეტებისა და მიზნების იდენტიფიცირება მოლაპარაკება და გადაწყვეტილების მიღება	თავდაჯერება, თვითშეფასება კომპრომისზე წასვლისთვის მზადყოფნა
6. მთავრობა და პოლიტიკა	პოლიტიკა: პრობლემების გადაჭრის პროცესი ძალაუფლების განზომილება დღის წესრიგის დადგენისას			
4. კონფლიქტი			მოლაპარაკება და გადაწყვეტილების მიღება	
5. წესები და კანონი			შეთანხმება წესების სისტემაზე	ურთიერთაღიარება

თავი 3: მრავალფეროვნება და პლურალიზმი – თანხმობა უთანხმოების საფუძველზე? როგორ ვთანხმდებით საყოველთაო კეთილდღეობაზე?

გაკვეთილის თემა	კომპეტენციის გამომუშავება/სწავლის მიზანი	მოსწავლის ამოცანა	მასალა და რესურსები	მეთოდი
გაკვეთილი 1 მე რომ პრეზიდენტი ვიყო...	პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრა, საჯარო განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების გარემოში მოქმედება, „მოუწესრიგებელ“, გამომწვევ სიტუაციებთან გამკლავება. არჩევანის გაკეთება და კრიტერიუმების განსაზღვრა. მატრიცას შექმნა კატეგორიების მიხედვით. მოკლე განცხადების გაკეთება და მიზეზების დასაბუთება. ოთხი ძირითადი პოლიტიკური ხედვა: ლიბერალური, სოციალ–დემოკრატიული, კონსერვატიული, მწვანეთა პოლიტიკური ხედვა.	მოსწავლეები განმარტავენ, წარმოადგენენ და ერთმანეთს ადარებენ საკუთარ პოლიტიკურ პრიორიტეტებს.	A 3 ფორმატის ფურცლები (მინიშნება მოსწავლეებისთვის) მასალა მასწავლებლებისთვის 3 ა. მასალა მოსწავლეებისათვის 3.1. თითო ფურცელი ყოველი მოსწავლისთვის, უმჯობესია მარკერით ყველასთვის სათითაოდ.	პოლიტიკურ განცხადებათა პრეზენტაცია და ანალიზი; დამოუკიდებელი სამუშაო; პლენარული განხილვა.
გაკვეთილი 2 რომელი მიზნების განხორციელება გვსურს?	მოლაპარაკება, საკუთარი მიზნის წამოყენება ზომიერების დაცვით, სხვათა მიზნების გათვალისწინება. პოლიტიკურ პარტია პოლიტიკური მიზნების დასახვისთვის საჭირო ძალაუფლებას ფლობს. პარტია ამას გაერთიანებისა და კომპრომისის საფუძველზე აღწევს.	მოსწავლეები მოლაპარაკების საფუძველზე შეიმუშავებენ პოლიტიკური პრიორიტეტების საერთო დღის წესრიგს. მოსწავლეები წარადგენენ საკუთარი პარტიების პროფილს საჯარო თავშეყრაზე.	მასალა მოსწავლეებისთვის 3.1 – 3.4. მასალა მასწავლებლებისთვის 3 ბ.	ჯგუფური სამუშაო, პლენარული პრეზენტაცია, ლექცია.
გაკვეთილი 3 რა არის საყოველთაო კეთილდღეობა?	მონაწილეობა: მოლაპარაკების წარმოებისთვის საჭირო უნარი. საერთო მიზნების ანალიზი.	მოსწავლეები მოლაპარაკების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას.	A 4 ფორმატის ფურცლები და მარკერები. რომბისებური განლაგებით ჯგუფური	თამაში გადაწყვეტილების მიღებაზე; ინდივიდუალური, ჯგუფური და პლენარული სხდომები.

	პოლიტიკას აქვს ორი განზომილება: პრობლემათა გადაჭრა და ბრძოლა ძალაუფლებისთვის. კომპრომისი საჭიროა მხარდაჭერის მოსაპოვებლად და შეთანხმების მისაღწევად.		ანალიზისთვის საჭირო სადემონსტრაციო ფურცლები.	
გაკვეთილი 4 პლურალისტულ, დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობა	პიროვნების მოღვაწეობის შედეგთა განსაზღვრა. მოკლე განცხადებების გაკეთება, რეაგირება. პლურალიზმი სამართლიანი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს წარმოადგენს. „თანხმობა უთანხმოების საფუძველზე“. ვახორციელებ საკუთარი ინტერესების წამოყენებას ვმონაწილეობ რა დემოკრატიულ საზოგადოებაში.	მოსწავლეები იხსენებენ და განიხილავენ საკუთარ გამოცდილებას და აჯამებენ მოცემულ თავში შეძენილ ცოდნას.	ფლიპჩარტი და მარკერები, მასალა მოსწავლეებისთვის 2.5 (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია) და 2.6 (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია).	„სიჩუმის კედელი“. ინდივიდუალური სამუშაო, პრეზენტაცია და განხილვა. ბლიც რაუნდი.

გაკვეთილი 1
მე რომ პრეზიდენტი ვიყო...
მოსწავლეები განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ პრიორიტეტებს

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	მონაწილეობა: პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრა, საჯარო განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების გარემოში მოქმედება, „მოუწესრიგებელ“, გამომწვევ სიტუაციებთან გამკლავება. განხილვა: არჩევანის გაკეთება და კრიტერიუმების განსაზღვრა. ანალიზი: მატრიცის შექმნა კატეგორიების მიხედვით. მეთოდები და უნარები: მოკლე განცხადების გაკეთება და მიზეზების დასაბუთება.
სწავლის მიზანი	მოსწავლეებს აქვთ უნარი განსაზღვრონ, თუ ოთხი ძირითადი პოლიტიკური ხედვიდან: ლიბერალური, სოციალ–დემოკრატიული, კონსერვატიული, მწვანეთა პოლიტიკური ხედვა, რომელს იზიარებენ.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები განმარტავენ, წარმოადგენენ და ერთმანეთს ადარებენ საკუთარ პოლიტიკურ პრიორიტეტებს.
მასალა და რესურსები	A 3 ფორმატის ფურცლები (მინიშნება მოსწავლეებისთვის) მასალა მასწავლებლებისთვის 3 ა. მასალა მოსწავლეებისათვის 3.1. თითო ფურცელი ყოველი მოსწავლისთვის, უმჯობესია მარკერით ყველასთვის სათითაოდ.
მეთოდი	პოლიტიკურ განცხადებათა პრეზენტაცია და ანალიზი; დამოუკიდებელი სამუშაო; პლენარული განხილვა.
დროის ბიუჯეტი	ეტაპი 1. მოსწავლეები განსაზღვრავენ პოლიტიკურ მიზნებს. 25 წთ.
	ეტაპი 2. მოსწავლეები ახორციელებენ საკუთარი გადაწყვეტილებების ანალიზს. 15 წთ.

ინფორმაცია

პირველ გაკვეთილზე, მოსწავლეები კლასში მოქმედებენ როგორც მიკროსაზოგადოებაში. ისინი ქმნიან ინდივიდუალური თვალთახედვისა და პოლიტიკური პრიორიტეტების მრავალფეროვნებას. მოსწავლეები გამოცდილებით სწავლობენ, რომ მსგავსი სიტუაცია ნათელყოფას მოითხოვს. თუ თითოეული მათგანი წარმოიდგენს, რომ იგი საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური ლიდერია და განსაზღვრავს საკუთარ პრიორიტეტებს, ნათელია, რომ უნდა გააკეთოს რამდენიმე არჩევანი.

მასწავლებელი წარმართავს შემდგომ პროცესს, ისევე როგორც მომდევნო გაკვეთილების განმავლობაში. თუ მოსწავლეები დასახულ მიზნებს სერიოზულად მოეკიდებიან, მაშინ ისინი ინტერესსა და ენთუზიაზმს გამოიჩენენ მოლაპარაკებების პროცესში, რათა მიღწეულ იქნეს მათთვის მისაღები გადაწყვეტილება.

გაკვეთილის აღწერა

ეტაპი 1: მოსწავლეები განსაზღვრავენ პოლიტიკურ მიზნებს

საფეხური 1.1: მზადება გაკვეთილისთვის

მოსწავლეები და მასწავლებელი სხდებიან წრეზე, წრის შუა სივრცე თავისუფალია. მერხები იდგმება კედლებთან; საკლასო ოთახის თითო კუთხეში თითო მერხია გამზადებული სამუშაოდ.

მოსწავლეებს ხელთ აქვთ ჩანაწერების გასაკეთებლად საჭირო ინვენტარი.

თითოეულ მოსწავლეს ურიგდება თითო ფურცელი, უმჯობესია მარკერთან ერთად.

მასწავლებელს გამზადებული აქვს A3 ფორმატის ფურცელი („მე რომ პრეზიდენტი ვიყო...“), იხილეთ ქვევით.

საფეხური 1.2: მოსწავლეები იღებენ გადაწყვეტილებებს[8]

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ ისინი ახალი თავის შესწავლას უნდა შეუდგნენ. მოსწავლეები ახალ თემას შემდეგი დავალების შესრულების საშუალებით ეცნობიან:

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ სულ ახლახან გახდით ამ ქვეყნის პრეზიდენტი[9].

მე რომ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი ვიყო, ჩემი უმთავრესი პრიორიტეტი იქნებოდა...

მასწავლებელი ამ წარწერიან ფურცელს წრის შუაგულში ათავსებს.

რა იქნებოდა თქვენი უმთავრესი პრიორიტეტი?

დაასრულეთ წინადადება. შეგიძლიათ გაითვალისწინოთ შემდეგი:

თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ მიზნის სწრაფად მისაღწევი კონკრეტული ზომა – ან გადადგათ პირველი ნაბიჯი სამომავლო მიზნისკენ მიმავალ გზაზე.

რომელი საკითხი ან პრობლემა გაღელვებთ ყველაზე მეტად? ადამიანთა რომელ ჯგუფზე შეგტკივათ გული?

მოსწავლეები ამ კითხვაზე ჩუმად ფიქრობენ და თავიანთ ფურცლებზე ინიშნავენ საკუთარ მოსაზრებებს. ისინი საკუთარ აზრებს ერთმანეთს ჯერ არ უზიარებენ, რადგან ამის გაკეთება მოუწევთ პლენარული სხდომის რაუნდზე.

სათითაოდ ყველა მოსწავლე განცხადებას აკეთებს მხოლოდ ერთ საკუთარ მოსაზრებაზე. თუ მათ სხვა მოსაზრებებიც აქვთ, შეუძლიათ ჩაინიშნონ საკუთარ ფურცლებზე.

---

[8] ეს მეთოდი არის სავარჯიშო 6.3–ის ვარიაცია, „მე რომ ჯადოქარი ვიყო“ *დემოკრატიის სწავლება*: სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წიგნი VI: ევროპის საბჭოს გამომცემლობა, სტრასბურგი 2008, გვ59.

[9] მასწავლებელი იყენებს ქვეყნის მთავრობის ხელმძღვანელის ოფიციალურ ტიტულს.

საფეხური 1.3: მოსწავლეები განცხადებას აკეთებენ საკუთარ მოსაზრებებზე

მოსწავლეები სათითაოდ, რიგრიგობით აკეთებენ განცხადებას საკუთარ მოსაზრებებზე. ისინი ასრულებენ წინადადებას „ჩემი უმთავრესი პრიორიტეტი იქნებოდა...“ და ასაბუთებენ საკუთარ მოსაზრებებს მიზეზების დასახელებით. ისინი თავიანთ ფურცლებს წრის შუაგულში ათავსებენ.

სავარაუდოდ, მოსწავლეებს ექნებათ ერთმანეთის მსგავსი მოსაზრებებიც. მასწავლებელი მათ ამ მსგავსი მოსაზრებების დაჯგუფებას სთავაზობს. მოსწავლეთა ფურცლების დახარისხება ამ პრინციპით ხორციელდება და ერთმანეთის მსგავსი ტიპის მოსაზრებების დასათაურება ხდება, მაგალითად „სიღარიბის დაძლევა“ ან „განათლების რეფორმა“.

მასწავლებელი ამხნევებს მოსწავლეებს, რათა ყველამ გამოთქვას საკუთარი მოსაზრება. არ ხდება არცერთი გადაწყვეტილების განხილვა, სანამ ყველა მოსწავლე არ გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას.

შედეგი სავარაუდოდ იქნება რამდენიმე ერთმანეთის მსგავსი ტიპის მოსაზრებები და რამდენიმე ცალკეული, განყენებული ტიპის მოსაზრება.

ეტაპი 2: მოსწავლეები აანალიზებენ საკუთარ მოსაზრებებს

საფეხური 2.1: მოსწავლეები აანალიზებენ საკუთარი არჩევანის მრავალფეროვნებას

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვას, რომელიც მოსწავლეებისგან აზროვნებასა და მსჯელობას მოითხოვს:

- აღწერეთ თქვენს მიერ შექმნილი „პოლიტიკური ასპარეზი“.

რამდენიმე მოსწავლემ ამ კითხვაზე უნდა უპასუხოს. ისინი უნდა შეეხონ შემდეგ საკითხებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებელი ეხმარება მათ:

- რა არის ის ძირითადი იდეა, რომელიც აკავშირებს მოსწავლეების მიერ გამოთქმულ მსგავს მოსაზრებებს და რა მიზეზით აირჩიეს სხვა მოსწავლეებმა განსხვავებული პოზიცია?

მოსწავლეები აღწერენ მრავალფეროვან სტრუქტურას. ვინაიდან მათ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების არჩევანთან აქვთ საქმე და არა აზრთა უბრალო გაცვლა–გამოცვლასთან, ისინი დარწმუნდებიან, რომ საჭიროა შეთანხმების მიღწევა – რიგი მოსაზრებების შერწყმა და რიგი მოსაზრებების გამორიცხვა. მოსაზრებათა სიუხვე შედეგია იმისა, რომ დისკუსიაში მონაწილეობს მრავალი მოქალაქე, რომლებიც სარგებლობენ თავისუფალი აზროვნების, მოსაზრებისა და გამოხატვის თავისუფლებით. გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული, მაგრამ ვინ იღებს ამ გადაწყვეტილებას?

საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი მითითებებს აძლევს მოსწავლეებს, რომელიც დაეხმარება მათ, გაერკვნენ ამ გადამწყვეტ ვითარებაში.

საფეხური 2.2: მასწავლებელი ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს ძირითადი პოლიტიკური თვალთახედვის შესახებ

საკლასო ოთახის ოთხივე კუთხე განკუთვნილია ოთხი ძირითადი პოლიტიკური ხედვისთვის. მასწავლებელს მერხებზე გამზადებული აქვს სამუშაო ფურცლები მოსწავლეებისთვის (რომელსაც დართული აქვს მასალა მასწავლებლებისთვის 3ა). მასწავლებელი რიგრიგობით აცნობს მოსწავლეებს თითოეულ პოზიციას და ერთ-ერთი მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს განცხადებებს.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, გამოიყენონ შემდეგი ინფორმაცია:

- რომელი ძირითადი თვალთახედვა შეესაბამება მათ ცალკეულ თუ მსგავსი შინაარსის განცხადებებს და რომელი არა?

- შესაძლებელია მათი განცხადებების გაიგივება რომელიმე თვალთახედვასთან, თუ მათი განცხადებები უფრო შუალედური ხასიათისაა, ან ხომ არ ურჩევნიათ, ჩამოაყალიბონ საკუთარი თვალთახედვა?

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს მასალას მოსწავლეებისთვის 3.1, რომელშიც მოცემულია გეგმა. მოსწავლეების ამოცანას წარმოადგენს საკუთარი პოზიციის განსაზღვრა პოლიტიკურ ასპარეზზე. პოლიტიკური პარტიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სხვადასხვა ინტერესების, ღირებულებებისა და პრიორიტეტების დაკავშირების თვალსაზრისით. ამიტომ, მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს პარტიების შექმნას, რომელთა მიზანიც იქნება იმ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ბრძოლა, რომელიც მათ მოცემულ გაკვეთილზე წამოაყენეს. მასწავლებელი მოსწავლეებს ასევე აწვდის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ისინი სარგებლობენ ადამიანის უფლებით, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ პროცესებში. მათი გადასაწყვეტია შეუერთდეს თუ გამოვიდეს პარტიიდან, შექმნას ახალი პარტია, არ გაწევრიანდნენ არც ერთ პარტიაში. გეგმაზე ნაჩვენებია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესი – დაწყებული იმ პოლიტიკური მიზნებიდან, რომელიც ხალხის გონებაში იბადება, დამთავრებული საყოველთაო კეთილდღეობაზე დროებითი შეთანხმებით.

საფეხური 2.3: მოსწავლეები მართავენ პოლიტიკური პარტიების შიდა შეხვედრას

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები მართავენ პოლიტიკური პარტიების შიდა შეხვედრას. მასწავლებელი ურიგებს მასალას მოსწავლეებისთვის 3.2 და 3.3, რომელიც მათ შეხვედრის ჩატარებაში ეხმარება.

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს, რომლებმაც არჩევანი გააკეთეს, არ გაწევრიანებულიყვნენ არც ერთ პარტიაში. მათ უნდა ესმოდეთ, რომ მოცემულ ვითარებაში, ისევე როგორც რეალურ ცხოვრებაში, პარტიები წარმოადგენენ ძლიერ მხარეს და უპირატესობა მათ მხარესაა. თუ ისინი თავიანთ მიზნებს სერიოზულად აღიქვამენ, ისინი დაინტერესებული უნდა იყვნენ იმით, რომ ეს მიზნები განხორციელდეს. ამისათვის ძალაუფლების ელემენტია საჭირო. პარტიებს გააჩნიათ უნარი, მოიპოვონ ასეთი ძალაუფლება. აქედან გამომდინარე, მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ შემდეგ არჩევანთაგან ერთ-ერთი:

- თუ გაგაჩნია დამატებითი მოსაზრებები, რომლის შესახებაც ჩანაწერები გაქვს გაკეთებული გაკვეთილის დასაწყისში, ეცადე, შეარჩიო პარტია, რომელსაც შეუერთდები ამ მოსაზრებების საფუძველზე.

- გაესაუბრეთ ერთმანეთს, რათა დაადგინოთ, შეგიძლიათ თუ არა შექმნათ საკუთარი პარტია.

- შეგიძლიათ დაელოდოთ პარტიების განცხადებებს და ამის შემდეგ გააკეთოთ არჩევანი, რომელ პარტიას შეუერთდეთ.

გაკვეთილი 2
რომელი მიზნების განხორციელება გვსურს?
მოსწავლეები ქმნიან პოლიტიკურ პარტიებს

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	მონაწილეობა: მოლაპარაკება – საკუთარი მიზნების წამოყენება ზომიერების ფარგლებში და სხვათა მიზნების გათვალისწინება.
სწავლის მიზანი	პოლიტიკურ პარტია პოლიტიკური მიზნების დასახვისთვის საჭირო ძალაუფლებას ფლობს. პარტია ამას მასში შემავალი ცალკეული წევრის თვალსაზრისისა და ინტერესების გაერთიანების საფუძველზე აღწევს და, გამომდინარე აქედან, წევრებს უწევთ კომპრომისზე წასვლა.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები მოლაპარაკების საფუძველზე შეიმუშავებენ პოლიტიკური პრიორიტეტების საერთო დღის წესრიგს. მოსწავლეები წარადგენენ საკუთარი პარტიების პროფილს საჯარო თავშეყრაზე.
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 3.1 – 3.4. მასალა მასწავლებლებისთვის 3 ბ.
მეთოდი	ჯგუფური სამუშაო, პლენარული პრეზენტაცია, ლექცია.
დროის ბიუჯეტი	ეტაპი 1. მოსწავლეები განსაზღვრავენ საკუთარი პარტიების პროფილს. 15 წთ.
	ეტაპი 2. საჯარო თავშეყრა: პარტიები წარადგენენ საკუთარ პროფილს. 10 წთ.
	ეტაპი 3. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს საყოველთაო კეთილდღეობის კონსტრუქტივისტულ ცნებას. 5 წთ.
	ეტაპი 4. მოსწავლეები განიხილავენ მოლაპარაკების საკუთარ სტრატეგიებს. 10 წთ.

ინფორმაცია

გაკვეთილის ძირითადი ნაწილი ეთმობა მოსწავლეების საქმიანობას, რომელიც მათ დროის მკაცრად განსაზღვრულ მონაკვეთში უნდა შეასრულონ (იხ.✍ მასალა მოსწავლეებისთვის 3.1).

მასწავლებელი ატარებს მოკლე ლექციას, სადაც მოსწავლეებს თავიანთი ამოცანის შესასრულებლად ახალ პერსპექტივას სთავაზობს. მასწავლებელი ლექციის დროს ძირითადად საუბრობს იმაზე, რაც მოსწავლეებისთვის კარგად არის ცნობილი და განუმარტავს მათ ამ თავის ძირითად ცნებებს – მრავალფეროვნება, პლურალიზმი, საყოველთაო კეთილდღეობა.

კონსტრუქტივისტული სწავლის ამ ეტაპზე, მოსწავლეებისთვის ნათელი უნდა იყოს ეს ცნებები, რაგდანაც, ეს ეხმარება მათ იმ ვითარების აღქმაში, რომელშიც ისინი იმყოფებიან.

გაკვეთილის აღწერა

მასწავლებელი საუბრობს გაკვეთილის დღის წესრიგზე (მასალა მოსწავლეებისთვის 3.1). პარტიები იკავებენ გარკვეულ პოზიციებს „პოლიტიკურ ასპარეზზე“ – საკლასო ოთახში იკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილს – და იმუშავებენ საკუთარ პროფილს. საჯარო შეხვედრა მათ დაეხმარება განსაზღვრონ საკუთარი პოზიცია – სხვა პარტიებთან თანამშრომლობითა ან დაპირისპირებით.

ეტაპი 1: მოსწავლეები განსაზღვრავენ საკუთარი პარტიების პროფილსა და ადგენენ დღის წესრიგს

საფეხური 1.1: მოსწავლეები განსაზღვრავენ საკუთარ პოზიციას „პოლიტიკურ ასპარეზზე“

მოსწავლეები, რომელთა მიერ წინა გაკვეთილზე გაკეთებული პოლიტიკური განცხადებებიც ერთმანეთის მსგავსი იყო, ამჯერად განსაზღვრავენ „პოლიტიკურ ასპარეზზე“ საკუთარ პოზიციას. ისინი ირჩევენ ადგილს საკლასო ოთახში, სადაც ათავსებენ საკუთარ მერხებსა და სკამებს. ეს ადგილი შეიძლება იყოს საკლასო ოთახის რომელიმე კუთხეში ან კუთხეებს შორის კედელთან. ამგვარად, პარტიების განთავსების ადგილებს შორის დარჩენილი სივრცე მიუთითებს, რომელი პარტიაა, პოზიციების თვალსაზრისით, ერთმანეთთან ახლოს და რომელია ერთმანეთთან ოპოზიციაში. რაც უფრო ახლოს არიან პარტიები განლაგებული ერთმანეთთან მიმართებაში, მით უფრო დიდი შანსი აქვთ მათ შექმნან კოალიცია, საერთო მიზნის მისაღწევად.

მოსწავლეები, რომლებმაც ამჯობინეს არც ერთ პარტიაში არ გაწევრიანებულიყვნენ, ჯგუფდებიან, უმჯობესია, ოთახის შუაგულში. ისინი ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს. მათი მხრიდან სურვილის გამოთქმის შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია შეუერთდეს მათ, დახმარების გაწევის მიზნით. მასწავლებელმა არ უნდა აიძულოს ისინი შექმნან პარტია, არამედ, უნდა მოუსმინოს მათ კითხვა–პასუხებს. გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, მიიღონ თუ არა მონაწილეობა და რა ფორმით მიიღონ მონაწილეობა პროცესში, იღებენ მოსწავლეები და არა მასწავლებელი.

პარტიები მზად უნდა იყვნენ ნებისმიერ მომენტში ახალი წევრის მისაღებად, ისევე როგორც ეს რეალურ ცხოვრებაში ხდება. მოსწავლეებს ასევე აქვთ უფლება, დატოვონ პარტია.

საფეხური 1.2: პარტიები განსაზღვრავენ საკუთარ პრიორიტეტებს

ხელმძღვანელობენ რა მასალა მოსწავლეებისთვის 3.2 და 3.3–ით, მოსწავლეები მუშაობენ საკუთარი პარტიის პროფილის განსაზღვრაზე. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს მათ, მაგრამ არ ერევა მათ საქმიანობაში, თუ მოსწავლეები თავად არ მიმართავენ მას დახმარებისთვის, ან თუ მასწავლებელი არ შეამჩნევს, რომ მოსწავლეები სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ.

ეტაპი 2: საჯარო შეხვედრა – მოსწავლეები აკეთებენ თავიანთი პარტიების პროფილის პრეზენტაციას

ეწყობა საჯარო შეხვედრა პარტიებისთვის და არა ინდივიდუალური მოსწავლეებისთვის. დროში შეზღუდულობა სხვა არჩევანს არ გვიტოვებს. პარტიები ახორციელებენ ინდივიდუალური თვალთახედვების გაერთიანებას, რაც ინდივიდუალურ მოსაზრებათა მრავალფეროვნების შეკვეცას ემსახურება.

თითოეულ პარტიას ეძლევა ერთნაირი განსაზღვრული დრო, 2–3 წუთი, რაც დამოკიდებულია პარტიების საერთო რაოდენობაზე. მასწავლებელი ამის შესახებ ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს მათ მიერ პრეზენტაციების მომზადების პროცესში და ამცნობს მათ, რომ სამართლიანობის მიზნით, საჭიროა ამ მითითების მკაცრად დაცვა.

როგორც ამის შესახებ მითითებულია მასალაში მოსწავლეებისთვის 3.2, პარტიის წარმომადგენლებმა, რომლებიც სიტყვით გამოდიან უნდა მიმართონ იმ მოსწავლეებს, რომელთაც ჯერ არ გაუკეთებიათ

საკუთარი არჩევანი. მათ უნდა ეცადონ, კონკურენცია გაუწიონ სხვა პარტიებს. მოსწავლეებს შეუძლიათ ფლაერებისა და პოსტერების გამოყენება.

ამ შეხვედრის შემდეგ ნებისმიერ მოსწავლეს, მიუხედავად იმისა, გაწევრიანებულია თუ არა რომელიმე პარტიაში, შეუძლია შეუერთდეს სხვა პარტიას, ან დატოვოს თავისი პარტია.

ეტაპი 3: მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას განსჯისთვის – საყოველთაო კეთილდღეობა

ეს ინფორმაცია – მოკლე ლექცია, რომელიც აგებულია მასალა მოსწავლეებისთვის 3.4–ის მიხედვით – მოსწავლეების გამოცდილების მრავალფეროვნებისა და პლურალიზმის ცნებებთან დაკავშირებას ემსახურება. მოსწავლეების მიერ შექმნილ ინტერაქტიულ გარემოსა და მათ მიერ მიღებული გამოცდილების კონტექსტში, ლექციის ჩართვით, კონსტრუქტივისტული სწავლის პროცესი ერწყმის ინსტრუქციის სისტემატურ მიწოდებას.

მასალა მასწავლებლებისთვის 3ბ გვაწვდის ლექციის მოკლე მონახაზს.

მოსწავლეებმა შესაძლოა მოითხოვონ შემდგომი განმარტებები. სხვა შემთხვევაში არ არის მსჯელობის გამართვის აუცილებლობა, ვინაიდან მოსწავლეებს შემდეგ ეტაპზე მოუწევთ ამ სამუშაოს შესრულება.

ეტაპი 4: პარტიები ემზადებიან მოლაპარაკებებისთვის, იმუშავებენ სტრატეგიებს

მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას მიაპყრობს მასალა მოსწავლეებისთვის 3.2–ში მოცემულ გეგმას. მოცემულ გაკვეთილზე პარტიებს ეძლევათ შესაძლებლობა მოლაპარაკებები აწარმოონ ერთმანეთთან. შეუძლიათ მათ შექმნან ალიანსი, კოალიცია? გაიმართება მრგვალი მაგიდის სხდომა, რომელიც ყველა პარტიასა და ინდივიდუალურ მოსწავლეს მისცემს საშუალებას მოილაპარაკონ იმის თაობაზე, თუ რა არის მათთვის საყოველთაო კეთილდღეობა. ამ გაკვეთილის დასკვნით ეტაპზე, მოსწავლეები იმუშავებენ მოლაპარაკებებისთვის საჭირო სტრატეგიებს.

- რომელ მიზნებს მიანიჭებენ ისინი უპირატესობას?
- რომელი პარტიის ან პარტიების წინაშე უნდათ წარსდგნენ ორმხრივი მოლაპარაკებების პირველ რაუნდში?
- დელეგაციის როგორ შემადგენლობაზე შეთანხმდება პარტია?

მოსწავლეები განაახლებენ შიდაპარტიულ მსჯელობებს. ისინი დამოუკიდებლად მუშაობენ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ თავად არ მოითხოვეს მასწავლებლის დახმარება.

გაკვეთილი 3
რა არის საყოველთაო კეთილდღეობა?
თანხმობა უთანხმოების საფუძველზე?

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	მონაწილეობა: მოლაპარაკების წარმოებისთვის საჭირო უნარი. ანალიზი: საერთო მიზნების ანალიზი.
სწავლის მიზანი	პოლიტიკას აქვს ორი განზომილება: პრობლემათა გადაჭრა და ბრძოლა ძალაუფლებისთვის. კომპრომისი საჭიროა მხარდაჭერის მოსაპოვებლად და შეთანხმების მისაღწევად.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები მოლაპარაკების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას.
მასალა და რესურსები	A 4 ფორმატის ფურცლები და მარკერები. რომბისებური განლაგებით ჯგუფური ანალიზისთვის საჭირო სადემონსტრაციო ფურცლები.
მეთოდი	თამაში გადაწყვეტილების მიღებაზე; ინდივიდუალური, ჯგუფური და პლენარული სხდომები.
დროის ბიუჯეტი	ეტაპი 1. მოსწავლეები გამოდიან საკუთარი წინადადებებით. 10 წთ.
	ეტაპი 2. მოსწავლეები მოლაპარაკებებს აწარმოებენ მრგვალი მაგიდის გარშემო. 30 წთ.

ინფორმაცია

წინამდებარე თავში მოცემულია მიზნებზე მოლაპარაკების პროცესის მოდელი. ამ მიზნებს განაპირობებს საყოველთაო კეთილდღეობის საერთო აღქმა. მოცემულ გაკვეთილზე, მოსწავლეების ამოცანას წარმოადგენს ამ მიზნისკენ სწრაფვა. მათ შესაძლოა წარმატებას მიაღწიონ, ან ვერ მიაღწიონ. მათი ძალისხმევა და გამოცდილება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შედეგი.

მასწავლებელი კვლავაც აგრძელებს მოსწავლეების დახმარებას. მაგალითად, იგი მოსწავლეებს აცნობს მოლაპარაკების მოდელს, მაგრამ არ აკეთებს კომენტარს შინაარსზე.

პირველი ეტაპის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ მოსწავლეებს, რომლებიც მარტო აღმოჩნდნენ, ვინაიდან არ გაწევრიანდნენ არც ერთ პარტიაში.

გაკვეთილის აღწერა

შესავალი: მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს დეტალურ ინფორმაციას გაკვეთილის გეგმის შესახებ

მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას მიაპყრობს გაკვეთილის გეგმას (მასალა მოსწავლეებისთვის 3.1) და შეახსენებს მათ თავიანთ ამოცანას. გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლეებმა მოლაპარაკების გზით უნდა შეიმუშაონ პოლიტიკური დღის წესრიგი. დღის წესრიგში რომელი მიზნების შეტანას უჭერენ ისინი მხარს?

ეტაპი1: მოსწავლეები განსაზღვრავენ საკუთარ მიზნებს

მოსწავლეები ირჩევენ დღის წესრიგში შესატან მიზნებს. როგორც პარტიებს, ასევე ინდივიდუალურ მოსწავლეებს შეუძლიათ გააკეთონ განცხადება დღის წესრიგში მათთვის სასურველი მიზნის გათვალისწინების თაობაზე. ამან შესაძლოა „უპარტიო“ მოსწავლეებს მცირედი უპირატესობა მისცეს; მეორე მხრივ, პარტიის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას მაღალი ალბათობა აქვს, მოექცეს დღის წესრიგის სათავეში.

ჯგუფის მიერ არჩეული სპიკერი ან ინდივიდუალური მოსწავლე ამზადებს მოკლე განცხადებას.

მოსწავლეები საკუთარ მიზნებს წერილობითი ფორმით აყალიბებენ ფურცლებზე, მარკერების გამოყენებით.

ეტაპი 2: მოსწავლეები მოლაპარაკებას აწარმოებენ „მრგვალი მაგიდის“ გარშემო

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დროულად შეუდგნენ შემდეგ ეტაპს. მოსწავლეები საკლასო ოთახში განლაგდებიან სკამებზე წრიულად; რაც მაინცდამაინც არ შეესაბამება „მრგვალი მაგიდის“ მეტაფორას, მაგრამ კომუნიკაციის პროცესს უწყობს ხელს. პარტიები, რომლებმაც შექმნეს კოალიციები, განლაგდებიან ერთმანეთის გვერდით.

საფეხური 2.1: მოსწავლეები გამოდიან წინადადებებით

მასწავლებელი გახსნილად აცხადებს მრგვალი მაგიდის მოლაპარაკებებს და ასპარეზს აძლევს პარტიების სპიკერებსა და „უპარტიო“ მოსწავლეებს, გააკეთონ თავიანთი განცხადებები. მასწავლებელი ახსენებს მათ, რომ განცხადება უნდა გააკეთონ იმ ნებისმიერ შეთანხმებაზე, რომელსაც მათ მიაღწიეს და შესთავაზონ თავიანთი გადაწყვეტილება კლასს განსახილველად. ისინი ფურცლებზე დაწერილ მიზნებს იატაკზე ალაგებენ.

საფეხური 2.2: მოსწავლეები აანალიზებენ თავიანთ მიზნებს და განიხილავენ კომპრომისისა და ინტეგრაციის შესაძლებლობებს

მას შემდეგ, რაც ბოლო გამომსვლელი დაასრულებს სიტყვას, მოსწავლეებმა უნდა გამონახონ თავიანთი შემოთავაზებების გაერთიანებისა ან კომპრომისზე წასვლის გზები, რაშიც მათ მასწავლებელი ეხმარება.

- თქვენს მიერ გაკეთებული წინადადებებიდან რომელიმე ესადაგება ერთმანეთს? შესაძლებელია მათი დაჯგუფება?

- რომელი წინადადებები გამორიცხავს ერთიმეორეს? მოსწავლეებს მოუწევთ წინადადებების ყურადღებით შესწავლა. მათ მიერ შემოთავაზებული მიზნებიდან რომელიმე გამორიცხავს მეორეს? თუ მიზნები ერთსა და იმავე განზრახვას ემსახურება, მაგრამ დიდ ძალისხმევას, რესურსებსა და ფინანსებს მოითხოვს?

საფეხური 2.3: მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს მოლაპარაკების მოდელს
მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს მოდელს, რომელიც მათ დაეხმარება საყოველთაო კეთილდღეობის მიზნების შესახებ მოლაპარაკებისთვის პოლიტიკური დღის წესრიგის შედგენაში. A4 ფორმატის დანომრილი ფურცლების გამოყენებით, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ, მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს პირველ მოდელს, რომელიც არის კლასიკური, „რომბისებური განლაგებით“ ჯგუფური ანალიზის მოდელის გამარტივებული ვერსია (მოდელი #3).

ოთხი მიზნის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ერთ მიზანს. ორ მიზანი გადის მეორე კატეგორიაში, ხოლო ერთი მიზანი, რომელიც ნაკლებმნიშვნელოვნად მიიჩნევა, ან რომელიც მოითხოვს სასწრაფოდ იქნეს მიღწეული – მე–3 კატეგორიაში (ან ხდება მისი დღის წესრიგიდან მოხსნა –ამ შემთხვევაში, მასწავლებელი მიზანი #3 –ით აღნიშნულ ფურცელს იღებს სქემიდან).



(1) (2) (3)

სამი ან ოთხი მიზნით წარმოდგენილი ეს შეკვეცილი მოდელი მოითხოვს მოლაპარაკებას, რადგან დიდი რაოდენობით წარმოდგენილ მიზნებზე მოლაპარაკება არ არის დასაშვები. ერთი მხრივ, მცირერიცხოვანი მიზნების განხორციელება შედარებით ადვილია, ვიდრე ისეთი დღის წესრიგის, რომლითაც ყველა კმაყოფილია, მაგრამ მსგავსი დღის წესრიგის შედგენა გაცილებით უფრო დიდ სირთულეს წარმოადგენს (ჩართულობასა და ეფექტურობას შორის არსებული დილემა). მასწავლებელი ამატებს ფურცლებს, რათა მოდელი #1 გადააკეთოს მოდელ #2–ად და #3–ად.

მასწავლებელი ბოლოს აღნიშნავს, რომ ყველა მოდელში უპირატესობა ენიჭება ერთ მიზანს. ასე რომ, სამომავლო, ძირეული არჩევანი უნდა გაკეთდეს ერთ მიზანზე.



საფეხური 2.4: მოსწავლეები აწარმოებენ მოლაპარაკებებს

მოსწავლეებს რამდენიმე საკითხი აქვთ შესათანხმებელი. ამავდროულად, ეს საკითხები ქმნის კომპრომისისა და უმრავლესობის მხარდაჭერის პერსპექტივას.

- რომელ მოდელს ავირჩევთ – რამდენი მიზნის შეტანა გვინდა დღის წესრიგში?
- რომელ მიზანს მივანიჭოთ უპირატესობა?
- შესაძლებელია კი ყველა ერთ მიზანზე შევთანხმდეთ?

- რომელ მიზნებს შევიტანთ დღის წესრიგში? მიზნებს, რომლებიც ერთმანეთს ესადაგება, თუ მიზნებს, რომლებიც ერთმანეთს გამორიცხავს? (პირველი არჩევანი ემსახურება ეფექტურობას, მეორე – ჩართულობას.)

- ჩვენს მიერ შედგენილი დღის წესრიგი მთლიანობაში რეალურია?

ამ ეტაპზე საჭიროა დაკვირვება და ყურადღებით განსჯა. პარტიების მიერ წამოყენებულ მიზნებს ძლიერი მხარდაჭერა აქვთ, მაგრამ სხვებს, შესაძლოა, უკეთესი მოსაზრებები გააჩნდეთ. ამიტომ კითხვა, რომელი მიზანი მიიღებს მეტ მხარდაჭერას, ღიად რჩება.

დღის წესრიგში ისეთი მიზნების შეტანა, რომლებიც ერთმანეთს გამორიცხავს (მაგ. მწვანეები + კონსერვატორები) ტიპურია კოალიციური პარტიების არსებობის ან მრავალპარტიულობის პირობებში. მიზნების რაციონალური მოდელი (სადაც ყველა მიზანს ერთი პარტია განსაზღვრავს) უფრო მეტად იწვევს კონკურენციასა და კონფლიქტს. ამ მოდელებს შორის არჩევანის გაკეთება, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური კულტურის შესახებ არჩევანის გაკეთების ტოლფასია – ვირჩევთ გზას როგორ ვმართოთ პლურალიზმი დემოკრატიულ საზოგადოებაში. მასწავლებელი აკვირდება, როგორ გადაწყვეტილებას იღებენ მოსწავლეები ამ საკითხთან დაკავშირებით და შეხედულებისამებრ ირჩევს, განიხილოს თუ არა მოცემული საკითხი შემაჯამებელ გაკვეთილზე.

მოსწავლეები იატაკზე განლაგებულ ფურცლებს, სადაც მათი მიზნებია დაფიქსირებული, გადაანაწილებენ, რათა შექმნან დღის წესრიგის თავიანთი მოდელი (მისცემენ მას რომბის ან პირამიდის ფორმას). თუ რამდენიმე მოდელი ერთი და იმავე მიზანს შეიცავს, განმეორებადი მიზნები გამოიყენება იმისთვის, რომ მოსწავლეებმა მოდელები ერთმანეთს შეადარონ.

ბოლოს ფურცლები გადააქვთ ფლიპჩარტზე და აძლევენ მას პოსტერის ფორმას. იგი გამოყენებული იქნება შემდეგ გაკვეთილზე.

საფეხური 2.5: კენჭისყრა

შეხვედრის ბოლოს, მოსწავლეები მართავენ კენჭისყრას ხელის აწევით. თუ ისინი დღის წესრიგის ერთ მოდელზე შეთანხმდნენ, მოსალოდნელია ერთსულოვანი ხმის მიცემა.

თუ სახეზეა სხვადასხვა მოდელი, მოსწავლეები კენჭს უყრიან ამ მოდელებს.

ამ შემთხვევაში მასწავლებელი მოსწავლეებს კენჭისყრის შემდეგ პროცედურას სთავაზობს, რომელიც ასევე კენჭისყრის საფუძველზე უნდა იქნეს მიღებული, სანამ გაიმართება კენჭისყრა დღის წესრიგის მოდელზე: თუ რომელიმე მოდელი ხმების 50%–ზე მეტს დააგროვებს, იგი დამტკიცებულია. სხვა შემთხვევაში იმართება კენჭისყრის მეორე რაუნდი, ამჯერად იმ ორ დღის წესრიგზე, რომელმაც ყველაზე მეტი ხმების რაოდენობა დააგროვა. თავის შეკავების შემთხვევათა გათვალისწინებით, მოდელი, რომელიც ხმების უმეტესობას დააგროვებს, დამტკიცებული იქნება.

გაკვეთილი 4
ვმონაწილეობთ პლურალურ, დემოკრატიულ საზოგადოებაში
მოსწავლეები აანალიზებენ საკუთარ გამოცდილებას

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	ანალიზი და მსჯელობა: პიროვნების მოღვაწეობის შედეგთა განსაზღვრა. მეთოდური უნარები: მოკლე განცხადებების გაკეთება, რეაგირება.
სწავლის მიზანი	პლურალიზმი სამართლიანი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს წარმოადგენს. „თანხმობა უთანხმოების საფუძველზე“. ვახორციელებ საკუთარი ინტერესების წამოყენებას ვმონაწილეობ რა დემოკრატიულ საზოგადოებაში.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები იხსენებენ და განიხილავენ საკუთარ გამოცდილებას და აჯამებენ მოცემულ თავში შეძენილ ცოდნას.
მასალა და რესურსები	ფლიპჩარტი და მარკერები, მასალა მოსწავლეებისთვის 2.5 (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია) და 2.6 (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია).
მეთოდი	„სიჩუმის კედელი“. ინდივიდუალური სამუშაო, პრეზენტაცია და განხილვა. ბლიც რაუნდი.
დროის ბიუჯეტი	ეტაპი 1. მოსწავლეები იხსენებენ საკუთარ გამოცდილებას („სიჩუმის კედელი“). 20 წთ. ეტაპი 2. შემდგომი განხილვა. 15 წთ. ეტაპი 3. მოსწავლეები რეაგირებენ. 5 წთ.

ინფორმაცია

შეჯამება წარმოადგენს კონსტრუქტივისტული სწავლის ელემენტს. მოსწავლეები აყალიბებენ საკუთარ თვალსაზრისს და უზიარებენ მათ ერთმანეთს. მასწავლებლის ფუნქციას შეადგენს მათთვის სათანადო მეთოდების ფორმატისა და გეგმის მიწოდება. ეს არის ადამიანის უფლებების საშუალებით განხორციელებული სწავლება: მოსწავლეები სარგებლობენ აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით. დადგენილი ფორმატი ყველა მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს გაკვეთილის მსვლელობაში. სხვა შემთხვევაში მასწავლებლის მიერ შერჩეულ მეთოდები, სწავლის სხვადასხვა ტიპზე სხვადასხვანაირად აისახება და ეს შესაძლებლობებიც ვერ იქნება თანაბარი.

მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ახსნა–განმარტებების მიცემას მცირე დრო ეთმობა. თუმცა მასწავლებელი წამყვან როლს ასრულებს გაკვეთილის მსვლელობისას, ადგენს რა გაკვეთილის ფორმატსა და გეგმას. ისევე როგორც სხვა თავებში, მოსწავლეები აწყდებიან პარადოქსს, რომ თავისუფლება არა მარტო გულისხმობს მკაცრი წესებისა და ხელმძღვანელობის არსებობას, არამედ, რიგ შემთხვევაში, მოითხოვს კიდეც მათ.

გაკვეთილის აღწერა

მზადება გაკვეთილისთვის:

პოლიტიკური დღის წესრიგის მოდელები, რომელსაც მოსწავლეებმა ხმა მისცეს გასულ გაკვეთილზე, თვალსაჩინოდაა გამოფენილი.

ოთხი ფლიპჩარტი („სიჩუმის კედელი“) საკლასო ოთახის კედლებზეა გაკრული, იქვე გამზადებული სხვადასხვა ფერის 2–3 მარკერით. ფლიპჩარტებთან მისასვლელი თავისუფალი უნდა იყოს, წინ ნახევარწრეზე განლაგებული 5–6 სკამით. შესაძლებელია, ფლიპჩარტების განთავსება ერთმანეთთან შეტყუპებულ 2–3 მერხზე.

მასწავლებელს ფლიფჩარტები გამზადებული აქვს გაკვეთილის დაწყებამდე, მათზე დატანილი ძირითადი კითხვებით (იხ. ქვევით). ასევე მზადყოფნაშია დამატებითი ფლიპჩარტები, იმ შემთხვევისთვის, თუ მოსწავლეებს დასჭირდებათ მათი გამოყენება.

მოსწავლეების განლაგება ხელს უწყობს მათ შორის კომუნიკაციას. მოსწავლეების სახით დაფისკენ განლაგება არაპროდუქტიული იქნება. ისინი სხდებიან წრეზე ან მერხების გარშემო – რომელი ვარიანტიც უმჯობესი იქნება ფლიპჩარტებზე სამუშაოდ.

ეტაპი 1: მოსწავლეები აჯამებენ საკუთარ გამოცდილებას („სიჩუმის კედელი“)

საფეხური 1.1: მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, როგორ გამოიყენონ „სიჩუმის კედელი“[10]

მოსწავლეები და მასწავლებელი სხდებიან. მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს გაკვეთილის თემას, რომელიც მოცემულია მასალა მოსწავლეებისთვის 3.2 –ში წარმოდგენილ გეგმაში – შეჯამება და გამოცდილების გახსენება, ახალი ინფორმაციისა და ახალ ამოცანაზე მუშაობის ნაცვლად. შემაჯამებელ ეტაპზე, მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ, ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი მოსაზრებები და გამართონ მათზე მსჯელობა.

მასწავლებელი მათ აცნობს „სიჩუმის კედლის“ მეთოდს და უხსნის, რატომ იქნა შერჩეული ეს მეთოდი: ეს მეთოდი გვეხმარება გამოცდილების შეჯამებაში და მოსწავლეებს აძლევს საკმაო დროს როგორც ფიქრისთვის, ასევე ერთმანეთთან კომუნიკაციისთვის.

მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს ოთხ პოსტერზე – ოთხი „სიჩუმის კედელი“:

- **პლურალიზმი**

  პლურალიზმის რა გამოცდილება მივიღე?

- **თანხმობა უთანხმოების საფუძველზე?**

  საყოველთაო კეთილდღეობის განსაზღვრისას რა განაპირობებს შეთანხმების მიღწევა - არმიღწევას?

- **ძალაუფლების სხვადასხვაგვარი გადანაწილება**

  რას ვგრძნობთ, როდესაც წარმოვადგენთ ძლიერ ან სუსტ მხარეს?

---

[10] ეს მეთოდი არის სავარჯიშო 7.1–ის ვარიაცია, „სიჩუმის კედელი“ *დემოკრატიის სწავლება*: სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წიგნი VI: ევროპის საბჭოს გამომცემლობა, სტრასბურგი 2008, გვ 62.

– **ადამიანის უფლებები**

ადამიანის რომელი უფლებით ვისარგებლეთ მოცემულ გაკვეთილებზე? (მოსწავლეები სარგებლობენ მასალა მოსწავლეებისთვის 2.5, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და მასალა მოსწავლეებისთვის 2.6, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია)

მითითებები:

– დავალების შესრულების დროს უნდა იყოს სრული სიჩუმე – ამას გულისხმობს სავარჯიშოს სახელწოდება „სიჩუმის კედელი“. დისკუსია მიმდინარეობს წერილობითი ფორმით.

– ყოველი მოსწავლე აკეთებს მისთვის სასურველი ოდენობის ჩანაწერს.

– მინიმუმი მოთხოვნა: ორ–ორი ჩანაწერი „სიჩუმის კედლის“ ორ სხვადასხვა ფლიპჩარტზე.

– მოსწავლეებს შეუძლიათ პასუხი გასცენ დასმულ შეკითხვებს ან კომენტარი გააკეთონ სხვა მოსწავლეების მიერ შესრულებულ ჩანაწერებზე. ისრების, ხაზების და სიმბოლოების გამოყენება დასაშვებია.

– მოსწავლეებს შეუძლიათ პოსტერიდან პოსტერზე გადაინაცვლონ ან დარჩნენ ერთ პოსტერთან.

საფეხური 1.2: მოსწავლეები საკუთარი მოსაზრებების შესახებ ჩანაწერებს აკეთებენ „სიჩუმის კედლებზე“.

მოსწავლეები შემაჯამებელ სავარჯიშოს ასრულებენ მითითებების შესაბამისად. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს ფლიპჩარტებზე მოსწავლეების მიერ ჩანაწერების გაკეთებას და აზრთა გაცვლა–გამოცვლას, მაგრამ არ მონაწილეობს ამ პროცესში. მასწავლებლის მოთხოვნაა, ყველამ ზედმიწევნით დაიცვას სიჩუმის დაურღვევლობის წესი.

ეს ეტაპი გრძელდება 10–15 წთ.

ეტაპი 2: შემდგომი განხილვა

მასწავლებელი მოუწოდებს მოსწავლეებს დაიკავონ საკუთარი ადგილები (მოსწავლეები სხდებიან წრიული განლაგებით) და ამცნობს მათ შემდეგ ეტაპზე გადასვლას: შემდგომი განხილვა, რომელიც წარმოებს მასწავლებლის თავმჯდომარეობით.

პირველ რიგში, მოსწავლეები უნდა შეთანხმდნენ იმ თემების თაობაზე, რომლის განხილვაც სურთ. მასწავლებელი ახსენებს მათ, რომ არჩევანი უნდა გაკეთდეს დადგენილ დროში. ამის გამო შეჩერება შეიძლება მხოლოდ ერთ ან ორ „სიჩუმის კედელზე“, ნაცვლად იმისა, რომ მოხდეს ოთხივე „სიჩუმის კედლის“ მოკლე განხილვა, მაგრამ ამის შესახებ გადაწყვეტილებას მოსწავლეები იღებენ.

ამგვარი განხილვა კონსტრუქტივისტული სწავლის ელემენტებს მოიცავს. მასწავლებელი წინასწარ ვერ განჭვრეტს, როგორი მსჯელობა გაიმართება მოსწავლეებს შორის და არც არის ამის აუცილებლობა. მასწავლებლის ამოცანაა, სისტემაში მოიყვანოს მოსწავლეთა მიერ წარმოებული განხილვა.[11]

ეტაპი 3: რეაგირება („ბლიც რაუნდი“)

მასწავლებელი განხილვას დასრულებულად აცხადებს და, ამრიგად, მოსწავლეები გადადიან გაკვეთილის ბოლო ეტაპზე. მეთოდი გულისხმობს ბლიც–განცხადებების რაუნდს. ყოველი მოსწავლე ასრულებს შემდეგ წინადადებას:

[11] იხ. თავი კონსტრუქტივისტული სწავლის შესახებ შესავალში.

„ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი, რაც ამ თავში შევისწავლე, არის...“

ყველა მოსწავლე, რიგრიგობით აკეთებს მოკლე განცხადებას, რომელიც 1–2 წინადადებას არ აღემატება. კომენტარისგან ყველა თავს იკავებს. მოსწავლეებს შეუძლიათ, გაიმეორონ ერთმანეთის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ან მეტი დამაჯერებლობით გამოხატონ ისინი.

ეს ეტაპი მოსწავლეების ცოდნის განმტკიცებას უწყობს ხელს და მასწავლებელს აწვდის მოცემული თავის შეფასებისთვის საჭირო მასალას. როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებელს ებადებათ მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ როგორ დაგეგმონ და წარმართონ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების შემდგომი პროცესი (კავშირი სახელმძღვანელოს სხვა თავებთან, დამატებითი სამუშაოები).

მასალა მასწავლებლებისთვის 3ა

ოთხი ძირითადი პოლიტიკური ხედვა

✂

ლიბერალური ხედვა: ინდივიდუალური თავისუფლება უპირველეს ყოვლისა

- ძირითადი პრინციპები: პირადი თავისუფლება და პასუხისმგებლობა.
- ადამიანისა და სამოქალაქო უფლებების დაცვა.
- თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენცია, როგორც პროგრესის, მოდერნიზაციისა და კეთილდღეობის ხელშეწყობის მამოძრავებელი ძალა.
- კაპიტალიზმი საუკეთესოდ მოქმედებს კონტროლის გარეშე.
- ძლიერი მაგრამ კანონის უზენაესობის პრინციპით მართული სახელმწიფო.
- უხვი სოცუზრუნველყოფა ადამიანებს სიზარმაცისკენ უბიძგებს.
- ადამიანის მიერ გაღებული ძალისხმევა და მისი წარმატება თავის შედეგს – მოგებას იძლევა – არ არის საჭირო მაღალი საშემოსავლო გადასახადი და მაღალი გადასახადი მოგებაზე.

ლოზუნგი: „არ არსებობს თავისუფლება რისკის გარეშე“.

✂

სოციალ–დემოკრატიული ხედვა: თანასწორობა უპირველეს ყოვლისა

- ძირითადი პრინციპები: თანასწორობა, სოლიდარობა, სოციალური უსაფრთხოება.
- სუსტების, ღარიბებისა და ნაკლებ პრივილეგირებულთა დაცვა.
- კონტროლის გარეშე კაპიტალიზმი აღრმავებს სოციალურ უთანასწორობას. კაპიტალიზმს ალტერნატივა არა აქვს, მაგრამ საჭიროა მისი შედეგების კონტროლი და კორექტირება პოლიტიკური საშუალებებით.
- გვჭირდება სოციალური უსაფრთხოების სისტემა, რომელიც იზრუნებს ჩვენს ოჯახებზე, ინვალიდებზე, ავადმყოფებზე, მოხუცებზე, უმუშევრებსა და ღარიბებზე.
- სოლიდარობა ნიშნავს ძლიერის მიერ სუსტისთვის დახმარების გაწევას.

ლოზუნგი: „ძალა ერთობაშია“

✂

კონსერვატიული ხედვა: უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა

- ძირითადი პრინციპები: უსაფრთხოება და სტაბილურობა.
- ძლიერი სახელმწიფო არის გარანტი იმისა, რომ ქვეყანა დაცული იქნება საფრთხისგან და საშიშროებისგან.

- სახელმწიფოს ძლიერებას განაპირობებს თანამედროვე ძლიერი ეკონომიკა.
- უნდა ვეცადოთ თავიდან ავირიდოთ სოციალური უთანასწორობის გაღრმავება.
- ოჯახი განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს.
- მოქალაქემ სახელმწიფოს დახმარებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიმართოს, თუ მას არ შესწევს ძალა, თავად გაუმკლავდეს მის წინ მდგარ პრობლემებს.

ლოზუნგი: „ძლიერი ეკონომიკა – ძლიერი სახელმწიფო“

✂

მწვანეთა ხედვა: გარემოს დაცვა უპირველეს ყოვლისა

- ძირითადი პრინციპები: ბუნებრივი გარემოს დაცვა, პასუხისმგებლობა მომავალი თაობის წინაშე.
- ჩვენი დღევანდელი ცხოვრების სტილი – ეკონომიკის ზრდასა და წიაღისეული საწვავის მოხმარებაზე ორიენტირებული, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩვენს მომავალს.
- საჭიროა საერთაშორისო შეთანხმებები, რათა გარემოს დაცვა გლობალურ დონეზე განხორციელდეს.
- ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მომავალი თაობისა და მთლიანად ჩვენი პლანეტის წინაშე.
- ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში სულ მცირე ცვლილებებსაც კი დიდი სხვაობის მოტანა შეუძლია.

ლოზუნგი: „ფული არ იჭმევა“

მასალა მასწავლებლებისთვის 3ბ

ლექცია: რა არის საყოველთაო კეთილდღეობა?

წინამდებარე მონახაზში აღწერილია ანალიზის ძირითადი პრინციპები. მასწავლებელმა ლექცია უნდა მოარგოს მოსწავლეთა სწავლის პროცესის მოთხოვნებს და მოცემული თავის კონტექსტს.

დემოკრატიულ საზოგადოებაში მიჩნეულია, რომ დანამდვილებით არავინ იცის, რა წარმოადგენს საყოველთაო კეთილდღეობას და, აქედან გამომდინარე, საჭიროა ერთობლივად იქნეს მიღებული გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რა არის საუკეთესო ჩვენი საზოგადოებისთვის. დიქტატორულ საზოგადოებაში რეჟიმი განსაზღვრავს, რა არის საყოველთაო კეთილდღეობა – ეს არის ერთ–ერთი იმ განსხვავებათაგანი, რომელიც არსებობს დემოკრატიასა და დიქტატურას შორის.[12]

ყველას შეუძლია მიიღოს და იღებს კიდეც მონაწილეობას საყოველთაო კეთილდღეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში: პოლიტიკურ პარტიებს, დაინტერესებულ ჯგუფებს, მედიას, პოლიტიკოსებს და ინდივიდუალურ მოქალაქეებს. არსებითად, ამას გულისხმობს დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობა – კამათი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, რა არის უმჯობესი ქვეყნისთვის (ან მსოფლიოსთვის) და როგორ შეიძლება მიღწეულ იქნეს ეს მიზანი.

სახელმძღვანელოს მოცემული თავი გვთავაზობს ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ძალიან გამარტივებულ მოდელს. პროცესი იწყება იმით, რომ თქვენ საზოგადოებას სთავაზობთ საკუთარ მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რა წარმოადგენს საყოველთაო კეთილდღეობას – როდესაც ქვეყნის ლიდერის როლში ფიქრობთ თქვენს პრიორიტეტებზე, თქვენ ფიქრობთ, რა არის საყოველთაო კეთილდღეობა. შემდეგ თქვენ პარტიების შექმნას იწყებთ.



შემდეგ გაკვეთილზე თქვენ ერთმანეთში აწარმოებთ მოლაპარაკებებს, რათა გაარკვიოთ შეგიძლიათ თუ არა უმრავლესობაში აღმოჩნდეთ საყოველთაო კეთილდღეობის შესახებ დროებითი გადაწყვეტილების მიღებისას.

[12] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 3.6

მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია, თუ როგორ მიმდინარეობს მსგავსი გადაწყვეტილების მიღების პროცესი. წარმოვიდგინოთ, რომ მიმდინარეობს ორი ძირითადი მიზნის განხილვა, მიზანი A და მიზანი B (მათი დაკავშირება შესაძლებელია პარტიების მიერ წამოყენებულ კონკრეტულ მიზნებთან).

წყვეტილი ხაზით გამოსახული სამი ისარი მიანიშნებს იმ საბოლოო არჩევანზე, რომელსაც პარტიები უჭერენ მხარს – ზოგი პრიორიტეტს ანიჭებს მიზან A–ს (AAB ვარიანტი) და ზოგი მიზან B–ს (ვარიანტიBBA). ეს კომპრომისის სხვადასხვაობაა. თითოეული პარტია მხარს უჭერს გარკვეულ დღის წესრიგს, რომელიც საზოგადოების განსაზღვრული ჯგუფის ინტერესებს გამოხატავს და, ამავდროულად, მზად არის, გაითვალისწინოს მეორე მხარის ინტერესები.

პარტიები, აქედან გამომდინარე, ცდილობენ საკუთარი მიმართულებით მოახდინონ ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე – პარტიები a1 და a2 მიისწრაფვიან მიზნისკენ AAB, ხოლო პარტიები b1 და b2 საწინააღმდეგო მიმართულებით, მიზნისკენ BBA.

რომელი არჩევანია საუკეთესო საყოველთაო კეთილდღეობის თვალსაზრისით: AAB თუ BBA? თუ საუკეთესო ვარიანტი იქნება შუალედური AB მიზანი? გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული. პარტიები მიდიან მოლაპარაკებაზე და ცდილობენ გამონახონ კომპრომისი, რომელზეც ყველა მხარე თანახმა იქნება და, აქედან გამომდინარე, ექნებათ ერთმანეთის მხარდაჭერა. დემოკრატიულ საზოგადოებაში ძალაუფლების მოპოვება გულისხმობს კომპრომისს. გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება უმრავლესობის ხელშია. უმცირესობასა და ინდივიდუალურ პირებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილებაზე, თუ ისინი ძლიერ არგუმენტებსა და სათანადო რესურსებს ფლობენ.

ამ გზით მიღებული გადაწყვეტილებები პერმანენტულად წარმოადგენს კრიტიკის საგანს. გადაწყვეტილება შეიძლება არც კი ემსახუროს საყოველთაო კეთილდღეობას. გარემოებები შეიძლება შეიცვალოს. სათანადო არგუმენტაციებისა და დასაბუთების მეშვეობით შესაძლებელია უმრავლესობის დარწმუნება იმაში, რომ შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება. დემოკრატიული საზოგადოება არის საზოგადოება, რომელიც მუდმივად სწავლის პროცესშია.

დამატებითი ინფორმაცია (ეს ნაწილი მოსწავლეებს შეიძლება მივაწოდოთ ცალკე დამოუკიდებელი სახით)

სარგებლობენ რა აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით, ინდივიდუალური მოქალაქეები ქმნიან ქვეყნის კეთილდღეობის შესახებ ინდივიდუალურ მოსაზრებათა ძალიან მრავალფეროვან სპექტრს. მოქალაქეებს საკუთარი მიზნების განხორციელების სურვილი ამოძრავებთ, როდესაც ისინი უერთდებიან ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა პარტიები, დაინტერესებული ჯგუფები და ა.შ. ეს არის ორგანიზებული პლურალიზმი (იხ. a1, a2, b1, b2 დიაგრამაზე).

პლურალიზმი შობს კონკურენციას ძალაუფლებისა და პოლიტიკური გავლენის მოპოვებისთვის. გადაწყვეტილება მოითხოვს ზოგიერთი მიზნისა და ინტერესისთვის პრიორიტეტის მინიჭებას სხვა მიზნებსა და ინტერესებზე უარის თქმის ხარჯზე. კომპრომისი ზოგჯერ აუცილებელია, რათა მოიპოვო საჭირო უმრავლესობის მხარდაჭერა.

მოქალაქეები, რომლებიც არ მონაწილეობენ ამ პროცესებში, ხმამაღლა არ გამოთქვამენ საკუთარ ინტერესებსა და მოსაზრებებს, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობა ყველას ინტერესში შედის.

მასალა მასწავლებლებისთვის 3 გ: რჩევები შემდგომი დავალებებისთვის

1. როგორ რეაგირებენ პარტიები სოციალურ განხეთქილებაზე?

მასალა მოსწავლეებისთვის 3.5 და განხილვა

– რა განხეთქილებები არსებობს ჩვენს საზოგადოებაში?

– როგორ რეაგირებენ ჩვენს ქვეყანაში პარტიები ამ განხეთქილებებზე?

– რა გადაწყვეტილებები იქნა მიღებული და რა დათმობები გაკეთდა?

2. პლურალიზმი

– რომელი დაინტერესებული ჯგუფები და არასამთავრობო ორგანიზაციები მონაწილეობენ პოლიტიკაში?

– რომელი ინტერესებია კარგად ორგანიზებული და რომელი - არა?

3. კომპრომისი

დემოკრატიულ საზოგადოებაში, პლურალიზმი წარმოშობს კომპრომისის აუცილებლობას. ამის თაობაზე განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს:

1. პროცესში მონაწილე ინდივიდუალური პირის თვალსაზრისით: ძალაუფლების მოსაპოვებლად საჭიროა კომპრომისი. უარი უნდა თქვა და უნდა დათმო შენთვის ყველაზე პრიორიტეტული ინტერესები და ეცადო გაიტანო ინტერესები, რომლებიც შენს დღის წესრიგში მეორე ადგილზეა.

2. ზოგადი თვალსაზრისით: პლურალიზმი კონკურენციის საფუძველს წარმოადგენს; პროცესში მონაწილეები მუდმივად აკონტროლებენ ერთმანეთს და ცდილობენ არ დაუშვან, რომ რომელიმეს ხელში აღმოჩნდეს ძირითადი ძალაუფლება. პლურალიზმს საზოგადოებაზე იგივე გავლენა აქვს, რაც კონტროლისა და გაწონასწორების პრინციპებს კონსტიტუციაზე.

3. შედეგების თვალსაზრისით: პლურალიზმი შობს კომპრომისის აუცილებლობას. გადაწყვეტილებები, რომლებიც ერთმანეთს გამორიცხავს, ძალიან იშვიათია. ეს ხელს უწყობს სოციალურ ერთობას.

– ამ თვალსაზრისთაგან რომელი შეესაბამება შენს ქვეყანაში არსებულ სიტუაციას, მაგ. შესასწავლი ნიმუში?

4. დემოკრატიისა და დიქტატურის შედარება

მასალა მოსწავლეებისთვის 3.4

– ინტერესთა და თვალსაზრისთა მრავალფეროვნებას როგორ უმკლავდება დემოკრატია და როგორ - დიქტატურა?

– რა გადაწყვეტილებებს იღებს თითოეული ამ რეჟიმთაგანი? (კრიტერიუმები შედარებისთვის: ინტერესთა გათვალისწინება, ქმედითუნარიანობა, კრიტიკა, მედიის როლი.)

5. პოლიტიკის ორი განზომილება

მაქს ვებერი:[13]

1. „პოლიტიკა შეიძლება შევადაროთ სქელი ფიცრის ბურღვის ნელ და მტკიცე პროცესს, როგორც ენთუზიაზმის, ასევე გათვლების სისწორის თვალსაზრისით“.

2. „ის, რაც აქტიურია პოლიტიკაში, მიისწრაფის ძალაუფლებისაკენ“

– როგორ დავინახეთ პოლიტიკის ეს ორი განზომილება განვლილ თავში?

– როგორ ახორციელებენ ამ ორი განზომილების ბალანსს პოლიტიკოსები ჩვენს ქვეყანაში?

[13] მაქს ვებერი, „პოლიტიკა, როგორც მოწოდება და ხელობა“, გვ 2, 34 (www.sscnet.ucla.edu/polisci/ethos/Weber-vocation.pdf); ციტატები გადაკეთებულია ავტორის მიერ.

ნაწილი 2

მონაწილეობა პოლიტიკაში:
კონფლიქტის მოგვარება,
პრობლემის გადაჭრა

თავი 4: კონფლიქტი
თევზჭერის კონფლიქტი
როგორ გადავწყვიტოთ მდგრადი განვითარების დილემა?

თავი 5: წესები და კანონი
რომელი წესები მოქმედებს ჩვენს სასარგებლოდ?
თამაში გადაწყვეტილების მიღებაზე

თავი 6: მთავრობა და პოლიტიკა
პოლიტიკური ციკლის მოდელი
როგორ აგვარებს დემოკრატიული საზოგადოება მის წინაშე მდგარ პრობლემებს?

თავი 7: თანასწორობა
მაჟორიტარული წესი – სამართლიანია?
როგორ მოვაგვაროთ უმრავლესობა–უმცირესობის პრობლემა
დემოკრატიულ საზოგადოებაში?

თავი 4
კონფლიქტი
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის

თევზჭერის კონფლიქტი
როგორ გადავწყვიტოთ
მდგრადი განვითარების დილემა?

4.1 თევზჭერის თამაში (1)

4.2 თევზჭერის თამაში (2)

4.3 როგორ დავიჭიროთ „რაც შეიძლება მეტი თევზი“?

დეტალური მოხსენებები და შეჯამება

4.4 როგორ უზრუნველვყოთ მდგრადი განვითარება?

მიზნების დარეგულირებისა და კონფლიქტის დაძლევის გზები

თავი 4
კონფლიქტი
თევზჭერის კონფლიქტი
როგორ გადავწყვიტოთ
მდგრადი განვითარების დილემა?

წინასიტყვაობა მასწავლებლებისათვის

1. რაზეა საუბარი ამ თავში?

მოცემულ თავში საუბარია საერთო რესურსების მართვის პრობლემაზე. იმ შემთხვევაში, თუ პირები, რომლებიც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობენ, კომპანიები და მოქალაქეები ვერ გადაჭრიან ამგვარ პრობლემებს, ამან შეიძლება სერიოზულ კონფლიქტი და ომიც კი გამოიწვიოს.

ამ საკითხის თვალსაჩინოებისთვის, წარმოვიდგინოთ შემდეგი სიტუაცია ყოველდღიური ცხოვრებიდან: კინოთეატრში, რომელიც სავსეა მაყურებლებით, დაბალი სიმაღლის ადამიანის მხედველობის არე შეზღუდულია, რადგან მის წინ მაღალი, 1.90 მეტრი სიმაღლის ადამიანი ზის. დაბალი ადამიანი ფეხზე დგება. მაგრამ ამჯერად მხედველობის არე ეზღუდება სხვა მაყურებელს, ასე რომ, ისინიც ფეხზე დგებიან. საბოლოოდ, კინოთეატრში ყველა მაყურებელი ფეხზე დგას, მაგრამ მხედველობის არე ისევ ყველასთვის შეზღუდულია, უფრო მეტიც, მათ დისკომფორტს ისიც დაემატა, რომ სკამებზე კომფორტულად ჯდომის ნაცვლად, მათ ახლა ფეხზე მდგომთ უწევთ ფილმის ყურება. სინამდვილეში, სიტუაცია ამჯერად უფრო უსამართლოა ვიდრე მანამდე, რადგან დაბალ ადამიანებს არაფრის დანახვა აღარ შეუძლიათ.

ამ მაგალითს ბევრი საერთო აქვს რესურსების მართვის „დიდ“ პრობლემასთან, როგორიცაა, მაგალითად ჭარბი რაოდენობით თევზჭერის პრობლემა. ამგვარი პრობლემების გადაჭრა რთულია, ვინაიდან მათ ორი განზომილება გააჩნიათ, როგორც კინოთეატრის მაგალითი გვიჩვენებს:

1. რა წესი სჭირდებათ მაყურებლებს იმისთვის, რომ არავის მხედველობის არე არ იყოს შეზღუდული?
   (საკითხი.)

2. როგორ უნდა მოხდეს ამ წესის გატარება, თუ მას რომელიმე მაყურებელი დაარღვევს?
   (ინსტიტუციური განზომილება)

ჭარბი რაოდენობით თევზჭერის გარდა, რესურსების მართვის „დიდი“ პრობლემის მაგალითებია: გლობალური დათბობა, ბირთვული ნარჩენების თავიდან მოშორება და მიწისქვეშა წყლის რესურსის ჭარბი რაოდენობით მოხმარება. მსგავს პრობლემებში ძალიან ბევრი მხარის ინტერესებია ჩართული (საკითხის განზომილება). გლობალურ დონეზე, არ არსებობს ზესახელმწიფო, რომელსაც ექნება უფლება სუვერენულ სახელმწიფოს დაუდგინოს წესი (ინსტიტუციური განზომილება). მაგრამ ისეთი პრობლემები, როგორიცაა გლობალური დათბობა და კლიმატის ცვლილება დღითიდღე მძაფრდება და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურმა ლიდერებმა და მოქალაქეებმა, მსოფლიო მასშტაბით, ძალისხმევა უნდა მოიკრიბონ, რათა მიაგნონ გამოსავალს.

თევზჭერის თამაშში მოყვანილია ჭარბი რაოდენობით თევზჭერის პრობლემა, მდგრადი განვითარების საკითხთან მიმართებაში, პრობლემის პირველი განზომილება. ინსტიტუციური განზომილების დამატებით, ამოცანა მოსწავლეებისთვის ზედმეტად გართულდებოდა; თუმცა, ინსტიტუციურ განზომილებას შეიძლება შევეხოთ, თუ თევზჭერის თამაშს გავავრცობთ და დავუკავშირებთ მას მეხუთე თავს. ამ არჩევანის გაკეთების შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მეხუთე თავის წინასიტყვაობა.

2. თევზჭერის თამაში

თევზჭერის თამაში ამ თავის ძირითადი ამოცანაა, სადაც პრაქტიკული სწავლის მიდგომაა გამოყენებული. მოსწავლეების წინაშე დგას პრობლემა და მათ უნდა მოახერხონ ამ პრობლემის გადაჭრა შეზღუდულ დროში, როგორც ეს ხშირად ხდება რეალურ ცხოვრებაში. მოსწავლეებს მე–3 და მე–4 გაკვეთილებზე მოუწევთ საკუთარი გამოცდილების შეჯამება.

თევზჭერის თამაშის დროს, მოსწავლეების წინაშე დგას საერთო რესურსების მართვის პრობლემა. თამაშის სცენარი მარტივია. მოსწავლეები იყოფიან ოთხ ჯგუფად და ასრულებენ მეთევზეთა როლს, რომლებიც ტბის განაპირა სოფლებში ცხოვრობენ. ტბაში არსებული თევზის მარაგი მათი საერთო რესურსი და შემოსავლის ერთადერთი წყაროა. მოსწავლეები მყისვე ხვდებიან, რომ მათ საერთო ინტერესში შედის ჭარბი რაოდენობით თევზჭერის თავიდან არიდება.

თუმცა სოფლებში არ მოქმედებს არანაირი წესი, არ არსებობს არანაირი დაწესებულება, მაგალითად მეთევზეთა საზოგადოების საბჭო, სადაც მხარეებს საშუალება ექნებათ ისაუბრონ და განიხილონ მათი საერთო პრობლემა. მეთევზეებისთვის ისიც კი არ არის ცნობილი, რა რაოდენობის თევზის დაჭერა შეუძლიათ მათ ისე, რომ არ ავნონ ტბაში თევზის პოპულაციის რეპროდუქციას. მოსწავლეთა ამოცანას წარმოადგენს, გაანალიზონ ყველა ეს პრობლემა და მიიღონ შესაბამისი ზომები პრობლემების გადასაჭრელად.

მასწავლებელი უძღვება თამაშს. თამაშის დაწყებამდე, მონაწილეები მიიღებენ ორაზროვან ინსტრუქციას: „დაიჭირეთ იმდენი თევზი, რამდენიც შეგიძლიათ.“ ეს ინსტრუქცია ორნაირად შეიძლება იქნეს გაგებული:

- „როგორც ცალკე გუნდმა – მაქსიმალურად გაზარდეთ თქვენი შემოსავალი.“ (მოკლევადიანი მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფა.)

- „როგორც საზოგადოებამ – დაიჭირე იმდენი თევზი რამდენიც შეგიძლია, ისე რომ მომალავშიც შეძლო სარგებელი მიიღო იგივე საქმიანობით.“ (გრძელვადიანი მდგრადი განვითარება.)

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეები მოკლევადიანი მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფაზე იწყებენ ზრუნვას. ზოგიერთი ჯგუფი ნაკლებ თევზს იჭერს და მალევე აღმოაჩენს, რომ ისინი არამარტო ღარიბდებიან, არამედ არაკოორდინირებული ძალისხმევით, თევზის პოპულაციის გადარჩენასაც ვერ ახერხებენ. სცენარი სწრაფად ვითარდება და ტბაში არსებული თევზის მარაგი ამოწურვის საფრთხის წინაშეა, უთანასწორობა მდიდარსა და ღარიბ სოფლებს შორის ღრმავდება. თამაშში მონაწილე მოსწავლეებს ენთუზიაზმი უღვივდებათ, ვინაიდან დასაწყის ეტაპზე იკვეთება წარმატებულები და წარუმატებლები, სანამ საბოლოოდ ყველა სიღატაკეში არ აღმოჩნდება ჩაფლული.

მოსწავლეები საფრთხის წინაშე არიან:

- მათ ერთობლივი ძალისხმევა სჭირდებათ პრობლემის მოსაგვარებლად.

- მათ შორის უნდა შედგეს კომუნიკაცია.

- მათ უნდა მოიპოვონ ინფორმაცია თევზის პოპულაციის რეპროდუქციის შესახებ და შეიმუშავონ თევზჭერის სამომავლო განვითარებისთვის საჭირო სქემა.

- მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ მათ სჭირდებათ ინსტიტუციური სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს კონტროლს, რათა მათ მიერ თევზის პოპულაციის გადასარჩენად შეთანხმებული წესები ყველამ ზედმიწევნით დაიცვას.

- და ბოლოს, ისინი უნდა შეთანხმდნენ დაჭერილი თევზის რაოდენობის სამართლიანად განაწილების წესზე.

თევზჭერის თამაშის დროს, რაც არ უნდა მარტივი ჩანდეს იგი თავისი სიუჟეტით, მოსწავლეები წვდებიან 21–ე საუკუნის გლობალური საკითხების სიღრმეებს. მოსწავლეები, ასევე, გამოცდილებით ეცნობიან, თუ რას გულისხმობს პოლიტიკა – ისეთი მწვავე პრობლემების გადაჭრას, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებას და ზოგჯერ მთელ კაცობრიობას.

3. შეჯამება

მოსწავლეებმა შეიძლება წარმატებით გაართვან თავი ზოგიერთი იმ პრობლემის მოგვარებას, რომელიც მათ წინაშე დგას, შეიძლება წარუმატებლობა განიცადონ. შემაჯამებელ ეტაპზე მოსწავლეებმა აუცილებელია შეიტყონ, რომ ამგვარი წარუმატებლობა მათში სირცხვილის გრძნობას არ უნდა იწვევდეს. ჯერ ერთი, რეალურ ცხოვრებაში, წარუმატებლობა უფრო ხშირია, ვიდრე წარმატება, და მეორე, თევზჭერის თამაშში მონაწილეობით, ისინი სასკოლო დავალებას კი არ ასრულებენ, არამედ რთული პოლიტიკური პრობლემის გადაჭრას ცდილობენ. წინასწარ არავინ იცის, რომელია პოლიტიკური პრობლემის მართებული გადაჭრის გზა; ჩვენ უნდა შევეცადოთ, მოვნახოთ ეს გზა.

თევზჭერის თამაშის პროცესში, მოსწავლეებს უჩნდებათ მთელი რიგი კითხვები, რომელთაგანაც ზოგიერთი მდგრადი განვითარების მოდელს უკავშირდება (მასალა მოსწავლეებისთვის 4.2):

- რა არის თევჭერის ოპტიმალური დონე, რომელიც უზრუნველყოფს თევზის მდგრად რეპროდუქციას?

- როგორ დავრწმუნდეთ, რომ წარმოების მაქსიმალურ მოცულობა (ეკონომიკური ზრდის მიზანი) და ტბაში თევზის პოპულაციის დაცვა (გარემოს დაცვის მიზანი) მუდმივად გასტანს, მომავალშიც შენარჩუნდება?

- როგორ უნდა განხორციელდეს სამუშაოსა და მიღებული ნაწარმის სამართლიანი განაწილება მეთევზეთა საზოგადოებაში ოთხ სოფელს შორის?



მდგრადი განვითარების მოდელი (მასალა მოსწავლეებისთვის 4.2)

მდგრადი განვითარების მოდელი მოიცავს სამივე შეკითხვას. ეს შეკითხვები სამ ძირითად მიზანს უკავშირდება. ესენია: ეკონომიკური ზრდა, გარემოს დაცვა და სამართლიანი გადანაწილება, ეს მიზნები თავის მხრივ ორ განზომილებას, დროისა (დღევანდელ და მომავალ თაობათა ინტერესები) და სივრცის (გლობალური სივრცე –ჩრდილოეთი და სამხრეთი) განზომილებებს უკავშირდება.

მდგრადი განვითარების მოდელში აღწერილია როგორც დილემა, რომელიც ჩნდება მაშინ, როცა ერთი მხარე ცდილობს მხოლოდ ერთი მიზნის მიღწევას, მაგალითად, ნახოს მოგება რესურსების დაუდევრად მოხმარების ხარჯზე, ასევე მიზნების დარეგულირება, რომელიც მიიღწევა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად წარმატებული სტრატეგიის შემუშავებით. მასალა მოსწავლეებისთვის 4.3 ეხმარება მოსწავლეებს გააანალიზონ „რაც შეიძლება მეტი თევზის დაჭერის“ მცდელობის შედეგები შემდეგი ორი თვალსაზრისით: ერთი მხარის მიერ დროებითი მოგების მიღება და მდგრადი განვითარების პერსპექტივა.

თამაშის პირობებში შესაძლებელია ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება და მონაცემების ციფრებში გამოსახვა; მასწავლებელს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ასეთი მონაცემების მიწოდება მოსწავლეებისთვის (მასალა მოსწავლეებისთვის 4.4).

ამ ანალიზისას მოსწავლეებს უჩნდებათ კითხვა, რატომ არის რთული მდგრადი განვითარების მიღწევა ფართო მასშტაბით? და რისი გაკეთება შეუძლია ინდივიდუალურ მოქალაქეს ამ მიზნის მისაღწევად?

დამატებითი სამუშაოს ვარიანტები

1. მე–4 და მე–5 თავების შერწყმა

როგორც ადრე ავღნიშნეთ, მოსწავლეებმა შეიძლება განიხილონ, თუ რომელი ინსტიტუციური სტრუქტურა მიესადაგება მეთევზეთა მოთხოვნილებას ყველაზე მეტად. ეს შეიძლება იყოს წესების სისტემა და ხელისუფლების ორგანო, რომელიც ამ წესების გატარებას უზრუნველყოფს, ან ურთიერთშეთანხმება თანაბარი უფლებების მქონე პირთა შორის. მოსწავლეებს შეუძლიათ განავრცონ თევზჭერის თამაში და გამოიყენონ მათ მიერ შერჩეული ინსტიტუციური სტრუქტურა, როგორც მიზნის მიღწევის საშუალება, რაც ამავდროულად იქნება ამ საშუალების გამოცდაც.

2. კვლევითი ამოცანა

ნათელია, რომ თევზჭერის თამაში განასახიერებს პოლიტიკურ საკითხებს, რომელიც დამახასიათებელია როგორც ადგილობრივი საზოგადოებებისთვის, ასევე მსოფლიოსთვის, გლობალურ დონეზე. როგორც ავღნიშნეთ, მსგავსი საკითხების მაგალითებია: ნახშირორჟანგის ემისია, ჭარბი რაოდენობით თევზჭერა, ბირთვული ნარჩენების თავიდან მოშორება და მიწისქვეშა წყლის მარაგის ჭარბი რაოდენობით მოხმარება.

ამ საკითხებიდან ერთ-ერთის ან სხვა საკითხის კვლევა შესაძლებელია როგორც დამატებითი სამუშაოს სახით, ასევე კვლევითი პროექტის სახით. ამ შემთხვევაში მოსწავლეებს უტარდებათ დამატებითი გაკვეთილი, რომლის დროსაც ისინი მოხსენებას აკეთებენ საკუთარ აღმოჩენებზე და მსჯელობენ, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მათ მიერ გამოკვლეული პრობლემის მოსაგვარებლად.

კონფლიქტის ცნება

კონფლიქტი ყველა ჩვენგანს გამოუცდია და უმრავლესობისთვის ეს არასასიამოვნო გამოცდილებად რჩება. პლურალისტულ საზოგადოებაში, სხვადასხვა ინტერესისა და ღირებულების მატარებელ ადამიანთა შორის განსხვავება მატულობს, რაც კონფლიქტის წარმოშობის ალბათობას ზრდის.

პოლიტიკური საზოგადოებები კონფლიქტის მოგვარებისთვის გზების ძიების გამოწვევის წინაშე დგებიან. დემოკრატია არის სისტემა, რომელიც ცდილობს კონფლიქტს ცივილიზებული სახე მისცეს. იგი გვაწვდის ჩარჩოებს, რომლის ფარგლებშიც კონფლიქტი არამალადობრივ ფორმას იღებს და

სიტყვიერად მიმდინარეობს. არგუმენტების გაცვლა–გამოცვლა და განსხვავებულ ინტერესთა აშკარად გამოთქმა სასარგებლოც კი არის, რადგანაც ეს ქმნის იმის ნათელ სურათს, თუ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს რა მოთხოვნილებები და ინტერესები აქვს და ამათგან რომელი უნდა იყოს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას.

პლურალისტულ საზოგადოებაში, რომელსაც დემოკრატიული კონსტიტუცია გააჩნია, კონფლიქტის მოგვარება ხორციელდება კომპრომისის საფუძველზე. ყველაზე მეტად ეს ესადაგება კონფლიქტს მწირი რესურსების განაწილების თაობაზე, როგორიცაა, შემოსავალი, დრო, წყალი და ა.შ. კონფლიქტები, რომლებიც იდეოლოგიას ეხება – განსხვავებული ღირებულებები, რელიგია და ა.შ. უფრო რთული მოსაგვარებელია კომპრომისის საშუალებით. ამ შემთხვევაში საჭიროა გამოიძებნოს მშვიდობიანი თანაარსებობის მეთოდი. კონფლიქტები, რომლებიც ინდივიდუალობას ეხება – კანის ფერი, ეთნიკური წარმოშობა – ვერ გვარდება, მაგრამ უნდა მოხდეს ამგვარი კონფლიქტების აღკვეთა, რასაც უზრუნველყოფს „ძლიერი სახელმწიფო“.

კონფლიქტის ალბათობა ყოველთვის არსებობს იქ და მაშინ, სადაც და როცა ადამიანებს უწევთ ერთმანეთთან ურთიერთობა. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, რომ კონფლიქტი არის „ბუნებრივი“ მოვლენა და არ უნდა ჰქონდეთ მისი შიში. ისინი უნდა ფლობდნენ კონფლიქტის მოგვარების უნარს, მოლაპარაკების გზით და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებით – მზად უნდა იყვნენ, გაითვალისწინონ პერსპექტივები და სხვათა ინტერესები და უნდა იცავდნენ ყველას უფლებას, მონაწილეობდნენ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაში. მოცემული სახელმძღვანელო, აქედან გამომდინარე, მიზნად ისახავს, მოსწავლეებს გამოუმუშაოს კონფლიქტის მოგვარების უნარი. დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობა კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობას გულისხმობს.

კომპეტენციების გამომუშავება: კავშირი სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა თავებთან

რას გვიჩვენებს ეს ცხრილი

წინამდებარე სახელმძღვანელოს სათაური, *მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში,* გულისხმობს იმ კომპეტენციებს, რომელსაც აქტიური მოქალაქე უნდა ფლობდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში. მოცემული მატრიცა გვიჩვენებს სახელმძღვანელოში შესულ თავებს შორის სინერგიის ეფექტის პოტენციალს. მატრიცა გვიჩვენებს, რომელი კომპეტენციების განვითარება ხდება მეოთხე თავში (შეფერილი, ჰორიზონტალური მწკრივი ცხრილში). მუქი შტრიხებით შემოსაზღვრული ვერტიკალური სვეტი გვიჩვენებს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების კომპეტენციებს –მისი გამოყოფა ხდება დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობასთან მჭიდრო კავშირის გამო. ჰორიზონტალური მწკრივები გვიჩვენებს სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა თავებთან კავშირს: რომელ კომპეტენციებს იძენს მოსწავლე სახელმძღვანელოში მოცემულ ამ თავებში, რომელიც მათ მეოთხე თავში სჭირდებათ?

როგორ გამოვიყენოთ მატრიცა?

მასწავლებლებს მოცემული მატრიცის გამოყენება სხვადასხვა გზით შეუძლიათ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებს გაკვეთილის დასაგეგმად.

- ეს მატრიცა ეხმარება მასწავლებლებს, რომლებსაც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მცირე რაოდენობით გაკვეთილის ჩატარება უწევთ: მასწავლებელს საშუალება აქვს, აარჩიოს ეს თავი და გამოტოვოს სხვა თავები, თუ მიიჩნევს, რომ მოსწავლეები გარკვეულწილად უკვე ფლობენ სხვა ძირითად კომპეტენციებს, მაგალითად, მოცემულ თავში ასეთი კომპეტენციებია – პასუხისმგებლობის აღება, პრობლემის ანალიზი, მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის საჭირო უნარ–ჩვევები.

- მოცემული მატრიცა ეხმარება მასწავლებელს, დარწმუნდეს სინერგიის ეფექტში, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები ერთსა და იმავე კომპეტენციას განმეორებით იძენენ, ერთმანეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა კონტექსტში. ამ შემთხვევაში მასწავლებელი ირჩევს რამდენიმე თავს და კომბინირებულად აწვდის მათ მოსწავლეებს.

თავი	კომპეტენციის განვითარების განზომილებები			მიდგომები და ღირებულებები
	პოლიტიკური ანალიზი და შეფასება	**მეთოდები და უნარები**	**მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში** **პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება**	
4. კონფლიქტი	კონფლიქტისა და დილემის ანალიზი ურთიერთდამოკიდებულება მდგრადი განვითარება	რთული პრობლემების იდენტიფიკაცია მოლაპარაკება	კომპრომისი პოლიტიკის კოორდინირება	დათმობაზე წასვლისთვის მზადყოფნა პასუხისმგებლობა
2. პასუხისმგებლობა	დილემის ანალიზი	არჩევანის შედეგების გაანალიზება		ურთიერთარიარება
3. მრავალფეროვნება და პლურალიზმი	კონფლიქტის პოტენციალი პლურალისტულ საზოგადოებაში	მოლაპარაკება		
5. წესები და კანონი	„წესები წარმოადგენენ კონფლიქტის მოგვარების საშუალებებს“	პრობლემის ანალიზი და გადაწყვეტა	კონფლიქტის მოსაგვარებლად საჭირო წესების ინსტიტუციური სისტემის შექმნა და გამოყენება	

6. მთავრობა და პოლიტიკა	პოლიტიკა – პრობლემებისა და კონფლიქტების მოგვარების პროცესი	პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის აღწერა და ანალიზი	გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ საჯარო დებატებში მონაწილეობა	
7. თანასწორობა	კონფლიქტი უმრავლესობასა და უმცირესობას შორის		ჯგუფთა ინტერესების დასარეგულირებელი საშუალების შექმნა	სხვათა პერსპექტივების გათავისება
8. თავისუფლება	ვერბალური კომუნიკაცია – კონფლიქტის ცივილიზებულად მოგვარების საშუალება	კამათი	კამათის სტრატეგიები	„ვოლტერიანული შეხედულება“: აღიარება იმისა, რომ აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს ყველა

თავი 4: კონფლიქტი – თევზჭერის კონფლიქტი როგორ გადავწყვიტოთ მდგრადი განვითარების პრობლემა?

გაკვეთილის თემა	კომპეტენციის გამომუშავება/სწავლის მიზანი	მოსწავლის ამოცანა	მასალა და რესურსები	მეთოდი
გაკვეთილი 1 თევზჭერის თამაში (1)	კომპლექსური სიტუაციის ანალიზი, გადაწყვეტილების მიღება შეზღუდულ დროში. მოსწავლეები ეცნობიან დილემას, რომელიც უკავშირდება მდგრადი განვითარების მიზნებს.	მოსწავლეები ადგენენ პრობლემებს და მუშაობენ გადაწყვეტილების გზების ძიებასა და სტრატეგიის შემუშავებაზე.	კალკულატორი ან კომპიუტერი. მასალა მასწავლებლებისთვის 4.1–4.4. A 4 ფორმატის ფურცლები, მარკერები.	პრაქტიკული სწავლა.
გაკვეთილი 2 თევჭერის თამაში (2)	მოლაპარაკებები კომპრომისის თაობაზე. ურთიერთდამოკიდებულება, ინტერესთა კონფლიქტი.	მოსწავლეები აანალიზებენ კომპლექსურ პრობლემას. მოსწავლეები თანამშრომლობენ ერთობლივი გადაწყვეტილების შემუშავებების მიზნით.	კალკულატორი ან კომპიუტერი. მასალა მასწავლებლებისთვის 4.1–4.4. A 4 ფორმატის ფურცლები, მარკერები.	პრაქტიკული სწავლა.
გაკვეთილი 3 როგორ დავიჭიროთ „რაც შეიძლება მეტი თევზი“?	ანალიტიკური აზროვნება: გამოცდილების დაკავშირება აბსტრაქტულ ცნებასთან ან მოდელთან. მდგრადი განვითარების მიზნების მოდელი.	მოსწავლეები იხსენებენ გამოცდილებას, რომელიც მიიღეს თევზჭერის თამაშისას.	მასალა მოსწავლეებისთვის 4.2. მასალა მოსწავლეებისთვის 4.3. (არასავალდებულო)	დეტალური მოხსენებები. პლენალური განხილვა. ინდივიდუალური სამუშაო.
გაკვეთილი 4 როგორ უზრუნველყოთ მდგრადი განვითარება?	ანალიზი და მასჯელობა: გამოცდილების განხილვა ცნებაზე დაფუძნებული ანალიზის საშუალებით. სტიმული ძლიერ გავლენას ახდენს ჩვენს ქცევაზე. სტიმულის ეფექტს აკონტროლებს წესები (გარეგანი ფაქტორი) ან პასუხისმგებლობა (თვითკონტროლი).	მოსწავლეები ცნებებს უკავშირებენ საკუთარ გამოცდილებას.	მასალა მოსწავლეებისთვის 4.2.	პრეზენტაციები. პლენალური განხილვა. მასწავლებლის ინსტრუქციები.

გაკვეთილი 1
თევზჭერის თამაში (1)

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	კომპლექსური სიტუაციის ანალიზი, გადაწყვეტილების მიღება შეზღუდულ დროში.	
სწავლის მიზანი	მოსწავლეები ეცნობიან დილემას, რომელიც უკავშირდება მდგრადი განვითარების მიზნებს.	
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები ადგენე პრობლემებს და მუშაობენ გადაწყვეტილების გზების ძიებასა და სტრატეგიის შემუშავებაზე	
მასალა და რესურსები	მასალა მასწავლებლებისთვის 4.1–4.4. 4.1 ფურცლები თითოეული ჯგუფისთვის ჩანაწერების გასაკეთლებად. 4.2 თევზის პოპულაციის რეპროდუქციის ცხრილი (მასწავლებლისთვის). 4.3 ცხრილი ჩანაწერების გასაკეთებლად (გამოყენებულია ფლიპჩარტი ან დაფა). 4.4 დიაგრამა ჩანაწერების გასაკეთებლად (გამოყენებულია ფლიპჩარტი ან დაფა). კალკულატორი ან კომპიუტერი. A 4 ფორმატის ფურცლები, მარკერები.	
მეთოდი	პრაქტიკული სწავლა.	
დროის ბიუჯეტი	1. თევზჭერის თამაშის წესების გაცნობა.	10 წთ.
	2. თევზჭერის თამაში (სამი რაუნდი)	30 წთ.

ინფორმაცია

თუ პირობები ამის საშუალებას იძლევა, უმჯობესია, მოხდეს პირველი და მეორე გაკვეთილების შერწყმა. მაგრამ თამაში მიმდინარეობს ორ დამოუკიდებელ რაუნდად.

დასაწყისში მოსწავლეებს არ ეძლევათ მითითება იმის შესახებ, რომ კომუნიკაცია დაამყარონ ერთმანეთთან და არ ხდება მათი შეჩერება, თუ ისინი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ. მასწავლებელი მოსწავლეებს მხოლოდ ახსენებს იმის შესახებ, რომ მათ დრო რაციონალურად უნდა გამოიყენონ.

გაკვეთილის აღწერა

ეტაპი 1: მოსწავლეები ეცნობიან თევჭერის თამაშის წესებს

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს,რომ მათ მოუწევთ, მონაწილეობა მიიღონ თამაშში, რომელიც რეალური ცხოვრებიდან აღებული მნიშვნელოვანი სიტუაციის სიმულაციაა.

„წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ ერთი ტბის ნაპირას მცხოვრები, ოთხი სოფლის საზოგადოებიდან ერთ-ერთის წევრი. ტბაში თევზი მრავლად არის, ასე რომ, თქვენ არ გჭირდებათ იმაზე დარდი, თუ როგორ ირჩინოთ თავი. მეთევზეობა არის თქვენი ეკონომიკის ერთადერთი დარგი: თქვენ შემოსავლის სხვა წყარო არ გაგაჩნიათ.“

მასწავლებელს შეუძლია ამ შესავალის ილუსტრირება დაფაზე ან ფლიპჩარტზე მარტივი ნახატის დატანით, სადაც გამოსახული იქნება თევზებით სავსე ტბა და ოთხი სოფელი, რომელიც მეთევზეობით არის დაკავებული, თევზაობისთვის მზადყოფნაში მოყვანილი ნავებით ნაპირზე.



„თქვენ მთელი სეზონის განმავლობაში თევზაობთ, მაგრამ ზამთარში სეზონი დახურულად ცხადდება, რაც თევზის პოპულაციის აღდგენის საშუალებას იძლევა. ზამთრის თვეების განმავლობაში, თქვენ თავი უნდა ირჩინოთ გამხმარი თევზის მარაგითა და უნდა შეაკეთოთ ნავები და ბადეები შემდეგი სეზონისთვის.“

ამის შემდეგ, მოსწავლეები იღებენ ინსტრუქციას იმის თაობაზე, თუ როგორ განახორციელონ თევზჭერის თამაში.

ისინი ქმნიან ოთხ, არაუმეტეს ექვსი მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფს. (თუ ჯგუფების რაოდენობა ოთხს აღემატება, საჭირო გახდება შედეგთა ცხრილის შეცვლა –იხ. მასალა მასწავლებლებისთვის 4.3.)

ყოველი ჯგუფი წარმოადგენს მეთევზეთა გუნდს. მათ შეუძლიათ საკუთარ ნავს სასურველი სახელწოდება შეურჩიონ და მათ ეძლევათ ფურცელი, სადაც ჩანაწერები უნდა გააკეთონ დაჭერილი თევზის რაოდენობის შესახებ.

თამაში მიმდინარეობს რამდენიმე რაუნდად, რომლებიც შეესაბამება თევზაობის სეზონებსა და დახურულ სეზონებს, რომლის დროსაც ხდება თევზის პოპულაციის აღდგენა.

მასწავლებელი თამაშის მიზანს მოსწავლეებს მხოლოდ ერთი ფრაზით აცნობს: „ეცადეთ, დაიჭიროთ რაც შეიძლება მეტი თევზი“. ეს ინსტრუქცია სხვადასხვანაირად შეიძლება იქნეს გაგებული, მაგრამ მასწავლებელი სხვა მინიშნებას არ იძლევა და მოსწავლეებს ანდობს თევზაობისთვის სტრატეგიების შემუშავებას. მესამე გაკვეთილზე, მოსწავლეები კვლავ დაუბრუნდებიან თამაშის ამ დასაწყის ეტაპს.

სეზონის დასაწყისში ყოველი გუნდი იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რა წილის/რაოდენობის თევზის დაჭერა სურს. მაქსიმალური წილი ერთ ნავზე 15%–ს შეადგენს. რადგან პირველი სეზონის დასაწყისში, ტბაში თევზის რაოდენობა არის 140 ტონა, ეს ნიშნავს, რომ დაჭერილი თევზის მაქსიმალური რაოდენობა ერთ ჯგუფზე, უნდა შეადგენდეს 21 ტონას. (თუ თამაშში ოთხ ჯგუფზე მეტი მონაწილეობს, მაშინ დაჭერილი თევზის რაოდენობის მაქსიმალური ზღვარი შესაბამისად უნდა შეიცვალოს.)

მასწავლებელი არანაირ დამატებით ინფორმაციას არ იძლევა იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, თუ ოთხივე ჯგუფი მათთვის დაწესებულ თევზის მაქსიმალურ რაოდენობას დაიჭერს და მათ მიერ დაჭერილი თევზის რაოდენობა ჯამში 84 ტონას შეადგენს. ესეც თამაშის ნაწილია: მოსწავლეები მიხვდებიან, თუ რამდენ ინფორმაციას არ ფლობენ. მათ არ იციან, რა სტრატეგიას აირჩევენ მათი კონკურენტები, არ იციან თევზის პოპულაციის რეპროდუქციის ნორმა, რაც, სურვილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ თავად გაარკვიონ.

ეტაპი 2: თევზჭერის თამაში

პირველი რაუნდი იწყება. გუნდები განიხილავენ, რა წილი აირჩიონ. ოთხი წუთის შემდეგ მასწავლებელი მათ ჩამოართმევს ჩანაწერების ფურცლებს და მათზე დაფიქსირებული მონაცემები გადააქვს ცხრილში, გამოითვლის თითოეული ნავის მიერ დაჭერილი თევზის რაოდენობას ტონებში და ადგენს პირველ სეზონზე ოთხივე გუნდის მიერ სულ დაჭერილი თევზის ჯამურ წილს (ამ შემთხვევაში გამოგადგებათ კალკულატორი ან კომპიუტერი). მასწავლებელს შედეგები შეყავს ცხრილში და წარუდგენს მათ მოსწავლეებს. თევზის მარაგისა და დაჭერილი თევზის რაოდენობის შესახებ მონაცემების გადატანა ხდება დიაგრამაზე, რომლის შედგენაც ხდება მასალა მასწავლებლებისათვის 4.4–ის მიხედვით.

თევზის პოპულაციის რეპროდუქციის ცხრილზე დაყრდნობით, მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თევზის პოპულაციის რაოდენობას მეორე სეზონის დასაწყისისთვის.

მოსწავლეებს უბრუნდებათ თავიანთი ფურცლები ჩანაწერების გასაგრძელებლად. ისინი ამუშავებენ მონაცემებს მათ მიერ სეზონზე დაჭერილი თევზის საერთო რაოდენობის შესახებ.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ დასაწყის ეტაპზე, მოსწავლეები ცდილობენ, ნებადართული წილის/ნორმის ფარგლებში, მაქსიმალური რაოდენობის თევზი დაიჭირონ, რაც ჯამში 70 ტონას შეადგენს და შესაბამისად თევზის მარაგის ნახევარს; შედეგი შესაძლოა იყოს უფრო დიდი რაოდენობით დაჭერილი თევზი. თუ თევზის მარაგი ტბაში განახევრდა, დახურულ სეზონზე იგი მხოლოდ ნაწილობრივ შეძლებს აღდგენას და, სავარაუდოდ, შეიძლება მხოლოდ 94 ტონა შეადგინოს. რაც იმას ნიშნავს, რომ თევზის პოპულაცია ერთი მესამედით შემცირდა ერთი წლის განმავლობაში. დიაგრამაზე მრუდები მკვეთრ დაღმასვლას ასახავენ, რაც მიანიშნებს თევზის მარაგის ამოწურვის გარდაუვალ საფრთხეზე.

მოსწავლეები ამჯერად საფრთხეს ათვითცნობიერებენ. თუ ისინი მაქსიმალურად ისარგებლებენ მათთვის დაწესებული 15%–იანი წილით, თევზის პოპულაცია გადაშენების პირას აღმოჩნდება ორი–

სამი სეზონის შემდეგ. გუნდებს მოუწევთ მოლაპარაკება იმის თაობაზე, უნდა შეამცირონ თუ არა მათთვის დაწესებული 15%–იანი ზღვარი, რათა თავიდან აირიდონ თევზის სრული გადაშენების საფრთხე. ამ ეტაპიდან თამაშის განვითარება სხვადასხვანაირად მიმდინარეობს და დამოკიდებულია, მაგალითად, მოსწავლეების ასაკსა და სქესზე.

შემდეგი რაუნდები იგივე რეჟიმში მიმდინარეობს. შემდეგი სამი რაუნდის განმავლობაში, მასწავლებელი არ მოუწოდებს მოსწავლეებს ერთმანეთთან კონტაქტისკენ, მაგრამ მათ ამის გაკეთება შეუძლიათ, თუ ინიციატივას გამოიჩენენ. მასწავლებელი, როგორც თამაშის მენეჯერი, მათ საამისო დროს აძლევს, მაგრამ, 5 წუთის შემდეგ, მოითხოვს შემდეგ რაუნდზე გადასვლას; ეს რეალობას ასახავს – სეზონის დაწყებისთანავე მეთევზეები თავის საქმიანობას უნდა შეუდგნენ.

რამდენიმე რაუნდის შემდეგ, თუ მასწავლებელი შეატყობს, რომ თევზის მარაგი მკვეთრად მცირდება, მას შეუძლია „სასწაული“ მოახდინოს და რამდენიმე ტონა თევზი დაამატოს ტბაში თევზის რაოდენობის ზრდის მონაცემს.

მეოთხე რაუნდის შემდეგ მასწავლებელი გუნდებს კომუნიკაციისკენ მოუწოდებს, თუ მათ აქამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ დაუმყარებიათ.

ზოგიერთ შემთხვევაში მოსწავლეები საერთო გადაწყვეტილების მიღებას ახერხებენ, ზოგიერთ შემთხვევაში - ვერა. ჯგუფები თავად იღებენ გადაწყვეტილებას, სურთ თუ არა საერთო შეთანხმებას დაექვემდებარონ და რამდენად ზუსტად დაექვემდებარონ – ისევე, როგორც რეალურ ცხოვრებაში.

გაკვეთილი 2
თევზჭერის თამაში (2)

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	მოლაპარაკებები კომპრომისის თაობაზე.	
სწავლის მიზანი	ურთიერთდამოკიდებულება, ინტერესთა კონფლიქტი.	
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები აანალიზებენ კომპლექსურ პრობლემას. მოსწავლეები თანამშრომლობენ ერთობლივი გადაწყვეტილების შემუშავებების მიზნით.	
მასალა და რესურსები	მასალა მასწავლებლებისთვის 4.1–4.4. 4.1 ფურცლები თითოეული ჯგუფისთვის ჩანაწერების გასაკეთლებად. 4.2 თევზის პოპულაციის რეპროდუქციის ცხრილი (მასწავლებლისთვის). 4.3 ცხრილი ჩანაწერების გასაკეთებლად (გამოყენებულია ფლიპჩარტი ან დაფა). 4.4 დიაგრამა ჩანაწერების გასაკეთებლად (გამოყენებულია ფლიპჩარტი ან დაფა). კალკულატორი ან კომპიუტერი. A 4 ფორმატის ფურცლები, მარკერები.	
მეთოდი	პრაქტიკული სწავლა.	
დროის ბიუჯეტი	1. თევზჭერის თამაში (მე–4 რაუნდი).	7 წთ.
	2. მოლაპარაკებები.	15 წთ.
	3. თევზჭერის თამაში (მე–5–7 რაუნდი).	20 წთ.

ინფორმაცია

მოსწავლეები აგრძელებენ თევზჭერის თამაშს და ასრულებენ შემდგომ სამ ან ოთხ რაუნდს.

მეოთხე რაუნდის შემდეგ მასწავლებელი მოუწოდებს მოსწავლეებს, დაელაპარაკონ ერთმანეთს, თუ მათ შორის კომუნიკაცია ჯერ არ შემდგარა. თამაშის დრო ჩერდება, რათა მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ, ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები. მასწავლებელი განსაზღვრავს, რა დრო უნდა მიეცეს მოსწავლეებს ამ ამოცანის შესასრულებლად.

გაკვეთილის აღწერა

ეტაპი 1: მოსწავლეები თამაშობენ ერთ რაუნდს

მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს შედეგებს. თუ მოსწავლეები ინიციატივას გამოთქვამენ, გააგრძელონ თამაში, მასწავლებელი მათ ამისთვის გარკვეულ დროს აძლევს. მასწავლებელი აცხადებს, რომ ინტერვალები თევზაობის სეზონებს შორის 10 წუთით გაიზარდა.

ეტაპი 2: მოლაპარაკებები

მოსწავლეები სერიოზული პრობლემის წინაშე დგანან – ჭარბი რაოდენობით თევზჭერა – და მათ არ გააჩნიათ ინსტიტუციური ჩარჩო (კომუნიკაციის წესები, თევზაობის წესებისა და კონტროლის სისტემა და ა.შ.), რომელიც მათ დახმარებას გაუწევს ამ პრობლემის მოგვარებაში. ასე რომ, მათ თავად უნდა შექმნან იგი.

მასწავლებელმა მოსწავლეების დისკუსიაში მონაწილეობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღოს (არც მრჩეველის, არც კომენტატორის, არც თავმჯდომარის, არც ხელმძღვანელის და ა.შ. სახით), არამედ მხოლოდ თვალყური უნდა ადევნოს მათ. პრაქტიკული მეთოდის სწავლის შესაძლებლობებს, სწორედ პრობლემა იძლევა და სკოლის გარეთ, რეალურ ცხოვრებაში, მოსწავლეებმა ამ პრობლემებს დამოუკიდებლად უნდა გაართვან თავი.

ეტაპი 3: მოსწავლეები თამაშობენ სამ ფინალურ რაუნდს

მასწავლებელი მოუწოდებს მოსწავლეებს გააგრძელონ თამაში ჩვეულ ტემპში. მოლაპარაკების შედეგებიდან გამომდინარე, მოთამაშეებმა შეიძლება შეცვალონ თევზაობის თავიანთი სტრატეგია და, ამ შემთხვევაში, რეზულტატი იქნება თევზის მარაგის ამოწურვის საფრთხის თავიდან აცილება.

გაკვეთილი 3
როგორ დავიჭიროთ „რაც შეიძლება მეტი თევზი“?
დეტალური მოხსენებები და შეჯამება

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	ანალიტიკური აზროვნება: გამოცდილების დაკავშირება აბსტრაქტულ ცნებასთან ან მოდელთან.
სწავლის მიზანი	მდგრადი განვითარების მიზნების მოდელი.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები იხსენებენ გამოცდილებას, რომელიც მიიღეს თევზჭერის თამაშისას.
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 4.2. მასალა მოსწავლეებისთვის 4.3. (არასავალდებულო)
მეთოდი	დეტალური მოხსენებები. პლენალური განხილვა. ინდივიდუალური სამუშაო.
დროის ბიუჯეტი	1. დეტალური მოხსენებები: მოსწავლეები გამოდიან თამაშის დროს აღებული როლებიდან. 15 წთ.
	2. მოსწავლეები იკვლევენ შემდეგი ინსტრუქციის ორაზროვნებას: „ეცადე, დაიჭირო რაც შეიძლება მეტი თევზი“. 10 წთ.
	3. მდგრადი განვითარების მიზნების მოდელი. 15 წთ.

ინფორმაცია

დეტალური მოხსენებები: მოსწავლეები გამოდიან თამაშიდან. ეს შეიძლება გარკვეულ ემოციებთანაც იყოს დაკავშირებული.

მდგრადი განვითარების მიზნების მოდელისადმი ინდუქციური მიდგომა: მოსწავლეები მათ მიერ გაკეთებული დეტალური მოხსენებების საუძველზე აყალიბებენ მდგრადი განვითარების მოდელის მიზანთა კატეგორიებს. სავარჯიშო აბსტრაქტულ აზროვნებაზე.

კონსტრუქტივისტული სწავლა: მოსწავლეები ქმნიან კონტექსტს, სადაც მათ სჭირდებათ მდგრადი განვითარების მოდელი. ისინი საკითხის ირგვლივ წამოჭრილი კითხვების მასწავლებლისთვის დასმის ნაცვად, ამ კითხვებზე პასუხებს შემაჯამებელ ეტაპზე ეძებენ.

გაკვეთილის აღწერა

ეტაპი 1: დეტალური მოხსენებები

მოსწავლეები გამოდიან თევზჭერის თამაშიდან

მასწავლებელი ჩანაწერებს აკეთებს ფლიპჩარტზე ან დაფაზე, თავისუფალს ტოვებს მეორე სვეტს.

მოსწავლეები, სავარაუდოდ, მძაფრ ემოციებს გამოხატავენ:

- კონფლიქტი წარმატებულებსა და წარუმატებლებს შორის.
- მდიდარი და ღარიბი მეთევზეები.
- ბუნებრივი რესურსების განადგურება.
- თევჭერის საერთო მოცულობის შემცირება (მეთევზეთა მთლიანი საზოგადოების გაღატაკება).
- რთული მოლაპარაკებები, მაგ. პასუხისმგებლობის ნაკლებობა, ზოგიერთი მხარე არ გამოთქვამს მზადყოფნას თანამშრომლობისთვის.
- წესების აღსრულებისთვის საჭირო ხელისუფლების არარსებობა.
- საკითხისადმი პასუხისმგებლობით მიდგომისათვის არანაირი დაფასება – ნაკლები თევზის დაჭერას სიღარიბისკენ მივყავართ, და საშუალებას ამლევს სხვა მეთევზეებს, მეტი თევზი დაიჭირონ.

ეტაპი 2: შეჯამება

მოსწავლეები განიხილავენ ინსტრუქციის „ეცადე დაიჭირო რაც შეიძლება მეტი თევზი“ ორაზროვნებას

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ მათ წინაშე გამოიკვეთა რთული პრობლემა. ასეთი პრობლემების დასაძლევად, პირველ რიგში, საჭიროა პრობლემის არსის გაგება. როგორც მედიცინაში, ექიმს, პირველ რიგში, სჭირდება დიაგნოზი, რათა გადაწყვიტოს თერაპიის რომელი კურსი დაუნიშნოს ავადმყოფს.

მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს ინსტრუქციას, რომელიც მათ თევზჭერის თამაშის დაწყებამდე მიიღეს და ამ ინსტრუქციას დაფაზე ან ფლიპჩარტზე წერს: „ეცადე დაიჭირო რაც შეიძლება მეტი თევზი“.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, როგორ აღიქვეს ეს ინსტრუქცია და რაში მდგომარეობდა მათი მიზანი, როდესაც ისინი განსაზღვრავდნენ, რა რაოდენობით უნდა დაეჭირათ თევზი. მოსწავლეები სამ საკითხზე უნდა დაფიქრდნენ:

„ეცადე“ – ვინ უნდა ეცადოს?

„რაც შეიძლება მეტი“ – რა იგულისხმება სიტყვა „შესაძლებლის“ ფარგლებში?

მოსწავლეები ერთი წუთის განმავლობაში ფიქრობენ, რის შემდეგაც მასწავლებელი მათ სთხოვს, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები. მოსწავლეები ხსნიან, როგორ აღიქვეს ეს ინსტრუქცია და ამტკიცებენ, რამ განაპირობა მათი ასეთი აღქმა. როდესაც ნათელი სურათი უკვე შექმნილი იქნება,

მასწავლებელს მოსწავლეების მიერ გამოთქმული ძირითადი მოსაზრებები გადააქვს დაფაზე ან ფლიპჩარტზე.

თუ მოსწავლეები პასუხობენ, რომ მათ მოქმედებას განაპირობებდა ზრუნვა საკუთარი სოფლისთვის, რომ ისინი მოქმედებდნენ მხოლოდ საკუთარი სოფლის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში სხვების ინტერესების გაუთვალისწინებლობის და გარემოს დაცვის უგულებელყოფის ხარჯზე, შედეგად მივიღებთ შემდეგი ტიპის ცხრილს. მაგრამ ზოგიერთმა მოსწავლემ შეიძლება სხვანაირად ახსნას საკუთარი მოქმედების მიზეზები და სრული სურათიც სახეზე იქნება (იხ. მეორე ცხრილი).

<table>
<tr><td colspan="6">ჩვენი მიზანი თევზჭერის თამაშში:
„ეცადე ,დაიჭირო რაც შეიძლება მეტი თევზი“</td></tr>
<tr><td colspan="2">ვინ?</td><td colspan="2">რაც შეიძლება მეტი?</td><td colspan="2">როდის?</td></tr>
<tr><td rowspan="2">ჩვენი ნავი</td><td rowspan="2"></td><td colspan="2">ლიმიტი</td><td rowspan="2">დღეს</td><td rowspan="2"></td></tr>
<tr><td>წილის/ნორმის მიხედვით</td><td></td></tr>
<tr><td>ჩვენი კეთილდღეობა</td><td></td><td>ჩვენი კეთილდღეობა</td><td></td><td>ჩვენი კეთილდღეობა</td><td></td></tr>
</table>

თუ ისინი მოქმედებდნენ გამომდინარე საკუთარი სოფლის კეთილდღეობის ინტერესებიდან, შედეგი სავალალო იქნება. მოსწავლეები გაათვითცნობიერებენ, რომ „მხოლოდ ჩვენი კეთილდღეობისთვის“ პრინციპით სარგებლობამ, მთელი საზოგადოება კატასტროფამდე მიიყვანა.

ამას მივყავართ შემდეგ კითხვამდე: შეუძლიათ მოსწავლეებს სხვა ალტერნატივა გამოძებნონ იმისათვის, თუ როგორ უნდა იყოს აღქმული მიზანი „დაიჭირე იმდენი, რამდენიც შეგიძლია“.

მეორე მხრივ, თუ მოსწავლეები სხვა მიზნებსაც დაასახელებენ, როგორიცაა თევზის რესურსის დაცვა ან სხვა სოფლებისადმი პასუხისმგებლობა, განსხვავება მიზნის აღქმაში დაუყოვნებლივ იჩენს თავს.

მოსწავლეები ასევე განიხილავენ, შეიძლება თუ არა შეიცვალოს თავდაპირველი ინსტრუქცია. თუმცა, თუ ისინი გაითვალისწინებენ თამაშის დაწყებამდე მათთვის მიცემულ პირობას, რომ თევზი მათი ერთადერთი საარსებო წყაროა, მაშინ თავდაპირველ ინსტრუქციასაც დასჯერდებიან.

ბოლოს, მიუხედავად იმისა, თუ რა მიმართულებას მიიღებს მათი დისკუსია, მოსწავლეებმა უნდა გაათვითცნობიერონ და აღიარონ, რომ ინსტრუქცია – „დაიჭირე რაც შეიძლება მეტი თევზი“ შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს აღქმული და ამან სხვადასხვა შედეგამდე მიგვიყვანოს.

მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და გადააქვს ისინი დაფაზე:

<table>
<tr><td colspan="6">ჩვენი მიზანი თევზჭერის თამაშში:
„ეცადე, დაიჭირო რაც შეიძლება მეტი თევზი“</td></tr>
<tr><td colspan="2">ვინ?</td><td colspan="2">რაც შეიძლება მეტი?</td><td colspan="2">როდის?</td></tr>
<tr><td rowspan="2">ჩვენი ნავი</td><td rowspan="2">ყველა</td><td colspan="2">ლიმიტი</td><td rowspan="2">დღეს</td><td rowspan="2">სამომავლოდ</td></tr>
<tr><td>წილის/ნორმის მიხედვით</td><td>რეპროდუქციის დონის მიხედვით</td></tr>
<tr><td>ჩვენი კეთილდღეობა</td><td>ყველას კეთილდღეობა</td><td>ჩვენი კეთილდღეობა</td><td>რესურსების დაცვა</td><td>ჩვენი კეთილდღეობა</td><td>პასუხისმგებლობა (გარემო, მომავალი თაობა)</td></tr>
<tr><td>კონფლიქტი</td><td>მშვიდობა</td><td>კონფლიქტი</td><td>მშვიდობა</td><td>კონფლიქტი</td><td>მშვიდობა</td></tr>
</table>

შექმნილი სურათის ფონზე მოსწავლეებს შეიძლება გაუჩნდეთ შემდეგი კითხვები.

რა თქმა უნდა, გაცილებით გონივრულია სხვათა ხარჯზე „მხოლოდ ჩვენი კეთილდღეობისთვის“ ზრუნვის ნაცვლად, არჩევანი სხვა ალტერნატივაზე გაკეთდეს, რადგან პირველ შემთხვევაში კონფლიქტი გარდაუვალია. მაგრამ თამაშის დასაწყისშივე, რატომ არ ვეცადეთ დაგვერეგულირებინა ეს მიზნები? და რატომ აღმოჩნდა ამ მიზნების მისაღწევად გამართული მოლაპარაკება ასე რთული?

ეტაპი 3: მდგრადი განვითარების მიზნების მოდელი

საფეხური 3.1: მოსწავლეები საკუთარ განხილვას აკავშირებენ მდგრადი განვითარების მიზნების მოდელთან

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს მასალას მოსწავლეებისთვის 4.2 (მდგრადი განვითარების მიზნების მოდელი). მოსწავლეებს ეძლევათ დავალება ამ მოდელში ამოიცნონ ის მიზანი, რომელიც მათ განიხილეს („ჩვენი კეთილდღეობა“ – „საყოველთაო კეთილდღეობა“ – „ გარემოს დაცვა“ – პასუხისმგებლობა მომავალი თაობის წინაშე“).

მოსწავლეები პასუხს იძლევიან მას შემდეგ, რაც მცირე დროის მანძილზე სწავლობენ მოდელს. ისინი მათთვის დარიგებულ ფურცლებზე გამოსახულ სამკუთხედში ამოიცნობენ მათ მიერ განხილულ მიზნებს.

მასწავლებელი მათ ყურადღებას მიაპყრობს განმარტებებს (რას ნიშნავს ორმხრივი ისრები, მიზანთა განზომილებები: მდგრადი განვითარების მიზნები, დროის განზომილება, გლობალური (სივრცითი) განზომილება).

საფეხური 3.2: საშინაო დავალების ამოცანა: მოსწავლეები ამზადებენ მასალას მომავალი გაკვეთილისთვის

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას. მათ უნდა მომაზადონ ინფორმაცია, რომელსაც კლასი გაეცნობა მომავალი გაკვეთილის დასაწყის ეტაპზე. ისინი, ფურცელზე დაბეჭდილი ფორმით, შემდეგ ინსტრუქციას იღებენ (იხ. მასალა მასწავლებლებისთვის 4.5).

1. ახსენით, რატომ არის რთული მდგრადი განვითარების ორი ან მეტი მიზნის ერთდროულად მიღწევა? გამოიყენეთ მასალა მოსწავლეებისთვის 4.2 და ჩვენ მიერ კლასში წარმოებული დისკუსია.

2. ახსენით, მოთამაშეთა უმეტესობა რატომ ისახავდა ჯიუტად ინდივიდუალური კითილდღეობის მიზანს მაშინაც კი, როცა კატასტროფული შედეგების პერსპექტივა ნათლად გამოიკვეთა?

სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაასახელოთ კონკრეტული მაგალითები.

შეასრულეთ დავალება წერილობითი ფორმით.

მასწავლებელს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს მიაწოდოს მასალა მოსწავლეებისთვის 4.3, რომელიც მათ დავალების შესრულებაში დაეხმარება.

გაკვეთილი 4
როგორ უზრუნველვყოთ მდგრადი განვითარება?
მიზნების დარეგულირებისა და კონფლიქტის დაძლევის გზები

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	ანალიზი და მსჯელობა: გამოცდილების განხილვა ცნებაზე დაფუძნებული ანალიზის საშუალებით.
სწავლის მიზანი	სტიმული ძლიერ გავლენას ახდენს ჩვენს ქცევაზე. სტიმულის ეფექტს აკონტროლებს წესები (გარეგანი ფაქტორი) ან პასუხისმგებლობა (თვითკონტროლი).
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები ცნებებს უკავშირებენ საკუთარ გამოცდილებას.
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 4.2.
მეთოდი	პრეზენტაციები; პლენალური განხილვა; მასწავლებლის ინსტრუქციები.
დროის ბიუჯეტი	1. მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ აზრებს. 10წთ.
	2. მოსწავლეები მსჯელობენ, თუ რა გავლენა მოახდინა მათ ქცევაზე სტიმულმა. 15 წთ.
	3. მოსწავლეები მსჯელობენ მდგრადი განვითარება–მოგების დილემის გადაჭრის ორ ძირითად მეთოდზე. 15 წთ.

ინფორმაცია

მოცემულ გაკვეთილზე მოსწავლეები გამოიყენებენ სტიმულის ცნებას, თევზჭერის თამაშში თავიანთი მოქმედებების გასაანალიზებლად. თამაშის სიუჟეტმა გაამხნევა მოსწავლეები, ორიენტაცია აეღოთ მოკლევადიანი მოგების მაქსიმალურად გაზრდაზე, იმის გათვალისწინების გარეშე, თუ რა შედეგებს მოიტანდა მათი ქმედებები სხვა მეთევზეებისთვის და რა შედეგი ექნებოდა თევზის საერთო მარაგზე.

ამ დასკვნით გაკვეთილზე, მოსწავლეები განიხილავენ არაპროდუქტიული ეფექტის მატარებელი სტიმულის კონტროლის გზებს. ასეთი ორი გზა არსებობს. პირველი, პოლიტიკური საშუალებებით (ალტერნატიული მიდგომა); წესები და კანონები უშვებს ან კრძალავს გარკვეული სახის მოქმედებებს. დაფასება და სასჯელი ამ წესების აღსრულების საშუალებებს წარმოადგენს. მეორე, ინდივიდუალური პირები საკუთარ მოქმედებებს თავად აკონტროლებენ, პასუხისმგებლობის აღებით. მოსწავლეები განიხილავენ, რომელ მიდგომას ანიჭებენ ისინი უპირატესობას.

წინა გაკვეთილზე მიცემული საშინაო დავალება მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით: მოსწავლეები აჯამებენ და ჩანაწერებს აკეთებენ განვლილ გაკვეთილებზე მიღებული გამოცდილების და შედეგების შესახებ. ისინი გაკვეთილის დასაწყისში სიტყვით გამოდიან კლასის წინაშე და აქტიურად არიან ჩაბმული გაკვეთილის მსვლელობაში. მასწავლებელს უყალიბდება ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა შეიძინეს და რა ისწავლეს მოსწავლეებმა განვლილი გაკვეთილების განმავლობაში, რაც მას საშუალებას აძლევს განსაზღვროს როგორ წერმართოს სწავლის შემდგომი პროცესი (კონსტრუქტივისტული სწავლა, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება).

გაკვეთილის აღწერა

ეტაპი 1: მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს

მასწავლებელი გაკვეთილის თემას უკავშირებს ძირითად კითხვებს

მოსწავლეები გაკვეთილზე გამოცხადდებიან ორ ძირითად კითხვაზე გამზადებული საკუთარი პასუხებითა და მოსაზრებებით. ამ კითხვებზე დაფიქრებით, ისინი ქმნიან მთელი გაკვეთილის კონცეპტუალურ ჩარჩოს (კონსტრუქტივისტული სწავლა).

1. ახსენით, რატომ არის რთული მდგრადი განვითარების ორი ან მეტი მიზნის ერთდროულად მიღწევა? გამოიყენეთ მასალა მოსწავლეებისთვის 4.2 და ჩვენს მიერ კლასში წარმოებული დისკუსია. 2. ახსენით, მოთამაშეთა უმეტესობა რატომ ისახავდა ჯიუტად ინდივიდუალური კეთილდღეობის მიზანს მაშინაც კი, როცა კატასტროფული შედეგების პერსპექტივა ნათლად გამოიკვეთა? სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაასახელოთ კონკრეტული მაგალითები. შეასრულეთ დავალება წერითი ფორმით.

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას: როგორ უზრუნველვყოთ მდგრადი განვითარება? მასწავლებელი ამ კითხვას წერს დაფაზე ან ფლიპჩარტზე და სიტყვას აძლევს მოსწავლეებს. მოსწავლეები თითოეულ კითხვას ცალ–ცალკე განიხილავენ.

კითხვა 1: მდგრადი განვითარების მიზნები

მოსწავლეების პასუხებიდან შესაძლოა შევიტყოთ მათი ნააზრევი, რომ მაშინ როცა მდგრადი განვითარების მიზნების უმრავლესობა ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის, არის ისეთი მიზნები, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მაგალითად, გარემოს დაცვა კარგად ერწყმის პასუხისმგებლობას მომავალი თაობის წინაშე და მთლიანად კაცობრიობის წინაშე (გლობალური პერსპექტივა, ერთიანი მსოფლიო). ამ მიზნების განხორციელებას საფრთხე ემუქრება იმ შემთხვევაში, თუ არსებული თაობა ორიენტირებულია დღევანდელი კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე (ეკონომიკა). საზოგადოება (სამართლიანი განაწილების მიზანი) და ეკონომიკა (მწარმოებლურობის ამაღლება და პროდუქტიულობის ზრდა) შეიძლება ერთმანეთთან ჰარმონიულობაში მოდიოდეს, მაგრამ ძირითადად ეს ასე არ ხდება.

თევზჭერის თამაში წარმოადგენს სცენარს, სადაც ყველაფერი უარესობისკენ მიდის. შედარებით მდიდარი სოფლებიც კი ეკონომიკური კრიზისის საფრთხის წინაშე დგანან.

მოსწავლეებმა შეიძლება მაგალითად მოიყვანონ ეკონომიკური ზრდის მიზნების გარემოს დაცვის მიზნებთან შეთავსებისაკენ მიმართული დღევანდელი მსოფლიოს ძალისხმევა: ნარჩენების გადამუშავების პოლიტიკა, ელექტროობის ალტერნატიული წყაროების ძიება, ქარის, მზის და წყლის გენერატორების შექმნითა და დახვეწით, ან ელექტროენერგიაზე მომუშავე ავტომობილების შექმნა.

კითხვა 2: ინდივიდუალური კეთილდღეობის მიზანი

მოსწავლეების პასუხებიდან შესაძლოა შევიტყოთ მათი ნააზრევი რომ, თევზჭერის თამაშში, „გამარჯვებულების“ როლში გამოვიდნენ ის მეთევზეები, რომლებსაც თევზის ყველაზე დიდი ნადავლი ერგოთ. პასუხისმგებლობა გარემოს დაცვაზე, ამ შემთხვევაში, არაფრის მომტანი იყო.

ყოველ რაუნდში მასწავლებელი სიტყვით გამოსვლის საშუალებას აძლევს 6–10 მოსწავლეს. როდესაც სახეზე იქნება ნათელი სურათი, მოსწავლეები შეეცდებიან, შეაჯამონ, რაც მოისმინეს. შედეგი

დაახლოებით იქნება ისეთი, როგორიც ჩვენ მოგაწოდეთ, მაგრამ შესაძლოა განსხვავებულიც იყოს. საჭიროა იმის გარკვევაც, თუ რომელ საკითხებზე ვერ თანხმდებიან მოსწავლეები.

ეტაპი 2: მოსწავლეები იხსენებენ რა გავლენა იქონია მათ ქცევაზე სტიმულმა

მოკლე ინფორმაციის სახით მასწავლებელს შემოაქვს ორი ცნების მნიშვნელობა, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება გააანალიზონ ის, თუ როგორ მოქმედებდნენ ისინი თევზჭერის თამაშის დროს.

თევზჭერის თამაშის დროს, გარემოსადმი პასუხისმგებლობით მიდგომას, ისევე როგორც სხვათა კეთილდღეობაზე ზრუნვას არანაირი შედეგი არ ჰქონდა, მაშინ როცა საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვა გარკვეულწილად შედეგიანი იყო. ეს თვალსაჩინო იყო. იმას რაც გავლენას ახდენს და განაპირობებს ჩვენს ქცევას, მაგრამ არა იძულების გზით, სტიმული ეწოდება.

ამ ეტაპზე, მასწავლებელი აძლევს დროს მოსწავლეებს, რათა ისინი დაფიქრდნენ და გაიხსენონ, რა წარმოადგენს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში სტიმულს. მოსწავლეებმა შეიძლება მოიყვანონ შემდეგი მაგალითები:

- ჩვენ ვამჯობინებთ შევიძინოთ იაფი პროდუქტი, თუ ხარისხი, მეტ–ნაკლებად ერთი და იგივეა.
- ჩვენ ვცდილობთ, სკოლაში კარგი შეფასება დავიმსახუროთ.
- მშობლები მოსწავლეებს ჯილდოს პირდებიან სკოლაში მიღწეული წარმატებების სანაცვლოდ.
- სადაზღვევო სამსახურები პრემიას პირდებიან მათ, ვინც დაზღვევის პოლისს არ გამოიყენებს.
- ჟურნალის გამოწერისას, ან თუ იმავე ჟურნალის გამოწერაზე მეგობარს დაითანხმებ, სანაცვლოდ საჩუქარს მიიღებ.
- ზოგიერთი ადამიანი დათრობას გაურბის იმის შიშით, რომ მათი რეპუტაცია შეილახება.

მოსწავლეები ან მასწავლებელი ამ მაგალითების საფუძველზე დასკვნას აკეთებენ.

ეს მაგალითები აშკარად აჩვენებს, რომ სტიმული იწვევს ჩვენს პირად ინტერესს. ხშირად იგი პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია ჩვენს მატერიალურ კეთილდღეობასთან – ფულთან, მაგრამ ასევე ხშირად ჩვენს სურვილთან, ვიყოთ წარმატებულები, ან საზოგადოებაში მიღებული. კონკურენტული საბაზრო ეკონომიკა ძლიერ არის დამოკიდებული სტიმულებზე, ხოლო მოგების სტიმული წარმოადგენს თავისუფალ ბაზარზე კონკურენციის ბირთვს. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ მოსწავლეები რეაგირებენ იმ სტიმულზე, რომელიც მათთვის ესოდენ ნაცნობია.

ეტაპი 3: მოსწავლეები განიხილავენ ორ ძირითად მიდგომას, რომელიც ემსახურება მდგრადი განვითარება–მოგების დილემის გადაჭრას

მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის მეორე ინფორმაციას, რომელიც დილემის ცნებას უკავშირდება. ჩვენი მოგების გაზრდის სტიმული ძლიერად მოქმედებს ჩვენზე. მდგრადი განვითარების თვალსაზრისით, კატასტროფულ შედეგებამდე მივალთ, თუ ჩვენ ყველანი დავექვემდებარებით მოგების სტიმულს, და ეს ჩვენთვის კარგად არის ცნობილი. ჩვენ დილემის წინაშე ვდგევართ. გვესმის, რომ რაიმე უნდა ვიღონოთ, რათა დავიცვათ საერთო რესურსები, მაგრამ ჩვენი მხრიდან ამ მცდელობის შემთხვევაში, წარუმატებლის როლში აღმოვჩნდებით და ვიქნებით სხვებზე უფრო ღარიბი. ასე რომ, ჩვენ ყველაზე უარესი პერსპექტივის შიშით, მაგრამ მაინც ვუბრუნდებით მიზანს, რომელიც მოგებას მოგვიტანს. სიტუაციას, როდესაც ნებისმიერი არჩევანი არაფერ კარგს არ ემსახურება, მაგრამ არჩევანი მაინც უნდა გავაკეთოთ, დილემა ეწოდება.

მოსწავლეებმა, პირველ რიგში, უნდა დასვან კითხვები, წამოჭრილ საკითხში სრულყოფილად გასარკვევად. მას შემდეგ, რაც ისინი შეთანხმდებიან, რომ მოგების მიღების სტიმული თევზჭერის თამაშის დასაწყის ეტაპზე ძლიერი იყო, მოსწავლეები უნდა შეუდგნენ იმის განხილვას, თუ როგორ უნდა დავძლიოთ ამ სტიმულის გამანადგურებელი პოტენციალი. თამაშის დროს მიღებული მათი გამოცდილება მოცემულ ეტაპზე მნიშვნელოვანია. მოახერხეს მოსწავლეებმა თევზჭერის საკუთარი სტრატეგიების და პოლიტიკის კონტროლი და კოორდინირება? იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ ეს ვერ მოახერხეს, რა და რა გამოსავალი იყო მათი მხრიდან წამოყენებული? რა გამოსავალს წამოაყენებდნენ ისინი ამ გადმოსახედიდან?

ზოგადად თუ განვიხილავთ, მოსწავლეთა მოსაზრებები შეიძლება ორ კატეგორიად დავყოთ. თუმცა ისინი შეიძლება მოცემული სრულყოფილი დახასიათების ყველა ასპექტს არ შეეხონ:

- ავტორიტეტული მიდგომა: მეთევზეებს სჭირდებათ წესებისა და კანონების სისტემა, ისევე როგორც კონტროლისა და სანქციების სისტემა, რომელიც ამ წესებისა და კანონების აღსრულებას უზრუნველყოფს. მეთევზეებს უნდა აკონტროლებდეს ზემდგომი ორგანო – მაგალითად, მთავრობა – და სწორედ ეს ორგანო განსაზღვრავს მიზნებს, რომლებიც მოემსახურება მდგრად განვითარებას. მოგების სტიმულზე რეაგირების თავისუფლება მკაცრად იქნება შეზღუდული.

- შეთანხმებაზე დაფუძნებული მიდგომა: მეთევზეები ხელს აწერენ კონტრაქტს, რომელიც ადგენს ქცევის წესებსა და პრინციპებს და, ამასთანავე, მდგრადი განვითარების მიზნებს ემსახურება. მათ ასევე შეთანხმების საუძველზე შეუძლიათ შექმნან კონტროლისა და სანქციების სისტემა.

ამ ორი არჩევანიდან რომელს მიანიჭებენ უპირატესობას მოსწავლეები? თუ ამ საკითხის განსახილვად საკმარისი დრო არ რჩება, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ხელის აწევით დაადასტურონ საკუთარი არჩევანი. რის შემდეგაც თითოეული ჯგუფიდან ერთი ან ორი წარმომადგენელი დაასახელებს მიზეზებს, რამაც განაპირობა მათი არჩევანი. თუ დარჩენილი დრო ამის საშუალებას იძლევა, მოსწავლეებს აქვთ საშუალება, განიხილონ ეს საკითხი. მოსწავლეებმა შეიძლება აღნიშნონ, რომ იერარქიული, ავტორიტეტული მიდგომის ხარვეზი ის არის, რომ შორს მდგომ ინსტანციას არ შესწევს ძალა, ზუსტად განსაზღვროს მდგრადი განვითარების მიზნები. ადგილობრივ შეთანხმებაზე დაფუძნებული მიდგომა ამ თვალსაზრისით უფრო სანდოა, თუმცა, შესაძლოა, ეფექტურად ვერ განახორციელოს სანქციები, კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში. რადგან მეთევზეები ერთმანეთის პარტნიორები არიან, რომლებიც თანაბარი პირობებით სარგებლობენ, მათ არ შესწევთ ძალა, აკონტროლონ ერთმანეთი.

მასალა მასწავლებლებისთვის 4.1
თევზჭერის თამაში: ფურცელი თამაშის მონაწილეთათვის ჩანაწერების გასაკეთებლად

ფურცელი ჩანაწერებისთვის		
ნავის ნომერი	სახელწოდება _____	
სეზონი #	თევზაობის ნორმა (მაქსიმუმ 15%)	დაჭერილი თევზის რაოდენობა (ჯამი ტონებში)
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		
10		

✂

ფურცელი ჩანაწერებისთვის		
ნავის ნომერი	სახელწოდება _____	
სეზონი #	თევზაობის ნორმა (მაქსიმუმ 15%)	დაჭერილი თევზის რაოდენობა (ჯამი ტონებში)
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		
10		

მასალა მასწავლებლებისთვის (თამაშის მენეჯერი) 4.2

რეპროდუქციის ცხრილი: თევზის პოპულაციის აღდგენა (ტონებში)

- თევზაობის სეზონის დასასრულს, ტბაში დარჩენილია 47 ტონა თევზი.
- დახურული სეზონის განმავლობაში თევზის პოპულაცია რეპროდუქციას განიცდის. ამ მაგალითში თევზაობის ახალი სეზონის დასაწყისისთვის თევზის პოპულაცია 56 ტონას შეადგენს.
- თამაშის მენეჯერი ამ მონაცემებს აწვდის მოთამაშეებს, რის შემდეგაც მოთამაშეები განსაზღვრავენ ახალ სეზონზე თევზჭერის საკუთარ გეგმას.
- თამაშის მენეჯერი მოთამაშეებს არ აჩვენებს მოცემულ რეპროდუქციის ცხრილს.

გასული სეზონის დასასრული	ახალი სეზონის დასაწყისი	გასული სეზონის დასასრული	ახალი სეზონის დასაწყისი	გასული სეზონის დასასრული	ახალი სეზონის დასაწყისი	გასული სეზონის დასასრული	ახალი სეზონის დასაწყისი
ტონა	ტონა	ტონა	ტონა	ტონა	ტონა	ტონა	ტონა
0	0	38	43	76	103	114	147
1	0	39	45	77	104	115	147
2	1	40	46	78	106	116	147
3	1	41	47	79	107	117	147
4	2	42	49	80	109	118	147
5	2	43	50	81	110	119	147
6	3	44	52	82	112	120	148
7	4	45	53	83	113	121	148
8	5	46	55	84	115	122	148
9	7	*47	*56	85	116	123	148
10	11	48	58	86	118	124	148
11	12	49	59	87	119	125	149
12	13	50	61	88	121	126	149
13	14	51	62	89	122	127	149
14	15	52	64	90	124	128	149
15	16	53	65	91	126	129	149
16	17	54	67	92	128	130	150
17	18	55	69	93	130	131	150
18	20	56	71	94	132	132	150
19	21	57	73	95	134	133	150
20	22	58	75	96	136	134	150
21	23	59	76	97	138	135	150
22	24	60	78	98	140	136	150
23	25	61	79	99	141	137	150
24	27	62	81	100	142	138	150
25	28	63	82	101	142	139	150
26	29	64	84	102	142	140	150
27	30	65	85	103	143	141	150
28	31	66	87	104	143	142	150
29	32	67	89	105	144	143	150
30	34	68	91	106	145	144	150
31	35	69	92	107	145	145	145
32	36	70	94	108	145	146	150
33	37	71	95	109	146	147	150
34	38	72	97	110	146	148	150
35	40	73	98	111	146	149	150
36	41	74	100	112	146	150	150
37	42	75	101	113	146		

* უჩვენებს ზემოთ მოყვანილ მაგალითს – 47 ტონა (სეზონის დასასრულს) – 56 ტონა (ახალი სეზონის დასაწყისში). ვოლფგანგ ზაიფლის „Das Fischerspiel“–ის მიხედვით გვ. 13.

მასალა მასწავლებლებისთვის 4.3

თევზჭერის თამაში: ცხრილი ჩანაწერების გასაკეთებლად

სეზონი #	თევზის პოპულაცია სეზონის დასაწყისში (ტონებში)	ნავი # 1		ნავი # 2		ნავი # 3		ნავი # 4		სრული წილი %	სულ ნადავლი (ტონებში)	თევზის პოპულაცია სეზონის ბოლოს (ტონებში)
		%	(ტ)	%	(ტ)	%	(ტ)	%	(ტ)			
1	140											
2												
3												
4												
5												
6												
7												
8												
9												
10												

მასალა მასწავლებლებისთვის 4.4

თევზჭერის თამაში: თევზის მარაგისა და მთლიანი ნადავლის დიაგრამა

(ტ)										
160										
150										
140										
130										
120										
110										
100										
90										
80										
70										
60										
50										
40										
30										
20										
10										
0										
სეზონი #	1	2	3	4	5	6	7	8	9	10

გადაიტანეთ ეს დიაგრამა დაფაზე ან ფლიპჩარტზე. დიაგრამაზე დაიტანეთ თევზის მარაგის დონის ცვლილება (სეზონის დასაწყისი) და ნადავლის ოდენობა (სეზონის დასასრულს) ტონებში. სხვადასხვა ფერის ხაზებით.

მასალა მასწავლებლებისთვის 4.5
საშინაო დავალების ინსტრუქცია (მოსწავლეებისთვის დასარიგებელი ფურცლები)

მოსწავლეებს ეძლევათ შემდეგი ინსტრუქცია დავალების შესასრულებლად. ეს ფურცელი განკუთვნილია ფოტოასლების დასამზადებლად და დაჭრილი ფორმით მოსწავლეებისთვის დასარიგებლად. დაწერილი სახით მიწოდებული ინსტრუქცია უფრო ზუსტია და დროის დაზოგვას ემსახურება.

✂

1. ახსენით, რატომ არის რთული მდგრადი განვითარების ორი ან მეტი მიზნის ერთდროულად მიღწევა? გამოიყენეთ მასალა მოსწავლეებისთვის 4.2 და ჩვენს მიერ კლასში წარმოებული დისკუსია.

2. ახსენით, მოთამაშეთა უმეტესობა რატომ ისახავდა ჯიუტად ინდივიდუალური კითილდღეობის მიზანს მაშინაც კი, როცა კატასტროფული შედეგების პერსპექტივა ნათლად გამოიკვეთა?

სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაასახელოთ კონკრეტული მაგალითები.

შეასრულეთ დავალება წერილობითი ფორმით.

✂

1. ახსენით, რატომ არის რთული მდგრადი განვითარების ორი ან მეტი მიზნის ერთდროულად მიღწევა? გამოიყენეთ მასალა მოსწავლეებისთვის 4.2 და ჩვენს მიერ კლასში წარმოებული დისკუსია.

2. ახსენით, მოთამაშეთა უმეტესობა რატომ ისახავდა ჯიუტად ინდივიდუალური კითილდღეობის მიზანს მაშინაც კი, როცა კატასტროფული შედეგების პერსპექტივა ნათლად გამოიკვეთა?

სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაასახელოთ კონკრეტული მაგალითები.

შეასრულეთ დავალება წერილობითი ფორმით.

✂

1. ახსენით, რატომ არის რთული მდგრადი განვითარების ორი ან მეტი მიზნის ერთდროულად მიღწევა? გამოიყენეთ მასალა მოსწავლეებისთვის 4.2 და ჩვენს მიერ კლასში წარმოებული დისკუსია.

2. ახსენით, მოთამაშეთა უმეტესობა რატომ ისახავდა ჯიუტად ინდივიდუალური კითილდღეობის მიზანს მაშინაც კი, როცა კატასტროფული შედეგების პერსპექტივა ნათლად გამოიკვეთა?

სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაასახელოთ კონკრეტული მაგალითები.

შეასრულეთ დავალება წერილობითი ფორმით.

✂

1. ახსენით, რატომ არის რთული მდგრადი განვითარების ორი ან მეტი მიზნის ერთდროულად მიღწევა? გამოიყენეთ მასალა მოსწავლეებისთვის 4.2 და ჩვენს მიერ კლასში წარმოებული დისკუსია.

2. ახსენით, მოთამაშეთა უმეტესობა რატომ ისახავდა ჯიუტად ინდივიდუალური კითილდღეობის მიზანს მაშინაც კი, როცა კატასტროფული შედეგების პერსპექტივა ნათლად გამოიკვეთა?

სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაასახელოთ კონკრეტული მაგალითები.

შეასრულეთ დავალება წერილობითი ფორმით.

თავი 4.5 მასალა მასწავლებლებისთვის
საკითხავი მასალა თევზჭერის თამაშისთვის

საკითხავი მასალა

Garrett Hardin (1968), “The tragedy of the commons”, in *Science*, Volume 162 (1968), p. 1244, www.garretthardinsociety.org.

Elinor Ostrom (1990), Governing the commons. *The evolution of institutions for collective action*. Cambridge University Press.

Wolfgang Ziefle (2000), “Fischerspiel und Verfassungsspiel. Die Allmendeklemme und mцgliche Auswege”, in: Gotthard Breit/Siegfried Schiele (eds.), *Werte in der politischen Bildung*, Wochenschau-Verlag, pp. 396-426, www.lpb-bw.de/publikationen/did_reihe/band22/ziefle.htm.

Wolfgang Ziefle (1995), “Das Fischerspiel”, in: Landeszentrale fьr politische Bildung Baden-Wьrttemberg (ed.), *Politik und Unterricht* (1/1995), pp. 7-35.

თავი 5
წესები და კანონი
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის

რომელი წესები მოქმედებს ჩვენს სასარგებლოდ?
თამაში გადაწყვეტილების მიღებაზე

5.1 და 5.2 რაში სჭირდება საზოგადოებას წესები?

წესები წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის საშუალებებს
მოსწავლეები ქმნიან ინსტიტუციურ ჩარჩოს

5.3 რომელი წესები მოქმედებს ჩვენს სასარგებლოდ?

მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ თავიანთ გადაწყვეტილებებს და მსჯელობენ მათზე

5.4 კონფერენცია

საზოგადოების წევრები თანხმდებიან წესების სისტემაზე

თავი 5
წესები და კანონი
რომელი წესები მოქმედებს ჩვენს სასარგებლოდ?

„წესები წარმოადგენს საშუალებებს“ – ინსტიტუციის ცნებისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომა

ეს ლოზუნგი მოცემულ თავში განხილული ძირითადი დებულებების შეჯამებას წერმოადგენს. წესები, კანონები, კონსტიტუციები, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მთელი ეს ჩამონათვალი ერთიანდება ინსტიტუციის ცნების ქვეშ. მოცემულ სახელმძღვანელოში ინსტიტუციები განხილულია, როგორც პროდუქტი – ხალხმა შექმნა ეს ინსტიტუციები, რათა ისინი გარკვეულ მიზანს ემსახურონ. ამ თვალსაზრისით, „წესები – ან, ზოგადად, ინსტიტუციები –წარმოადგენს საშუალებებს.“

ინსტიტუციები არის საშუალებები, რომლებიც შემდეგ მიზნებს ემსახურება:

- აგვარებს საზოგადოებაში წამოჭრილ სერიოზულ პრობლემებს;
- ანეიტრალებს კონფლიქტის პოტენციურ წყაროებს, სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნით;
- ძალაუფლების გადანაწილებით, აგვარებს ურთიერთობას საზოგადოების იმ ჯგუფებს შორის, რომელთაც განსხვავებული ინტერესები ამოძრავებთ; ამრიგად, იცავს სუსტებს, ან შეიძლება ექსკლუზიური ძალაუფლება მიანიჭოს გარკვეულ ჯგუფს, ან ინდივიდუალურ პირს.

აქედან გამომდინარე, იმისათვის, რათა გავიგოთ,თუ რას წარმოადგენს ინსტიტუციები, პირველ რიგში საჭიროა გავიგოთ, რა მიზნები და ინტერესები ამოძრავებდათ მათ შემოქმედებს. ინსტიტუციები წარმოადგენს რთულ სისტემებს, რომლის მიზანიც რთული პრობლემების მოგვარებაა. მათ წარმოშობას განაპირობებს მოლაპარაკებების ან კონფლიქტების, რევოლუციების ან რეფორმების პროცესები. დემოკრატიულ საზოგადოებაში ინსტიტუციების ჩამოყალიბება ხდება კოლექტიური სწავლის პროცესის შედეგად, რომელიც თავისთავად პროცედურული წესების ფარგლებში ხორციელდება, რადგან კონსტიტუციის ჩამოყალიბება დიდ სიფრთხილესა და მაღალ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

მოსწავლეები ეცნობიან ინსტიტუციის ცნებას, საკუთარი ინსტიტუციის ჩამოყალიბების საშუალებით

სწორედ ეს ძირითადი ხედვა – ინსტიტუციური სტრუქტურის განვითარების კონსტრუქტივისტული განზომილება – უდევს საფუძვლად მოცემულ თავში განხილულ ძირითად ამოცანას. მოსწავლეები პოლიტიკური პრობლემის წინაშე დგანან და მათ ამოცანას წარმოადგენს ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭირო წესების სტრუქტურის შექმნა. ამრიგად, ისინი ეცნობიან იმ სირთულეებს, რომელსაც მსგავსი ინსტიტუციების შემქმნელები აწყდებიან. მათ შესაძლებლობა ექნებათ მეტი დაკვირვებით განიხილონ საკუთარი ქვეყნის კონსტიტუცია და კანონები, ისევე როგორც ადამიანის უფლებები და ყურადღება გაამახვილონ ამ ინსტიტუციათა დანიშნულებაზე და არა ცალკეულ კანონსა და დადგენილებაზე.

მე–5 თავის მოცემული ვარიანტი წარმოადგენს მე–4 თავის გაგრძელებას, მაგრამ იგი შესაძლოა დამოუკიდებლად, ოთხი გაკვეთილისგან შემდგარი თავის სახითაც მიეწოდოს მოსწავლეებს (ამასთან დაკავშირებით დეტალური მითითებები იხილეთ ქვევით). ორივე შემთხვევაში ამოცანა და შესწავლის საგანი ერთი და იგივეა. პრობლემა, რომელიც მოსწავლეების წინაშე დგას არის ის, თუ როგორ უნდა მართოს მეთევზეთა საზოგადოებამ საერთო რესურსები – თევზის მარაგი ტბაში – ეფექტურად და მდგრადი განვითარების პრინციპით (იხ. მდგრადი განვითარების მიზნების მოდელი, მასალა მოსწავლეებისთვის 4.2). გადასაჭრელია, სულ მცირე, შემდეგი ოთხი პრობლემა:

1. როგორ უნდა აირიდონ თავიდან მეთევზეებმა ჭარბი რაოდენობით თევზჭერა და, აქედან გამომდინარე, თევზის მარაგის განადგურება?

2. როგორ მიაღწიონ მეთევზეებმა მაქსიმალურ მწარმოებლურობას?

3. როგორ უნდა განახორციელონ მათ შემოსავალის სამართლიანი გადანაწილება?

4. როგორ უნდა უზრუნველყონ მეთევზეებმა ამ მიზნების განხორციელება არა მარტო მოცემულ მომენტში, არამედ სამომავლოდაც?

მოსწავლეებს ესმით, რაში მდგომარეობს ამ პრობლემათა გადაჭრის პრინციპი. მასალა მოსწავლეებისთვის 4.4 გვაწვდის მდგრადი განვითარებისთვის საჭირო, თევზჭერის მოცულობის ოპტიმალურ მონაცემს (42 ტონა). მეთევზეებს სჭირდებათ წესების სტრუქტურა, რომელიც, მათი ქცევის კონტროლის საუძველზე, ამ მიზნების განხორციელებას უზრუნველყოფს. მოსწავლეთა ამოცანას წარმოადგენს ამ სტრუქტურის შექმნა. ზოგადად, მათ შეუძლიათ არჩევანი გააკეთონ „სახელმწიფოსა“ ან „შეთანხმებაზე“. ამ არჩევანთაგან ორივეს გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი ელემენტები (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 5.2). ამ ორივე არჩევანთაგან თითოეული რიგ შემთხვევაში წარმატების გარანტიაა, რიგ შემთხვევაში მარცხის მომტანი.[14] მოსწავლეთა მიერ გაკეთებული არჩევანი წარმატებული იქნება თუ არა, ამას პრაქტიკა გვიჩვენებს, რაც გულისხმობს თევზჭერის თამაშის რამდენიმე შემდგომი რაუნდის ჩატარებას (იხ. თავი 4), რომელიც ამ თავის დამატებითი სამუშაოს სახით არის მოცემული. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, თავი 4–ისა და თავი 5–ის კომბინირება, რომლის განმავლობაშიც მოსწავლეები ინსტიტუციური სტრუქტურებისა და რესურსების ეფექტურად მართვის პრინციპებს ეცნობიან – რაც თავისთავად საინტერესო პროექტია, თუმცა დიდ დროს მოითხოვს.

რეალობის მოდელი

მე–4 თავის მსგავსად, მოცემული თავის განმავლობაში, სწავლის პროცესი თამაშის სახით ხორციელდება. მე–4 თავის ბოლო გაკვეთილზე, მოსწავლეებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გადაჭრან ჭარბი თევზჭერის პრობლემა მდგრადი განვითარების მიზნების გამოყენებით (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 4.2). მათ განიხილეს, თუ რომელი ინსტიტუციური სტრუქტურა მიესადაგება მოცემულ სიტუაციას (გაკვეთილი 4), თუმცა, მათ ეს საკითხი ძირფესვიანად არ განუხილავთ. მე–5 თავის მოცემული ვერსია არის თევზჭერის თამაშის გაგრძელება, მაგრამ აქ ყურადღება სხვა პრობლემაზეა გამახვილებული: რომელი წესები და კანონები იქნება მეთევზეთა საზოგადოებისთვის ყველაზე ეფექტური?

მე–5 თავში, პროექტის შექმნისა და მეთევზეთა საზოგადოებისთვის საჭირო ინსტიტუციურ სტრუქტურაზე შეთანხმების სიმულაცია ხორციელდება. მოსწავლეები ისევ ერთვებიან თამაშში, როგორც მეთევზეთა საზოგადოების წევრები, მაგრამ, ამჯერად, მათი ამოცანა განსხვავებულია. მათ უნდა შექმნან წესების სისტემა. ზოგადად, ნიმუშის საშუალებით საკითხის შესწავლა, ამსუბუქებს იმ სირთულეებს, რომელიც პრობლემის გადაჭრისთვის მნიშვნელოვანი ასპექტების კვლევას უკავშირდება. ეს თამაშიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება. მოთამაშეებს არ უხდებათ იმაზე ფიქრი, თუ როგორ ითევზაონ ან როგორ მოიპოვონ საზრდო, არ არსებობს გარე ფაქტორი, რომელიც მათ მოლაპარაკებას ხელს შეუშლის. თამაშის მიზანს წარმოადგენს წესების სისტემის შექმნა. სწორედ ისე, როგორც ეს რეალურ ცხოვრებაში ხდება, მოლაპარაკებები შეიძლება წარუმატებლად დასრულდეს – მოთამაშეებმა შეიძლება ვერ მიაღწიონ შეთანხმებას. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკური მოლაპარაკებისა და დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების წარმატების კრიტერიუმები ერთმანეთისაგან განსხვავდება. მოსწავლეებს საშუალება აქვთ ბევრი რამ ისწავლონ შეთანხმების მიღწევის მცდელობისას განცდილი მარცხის მაგალითზე.

[14] იხ. ელინორ ოსტრომი, Governing the Commons. *The evolution of institutions for collective action,* Cambridge University Press, 1990.

მასწავლებლის როლი – თამაშის მენეჯერი და თავმჯდომარე

მოცემულ შემთხვევაში, მასწავლებელს, როგორც თამაშის მენეჯერს, კიდევ უფრო ნაკლები დატვირთვა აქვს თამაშში, მოსწავლეებისათვის მითითებების მიცემის თვალსაზრისით, ვიდრე მე–4 თავში. მისი ფუნქციაა მოსწავლეების მიერ დროის ეფექტური გამოყენება აკონტროლოს, რათა პროცესი სტრუქტურის ფარგლებში წარიმართოს. სხვა შემთხვევაში, ამგვარ თამაშს, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში, დატვირთვა არ ექნება. მასწავლებელმა არ უნდა მიუთითოს მოსწავლეებს, თუ რა არჩევანი გააკეთონ. გადაწყვეტილების მიღების პროცესი თავისუფლად მიმდინარეობს და, აქედან გამომდინარე, შედეგების გათვალისწინება შეუძლებელია. მოსწავლეებმა, შეიძლება, ვერ მიაღწიონ სტრუქტურის ჩარჩოზე შეთანხმებას, არსებული აზრთა სხვადასხვაობის გამო. ის, თუ რა უდევს საფუძვლად მოსწავლეების მიერ გაკეთებულ არჩევანს, არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე შედეგი.

როგორ მივაწოდოთ მოსწავლეებს თავი 5, დამოუკიდებელი, ოთხი გაკვეთილისგან შემდგარი თავის სახით.

მოცემული თავის სტრუქტურა არ არის განსხვავებული სხვა თავების სტრუქტურისაგან. შემდეგი ცვლილებების შეტანა საშუალებას მოგცემთ, მოსწავლეებს მოცემული თავი მიაწოდოთ მე–4 თავისგან დამოუკიდებლად, ოთხი გაკვეთილისგან შემდგარი თავის სახით:

- მოსწავლეები, მოცემულ თამაშში, მეთევზეთა საზოგადოების წევრებზე უფრო მეტად, მრჩეველთა როლში გამოდიან. მრჩევლები ქმნიან ოთხ ჯგუფს, რომელთაც წესების სისტემის პროექტის მომზადება, განხილვა და საბოლოოდ იმის თაობაზე შეთანხმება ევალებათ, თუ რომელი მოდელი შესთავაზონ საზოგადოებას.

- პირველი გაკვეთილი პრობლემის შესწავლას ეძღვნება. მოსწავლეებს გასაცნობად ეძლევათ მეთევზეთა კონფლიქტის შემთხვევა (მასალა მოსწავლეებისთვის 4.1 და მდგრადი განვითარების პრინციპები – მასალა მოსწავლეებისთვის 4.2 და 4.4). ამ შემთხვევაში, მოსწავლეებს არ უხდებათ მე–4 თავში მოცემული პრობლემის გადაჭრა, მათ მიზანს წარმოადგენს მიიღონ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რომელი წესები გაამხნევებს, გააკონტროლებს და თუნდაც აიძულებს მეთევზეთა საზოგადოებას ეფექტურად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა. მოსწავლეებმა ასევე უნდა გადაჭრან საკუთრების საკითხი.

ამ ცვლილებების გათვალისწინებით მოცემული თავი მოსწავლეებს შეიძლება მივაწოდოთ მე–4 თავისგან დამოუკიდებლად.

კომპეტენციების გამომუშავება: კავშირი სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა თავებთან

რას გვიჩვენებს ეს ცხრილი

წინამდებარე სახელმძღვანელოს სათაური, *მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში,* გულისხმობს იმ კომპეტენციებს, რომელსაც აქტიური მოქალაქე უნდა ფლობდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში. მოცემული მატრიცა გვიჩვენებს სახელმძღვანელოში შესულ თავებს შორის სინერგიის ეფექტის პოტენციალს. მატრიცა გვიჩვენებს, რომელი კომპეტენციების განვითარება ხდება მეხუთე თავში (შეფერილი, ჰორიზონტალური მწკრივი ცხრილში). მუქი შტრიხებით შემოსაზღვრული ვერტიკალური სვეტი გვიჩვენებს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების კომპეტენციებს –მისი გამოყოფა ხდება, დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობასთან მჭიდრო კავშირის გამო. ჰორიზონტალური მწკრივები გვიჩვენებს სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა თავებთან კავშირს: რომელ კომპეტენციებს იძენს მოსწავლე, სახელმძღვანელოში მოცემულ ამ თავებში, რომელიც მათ მეხუთე თავში სჭირდებათ?

როგორ გამოვიყენოთ მატრიცა?

მასწავლებლებს მოცემული მატრიცის გამოყენება სხვადასხვა გზით შეუძლიათ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებს გაკვეთილის დასაგეგმად.

- ეს მატრიცა ეხმარება მასწავლებლებს, რომლებსაც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მცირე რაოდენობით გაკვეთილის ჩატარება უწევთ: მასწავლებელს საშუალება აქვს აარჩიოს ეს თავი და გამოტოვოს სხვა თავები, თუ მიიჩნევს, რომ მოსწავლეები გარკვეულწილად უკვე ფლობენ სხვა ძირითად კომპეტენციებს, მაგალითად მოცემულ თავში ასეთი კომპეტენციებია – პრობლემის ანალიზი, წესების ზემოქმედების შეფასება, პირადი პასუხისმგებლობის მნიშვნელობის კვლევა.

- მოცემული მატრიცა ეხმარება მასწავლებელს დარწმუნდეს სინერგიის ეფექტში, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები ერთსა და იმავე კომპეტენციას განმეორებით იძენენ, ერთმანეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა კონტექსტში. ამ შემთხვევაში მასწავლებელი ირჩევს რამდენიმე თავს და კომბინირებულად აწვდის მათ მოსწავლეებს.

თავი	კომპეტენციის განვითარების განზომილებები			მიდგომები და ღირებულებები
	პოლიტიკური ანალიზი და შეფასება	მეთოდები და უნარები	პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება	
5. წესები და კანონი	ინსტიტუციურ სისტემათა და ქონების მართვის ძირითადი სტრუქტურა	გუნდური მუშაობა, დროის მენეჯმენტი შედარება არჩევანის გაკეთება	სოციალური კონტრაქტი *ან* შეთანხმება შესათავაზებელ წინადადებაზე	მნიშვნელოვანია: წესებისა და კანონების გამოყენება კონფლიქტის ცივილიზებულად მოგვარების პროცესში
4. კონფლიქტი	წესების არარსებობა შობს კონფლიქტს		ინტერესთა კონფლიქტის არაფორმალურ გარემოსთან გამკლავება	ურთიერთაღიარება
2. პასუხისმგებლობა	სტიმულმა შესაძლოა ძლიერი გავლენა იქონიოს ჩვენს ქცევაზე		სტიმულმა შესაძლოა ძლიერი გავლენა იქონიოს ჩვენს ქცევაზე	ვაცნობიერებთ ჩვენი გადაწყვეტილების შედეგებს
8. თავისუფლება	თავისუფლება მოითხოვს წესების სისტემას სუსტთა დასაცავად	დებატები, საკუთარი არგუმენტის წამოყენება და დაცვა	თავისუფლება და მისი საზღვრები	ურთიერთაღიარება
6. მთავრობა და პოლიტიკა	წესები და კანონები წარმოადგენენ		კომპრომისი, გამოცდა და შეცდომა	

	პრობლემათა გადაჭრისა და კონფლიქტის მოგვარების საშუალებებს		გადაწყვეტილების მიღების პროცესში	

თავი 5: წესები და კანონი – რომელი წესები მოქმედებს ჩვენს სასარგებლოდ? თამაში გადაწყვეტილების მიღებაზე

გაკვეთილის თემა	**კომპეტენციის გამომუშავება/სწავლის მიზანი**	**მოსწავლის ამოცანა**	**მასალა და რესურსები**	**მეთოდი**
გაკვეთილი 1 და 2 რაში სჭირდება საზოგადოებას წესები?	ანალიტიკური აზროვნება, სამუშაოს დაგეგმვა. პოლიტიკური პრობლემის იდენტიფიცირება. წესთა სისტემა საზოგადოების ინსტიტუციურ ხერხემალს წარმოადგენს. იერარქია და ქსელი – წესების ორი სისტემა; საზოგადოებრივი და კერძო საკუთრება.	მოსწავლეები ადგენენ წესების სისტემას თავიანთი საზოგადოებისთვის. მოსწავლეები ამზადებენ პრეზენტაციებს.	მასალა მოსწავლეებისთვის 5.1, 5.2, 5,4. ფლიპჩარტები და მარკერები. თვალსაჩინოების დაფა ან მოსწავლეთათვის დასარიგებელი მასალა.	თამაში გადაწყვეტილების მიღებაზე. მუშაობა პროექტზე.
გაკვეთილი 3 რომელი წესები მოქმედებს ჩვენს სასარგებლოდ?	ანალიტიკური აზროვნება: შედარება კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მსჯელობა: კრიტერიუმებისა და მიზნების შერჩევა. დამოკიდებულება და ღირებულებები: ურთიერთაღიარება. ეფექტურობა, ძალაუფლების კონტროლი, წესების აღსრულება, განხორციელებადობა, სამართლიანობა.	მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ და მსჯელობენ საკუთარ პროექტებზე. საშინაო დავალება: მოსწავლეები გადაწყვეტილებას იღებან კონფერენციის ჩარჩოებსა და კონფერენციის გამართვის წესების პროექტზე.	მასალა მოსწავლეებისთვის 5.3, 5.4, ფლიპჩარტები (ან მათი შემცვლელი დაფები).	პრეზენტაციები. დისკუსიები.
გაკვეთილი 4 კონფერენცია	გადაწყვეტილების მიღება. კომპრომისი, კონსენსუსის ფარგლები.	მოსწავლეები ცდილობენ მიიღონ ერთსულოვანი გადაწყვეტილება. მოსწავლეები აჯამებენ საკუთარ გამოცდილებას.	მასალა მოსწავლეებისთვის 5.4–5.6.	კენჭისყრა. მასწავლებლის ლექცია და დისკუსია.

გაკვეთილი 1 და 2
რაში სჭირდება საზოგადოებას წესები?
წესები წარმოადგენს პრობლემის გადაწყვეტის საშუალებებს

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	მუშაობა პროექტზე (თანამშრომლობა, დროის რაციონალურად გამოყენება, სწავლა თვითკონტროლის საფუძველზე, შედეგებზე ორიენტირება, პრობლემების გადაჭრა). ანალიტიკური აზროვნება: სამუშაოს დაგეგმვა. პოლიტიკური პრობლემის იდენტიფიცირება.
სწავლის მიზანი	წესები და კანონები ადამიანის ქცევის კონტროლის ეფექტური საშუალებები. წესების სისტემის არარსებობის შემთხვევაში საზოგადოება განწირულია მის წევრებს შორის არაკონტროლირებადი კონფლიქტის შედეგად დაშლისთვის. წესთა სისტემა საზოგადოების ინსტიტუციურ ხერხემალს წარმოადგენს. ძირითადი არჩევანი: იერარქია და ქსელი – წესების ორი სისტემა; საზოგადოებრივი და კერძო საკუთრება.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები ადგენენ წესების სისტემას თავიანთი საზოგადოებისთვის.
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 5.1, 5.2, 5,4. ფლიპჩარტები და მარკერები. თვალსაჩინოების დაფა ან მოსწავლეთათვის დასარიგებელი მასალა.
მეთოდი	თამაში გადაწყვეტილების მიღებაზე, მუშაობა პროექტზე.
დროის ბიუჯეტი (გაკვეთილი 1)	1. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ამოცანას. 20 წთ.
	2. მოსწავლეები ქმნიან ჯგუფებს და მუშაობენ თავიანთ პროექტზე. 20 წთ.
დროის ბიუჯეტი (გაკვეთილი 2)	3. მოსწავლეები მუშაობენ თავიანთ პროექტზე. 40 წთ.

ინფორმაცია

თამაშის სიუჟეტი პრაქტიკული სწავლის პრინციპს ესადაგება: მოსწავლეების წინაშე დგას პრობლემა და მათ უნდა მიაკვლიონ გამოსავალს. მათ მიეწოდებათ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა სტადიაშია პროცესი და რა დროში უნდა განახორციელონ მათ დაკისრებული ამოცანის შესრულება, რის შემდეგაც ისინი დამოუკიდებლად მუშაობენ.

მოსწავლეები კვლავ უბრუნდებიან საკუთარ როლს, როგორც მეთევზეთა საზოგადოების წევრები და მხოლოდ მე–4 გაკვეთილზე უწევთ ამ როლიდან გამოსვლა და მოვლენების ობიექტურად შეფასება. ამჯერად მოსწავლეები სხვა ამოცანის წინაშე დგანან. მათ აღარ უწევთ შეზღუდულ დროში მოქმედება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა თევზჭერის თამაშისას.

მათ ახალ ამოცანას წარმოადგენს წესების სისტემის შექმნა. ამგვარ ამოცანას პოლიტიკური

განზომილება გააჩნია: თამაშის მონაწილეებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, ვინაიდან წესების სისტემის გარეშე, საზოგადოება განწირულია. მოსწავლეები პრაქტიკულ გამოცდილებას იძენენ პოლიტიკაში. ტენდენციური გადაწყვეტილებების თავიდან ასარიდებლად, ყველა ჯგუფში უნდა შედიოდეს მეთევზეთა ყველა სოფლის თითო წარმომადგენელი, რათა გათვალისწინებულ იქნეს მათი განსხვავებული მოსაზრებები და გამოცდილება.

მასწავლებელი თამაშის მენეჯერის ფუნქციას ასრულებს. ჯგუფების მასალებზე პასუხისმგებელი პირები მიმართავენ მასწავლებელს, მათთვის საჭირო მასალის ასაღებად. მეორე გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი 5 წუთიან განცხადებას აკეთებს.

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს მასალას, სადაც მოცემულია კონფერენციის ჩატარების წესები, რომელიც მე–4 გაკვეთილზე გაიმართება. კონფერენციის წინ პროცედურათა განმარტება, მე–4 გაკვეთილის უმტკივნეულოდ ჩატარებას განაპირობებს, და მოსწავლეებს საკმარისი დრო დარჩებათ საკუთარი გამოცდილების შესაჯამებლად, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია პრაქტიკული სწავლის პროცესში. თუ მოსწავლეებს უჩნდებათ კითხვები ან მოსაზრებები, ამ წესების გასაუმჯობესებლად, მათ ამის შესახებ განცხადებები უნდა გააკეთონ მე–2 გაკვეთილზე და მასწავლებელთან ერთად გადაწყვიტონ, როგორ მოაგვარონ ესა თუ ის საკითხი.

გაკვეთილი 1: აღწერა

1. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ამოცანას

მოსწავლეები მოკლე დროში, ბრეინშტორმინგის მეთოდით, ჯგუფურად განიხილავენ თევზჭერის თამაშში მიღებულ საკუთარ გამოცდილებას

მასწავლებელი, გაკვეთილის დასაწყისშივე აიძულებს მოსწავლეებს, ჩაერთონ გაკვეთილის მსვლელობაში, სთხოვს რა მათ, გაიხსენონ თევზჭერის თამაშის დროს მიღებული გამოცდილება:

1. აღწერეთ პრობლემა, რომელსაც გადააწყდით თევზჭერის თამაშის დროს.

მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები შეეხებიან მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. იმისდა მიხედვით, თუ რა საკითხი იქნა განხილული და როგორ იქნა იგი აღქმული მოსწავლეების მიერ, ისინი ისაუბრებენ ამ მიზნების დარეგულირების სირთულეებზე და მათი ხანგრძლივი დროის მანძილზე განხორციელების ეფექტუროზაზე. პასუხების მრავალფეროვნებაა მოსალოდნელი. მოსწავლეებმა შეიძლება ერთმანეთის მოსაზრებაზე კომენტარის გაკეთებაც მოისურვონ. ამ პროცესს მასწავლებელი თავმჯდომარეობს.

2. გამოთქვით თქვენი მოსაზრებები, პრობლემის გადაჭრის მცდელობისას თქვენს მიერ მიღებულ გამოცდილებასთან დაკავშირებით.

კითხვა მრავლისმომცველია: თამაშში მონაწილეთა მიზნები, მათი ერთმანეთთან ურთიერთობის სტრატეგიები, მათი მზადყოფნა და უნარი ითანამშრომლონ ერთმანეთთან, პრობლემის არსში ჩაწვდომის ხარისხი, საბოლოო რეზულტატი – პრობლემის მოგვარება ან ვერმოგვარება. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი ცდილობს, დააკონკრეტოს ეს მრავლისმომცველი კითხვა.

მოსწავლეები, სავარაუდოდ, შეეხებიან წესების არარსებობის პრობლემას. იმისდა მიხედვით, თუ რა გადაწყვეტილება მიიღეს თამაშის დროს, შესაძლოა, მათ უკვე სცადეს ასეთი წესების შემუშავება.

მოსწავლეებმა ასევე შეიძლება შემოგვთავაზონ რამდენიმე მიდგომა: წესები მოითხოვს ხელისუფლებას, ან მცირე მასშტაბიან საზოგადოებაში ეფექტურია შედარებით არაფორმალური წესების არსებობა. მათ შესაძლოა უკვე განიხილეს, ან დაფიქრდნენ მაინც, თევზის მარაგის, როგორც კერძო და საზოგადოებრივი საკუთრების საკითხზე. მასწავლებელი ჩაინიშნავს მოსწავლეების მიერ გამოთქმულ ამგვარ მოსაზრებებს, რომელთა დაკავშირება შესაძლებელი იქნება მასალა მოსწავლეებისთვის 5.2–თან.

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის ამოცანას.

გაკვეთილის დასაწყისში გამართული განხილვის დროს საუბარი იყო ისეთ საკითხებზე, რომლებიც გაკვეთილის ძირითადი ამოცანისთვის კონტექსტის შექმნას ემსახურებოდა. მასწავლებელი ხსნის, რომ მათევზეთა საზოგადოება ასეთი სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რადგან მათ არ ჰქონდათ წესების ნათლად ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც განსაზღვრავდა მათ მოქმედებას და ქცევას და, სავარაუდოდ, მათ ურთიერთობას.

შესაძლოა მოსწავლეთა მიერ თევზჭერის თამაშში მიღებული გამოცდილების განზოგადება:

- ადამიანთა საზოგადოება კონფლიქტის გარეშე არ არსებობს.
- ადამიანთა ნებისმიერი საზოგადოება, მის წევრებს შორის ურთიერთობის გარეშე, განწირულია.
- წესების ინსტიტუციური ჩარჩოს გარეშე ვერც ერთი საზოგადოება ვერ შეძლებს მშვიდობიანი გზით განახორციელოს მის წევრთა შორის ურთიერთობა და მოაგვაროს მათ შორის წამოჭრილი კონფლიქტი.

– ამ წესების განხორციელება შესაძლებელია, თუ მათ კანონის ფორმას მივცემთ, თუმცა არსებობს მათი აღსრულების ალტერნატიული გზებიც.

მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ განიხილონ, რომელი წესები იქნება ყველაზე ეფექტური მეთევზეთა საზოგადოებისთვის. ისინი კვლავ უბრუნდებიან საკუთარ როლს, როგორც მეთევზეთა საზოგადოების წევრები, მაგრამ ამჟამად, მათი ამოცანა განსხვავებულია. ისინი კანონშემოქმედთა როლში გვევლინებიან. მოსწავლეები ქმნიან ჯგუფებს და აყალიბებენ წესებს, ჯგუფების მიერ შექმნილ წესებს ერთმანეთს ადარებენ და მსჯელობენ მათზე და, საბოლოოდ, ბოლო გაკვეთილზე გამართულ კონფერენციაზე ატარებენ კენჭისყრას, რათა მიიღონ წესების ის სისტემა, რომელიც მათი საერთო ხედვით, ყვალაზე ეფექტური იქნება მეთევზეთა საზოგადოებისთვის.

გადაწყვეტილების მიღების განრიგი

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს მასალას მოსწავლეებისთვის 5.1.

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ ეს თამაში არის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის მოდელი – იგი განსაკუთრებულია, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება ძირითადი წესების შემუშავებას, და არა უკვე ჩამოყალიბებულ ჩარჩოებში წარმოებულ პროცესს.

თამაში გრძელდება მე–4 გაკვეთილამდე, მე–4 გაკვეთილზე, მოსწავლეები გამოდიან თამაშიდან და აჯამებენ საკუთარ გამოცდილებას. მასალა მოსწავლეებისთვის 5.1–ში აღწერილია განრიგი და მოცემულია ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რატომ არის თამაშის მეთოდი გამოყენებული სწავლების მოცემულ ეტაპზე. თამაშის დროს, ისევე როგორც რეალურ ცხოვრებაში, გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი სტრუქტურაა ეფექტური მოცემული საზოგადოებისთვის უფრო პრაქტიკის საკითხია, ვიდრე აკადემიური სწავლების. მოსწავლეებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება.

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს მასალას მოსწავლეებისთვის 5.2, რომელიც მოსწავლეებს უქმნის წარმოდგენას საკითხთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ელემენტებზე. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები, გაკვეთილის დასაწყის ეტაპზე გამართული ბრეინშტორმინგის დროს, შეეხენ ისეთ საკითხებს, რომელიც უკავშირდება მასალაში მოწოდებულ ინფორმაციას, მასწავლებელმა ამის თაობაზე კომენტარი უნდა გააკეთოს.

როგორც კი მოსწავლეები მზად იქნებიან ამისთვის, იწყებენ ჯგუფების შექმნას.

2. მოსწავლეები მუშაობენ პროექტზე (გაკვეთილი 1 და 2)

მოსწავლეები ადგენე ოთხ–ექვსკაციან ჯგუფებს. რიგრიგობით, თითოეულ მეთევზეთა ნავის ეკიპაჟის წარმომადგენელს საკუთარი სახელი და გვარი შეყავს დაფაზე ან ფლიპჩარტზე განთავსებულ სიაში. ყოველ ეკიპაჟს ერთი წარმომადგენელი მაინც უნდა ჰყავდეს ყველა ჯგუფში. მასწავლებელი მათ უხსნის, რომ ეს მნიშვნელოვანია,რათა გათვალისწინებულ იქნეს თითოეული ეკიპაჟის განსხვავებული გამოცდილება და ხედვა. მასწავლებელი ჩაინიშნავს ჯგუფების წევრთა მონაცემებს.

ჯგუფის წევრები ინაწილებენ ფუნქციებს: 1–2 პრეზენტატორი, 1–2 საქმეთა მწარმოებელი, ჯგუფის მენეჯერი (თავმჯდომარე), მასალების მენეჯერი – დროის აღმრიცხველი, მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. ჯგუფები განთავსდებიან მათთვის განკუთვნილ მაგიდებზე, რომლებიც ერთმანეთისგან, შეძლებისდაგვარად, მოშორებულია. მასლებზე პასუხისმგებელი პირი აგროვებს მასალას საკუთარი ჯგუფისთვის.

მოსწავლეები ჯგუფებში მუშაობენ პირველი გაკვეთილის დარჩენილი დროისა და მეორე გაკვეთილის სრული პერიოდის განმავლობაში.

ისინი თავად გეგმავენ საკუთარ სამუშაოსაც და ჯგუფის წევრებს შორის გადასანაწილებელ საშინო დავალებასაც.

გაკვეთილი 2: აღწერა

მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ არჩევანს

მეორე გაკვეთილის დასწყისში მასწავლებელი სთხოვს თითოეულ ჯგუფს თავიანთი არჩევანი გააცნოს დანარჩენ მოსწავლეებს – იერარქია თუ თანამშრომლობის ქსელი – თუ რაღაც შუალედური? კერძო თუ საზოგადოებრივი საკუთრების უფლება თევზის მარაგზე? თუ ორ ან მეტ ჯგუფს ერთნაირი არჩევანი აღმოაჩნდა, მასწავლებელი მათ სთავაზობს, ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი შედეგები გაკვეთილის განმავლობაში. აზრთა ასეთი გაცვლა–გამოცვლა მოსწავლეებს კონფერენციის გამართვისას გამოადგებათ, რადგან ეს მათ მისცემს შესაძლებლობას გაერთიანდნენ კონფერენციის მსვლელობისას.

ჯგუფებს, რომლებიც დამოუკიდებლად არჩევენ მუშაობის გაგრძელებას, ამის საშუალება ეძლევათ.

წინასწარი შეთანხმება პროცედურულ წესებზე

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი დაასრულებს მოკლე განცხადების გაკეთებას, მეორე გაკვეთილის დასაწყის ეტაპზე იგი მოსწავლეებს ურიგებს მასალას მოსწავლეებისთვის 5.4 და სთხოვს ჯგუფებს, გაეცნონ პროექტს და გადაწყვიტონ, მისაღებია თუ არა იგი მათი ჯგუფისთვის. გაკვეთილის ბოლოს ჯგუფებს მოეთხოვებათ, კენჭი უყარონ პროექტს. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება აზრთა სხვადასხვაობას, ამასთან დაკავშირებული საკითხები განხილულ უნდა იქნეს გაკვეთილის განმავლობაში.

ჯგუფები ემზადებიან პრეზენტაციისთვის

მასალაზე პასუხისმგებელი პირი გაკვეთილის განმავლობაში აგროვებს მასალას პრეზენტაციისთვის.

მასწავლებელი არ ერევა მათ საქმიანობაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეატყო, რომ ჯგუფი დროში ვერ ეტევა. ერთადერთი, რასაც იგი ახსენებს მოსწავლეებს, არის ის, რომ მოსწავლეები თავად არიან პასუხისმგებელი მასზედ, რომ პრეზენტაციის მასალები მზად ჰქონდეთ მესამე გაკვეთილის დასაწყისისთვის, რაც შეიძლება გამოსწორდეს ჯგუფის წევრებს შორის საშინაო დავალების სახით სამუშაოს გადანაწილებით.

მასწავლებელი სთხოვს საქმის მწარმოებლებს, მოამზადონ საკუთარი ჯგუფის მიერ შემუშავებული პროექტის საბოლოო დოკუმენტი, წერილობითი ან ნაბეჭდი ფორმით – რომელსაც შესაძლოა ჯგუფის წევრებმა საკუთარი ხელმოწერები დაურთონ (იხ. პროცედურები, მასალა მოსწავლეებისთვის 5.4).

გაკვეთილი 3
რომელი წესები მოქმედებს ჩვენს სასარგებლოდ?
მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ თავიანთ გადაწყვეტილებებს და მსჯელობენ მათზე

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	ანალიტიკური აზროვნება: შედარება კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მსჯელობა: კრიტერიუმებისა და მიზნების შერჩევა. დამოკიდებულება და ღირებულებები: ურთიერთაღიარება.
სწავლის მიზანი	ეფექტურობა, ძალაუფლების კონტროლი, წესების აღსრულება, განხორციელებადობა, სამართლიანობა.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ და მსჯელობენ საკუთარ პროექტებზე. საშინაო დავალება: მოსწავლეები გადაწყვეტილებას იღებან კონფერენციის ჩარჩოებსა და კონფერენციის გამართვის წესების პროექტზე.
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 5.3, 5.4, ფლიპჩარტები (ან მათი შემცვლელი დაფები).
მეთოდი	პრეზენტაციები. დისკუსიები.
დროის ბიუჯეტი	1. მოსწავლეებს საჯაროდ გამოაქვთ თავიანთი გადაწყვეტილებები. 20 წთ. 2. მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ პროექტებს. 15 წთ. 3. მოსწავლეებს ეძლევათ ორი ამოცანა საშინაო დავალების სახით. 5 წთ.

ინფორმაცია

მასწავლებელს ადვილად შეუძლია განსაზღვროს რა გზას აირჩევენ მოსწავლეები, მაგრამ როგორ განვითარდება მოვლენები ამის შემდეგ, წინასწარ განჭვრეტას არ ექვემდებარება. ეს ეტაპი მასწავლებლისთვისაც ისეთივე ახალია, როგორც მოსწავლეებისთვის. მათ უწევთ გამკლავება ისეთ რთულ საკითხებთან, რომელზეც როგორც ისტორიულად, ასევე არსებული პოლიტიკური სისტემების შედარების თვალსაზრისით, განსხვავებული პასუხები არსებობს. საზოგადოების წევრები ისეთი გზების ძიებაში არიან, რომლებიც მათთვის ყველაზე ეფექტური იქნება. ისინი შეიძლება შეთანხმდნენ საერთო მიზანზე, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევ გზებსა და საშუალებებზე შეთანხმება გაცილებით რთულია.

წინამდებარე გაკვეთილი წარმოადგენს წვრთნას დემოკრატიულ პოლიტიკურ კულტურაში ინტეგრირებისათვის.

მასწავლებელმა უნდა გაამხნევოს მოსწავლეები, რათა მათ ერთმანეთს შეადარონ და მსჯელობა გამართონ მათ მიერ შემუშავებული პროექტების როგორც ანალიტიკურ, ასევე პრაქტიკულ მახასიათებლებზე, რაშიც მონაწილეობა თავადაც უნდა მიიღოს. მოსწავლეებმა უნდა

გაათვითცნობიერონ, რომ გარკვეული ინსტიტუციური სტრუქტურისადმი უპირატესობის მინიჭება ხშირად განპირობებულია გამოცდილებით და ღირებულებებით. ეს ის საკითხებია, რომლებიც არ ექვემდებარება არც განხილვას და არც განსჯას. მოსწავლეები უნდა გავამხნეოთ, რომ თავისუფლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, ურთიერთაღიარების პრინციპის გათვალისწინებით. ის, დაამტკიცებს თუ არა საზოგადოება მათ მიერ შემოთავაზებულ პროექტს, უკვე სხვა საკითხია.

გაკვეთილის აღწერა

1. მოსწავლეებს საჯაროდ გამოაქვთ თავიანთი გადაწყვეტილებები

ჯგუფები თავიანთ პროექტებს წარადგენენ რიგრიგობით. ყველა მოსწავლე იყენებს მასალას მოსწავლეებისთვის 5.3, რაც საშუალებას აძლევს მათ, ერთმანეთს შეადარონ საკუთარი და სხვა ჯგუფის მიერ შემუშავებული პროექტები.

პრეზენტაციის მსვლელობა: ჯგუფები, რომელთაც ერთნაირი არჩევანი აქვთ გაკეთებული, ერთმანეთის მიმდევრობით წარადგენენ პროექტებს, რადგან ეს ამარტივებს მათ შედარებას. ამ შემთხვევაში სწრაფად იკვეთება ორი ძირითადი ალტერნატივა.

2. მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ ჯგუფების მიერ მომზადებულ პროექტებს

მასალა მოსწავლეებისთვის 5.3 იძლევა შედარების კრიტერიუმებს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე შესაძლო კომბინაცია – მაგრამ მოსწავლეთა შემოქმედებითმა უნარმა შეიძლება განსხვავებული შედეგებიც მოგვცეს!

ა. საფუძვლები

	მოდელი 1	**მოდელი 2**	**მოდელი 3**	**მოდელი 4**
მმართველობის მოდელი	ხელისუფლება	ხელისუფლება	თანამშრომლობის ქსელი	შერეული მოდელი
საკუთრების ფორმა	საზოგადოებრივი საკუთრება	კერძო საკუთრება	საზოგადოებრივი საკუთრება	კერძო საკუთრება
ტენდენცია/პერსპექტივა	ცენტრალიზებული დაგეგმილი ეკონომიკა ან „მწვანეების დიქტატურა“	კონკურენტული ბაზარი (კაპიტალიზმი) + „ძლიერი სახელმწიფო“ (დასავლური მოდელი)	კანტონალური მოდელი, ავტონომიური თანამშრომლობა	ნახევრად ავტონომიური თანამშრომლობა; წესები, ნაშთის სახით დარჩენილი თევზის კოოპერატივისთვის გადაცემის შესახებ

ბ. წესები

არ არსებობს წესების დადგენილი სისტემა, რომელიც მხოლოდ ერთ მოდელს ესადაგება. განსხვავებული კომბინაციებია შესაძლებელი. ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი მოცემულია მასალაში მოსწავლეებისთვის 5.3:

- მიზანი ნათლად იქნა განსაზღვრული?
- ვინ ფლობს გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლებას?
- გათვალისწინებულ იქნა წესის აღსრულების საშუალებები?
- გათვალისწინებულ იქნა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან თავდაცვის მექანიზმი?
- ...

3. მოსწავლეები განიხილავენ პროექტებს

განხილვის დროს მოსწავლეები სხვადასხვა მოდელს საკუთარ კრიტერიუმებს უსადაგებენ. ისინი, სავარაუდოდ, უპირატესობას მიანიჭებენ იმ მოდელს, რომელიც თავიან შემუშავებულ მოდელთან უფრო ახლოს არის. ასე რომ, მიზეზები, რომლებიც მათ არჩევანს უდევს საფუძვლად კამათის საგანი გახდება. თუმცა არსებობს რამდენიმე კრიტერიუმი, რომელთა მიხედვითაც შეიძლება განხილულ იქნეს ნებისმიერი მოდელი. თუ განხილვისას, მოსწავლეები ამ კრიტერიუმებს არ შეეხებიან, ამას მასწავლებელი აკეთებს:

- მდგრადი განვითარების მიზნები: მოსწავლეების მიერ შექმნილი მოდელი დაეხმარება მეთევზეებს მიაღწიონ მდგრადი განვითარების მიზნებს? (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 4.1).

- განხორციელებადობა: არის წესების სისტემა მარტივი გასაგებად და პრაქტიკაში გამოსაყენებლად?

- სამართლიანობა: წესები სამართლიანია?

- დემოკრატია და ადამიანის უფლებები: აკმაყოფილებს წესები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა სტანდარტებს?

- კანონიერება: ძალიან სასურველია ერთსულოვანი შეთანხმება წესების სისტემაზე. შეუძლიათ საზოგადოების წევრებს შეთანხმდნენ წესების ერთ სისტემაზე?

4. საშინაო დავალება: მოსწავლეები აკეთებან არჩევანს

მასწავლებელი გაკვეთილის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე განხილვას დასრულებულად აცხადებს. იგი თამაშის მენეჯერის ფუნქციას ასრულებს და უხსნის მოსწავლეებს, რომ მოცემული თავის ბოლო გაკვეთილზე, საზოგადოების წევრები თავს მოიყრიან კონფერენციაზე, რათა დაამტკიცონ წესების სისტემა.

მოსწავლეებს კონფერენციისთვის მოსამზადებლად ორი ამოცანის შესრულება ევალებათ:

ამოცანა # 1: პროექტის შერჩევა

დეტალური განხილვისთვის დრო აღარ რჩება, ასე რომ, მოსწავლეებს შინ, მომავალ გაკვეთილამდე, ევალებათ მიიღონ გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს, ამიტომ ისინი მზად უნდა იყვნენ კომპრომისზე წასასვლელად. სისტემა, რომელიც მათ მიერ განსაზღვრულ რამდენიმე კრიტერიუმს მაინც აკმაყოფილებს უკეთესია, ვიდრე სისტემა, რომელიც არც ერთ მათ კრიტერიუმს არ ესადაგება.

მათ შეუძლიათ ჩამოაყალიბონ რამდენიმე ძირითადი კრიტერიუმი და არჩევანი მათ მიხედვით გააკეთონ.

მოსწავლეებმა უნდა მოამზადონ მოკლე განცხადებები, რომლითაც მიმართავენ საზოგადოების სხვა წევრებს, რათა დაარწმუნონ ისინი, ხმა მისცენ და დაამტკიცონ მათ მიერ შერჩეული სისტემა.

ამოცანა # 2: კონფერენციის ჩატარებისთვის საჭირო პროცედურული წესების მიღება ან მათი მოდიფიცირება

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის:

არა მარტო საზოგადოება, არამედ ისეთი მნიშვნელოვანი შეხვედრაც, როგორიცაა კონფერენცია, მოითხოვს წესების სისტემას. საზოგადოების წევრები უნდა შეთანხმდნენ ამ წესებზე, ვიდრე კონფერენციას შეუდგებოდნენ. მსგავსი წინასწარი შეთანხმების გარეშე, შესაძლებელია, წამოიჭრას სირთულეები, იმ შემთხვევაში, თუ წევრები არ ფლობენ შეთანხმებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ წარიმართოს კენჭისყრა და როგორ იქნეს დათვლილი მათი ხმები.

მასალა მოსწავლეებისთვის 5.4 გვთავაზობს კონფერენციის გამართვისთვის საჭირო პროცედურათა პროექტს. დღის წესრიგის სათავეში სწორედ მისი დამტკიცება დგას, რადგან დამტკიცებისთანავე მოხდება მისი გამოყენება. აქედან გამომდინარე, მოსწავლეებს წინასწარ უნდა ჰქონდეთ ჩამოყალიბებული საკუთარი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, მიიღებენ პროექტს არსებული ფორმით თუ მის შეცვლას მოითხოვენ.

გაკვეთილი 4
კონფერენცია
საზოგადოების წევრები თანხმდებიან წესებზე

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	გადაწყვეტილების მიღება.	
სწავლის მიზანი	კომპრომისი, კონსენსუსის ფარგლები.	
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები ცდილობენ მიიღონ ერთსულოვანი გადაწყვეტილება. მოსწავლეები აჯამებენ საკუთარ გამოცდილებას.	
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 5.4–5.6.	
მეთოდი	კენჭისყრა. მასწავლებლის ლექცია და დისკუსია.	
დროის ბიუჯეტი	1. მოსწავლეები მართავენ კონფერენციას.	20 წთ.
	2. მოსწავლეები აჯამებენ საკუთარ გამოცდილებას.	20 წთ.

ინფორმაცია

მოსწავლეებისათვის კონფერენცია, რომელზეც მათ კონსტიტუციის დამტკიცება ეკისრებათ და სადაც სახელმწიფოს დამაარსებლების როლში გამოდიან, წარმოადგენს წვრთნას დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობისთვის. მოსწავლეები ასრულებენ კონსტიტუციის კანონმდებელთა ფუნქციას. კონფერენციის გამართვისთვის საჭიროა წესების სისტემა, რომელსაც მოსწავლეები კონფერენციის დაწყებამდე ამტკიცებენ. მას შემდეგ, რაც შეთანხმდებიან პროცედურების სისტემაზე, მოსწავლეები იღებენ სრულ პასუხისმგებლობას კონფერენციის ჩატარებაზე, მათ შორის, მის თავმჯდომარეობაზე.

პრაქტიკული სწავლა ყოველთვის მოითხოვს შეჯამებას. მოსწავლეები პრაქტიკის საფუძველზე ცოდნას იღებენ მხოლოდ მაშინ, როცა აცნობიერებენ, თუ რას აკეთებენ, ან რა გააკეთეს. რაში მდგომარეობს მისი მნიშვნელობა? შემაჯამებელი ეტაპი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ჩაწვდნენ ათვისებული ცოდნის არსს. მოსწავლეები ხვდებიან, თუ რისი განზოგადებაა შესაძლებელი. სწავლის პროცესის ამ თანმიმდევრობით, ისინი სწავლობენ რაში სჭირდება საზოგადოებას ინსტიტუციური სისტემა და რა პრობლემები და რისკ–ფაქტორები უნდა იქნეს გათვალისწინებული, როდესაც ხდება ხელისუფლებისთვის ძალაუფლების გადაცემა.

ამ თავში მასწავლებლებს ვთავაზობთ, მოსწავლეებს წაუკითხონ მოკლე ლექცია, რომელსაც ასევე შემაჯამებელი ხასიათი ექნება. მოსწავლეები ამის შემდეგ მართავენ დისკუსიას და ავსებენ კითხვარს.

გაკვეთილის აღწერა

ადგილების დაკავება

მოსწავლეები გაკვეთილის ორივე ნაწილის განმავლობაში – კონფერენციის გამართვისას და შემაჯამებელ ეტაპზე – სხედან წრეზე, მერხების გარეშე, ან თავიანთ მერხებთან საკლასო ოთახის გარშემო. თავმჯდომარე უზის მასწავლებლის მაგიდას, დაფასთან ან ფლიპჩარტთან ახლოს.

1. მოსწავლეები მართავენ კონფერენციას

მოსწავლეები მართავენ კონფერენციას, იმ წესების თანახმად, რომელზეც ისინი კონფერენციამდე შეთანხმდნენ. მასწავლებელი მათ თვალყურს ადევნებს. მასწავლებელი არ ერევა მათ საქმიანობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოსწავლეები ძალიან სერიოზულ პრობლემას არ წააწყდებიან (მაგალითად, კამათს არ გამართავენ იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიყენონ დადგენილი წესები), რის ალბათობაც საკმაოდ დაბალია.

მასწავლებელი აკვირდება, თუ როგორ ასრულებენ მოსწავლეები საკუთარ ფუნქციებს. იგი ცდილობს, დაგეგმილი ლექცია მიუსადაგოს მოსწავლეთა მიერ ამ ეტაპზე მიღებულ გამოცდილებას.

2. მოსწავლეები აჯამებენ საკუთარ გამოცდილებას

მასწავლებელი ლექციის სახით აჯამებს მე–4 და მე–5 თავებს

მასწავლებელი ლექციის დაწყებამდე მოსწავლეებს ურიგებს მასალას მოსწავლეებისთვის 5.5. ლექციის დროს მასწავლებელი მიმოიხილავს, როგორ განვითარდა მოვლენები ორი თამაშის დროს, თევზჭერის თამაშისა და გადაწყვეტილების მიღებაზე თამაშის დროს. მოსწავლეებმა გაითამაშეს ისტორიული პროცესი, თუ როგორ ყალიბდებოდა ადამიანთა ჯგუფი საზოგადოებად, წესების ინსტიტუციური სტრუქტურის შექმნის საფუძველზე. იმის მიხედვით, თუ რა არჩევანი გააკეთეს მოსწავლეებმა გამართულ კონფერენციაზე, მეთევზეთა საზოგადოებას ან ჩამოყალიბებული სახელმწიფო აქვს, თავისი გამართული კონსტიტუციით, განსაზღვრული საკანონმდებლო და სამართალდამცავი ძალაუფლებით აღჭურვილი სტრუქტურით, ან მათი მომავალი დამოკიდებულია თამანშრომლობის ქსელზე, რომელზეც მოსწავლეებმა არჩევანი, სავარაუდოდ, იმის გამო შეაჩერეს, რომ თავიდან აერიდებინათ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრობლემა. მასწავლებელი ლექციას თამაშების შედეგებს უსადაგებს. გარდა ამისა, მოსწავლეები შეეცადნენ, მეთევზეთა საზოგადოებაში მოესპოთ მუდმივი კონფლიქტის წყარო, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად საჭირო სტრატეგიის შემუშავებით.

ეს, არსებითად, მოდერნიზაციის პროცესია. თამაში სოციალური და ისტორიული რეალობის მნიშვნელოვან ელემენტებს შეიცავს, მაგრამ, ამავდროულად, განსხვავდება კიდეც მისგან (იხ. დასკვნა).

მოსწავლეები მსჯელობენ ლექციაზე განხილულ საკითხებზე

ასეთი ლექციები მოსწავლეების აზროვნებას ასაზრდოებს. თამაშის შესახებ მათ ყველაფერი იციან და ესმით. მათთვის ახალი და მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ თამაშის დროს მიღებული გამოცდილებიდან რისი განზოგადება და, შესაბამისად, სხვა სიტუაციასა და შემთხვევაში გამოყენება შეიძლება.

მოსწავლეებს შეუძლიათ დასვან კითხვები იმის თაობაზე, რისი გაგებაც სურთ, გააკეთონ კომენტარი – რას ეთანხმებიან და რას - არა.

მოსწავლეებმა შეიძლება წამოჭრან მათთვის საინტერესო საკითხები. ეს როგორც მასწავლებელს, ასევე მოსწავლეებს საშუალებას აძლევს დაგეგმონ შემდეგი გაკვეთილები ერთად. რაზე გაამახვილონ

ყურადღება სხვა თავებში? რა შეიძლება შევუსაბამოთ სასწავლო პროგრამის მოთხოვნებს? რა დრო გვაქვს ხელთ? აინტერესებთ მოსწავლეებს კვლევითი ამოცანები?

შესაძლოა მოსწავლეებმა გამოთქვან სურვილი თევზჭერის თამაშის გაგრძელების, რამდენიმე რაუნდის გათამაშების თაობაზე, რათა სცადონ და შეამოწმონ, რა შედეგს მიიღებენ იმ ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებით, რასაც ისინი ამ ეტაპზე ფლობენ.

მოსწავლეები გამოხატავენ საკუთარ რეაქციასა და თვალსაზრისს

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს მასალას მოსწავლეებისთვის 5.6. ეს არის კითხვარი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს შეაჯამონ სწავლის პროცესი. მათ მიერ გაცემული პასუხები მნიშნელოვან ინფორმაციას შეიცავს მასწავლებელისთვის, რადგან მათზე დაყრდნობით მასწავლებელი იღებს გადაწყვეტილებას, როგორ გააუმჯობესოს და წარმართოს მუშაობა მოსწავლეებთან შემდგომ ეტაპზე. თუ მოსწავლეებს აქვთ პორტფოლიო, შევსებული კითხვარები მოთავსდება მათ პორტფოლიოში.

თუ მასწავლებელს სურს წაიკითხოს შევსებული კითხვარები, შეიძლება ზოგიერთმა მოსწავლემ ამჯობინოს კითხვარის ანონიმურად შევსება.

თავი 6
მთავრობა და პოლიტიკა
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის

პოლიტიკური ციკლის მოდელი
როგორ აგვარებს დემოკრატიული საზოგადოება
მის წინაშე მდგარ პრობლემებს?

6.1 ჩვენს წინაშე მდგარი ყველაზე მწვავე პრობლემა არის ...

გადაწყვეტილება პოლიტიკური დღის წესრიგის დადგენაზე

6.2 პოლიტიკა – როგორ აგვარებს დემოკრატიული საზოგადოება მის წინაშე მდგარ პრობლემებს?

პოლიტიკური ციკლის მოდელი

6.3 პოლიტიკური ციკლის მოდელის გამოყენება

კვლევითი ამოცანა/სამუშაო

6.4 როგორ მივიღოთ მონაწილეობა

პოლიტიკური ციკლი, როგორც პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის საშუალება

6.5 შემაჯამებელი სხდომა (არასავალდებულო)

თავი 6
მთავრობა და პოლიტიკა
პოლიტიკური ციკლის მოდელი

პოლიტიკის ორი განზომილება

მაქს ვებერის კლასიკური განმარტების თანახმად, პოლიტიკას აქვს ორი განზომილება: ერთი მხრივ, იგი წარმოადგენს სწრაფვასა და ბრძოლას ძალაუფლების მოსაპოვებლად, მეორე მხრივ „პოლიტიკა შეიძლება შევადაროთ „სქელი ფიცრის ბურღვის ნელ და მტკიცე პროცესს, როგორც ენთუზიაზმით ასევე გათვლების სისწორით“.[15] ეს მეტაფორა აღნიშნავს პოლიტიკური პრობლემის გადაჭრის მცდელობას. ასეთი პრობლემების გადაუჭრელობა დაუშვებელია, ვინაიდან ისინი საკმაოდ მწვავეა, მთელს საზოგადოებაზე ახდენს გავლენას და, აქედან გამომდინარე, კომპლექსური და რთული ხასიათისაა.

ამ თავში განხილულია, თუ როგორ მიმდინარეობს ამ „სქელი ფიცრის ბურღვის პროცესი“ და როგორ შეუძლია მოქალაქეს, რომელსაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს დემოკრატიულ საზოგადოებაში, შეასრულოს თავისი ფუნქცია, იმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაში, თუ რომელი პრობლემაა პრიორიტეტული და რა არის მისი გადაჭრის საუკეთესო გზა.

პოლიტიკური ციკლის მოდელი

მოსწავლეები ეცნობიან, როგორ გამოიყენონ პოლიტიკური ციკლის მოდელი, როგორც საშუალება, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის აღწერასა და აღქმისთვის. (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 6.1). პოლიტიკა აღიქმება, როგორც პრობლემის დადგენის, ამ პრობლემის შესახებ დებატების გამართვის, მისი გადაჭრის საშუალების შერჩევისა და განხორციელების პროცესი. ამ პროცესს თან სდევს საზოგადოებრივი აზრი და რეაქცია, გამოხატული იმ პირებისა და ჯგუფების მიერ, რომელთა ინტერესებსაც ეს პრობლემა მოიცავს. ეს საზოგადოებრივი აზრი და რეაქცია არის მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად ემსახურება გადაწყვეტილება პრობლემის მოგვარებას და მიიღებს თუ არა მას საზოგადოება. იმ შემთხვევაში, თუ პრობლემის გადაჭრის მცდელობა გაამართლებს და პრობლემა წარმატებით მოგვარდება, სრულდება პოლიტიკური ციკლი (პოლიტიკური ციკლის დასასრული); თუ ეს მცდელობა მარცხით მთავრდება და პრობლემა კვლავ მოუგვარებელია, პოლიტიკური ციკლი განახლდება. რიგ შემთხვევაში, ერთი პრობლემის გადაჭრის შედეგად წარმოიშობა სხვა პრობლემები, რომლებიც ასევე მოგვარებას საჭიროებენ და აქედან სათავეს იღებს ახალი პოლიტიკური ციკლი.

პოლიტიკური ციკლის მოდელში გამოკვეთილია დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვანი ასპექტები:

- პოლიტიკური პრობლემისა და საყოველთაო კეთილდღეობის ევრისტიკული (კონსტრუქტივისტული) ცნება;

- კონკურენტული დღის წესრიგის დადგენა; პლურალურ საზოგადოებაში, პოლიტიკური დავები ხშირად მოიცავს ინტერესებს;

- პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება – კოლექტიური სწავლის პროცესი; არ არსებობს ყოვლისმცოდნე მონაწილე (როგორიცაა, ლიდერი ან პარტია, რომელსაც გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება, ვინაიდან მესიანისტური იდეოლოგიის მატარებელია);

---

[15] მაქს ვებერი, *Politik als Beruf* [პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა], შტუტგარტი, 1997 წ. გვ 82 ციტატა თარგმნილია ავტორის მიერ.

– საზოგადოებრივი აზრისა და მედიის მიერ მოვლენების გაშუქების ძლიერი გავლენა; შესაძლებლობა მოქალაქეებისა და დაინტერესებული ჯგუფებისთვის ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ მოვლენების განვითარებაში.

როგორ მუშაობს მოდელი – რას გვიჩვენებს იგი და რას - არა

პოლიტიკური ციკლი არის მოდელი – რომელიც იგივე ფუნქციას ასრულებს, რასაც გეოგრაფიაში რუკა. იგი ბევრ რამეს გვიჩვენებს, ლოგიკური აღქმის პროცესს უწყობს ხელს. სწორედ ამიტომ, მოდელები ხშირად გამოიყენება როგორც განათლებაში, ასევე მეცნიერებაში, მოდელების გარეშე, ჩვენ ჩვენი კომპლექსური სამყაროს შესახებ ძალიან ცოტა გვეცოდინებოდა.

სახელმძღვანელო მოსწავლეებისათვის შეიცავს მასალას, რომელიც მოდელების ფორმით არის წარმოდგენილი:

– 1.2 სამი არჩევანი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს მომავალს;

– 3. 4 როგორ უმკლავდება დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა მრავალფეროვნებასა და პლურალიზმს?

– 3.5 საერთო კეთილდღეობის ცნება: დემოკრატიისა და დიქტატურის განმასხვავებელი ნიშანი;

– 3.6 სოციალური წინააღმდეგობებისა და პოლიტიკური პარტიების სქემა.

ჩვენ კარგად ვიცით განსხვავება რუკასა და იმ რეალურ ადგილმდებარეობას შორის რომელსაც ეს რუკა აღწერს – რუკა ბევრის მაჩვენებელია, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ბევრი რამ არ არის შესული. რუკა, რომელშიც ზედმიწევნით ყველაფერი იქნება დატანილი, ძალიან რთული იქნება აღსაქმელად. იგივე შეიძლება ითქვას მოდელებზე, როგორიცაა პოლიტიკური ციკლის მოდელი. მოდელი რეალობაში არ უნდა ავურიოთ. მოდელში ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე – „სქელი ფიცრის ბურღვის ნელ და მტკიცე პროცესზე“ – მაგრამ ნაკლებად არის წარმოდგენილი პოლიტიკის მეორე განზომილება, სწრაფვა და ბრძოლა ძალაუფლებისა და გავლენის მოსაპოვებლად.[16]

დემოკრატიულ სისტემაში, პოლიტიკის ორი განზომილება ერთმანეთთან არის დაკავშირებული: პირები, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებან ეჭიდებიან რთულ პრობლემებს და ამავდროულად უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც პოლიტიკური ოპონენტები. პოლიტიკური ციკლის მოდელში, დღის წესრიგის დადგენის ეტაპი გვიჩვენებს, თუ როგორ ერწყმის ეს ორი განზომილება ერთმანეთს. დღის წესრიგში პოლიტიკური პრობლემისთვის პრიორიტეტული ადგილის მოპოვება ძალაუფლების და გავლენის დემონსტრირებას მოითხოვს.

მაგალითისთვის ავიღოთ: ერთი ჯგუფი აცხადებს – „გადასახადები ძალიან მაღალია და აფრთხობს ინვესტორებს“, მეორე ჯგუფი ამტკიცებს – „გადასახადები ძალიან დაბალია და ბიუჯეტი სათანადოდ ვერ აფინანსებს განათლებასა და სოცუზრუნველყოფას“. გადასახადების პრობლემის ეს ორივე განმარტება მოიცავს განსხვავებულ ინტერესებსა და პოლიტიკურ თვალთახედვას და პრობლემიდან ორი შესაძლო გამოსავალი, რომლებსაც ეს ორი ჯგუფი მოითხოვს, ერმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის: შევამციროთ გადასახადები მაღალშემოსავლიან ადამიანთა ჯგუფისთვის – თუ გავზარდოთ. პრობლემისადმი პირველი მიდგომა ნეოლიბარალურია, მეორე – სოციალ–დემოკრატიული (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 3.6).

მოქალაქეები კარგად უნდა ერკვეოდნენ ორივე მიდგომის არსში. პოლიტიკური ციკლის მოდელი არის საშუალება, რომელიც მოქალაქეებს ეხმარება გაანალიზონ და განსაჯონ პოლიტიკოსთა ძალისხმევა, რომელიც მიმართულია საზოგადოებისთვის პრობლემური საკითხების მოგვარებისკენ.

[16] შედარებისთვის იხ. მასალა მასწავლებლებისთვის 6.2.

პოლიტიკური ციკლის გამოყენების საშუალებით განხორციელებული სწავლის შესაძლებლობები

მოცემული თავის პერსპექტივა, კომპეტენციების შეძენისა და განვითარების თვალსაზრისით მოიცავს შემდეგს:

ანალიზისა და განსჯის კომპეტენცია:

- მოსწავლეები გადიან წვრთნას, რათა გახდნენ მედიაინფორმაციის აქტიური მომხმარებელნი.
- ისინი სწავლობენ კრიტიკულად მიუდგნენ დღის წესრიგის დადგენის შესახებ გამართულ დებატებსა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების სხვა ეტაპებს.
- მოსწავლეები სათანადოდ აფასებენ განსხვავებულ ინტერესთა შორის კომპრომისის თაობაზე მოლაპარაკებას (პოლიტიკური პრობლემისა და საყოველთაო კეთილდღეობის ევრისტიკული ცნება).

პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის კომპეტენცია:

მოსწავლეებს შეუძლიათ, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამოიცნონ ის ეტაპები, როდესაც მათ შეუძლიათ ჩაერიონ ამ პროცესში და გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილებაზე (ეტაპი: გადაწყვეტილების მიღების პროცესის დაწყებამდე და მის შემდგომ).

თავის დიდაქტიკური სტრუქტურა

მოსწავლეები ეცნობიან პოლიტიკური ციკლის მოდელს, როგორც საშუალებას და იყენებენ მას კვლევითი პროექტის განხორციელებისას. ბოლო გაკვეთილის განმავლობაში, ისინი ერთმანეთს უზიარებენ და აჯამებენ თავიანთ აღმოჩენებსა და პროექტის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოს. პირველ გაკვეთილზე ისინი ეცნობიან სქემას, სადაც გამოკვეთილია პოლიტიკური ციკლის ძირითადი ელემენტები – პოლიტიკური დღის წესრიგის დადგენის საკითხი. მოსწავლეები უკეთ გაერკვევიან პოლიტიკური ციკლის მოდელში, მას შემდეგ, რაც ისინი კლასში გაითამაშებენ პოლიტიკური დღის წესრიგის დადგენისადმი მიძღვნილ დებატებს. მოცემულ თავში შესული გაკვეთილები მოსწავლეების მხრიდან მაღალ აქტიურობას მოითხოვს.

მოცემული თავის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეებს გამოუმუშავოს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის ანალიზის უნარი, თუმცა, მასში არ არის მოცემული ნიმუში ანალიზისთვის. ამის გამო შესაძლებელი და აუცილებელიც კი არის მასწავლებელმა და მოსწავლეებმა შეარჩიონ სათანადო თემა და ნიმუში. ნიმუშის შერჩევის კრიტერიუმებს წარმოადგენს: რელევანტურობა, მარტივი აღქმადობა, მედიასაშუალებების მიერ ამ თემაზე მოწოდებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. პოლიტიკური ციკლის დასაწყის ეტაპებზე, ინფორმაცია მიმდინარე მოვლენის შესახებ იარსებებს, მაგრამ მედიის მიერ გაშუქებული მასალის მოპოვება უფრო ხელმისაწვდომია. მეორე მხრივ, წარსულიდან აღებული მაგალითი, ასევე ინფორმაციულია და უხვ მასალას იძლევა პრობლემის გადაჭრის შეფასების თვალსაზრისით. გათვალისწინებულ უნდა იქნეს კონსტიტუციური, სამართლებრივი და ინსტიტუციური სტრუქტურები და ჩარჩოები.

რეკომენდებულია, თუმცა არა სავალდებულო, შემაჯამებელი სხდომის გამართვა, რათა შევაფასოთ სწავლის შედეგი და გამოვიყენოთ სწავლის შესაძლებლობები, რომელიც მოსწავლეების პასუხების საფუძველზე შეგვიძლია განვსაზღვროთ. მოცემული თავის მეხუთე გაკვეთილი სწორედ ამას გვთავაზობს.

კომპეტენციების გამომუშავება: კავშირი სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა თავებთან

რას გვიჩვენებს ეს ცხრილი

წინამდებარე სახელმძღვანელოს სათაური, *მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში,* გულისხმობს იმ კომპეტენციებს, რომელსაც აქტიური მოქალაქე უნდა ფლობდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში. მოცემული მატრიცა გვიჩვენებს სახელმძღვანელოში შესულ თავებს შორის სინერგიის ეფექტის პოტენციალს. მატრიცა წარმოადგენს, რომელი კომპეტენციების განვითარება ხდება მეექვსე თავში (შეფერილი, ჰორიზონტალური მწკრივი ცხრილში). მუქი შტრიხებით შემოსაზღვრული ვერტიკალური სვეტი გვიჩვენებს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების კომპეტენციებს –მისი გამოყოფა ხდება დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობასთან მჭიდრო კავშირის გამო. ჰორიზონტალური მწკრივები გვიჩვენებს სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა თავებთან კავშირს: რომელ კომპეტენციებს იძენს მოსწავლე სახელმძღვანელოში მოცემულ ამ თავებში, რომელიც მათ მეექვსე თავში სჭირდებათ?

როგორ გამოვიყენოთ მატრიცა?

მასწავლებლებს მოცემული მატრიცის გამოყენება სხვადასხვა გზით შეუძლიათ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებს გაკვეთილის დასაგეგმად.

- ეს მატრიცა ეხმარება მასწავლებლებს, რომლებსაც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მცირე რაოდენობით გაკვეთილის ჩატარება უწევთ: მასწავლებელს საშუალება აქვს აარჩიოს ეს თავი და გამოტოვოს სხვა თავები, თუ მიიჩნევს, რომ მოსწავლეები გარკვეულწილად უკვე ფლობენ სხვა ძირითად კომპეტენციებს, მაგალითად მოცემულ თავში ასეთი კომპეტენციებია – პრობლემის ანალიზი, წესების ქმედითუნარიანობის შეფასება, პირადი პასუხისმგებლობის მნიშვნელობის კვლევა.

- მოცემული მატრიცა ეხმარება მასწავლებელს დარწმუნდეს სინერგიის ეფექტში, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები ერთსა და იმავე კომპეტენციას განმეორებით იძენენ, ერთმანეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა კონტექსტში. ამ შემთხვევაში, მასწავლებელი ირჩევს რამდენიმე თავს და კომბინირებულად აწვდის მათ მოსწავლეებს.

თავი	კომპეტენციის განვითარების განზომილებები			მიდგომები და ღირებულებები
	პოლიტიკური ანალიზი და შეფასება	**მეთოდები და უნარები**	**პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება**	
6. მთავრობა და პოლიტიკა	საჯარო დებატები და მოლაპარაკება: ადამიანის უფლებეთა დაცვა, დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების არსი	ინფორმაციის შერჩევის კრიტერიუმები	გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩარევისადმი სტრატეგიული მიდგომა	მნიშვნელოვანია: მოლაპარაკები და ინტერესთა შორის კონკურენციის არსებობა
3. მრავალფეროვნება და პლურალიზმი	პლურალიზმი ინტერესთა შორის კონკურენცია მოლაპარაკება საყოველთაო კეთილდღეობაზე პოლიტიკის ორი განზომილება	მოკლე განცხადებების გაკეთება	მოლაპარაკების გზით კომპრომისზე წასვლა და საყოველთაო კეთილდღეობის დროებით განმარტებაზე შეთანხმება	ურთიერთაღიარება
4. კონფლიქტი	პოლიტიკური პრობლემის ცნება		პრობლემის ამოცნობა, პრობლემის შესაძლო გადაჭრის ძიება	
5. წესები და კანონი	დემოკრატიული		ინსტიტუციური	მნიშვნელოვანია:

	საზოგადოების წევრების მიერ პოლიტიკური კულტურის მატარებელი ინსტიტუციური სტრუქტურის ერთმნიშვნელოვანი აღქმა		სტრუქტურის შექმნა გადაწყვეტილების მშვიდობიანად მიღების პროცესის უზრუნველსაყოფად	კომპრომისის თაობაზე გარიგებისას სამართლიანობის დაცვა
8. თავისუფლება	კამათი	საჯარო გამოსვლა	მოსაზრებებისა და ინტერესების საჯაროდ გამოტანა	მნიშვნელოვანია: კონფლიქტის არაძალადობრივი საშუალებებით მოგვარება
9. მედია	როგორც მედიის ასევე მედიამომხმარებლის მიერ დღის წესრიგის დადგენა და მაკონტროლებლის ფუნქციის შესრულება	მედიასაშუალების მიერ მოწოდებული ინფორმაციის დეკონსტრუირება ინფორმაციის შერჩევის კრიტერიუმები	მედიის, როგორც მაკონტროლებლის პერსპექტივის აღიარება: პოლიტიკური პრობლემის განსაზღვრა	

თავი 6: მთავრობა და პოლიტიკა – პოლიტიკური ციკლის მოდელი როგორ აგვარებს დემოკრატიული საზოგადოება მის წინაშე მდგარ პრობლემებს?

გაკვეთილის თემა	კომპეტენციის გამომუშავება/სწავლის მიზანი	მოსწავლის ამოცანა	მასალა და რესურსები	მეთოდი
გაკვეთილი 1 ჩვენს წინაშე მდგარი ყველაზე მწვავე პრობლემა არის...	განსჯა და მსჯელობა: არჩევანის გაკეთება, დასაბუთება მიზეზების დასახელებით. მონაწილეობა: ერთმანეთის პირადი გამოცდილების, ინტერესებისა და ღირებულებების აღიარება. პოლიტიკური პრობლემა წარმოადგენს საკითხს და არა ფაქტს.	მოსწავლეები მართავენ დისკუსიას პოლიტიკური დღის წესრიგის დადგენის შესახებ.	ფლიპჩარტები და ფერების მიხედვით დახარისხებული მარკერები, წებოვანი ლენტი (სკოჩი).	„სიჩუმის კედელი“ – ჯგუფური მუშაობა. პრეზენტაციები და დისკუსია.
გაკვეთილი 2 პოლიტიკა – როგორ აგვარებს დემოკრატიული საზოგადოება მის წინაშე მდგარ პრობლემებს?	მუშაობა მოდელზე. პოლიტიკა ემსახურება საზოგადოებაში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრას.	მოსწავლეები პოლიტიკური ციკლის მოდელს უსადაგებენ მათ მიერ შერჩეულ კონკრეტულ მაგალითს (კვლევითი ამოცანა).	მასალა მოსწავლეებისთვის 6.1 და 6.2. ფლიპჩარტები და მარკერები. გაზეთები.	ლექცია. ჯგუფური მუშაობა.
გაკვეთილი 3 პოლიტიკური ციკლის მოდელის გამოყენება	ანალიზი და მსჯელობა: პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის აღწერა და შეფასება. პოლიტიკური ციკლის მოდელის გაგება.	მოსწავლეები პოლიტიკური ციკლის მოდელს უსადაგებენ კონკრეტულ საკითხს.	მასალა მოსწავლეებისთვის 6.1 და 6.2. გაზეთები.	მუშაობა პროექტზე.
გაკვეთილი 4 როგორ მივიღოთ მონაწილეობა	მეთოდები: პრეზენტაცია და სხვა მოსწავლეების პრეზენტაციების მოსმენა. მონაწილეობა: პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობის განსაზღვრა. მოდელი წარმოადგენს საშუალებას, გავაანალიზოთ კომპლექსური მთლიანობის მხოლოდ ნაწილი.	მოსწავლეები მოკლე ინფორმაციას აწოდებენ ერთმანეთს თავიანთი შედეგების შესახებ. მოსწავლეები აფასებენ მათ მიერ შესრულებული სამუშაოს პროცესსა და შედეგს.	მასალა მოსწავლეებისთვის 6.2, მოსწავლეების მიერ გაკეთებული ჩანაწერებით.	ოფისის ტიპის პრეზენტაციები. პლენალური განხილვა.
გაკვეთილი 5 შემაჯამებელი სხდომა (არასავალდებულო)	ინდივიდუალური სწავლის პროცესისა და კომპეტენციების გამომუშავების შეჯამება. კონსტრუქციული	მოსწავლეები აჯამებენ თავიანთ ნამუშევრებს (სწავლის შედეგი და სწავლის პროცესი)	მასალა მოსწავლეებისთვის 6.3 (მოსწავლეთა რეაგირება). ფლიპჩარტები, სხვადასხვა ფერის	ინდივიდუალური სამუშაო, პლენალური პრეზენტაცია და განხილვა.

	რეაგირება. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების წარმატებით განხორციელებაში, მასწავლებლისა და მოსწავლეების ერთობლივი პასუხისმგებლობის შეფასება.		მარკერებით. ფლიპჩარტზე დატანილი მასალა მოსწავლეებისთვის 6.3.	

გაკვეთილი 1
„ჩვენს უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს...“
დისკუსია პოლიტიკური პროგრამის შემუშავებაზე

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	განსჯა და მსჯელობა: არჩევანის გაკეთება, დასაბუთება მიზეზების დასახელებით. მონაწილეობა: ერთმანეთის პირადი გამოცდილების, ინტერესებისა და ღირებულებების აღიარება.	
სწავლის მიზანი	პოლიტიკური პრობლემა წარმოადგენს საკითხს და არა ფაქტს. იგი მოითხოვს ყურადღებას და მოქმედებებს. მას აქვს გავლენა საზოგადოებაზე. ვინაიდან იგი მოიცავს განსხვავებულ ინტერესებს, იდეოლოგიასა და ღირებულიბებს, დგება საკითხი პრობლემის პოლიტიკურ დღის წესრიგში შეტანა - არშეტანასთან დაკავშირებით. დემოკრატიულ საზოგადოებაში, მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობენ მსგავს დებატებში, სარგებლობენ აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით. მედია დიდ გავლენას ახდენს დღის წესრიგის დადგენაზე (პრესის თავისუფლება).	
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები მართავენ დისკუსიას პოლიტიკური დღის წესრიგის დადგენის შესახებ.	
მასალა და რესურსები	ფლიპჩარტები და ფერების მიხედვით დახარისხებული მარკერები, წებოვანი ლენტი (სკოჩი).	
მეთოდი	„სიჩუმის კედელი“ – ჯგუფური მუშაობა. პრეზენტაციები და დისკუსია.	
დროის ბიუჯეტი	1. სიჩუმის კედელი.	15 წთ.
	2. პრეზენტაციები.	10 წთ.
	3. შეჯამება; მოსწავლეები ეცნობიან კვლევით ამოცანას.	15 წთ.

ინფორმაცია

„სიჩუმის კედელი“ არის ბრეინშტორმინგის მეთოდი, რომელიც ეხმარება ნაკლებად ექსტროვერტ მოსწავლეებს, ან იმ მოსწავლეებს, რომლებსაც პასუხის მოსაფიქრებლად შედარებით დიდი დრო სჭირდებათ, რათა გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები. სიჩუმეში მუშაობა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მაქსიმალური კონცენტრაცია მოიკრიბონ და, აქედან გამომდინარე, მათ მიერ გაკეთებული განცხადებები, უფრო საინტერესო და ინფორმაციულია. „სიჩუმის კედელი“ იმ პარადოქსის მაგალითია, რომ წესების მკაცრი სისტემა კი არ ზღუდავს თავისუფლებას, არამედ ხელს უწყობს მას. მოსწავლეები ექსპერტების როლში გამოდიან; მათი პასუხები ძირითად კითხვებზე არ შეიძლება იყოს „მცდარი“.

მოსწავლეები საკლასო ოთახში პოლიტიკური პროგრამის შედგენის შესახებ გამართული საჯარო დებატების სიმულაციას ახდენენ. მიღებული გამოცდილება ეხმარება მათ, უკეთ ჩასწვდნენ პოლიტიკური ციკლის მოდელის არსს, ვინაიდან პროგრამის შედგენის შესახებ გამართული დებატები პოლიტიკური ციკლის მოდელის პირველ ეტაპს წარმოადგენს.

მოსწავლეები თავად ეძებენ მასალას, რომლის შესწავლასაც მათ კვლევითი ამოცანა ავალებს (გაკვეთილი 2 და 3). კონსტრუქტივისტული მიდგომა გულისხმობს დემოკრატიულ საზოგადოებაში, პოლიტიკური პრობლემის განსაზღვრასა და გადაჭრისას კონსტრუქტივისტული მეთოდის გამოყენებას, როგორც ეს ნაჩვენებია პოლიტიკური ციკლის მოდელში.

გაკვეთილის აღწერა

1. „სიჩუმის კედელი“[17]

იქმნება ხუთ–ხუთი მოსწავლისგან შემდგარი ჯგუფები. ყოველი ჯგუფი ნახევარწრის ფორმით განლაგდება სახით ფლიპჩარტებისკენ, რომლებიც კედელზეა დამაგრებული. ყოველ ჯგუფს ურიგდება სხვადასხვა ფერის ორი ან სამი მარკერი. მოსწავლეები მუშაობენ ჩუმად. 10 წუთის განმავლობაში. ყველა მოსწავლე მინიმუმ ერთ ჩანაწერს აკეთებს ფლიპჩარტზე. მათ უნდა დაასრულონ ფრაზა:

„ჩემი აზრით, ჩვენს წინაშე მდგარი ყველაზე მწვავე პრობლემა არის ...“

მოსწავლეებს შეუძლიათ პასუხი გასცენ ფლიპჩარტზე დაფიქსირებულ, სხვა მოსწავლის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას და მათ აქვთ უფლება ჩანაწერები გააკეთონ იმ ოდენობით, რამდენიც სურთ და იმდენჯერ, რამდენჯერაც უნდათ. ჯგუფს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ფლიპჩარტი. მოსწავლეებს შეუძლიათ ფლიპჩარტზე დატანილი მოსაზრებების დასაკავშირებლად გამოიყენონ ისრები ან ხაზები, ასევე სიმბოლოები, როგორიცაა, კითხვის ნიშანი ან ძახილის ნიშანი. მათი პოსტერი, საბოლოო ჯამში, მათი დისკუსიის ჩანაწერის სახეს მიიღებს.

მასწავლებელი მოსწავლეების დისკუსიას შორიდან ადევნებს თვალს. იგი არ ერევა და არ მონაწილეობს ამ უსიტყვო დისკუსიაში. მისი მოვალეობაა უზრუნველყოს, რომ წესები მკაცრად იქნეს დაცული – მოსწავლეებმა იმუშაონ ხმის ამოუღებლად.

2. პრეზენტაცია

მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფლიპჩარტზე მუშაობის დრო, ფლიპჩარტები გამოიფინება ისე, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს საშუალება გაეცნოს მათ. მოსწავლეები პოსტერების წინ ორი დიდი ნახევარწრის ფორმით განლაგდებიან. რიგრიგობით, ყოველი ჯგუფი საკუთარ პოსტერს წარადგენს კლასის წენაშე. ყველა მოსწავლე არჩევს პოსტერზე დატანილ ერთ წინადადებას, რომლის ავტორიც თვითონ არ არის და ხმამაღლა კითხულობს მას და თან ასახელებს მიზეზს, თუ რატომ აარჩია ეს წინადადება. ძალიან ხშირად, მოსწავლეები ერთ ან ორ წინადადებაზე აკეთებენ აქცენტს. სანამ ყველა მოსწავლე არ შეასრულებს მოცემულ დავალებას, არ იმართება განხილვა.

მასწავლებელი პოსტერზე დატანილ განცხადებებს, მოსწავლეების მიერ წამოჭრილი საკითხების თემატიკის მიხედვით, ახარისხებს ზოგადი ქვესათაურების სვეტებში, რომელიც დაფაზე ან ფლიპჩარტზე დატანილ ცხრილშია მოცემული. გთავაზობთ მაგალითს:

ჩვენს წინაშე მდგარი ყველაზე მწვავე პრობლემა არის ...				
ეკომომიკა	უსაფრთხოება	გარემო	საზოგადოება	...
ვებრძოლოთ უმუშევრობას მეტი სამუშაო ადგილი ახალგაზრდებისთვის ...	ავტოსაგზაო შემთხვევები	შევამციროთ ნახშირორჟანგის ემისია ...	გავაუმჯობესოთ სკოლების მდგომარეობა დახმარება გავუწიოთ ახალგაზრდა ქალებს ...	...

მასწავლებელს შეუძლია, ამ სამუშაოს შესრულება რომელიმე მოსწავლეს დაავალოს. მოსწავლეები მონაწილეობენ ახალი კატეგორიების შერჩევასა და განცხადებებისთვის სათანადო ადგილის მიჩენის პროცესში.

---

[17] წყარო: *დემოკრატიის სწავლება,* სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წიგნი VI: ევროპის საბჭოს გამომცემლობა, სტრასბურგი 2008 წელი, სავარჯიშო 7.1 გვ. 62

3. შეჯამება

„სიჩუმის კედელი“ პოლიტიკური დღის წესრიგის შემუშავების სიმულაციაა. რა პრიორიტეტები გამოიკვეთა მოსწავლეთა ჩანაწერებში? შეუძლიათ მათ შეთანხმდნენ იმის თაობაზე, თუ რომელი პრობლემაა ყველაზე პრიორიტეტული? მათივე მიერ შედგენილი ცხრილი ეხმარება მათ უპასუხონ ამ კითხვებს. ცხრილი აჩვენებს, თუ რომელ კატეგორიაშია ყველაზე მეტი მოსაზრება შესული, შესაბამისად, რომელი სფეროა მოსწავლეებისთვის პრიორიტეტული. ასევე აჩვენებს, რომელი მოსაზრებების გაერთიანებაა შესაძლებელი (იხ. *ეკონომიკა* მოცემულ ცხრილში).

შეიძლება, მოსწავლეები ვერ შეთანხმდნენ ერთი საკითხისათვის პრიორიტეტის მინიჭებაზე. ვალდებული არიან კი ისინი? ამ კითხვაზე ღირს დაფიქრება.

ერთი მხრივ, ისინი თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრობენ. ისინი სარგებლობენ თავისუფლებით, აირჩიონ რომელ საკითხს ანიჭებენ უპირატესობას და წარუდგინონ ეს საკითხი საზოგადოებას. მეორე მხრივ, რესურსების სიმწირე პრობლემას წარმოადგენს – საქმე არა მარტო გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალს და ფონდებს ეხება, არამედ დროსა და ენერგიას, და ბოლოს, რაც არც თუ ისე უმნიშვნელოა, საზოგადოების ყურადღებას. ბევრ ადამიანს, განსაზღვრულ დროში, შეუძლია მოაგვაროს საკითხების მხოლოდ მცირე რაოდენობა და ამის შემდეგ სწრაფად დაკარგოს ინტერესი; ზოგიერთი მედიასაშუალება ემსახურება ისეთი დღის წესრიგის შემუშავებას, სადაც მხოლოდ ერთი საკითხია დაყენებული.

მოსწავლეებმა, ასევე, შეიძლება გამოთქვან მოსაზრება, რომ დღის წესრიგის დადგენის ასეთი პროცესი უსამართლო და, უფრო მეტიც, არაგონივრულია, ვინაიდან, საკითხები, რომლებიც მათი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, შეიძლება ვერც კი შევიდეს დღის წესრიგში. ვინ გამოასწორებს ამ „მცდარ“ გადაწყვეტილებას?

პასუხი არის – თავად მოსწავლეები, იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიხვდებიან, რომ საჭიროა მოქმედება. მოსწავლეები, ერთგვარად, აყალიბებენ პარტიებს, რომელთაც განსხვავებული მიზნები და ღირებულებები („იდეოლოგია“) გააჩნიათ და რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ დღის წესრიგის დადგენის თაობაზე გამართულ დებატებში (მაგ. დაქირავებული მუშაკები, გარემოს დამცველები, უმცირესობათა უფლებების დამცველები).

გამართული დისკუსია ემსახურება იმის გაგებას, თუ რა არის პარტიების დანიშნულება. იხილეთ, ამ თავის ბოლოში მოცემული კვლევითი ამოცანა.

4. კვლევითი ამოცანა

დისკუსიის შემდეგ, მოსწავლეები არჩეულ გზას დაადგებიან. მასწავლებელი აუწყებს მათ, რომ ეძლევათ შესაძლებლობა დეტალურად შეისწავლონ მათ მიერ არჩეული საკითხი. კვლევითი ამოცანის შესასრულებლად, მათ დასჭირდებათ შერჩეულ საკითხზე მასალის შეგროვება, ბეჭდითი თუ ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. მათ ყურადღების გამახვილება მარტო დღის წესრიგის დადგენის გამო გამართულ დებეტებზე არ მოუწევთ, მოსწავლეებმა ყველა შესაძლო მასალა უნდა მოიპოვონ საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების, სტატისტიკური მონაცემების, პოლიტიკური პარტიების, ლობისტთა ჯგუფების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაკეთებული განცხადებების და ა.შ. შესახებ.

გაკვეთილი 2
პოლიტიკა – როგორ აგვარებს დემოკრატიული საზოგადოება მის წინაშე მდგარ პრობლემებს
პოლიტიკური ციკლის მოდელი

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	ანალიზი: მუშაობა მოდელზე.
სწავლის მიზანი	პოლიტიკა ემსახურება საზოგადოებაში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრას.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები პოლიტიკური ციკლის მოდელს უსადაგებენ მათ მიერ შერჩეულ კონკრეტულ მაგალითს.
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 6.1 და 6.2. ფლიპჩარტები და მარკერები. გაზეთები.
მეთოდი	ლექცია, ჯგუფური მუშაობა.
დროის ბიუჯეტი	1. ლექცია და მასთან დაკავშირებით დასმული კითხვების განხილვა. 15 წთ.
	2. კვლევითი სამუშაოს შესასრულებლად ჯგუფების შექმნა. 10 წთ.
	3. კვლევითი სამუშაო. 15 წთ.

1. ლექცია და თემატური კითხვები

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს პოლიტიკური ციკლის მოდელს. მოსწავლეებისთვის უკვე ცნობილია პოლიტიკური ციკლის საწყისი ეტაპის შესახებ, ეს არის დღის წესრიგის დადგენა, და ისინი მზად არიან, გაეცნონ იმას, თუ რა ხდება მას შემდეგ, რაც პრობლემა საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცევა.

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს მოკლე ლექციას, რომელიც გაკვეთილის კონტექსტზეა მორგებული (კონსტრუქტივისტულ სწავლაზე ინსტრუქციების დართვა). მიღებულ ინფორმაციას მოსწავლეები გამოიყენებენ კვლევითი ამოცანის შესრულებისას. მასწავლებელი, გაკვეთილის დაწყებამდე, მოსწავლეებს ურიგებს მასალას მოსწავლეებისთვის 6.1 და 6.2. მასალაში მოცემული ინფორმაცია დატანილი უნდა იყოს ფლიპჩარტზე ან დაფაზე, რათა მასწავლებელს საშუალება ჰქონდეს, ლექციის დროს, გამოიყენოს აღნიშნული მასალა თვალსაჩინოებისთვის.

აბსტრაქტული მოდელის აღქმას ამარტივებს მისი დაკავშირება კონკრეტულ მაგალითთან. უმჯობესი იქნება, თუ მასწავლებელი ამ მაგალითის სახით მოსწავლეების მიერ წინა გაკვეთილზე წამოჭრილ რომელიმე საკითხს აირჩევს. მასწავლებელს შეუძლია მოიყვანოს სხვა, ან თუნდაც შეთხზული, წინასწარ მომზადებული მაგალითი. დემონსტრირებისთვის, ჩვენ გთავაზობთ საკითხს, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირებას ეხება (იხ. გაკვეთილი 1, მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით შედგენილი ცხრილი).

სანამ დეტალებზე გამახვილდება ყურადღება, მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა ზოგად სურათზე. მოსწავლეები სწავლობენ მასალას მოსწავლეებისთვის 6.1. მასწავლებლის განმარტებები მოიცავს შემდეგს:

- მოცემული დიაგრამა წარმოადგენს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის მოდელს. მასზე ნაჩვენებია ამ პროცესის სხვადასხვა ეტაპი. პროცესი იწყება მაღლიდან – *დებატები* იმის შესახებ, თუ რა შეიძლება იყოს მიჩნეული „*პრობლემად*“. ეს არის დღის წესრიგის დადგენის თაობაზე გამართული დებატები, რომელიც წინა გაკვეთილზე განვიხილეთ. მას შემდეგ, რაც პრობლემა დღის წესრიგში დადგება, იწყება დებატები მისი მართებულად გადაჭრის გზების ძიების შესახებ.

- ამ დებატების შედეგი არის გადაწყვეტილება – მაგალითად, კანონი ან სხვა ზომა.

- შემდეგ ეტაპზე ხდება ამ გადაწყვეტილების *დანერგვა* – პრაქტიკაში გახორციელება. იგი შედის ძალაში. მაგალითად, კანონი შედის ძალაში, ან საფუძველი ეყრება ახალი საავადმყოფოს მშენებლობას.

- ხალხს ებადება საკუთარი *მოსაზრება*. ეთანხმებიან ისინი ამ გადაწყვეტილებას, მას შემდეგ, რაც გამოსცადეს მისი შედეგი? მაგალითად, ემსახურება იგი მათ ინტერესებს?

- ამას მოყვება ხალხის მხრიდან *რეაქცია*, რომელიც შესაძლოა იყოს მედიასაშუალებებით გაშუქებული კეთილგანწყობილი, ან კრიტიკული კომენტარები; პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული განცხადებები; ან საპროტესტო აქციები.

- მსგავსი რეაქციები სათავეს უდებს ახალ *დებატებს*, რომლის დროსაც *პრობლემები* დგება პოლიტიკურ დღის წესრიგში. ზოგი ადამიანი მიიჩნევს, რომ თავდაპირველი პრობლემა ისევ გადაუჭრელია, და შესაძლოა, სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმებული. მიღებულ ზომებს, შეიძლება მოჰყოლოდა გვერდითი მოვლენები, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ პრობლემებს. პოლიტიკა ციკლის სახით ხორციელდება: ზოგიერთი საკითხი პერმანენტულ ყურადღებას საჭიროებს, ზოგიერთი გადაწყვეტილება – გაუმჯობესებას. ეს ციკლი მიგვანიშნებს, რომ პოლიტიკა, მიღებული ზომების გამოცდისა და დაშვებული შესაძლო შეცდომების პრინციპების გათვალისწინებით, ზადმიწევნით პრაქტიკული საქმიანობაა.

- მაგრამ არის შესაძლებლობა იმისა, რომ პროცესი *დასრულდეს* (პოლიტიკური ციკლის დასასრული). ამ შემთხვევაში სახეზეა, რომ მიღებული ზომები ეფექტური აღმოჩნდა და პრობლემა აღმოიფხვრა – ან პრობლემა აღარ არის საზოგადოების ყურადღების ცენტრში და, შესაბამისად, აღარ საჭიროებს პოლიტიკურ ძალისხმევას.

მოსწავლეებმა შეიძლება დასვან კითხვები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლის აღქმაც მათ გაუჭირდათ. მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს, რომელ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი დაუყოვნებლივ და რომელ კითხვაზე მიიღებენ მოსწავლეები პასუხს მაგალითის განხილვისას.

ამის შემდეგ, მასწავლებელს, მოდელის თვალსაჩინოებისთვის, მოჰყავს მაგალითი. მაგალითში საკმაო რაოდენობით არის გამეორებები, რომელიც ხელს უწყობს საკითხის უკეთ აღქმას. კატეგორიები უკავშირდება ძირითად კითხვებსა და დეტალებს. მასალა მოსწავლეებისთვის 6.2 გამოიყენება ლექციის დროს.

მასწავლებელს მოჰყავს შეთხზული მაგალითი. მაგალითი აღებულია პირველი გაკვეთილიდან – ავტისაგზაო შემთხვევების შემცირება (იხ. მასალა მასწავლებლებისთვის 6.1, რომელიც ეფუძნება მასალას მოსწავლეებისთვის 6.2).

მოსწავლეები, საჭიროების შემთხვევაში, სვამენ შემდგომ შეკითხვებს და, ამჯერად, მათზე პასუხს მასწავლებელი მოსწავლეებს ანდობს. ამგვარად მასწავლებელი რწმუნდება, რამდენად გაერკვნენ მოსწავლეები ლექციის არსში. მოსწავლეები შეიძლება დააბნიოს დისკუსიებისა და დებატების სიმრავლემ და იმ „დაჟინებულმა“ მიდგომამ, რითაც მონაწილე მხარე ცდილობს საკუთარი ინტერესების სხვებისთვის თავს მოხვევას. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ საკუთარი ინტერესებისთვის ბრძოლა დემოკრატიის მნიშვნელოვანი ელემენტია. საკუთარი ინტერესების

საჯაროდ გამოტანით, უკვე ქმნი წინაპირობას იმისა, რომ ეს ინტერესები გათვალისწინებულ იქნეს გადაწყვეტილების მიღებისას. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა გამოიძებნოს კომპრომისი.

2. ჯგუფების შექმნა კვლევითი ამოცანის შესასრულებლად

დისკუსიის გაგრძელება არ არის რეკომენდებული. ამისთვის მოსწავლეებს დრო ექნებათ ბოლო გაკვეთილზე. ამჯერად მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი საკითხი ან პრობლემა განიხილონ. მასალა, რომელიც მოსწავლეებმა ამ მიზნით შეაგროვეს, მათ არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება – რომელი საკითხია აქტუალური? რა გადაწყვეტილებები იქნა მიღებული უახლოეს წარსულში?

მოსწავლეები ქმნიან ორ–სამ ან ოთხკაციან ჯგუფებს. მათ პრეზენტაციები უნდა მოამზადონ მეოთხე გაკვეთილისთვის. მოსწავლეებმა თავიანთი შედეგები უნდა გადაიტანონ მასალაში მოსწავლეებისთვის 6.2, რომლის ასლებიც დამზადდება კლასში დასარიგებლად.

მოსწავლეებს სჭირდებათ კრიტერიუმები, რომლებიც მათ საკითხის არჩევაში დაეხმარება:

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას მოსწავლეები უხვად წააწყდებიან გაზეთებსა და ინტერნეტში. მეორე მხრივ, ვინაიდან ციკლი დასრულებული არ არის, მათ საშუალება ექნებათ ინფორმაცია მოიპოვონ პოლიტიკური ციკლის მხოლოდ დასაწყის ფაზებზე, მაგალითად, ობიექტური მიზეზების გამო, ვერ შეძლებენ მოიპოვონ მასალები გადაწყვეტილების მიღებასა და მის განხორციელებაზე. აქედან გამომდინარე, პრაგმატული მიდგომა იქნება, თუ ისინი ინფორმაციის ძიებას გასული კვირის გაზეთებში დაიწყებენ, რათა გაარკვიონ, რა იდგა პოლიტიკური დღის წესრიგის სათავეში მაშინ და როგორ გადაწყდა საკითხი.

- პირადი ინტერესი: მოსწავლეები ირჩევენ საკითხს, რომელიც, მათი თვალსაზრისით, ყველაზე მწვავეა. მათ შეუძლიათ გამოიყენონ პირველ გაკვეთილზე შედგენილი „სიჩუმის კედელი“. მაგრამ, ამ შემთხვევაში, მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ამგვარად შერჩეულ საკითხზე ინფორმაციის მოპოვება გაცილებით გაუმნელდებათ.

3. კვლევითი სამუშაო

მოსწავლეები მეორე გაკვეთილის დარჩენილ დროს და მესამე გაკვეთილს მთლიანად უთმობენ კვლევითი სამუშაოს შესრულებას. ისინი სამუშაოს დამოუკიდებლად გეგმავენ.

გაკვეთილი 3
პოლიტიკური ციკლის მოდელის გამოყენება
კვლევითი ამოცანა

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	მეთოდები: მუშაობა პროექტზე. ანალიზი და მსჯელობა: პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის აღწერა და შეფასება. მონაწილეობა და აქტიურობა: პასუხისმგებლობა, თავისუფლებით სარგებლობა.
სწავლის მიზანი	მოსწავლეებს ესმით პოლიტიკური ციკლის მოდელის არსი და შეუძლიათ იგი მიუსადაგონ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შესახებ მოპოვებულ ნებისმიერ ინფორმაციას.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები პოლიტიკური ციკლის მოდელს უსადაგებენ კონკრეტულ მაგალითს.
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 6.1 და 6.2. გაზეთები.
მეთოდი	მუშაობა პროექტზე.
დროის ბიუჯეტი	1. ჯგუფური მუშაობა. 35 წთ.
	2. დეტალური მოხსენებები. 5 წთ.

გაკვეთილი მთლიანად ეძღვნება ჯგუფურ მუშაობას. მოსწავლეები მუშაობენ მასწავლებლის დახმარების გარეშე და პასუხისმგებელი არიან შესრულებულ სამუშაოზე. ამიტომ მათ თავად უნდა მოიპოვონ სრული ინფორმაცია იმაზე, რაც მათ სჭირდებათ.

მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს დახმარება გაუწიოს ინფორმაციის წყაროების მიწოდებით, მაგ. სტატისტიკური მონაცემები, სკოლის სახელმძღვანელოები, კონსტიტუციის ასლები, მისცეს კლასში ინტერნეტის გამოყენების საშუალება.

მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეების მუშაობის პროცესს; მასწავლებლის ხელმძღვანელობის გარეშე – როგორც ეს მათ სკოლის დამთავრების შემდეგ, რეალურ ცხოვრებაში მოუწევთ – რას ართმევენ თავს თავისუფლად და სად აწყდებიან დაბრკოლებებს; ეს მასწავლებელს აწვდის მასალას იმის თაობაზე, თუ რომელი კომპეტენციის განვითარებას საჭიროებენ მოსწავლეები.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, პლენარული სხდომის ფარგლებში, დეტალური მოხსენებებით წარდგნენ კლასის წინაშე. მომავალ გაკვეთილზე დაგეგმილია პრეზენტაციები და თუ მოსწავლეები ვერ ასწრებენ მოსამზადებელი სამუშაოების დასრულებას, მათ თავად უნდა იპოვონ გამოსავალი ამ სიტუაციიდან.

პირველ რიგში მოსწავლეებმა უნდა დაადგინონ, რას გულისხმობენ „დაუსრულებელ“ სამუშაოში. ვერ მოასწრეს გაცნობოდნენ რაიმე დამატებით ინფორმაციას? თუ მიაჩნიათ, რომ არასაკმარის ინფორმაციას ფლობენ?

ამ შემთხვევაში, საუკეთესო არჩევანია პასუხისმგებლობა ამ პრობლემაზე მოსწავლეებს მივანდოთ. სასტიკი გადაწყვეტილებაა, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში სწორედ ასე ხდება. მოსწავლეებისთვის

სწავლის შესაძლებლობების მიცემა გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ხარვეზები პრეზენტაციის დროს. ოთხივე გაკვეთილის შემდეგ საჭიროა შეჯამება, რასაც საკმარისი დრო უნდა დაეთმოს. შესაძლებელია დამატებითი გაკვეთილის ჩატარება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფების უმეტესობამ ვერ მოასწრო დადგენილ დროში სამუშაოს სრულყოფილი შესრულება.

გაკვეთილი 4
როგორ მივიღოთ მონაწილეობა?
პოლიტიკური ციკლი, როგორც პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის საშუალება

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	მეთოდები: პრეზენტაცია და სხვა მოსწავლეების პრეზენტაციების მოსმენა. მონაწილეობა: პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობის განსაზღვრა.
სწავლის მიზანი	მოდელი წარმოადგენს საშუალებას, გავაანალიზოთ კომპლექსური მთლიანობის მხოლოდ ნაწილი. პოლიტიკას აქვს ორი მხარე: პრობლემების მოგვარება და სწრაფვა ძალაუფლებისაკენ. პოლიტიკური ციკლის მოდელი გვთავაზობს მხოლოდ პირველ ასპექტს.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები მოკლე ინფორმაციას აწოდებენ ერთმანეთს თავიანთი შედეგების შესახებ. მოსწავლეები აფასებენ მათ მიერ შესრულებული სამუშაოს პროცესსა და რეზულტატს.
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 6.2, მოსწავლეების მიერ გაკეთებული ჩანაწერებით.
მეთოდი	ოფისის ტიპის პრეზენტაციები. პლენალური განხილვა.
დროის ბიუჯეტი	1. მოსწავლეთა პრეზენტაციები 15 წთ. 2. განხილვა და შეჯამება. 25 წთ.

გაკვეთილის აღწერა

1. მოსწავლეთა პრეზენტაციები

გაკვეთილი იწყება მოსწავლეების აქტიურობით. ისინი ჯგუფებად უსხედან საკუთარ მერხებს, რომლებიც საკლასო ოთახის კედლების გასწვრივ არის განლაგებული, მერხებს შორის სიცვრცე თავისუფალია. ყოველი ჯგუფი ირჩევს ორ სპიკერს, რომლებიც რიგრიგობით წარადგენენ საკუთარ ჯგუფს. ეს საშუალებას აძლევს ყველა მოსწავლეს ეწვიოს სხვა ჯგუფს და მიიღოს მოკლე ინფორმაცია მათ შედეგებზე.

ეს არაცენტრალიზებული გარემო რამდენიმე მოსწავლის ერთდროული აქტიურობის საშუალებას იძლევა. სრული სურათის მოპოვებას ვერც ერთი მოსწავლე ვერ შეძლებს. ამას გაცილებით მეტი დრო დასჭირდება და მიღებული ინფორმაცია საკმაოდ დიდი ოდენობის და, შესაბამისად, დასამახსოვრებლად რთული იქნება.

მასწავლებელი მოსწავლეებს უერთდება და მხოლოდ უსმენს მათ, არ უსვამს შეკითხვებს და არ აკეთებს კომენტარს.

2. დისკუსია და გაანალიზება

მოსწავლეები ემზადებიან პლენარული სხდომისთვის. ისინი სხდებიან წრეზე ან ნახევარწრეზე, სახით ერთმანეთისკენ.

პირველ რიგში, მასწავლებელი და მოსწავლეები დღის წესრიგზე უნდა შეთანხმდნენ. მასწავლებელი მათ სთავაზობს პოლიტიკური ციკლის მოდელზე კონცენტრირებას, იმ საკითხებზე კონცენტრირების ნაცვლად, რომლებიც მოსწავლეებმა შეისწავლეს. მოსწავლეები ამაზე უნდა შეთანხმდნენ, სანამ მუშაობას გააგრძელებდნენ.

მასწავლებელი სვამს სააზროვნო კითხვას და სიტყვას აძლევს მოსწავლეებს:

„პოლიტიკური ციკლის მოდელის გამოყენება სამუშაოს შესრულებისას
რაში დაგეხმარათ და რაში - არა?“

მოსწავლეები კომპეტენტურ პასუხებს იძლევიან, ეყრდნობიან რა კვლევითი ამოცანის შესრულებისას მათ მიერ მიღებულ გამოცდილებას. მათ შეიძლება დაასახელონ ტექნიკური პრობლემები, როგორიცაა, შეფერხებები ინფორმაციის მოპოვებისას ან დროის სიმცირე. შეიძლება შეეხონ ანალიტიკურ სირთულეებს, როგორიცაა, იმის განსაზღვრა თუ რა ეტაპზეა მოცემული საკითხი: დღის წესრიგში დაყენების, გადაწყვეტილების მიღების მიზნით გამართული დებატების თუ შედეგებზე რეაგირების ეტაპზე. მათ შეიძლება კითხვები გაუჩნდეთ პოლიტიკური ციკლის მოდელთან დაკავშირებით: რამდენად რეალურად ასახავს იგი სინამდვილეს?

აუცილებელი არ არის, მოსწავლეების მიერ წამოჭრილ ყველა საკითხზე კომენტარის გაკეთება და მათ მიერ დასმულ ყველა შეკითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ როგორც მასწავლებელს, ასევე მოსწავლეებს აქვთ იმის თავისუფლება თავად მიიღონ გადაწყვეტილება ამის თაობაზე და შესაბამისად დაგეგმონ, რა დრო დაუთმონ ამ პროცედურას.

პოლიტიკური ციკლის მოდელთან დაკავშირებით, სულ მცირე, სამი საკითხი არსებობს, რომელზეც ღირს შეჩერება (იხ. მასალა მასწავლებლებისთვის 6.2). არ არის აუცილებელი მასწავლებელმა მოსწავლეების ყურადღება ყველა დეტალზე შეაჩეროს; ეს მისი გადასაწყვეტია. მოწოდებული მასალა მასწავლებელს დაეხმარება განმარტოს მოსწავლეების მიერ გაკეთებული ზოგიერთი კომანტარი. სხვა შემთხვევაში, მასწავლებელი ირჩევს ერთ ან მეტ საკითხს და მოსწავლეებს მოკლე ინფორმაციას აწვდის მათ შესახებ, რითაც ასრულებს დისკუსიას.

გაკვეთილი 5
შემაჯამებელი სხდომა (არასავალდებულო)

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	ინდივიდუალური სწავლის პროცესისა და კომპეტენციების გამომუშავების შეჯამება. კონსტრუქციული რეაგირება. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების წარმატებით განხორციელებაში, მასწავლებლისა და მოსწავლეების ერთობლივი პასუხისმგებლობის შეფასება.
სწავლის მიზანი	შეჯამება წარმოადგენს სწავლებისა და სწავლის პროცესის გაუმჯობესების საშუალებას.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები აჯამებენ თავიანთ ნამუშევრებს (სწავლის შედეგი და სწავლის პროცესი).
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 6.3 (მოსწავლეთა რეაგირება). ფლიპჩარტები, სხვადასხვა ფერის მარკერებით. ფლიპჩარტზე დატანილი მასალა მოსწავლეებისთვის 6.3.
მეთოდი	ინდივიდუალური სამუშაო, პლენალური პრეზენტაცია და განხილვა.
დროის ბიუჯეტი	1. პირადი მოსაზრებები. 7 წთ. 2. პლენარული პრეზენტაციები შეჯამების რეზულტატების შესახებ 10 წთ. 3. შემდგომი განხილვა. 20 წთ.

ინფორმაცია მასწავლებლებისათვის

მოცემული სახელმძღვანელოს წინამდებარე თავი შერჩეულია, როგორ ერთ-ერთი იმ ორ თავთაგან[18], რომლებიც გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება სახელმძღვანელოს თავის შემაჯამებელი ეტაპი გამოყენებულ იქნეს ამ თავის შეფასების მიზნით. ეს შემაჯამებელი გაკვეთილი არასავალდებულოა, მაგრამ რეკომენდებული.

მოსწავლეები აჯამებენ პროექტში მონაწილეობისას მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს – ამჯერად, ყურადღებას ამახვილებენ რა სწავლებისა და სწავლის პროცესზე. რა სირთულეებს წააწყდნენ და რას გაართვეს თავი წარმატებით? რა კომპეტენციებს ფლობენ და რომელის დაუფლებას ისურვებდნენ?

შემაჯამებელი ეტაპი მნიშვნელოვანია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების შედეგების შესაფასებლად, რადგან ხდება მოსწავლეების მოსაზრებების ერთმანეთთან და მასწავლებლის მოსაზრებასთან შედარება. შეჯამებას საკმაო დრო სჭირდება, მაგრამ ეს სასარგებლო ინვესტიციაა, ვინაიდან მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელი ხდება სამუშაო გარემოს გაუმჯობესება და გაკვეთილის უფრო ეფექტურად დაგეგმვა. შემაჯამებელი

[18] იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 5.6 (თავისთვის 4 და 5).

გაკვეთილი შედგება ინფორმაციის მიწოდების ეტაპისა (საფეხური 1 და 2) და შემდგომი განხილვისაგან (საფეხური 3).

გაკვეთილის აღწერა

წინამდებარე პროცედურას გთავაზობთ იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც არა აქვთ შემაჯამებელ ეტაპზე მუშაობის გამოცდილება. პროცედურებს მათთვის, ვისაც ეს გამოცდილება უკვე აქვთ, შემოგთავაზებთ ქვემოთ.

1. პირადი მოსაზრებები

ფლიპჩარტი განთავსებულია კედელზე ან დაფაზე, ისე, რომ არც ერთი მოსწავლის მხედველობის არე არ არის შეზღუდული. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს გაკვეთილის მიზანს: მოსწავლეებს არ მოუწევთ ახალი თემის განხილვა, მათ უნდა განიხილონ შედეგები და იმსჯელონ სწავლის პროცესზე. მოსწავლეებმა მათთვის დარიგებულ მასალაში მოცემულ კითხვებს გულწრფელად და სამართლიანად უნდა უპასუხონ. არ არის აუცილებელი, დააფიქსირონ საკუთარი სახელები და გვარები.

ამის შემდგომ გამართული განხილვისას, მასწავლებელი, მოსწავლეებთან ერთად, მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, განიხილავს, თუ რა საჭიროებს გაუმჯობესებას სწავლის შედეგების თვალსაზრისით, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში; გაკვეთილების დაგეგმვისას შენარჩუნებული იქნება ის, რაც ეფექტური იყო და შეცვლილი იქნება ის, რაც ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა.

თითოეულ მოსწავლეს ურიგდება მასალა მოსწავლეებისთვის 6.3. მასწავლებელი აფრთხილებს მოსწავლეებს, რომ მათ ერთმანეთის ფურცლებში ჩახედვისგან თავი უნდა შეიკავონ – ეს არ არის ტესტი და იქ მოცემულ კითხვებზე არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები.

მოსწავლეებისათვის დარიგებული კითხვარის პირველი ნაწილი შედგება რვა კითხვისგან, რომელიც მოიცავს სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა ასპექტს – პოლიტიკური ციკლის მოდელი, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, თანამშრომლობა და სხვა მოსწავლეებთან და მასწავლებელთან ურთიერთობა. მოსწავლეები ამ კითხვებს სამიზნე დაფაზე წერტილის დასმით პასუხობენ – წერტილი სამიზნე დაფის ცენტრში (5) ნიშნავს „სრულიად ვეთანხმები“, ხოლო წერტილი სამიზნე დაფის გარე წრეზე (1) – „სრულიად არ ვეთანხმები“.

კითხვარის მეორე ნაწილში მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ განვლილი თავიდან რა იყო მათთვის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი – და შესაბამისად, რისი დამახსოვრება ღირს? და რა იყო არასაინტერესო და უსარგებლო – რაც მათ მალე დაავიწყდებათ?

2. პლენარული პრეზენტაციები შეჯამების შედეგების შესახებ

მოსწავლეები მუშაობენ ჩუმად. ორი მოსწავლე აგროვებს ნამუშევრებს და მიაქვს ისინი ფლიპჩარტთან. ერთი მოსწავლე ხმამაღლა ასახელებს მოსწავლეების მიერ სამიზნე დაფებზე გაკეთებული აღნიშვნების ადგილს, კითხვების შესაბამისად. მეორე მოსწავლეს მონაცემები გადააქვს ფლიპჩარტზე დატანილ, მოსწავლეთა კითხვარში მოცემული სამიზნე დაფის ანალოგიურ დაფაზე. მოსწავლეს შეუძლია გამოითვალოს მოსწავლეთა პასუხების ზუსტი მონაცემი. ამისათვის საჭიროა თითოეულ გრაფაში დაგროვილი აღნიშვნები გაიყოს მოსწავლეთა სრულ რაოდენობაზე.

კლასი ეცნობა კითხვარის მეორე ნაწილში მოსწავლეების მიერ გაკეთებულ ჩანაწერებს და მონაცემების შეტანა ხდება სამიზნე დაფის მარჯვნივ და მარცხნივ განთავსებულ ფლიპჩარტებზე, რომელთაგანაც თითოეულს წამძღვარებული აქვს შესაბამისი ორი კითხვა: რა იყო ყველაზე საინტერესო? და რა იყო ყველაზე უსარგებლო?

პროცედურის ალტერნატიული ვარიანტი

ზემოთ მოცემული პროცედურა დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ ამოცანას უადვილებს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც არა აქვთ შემაჯამებელ ეტაპზე მუშაობის გამოცდილება. ქვემოთ მოცემული მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ შემთხვევაში, თუ:

- მოსწავლეებს აქვთ შემაჯამებელ ეტაპზე მუშაობის გამოცდილება;
- (რაც უფრო მნიშვნელოვანია) მათ იციან, რომ მასწავლებელი არ დასჯის მათ, რაც უნდა მკაცრი და მწვავე იყოს მათ მიერ გაკეთებული კრიტიკული შენიშვნები, მაგ. არ დაუწერს მათ არადამაკმაყოფილებელ ნიშანს, არ მიაყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას;
- (და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი) მოსწავლეებს შეუძლიათ ენდონ ერთმანეთს იმაში, რომ არ გააკრიტიკებენ ერთმანეთის განსხვავებულ მოსაზრებებს და სწავლის გამოცდილებას.

საფეხური 1: მოსწავლეები რიგრიგობით მიდიან ფლიპჩარტთან და აკეთებენ აღნიშვნებს შესაბამის გრაფაში, ფლიპჩარტზე დატანილ სამიზნე დაფაზე. ისინი არ ავსებენ კითხვარს, რომელიც მოცემულია მასალაში მოსწავლეებისათვის 6.3. სანაცვლოდ, მათ ურიგდებათ წითელი და მწვანე ფურცლები (ასევე გამოდგება სათანადოდ დასათაურებული თეთრი ფურცლებიც), სადაც ისინი წერენ თავიანთ მოსაზრებებს. შემდეგ ორი მოსწავლე აგროვებს ამ ფურცლებს და კითხულობს კლასის წინაშე. უმჯობესი იქნება, თუ მოსწავლეები რიგრიგობით, თავად კითხულობენ საკუთარ მოსაზრებებს და კომენტარსაც ურთავენ, სურვილის შემთხვევაში.

ფურცლებს, რომელზეც მოსწავლეებმა საკუთარი მოსაზრებები გადაიტანეს, ამაგრებენ ფლიპჩარტზე, ანალოგიური შინაარსის მოსაზრებები შეიძლება ერთად დაჯუფდეს და ისე მიამაგროთ ფლიპჩარტზე. შემდეგ საჭიროა მათი დახარისხება და დასათაურება.

შემაჯამებელი ეტაპის ძირითადი წესი: არავითარი კომენტარი და დისკუსია

ნებისმიერი მეთოდის არჩევის შემთხვევაში ძირითადი წესი უცვლელი რჩება: არც ერთი განცხადების შესახებ არ კეთდება კომენტარი. დისკუსიის დროზე ადრე დაწყება გაკვეთილის დროის განრიგს დაარღვევს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამით ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობების პრინციპი იქნება უგულებელყოფილი. მასწავლებელი უძღვება გაკვეთილის ამ ეტაპს და აღკვეთავს მოსწავლეების მხრიდან ნებისმიერ მცდელობას, კომენტარი გააკეთონ რომელიმე მოსწავლის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე, ან დასცინონ და მასხრად აიგდონ ისინი საკუთარი განსხვავებული მოსაზრების გამო.

3. შემდგომი განხილვა

რჩევა დისკუსიის დაგეგმვის შესახებ არ არსებობს, იმ ობიექტური მიზეზის გამო, რომ შემაჯამებელ ეტაპზე იკვეთება, როგორ უნდა წარიმართოს დისკუსია. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მინიშნება, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება დასკვნების გაკეთებაში.

სამიზნე დაფა:

- რომელ გრაფაშია ყველაზე მეტი 5 (ვეთანხმები) და რომელში ყველაზე მეტი 1 (არ ვეთანხმები) დაგროვილი და რა არის ამის მიზეზი?
- რომელ გრაფაშია პასუხების მრავალფეროვნება და რა არის ამის მიზეზი?

პირადი მოსაზრებები:

- არის ანალოგიური პასუხების სიმრავლე?

განხილვისას შეიძლება წამოიჭრას შემდეგი საკითხები:

- დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში რა არის მისაღები? გავაგრძელოთ იგივე მიდგომით სწავლა?

- რაში მდომარეობს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ხარვეზი? უნდა შევცვალოთ ეს მიდგომა, თუ გავაუმჯობესოთ იგი? როგორ?

(*მასალაში მოსწავლეებისათვის 6.3, შეიძლება დამატებული იქნეს შემდეგი კითხვები).*

- რა შედის ჩემს პირად მოვალეობაში? რა წვლილის შეტანა შემიძლია მე ჩვენს საერთო წარმატებაში?

- რისი სწავლა მსურს მე – როგორც ინდივიდუალურ მოსწავლეს – ამის შემდეგ? როგორი ამოცანა იწვევს ჩემს ინტერესს ან მეხმარება ცოდნის შეძენაში?

მოსწავლეები და მასწავლებელი, სასურველია ერთად, შემაჯამებელი ეტაპის რეზულტატების საფუძველზე, იღებენ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როგორ დაგეგმონ შემდგომი გაკვეთილები. ერთი მნიშვნელოვანი რამ, რასაც მოსწავლეები – და სავარაუდოდ მასწავლებელიც – გააცნობიერებენ, არის ის, რომ მასწავლებელი და მოსწავლეები ერთმანეთზე არიან დამოკიდებული და წარმატება მხოლოდ მათი ერთიანი ძალისხმევის შედეგი შეიძლება იყოს.

მასალა მასწავლებლებისთვის 6.1
პოლიტიკური ციკლის მოდელის ილუსტრირება – როგორ შეგვიძლია შევამციროთ ავტოსაგზაო შემთხვევათა რაოდენობა?

ცნებები და ძირითადი კითხვები	შენიშვნები
0. თემა რა არის საკითხის არსი?	როგორ შეგვიძლია შევამციროთ ავტოსაგზაო შემთხვევათა რაოდენობა?
1. პრობლემა ვინ ადგენს დღის წესრიგს? რაში მდგომარეობს პრობლემა? ეთანხმება ყველა მონაწილე პრობლემის განმარტებას?	შინაგან საქმეთა მინისტრი: ავტოსაგზაო შემთხვევათა სიმრავლე. ახალგაზრდა მძღოლები – გამოუცდელი, დაუდევარი. ყველა ასაკის მამრობითი სქესის მძღოლი – ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობით მიღება. ავტომობილისტთა კლუბი: გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების სიმრავლე; გადასახადები არ ხმარდება საგზაო ქსელის გაუმჯობესებას. გარემოს დამცველები: ნახშირორჟანგის ემისია მატულობს, საწვავის მარაგი იწურება და შესაბამისად საწვავი ძვირდება – მხარს უჭერენ ავტოტრანსპორტის ალტერნეტივების შემოტანას.
2. დებატები ვინ მონაწილეობს პროცესში? რაში მდგომარეობს მონაწილეთა ინტერესები, რა წარმოადგენს მათ ღირებულებებს?	ყველა თანხმდება, რომ საჭიროა შემცირდეს ავტოსაგზაო შემთხვევათა რაოდენობა. მაგრამ საკითხის განხილვისას თავს იჩენს განსხვავებული ინტერესები და მიზნები: მინისტრს სურს მიიღოს ზომები დაუდევარ მძღოლთა წინააღმდეგ. ავტომობილისტებს სურთ ავტომობილთა მძღოლებს უკეთესი პირობები ჰქონდეთ. გარემოს დამცველები გლობალური დათბობის გამო გამოთქვამენ შეშფოთებას.
3. დისკუსია რას ვიღებთ შედეგად? მიენიჭა პრიორიტეტი გარკვეულ ინტერესებს, თუ გადაწყვეტილება კომპრომისის საფუძველზე იქნა მიღებული?	მთავრობას შემოაქვს ორი კანონპროექტი: მაღალი ჯარიმები სიჩქარის გადაჭარბებისთვის, ალკოჰოლის დასაშვები ზღვარის შემცირება; მეტი კონტროლი სატრანსპორტო მოძრაობაზე. ოთხი სავალი ნაწილისგან შემდგარი გზატკეცილები ხუთ წელიწადში.
4. განხორციელება როგორ ხორციელდება გადაწყვეტილება? ვინ არის ამ პროცესში ჩართული ან მასზე პასუხისმგებელი? ხომ არ წარმოქმნის ეს გადაწყვეტილება პრობლემებს ან კონფლიქტებს?	სატრანსპორტო მოძრაობის მეტი კონტროლი, განსაკუთრებით საღამოობითა და კვირის ბოლოს. დაგეგმილია გზატკეცილების გაფართოვება და გაუმჯობესება, სამუშაოები დაწყებულია.

5. მოსაზრებები რომელი პირები, დაინტერესებული ჯგუფები და ა.შ. უჭერენ მხარს ან აკრიტიკებენ შედეგებს? რა შეადგენს მათ ღირებულებებს, იდეოლოგიასა და ინტერესებს?	ავტომობილისტები მიესალმებიან სამშენებლო გეგმას, არ იზიარებენ კონტროლთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას (ჯარიმები იზრდება –იზრდება ხარჯები). გარემოს დამცველები იმედგაცრუებულები არიან. მართავენ დემონსტრაციებს დედაქალაქში. განიხილავენ საკითხს ახალი მწვანეთა პარტიის დაარსების შესახებ.
6. რეაქცია როგორ რეაგირებენ ცალკეული პირები და როგორია საერთო რეაქცია? ძალაუფლებისა და ზეწოლის განხორციელების რა საშუალებებს ფლობენ ისინი?	გარემოს დამცველები მართავენ დემონსტრაციებს დედაქალაქში. განიხილავენ საკითხს ახალი მწვანეთა პარტიის დაარსების შესახებ. სატვირთო ავტომანქანების მძღოლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ გზატკეცილებზე შეფერხებების გამო. მინისტრი აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა 15 %–ით შემცირდა – ამტკიცებს, რომ შედეგები და წარმატება მის მიერ არჩეული პოლიტიკის მართებულობაზე მეტყველებს.
7. ახალი პრობლემა ან პოლიტიკური ციკლის დასასრული წამოიჭრა ახალი დავა პოლიტიკური დღის წესრიგის შედგენის შესახებ? განხილვის საგანს ახალი თუ ისევ ძველი პრობლემა წარმოადგენს? მიღებულმა გადაწყვეტილებამ მოგვცა საშუალება დაგვესრულებინა პროცესი?	მინისტრი: აღარ არის საჭირო სხვა ზომების მიღება. დააკვირდით მოვლენების განვითარებას, განიხილეთ ბოლო 12 თვის მონაცემები. გარემოს დამცველები: ნახშირორჟანგის ემისიის დონემ კატასტროფული მატება განიცადა. ლუდის მწარმოებლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ: მათი პროდუქციის გასაღება/რეალიზაცია 10%–ით შემცირდა. სამუშაო ადგილების შემცირების რისკი გაიზარდა. მრეწველობა მოითხოვს გზის მშენებლობის გეგმის დაჩქარებას. ...

მასალა მასწავლებლებისთვის 6.2

ძირითადი ინფორმაცია პოლიტიკური ციკლის მოდელის შესახებ

1. პოლიტიკას გააჩნია ორი მხარე: პრობლემის მოგვარება და სწრაფვა ძალაუფლების მოსაპოვებლად. მოდელის სახით წარმოდგენილი პოლიტიკური ციკლი მოიცავს მხოლოდ პირველ ასპექტს – პრობლემის მოგვარებას. მასში ძალაუფლების ასპექტიც არის გათვალისწინებული, ვინაიდან დღის წესრიგის დადგენა დამოკიდებულია იმ ზეწოლაზე, რომელსაც მონაწილე მხარე ახორციელებს. მაგრამ მოდელის მთავარი ამოცანაა პოლიტიკის პრაქტიკული მხარის აღწერა – მაქს ვებერის სიტყვებით „სქელი ფიცრის ბურღვის ნელი და მტკიცე პროცესი, რომელიც ხორციელდება ენთუზიაზმითა და სწორი და ზუსტი გათვლების წარმოებით“. ეს იმას ნიშნავს, რომ მონაწილე მხარის მიერ გაღებულმა ძალისხმევამ, რომელიც კონკურენტულ გარემოში მხარდაჭერისა და ხმების დიდი რაოდემობით მოპოვებას ემსახურება, და რომელიც ხშირად პოლიტიკური ოპონენტის პირად კრიტიკას, პოპულიზმსა და სკანდალის აღზევებას გულისხმობს, შესაძლოა მოვლენების განვითარებაზე უარყოფითი გავლენა იქონიოს, რაც არ არის გათვალისწინებული მოცემულ მოდელში.
2. პოლიტიკური ციკლის მოდელში, საყოველთაო კეთილდღეობის ცნება საინტერესო თვალსაზრისითაა განხილული. დემოკრატიულ საზოგადოებაში, დანამდვილებით არავინ იცის რა განაპირობებს ყველას კეთილდღეობას –სწორედ ეს წარმოადგენს ყველაზე დიდ განსხვავებას დემოკრატიასა და დიქტატურას შორის. ჩვენ იგი ერთად უნდა ამოვიცნოთ, მოვილაპაროკოთ მის თაობაზე, ავწონ–დავწონოთ, ვიკამათოთ და საბოლოოდ კომპრომისზე წავიდეთ. თუ ჩვენ ვცდებოდით, ან გადაწყვეტილება უსამართლო იყო, ამის თაობაზე უმალ შევიტყობთ და მოგვიწევს იგივე პროცედურების თავიდან გავლა. ღია საზოგადოება საჭიროებს საყოველთაო კეთილდღეობის საკითხისადმი პრაგმატულ, კონსტრუქტივისტულ მიდგომას.
3. სქემები, როგორიცაა პოლიტიკური ციკლის სქემა, წარმოადგენს მოდელებს. ისინი რეალობის ზოგიერთ ასპექტს ცხადად წარმოაჩენენ, მაგრამ ამის მიღწევა მხოლოდ რაღაც ასპექტების გამოტოვების ხარჯზეა შესაძლებელი. პოლიტიკური ციკლის მოდელი გამოგვადგება, როგორც გზამკვლევი, რომელიც დაგვეხმარება პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვას: პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის რა ეტაპზე შეგვიძლია ჩვენ, როგორც მოქალაქეებს ჩარევა და საკუთარი აზრის გამოხატვა? თუ ჩვენ პარლამენტის ან მთავრობის წევრები არა ვართ, ვერ მივიღებთ მონაწილეობას დებატებში, რომელიც გადაწყვეტილების მიღებას ემსახურება –ეს არის პოლიტიკური სისტემის შედეგი. მაგრამ არის ეტაპი, როცა ხდება მონაცემთა შეტანა, და აქ ჩვენ შეგვიძლია აქტიურობა გამოვიჩინოთ. ჩვენ შეგვიძლია ჩვენი კომენტარი გავაკეთოთ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, მხარი დავუჭიროთ, ან მის წინააღმდეგ გამოვიდეთ და ჩვენ შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ პოლიტიკური დღის წესრიგის დადგენის თაობაზე გამართულ დებატებში. პოლიტიკური პრობლემები დამოუკიდებლად კი არ არსებობს, არამედ საჭიროებს განსაზღვრასა და აღიარებას (იხ. მე–4 თავის თემა).

თავი 7
თანასწორობა
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის

მაჟორიტარული წესი – სამართლიანია?
როგორ მოვაგვაროთ უმრავლესობა–უმცირესობის პრობლემა დემოკრატიულ საზოგადოებაში?

7.1 უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებას – ეთანხმებით?

მაგალითი

7.2 როგორ ვარეგულიროთ უმრავლესობისა და უმცირესობის ინტერესები?

წესდების შექმნა მიკროსაზოგადოებისთვის

7.3 წესდების პროექტი

უმრავლესობა/უმცირესობის საკითხის დარეგულირებისათვის საჭირო ინსტიტუციური სისტემების შედარება

7.4 დემოკრატიული საზოგადოების მართვის რომელი გზაა საუკეთესო?

რა არის სამართლიანი და რა არის ეფექტური?

დამატებითი სამუშაო: კვლევითი ამოცანა

როგორი ფორმით იჩენს თავს ჩვენს ქვეყანაში უმრავლესობა/უმცირესობის საკითხი და როგორ ხდება მისი დარეგულირება?

თავი 7
თანასწორობა
მაჟორიტარული წესი – სამართლიანია?

წინასიტყვაობა მასწავლებლებისათვის

დემოკრატიულ საზოგადოებაში უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებას და უმცირესობა იძულებულია, დათანხმდეს ამ გადაწყვეტილებას. ვინაიდან დემოკრატიულ სისტემაში გადაწყვეტილებები დროებითია და გადასინჯვას ექვემდებარება, უმცირესობას შეუძლია შეეგუოს იმას, რომ მათი მოთხოვნები და ინტერესები დროებით არ იქნა გათვალისწინებული. მაგრამ რა მოხდება თუ უმცირესობა „მუდმივ უმცირესობად“ გადაიქცევა – და მათი ინტერსები მუდმივად უგულებელყოფილი იქნება? კრიტიკოსები მსგავს სიტუაციას „უმრავლესობის ტირანიას“ უწოდებენ.

მოცემულ თავში ყურადღება გამახვილებული ამ საკითხზე, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ეს საკითხი დარეგულირებას საჭიროებს, ვინაიდან, იმ შემთხვევაში, თუ გარკვეულ ჯგუფებს ექმნებათ შთაბეჭდილება, რომ მათი ინტერესები მუდმივად არის უგულებელყოფილი, საფრთხის წინაშე აღმოჩნდება სოციალური ერთობა.

მოსწავლეები განიხილავენ სპორტული კლუბის მაგალითს, სადაც ორ ჯგუფს შორის არის დავა იმის თაობაზე, თუ რაზე დაიხარჯოს კლუბის ბიუჯეტი. ამ ჯგუფებიდან ერი მრავალრიცხოვანია, მეორე – მცირერიცხოვანი. პრობლემა ნაკლებ კომპლექსურია, ვიდრე რეალურ საზოგადოებაში, მაგრამ პრობლემის არსი ერთი და იგივეა. მოსწავლეები ცდილობენ, გადაჭრან არსებული დავა წესდების შემუშავებით. მოსწავლეებმა შეიძლება სხვადასხვა მიდგომა გამოიყენონ, სწორედ ისე, როგორც ეს კონსტიტუციის შემუშავებისას ხდება – განისაზღვრება უმცირესობათა უფლებები ავტონომიაზე (ფედერალური ან კანტონალური მოდელი); ადამიანის უფლებები, ამკვიდრებს რა ადამიანის ღირსებისა და ურთიერთაღიარების სტანდარტებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უმრავლესობისთვის ადგენს კომპეტენციის გარკვეულ ფარგლებს. თუმცა, წესების ვერც ერთი სისტემა ვერ იქნება იმის გარანტი, რომ უმცირესობისადმი დამოკიდებულება სამართლიანი იქნება და უმრავლესობის სურვილი მოწონებას დაიმსახურებს. დემოკრატიულ საზოგადოებებს საფუძვლად უდევს პასუხისმგებლობისა და ურთიერთპატივისცემის კულტურა, რაც გამოიხატება მოქალაქეთა შორის არსებულ და საკუთარი სურვილით განხორციელებულ ურთიერთდამოკიდებულებაში.

გაკვეთილზე მიღებული გამოცდილებით მოსწავლეები იძენენ უნარს, უკეთ შეაფასონ, თუ როგორ ხდება მათ ქვეყანაში უმრავლესობა/უმცირესობის საკითხის რეგულირება. რეკომენდებულია კვლევითი ამოცანის შესრულება ამ თავის დამატებითი სამუშაოს სახით, საკითხის პრაქტიკულად შესწავლის მიზნით.

კომპეტენციების გამომუშავება: კავშირი სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა თავებთან

რას გვიჩვენებს ეს ცხრილი

წინამდებარე სახელმძღვანელოს სათაური, *მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში,* გულისხმობს იმ კომპეტენციებს, რომელსაც აქტიური მოქალაქე უნდა ფლობდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში. მოცემული მატრიცა გვიჩვენებს სახელმძღვანელოში შესულ თავებს შორის სინერგიის ეფექტის პოტენციალს. მატრიცა გვიჩვენებს, რომელი კომპეტენციების განვითარება ხდება მეშვიდე თავში (შეფერილი, ჰორიზონტალური მწკრივი ცხრილში). მუქი შტრიხებით შემოსაზღვრული ვერტიკალური სვეტი გვიჩვენებს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების კომპეტენციებს –მისი გამოყოფა ხდება, დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობასთან მჭიდრო კავშირის გამო. ჰორიზონტალური მწკრივები გვიჩვენებს სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა თავებთან კავშირს: რომელ კომპეტენციებს იძენს მოსწავლე, სახელმძღვანელოში მოცემულ ამ თავებში, რომელიც მათ მეშვიდე თავში სჭირდებათ?

როგორ გამოვიყენოთ მატრიცა?

მასწავლებლებს მოცემული მატრიცის გამოყენება სხვადასხვა გზით შეუძლიათ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებს გაკვეთილის დასაგეგმად.

- ეს მატრიცა ეხმარება მასწავლებლებს, რომლებსაც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მცირე რაოდენობით გაკვეთილის ჩატარება უწევთ: მასწავლებელს საშუალება აქვს აარჩიოს ეს თავი და გამოტოვოს სხვა თავები, თუ მიიჩნევს, რომ მოსწავლეები გარკვეულწილად უკვე ფლობენ სხვა ძირითად კომპეტენციებს, მაგალითად მოცემულ თავში ასეთი კომპეტენციებია – პასუხისმგებლობის აღება, პრობლემის ანალიზი, მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის საჭირო უნარ–ჩვევები.

- მოცემული მატრიცა ეხმარება მასწავლებელს დარწმუნდეს სინერგიის ეფექტში, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები ერთსა და იმავე კომპეტენციას განმეორებით იძენენ, ერთმანეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა კონტექსტში. ამ შემთხვევაში, მასწავლებელი ირჩევს რამდენიმე თავს და კომბინირებულად აწვდის მათ მოსწავლეებს.

თავი	კომპეტენციის განვითარების განზომილებები			მიდგომები და ღირებულებები
	პოლიტიკური ანალიზი და შეფასება	**მეთოდები და უნარები**	**მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში** **პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება**	
7. თანასწორობა	უმრავლესობისა და უმცირესობათა ჯგუფების ინტერესთა დარეგულირების ძირითადი საკითხი ადამიანთა უფლებები იცავს უმცირესობასა და ცალკეულ პიროვნებებს ფედერალური და კანტონალური ინსტიტუციური სტრუქტურები იცავს უმცირესობათა უფლებებს	პოლიტიკური პრობლემის ანალიზი და გადაჭრა	მოსაზრებებისა და გადაწყვეტილებების საჯაროდ გამოტანა და მათი დაცვა	ურთიერთაღიარება
2. პასუხისმგებლობა				ურთიერთაღიარება
1. ინდივიდუალობა			არჩევანის გაკეთება და	

			პრიორიტეტების განსაზღვრა	
4. კონფლიქტი	ინტერესთა კონფლიქტი			
5. წესები და კანონი	დემოკრატიულ საზოგადოებაში ინსტიტუციური ჩარჩო უზრუნველყოფს კონფლიქტის არაძალადობრივი გზით მოგვარებას		ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა საზოგადოებაში არსებული კონფლიქტის მოგვარების მიზნით	მნიშვნელოვანია: მშვიდობიანი, არაძალადობრივი საშუალებების გამოყენება კონფლიქტის მოსაგვარებლად
3. მრავალფეროვნება და პლურალიზმი	პლურალისტული საზოგადოება შედგება განსხვავებულ ინტერესთა მატარებელი უმცირესობათა ჯგუფებისგან		მოლაპარაკება	

თავი 7: თანასწორობა – მაჟორიტარული წესი – სამართლიანია? როგორ მოვაგვაროთ უმრავლესობა–უმცირესობის პრობლემა დემოკრატიულ საზოგადოებაში?

გაკვეთილის თემა	კომპეტენციის გამომუშავება/სწავლის მიზანი	მოსწავლის ამოცანა	მასალა და რესურსები	მეთოდი
გაკვეთილი 1 უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებას – ეთანხმებით?	პრობლემის ანალიზი. „მუდმივი უმცირესობის“ პრობლემა.	მოსწავლეები განსაზღვრავენ „მუდმივი უმცირესობის“ პრობლემას და ამ პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების შესახებ განცხადებებით გამოდიან.	მასალა მოსწავლეებისთვის 7.1 (მაგალითი), მარკერები, ფლიპჩარტი.	ინდივიდუალური მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, პლენარული განხილვა.
გაკვეთილი 2 როგორ ვარეგულიროთ უმრავლესობისა და უმცირესობის ინტერესები?	გუნდური მუშაობა, დროის მენეჯმენტი; პრობლემის გადაჭრა. წესები, კანონები და კონსტიტუცია წარმოადგენს საზოგადოებაში არსებული პრობლემის გადაჭრისა და კონფლიქტის წყაროებთან გამკლავების საშუალებებს. ეს ამართლებს მთავრობისა და ხელისუფლების არსებობას. თუმცა ისინი შეიძლება ემსახურებოდნენ გარკვეულ ინტერესებს.	მოსწავლეები ადგენენ წესდების პროექტს, რომელიც დაარეგულირებს უმრავლესობა/უმცირესობის საკითხს მიკროსაზოგადოებაში.	მასალა მოსწავლეებისთვის 7.1–7.3. ფლიპჩარტები და მარკერები.	ჯგუფური მუშაობა.
გაკვეთილი 3 წესდების პროექტი	მოკლე პრეზენტაციები, შედარება და მსჯელობა მოსაზრებებისა და მიზეზების შესახებ. ინსტიტუციური სტრუქტურა გულისხმობს ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა, განხორციელებადობა, სამართლიანობა და სტაბილურობა.	მოსწავლეები იკვლევენ ინსტიტუციური სტრუქტურის კრიტერიუმებს. გამოდიან პრეზენტაციებით და ერთმანეთს ადარებენ საკუთარ მოსაზრებებს.	მასალა მოსწავლეებისთვის 7.4. მატრიცა მოსწავლეთა პრეზენტაციებისთვის (დაფა ან ფლიპჩარტი). ფლიპჩარტები, A4 ფორმატის ფურცლები. მარკერები. წებო ან წებოვანი ლენტი.	ჯგუფური პრეზენტაციები, პლენარული განხილვა.
გაკვეთილი 4 დემოკრატიული საზოგადოების მართვის რომელი გზაა საუკეთესო?	მსჯელობა: რეგულირების კრიტერიუმები. დიალექტიკა დემოკრატიას, სამართლიანობასა და ეფექტურობას შორის.	მოსწავლეები განიხილავენ წესდებათა პროექტებს და ასაბუთებენ საკუთარ მოსაზრებებს.	დაფა ან ფლიპჩარტი.	პრეზენტაციები, განხილვა.
დამატებითი სამუშაო კვლევითი ამოცანა უმრავლესობა/უმცირესობის საკითხი ჩვენს ქვეყანაში	მუშაობა.	კვლევითი ამოცანა: 1. უმცირესობის ინტერესთა უგულებელყოფის მაგალითები.	კონსტიტუცია; დამატებითი მასალა (ბეჭდვითი მედია, სტატისტიკური მონაცემები, ინტერნეტი).	ინდივიდუალური სამუშაო. პროექტების პრეზენტაცია.

		2. როგორ უზრუნველყოფს უმცირესობის დაცვას ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია.		

გაკვეთილი 1
უმრავლესობა – მუდმივი მმართველი?
მაგალითი

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	პრობლემის ანალიზი
სწავლის მიზანი	„მუდმივი უმცირესობის“ პრობლემა: დემოკრატიულ საზოგადოებაში უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებას და უმცირესობა იძულებულია დათანხმდეს როგორც ამ პრინციპს, ასევე იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია ხმათა უმრავლესობით. მაგრამ რა ხდება თუ უმცირესობის ინტერესები მუდმივად არის უგულებელყოფილი?
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები განსაზღვრავენ „მუდმივი უმცირესობის“ პრობლემას და ამ პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების შესახებ განცხადებებით გამოდიან.
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 7.1 (მაგალითი), მარკერები, ფლიპჩარტი.
მეთოდი	ინდივიდუალური მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, პლენარული განხილვა.
დროის ბიუჯეტი	1. შესავალი: პრობლემის განსაზღვრა. 15 წთ.
	2. ამოცანის დასახვა. 20 წთ.
	3. ჯგუფური მუშაობა. 10 წთ.

ინფორმაცია

მოცემულ გაკვეთილზე მოსწავლეები ეცნობიან უმრავლესობა/უმცირესობის საკითხს. შეთხზულ მაგალითში პრობლემა, შეძლებისდაგვარად, მარტივად არის დაყენებული. სპორტული კლუბი აღქმულია, როგორც მიკროსაზოგადოება, რომელიც მხოლოდ ორი ჯგუფისგან შედგება – ერთი მრავალრიცხოვანი და ერთი მცირერიცხოვანი ჯგუფისგან. გადასაჭრელი პრობლემა – როგორ დავარეგულიროთ უმრავლესობისა და უმცირესობის უფლებები – რეალურ, პოლიტიკურ საზოგადოებაში არსებული პრობლემის მსგავსია.

გაკვეთილის აღწერა

1. შესავალი: პრობლემის განსაზღვრა

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ გაკვეთილი იწყება მაგალითით. იგი ჩამოარიგებს მასალას მოსწავლეებისთვის 7.1 და მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ მაგალითს. გაკვეთილის დასაწყის ეტაპზე, პრეზენტაციის ეს ფორმა, ნაცვად იმისა, რომ მოსწავლეებს მაგალითის დამოუკიდებლად, ჩუმად წაკითხვა დავავალოთ, მათ ჯგუფური მუშაობისთვის განაწყობს.

მასწავლებელი სვამს ერთ შეკითხვას:

„რაში მდგომარეობს პრობლემა?“

იგი სთხოვს მოსწავლეებს დაფიქრდნენ ამ კითხვაზე და ჩაინიშნონ საკუთარი პასუხები. ამგვარი დავალება, მოსწავლეებს, რომლებიც „ნელა“ ფიქრობენ (და რომლებიც ხშირად წინდახედულ პასუხებს იძლევიან), ისევე როგორც მოსწავლეებს, რომლებიც ინტროვერტები არიან, საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ განხილვაში.

პლენარულ რაუნდზე, მოსწავლეები, მათ მიერვე გაკეთებულ ჩანიშვნებზე დაყრდნობით, პასუხს სცემენ დასმულ კითხვას. მასწავლებელი მათ უსმენს და ამხნევებს, რათა გარკვევით ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებები (აქტიური მოსმენა). მას შემდეგ, რაც დაახლოებით 10 მოსწავლე გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას, მასწავლებელს მათ მიერ გამოთქმული ძირითადი მოსაზრებები გადააქვს დაფაზე. მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები შეეხებიან დემოკრატიის ძირითად პრინციპს, რაც მრავალრიცხოვანი ჯგუფის სასარგებლოდ მოქმედებს, მაშინ როცა მცირერიცხოვანი ჯგუფის სასარგებლოდ მოქმედებს დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი (თანასწორობა). მასწავლებელი მოსწავლეთა მოსაზრებებს შემდეგი კატეგორიების მიხედვით ახარისხებს, რაც გამოყენებული იქნება დისკუსიისთვის მიმართულების მისაცემად:

მიკროსაზოგადოება: სპორტული კლუბი	
პრობლემა	**პრობლემის გადაჭრის შემოთავაზებული გზები**
თანანაბარი უფლებების დარღვევა დისკრიმინაციის შთაბეჭდილება (თანანაბარი უფლებების დარღვევა) მუდმივად გამარჯვებულნი და მუდმივად დამარცხებულნი („მუდმივი უმცირესობა“)	უმცირესობის ინტერესებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული (კომპრომისი) მოჭადრაკეები ტოვებენ კლუბს (მარცხის სცენარი)
დემოკრატია საფრთხის წინაშეა უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებას – დამარცხებულები არ იზიარებენ მათ გადაწყვეტილებას	უმრავლესობის განმარტების შეცვლა

მოსწავლეებმა უნდა გაათვითცნობიერონ, რომ მსგავსი კონფლიქტი გადაჭრას მოითხოვს. მოჭადრაკეების მიერ კლუბის დატოვება არავის ინტერესში შედის. მაგალითად ცალ–ცალკე კლუბის არსებობა დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. ასე რომ საჭიროა მოიძებნოს გამოსავალი, რომელიც შეესაბამება როგორც დემოკრატიის, ასევე თანასწორობის პრინციპებს.

2. ამოცანის დასახვა

ა. პრობლემა

მოსწავლეებს, სავარაუდოდ, ესმით, რომ წარმოდგენილი მაგალითი არის მოდელი, რომელიც აჩვენებს საზოგადოებაში არსებულ პრობლემებს, აქედან გამომდინარე, უმრავლესობა/უმცირესობის საკითხს გააჩნია პოლიტიკური განზომილება. რეალობის ნაცვლად, მაგალითის შესწავლა, პრობლემას უფრო ნათელს ხდის და ამოცანას ამარტივებს. შემდგომში, მოსწავლეებს ექნებათ საშუალება, გამოიყენონ ეს მაგალითი, რეალურ სიტუაციასთან პარალელის გასავლებად. მასწავლებელი ხაზგასმით აღნიშნავს, მაგალითის კავშირს რეალობასთან, რადგან ეს ამართლებს ამოცანის მიზანს.

მოსწავლეებმა უნდა დაიცვან ორი პრინციპი: თანასწორობა და დემოკრატია.

ერთი მხრივ, უმრავლესობა/უმცირესობის საკითხი სამართლიანად უნდა გადაიჭრას – უმცირესობა არ შეეგუება იმას, რომ მათი ინტერესები და მოთხოვნილებები მუდმივად იყოს უგულებელყოფილი. მეორე მხრივ, დემოკრატია ნიშნავს იმას, რომ უმრავლესობა სამართლიანად მოითხოვს გადამწყვეტი ხმა მის ხელთ იყოს. მოსწავლეების ამოცანას წარმოადგენს ისეთი წესდების შექმნა, რომელიც ამ ორივე პრინციპს გააერთიანებს.

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს მასალას მოსწავლეებისთვის 7.2 და 7.3 და აძლევს მათ დროს, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ჩუმად წაიკითხონ მასალა მოსწავლეებისთვის 7.2. მოკლე პლენარული რაუნდის განმავლობაში, მოსწავლეები მასალაში მოსწავლეებისთვის 7.2 წამოყენებულ ძირითად მიდგომებს დაფაზე დატანილ, მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებთან აკავშირებენ.

ბ. მოსალოდნელი გამოსავალი

მოსწავლეები კარგად უნდა ერკვეოდნენ იმაში, თუ რაში მდგომარეობს მათი ამოცანა და რისი მომზადება ევალებათ მათ. მუშაობენ რა პატარა–პატარა ჯგუფებად, მოსწავლეებმა უნდა მოამზადონ წესდება, რომელშიც მოცემული იქნება წესები, რომელთა დაცვითაც თავიდან ავირიდებთ „მუდმივი უმცირესობის“ პერსპექტივას, როდესაც საზოგადოების ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ მათი ინტერესები და მოთხოვნილებები მუდმივად არის უგულებელყოფილი. მათ შეუძლიათ წესდებაში შეიტანონ წესები გადაწყვეტილების მიღებაზე და ასევე ბიუჯეტის გადანაწილებაზე. მოსწავლეებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ სპორტული კლუბი მიკროსაზოგადოებაა და მათი წესდება ისევე მოქმედებს, როგორც სახელმწიფოში კონსტიტუცია. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი და მოსწავლეები იყენებენ მასალას მოსწავლეებისთვის 7.3, რათა პასუხი გასცენ ამოცანასთან დაკავშირებით წამოჭრილ კითხვებს.

გ. პროცედურა

ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ამოცანასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებს. მოსწავლეები ქმნიან ჯგუფებს. მათ მიერ არჩეული, მასალაზე პასუხისმგებელი მოსწავლე ჯგუფს ფლიპჩარტითა და მარკერებით უზრუნველყოფს. ჯგუფების დროის აღმრიცხველებს მასწავლებელი მოკლე ინსტრუქციას აძლევს იმასთან დაკავშირებით, რომ ჯგუფებს ნამუშევრები მზად უნდა ჰქონდეთ მეორე გაკვეთილის დასასრულისთვის.

მასწავლებელს ფლიპჩარტზე აქვს გადატანილი ძირითადი კითხვები, რომელიც მასალაში მოსწავლეებისთვის 7.3 არის მოცემული (იხ. გაკვეთილი 3, ქვემოთ). იგი უხსნის მოსწავლეებს, რომ ეს ის კითხვებია, რომლებიც კრიტერიუმების ფუნქციას შეასრულებს, როდესაც მოხდება მოსწავლეების ნამუშევრების შედარება.

3. ჯგუფური მუშაობა

მოსწავლეები ქმნიან ოთხ ან ექვსკაციან ჯგუფებს. ისინი ჯგუფებში მუშაობენ პირველი გაკვეთილის დარჩენილი დროის განმავლობაში და აგრძელებენ მუშაობას მეორე გაკვეთილზე.

მასწავლებელს შეუძლია სთხოვოს ჯგუფების მენეჯერებს, გაკვეთილის ბოლოს მასთან მოიყარონ თავი, რათა მოკლე მოხსენებები გააკეთონ თავიანთი ჯგუფის მუშაობის შესახებ.

გაკვეთილი 2
როგორ ვარეგულიროთ უმრავლესობისა და უმცირესობის ინტერესები?
წესდების შექმნა მიკროსაზოგადოებისთვის

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	გუნდური მუშაობა, დროის მენეჯმენტი. პრობლემის გადაჭრა.
სწავლის მიზანი	წესები, კანონები და კონსტიტუცია წარმოადგენს საზოგადოებაში არსებული პრობლემის გადაჭრისა და კონფლიქტის წყაროებთან გამკლავების საშუალებებს. ეს ამართლებს მთავრობისა და ხელისუფლების არსებობას. თუმცა ისინი შეიძლება ემსახურებოდნენ გარკვეულ ინტერესებს.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები ადგენენ წესდების პროექტს, რომელიც დაარეგულირებს უმრავლესობა/უმცირესობის საკითხს მიკროსაზოგადოებაში.
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 7.1–7.3. ფლიპჩარტები და მარკერები.
მეთოდი	ჯგუფური მუშაობა.
დროის ბიუჯეტი	40 წთ.

გაკვეთილის აღწერა

მოსწავლეები აგრძელებენ ჯგუფებში მუშაობას.

მასწავლებელი თვალყურს ადევნებს მათი მუშაობის პროცესს, აკვირდება, რომელ მეთოდებსა და უნარებს იყენებენ ისინი წარმატებით და სად სჭირდებათ მათ დახმარება და წვრთნა. მე–4 გაკვეთილისთვის დაგეგმილი დეტალური მოხსენებების გაკეთებისას მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ მასწავლებელს მიაწოდონ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ თანამშრომლობდნენ ჯგუფის წევრები სამუშაოს შესრულებისას და მასწავლებელს შეუძლია კომენტარი გააკეთოს მათი თანამშრომლობის შესახებ. ჯგუფებმა, შეძლებისდაგვარად,დამოუკიდებლად უნდა იმუშაონ, მასწავლებელი არ ერევა მათ მუშაობაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ხვდება, რომ მოსწავლეები „შეცდომას“ უშვებენ. ისინი უფრო მეტ ცოდნას შეიძენენ, იმ შემთხვევაში, თუ აბსოლუტური თავისუფლება ექნებათ და თავად აიღებენ პასუხისმგებლობას გამოასწორონ დაშვებული შეცდომები; საჭიროების შემთხვევაში ამ შეცდომებს კლასი გამოასწორებს პლენარულ რაუნდზე შეხვედრისას.

მასწავლებელი თავს იკავებს მოსწავლეების საქმიანობაში ჩარევისგან იმ შემთხვევაშიც, თუ ჯგუფი „პოლიტიკურად მცდარ“ გადაწყვეტილებას იღებს, როგორიცაა, გადაწყვეტილების მიღებაზე ძალაუფლების ერთი პირისთვის გადაცემა („დიქტატორული გადაწყვეტილება“). მსაგვსი გადაწყვეტილებები კარგ მასალას წარმოადგენს განხილვისთვის. ხშირად მოსწავლეები აყენებენ დაუსაბუთებელ ან მიუღებელ წინადადებებს. მასწავლებელი აფასებს მოსწავლეების მიღწევებს კომპეტენციების შეძენა–განვითარების თვალსაზრისით და აკეთებს დასკვნებს მოსწავლეების სწავლის მოთხოვნილებების შესახებ.

გაკვეთილი 3
წესდების პროექტი
უმრავლესობა/უმცირესობის საკითხის დარეგულირებისათვის საჭირო ინსტიტუციური სისტემების შედარება

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	მოკლე პრეზენტაციები, შედარება და მსჯელობა მოსაზრებებისა და მიზეზების შესახებ.
სწავლის მიზანი	ინსტიტუციური სტრუქტურა გულისხმობს ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა, განხორციელებადობა, სამართლიანობა და სტაბილურობა.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები იკვლევენ ინსტიტუციური სტრუქტურის კრიტერიუმებს. გამოდიან პრეზენტაციებით და ერთმანეთს ადარებენ საკუთარ მოსაზრებებს.
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 7.4. მატრიცა მოსწავლეთა პრეზენტაციებისთვის (დაფა ან ფლიპჩარტი). ხუთი ცალი A4 ფორმატის ფურცელი. მარკერები. წებო ან წებოვანი ლენტი.
მეთოდი	ჯგუფური პრეზენტაციები, პლენარული განხილვა.
დროის ბიუჯეტი	1. პრეზენტაციები: წესდებათა პროექტები სპორტული კლუბისთვის. 30 წთ.
	2. წესდებათა პროექტების შედარება. 10 წთ.

ინფორმაცია

მოცემულ გაკვეთილზე, ძირითადად საუბრობენ მოსწავლეები. ჯგუფებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები (მონაწილეობა), იმ შემთხვევაში, თუ მათ მზად აქვთ პრეზენტაციები. სპიკერებმა უნდა დაიცვან რეგლამენტი (ეფექტურობა). მონაწილეობა დამოკიდებულია ეფექტურობაზე. ეფექტური მუშაობა დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობის რეკვიზიტია. სწორედ ამის გამო მეთოდური უნარის გამომუშავება მნიშვნელოვანი ელემენტია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში.

გაკვეთილის აღწერა

1. მოსწავლეთა პრეზენტაციები

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის განრიგს: ჯგუფების სპიკერები კლასის წინაშე წარსდგებიან მათ მიერ მომზადებული პრეზენტაციებით, რომლის დროსაც პასუხს გასცემენ მასალაში მოსწავლეებისთვის 7.3 მოცემულ კითხვებს. ეს კითხვები მოცემულია მატრიცაში. ისინი განიხილავენ ინსტიტუციური სტრუქტურის ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა, განხორციელებადობა, სამართლიანობა და სტაბილურობა.

მასწავლებელს მატრიცა გადააქვს სამ ფლიპჩარტზე ან დაფაზე. დროის დაზოგვის მიზნით, მასწავლებელი A4 ფორმატის ფურცლებზე წინასწარ დაწერილ ძირითად კითხვებს ამაგრებს მატრიცაზე. ეს ასევე არის დემონსტრირება იმ მეთოდისა, რომელიც მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ პრეზენტაციის დროს.

ძირითადი კითხვები	ჯგუფი 1	ჯგუფი 2	ჯგუფი 3	ჯგუფი 4	შედარება
ბიუჯეტის განაწილება: როგორ?					
ვინ იღებს გადაწყვეტილებას განაწილების შესახებ?					
ავტონომია ჯგუფებს?					
დისკრიმინაციის აკრძალვა?					
...					

თითოეულ ჯგუფს დაახლოვებით ექვსი წუთი ეძლევა პრეზენტაციისთვის. ჯგუფები მომზადებული პრეზენტაციებით, რიგრიგობით წარდგებიან კლასის წინაშე. მასწავლებელი თავმჯდომარეობს პრეზენტაციის სესიას. მოსწავლეები არ მართავენ დისკუსიას, სანამ ყველა პრეზენტაციას არ მოისმენენ. თუმცა, ყველა ჯგუფის სპიკერი პრეზენტაციის დროს საუბრობს იმ მიზეზებზე, რამაც ჯგუფის გადაწყვეტილება განაპირობა.

მასწავლებელი ამხნევებს სპიკერებს, პრეზენტაციისას მიმართოს მთელ კლასს და არ იყვნენ ორიენტირებული მხოლოდ მასწავლებელზე.

ჯგუფის მეორე წევრი პასუხისმგებელია სპიკერის მიერ გაკეთებული განცხადებების შესახებ ჩანაწერების გაკეთებაზე. ჩანაწერების გასაკეთებლად დაფაზე ან, უკეთეს შემთხვევაში, ფლიპჩარტზე გამოყოფილია სპეციალური გრაფა. დანარჩენი მოსწავლეები საკუთარ ჩანიშვნებს აკეთებენ მათთვის დარიგებულ ფურცლებზე. ეს ჩანაწერები გამოყენებული იქნება, როგორც მასალა, რომლის შესახებაც მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ შემდეგ გაკვეთილზე.

მასწავლებელი ამხნევებს ჯგუფის სპიკერს პრეზენტაციის დროს ისაუბროს იმ მიზეზებზე, რამაც ჯგუფის გადაწყვეტილება განაპირობა.

2. წესდებათა პროექტების შედარება

განხილვის დაწყებამდე, მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ სხვადასხვა ჯგუფის მიერ მომზადებულ წესდებათა პროექტებს. პრეზენტაციების დროს ჩანაწერების გაკეთება ხდებოდა ვერტიკალურად, სვეტის სახით, ყოველ კითხვაზე თანმიმდევრობით პასუხის გაცემის სახით. ამჯერად მოსწავლეებმა მატრიცა ჰორიზონტალურად, მწკრივის სახით უნდა წაიკითხონ და ერთმანეთს შეადარონ სხვადასხვა ჯგუფის მიერ ერთ კითხვაზე გაცემული პასუხები. ბოლო სვეტში მასწავლებელი, რომელიც თავმჯდომარეობს სესიას, აკეთებს ჩანაწერებს მოსწავლეთა პასუხების შესაბამისად.

მოსწავლეები საკუთარ ჩანაწერებს აკეთებენ მათთვის დარიგებულ ფურცლებზე, მასალა მოსწავლეებისთვის 7.4.

3. საშინაო დავალება – ინფორმაციის მომზადება დისკუსიისთვის

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ ისინი შემდეგი გაკვეთილის დასაწყისში უნდა წარდგნენ წინასწარ მომზადებული ინფორმაციით იმის თაობაზე, თუ რომელი წესდების პროექტი მიაჩნიათ მათ უფრო დამაჯერებლად და რატომ.

მასალაში მოსწავლეებისთვის 7.4 მოცემულია ის ძირითადი კითხვები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს წესდებების შეფასებაში; ასევე, აწვდის მოსწავლეებს მითითებას, როგორ გამოიყენონ ეს კითხვები და უხსნის, რა ფუნქცია აკისრია მათ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში.

გაკვეთილი 4
დემოკრატიული საზოგადოების მართვის რომელი გზაა საუკეთესო?
რა არის სამართლიანი და რა არის ეფექტური?

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	მსჯელობა: რეგულირების კრიტერიუმები.
სწავლის მიზანი	დიალექტიკა დემოკრატიას, სამართლიანობასა და ეფექტურობას შორის.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები განიხილავენ წესდებათა პროექტებს და ასაბუთებენ საკუთარ მოსაზრებებს.
მასალა და რესურსები	დაფა ან ფლიპჩარტი.
მეთოდი	პრეზენტაციები, დისკუსიები.
დროის ბიუჯეტი	1. მოსწავლეები წარმოადგენენ და ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებსა და დასკვნებს. 20 წთ.
	2. დისკუსია. 10 წთ.
	3. დასკვნა. 10 წთ.

ინფორმაცია

მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ არჩევანს და იმუშავებენ წინადადებას, რომელსაც ყველა ეთანხმება („ზვავის ეფექტი“). მონაწილეობს აბსოლუტურად ყველა მოსწავლე, არც ერთი მათგანი არ არის მსმენელის როლში.

გაკვეთილის აღწერა

1. მოსწავლეები წარმოადგენენ და ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ შედეგებს

პირველ რიგში, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ხელის აწევით დაადასტურონ, რომელ წესდების პროექტს აძლევენ ხმას. მათ უფლება აქვთ ხმა არ მისცენ არც ერთ პროექტს. შემდეგ მოსწავლეები, რომლებმაც ერთმანეთის მსგავსი მოსაზრებები გამოთქვეს, ქმნიან ოთხ ან ხუთკაციან ჯგუფებს. ისინი თავიანთ შედეგებს უზიარებენ ერთმანეთს და იმუშავებენ წინადადებას. სამუშაოს დამთავრების შემდეგ, მოსწავლეები მოკლე განცხადებებს აკეთებენ იმ მიზეზების შესახებ, რამაც მათი არჩევანი განაპირობა (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 7.4).

2. დისკუსია

ვინაიდან მოსწავლეებმა ხმა მისცეს სხვადასხვა წესდებას, ეს ნიშნავს, რომ მათ განსხვავებული მოსაზრებები აქვთ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა შეფასდეს ამა თუ იმ ჯგუფის მიერ შემუშავებული მოდელი. დისკუსიის დროს ისინი კრიტიკულად უდგებიან ერთმანეთის არჩევანს.

მასწავლებელი უძღვება დისკუსიას. დისკუსიის დასასრულს, მოსწავლეები კიდევ ერთხელ უყრიან კენჭს წესდებათა პროექტებს. შეძლო რომელიმე ჯგუფმა სხვების დარწმუნება საკუთარი არჩევანის მართებულობაში? მისცა ხმა მოსწავლეების უმრავლესობამ ერთ რომელიმე წესდებას?

3. დასკვნა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს დასკვნითი ეტაპის მიზანს: მოსწავლეები, ამჯერად, თავიანთი ფიქრისა და აზროვნების პროცესს და მიღებულ შედეგს სხვა კუთხით განიხილავენ, რათა შეაფასონ მისი რელევანტურობა/მართებულობა.

მასწავლებელი მათ უსვამს ერთ შეკითხვას: რა მსგავსებაა პატარა სპორტული კლუბის მაგალითსა და პოლიტიკას შორის?

მოსწავლეები ერთმანეთს, მათ შორის მასწავლებელსაც, უზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს. მასწავლებელი უსმენს მათ და აღნიშნავს, რომელი მოსაზრებებია მსგავსი და რომელი ურთიერთგამომრიცხავი.

მასწავლებელი აჯამებს დისკუსიას და ამატებს შემდეგს:

პოლიტიკაში მსგავს კომპლექსურ საკითხებზე გამართული დისკუსიები არის არა შესწავლის, აკადემიური საკითხი, არამედ პრაქტიკული საქმიანობა. საზოგადოებამ არჩევანი უნდა გააკეთოს – მას სჭირდება წესდება, როგორც კონსტიტუციური სტრუქტურა. ასე რომ, მას შემდეგ რაც განიხილება სხვადასხვა არჩევანი და ალტერნატივა და გამოიკვეთება მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული – საუკეთესო შემთხვევაში, ერთსულოვანი ხმით ან ხმათა რაც შეიძლება დიდი უმრავლესობით მაინც. პოლიტიკაში, მსგავს საკითხზე გადაწყვეტილების მიღება საკანონმდებლო პროცესის ან კონსტიტუციაზე შეთანხმების ტოლფასია.

დამატებითი სამუშაო: კვლევითი ამოცანა

ამ თავში მოსწავლეებმა განიხილეს მოდელი იმისა, თუ როგორ უნდა შეაფასონ საკუთარი ქვეყნის კონსტიტუციისა და საკანონმდებლო სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტები, უპასუხონ რა კითხვებს, თუ როგორ იქნა იგი შედგენილი და როგორ ხორციელდება იგი რეალურად. ამჟამად, მათ უნდა გამოიკვლიონ შემდეგი საკითხები:

1. უმრავლესობა/უმცირესობის პრობლემის რა მაგალითებს ვაწყდებით ჩვენს საზოგადოებაში?

2. კვლევა: როგორ ხორციელდება ჩვენი კონსტიტუციითა და კანონმდებლობით ამ კონკრეტული საკითხის დარეგულირება?

3. ჩვენი აზრით, როგორ ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუციითა და კანონმდებლობით უმრავლესობა/უმცირესობის პრობლემის დარეგულირება?

ნაწილი 3

მონაწილეობა პოლიტიკაში:
მონაწილეობა კომუნიკაციის საშუალებით

თავი 8: თავისუფლება
საჯარო დებატები
რატომ ვერ დავიცავთ (სიტყვის) თავისუფლებას მკაცრი წესების გარეშე?

თავი 9: მედია
დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობა მედიის საშუალებით
მედიის მესვეურები და მისი მომხმარებელი
ცენზორი და დღის წესრიგის დამდგენი

თავი 8
თავისუფლება
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის

საჯარო დებატები
რატომ ვერ დავიცავთ (სიტყვის) თავისუფლებას
მკაცრი წესების გარეშე?

8.1 რომელი საკითხებია ჩვენთვის საინტერესო?

მოსწავლეები მონაწილეობენ დებატების დაგეგმვის პროცესში

8.2 მზადება დებატებისთვის

წინადადებები და დებატებში მონაწილეობისთვის საჭირო სტრატეგიები

8.3 ვმონაწილეობთ დებატებში – ვიღებთ გადაწყვეტილებას – ვაკეთებთ მოხსენებას

საჯარო დებატები და გადაწყვეტილების მიღება

8.4 ერთი დებატები – სხვადასხვა პერსპექტივა

მოსწავლეები აჯამებენ დებატების შედეგებს

თავი 8
თავისუფლება
საჯარო დებატები
რატომ ვერ დავიცავთ (სიტყვის) თავისუფლებას მკაცრი წესების გარეშე?

წინასიტყვაობა მასწავლებლებისთვის

რატომ ვერ დავიცავთ (სიტყვის) თავისუფლებას მკაცრი წესების გარეშე?

ზოგიერთ მკითხველს შეიძლება ეს კითხვა უცნაურად მოეჩვენოს. თავისუფლება ხომ იმას გულისხმობს, რომ შეგვიძლია ვთქვათ და ვაკეთოთ ის, რაც გვინდა. დემოკრატია არის ღია, თავისუფალი საზოგადოებების სისტემა. მკაცრი წესები სხვა, მისგან რადიკალურად განსხვავებულ სისტემას გვახსენებს – მაგალითად, ავტორიტარულ რეჟიმს. მაშინ რა იმალება ამ კითხვის მიღმა? ლაკონურად თუ ჩამოვაყალიბებთ, თავისუფლება და თანასწორობა განუყრელი ცნებებია. ჩვენ ყველა ვსარგებლობთ უფლებით – ვიყოთ თავისუფალი, მაგრამ ჩვენ თანაბარი შესაძლებლობები გვჭირდება, რათა ყველამ ვისარგებლოთ ამ უფლებით – სწორედ ამას უზრუნველყოფს წესები. მოცემულ თავში, მოსწავლეები საკუთარი გამოცდილებით გააცნობიერებენ, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს პრინციპი დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობის თვალსაზრისით.

რატომ არის მოცემული თავი აგებული დებატების გარშემო?

მოქალაქეები, რომლებიც დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობენ, მონაწილეობენ დისკუსიებსა და დებატებში და ამგვარად სარგებლობენ ადამიანის უფლებით – აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით. საჯარო დებატებში მონაწილეობა წარმოადგენს უნარს, რომელიც გამომუშავებას ექვემდებარება – ისწავლება, ამიტომ მოსწავლეებმა იგი სკოლაში უნდა შეიძინონ. ამ მიზნით მოსწავლეები სწავლობენ, როგორ გამართონ დებატები. ეს თავი ასევე უკავშირდება თავისუფლების ცნებას, ვინაიდან, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას მნიშვნელოვანი დატვირთვა ენიჭება მოცემულ სიტუაციაში.

მოსწავლეთა მოვალეობები დებატების გაკვეთილებზე

დებატებში მონაწილეობს თერთმეტი მოსწავლე. დებატებში მონაწილე ორი ჯგუფი შედგება ხუთ–ხუთი მოსწავლისგან და ერთი მოსწავლე თავმჯდომარეობს დებატებს. სხვა მოსწავლეები ისმენენ დებატებს, მაგრამ მათაც აქტიური როლი აქვთ ამ პროცესში. სამი, ორ–ორი მოსწავლისგან შემდგარი გუნდი ამზადებს საგაზეთო სტატიას მოსწავლეების მიერ გამართული დებატების შესახებ, რომელსაც თითოეული ჯგუფი მოცემული თავის ბოლო გაკვეთილზე წარუდგენს კლასს. დანარჩენი მოსწავლეები ქმნიან აუდიტორიას და მათი ამოცანა დებატებში მონაწილეთა მიერ გამოთქმული არგუმენტების შეფასებაა. აუდიტორია იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რომელი არგუმენტი ჟღერდა ყველაზე დამაჯერებლად, რომელმა პარტიამ შეძლო მათი დარწმუნება და ხმას აძლევს ერთ-ერთ მხარეს. ისევე, როგორც პოლიტიკაში, დებატებში მონაწილე მხარეები უნდა ეცადონ მოიპოვონ მხარდამჭერთა უმრავლესობა.

რას ასწავლის მოცემული თავი?

დებატებში მოქმედებს მკაცრი წესები, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ყველა მოსწავლემ ისარგებლოს სამართლიანი და თანაბარი სასაუბრო დროით. დებატების თავმჯდომარეს ევალება შეაჩეროს მოსწავლე, რომელიც ცდილობს მისთვის დადგენილ სასაუბრო დროს გადააჭარბოს. ეს წესი აუცილებელია, რათა დაცულ იქნეს ყველა გამომსვლელის გამოხატვის თავისუფლების უფლება – მაგრამ მკაცრად განსაზღვრულ დროის ჩარჩოში. სწორედ ამიტომ თავისუფლებას ვერ

უზრუნველვყოფთ მკაცრი წესების გარეშე (იხ. მოცემული თავის ქვესათაური). ამ პრინციპის გარეშე ვერც ერთი დემოკრატიული სისტემა ვერ იარსებებდა, და არც ადამიანის უფლებებს ექნებოდა ესოდენი დატვირთვა ადამიანების ცხოვრებაში.

მასწავლებლის მოვალეობები მოცემული თავის სწავლების განმავლობაში

მოცემულ თავში, დროის უმეტესი ნაწილი მოსწავლეების დამოუკიდებელ მუშაობას ეთმობა, რათა მათ გამოიმუშავონ დაკვირვებისა და დებატებში მონაწილეობისთვის საჭირო უნარი და ასევე, შეძლონ პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარ მოქმედებებზე. გაკვეთილები 2–4 იწყება მოსწავლეების აქტიური მონაწილეობით. იმ დროის განმავლობაში, როცა მოსწავლეები დამოუკიდებლად მუშაობენ, მასწავლებელი მწრთვნელის ფუნქციას ასრულებს: იგი აკვირდება მოსწავლეებს, რათა გაარკვიოს, რას ართმევენ ისინი თავს წარმატებით და მათი რომელი კომპეტენციები საჭიროებენ წვრთნასა და შემდგომ განვითარებას. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს, თუ ისინი დახმარებისთვის მიმართავენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელი მათ პრობლემის გადაჭრის პირდაპირ საშუალებას აწვდის.

კომპეტენციების გამომუშავება: კავშირი სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა თავებთან

რას გვიჩვენებს ეს ცხრილი

წინამდებარე სახელმძღვანელოს სათაური, *მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში,* გულისხმობს იმ კომპეტენციებს, რომელსაც აქტიური მოქალაქე უნდა ფლობდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში. მოცემული მატრიცა გვიჩვენებს სახელმძღვანელოში შესულ თავებს შორის სინერგიის ეფექტის პოტენციალს. მატრიცა გვიჩვენებს, რომელი კომპეტენციების განვითარება ხდება მერვე თავში (შეფერილი, ჰორიზონტალური მწკრივი ცხრილში). მუქი შტრიხებით შემოსაზღვრული ვერტიკალური სვეტი გვიჩვენებს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების კომპეტენციებს –მისი გამოყოფა ხდება, დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობასთან მჭიდრო კავშირის გამო. ჰორიზონტალური მწკრივები გვიჩვენებს სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა თავებთან კავშირს: რომელ კომპეტენციებს იძენს მოსწავლე, სახელმძღვანელოში მოცემულ ამ თავებში, რომელიც მათ მერვე თავში სჭირდებათ?

როგორ გამოვიყენოთ მატრიცა?

მასწავლებლებს მოცემული მატრიცის გამოყენება სხვადასხვა გზით შეუძლიათ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებს გაკვეთილის დასაგეგმად.

- ეს მატრიცა ეხმარება მასწავლებლებს, რომლებსაც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მცირე რაოდენობით გაკვეთილის ჩატარება უწევთ: მასწავლებელს საშუალება აქვს აარჩიოს ეს თავი და გამოტოვოს სხვა თავები, თუ მიიჩნევს, რომ მოსწავლეები გარკვეულწილად უკვე ფლობენ სხვა ძირითად კომპეტენციებს, მაგალითად მოცემულ თავში ასეთი კომპეტენციებია – პასუხისმგებლობის აღება, პრობლების ანალიზი, მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.
- მოცემული მატრიცა ეხმარება მასწავლებელს დარწმუნდეს სინერგიის ეფექტში, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები ერთსა და იმავე კომპეტენციას განმეორებით იძენენ, ერთმანეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა კონტექსტში. ამ შემთხვევაში მასწავლებელი ირჩევს რამდენიმე თავს და კომბინირებულად აწვდის მათ მოსწავლეებს.

<table>
<tr><th rowspan="2">თავი</th><th colspan="3">კომპეტენციის განვითარების განზომილებები</th><th></th></tr>
<tr><th>პოლიტიკური ანალიზი და შეფასება</th><th>მეთოდები და უნარები</th><th>მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში

პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება</th><th></th></tr>
<tr><td>8. თავისუფლება</td><td>მნიშვნელოვანი წინადადებების იდენტიფიცირება

მედიის მხრიდან რეალობისადმი შერჩევითი დამოკიდებულების ანალიზი</td><td>დებატებში მონაწილეობა: ლაკონური და ნათელი განცხადებების გაკეთება

გუნდური თამაში

ახალი ამბის შესახებ საგაზეთო სტატიის დაწერა</td><td>გადაწყვეტილების მიღება ხმათა უმრავლესობის საფუძველზე</td><td>ურთიერთაღიარების ეთიკა</td></tr>
<tr><td>2. პასუხისმგებლობა</td><td></td><td></td><td colspan="2" rowspan="2">პასუხისმგებლობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წასები დემოკრატიის გასახორციელებლად
(თავი 2 და 7)</td></tr>
<tr><td>7. თანასწორობა</td><td>უმრავლესობა/უმცირესობის საკითხის ანალიზი და გადაჭრა</td><td></td></tr>
<tr><td>5. წესები და კანონი</td><td></td><td></td><td>ინტერესთა მუდმივი კონფლიქტის პერსპექტივის ნეიტრალიზება წესებისა და კანონების</td><td></td></tr>
</table>

			სისტემის შექმნით	
6. მთავრობა და პოლიტიკა	ვსწავლობთ დღის წესრიგის დადგენასა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე დებატებს		განვსაზღვრავთ, როდის შეუძლია მოქალაქეს ჩაერიოს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში	
9. მედია	მედიის მხრიდან რეალობისადმი შერჩევითი დამოკიდებულების ანალიზი	ახალ ამბებზე აგებული სტატიის დაწერა	მედიის მიერ გაშუქებული ინფორმაციის რეფლექსიული გამოყენება	

თავი 8: თავისუფლება – საჯარო დებატები
რატომ ვერ დავიცავთ (სიტყვის) თავისუფლებას მკაცრი წესების გარეშე?

გაკვეთილის თემა	კომპეტენციის გამომუშავება/სწავლის მიზანი	მოსწავლის ამოცანა	მასალა და რესურსები	მეთოდი
გაკვეთილი 1 რომელი საკითხებია ჩვენთვის საინტერესო? *(მეორე გაკვეთილამდე სამი კვირით ადრე)*	პასუხისმგებლობის აღება. კლასში დაგეგმილი დებატებისთვის საკითხების შერჩევის კრიტერიუმები: პოლიტიკური მართებულობა, მოსწავლეთა ინტერესი, კავშირი საკითხზე წარმოდგენასა და გამოცდილებასთან.	მოსწავლეები ბრეინშტორმინგის მეთოდით განიხილავენ მოსაზრებებს და აგროვებენ ინფორმაციას დებატებზე გასატან საკითხებზე.	მასალა მოსწავლეებისთვის 8.1. მედიის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია. ჩანაწერები პირადი გამოცდილებისა და აღმოჩენების შესახებ. ფლიპჩარტი.	ორკაციან გუნდებად მუშაობა.
გაკვეთილი 2 მზადება დებატებისთვის	მონაწილეობა: მოსწავლეები ხმის მიცემით აკეთებენ არჩევანს. მეთოდები და უნარები: გუნდური მუშაობა.	მოსწავლეები ემზადებიან დებატებში თავთავიანთი როლის შესასრულებლად.	მასალა მოსწავლეებისთვის 8.2 – 8.5, 9.1. მედიაინფორმაცია. პოპულარული გაზეთი, გავლენიანი გაზეთი, ჟურნალი ახალგაზრდებისთვის.	ჯგუფური მუშაობა, სწავლა თანამშრომლობის საფუძველზე.
გაკვეთილი 3 ვმონაწილეობთ დებატებში – ვიღებთ გადაწყვეტილებას – ვაკეთებთ მოხსენებას	თავისუფალი საუბარი; ოპონენტთან კამათი; გუნდში თანამშრომლობა. არგუმენტების გაცვლა–გამოცვლაზე დაკვირვება და მათი შეფასება.	მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ დებატებში ან აკვირდებიან და ისმენენ დებატებს. ჯგუფებს ევალებათ მოემზადონ შემაჯამებელი გაკვეთილისთვის.	მასალა მოსწავლეებისთვის 8.2 – 8.5, 9.1.	დებატები. ჯგუფური მუშაობა (კენჭისყრა). დეტალური მოხსენებები.
გაკვეთილი 4 ერთი დებატები – სხვადასხვა პერსპექტივა	ანალიზი და მსჯელობა საერთო გამოცდილებაზე. რეალობის აღქმა მედიის საშუალებით გვიყალიბდება. წესები უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს – ვისარგებლოთ თავისუფლების უფლებით.	მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ გუნდების მიერ დებატების შესახებ დაწერილ სტატიებს. მოსწავლეები აჯამებენ დებატებში მონაწილეობისას მიღებულ გამოცდილებას.	მოსწავლეების მიერ დაწერილი სტატიები. მასალა მასწავლებლებისთვის 9.1.	პრეზენტაციები. განხილვა.

გაკვეთილი 1
რომელი საკითხებია ჩვენთვის საინტერესო?
მოსწავლეები მონაწილეობენ დებატების დაგეგმვის პროცესში

გაითვალისწინეთ: მოცემულსა და მომდენო გაკვეთილს შორის შუალედი არის სამი კვირა

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება. ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**. **სწავლის მიზანს** წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით. **მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები)** და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს. მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას. **დროის ბიუჯეტით** სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.	
კომპეტენციების დაუფლება	პასუხისმგებლობის აღება; საკითხებისა და მასალის შერჩევა კრიტერიუმების გამოყენებით.
სწავლის მიზანი	კლასში დაგეგმილი დებატებისთვის საკითხების შერჩევის კრიტერიუმები: პოლიტიკური მართებულობა, მოსწავლეთა ინტერესი, კავშირი საკითხზე წარმოდგენასა და გამოცდილებასთან.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები ბრეინშტორმინგის მეთოდით განიხილავენ მოსაზრებებს და აგროვებენ ინფორმაციას დებატებზე გასატან საკითხებზე.
მასალა და რესურსები	მედიის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია. ჩანაწერები პირადი გამოცდილებისა და აღმოჩენების შესახებ. კედელზე გაკრული ფლიპჩარტი მოსწავლეების წინადადებების ჩასაწერად. მოსწავლეთა სია (მოსანიშნი გრაფით). მასალა მოსწავლეებისთვის 8.1.
მეთოდი	ორკაციან გუნდებში მუშაობა.
დროის ბიუჯეტი	მოსწავლეები ერთვებიან მუშაობაში. 15 წთ. მოსწავლეები ეცნობიან ამოცანას. 10 წთ. ორკაციან გუნდებში მუშაობა. 15 წთ. შეალედი პირველ და მეორე გაკვეთილს შორის. 3 კვირა

ინფორმაცია მასწავლებლებისთვის: რატომ არის შუალედი მოცემულსა და მომდენო გაკვეთილს შორის სამი კვირა

შუალედი მოცემულ გაკვეთილსა და მომდევნო გაკვეთილს შორის არის სამი კვირა, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მოამზადონ ინფორმაცია მომდევნო გაკვეთილისთვის და მონაწილეობა მიიღონ მესამე გაკვეთილზე დაგეგმილი დებატების დაგეგმვაში. მოცემული გაკვეთილი ემსახურება მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებას: მოსწავლეები წინასწარ იღებენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რაც მათ ამოცანის შესრულებაში დაეხმარებათ.

დაგეგმვაში მონაწილეობა საზოგადოებაში მონაწილეობის ტოლფასია. ყველა შემთხვევაში, აქტიური მოქალაქეობა ინფორმირებულ მოქალაქეს გულისხმობს. ამ თვალსაზრისით, მოცემულ თავში წარმოდგენილი მოსამზადებელი ეტაპი დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობის ზოგადი პრინციპის დემონსტრირებაა.

მოსამზადებელი სამუშაოს განხორციელებას დაახლოებით სამ კვირიანი პერიოდი სჭირდება, სწორედ ის დრო, რა შუალედიც უნდა იყოს პირველსა და მეორე გაკვეთილს შორის. (მასწავლებელმა თავად

უნდა გადაწყვიტოს, როგორ გამოიყენოს ამ შუალედში მისი საგნისთვის განკუთვნილი გაკვეთილები.) მოსამზადებელი სამუშაო ორი ეტაპის მოიცავს:

ეტაპი1 (ორი კვირა): მოსწავლეები მუშაობენ ორკაციან გუნდებად. პირველი ეტაპის დასასრულს, მათ უნდა ჰქონდეთ შემუშავებული საკუთარი წინადადებები იმ საკითხის თაობაზე, რომელიც, მათი თვალსაზრისით საინტერესო და შესაფერისი იქნება დებატებზე გასატანად. სხვა მოსწავლეებისთვის საკუთარი წინადადების გასაცნობად მათ, წერილობითი ფორმით, უნდა წარმოადგინონ საინფორმაციო მასალა ერთი გვერდის მოცულობით.

ბოლო ვადა გულისხმობს პირველი ეტაპის დასასრულსა და მეორე ეტაპის დასაწყისს.

ეტაპი 2 (ერთი კვირა): მოსწავლეები ეცნობიან ერთმანეთის მიერ მოწოდებულ მასალას. მეორე ეტაპის დასასრულისთვის ყველა მოსწავლისთვის ცნობილია თანაკლასელების მიერ შემოთავაზებული ყველა წინადადება. თითოეული მოსწავლე აკეთებს საკუთარ არჩევანს იმის შესახებ, თუ რომელი საკითხის გატანაა უმჯობესი დებატებზე განსახილველად.

დროის განაწილება მოსამზადებელი სამუშაოებისათვის

<table>
<tr><td>გაკვეთილი</td><td colspan="2">გაკვეთილი 1</td><td></td><td>გაკვეთილი 2</td></tr>
<tr><td>მოსწავლეთა საქმიანობა</td><td colspan="2">ეტაპი 1

მოსწავლეები იმუშავებენ თავიანთ წინადადებებს დებატებზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებით</td><td>ეტაპი 2

მოსწავლეები კითხულობენ შემოთავაზებულ წინადადებებს</td><td>კლასი ირჩევს საკითხს კენჭისყრის საფუძველზე</td></tr>
<tr><td>დროის ხაზი</td><td>კვირა 1</td><td>კვირა 2</td><td>კვირა 3</td><td></td></tr>
<tr><td colspan="5">ბოლო ვადა ——————————></td></tr>
</table>

გაკვეთილის აღწერა

მზადება გაკვეთილისთვის

პირველი საფეხურისთვის, გამყოფი ხაზი დებატებში მონაწილე მხარეებისთვის: დებატებისთვის მოსამზადებელი სავარჯიშოს შესასრულებლად, მასწავლებელი კლასში ამზადებს ცარიელ სივრცეს.

მეორე საფეხურისთვის, ამოცანის ინსტრუქცია: საკლასო ოთახის კედლებზე დამაგრებულია ორი ფლიპჩარტი.

1. მოსწავლეები ერთვებიან მუშაობაში

მზადება: მასწავლებელი საკლასო ოთახის შუაგულში იატაკზე ჭიმავს დაახლოებით 5 მეტრი სიგრძის თოკს ან ძაფს. მოსწავლეებს გარკვეული სივრცე სჭირდებათ, რათა ამ ხაზის ორივე მხარეს, ერთმანეთის პირისპირ, შეძლონ პოზიციების დაკავება. თუ საკლასო ოთახი ძალიან პატარაა ან კლასში ბევრი მოსწავლეა, ეს სავარჯიშო შეიძლება კორიდორში შესრულდეს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ფეხზე წამოდგნენ და ხაზის გარშემო წრეზე დადგნენ. შემდეგ მასწავლებელი აცხადებს:

„ყოველმა მოსწავლემ დამატებით ერთი წელი უნდა დაჰყოს სკოლაში.“

ამჯერად მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დადგნენ გამყოფი ხაზის მარცხნივ, თუ ისინი მხარს უჭერენ ამ განცხადებას და პირიქით, მარჯვნივ, თუ ისინი წინააღმდეგი არიან. მოსწავლეები რამდენიმე წუთის განმავლობაში საკუთარ მოსაზრებებსა და მათ მიღმა არსებულ მიზეზებს ერთმანეთს უზიარებენ.

მასწავლებელი სთხოვს ჯგუფებს დაიწყონ საკუთარი არგუმენტების გაცვლა–გამოცვლა. არსებობს რამდენიმე წესი, რომელიც მოსწავლეებმა უნდა დაიცვან:

1. ორივე მხარე რიგრიგობით წარმოადგენს თავიანთ არგუმენტებს.

2. მოსწავლეს, რომელიც სიტყვით გამოდის, არავინ აწყვეტინებს საუბარს.

3. თითოეულ გამომსვლელს მხოლოდ 30 წამი ეძლევა საკუთარი აზრის გამოსათქმელად.

ამის შემდეგ მოსწავლეები იწყებენ არგუმენტების გაცლა–გამოცვლას, რაც ძალიან გავს დებატებს. ხუთი წუთის შემდეგ, ან ცოტა უფრო ადრე, თუ მასწავლებელმა შეატყო, რომ ერთ-ერთ მხარეს არგუმენტები გამოელია, მასწავლებელი დებატებს დახურულად აცხადებს და სთხოვს მოსწავლეებს დაიკავონ ადგილები საკუთარ მერხებთან – რომლებიც, საუკეთესო შემთხვევაში განლაგებულია ოთახის გარშემო კედლების გასწვრივ, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის კომუნიკაციას.

2. მოსწავლეები ეცნობიან ამოცანას

2.1 რატომ არის დებატები მნიშვნელოვანი დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობისათვის

მასწავლებელი მოსწავლეების მიერ შესრულებული სავარჯიშოს შესახებ იწყებს საუბარს და აუწყებს მათ, რომ ეს იყო დებატები. საკმაოდ მოკლე დროის განმავლობაში მოსწავლეებმა ერთმანეთს მოსაზრებებისა და არგუმენტების დიდი რაოდენობა გაუზიარეს. მოსწავლეებს შეუძლიათ კომენტარი გააკეთონ ამ სავარჯიშოს შესრულების დროს მიღებულ საკუთარ გამოცდილებაზე.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ მათ უნდა გამოიმუშავონ დებატებში მონაწილეობისთვის საჭირო უნარ–ჩვევები, რადგან დემოკრატიულ საზოგადოებაში გამართულ დისკუსიათა უმრავლესობა სწორედ ამ ფორმით ხორციელდება. მოქალაქეები სარგებლობენ აზრისა და გამოხატვის

თავისუფლებით, მაგრამ მათ დებატებში მონაწილეობისთვის საჭირო უნარის გამომუშავება ამ უფლებით სარგებლობის საშუალებას აძლევს.

მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ მოსწავლეებმა სწორედ აღიქვეს მათ წინაშე დასახული ამოცანის მნიშვნელობა და ეთანხმებიან მას.

2.2 განმარტება: საკითხის რა მახასიათებალი ხდის მას დებატებისთვის ვარგისად?

მასწავლებელს მოსწავლეთა ყურადღება დებატების თემაზე გადააქვს – როგორც მოსწავლეებმა დაამტკიცეს, მასწავლებლის მიერ წამოჭრილი საკითხი დებატებისთვის ვარგისი საკითხი იყო. საკითხის რა მახასიათებელი ხდის მას დებატებისთვის ვარგისად?

მასწავლებელი ისმენს მოსწავლეთა მოსაზრებებს და აჯამებს მათ ფრაზების სახით, რომელიც დაფაზე ან ფლიპჩარტზე გადააქვს. მოსალოდნელია, რომ მოსწავლეების მოსაზრებები ზუსტად დაემთხვეს იმ ხუთ კრიტერიუმს (3ა –3ე), რომელიც მასალაში მოსწავლეებისთვის 8.1 არის მოცემული.

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ მომავალი დებატები გაცილებით უფრო საინტერესო იქნება და მოსწავლეები გაცილებით მეტი წარმატებით გაართმევენ თავს დებატებს, თუ დებატებზე გასატან საკითხს ისინი თავად შეარჩევენ. ამ მიზნით, მათ სამი კვირა ეძლევათ. მაგრამ მანამდე, მათ უნდა შეიმუშავონ წინადადებები, დებატებზე გასატან საკითხთან დაკავშირებით. მოსწავლეები თავიანთ არჩევანს საკითხთან დაკავშირებით მომავალ გაკვეთილზე გააკეთებენ.

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს მასალას მოსწავლეებისთვის 8.1 და მათ ყურადღებას მიაპყრობს რა მათ მიერვე შემოთავაზებულ კრიტერიუმებზე, სთხოვს მოსწავლეებს შეადარონ ისინი მასალაში მოცემულ 3ა –3ე კრიტერიუმებს.

2.3 მითითებები: მოსაზრებების გადატანა ფლიპჩარტზე

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ მასალას მოსწავლეებისთვის 8.1; თავად მიდის კედელზე გაკრულ ფლიპჩარტთან და სანამ მოსწავლეები მასალას კითხულობენ ადგენს შემდეგ ცხრილს:

რომელი საკითხია დებატებისთვის ვარგისი?			
ყოველდღიური ან სკოლის ცხოვრება	სოციალური ან კულტურის საკითხები	პოლიტიკური საკითხები	სხვა საკითხები

მას შემდეგ რაც მოსწავლეები გაეცნობიან მათთვის დარიგებულ მასალას, მასწავლებელი მათ ყურადღებას მიაპყრობს ფლიპჩარტს. საკითხი, რომელიც მოსწავლეებმა გაკვეთილის დასაწყისში განიხილეს პოლიტიკური საკითხი იყო –როგორ უნდა იყოს ორგანიზებული განათლების სისტემა ჩვენ ქვეყანაში. მაგრამ სხვა საკითხებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია:

- პოლიტიკური საკითხები;
- სოციალური საკითხები;
- სკოლასთან ან ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები;
- სხვა საკითხები.

მოსწავლეებმა შეიძლება საკუთარი გამოცდილება მოიშველიონ, ან გაიხსენონ საკითხი, რომელიც ამჟამად პოლიტიკურ დღის წესრიგში დგას ან ინფორმაციის ძიებას შეუდგნენ.

ამ ეტაპზე მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ მაგალითების გარკვეული რაოდენობა. მასწავლებელი ამხნევებს მათ, რათა თავისუფლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები. თუ ეს ამოცანა მოსწავლეებისთვის რთული აღმოჩნდა, მასწავლებელი ეხმარება მათ, სთავაზობს რა რამდენიმე მაგალითს:

- სკოლასთან ან ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები: „ავტომანქანებს გაცილებით მეტი ზიანი მოაქვთ, ვიდრე სიკეთე.“

- სოციალური ან კულტურასთან დაკავშირებული საკითხები: „ტელევიზია პოზიტიურ როლს თამაშობს საზოგადოებაში.“ (ან: ინტერნეტი, მობილური ტელეფონი და ა.შ.)

- პოლიტიკური საკითხები: „ ქალებისადმი დამოკიდებულება იგივე უნდა იყოს, როგორც მამაკაცებისადმი.“

2.4 ამოცანის ინსტრუქცია: ვადების დაცვა

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, თუ რაში სჭირდებათ მათ ბოლო ვადის დათქმა. მასალების მოწოდების ბოლო ვადა ყველა მოსწავლეს მისცემს საშუალებას წინასწარ გაეცნოს თანაკლასელების შემოთავაზებებს – მათ ამისთვის ეძლევათ ხუთი სასკოლო დღე, შემდეგ გაკვეთილამდე. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ მოუწევთ არჩევანი გააკეთონ შემოთავაზებული საკითხებიდან ერთ–ერთზე, მაგრამ ამისთვის საჭიროა წინასწარ გაეცნონ მასალებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ შედგება დემოკრატიული კენჭისყრა, ვინაიდან მსგავსი კენჭისყრის მოწყობას ორგანიზება სჭირდება, რომელიც გაკვეთილის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. მასალის გაკვეთილზე გასაცნობად მოსწავლეებს დრო არ ექნებათ.

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, სად მოათავსონ მათ მიერ მოწოდებული მასალა.

ბოლოს, მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ მათ უნდა გადაწყვიტონ და შესთავაზონ სხვა მოსწავლეებს, რომელი საკითხის განხილვას ისურვებდნენ დებატების დროს.

3. ორკაციან გუნდებად მუშაობა

მოსწავლეები ქმნიან ორკაციან გუნდებს და გაკვეთილის განმავლობაში მუშაობენ დამოუკიდებლად, იმ მითითებების გათვალისწინებით, რომელიც მათთვის დარიგებულ მასალაშია მოცემული. საშინაო დავალებას მოსწავლეები თვითონ არჩევენ.

გაკვეთილი 2
მზადება დებატებისთვის
წინადადებები და დებატებში მონაწილეობისთვის საჭირო სტრატეგიები

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	მონაწილეობა: მოსწავლეები ხმის მიცემით აკეთებენ არჩევანს. მეთოდები და უნარები: გუნდური მუშაობა.
სწავლის მიზანი	
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები ემზადებიან დებატებში თავიანთი როლის შესასრულებლად.
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 8.2 – 8.5, 9.1. მედიაინფორმაცია. პოპულარული გაზეთი, გავლენიანი გაზეთი, ჟურნალი ახალგაზრდებისთვის.
მეთოდი	ჯგუფური მუშაობა, სწავლა თანამშრომლობის საფუძველზე.
დროის ბიუჯეტი	1. მოსწავლეები ირჩევენ საკითხს. 10 წთ. 2. ჯგუფების შექმნა დებატებში მონაწილეობისთვის. 10 წთ. 3. ჯგუფური სამუშაო. 20 წთ.

ინფორმაცია

მოცემული გაკვეთილი მოიცავს ორი სახის ამოცანას, რომელიც მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ: 1. მოსწავლეები არჩევენ დებატებზე გასატან საკითხს და 2. მოსწავლეები ქმნიან ჯგუფებს და ემზადებიან დებატებში საკუთარი როლის შესასრულებლად; დგება ორი გუნდი: პოზიცია (მომხრეები) და ოპოზიცია (მოწინააღმდეგეები).

გაკვეთილის ძირითადი ნაწილი ეთმობა დებატებისთვის მზადებას. ამიტომ მნიშვნელოვანია, კენჭისყრამ უმტკივნეულოდ და ეფექტურად ჩაიაროს.

რეპორტიორთა გუნდებისთვის საუკეთესო გამოცდილება იქნება, თუ მათი სტატიები ნამდვილ გაზეთში გამოქვეყნდება. მასწავლებელს შეუძლია, ეს წინადადება შესთავაზოს რეპორტიორთა გუნდებს. მოსწავლეების მხრიდან თანხმობის შემთხვევაში, მაწავლებელი მათთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას, თუ როგორ მიმართონ გაზეთის რედაქციას.

1. მოსწავლეები ირჩევენ საკითხს

გაკვეთილის დასაწყის ეტაპზე მასწავლებელი თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს. პირველ რიგში, იგი მადლობას უხდის მოსწავლეებს ამდენი საინტერესო წინადადების შემოთავაზებისთვის, რის შემდეგაც მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს პროცედურას.

მოსწავლეები გაეცნენ თანაკლასელების წინადადებებს და უკვე გარკვეული აქვთ, რომელი საკითხის განხილვა სურთ დებატებზე. კენჭისყრას უძღვება ორი მოსწავლე. ერთი მოსწავლე ყველას სათითაოდ სთხოვს, დაასახელონ მათ მიერ არჩეული საკითხი; მეორე მოსწავლე თემებს სიის სახით წერს დაფაზე და აღნიშნავს იმ საკითხებს, რომლებმაც არაერთი ხმა მიიღო. შემდეგ მიმდინარეობს საკითხების გადარჩევა მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით და მთელი კლასი ვალდებულია აირჩიოს ერთი იმ სამ საკითხთაგანი, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა დააგროვა. სწორედ ეს საკითხი ხდება დებატების თემა.

2. ჯგუფების შექმნა დებატებში მონაწილეობისთვის

მასწავლებელი აცხადებს, რომ მოსწავლეები უნდა მოემზადონ დებატებისთვის. დებატებს თავისი წესები გააჩნია და მოსწავლეებმა უნდა შექმნან გუნდები, რომლებიც დებატებში თავთავიანთ ფუნქციას შეასრულებენ.

მოსწავლეებს ურიგდებათ მასალა მოსწავლეებისთვის 8.2, რომელსაც სიჩუმეში დამოუკიდებლად ეცნობიან. მათ შეუძლიათ, დასვან კითხვები იმ დეტალებში გასარკვევად, რომელიც მათ აინტერესებთ და რომელზეც პასუხებს (საუკეთესო შემთხვევაში) თავად მოსწავლეები ან მასწავლებელი აწვდით. მოსწავლეებს კარგად უნდა ესმოდეთ, რაში მდგომარეობს სხვადასხვა გუნდის როლი.

მოსწავლეები წევრიანდებიან ცხრილში მოყვანილი გუნდებიდან ერთ–ერთში. ცხრილი გვიჩვენებს, რომელი გუნდები მონაწილეობენ დებატებში და რა მასალა სჭირდებათ მათ. დებატებში უშუალოდ მონაწილე გუნდებს უნდა ჰყავდეთ თითო–თითო სათადარიგო წევრი, იმ შემთხვევისთვის, თუ გუნდის რომელიმე წევრი დებატების დღეს არ გამოცხადდა სკოლაში, ავადმყოფობის გამო.

ორი თავმჯდომარე ინაწილებს შემდეგ ფუნქციებს: დებატების წარმართვა და აუდიტორიის ხმის მიცემის პროცედურის გაძღოლა. თუ რომელიმე თავმჯდომარე დებატების დღეს სკოლაში არ გამოცხადდა, ორივე ფუნქციას ერთი თავმჯდომარე ითავსებს.

ჯგუფი	წევრთა რაოდენობა (+ სათადარიგო წევრი)	მასალა მოსწავლეებისათვის #
დებატებში მონაწილე ჯგუფი #1 („მომხრე“)	5 (+1)	8.3
დებატებში მონაწილე ჯგუფი #1 („წინააღმდეგი“)	5 (+1)	8.3
პირველი და მეორე თავმჯდომარე	2	8.2; 8.4; 8.5
რეპორტიორთა გუნდები (პოპულარული გაზეთი, გავლენიანი გაზეთი, ჟურნალი ახალგაზრდებისთვის).	3 x 2	8.6; 9.1
აუდიტორია	ყველა დანარჩენი მოსწავლე	8.5

როლების გადანაწილების პროცედურისთვის ხელსაყრელია დაფაზე ან ფლიპჩარტზე სვეტების სახით წარმოდგენილი ცხრილის შედგენა, სადაც მოსწავლეები თავიანთ სახელებს და გვარებს შეიყვანენ იმ ჯგუფის სათაურის ქვეშ, რომელშიც გაწევრიანების სურვილი აქვთ. თუ გუნდში წევრების რაოდენობამ დაშვებულ ზღვარს გადააჭარბა, მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას, როგორ გადაჭრას ეს პრობლემა. ეს მოსწავლეების პრობლემაა და არა მასწავლებლის. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეები მზად არიან თანამშრომლობისთვის, ჯგუფები უმტკივნეულოდ იქმნება და შედეგებით ყველა მოსწავლე კმაყოფილია.

3. მზადება დებატებისთვის

მასწავლებელი გუნდებს მათთვის განკუთვნილ მასალას ურიგებს: დებტებში უშუალოდ მონაწილე გუნდები – მასალა მოსწავლეებისთვის 8.3; აუდიტორია – მასალა მოსწავლეებისთვის 8.4; რეპორტიორთა გუნდები – მასალა მოსწავლეებისთვის 8.5. გაკვეთილის დარჩენილი დრო მოსწავლეების მიერ საკუთარი საქმიანობის დაგეგმვას ეთმობა. საჭიროების შემთხვევაში გუნდის წევრები ინაწილებენ საშინაო დავალებას. მასწავლებელი დამკვირვებლის და მწვრთნელის ფუნქციას

ასრულებს. მასწავლებელი თავისი ინიციატივით არ ერევა მოსწავლეთა საქმიანობაში, არ მიდის მათთან, არ კითხულობს მათ ფურცლებზე შესრულებულ ნამუშევარს და არ ეხმარება მათ ამოცანის შესრულებაში. თუ გუნდს დახმარება სჭირდება, მათ შეუძლიათ მასწავლებელს მიმართონ; თუ ამის საჭიროებას მოსწავლეები არ გრძნობენ, მათ აქვთ თავისუფლება და პასუხისმგებლობა, გააგრძელონ მუშაობა ისე, როგორც მათ მართებულად მიაჩნიათ. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეები დიდად აფასებენ იმ ნდობას, რომელსაც მათდამი ვიჩენთ და ეს მათთვის სტიმულს წარმოადგენს, ამხნევებს მათ, რათა გულმოდგინედ შეასრულონ დაკისრებული ვალდებულება.

მასწავლებელი რეპორტიორთა გუნდებს აწვდის იმ ტიპის გაზეთთა ეგზემპლარებს, რომლისთვისაც მათ სტატია უნდა მოამზადონ – პოპულარული გაზეთი, გავლენიანი გაზეთი, ჟურნალი ახალგაზრდებისთვის. ეს მათ დაეხმარება იმაზე წარმოდგენის შექმნაში, თუ რა ტიპის აუდიტორიისთვის უნდა დაწერონ და როგორი უნდა იყოს მათი სტატია.

თუ ეს შესაძლებელია, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მერხები და სკამები განალაგონ ისე, როგორც ეს ნაჩვენებია მასალაში მოსწავლეებისთვის 8.2, საკლასო ოთახის შემდგი გაკვეთილისთვის მზადყოფნაში მოყვანის მიზნით.

გაკვეთილი 3
ვმონაწილეობთ დებატებში – ვიღებთ გადაწყვეტილებას – ვაკეთებთ მოხსენებას
საჯარო დებატები და გადაწყვეტილების მიღება

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	თავისუფალი საუბარი; ოპონენტთან კამათი; გუნდში თანამშრომლობა. არგუმენტების გაცვლა–გამოცვლაზე დაკვირვება და მათი შეფასება.
სწავლის მიზანი	უკავშირდება განსახილველ თემას.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ დებატებში ან აკვირდებიან და ისმენენ დებატებს. ჯგუფებს ევალებათ მოემზადონ შემაჯამებელი გაკვეთილისთვის.
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 8.2 – 8.5, 9.1.
მეთოდი	დებატები. ჯგუფური მუშაობა (კენჭისყრა). დეტალური მოხსენებები.
დროის ბიუჯეტი	1. დებატები. 25 წთ. 2. აუდიტორია მართავს კენჭისყრას. 10 წთ. 3. საშინაო დავალება: მასალის მომზადება შემაჯამებელი ეტაპისთვის. 5 წთ.

ინფორმაცია

მოცემული გაკვეთილი მთლიანი თავის ქვაკუთხედს წარმოადგენს – დებატები. მასშტაბური მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც წინა გაკვეთილზე ჩატარდა, მოსწავლეებში თვითრწმენის ამაღლებას ემსახურებოდა, რათა მათ დებატებში საკუთარი როლი წარმატებით შეასრულონ.

თავმჯდომარეები დებატებისა და კენჭისყრის ორგანიზებაზე არიან პასუხისმგებელი.

მასწავლებელი, გაკვეთილის დასაწყისში და მის ბოლოს, სიტყვით გამოდის მოსწავლეების წინაშე, დანარჩენი დროის განმავლობაში, იგი დამკვირვებლის როლშია.

ჯგუფებისთვის განკუთვნილ მასალაში მოსწავლეებისთვის დეტალურად არის მოწოდებული მითითებები და წესები, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა დაიცვან საკუთარი როლის შესრულების დროს. შექმნილია ტიპური პრაქტიკული სწავლის გარემო: გაკვეთილის ფორმატი მოიცავს სხვადასხვა ამოცანას და მოქმედებს მკაცრად განსაზღვრული წესები და განრიგი, მასწავლებელი პროცესებში პრაქტიკულად არ მონაწილეობს. მაგრამ სწავლის მიზანი, რომელიც მასწავლებლის მიერ არის დასახული, მთელი გაკვეთილის განმავლობაში სახეზეა – უფრო მეტადაც, ვიდრე ფრონტალური სწავლების დროს, რადგან მოცემულ სიტუაციაში სწავლის პროცესს მოსწავლეები მართავენ.

გაკვეთილის აღწერა

მასალაში მოსწავლეებისთვის 8.4 (თავმჯდომარეების როლი), დეტალურად არის მოწოდებული მითითებები და წესები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს დებატები და კენჭისყრა, რომელშიც აუდიტორია მონაწილეობს. აქედან გამომდინარე, მასწავლებლის მიერ ამ ეტაპის აღწერა ძალიან ლაკონურად უნდა მოხდეს.

1. დებატები

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის განრიგს: დებატები, რომელსაც მოჰყვება კენჭისყრა აუდიტორიის მონაწილეობით და დეტალური მოხსენებები. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მერხები და სკამები განალაგონ ისე, როგორც ეს ნაჩვენებია მასალაში მოსწავლეებისთვის 8.2.

ამის შემდეგ, პროცესებზე კონტროლს თავის თავზე იღებს პირველი თავმჯდომარე. მოსწავლეები სხდებიან. თავმჯდომარეები, დებატებში მონაწილე გუნდები, აუდიტორია, რეპორტიორთა გუნდები, ყველა მათთვის განკუთვნილ ადგილს იკავებს. მასწავლებელი უერთდება აუდიტორიას, საუკეთესო შემთხვევაში ბოლო რიგში. მოსწავლეებმა უნდა ეცადონ მიმართონ არა მასწავლებელს, როცა მათ სიტყვით გამოსვლა უწევთ, არამედ ერთმანეთს. მოსწავლეები თავიანთ როლს თამაშობენ, მასწავლებელი მსმენელის როლშია.

2. კენჭისყრა

მეორე თავმჯდომარე პასუხისმგებელია აუდიტორიის მიერ გამართულ დისკუსიასა და შემდგომ კენჭისყრაზე. ამ ეტაპზე, მასწავლებელი ტოვებს აუდიტორიას და მოსწავლეთა საქმიანობას შორიდან ადევნებს თვალყურს. აუდიტორიის მიერ გამართული დისკუსიის დროს, დებატებში მონაწილე გუნდები და რეპორტიორები უსმენენ მათ.

ხუთი წუთის შემდეგ, თავმჯდომარე დისკუსიას დასრულებულად აცხადებს და უძღვება კენჭისყრას. მას შემდეგ რაც თავმჯდომარე კენჭისყრას დახურულად გამოაცხადებს, სიტყვით გამოდის მასწავლებელი.

3. საშინაო დავალება: მზადება შემდეგი გაკვეთილისთვის (გაკვეთილი 4)

მასწავლებელი მადლობას უხდის თავმჯდომარეებს, გაკვეთილის წარმართვაში მათ მიერ შეტანილი უდიდესი წვლილის გამო. ასევე მადლობას უხდის დებატებში მონაწილე გუნდებსა და აუდიტორიას და, საკუთარი შეხედულებისამებრ, აქებს მათ. ამ ეტაპზე არ კეთდება არანაირი კრიტიკული შენიშვნა. მეოთხე გაკვეთილზე, მათ ექნებათ საშუალება შეაჯამონ და შეაფასონ დებატებსა და კენჭისყრის დროს მათ მიერ მიღებული გამოცდილება და სწორედ ამას აუწყებს მასწავლებელი მოსწავლეებს.

რეპორტიორების გარდა, იგი უკლებლივ ყვალა მოსწავლეს სთხოვს დაფიქრდნენ იმ შთაბეჭდილებებზე, რაც მათ ამ გაკვეთილის განმავლობაში მიიღეს და იმ მოსაზრებების შესახებ, რომელიც მათ გამართულ დებატებსა და ჩატარებულ დისკუსიასა და კენჭისყრაზე გააჩნიათ; მოამზადონ მოკლე განცხადებები, რომელიც განიხილება მომდევნო გაკვეთილზე და რომელშიც გათვალისწინებული იქნება შემდეგი საკითხები:

1. თქვენი მოსაზრება დებატებში განხილულ საკითხთან დაკავშირებით. ახსენით, რომელი არგუმენტი ჟღერდა თქვენთვის დამაჯერებლად, რომელმაც განაპირობა თქვენი არჩევანი.
2. ჩამოაყალიბეთ თქვენი თვალსაზრისი, აღწერეთ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო წესები, განსაკუთრებით ერთ წუთიანი რეგლამენტი, დებატების დროს.

რეპორტიორთა გუნდებს ეს დავალება არ ეძლევათ, რადგან მათი სამუშაო სტატიის დაწერაა. მასწავლებელი მოკლე მოლაპარაკებას აწარმოებს რეპორტიორებთან, რათა გადაწყვიტონ, როგორ გაავრცელონ მათ მიერ დაწერილი სტატიები – კედელზე რამდენიმე ასლის გამოფენით, თუ მოსწავლეებზე დარიგების საშუალებით.

გაკვეთილი 4
დებატები – სხვადასხვა პერსპექტივა
მოსწავლეები აანალიზებენ დებატებს

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	ანალიზი და მსჯელობა საერთო გამოცდილებაზე.
სწავლის მიზანი	რეალობის აღქმა მედიის საშუალებით გვიყალიბდება. წესები უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს – ვისარგებლოთ თავისუფლების უფლებით.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ გუნდების მიერ დებატების შესახებ დაწერილ სტატიებს. მოსწავლეები აჯამებენ დებატებში მონაწილეობისას მიღებულ გამოცდილებას.
მასალა და რესურსები	მოსწავლეების მიერ დაწერილი სტატიები. მასალა მასწავლებლებისთვის 9.1.
მეთოდი	პრეზენტაციები. განხილვა.
დროის ბიუჯეტი	1.სამი სტატია და მათი განხილვა. 15 წთ.
	2. შეჯამება: როგორ გავლენას ახდენს წესები დებატებზე. 15 წთ.
	3. დეტალური მოხსენებები. 10 წთ.

ინფორმაცია

მოსწავლეები წინა გაკვეთილს ორი კუთხით აჯამებენ, შინაარსის თვალსაზრისით და წესების სისტემის თვალსაზრისით. მათ შეიძლება ერთ ასპექტთან მიმართებაში უფრო მეტი ინტერესი გამოიჩინონ, ვიდრე მეორესთან, რაც შესაბამისად ყურადღების კონცენტრაციის გადატანას გამოიწვევს, მოსწავლეებისთვის ნაკლებ საინტერესო ასპექტიდან მეტად საინტერესო ასპექტზე.

დეტალური მოხსენებები მოსწავლეებს მთლიან თავზე გარკვეულ, ზოგად ინფორმაციას უყალიბებს.

მოსწავლეებს წინასწარ აქვთ მომზადებული თავიანთი მოსაზრებები, რაც საშუალებას აძლევს ყოველ მათგანს აქტიური მონაწილეობა მიიღოს გაკვეთილის მსვლელობაში. აქედან გამომდინარე, მასწავლებელს შეუძლია, და აუცილებელიც არის, გაკვეთილის ძირითადი დროის განმავლობაში მოსწავლეებს თავიანთი მოსაზრებების გამოთქმის საშუალება მისცეს, რაც შეიძლება მთელი გაკვეთილის განმავლობაშიც კი გაგრძელდეს (იხ. ძირითადი კითხვები მოსწავლეებისთვის). მასწავლებელი უძღვება გაკვეთილს, და იძლევა მოკლე ინფორმაციას შეჯამების სახით, მოსწავლეთა მიერ გამართული დისკუსიისთვის მიმართულების მისაცემად.

გაკვეთილის აღწერა

გაკვეთილის დღის წესრიგის დადგენა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის დღის წესრიგს და აღნიშნავს, რომ იგი მოიცავს მოსწავლეებისათვის საშინაო დავალების სახით მიცემულ ძირითად კითხვებს. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები არ გამოთქვამენ ერთ რომელიმე ასპექტზე ყურადღების გამახვილების სურვილს, მასწავლებელი მათ აწვდის გაკვეთილის პირველი ეტაპის ამოცანას.

1. სამი სტატია და განხილვა

მასწავლებელი აცხადებს, რომ რეპორტიორთა სამი გუნდი კლასს წარუდგენს მათ მიერ დაწერილ სტატიებს. მოსწავლეები უსმენენ მათ და ერთმანეთს ადარებენ სტატიებს, იმის გათვალისწინებით, რომ რეპორტიორთა გუნდები სხვადასხვა კატეგორიის გაზეთისთვის მუშაობენ. სტატიათა შედარებისთვის მოსწავლეებმა საჭიროა გააკეთონ ჩანიშვნები. მასწავლებელი მათ ამ ამოცანას აძლევს და ნიმუშის სახით დაფაზე ან ფლიპჩარტზე გადააქვს შემდეგი მატრიცა:

ახალი ამბები	# 1	# 2	# 3
ენა/მეტყველება			
...			
...			
...			
შეფასება			

მაწავლებელი გაზეთების კატეგორიებს არ ასახელებს, მხოლოდ ციფრებით აღნიშნავს მათ, რითაც საშუალებას აძლევს რეპორტიორებს წარადგინონ თავიანთი გაზეთები. ენა/მეტყველება არის ერთ–ერთი შესაძლო მახასიათებელი, რომლის მიხედვითაც შეიძლება სტატიების შედარება და მოსწავლეებს შეუძლიათ ჩანიშვნები გააკეთონ იმაზე, რაც მათთვის თვალში მოსახვედრი იყო. თუ ისინი ერთ–ერთ სტატიას ანიჭებენ უპირატესობას, მაშინ უნდა შეძლონ იმის დასაბუთება, თუ რა განაპირობებს მათ არჩევანს.

მასწავლებელი რწმუნდება, რომ მოსწავლეებისთვის მათი ამოცანა ნათელია და სიტყვას აძლევს რეპორტიორთა გუნდებს. რეპორტიორთა გუნდები რიგრიგობით კითხულობენ თავიანთ სტატიას, სანამ მოსწავლეები არ მოისმენენ სამივე სტატიას, არ კეთდება არანაირი კომენტარი და არ იმართება განხილვა.

ამის შემდეგ, მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს მოსმენილ სტატიებთან დაკავშირებით. მასწავლებელი ისმენს მათ გამოსვლებს და ამხნევებს მოსწავლეებს, რათა დაასახელონ რა კრიტერიუმებს იყენებენ ისინი სტატიების შედარებისას და მათი განხილვისას.

მასწავლებელი აჯამებს განხილვის შედეგებს, ყურადღებას ამახვილებს რა ერთ ძირითად ასპექტზე: რეპორტიორების სამი გუნდი ესწრებოდა ერთსა და იმავე დებატებს, ამ დროს ის, რასაც ისინი სთავაზობენ თავიანთ მკითხველს მნიშვნელოვანწილად განსხვავდება ერთმანეთისგან. ეს იმის მანიშნებელია, რომ მედია აშუქებს რეალობას ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც მოვლენას არ ესწრება. მაგრამ რეალობის გაშუქებისას, ისინი მის საკუთარ ვერსიას ქმნიან, ირჩევენ და წინა პლანზე გამოაქვთ რა ზოგიერთი ელემენტი და უყურადღებოდ ტოვებენ რა სხვას. მასწავლებელს შეუძლია ამის დამადასტურებელ მაგალითად მოიყვანოს რეპორტიორთა გუნდების მიერ დაწერილი სტატიები, ან მოსწავლეთა მიერ გაკეთებული კომენტარები (იხ. მასალა მასწავლებლებისთვის 9.1).

2. შეჯამება: რა ზეგავლენა იქონია წესებმა დებატებზე?

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს სიტყვას, რათა მათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები. მასწავლებელი ისმენს მოსწავლეების თვალსაზრისს. მოსწავლეები ერთმანეთს უსმენენ. ზოგიერთი

კომენტარი შეიძლება ძალიან მწვავე იყოს (დროის რეგლამენტი „არადემოკრატიულია“, იგი გამოხატვის თავისუფლების უფლებას ზღუდავს), ზოგიერთი მოსწავლე შეიძლება წესების მომხრე იყოს.

განხილვის დროს, მასწავლებელს შეუძლია კრიტიკულად განწყობილ მოსწავლეებს ჰკითხოს, დაფიქრდნენ, რა მოჰყვებოდა იმას, თუ დებატები ამ წესის გარეშე ჩატარდებოდა. ისინი მიხვდებიან, რომ დებატებს გაცილებით მეტი დრო დასჭირდებოდა, რის საშუალებასაც გაკვეთილის დროის ბიუჯეტი არ იძლევა, ამის გათვალისწინებით მოხდა დროის სამართლიანი გადანაწილება, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგლამენტი ძალიან შეზღუდული იყო. მასწავლებელი დებატებში მონაწილე მოსწავლეებს სთხოვს გააცნონ კლასს, როგორ გაუმკლავდნენ რეგლამენტის სიმცირეს: მოასწრეს მათ ფოკუსირება ძირითად სათქმელზე?

3. დეტალური მოხსენებები

ამ ეტაპზე მოსწავლეები აჯამებენ მთლიან თავს და საუბრობენ ნებისმიერ დეტალზე.

ნებისმიერი კრიტიკის ფონზე, მასწავლებელმა არ უნდა ეცადოს დაიცვას და გაამართლოს თავისი საქმიანობა, ან კონტრარგუმენტების მოშველიებით მოიგერიოს ისინი. ვინაიდან მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ პროცესში, წარმატებაც და მარცხიც მათ პასუხისმგებლობას მოიცავს, სწორედ ისე, როგორც მასწავლებლის პასუხისმგებლობას. მასწავლებელმა ეს უნდა აღნიშნოს, თუ მოსწავლეები არ არიან დარწმუნებული.

თუ მოსწავლეებს მოეწონათ დებატებში მონაწილეობა, მასწავლებელი მათ სთავაზობს დებატების კლუბის ჩამოყალიბებას, სადაც მოსწავლეების მიერ წამოჭრილი ზოგიერთი საკითხი შეიძლება იყოს განხილული. მსოფლიო მასშტაბით, ინგლისურენოვან ქვეყნებში, მრავლად არის მსგავსი კლუბები, ისევე როგორც ინგლისური ენის – როგორ უცხო ენის მასწავლებელთა საზოგადოებებში. ინტერნეტით შეგიძლიათ მოიძიოთ შესანიშნავი, მრავალფეროვნი მასალა, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან დებატებით.

მასალა მასწავლებლებისთვის 8.1

რატომ არის თავისუფლება დამოკიდებული წესებისა და კანონების ჩარჩოებზე

სწავლის შესაძლებლობები მოცემულ თავში

ურთიერთდამოკიდებულება დროის სიმცირის ფონზე

სწავლებისა და სწავლის, ისევე, როგორც ზოგადად ჩვენი ცხოვრების, ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი არის დრო. როგორც პროფესიონალებს, მასწავლებლებს მუდმივად უწევთ ზრუნვა იმაზე, თუ როგორ გამოიყენონ გაკვეთილისთვის განკუთვნილი დრო მაქსიმალურად ეფექტურად – ხოლო ინტერაქტიული სწავლისას, ამაზე პასუხისმგებლობას მოსწავლეები იღებენ. ამ თავში მოცემული წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები ეფექტური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები აიღებენ ვალდებულებას, მათთვის მიცემული დრო მოახმარონ თანაკლასელთა მიერ მოწოდებული მასალის გაცნობას გაკვეთილამდე. თავად გაკვეთილზე მოსწავლეების ოთხ ჯგუფს ეძლევა მხოლოდ 10 წუთი, რათა აირჩიონ საკითხი დებატებზე გასატანად. თუ მათ მასალა არა აქვთ წინასწარ წაკითხული, კლასი ზარალდება: მას ერთი კარგი მოსაზრებით ნაკლები რესურსი აქვს – ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ ვართ ჩვენ ერთმანეთზე დამოკიდებული (ურთიერთდამოკიდებული).

მკაცრი კანონები იცავს სიტყვის თავისუფლებას

დებატები დროის დადგენილ მონაკვეთში უნდა გაიმართოს. ყველა გამომსვლელი სარგებლობს აზრისა და გამოხატვის თავისუფლების თანაბარი უფლებით. რეგლამენტი, აქედან გამომდინარე, უნდა განაწილდეს სამართლიანად, ესე იგი თანაბრად, ერთი წუთი ერთ განცხადებაზე. პარადოქსია, მაგრამ მკაცრი წესები უზრუნველყოფს ჩვენი თავისუფლების დაცვას. რეგლამენტს ორგვარი დატვირთვა აქვს: ჩვენ გარანტირებილი გვაქვს, რომ დაგვეთმობა დრო მოსაზრების გამოსახატავად და ეს სამართლიანია. მეორე მხრივ, იგი ზღუდავს ყველა გამომსვლელს, და შესაბამისად გამომსვლელი კარგად უნდა დაფიქრდეს, თუ რისი თქმა სურს. მათ საუბრისას აქცენტი ძირითად არგუმენტზე უნდა გააკეთონ, გამოტოვონ ყველაფერი რაც ნაკლებმნიშვნელოვანია და ჩამოაყალიბონ საკუთარი თვალსაზრისი ლაკონურად, ნათლად და გასაგებად.

თავისუფლება და შეზღუდვები

მოსწავლეთა მოქმედებისა და სიტყვის თავისუფლება შეზღუდული, განსაზღვრული და ჩარჩოებში მოქცეულია ორი მიზეზის გამო. პირველი, სწავლის დრო შეზღუდულია – გაკვეთილი დაახლოებით 40 წუთში მთავრდება, დებატები ერთ გაკვეთილში უნდა ჩავატიოთ და უნდა გაგრძელდეს არაუმეტეს 20 წუთისა, რადგან ამავე გაკვეთილზე ბევრი სხვა რამეც უნდა მოესწროს. მეორე, დებატების წესები ყოველ გამომსვლელს სამართლიან, მაგრამ მკაცრად განსაზღვრულ ერთი წუთის ხანგრძლივობის დროს აძლევს ერთი განცხადების გასაკეთებლად. შეზღუდვას გააჩნია სტრუქტურული განზომილება – მთელი ცხოვრების მანძილზე, დრო არასოდეს არის საკმარისი – და პოლიტიკური, ხელოვნური განზომილება: წესები ადგენენ ფარგლებს, რომლის გარეშეც ჩვენ ვერ ვისარგებლებთ ჩვენთვის მონიჭებული თავისუფლებით ისე, რომ არ დავარღვიოთ სხვათა უფლებები. დროის სიმწირე მოლაპარაკებას არ ექვემდებარება, მაგრამ წესები მოლაპარაკების საგანია.

სკოლა რეალური ცხოვრებაა

თავისუფლებისა და შეზღუდვის დიალექტიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს დროის უნივერსალური სიმწირე, სკოლაშიც ისევე იჩენს თავს, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ თვალსაზრისით, სკოლა ზედმიწევნით რეალური ცხოვრებაა.

თავი 9
მედია
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის

მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის საშუალებით
მედიის მესვეურები და მისი მომხმარებელი –
მაკონტროლებელი და დღის წესრიგის დამდგენი

9.1 ჩვენ ვართ ცენზორები!

ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რა წავიკითხოთ

9.2 და 9.3 ჩვენ ვართ ცენზორები!

ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რა შევთავაზოთ მკითხველს

9.4 ჩვენ ვაკონტროლებთ მედიას – თუ მედია გვაკონტროლებს ჩვენ?

მადია – კომუნიკაციისა და ძალაუფლების საშუალება

თავი 9
მედია
საჯარო დებატები
მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის საშუალებით

წინასიტყვაობა მასწავლებლებისთვის

1. ჩვენ ვმონაწილეობთ დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის საშუალებით

საზოგადოებაში და პოლიტიკაში მონაწილეობა, არსებითად, სხვა ადამიანებთან კომუნიკაციას გულისხმობს – ინფორმაციის მიღება და გაცემა მედიის საშუალებით. მოქალაქეები, რომლებსაც არა აქვთ საშუალება, მედიის საშუალებით განახორციელონ კომუნიკაცია, ვერ მიიღებან მონაწილეობას ვერც საზოგადოებაში და ვერც პოლიტიკაში.

დღეს მედია გვაძლევს კომუნიკაციის მრავალ საშუალებას და მეტ ინფორმაციას ვიდრე ოდესმე, მაგრამ იგი ასევე აკონტროლებს ჩვენს კომუნიკაციას: რა ინფორმაციას მივიღებთ და გავცემთ და ასევე როგორ მივიღებთ და გავცემთ. ჩვენ მედიაკულტურაში გვიწევს ცხოვრება. თანამედროვე მედიაზე დაფუძნებული და მედიის საშუალებით კონტროლირებადი კომუნიკაცია გამოწვევას წარმოადგენს ნებისმიერი ადამიანისთვის.

ერთი მხრივ, მედია მომხიბვლელ შესაძლებლობებს სთავაზობს იმ მოქალაქეებს, რომლებსაც მედიაწიგნიერების უნარები აქვთ განვითარებული და, აქედან გამომდინარე, შეუძლიათ კრიტიკულად და გონივრულად მიუდგნენ მედიას, თავი გაართვან აუარება სხვადასხვა ტიპისა და ხარისხის ინფორმაციას.

მეორე მხრივ, მედია არ არის ხელმისაწვდომი მათთვის, ვისაც სახსრები არ ყოფნის მის შესაძენად, არ ფლობს მედიის გამოყენების უნარს, ან არ შეუძლია უხარისხო ინფორმაციის ხარისხიანისგან გარჩევა.

2. მედიაწიგნიერება – დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი კომპეტენცია

მედიაწიგნიერება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი კომპეტენციაა. ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება პირდაპირ უკავშირდება მედიაწიგნიერებას. მედიის თავისუფლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია ამ უფლებებით სარგებლობის უნარზე. მედიაწიგნიერების არათანაბარი დონე საზოგადოებაში წარმოშობს არათანაბარ შესაძლებლობებს, და ახალი ფორმის ჩართულობასა და გარიყულობას.

მოცემული თავი ეხმარება მოსწავლეებს მედიაწიგნიერების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგან. მოსწავლეები გამოცდილებით სწავლობენ, როგორ ხდება ჩვენს მიერ რეალობის აღქმა მედიის საშუალებით – გამოდიან რა როგორც მედიაინფორმაციის შემქმნელების, თუ მისი მომხმარებლის როლში. როგორც მედიის მესვეურები, ასევე მისი მომხმარებელი სხვადასხვანაირად, მაგრამ მაინც, წარმოადგენენ ცენზორებს და მონაწილეობენ დღის წესრიგის დადგენაში, რადგან ჩვენს მიერ რეალობის აღქმა, განსაკუთრებით პოლიტიკური რეალობისა, ეფუძნება და იმართება მედიაინფორმაციის საშუალებით, რომელიც ჩვენამდე აღწევს მას შემდეგ, რაც გაივლის ორმაგ ფილტრაციას – მედიის მესვეურების მიერ გაკეთებულ არჩევანსა და ჩვენს, მედიის მომხმარებლის მიერ გაკეთებულ არჩევანს.

მოცემულ თავში ყურადღება გამახვილებულია მედიაწიგნიერების ერთ მნიშვნელოვან ასპექტზე: ყველა მედიაინფორმაცია არის შედგენილი. არსებობს უამრავი, სხვადასხვა დისციპლინის მომცველი, კომბინირებული სწავლების შესაძლებლობა, მაგალითად, ენის შესწავლა, რათა შევძლოთ მედიისთვის

დამახასიათებელი სპეციფიკური ენის ანალიზი (იხ. მასალა მასწავლებლებისთვის 9ა – ვსწავლობთ რა ვეძიოთ, #1 და 2).

3. მოცემული თავის ზოგადი დახასიათება

მოცემულ თავში ყურადღება გამახვილებულია საკითხზე, თუ როგორ ხორციელდება ცენზურა და დღის წესრიგის დადგენა მედიის საშუალებით. მოსწავლეები გამოდიან როგორც მედიამომხმარებლის, ასევე მედიის მწარმოებელთა როლებში.

გაკვეთილი 1: ჩვენ ვართ ცენზორები! ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რა წავიკითხოთ.

გაკვეთილი 2 და 3: ჩვენ ვართ ცენზორები! ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რა შევთავაზოთ მკითხველს.

გაკვეთილი 4: ჩვენ ვაკონტროლებთ მედიას – თუ მედია გვაკონტროლებს ჩვენ? შეჯამება.

პირველ გაკვეთილზე მოსწავლეები შეიტყობენ, რომ ისინი თავად წარმოადგენენ ცენზორებს. ისინი აკეთებენ არჩევანს ორ სხვადასხვა გაზეთს შორის და წასაკითხად არჩევენ ერთ ინფორმაციას და უკუაგდებენ მეორეს. ამგვარად, ისინი სარგებლობენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და არჩევის უფლებით.

მეორე და მესამე გაკვეთილებზე, მოსწავლეები ასრულებენ ძირითად ამოცანას, მონაწილეობენ პროექტში, რომლის მიზანიც არის კედლის გაზეთის გამოშვება. ამ შემთხვევაშიც, ისინი ცენზორების როლში გამოდიან, ოღონდ არა ინფორმაციის მიღების არამედ ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით. ისინი სარგებლობენ ცენზურისგან თავისუფალი პრესის ხელმისაწვდომობის უფლებით.

მეოთხე გაკვეთილზე, მოსწავლეები იხსენებენ საკუთარ არჩევანს და განიხილავენ მედიას – როგორც კომუნიკაციისა და ძალაუფლების ინსტრუმენტს. ისინი ასევე ეცნობიან ჩვენს მიერ რეალობის აღქმის მძლავრ კონსტრუქტივისტულ ელემენტს, რომელსაც ქმნის როგორც ინფორმაციის მომწოდებელი, ასევე მისი მიმღები მხარე.

4. კონსტრუქტივისული სწავლა და ინსტრუქცია

ამ თავის განმავლობაში, მოსწავლეებს აქვთ დრო და თავისუფლება განახორციელონ კონსტრუქტივისტული სწავლა. მედიის კონტექსტში, კონსტრუქტივისტული სწავლა ზუსტად შეესაბამება მედიის საშუალებით მიღებული მედიაინფორმაციის კონსტრუირებას. მედიაინფორმაციას ქმნის სხვა პირი, რომელსაც საკუთარი ინტერესები და სტრატეგიული განზრახვა ამოძრავებს („თქმა თუ გაყიდვა“), და ასევე მომხმარებელი.

მასწავლებელი, ინსტრუქციების საშუალებით, მოსწავლეებს აცნობს ცენზურის, დღის წესრიგის დადგენის, მედიაკულტურის, მედიის თავისუფლების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ცნებებს, არგებს რა მათ კონსტრუქტივისტული სწავლის კონტექსტს (იხ. ძირითადი ცნებები ქვემოთ).

5. მედიასაშუალების არჩევა

მოცემულ თავში, ყურადღება გამახვილებულია კლასიკურ, ბეჭდვით მედიასაშუალებაზე – გაზეთზე. რომელიც ბევრი ახალგაზრდის არჩევანს არ წარმოადგენს. რაში სჭირდებათ მოსწავლეებს მისი წაკითხვა და გამოცემა?

1. ამის პირველი მიზეზი პრაგმატულია. გაზეთის შესწავლა და მარტივი კედლის გაზეთის გამოცემა მოითხოვს რესურსებს, რომელიც ყველგან შეიძლება იყოს მოპოვებული, ადვილად ხელმისაწვდომია და არ არის დაკავშირებული დიდ ხარჯებთან.

2. დიდაქტიკური თვალსაზრისით, მედიაწიგნიერების ელემენტების გაცნობა მარტივი მაგალითის გამოყენებით, გაცილებით შედეგიანია. ტექსტის ხელით დაწერა, გამოჭრა, დაწებება, ხაზვა, მოსწავლეები უბრუნდებიან წარსულს, როდესაც საფუძველი ეყრებოდა მედიაწარმოებას. მაგრამ მარტივი კედლის გაზეთის გამოშვების დროსაც აშკარაა მედიის რედაქტორთა მიერ განხორციელებული ძირითადი ფენომენი – ცენზურა – ისევე, როგორც ინფორმაციის მოწოდების საშუალებით რეალობის აღქმის ჩამოყალიბება.

   რა თქმა უნდა, ეს ძირითადი ასპექტები სხვა ტიპის მედიისთვისაც არის დამახასიათებელი – რადიო, ტელევიზია, ყველა სახის ფოტოგრაფია, ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული კომუნიკაცია, მოკლე ტექსტური შეტყობინებები და ა.შ. მაგრამ ყველა ეს დანარჩენი მედიასაშუალებები, არა მარტო დიდ რესურსებს და მისი წარმოებისთვის კომპლექსურ ძალისხმევას მოითხოვს, არამედ მათი ანალიზი და დეკონსტრუირებაც სირთულეებს უკავშირდება.

3. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ამ გამოცემაში, გაზეთის გამოყენება მიესადაგება სპირალური სწავლების პრინციპს. ამოცანა, რომელსაც მოსწავლეები ასრულებენ ამ თავში, შეესაბამება მე –3 ტომის, *ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურისთვის,* მეშვიდე თავში მოცემულ ამოცანას. მოცემულ თავებს შორის განსხვავებას წარმოადგენს მათი ფორმა, რომელიც მოსწავლეთა შემეცნების დონეს შეესაბამება.

ძირითადი ცნებები

ცენზურა

იმ უამრავი ინფორმაციიდან, რომელსაც გაზეთის რედაქციები ყოველდღიურად ღებულობენ, მხოლოდ მცირე ნაწილი ხვდება გაზეთის გვერდებზე. გაზეთის რედაქტორები გამოხშირავენ იმ ინფორმაციას, რომელიც, მათი თვალსაზრისით, არ ექვემდებარება მკითხველისადმი მიწოდებას. ერთი კრიტერიუმი, რომელიც ამ ეტაპზე მოქმედებს, არის ინფორმაციის ვარგისიანობა – არის იგი დროული და საკმარისად საინტერესო? მეორე კრიტერიუმი არის გაზეთის მოცულობა –ყველა ინფორმაციის განსათავსებლად ერთი გაზეთი საკმარისი არ არის; მესამე კრიტერიუმი არის მკითხველის ფაქტორი – რა შეწონადობას მოითხოვს მკითხველი სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას შორის: ახალი ამბები, პოლიტიკა, ბიზნესი, სპორტი, გართობა, ახალი ამბები ცნობილ ადამიანებზე და ა.შ.

მკითხველიც, თავის მხრივ, ახორციელებს გაზეთის მიერ შემოთავაზებული ინფორმაციის გამოხშირვას. ყვალა ჩვენთაგანისთვის საკუთარი გამოცდილებიდან არის ცნობილი, რომ ერთ გაზეთში დაბეჭდილი სტატიებიდან ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს ვირჩევთ წასაკითხად და ვაგდებთ გაზეთს მას შემდეგ, რაც იქ მოცემული მასალის 5–10%–ს გავეცნობით.

ცენზურის ეს პრინციპი ხორციელდება სხვა მასმედიის საშუალებების შემთხვევაშიც – ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი, წიგნები.

დღის წესრიგის დადგენა

მედიის რედაქტორებს ძლიერი გავლენა აქვთ პოლიტიკურ დღის წესრიგზე. საზოგადოებას სწორედ მედია აწვდის ინფორმაციას ზოგიერთი პრობლემისა თუ სკანდალის შესახებ, რაც შემდეგ დისკუსიის საგანი ხდება და პოლიტიკოსები ხშირად ვალდებული არიან მიმართონ რაიმე ზომებს საკითხის დასარეგულირებლად. აქაც მკითხველს დიდი დატვირთვა აქვს – როგორ რეაგირებს იგი მედიის მიერ მიწოდებულ საკითხზე?

მედიაკულტურა

ჩვენ მედიაკულტურის ეპოქაში ვცხოვრობთ (იხ. მასალა მასწავლებლებისთვის 9ა). გასული ათწლეულის განმავლობაში, დამკვიდრდა ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლა–გამოცვლის კულტურა, რასაც ემატება მობილური ტელეფონების ტექნოლოგია, რომელთაგანაც ორივე ახალგაზრდა თაობის არჩევანს წარმოადგენს. გარდა ამისა, გლობალიზაციის პროცესმა დიდად შეუწყო ხელი მედიის გაბატონებას. მედიაინფორმაცია ტექსტურიდან გამოსახულებით ინფორმაციად იქცა, რამაც დიდი ზეგავლენა იქონია კომუნიკაციასა და კითხვის ჩვევაზე.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და პრესის თავისუფლება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაში, მუხლი 10.1 (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 2.6) ნათქვამია:

„ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად...“

იხილეთ, ასევე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 19 (მასალა მოსწავლეებისთვის 2.5).

მედიის მესვეურები, ისევე როგორც მედიამომხმარებელი სარგებლობენ ადამიანის ამ ძირითადი უფლებით. სწორედ ამ თავისუფლებათა ფარგლები ქმნის განსხვავებას დიქტატურასა და დემოკრატიას შორის. ამ თავისუფლებებმა, იმ ტექნოლოგიურ რევოლუციასთან ერთად, რომლის მომსწრეც გავხდით კომპიუტერის გამოგონების შემდეგ, ჩაუყარა საფუძველი მედიაკულტურას, რომელშიც ჩვენ ეხლა ვცხოვრობთ. ეს გამოცდილება წინააღმნეგობრივი, არაერთმნიშვნელოვანი და მოდერნიზაციის პროცესისთვის დამახასიათებელია: თუ გამოვიყენებთ პოტენციალს, რომელსაც ეს სფერო გვთავაზობს, მოგებულის პოზიციაში აღმოვჩნდებით, თუ ხელიდან გავუშვებთ – წარუმატებლის. აქედან გამომდინარე, მედიაწიგნიერება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითად კომპეტენციას წარმოადგენს.

კომპეტენციების გამომუშავება: კავშირი სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა თავებთან

რას გვიჩვენებს ეს ცხრილი

წინამდებარე სახელმძღვანელოს სათაური, *მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში,* გულისხმობს იმ კომპეტენციებს, რომელსაც აქტიური მოქალაქე უნდა ფლობდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში. მოცემული მატრიცა გვიჩვენებს სახელმძღვანელოში შესულ თავებს შორის სინერგიის ეფექტის პოტენციალს. მატრიცა გვიჩვენებს, რომელი კომპეტენციების განვითარება ხდება მეცხრე თავში (შეფერილი, ჰორიზონტალური მწკრივი ცხრილში). მუქი შტრიხებით შემოსაზღვრული ვერტიკალური სვეტი გვიჩვენებს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების კომპეტენციებს –მისი გამოყოფა ხდება, დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობასთან მჭიდრო კავშირის გამო. ჰორიზონტალური მწკრივები გვიჩვენებს სახელმძღვანელოში მოცემულ სხვა თავებთან კავშირს: რომელ კომპეტენციებს იძენს მოსწავლე, სახელმძღვანელოში მოცემულ ამ თავებში, რომელიც მათ მეცხრე თავში სჭირდებათ?

როგორ გამოვიყენოთ მატრიცა?

მასწავლებლებს მოცემული მატრიცის გამოყენება სხვადასხვა გზით შეუძლიათ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებს გაკვეთილის დასაგეგმად.

- ეს მატრიცა ეხმარება მასწავლებლებს, რომლებსაც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მცირე რაოდენობით გაკვეთილის ჩატარება უწევთ: მასწავლებელს საშუალება აქვს აარჩიოს ეს თავი და გამოტოვოს სხვა თავები, თუ მიიჩნევს, რომ მოსწავლეები გარკვეულწილად უკვე ფლობენ სხვა ძირითად კომპეტენციებს, მაგალითად მოცემულ თავში ასეთი კომპეტენციებია – პასუხისმგებლობის აღება, პრობლემის ანალიზი, მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.
- მოცემული მატრიცა ეხმარება მასწავლებელს დარწმუნდეს სინერგიის ეფექტში, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები ერთსა და იმავე კომპეტენციას განმეორებით იძენენ, ერთმანეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა კონტექსტში. ამ შემთხვევაში მასწავლებელი ირჩევს რამდენიმე თავს და კომბინირებულად აწვდის მათ მოსწავლეებს.

თავი	კომპეტენციის განვითარების განზომილებები			მიდგომები და ღირებულებები
	პოლიტიკური ანალიზი და შეფასება	მეთოდები და უნარები	მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება	
9. მედია	ვმონაწილეობთ დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიაკომუნიკაციების საშუალებით მედიის პროდიუსერები და მომხმარებლები ცენზორის ფუნქციას ასრულებენ	მედიაგზავნილის კონსტრუირება და დეკონსტრუირება	მადიის გამოყენება საკუთარი შეხედულებებისა და ინტერესების გასაშუქებლად	ვაცნობიერებთ: რეალობას, განსაკუთრებით პოლიტიკურ რეალობას ჩვენ მესამე პირის შუამავლობით აღვიქვავთ
7. თანასწორობა	დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობები დამოკიდებულია მედიაწიგნიერებაზე			ვაცნობიერებთ: ინფორმაცია არის ძალაუფლების წყარო
8. თავისუფლება	მედიის თავისუფლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა		ცენზორის ფუნქცია და დღის წესრიგის შემუშავება: ადამიანის ულებათა დაცვა	ვაცნობიერებთ: ინფორმაცია არის ძალაუფლებისა და ხელისუფლების კონტროლის

				საშუალება
3. მრავალფეროვნება და პლურალიზმი	შეხედულებებისა და ინტერესების პლურალიზმი აისახება მედიაში			
6. მთავრობა და პოლიტიკა	დღის წესრიგის დადგენა			

თავი 9: მედია – დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობა მედიის საშუალებით მედიის მესვეურები და მისი მომხმარებლები – ცენზორი და დღის წესრიგის დამდგენი

გაკვეთილის თემა	კომპეტენციის გამომუშავება/სწავლის მიზანი	მოსწავლის ამოცანა	მასალა და რესურსები	მეთოდი
გაკვეთილი 1 ჩვენ ვართ ცენზორები! ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რა წავიკითხოთ	თავად ასრულებენ რა ცენზორთა ფუნქციას, მოსწავლეები უპირატესობას ანიჭებენ გარკვეულ მედიასა და გარკვეული სახის მედიაგზავნილს. როგორც მედიის მესვეურები, ასევე მისი მომხმარებელი ასრულებს ცენზორის ფუნქციას.	მოსწავლეები ფიქრობენ იმაზე, თუ რომელ გაზეთს ანიჭებენ უპირატესობას.	ორი სხვადასხვა, ერთ დღის გამოცემა გაზეთის პირველი გვერდები. მასალა მოსწავლეებისთვის 9.1 –9.3, ფლიპჩარტები, მარკერები, მაკრატელი, წებო. ბეჭდვითი მედიის გამოცემათა კრებული.	პლენარული პრეზენტაციები და განხილვა. ლექცია. ჯგუფური მუშაობა.
გაკვეთილი 2 და 3 ჩვენ ვართ ცენზორები! ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რა შევთავაზოთ მკითხველს	გუნდში თანამშრომლობა; გადაწყვეტილების მიღება, მიზნებსა და განრიგზე შეთანხმება. გუნდის ორგანიზება და ზედამხედველობა. ჩვენს მიერ რეალობის აღქმას განაპირობებს მედიის რედაქტორების მიერ შედგენილი ინფორმაცია.	მოსწავლეები ამზადებენ კედლის გაზეთს. ისინი ერთმანეთს ადარებენ ჯგუფების მიერ დამზადებულ კედლის გაზეთებს და იმ არჩევანს რომელიც მათ გააკეთეს.	მასალა მოსწავლეებისთვის 9.2 და 9.3. ფლიპჩარტები, მარკერები, მაკრატელი, წებო. ყველა სახისა და კატეგორიის ბეჭდვითი მედია	მუშაობა პროექტზე.
გაკვეთილი 4 ჩვენ ვაკონტროლებთ მედიას – თუ მედია გვაკონტროლებს ჩვენ? შეჯამება	მოსწავლეების მიერ გაკეთებული არჩევანისა და მათი შედეგების შეჯამება. მედია წარმოადგენს კომუნიკაციისა და კონტროლის მძლავრ ინსტრუმენტს.	მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ და აჯამებენ მათ მიერ გაკეთებულ არჩევანსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს.	თვალსაჩინო ადგილზე გაკრული კედლის გაზეთები. მასალა მასწავლებლებისთვის 9ა.	მოხსენებები, პლენარული განხილვა. ლექცია.

გაკვეთილი 1
ჩვენ ვართ ცენზორები!
ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რა წავიკითხოთ

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	თავად ასრულებენ რა ცენზორთა ფუნქციას, მოსწავლეები უპირატესობას ანიჭებენ გარკვეულ მედიასა და გარკვეული სახის მედიაგზავნილს.
სწავლის მიზანი	როგორც მედიის მესვეურები, ასევე მისი მომხმარებელი ასრულებს ცენზორის ფუნქციას. მედია განსაზღვრავს იმას, თუ როგორ აღვიქვამთ ჩვენ მსოფლიოს. იგი ფლობს ძალაუფლებას, აკონტროლოს, რას შევიტყობთ და რას არა (ცენზორი, დღის წესრიგის დამდგენი). მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ, მედიამომხმარებელი, თავად ვასრულებთ ცენზორის ფუნქციას. ჩვენ ვირჩევთ ან უარვყოფთ გარკვეულ მედიას, და ჩვენ ვირჩევვთ, რომელ მედიაგზავნილზე შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები ფიქრობენ იმაზე, თუ რომელ გაზეთს ანიჭებენ უპირატესობას.
მასალა და რესურსები	ორი სხვადასხვა, ერთ დღეს გამოშვებული გაზეთის პირველი გვერდები. მრავალრიცხოვან კლასში უმჯობესია ამ გამოცემათა რამდენიმე ეგზემპლარი. მასალა მოსწავლეებისთვის 9.1 –9.3, ფლიპჩარტები, მარკერები, მაკრატელი, წებო. ბეჭდვითი მედიის გამოცემათა კრებული.
მეთოდი	პლენარული პრეზენტაციები და განხილვა. ლექცია. ჯგუფური მუშაობა.
დროის ბიუჯეტი	ეტაპი 1: მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ცენზორის ცნებას. 25 წთ.
	ეტაპი 2. მოსწავლეები ადგენენ კედლის გაზეთის პროექტის გეგმას. 15 წთ.

ინფორმაცია

როგორც მედიამომხმარებლების, მოსწავლეების რეაქცია მედიაში არსებულ სხვაობებზე არის ის, რომ ისინი ირჩევენ ერთს და უგულებელყოფენ სხვას. თავიანთი არჩევანით ისინი ასრულებენ ცენზორის ფუნქციას, რის შესახებაც ამ გაკვეთილზე შეიტყობენ.

მოვლენაზე სხვა კუთხით დაკვირვებისას, მოსწავლეები რწმუნდებიან, რომ მედიის რედაქტორებსაც გააჩნიათ პრიორიტეტები და ისინიც აკეთებენ არჩევანს. რა არჩევანს და რა მიზნით? ამ კითხვების საფუძველზე მოსწავლეები შეუდგებიან საკუთარ პროექტზე მუშაობას. პასუხს ამ კითხვაზე მიიღებენ მაშინ, როცა თავად მოუწევთ იგივე არჩევანის გაკეთება – სწვდებიან მედიის არსს, ერთვებიან რა მედიაწარმოებაში. ეს წარმოადგენს მოცემული თავის ძირითად ამოცანას.

მასწავლებლის ლექცია უკავშირდება მოსწავლეების კონსტრუქტივისტული სწავლის პროცესს. მასწავლებელი მათ ცენზურის ცნებას განუმარტავს მას შემდეგ, რაც მოსწავლეები, პროექტზე მუშაობისას, ამის მაგალითს წააწყდებიან. მეორე მხრივ, მოსწავლეები ამ ახალ ცნებას იყენებენ მომდევნო პროექტში, რადგან მათი ამოცანა ამ პროექტში ამ ცნებას ეფუძნება.

გაკვეთილის აღწერა

მზადება გაკვეთილისთვის

ამ თავის პირველ გაკვეთილამდე სამი კვირით ადრე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაიწყონ ბეჭდვითი მედიის – ჟურნალ–გაზეთების, სარეკლამო ბუკლეტების და ა.შ. შეგროვება. ასევე, მნიშვნელოვანია ფოტოების შეგროვება. მოსწავლეებმა ეს მასალა კლასში უნდა მოიტანონ პირველი გაკვეთილისთვის.

საკლასო ოთახში შესაფერისი სივრცის არსებობის შემთხვევაში, ხდება მასალის დახარისხება და მოთავსება სპეციალურად ამ მიზნისთვის განკუთვნილ მაგიდებაზე. მოსწავლეები ამ მასალის გამოყენებას შეძლებენ მე–2 და მე–3 გაკვეთილებზე, როდესაც მათ მოუწევთ საკუთარ კედლის გაზეთზე მუშაობა.

მასწავლებელი თავადაც ზრუნავს ჟურნალ–გაზეთების შეგროვებაზე. პირველი გაკვეთილისთვის მას მზად უნდა ჰქონდეს სხვადასხვა გაზეთის წინა გვერდები, რამდენიმე ეგზემპლარად. ამ მიზნით შერჩეული გაზეთები ერთი და იგივე დღის გამოცემისა უნდა იყოს, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეთა ჯგუფებს, გამოიყენონ ამ გაზეთების პირველი გვერდები შესადარებლად და პლენარულ რაუნდზე, მათი რეზულტატების შედარებისთვის. ყოველ ჯგუფს ურიგდება სხვადასხვა გაზეთის წინა გვერდების წყვილი. თუ მოსწავლეების მიერ უცხო ენების ფლობა ამის საშუალებას იძლევა, სასურველია, მათ მივაწოდოთ უცხოური გაზეთის წინა გვერდებიც.

ვებგვერდზე www.newseum.org შეგვიძლია ვიხილოთ ბევრი ევროპული ქვეყნის ერთი დღის სხვადასხვა გაზეთის პირველი გვერდები (A4 ფორმატის PDF ვერსია). მისი გამოყენების შემთხვევაში, მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მიაწოდოს მათი ამობეჭდილი ვერსია, პროექტორით ჩვენების ნაცვლად (იხ. საფეხური 1.1, ქვემოთ).

ეტაპი 1. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ცენზურის ცნებას

საფეხური 1.1: მოსწავლეები არჩევანს აკეთებენ მათთვის სასურველ გაზეთზე

მასწავლებელი დაფაზე გამოფენს ორი გაზეთის წინა გვერდებს. გაზეთები სხვადასხვა კატეგორიისაა, მაგალითად:

- პოპულარული გაზეთი და გავლენიანი გაზეთი;
- რეგიონალური და ეროვნული გაზეთი;
- გაზეთები, რომელბიც სხვადასხვა პოლიტიკურ ხედვას იზიარებენ, მაგ. სოციალ-დემოკრატიულსა და ნეოლიბერალურს.

თუ კლასში ამ გაზეთების პირველი გვერდების რამდენიმე ეგზემპლარის მოტანის საშუალება არის, მაშინ ისინი უნდა გამოვაკრათ საკლასო ოთახის კედლებზე, რამდენიმე ადგილას, ერთმანეთისგან მოშორებით. მრავალრიცხოვან კლასებში ეს დროის დაზოგვის საშუალებას იძლევა.

მოსწავლეები მიდიან კედელზე გამოკრულ გაზეთების პირველ გვერდებთან და ჩუმად ეცნობიან მათ.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაჯგუფდნენ იმ გაზეთის პირველი გვერდის წინ, რომელსაც ისინი უპირატესობას ანიჭებენ. ამრიგად იქმნება მოსწავლეების ორი ჯგუფი, შესაძლებელია შეიქმნას მესამეც, რომელშიც შევლენ მოსწავლეები, რომელთაც არც ერთ გაზეთს არ მიანიჭეს უპირატესობა. მოსწავლეები, ჯგუფებში, მოკლედ უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს და პლენარულ რაუნდზე ასაბუთებენ საკუთარ არჩევანს მიზეზების დასახელებით.

მასწავლებელი უსმენს მათ და ამხნევებს, რათა ერთმანეთს თამამად გაუზიაროონ საკუთარი შეხედულებები, მაგრამ მოსწავლეების მოსაზრებებსა და არჩევანზე არ აკეთებს კომენტარს.

საფეხური 1.2: მოსწავლეები ეცნობიან ცენზურის ცნებას

მასწავლებელი კითხულობს მოკლე ლექციას, სადაც მოსწავლეებს აცნობს ცენზურის ცნებას და მის ორმაგ მნიშვნელობას. იგი ამ ცნებას არგებს იმ კონტექსტს, რომელიც მოსწავლეებმა თავად შექმნეს, გაკვეთილის ამ ეტაპის პირველ საფეხურზე (საფეხური 1.1). როგორც მოსწავლეებმა საკუთარი არჩევანის გაკეთებით უჩვენეს, ჩვენ ხშირად უპირატესობას ვანიჭებთ ერთ გარკვეულ გაზეთს, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ გაზეთები ერთმანეთისგან მნიშვნელოვანწილად განსხვავდება. ჩვენ მოგვწონს ერთი გაზეთი და არ მოგვწონს სხვა. ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვენ არჩევანს ვაკეთებთ მედიასაშუალებებს შორისაც, მაგალითად, გაზეთის ნაცვლად, არჩევანს ვაჩერებთ ტელევიზიასა ან ინტერნეტზე. ამ ძალიან მნიშვნელოვანი თვალსაზრისით, ჩვენ ცენზორების ფუნქციას ვასრულებთ. ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რა ინფორმაცია და რომელი მედიასაშუალებით მივიღოთ. მედია ჩვენზეა დამოკიდებული – თუ იგი ჩვენი ყურადღების დაპყრობას ვერ შეძლებს, მისი ძალისხმევა ფუჭი და ამაო იქნება.

ამის შემდეგ მასწავლებელი იგივე საკითხს სხვა კუთხით უდგება: არა მარტო მკითხველები ასრულებენ ცენზორის ფუნქციას, არამედ გაზეთის რედაქტორებიც. ისინი იღებენ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რა არჩევანი შემოგვთავაზონ. ამ თვალსაზრისით ჩვენ ვხდებით მედიაზე დამოკიდებული – შეგვიძლია მივიღოთ მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელსაც ისინი შეარჩევენ.

ცენზურის ცნება, აქედან გამომდინარე, ორმაგი მნიშვნელობის მატარებელია: როგორც მედია მესვეურები, ასევე მისი მომხმარებელი იღებს გადაწყვეტილებას, რომელი ინფორმაციაა მნიშვნელოვანი. პოლიტიკაში სწორედ ცენზურის საშუალებით ხორციელდება დღის წესრიგის დადგენა.

ნათელია, რომ მედიის რედაქტორებიც აკეთებენ თავიანთ არჩევანს, როგორც ამას ერთი დღის გამოცემული, ორი სხვადასხვა გაზეთის პირველ გვერდებს შორის განსხვავება ადასტურებს. მაგრამ რა არის ამის მიზეზი და მიზანი? მოსწავლეები ამ კითხვაზე პასუხის მოპოვებას პროექტზე მუშაობის პროცესში შეეცდებიან.

ეტაპი 2. მოსწავლეები მუშაობენ კედლის გაზეთის გამოცემის პროექტის გეგმაზე

მასალა მოსწავლეებისთვის 9.1 – 9.3.

საფეხური 2.1: მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ინსტრუქციებს მოცემული ამოცანის შესასრულებლად

მოსწავლეები ქმნიან რედაქტორთა ოთხ–ექვსკაციან ჯგუფებს. მათი ამოცანა, მომდევნო ორი გაკვეთილის განმავლობაში, კედლის გაზეთის გამოცემაში მდგომარეობს.

ისინი, როგორც რედაქტორები, ცენზურაზე პასუხისმგებლობის ფუნქციას იღებან საკუთარ თავზე და ცდილობენ, თავი გაართვან შემდეგ საკითხებს:

- რა თემებს შევეხოთ?
- რომელი თემა ავირჩიოთ მოწინავე სტატიისთვის?
- რა თემა უნდა ამოვაგდოთ არასაკმარისი სივრცის გამო?

მოსწავლეები კარგად უნდა ერკვეოდნენ იმაში, რომ ეს საკითხები უკავშირდება პრესის თავისუფლების მნიშვნელობას პრაქტიკაში – თავისუფლებით სარგებლობა, რიგი პრობლემების გადაჭრაზე პასუხისმგებლობის აღებით.

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებს. მოსწავლეებს შეუძლიათ მაქსიმუმ ორი ფლიპჩარტის გამოყენება. მათი სტატიები ხელით უნდა იყოს დაწერილი. ფოტოების, დიაგრამების და ინფორმაციის მოსაპოვებლად მათ შეუძლიათ გამოიყენონ ბეჭდვითი მედიის საშუალებათა გამოცემები. ისინი შეზღუდული არიან დროში. მათი გაზეთები მზად უნდა იყოს კედელზე გასაკრავად შემდეგი გაკვეთილის ბოლოსთვის.

მოსწავლეები ატყუპებენ მერხებს, რათა საშუალება ჰქონდეთ, ზედ მოათავსონ ფლიპჩარტი, რომელზეც მოუწევთ მუშაობა.

საფეხური 2.2: მოსწავლეები იწყებენ პროექტზე მუშაობას

მოსწავლეები, მასწავლებლის მითითების შესაბამისად, ეცნობიან მათთვის დარიგებულ მასალას. თუ გაკვეთილის დასრულებამდე საამისო დრო რჩება, მოსწავლეები შეუდგებიან შემდეგ ეტაპზე მუშაობას.

გაკვეთილი 2 და 3
ჩვენ ვართ ცენზორები!
ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რა შევთავაზოთ მკითხველს

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	გუნდში თანამშრომლობა; გადაწყვეტილების მიღება, მიზნებსა და განრიგზე შეთანხმება. გუნდის ორგანიზება და ზედამხედველობა.
სწავლის მიზანი	ჩვენს მიერ რეალობის აღქმას განაპირობებს მედიის რედაქტორების მიერ შედგენილი ინფორმაცია. როგორც ცენზორი და დღის წესრიგის დადგენაში მონაწილე, მედია ფლობს აბსოლუტურ ძალაუფლებას.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები ამზადებენ კედლის გაზეთს. ისინი ერთმანეთს ადარებენ ჯგუფების მიერ დამზადებულ კედლის გაზეთებს და იმ არჩევანს რომელიც მათ გააკეთეს.
მასალა და რესურსები	მასალა მოსწავლეებისთვის 9.2 და 9.3. ფლიპჩარტები, მარკერები, მაკრატელი, წებო. ყველა სახისა და კატეგორიის ბეჭდვითი მედია.
მეთოდი	მუშაობა პროექტზე.
დროის ბიუჯეტი	1. მუშაობა პროექტზე: მოსწავლეები გამოსცემენ კედლის გაზეთს. 60 წთ.
	2. მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა ჯგუფის მიერ გამოცემულ კედლის გაზეთებს. 20 წთ.

ინფორმაცია

მეორე და მესამე გაკვეთილები მოცემული თავის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ეს არის პროექტი, რომლის განმავლობაშიც, მოსწავლეები ასრულებენ გაზეთის რედაქტორთა ფუნქციას და უშვებენ საკუთარ გაზეთს. მათ მოუწევთ გადაჭრან შემდეგი საკითხი: რომელი თემა ჩავრთოთ და რომელი არა? და მოუწევთ, შეაჯერონ კრიტერიუმები ამ არჩევანის გასაკეთებლად. გარდა ამისა, ერთ საათში კედლის გაზეთის გამოშვება მოსწავლეებისგან მაქსიმალურ დატვირთვას მოითხოვს, როგორც სამუშაოს დაგეგმვის უნარის გამოყენების, ასევე დროის განაწილების თვალსაზრისით.

შემოთავაზებული კედლის გაზეთის ფორმატი ზოგადია. გაზეთის შექმნის ტექნიკური ასპექტები ნაკლებ ყურადსაღებია. მოსწავლეებმა სტატიები ხელნაწერის ფორმით უნდა წარმოადგინონ.

კედლის გაზეთის გამოშვება მედიის შექმნის საფუძვლებთან აბრუნებს და საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ყურადღება გაამახვილონ გაზეთის რედაქტირებისა და არჩევანის გაკეთების პროცესზე.

პრაქტიკული სწავლის გარემოში, მასწავლებელი „ასისტენტის“ ფუნქციას ასრულებს, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს იმ შემთხვევაში, თუ მათ დამატებითი მასალა ესაჭიროებათ, სჭირდებათ კომპიუტერის გამოყენება და ა.შ. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეებს, რათა შეაფასოს მათი უნარებისა და კომპეტენციების ფლობის დონე. მასწავლებელი ისმენს მოსწავლეთა მსჯელობებს და ეცნობა მოსწავლეთა კედლის გაზეთებს მუშაობის პროცესში. ამგვარად მასწავლებელი ემზადება მოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი ლექციის წასაკითხად, რომელიც მოსწავლეებმა მე–4 გაკვეთილის პირველ ეტაპზე უნდა მოისმინონ.

გაკვეთილის აღწერა

ეტაპი 1: მოსწავლეები ამზადებენ და გამოსცემენ კედლის გაზეთს

მასალა მოსწავლეებისთვის 9.1 – 9.3.

მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში. ისინი ინაწილებენ მთავარი რედაქტორის, დროის აღმრიცხველისა და რეპორტიორის ფუნქციებს.

ისინი ასრულებენ ან ცვლიან მასალაში მოსწავლეებისთვის 9.1 მოცემულ სამუშაო განრიგს.

თუ მეორე და მესამე გაკვეთილებს შორის არის ინტერვალი, მოსწავლეთა მიერ ნახევრად მომზადებული მასალა მომდევნო გაკვეთილამდე საიმედო შენახვა–დაცვას საჭიროებს. მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას ვის გადააბარონ ამაზე პასუხისმგებლობა.

მასალა მოსწავლეებისთვის 9.3–ის მიხედვით, რეპორტიორები ამზადებენ პრეზენტაციებს მე–4 გაკვეთილზე დაგეგმილი პლენარული სხდომისთვის.

ეტაპი 2: მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა ჯგუფის მიერ გამოცემულ კედლის გაზეთებს

მესამე გაკვეთილის შუა მონაკვეთში, ჯგუფები საკლასო ოთახის კედელზე გამოფენენ მათ მიერ შედგენილ კედლის გაზეთებს. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გაეცნონ ერთმანეთის ნამუშევრებს მომდევნო გაკვეთილის დაწყებამდე.

გაკვეთილი 4
ჩვენ ვაკონტროლებთ მედიას თუ მედია გვაკონტროლებს ჩვენ?
მედია – კომუნიკაციისა და ძალაუფლების ინსტრუმენტი

მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი ჩატარებისთვის სჭირდება.

ემსახურება უშუალოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გათვალისწინებული **კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას**.

სწავლის მიზანს წარმოადგენს ორიენტირება იმაზე, რაც მოსწავლეებმა იციან და ესმით.

მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული **მეთოდები** წარმოადგენს სწავლების პროცესის ძირითად ბირთვს.

მოწოდებული **მასალა** ხელს უწყობს გაკვეთილისთვის მზადებას.

დროის ბიუჯეტით სარგებლობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ეფექტურად განახორციელოს დროის მენეჯმენტი.

კომპეტენციების დაუფლება	მოსწავლეების მიერ გაკეთებული არჩევანისა და მათი შედეგების შეჯამება.
სწავლის მიზანი	მედია წარმოადგენს კომუნიკაციისა და კონტროლის მძლავრ ინსტრუმენტს.
მოსწავლეთა ამოცანა	მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ და აჯამებენ მათ მიერ გაკეთებულ არჩევანსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს.
მასალა და რესურსები	თვალსაჩინო ადგილზე გაკრული კედლის გაზეთები. მასალა მასწავლებლებისთვის 9ა.
მეთოდი	მოხსენებები, პლენარული განხილვა. ლექცია.
დროის ბიუჯეტი	1. მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ ჯგუფების მიერ გაკეთებულ არჩევანსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს.15 წთ.
	2. მოსწავლეები აჯამებენ ინფორმაციის შედგენისას მათ მიერ მიღებულ გამოცდილებას. 10 წთ.
	3. ლექცია: დღის წესრიგის დადგენა, ცენზურა. 5 წთ.
	4. განხილვა. 10 წთ.

ინფორმაცია

მოსწავლეები აჯამებენ პროექტში მონაწილეობისას მიღებულ საკუთარ გამოცდილებას. ისინი ერთმანეთის კედლის გაზეთს ინფორმაციის მისაღებად არ კითხულობენ, არამედ ყურადღებას ამახვილებენ იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც თემისა თუ ფოტოების შერჩევისას იყო მიღებული – იკვლევენ მედიის, როგორც ცენზორისა და დღის წესრიგის დამდგენის როლს.

რეპორტიორები კლასს მოხსენების სახით აწვდიან ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა პროექტის განმავლობაში მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება მათ გუნდში, ხოლო მოსწავლეები გონებაში აღიდგენენ საკუთარ გამოცდილებას.

მასწავლებელი კითხულობს მოკლე ლექციას და შემოაქვს შემდეგი ცნებები – მედია, როგორც ცენზორი და დღის წესრიგის დადგენაში მონაწილე. ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება კონსტრუქტივისტული სწავლის პროცესის გამდიდრება სისტემატიური ინსტრუქციებით. მოსწავლეთა გამოცდილება ქმნის კონტექსტს, სადაც მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინსტრუქციები ახალ პერსპექტივებს სახავს და საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, თავიანთ გამოცდილებას აბსტრაქტული აზროვნების კუთხით შეხედონ.

ამ პროექტის გავრცობის და მასში მონაწილეობით მიღებული გამოცდილების გამოყენების მრავალი საშუალება არსებობს, რაც შეიძლება განხილულ იქნეს გაკვეთილის ბოლოს.

გაკვეთილის აღწერა

მოსწავლეები სხვადასხვა ჯგუფის მიერ გამოცემულ კედლის გაზეთებს გაკვეთილის დაწყებამდე ეცნობიან.

ეტაპი 1: მოსწავლეები განმარტავენ მათ მიერ გაკეთებული არჩევანის მიზეზებს და ერთმანეთს ადარებენ ჯგუფების მიერ გაკეთებულ არჩევანს

თითოეული ჯგუფის მომხსენებელი, რიგრიგობით გამოდის კლასის წინაშე, მოსწავლეებს აცნობს მისი ჯგუფის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და უხსნის იმ მიზეზებს, რომლებიც საფუძვლად დაედო მათ არჩევანს. ხელმძღვანელობენ რა მოხსენების გაკეთების შესახებ მითითებებით (მასალა მოსწავლეებისთვის 9.3) მომხსენებლები საკუთარ გამოსვლაში უნდა შეეხონ შემდეგ საკითხებს:

- მოწინავე სტატიის არჩევა;
- რა თემები იყო საწყის ეტაპზე განხილული და რამ განაპირობა ზოგიერთი თემის არჩევა და ზოგიერთის უარყოფა;
- ფოტოების შერჩევის კრიტერიუმები;
- სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

პრეზენტაციებში ყურადღება გამახვილებულია უფრო ცენზურასა და დღის წესრიგის დადგენასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე და ნაკლებად გაზეთების შინაარსზე. ეს მასწავლებელს აძლევს საჭირო მასალას ლექციისთვის, სადაც იგი მიმოიხილავს მოსწავლეების საერთო გამოცდილებას და ამავდროულად შემოაქვს მედიაწიგნიერებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძირითადი ცნება. ამ გზით კონსტრუქტივისტული სწავლა ქმნის ფონს და კონტექსტს მოკლე ინსტრუქციების საშუალებით კონცეპტუალური ცოდნის მისაღებად.

ეტაპი 2: მოსწავლეები იხსენებენ ინფორმაციის ფორმირების პროცესს

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეადარონ თავიანთი ჯგუფების მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზეზები.

- შეგვიძლია გამოვყოთ რომელიმე დომინანტი კრიტერიუმი, მაგალითად, როგორიცაა გასაშუქებლად ვარგისიანობა?
- რამდენად გავითვალისწინეთ კონკურენციის ასპექტები – მაგ. გამოვიყენეთ მიმზიდველი ელემენტები?
- ...

მომხსენებლების პრეზენტაციებმა და არჩევანთა შედარებამ შეიძლება წარმოშვას კრიტიკული დისკუსია, მაგალითად, მოსწავლეები პრობლემად აღიქვავენ იმას, რომ მედიას ესოდენ ძლიერი გავლენა აქვს იმაზე, თუ რომელი ინფორმაცია მივიღოთ და რომელი არა. მასწავლებელი უძღვება დისკუსიას. ვინაიდან მას დისკუსიის შემდეგ სიტყვით გამოსვლა მოუწევს, ამ ეტაპზე არ არის საჭირო მისი მხრიდან მოსწავლეების განცხადებებზე რეაგირება.

ეტაპი 3: ლექცია

საფეხური 3.1 ძირითადი ლექცია

მასალა მასწავლებლებისთვის 9ა

როგორც ზევით ავღნიშნეთ (იხ. ეტაპი 1), მასწავლებელი ლექციის ელემენტებს უკავშირებს მოსწავლეების გამოცდილებას და ლექციას აგებს მოსწავლეების მიერ წამოჭრილ საკითხებზე დაყრდნობით. ეს მასწავლებლისგან მოქნილობის გარკვეულ უნარს მოითხოვს, რათა მან შეძლოს შემდეგი ძირითადი განცხადებების მოსწავლეების მიერ შექმნილ კონტექსტზე მორგება:

1. ნებისმიერი მედიაინფორმაცია არის შეთხზული, ფორმირებული. ინფორმაციის ფორმირების ერთ ძირითად ასპექტს წარმოადგენს ის, რომ უამრავი ინფორმაციიდან ხდება რამდენიმეს ამორჩევა და მათთვის სტატიის, მონათხრობის ფორმის მიცემა. მოსწავლეებმა აღმოაჩინეს ინფორმაციის ფორმირების ეს ასპექტი, როდესაც თავიანთი გაზეთების რედაქტირებაზე მუშაობდნენ.

2. ინფორმაციის შერჩევით, რედაქტორები და მედიის მესვეურები ასრულებენ ცენზორის ფუნქციას და დღის წესრიგის დადგენაში მონაწილეობენ. ისინი ძლიერ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ასევე იმაზე, თუ როგორ ვიღებთ მონაწილეობას დემოკრატიულ საზოგადოებაში. ხოლო ის, მიიღებს თუ არა ეს გავლენა კონტროლის ფორმას, დამოკიდებულია იმაზე, ვასრულებთ თუ არა ჩვენ, მედიამომხმარებელი, ცენზორის ფუნქციას.

ეს ორი ასპექტი უშუალოდ უკავშირდება მოსწავლეთა მიერ ამ მცირემასშტაბიან პროექტში მონაწილეობისას მიღებულ გამოცდილებას. მასწავლებელს შეუძლია აქ დაასრულოს ლექცია, რადგან მიღებული ინფორმაცია მოსწავლეებს დასაფიქრებლად საკმაო მასალას აწვდის, თუმცა მასწავლებელს შეუძლია განავრცოს ლექცია და ისაუბროს იმ საკითხებზე, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესის საგანს წარმოადგენს ან მათ მიერ წამოჭრილ პრობლემატურ საკითხებს უკავშირდება. ამ შემთხვევაში ლექციისთვის განკუთვნილი დრო უნდა გაიზარდოს.

საფეხური 3.2 ლექციის გავრცობა

1. ერთი მხრივ, როგორც კომერციული კომპანია, მედიის შიგნით მიმდინარეობს კონკურენცია ჩვენი ყურადღების დაპყრობაზე. მედიის მესვეურები ზრუნავენ იმაზე, რომ თავიანთი აუდიტორიის ინტერესები დააკმაყოფილონ და მათი მოლოდინი გაამართლონ. მათი წარმატება და შესაბამისად ფინანსური სარგებელი დიდად არის დამოკიდებული მედიამომხმარებლის მიერ გაკეთებულ არჩევანზე.

2. რეალობისა და მსოფლიოს ჩვენი აღქმა დამოკიდებულია მედიაზე. მოცემულ გაკვეთილზე მოსწავლეთა ყურადღება კონცენტრირებული იყო კლასიკურ მედიასაშუალებაზე –გაზეთზე. თუმცა დღეს ჩვენ ხელი მიგვიწვდება ახალი ტიპის მედიასაშუალებებზე, რომელთაც სხვადასხვა დანიშნულებით ვიყენებთ. ჩვენ კვლავ ვსარგებლობთ კლასიკური მასმედიის საშუალებებით (სამაუწყებლო მედია) – ჟურნალ–გაზეთები, ტელევიზია, რადიო – რომლებიც საზოგადოებისთვის ძირითადად ინფორმაციისა და გართობის წყაროს წარმოადგენენ. გარდა ამისა, გვაქვს ახალი ტიპის ინტერნეტმედია (ვებგვერდები, ელფოსტა, ბლოგები, facebook–ის ტიპის ქსელები, twitter–ი), რომ აღარაფერი ვთქვათ მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისზე. ჩვენ ამ ახალი ტიპის მედიას სხვადასხვა დანიშნულებით ვიყენებთ, მაგრამ, ძირითადად იგი ჩვენთვის ერთმანეთთან კომუნიკაციის საშუალებას წარმოადგენს, და მოსწავლეებს ალბათ კარგად მოეხსენებათ, რომ ახალგაზრდა თაობა მეტად ერკვევა მედიის ამ საშუალებაში, ვიდრე მათი მშობლები ან მასწავლებლები.

3. დღეს ჩვენ მედიაკულტურაში ვცხოვრობთ. საზოგადოება წარმოადგენს მის წევრებს შორის ინტერაქციას. სოციალური ინტერაქცია, ფართო მასშტაბით, არის კომუნიკაცია. კომუნიკაციას

ხელს უწყობს, მიმართულებასა და ფორმას აძლევს მედია, ხოლო მედიაინფორმაცია არა მარტო ასახავს, არამედ რიგ შემთხვევაში ამახინჯებს და შეცვილი ფორმით გვაწვდის რეალობას.

ეტაპი 4: განხილვა და დასკვნა

მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება, თავიანთი აზრი გამოთქვან მოსმენილ ლექციაზე.

მათ შეიძლება გაუჩნდეთ კითხვები, რომელიც მიღებული ინფორმაციის დაზუსტებას ემსახურება. შეიძლება პრობლემად აღიქვან და განმარტება მოითხოვონ იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ფლობს მედია ესოდენ დიდ ძალაუფლებას, როგორც ცენზორი და დღის წესრიგის დამდგენი.

ბოლოს, მასწავლებელი აყენებს საკითხს, სურთ თუ არა მოსწავლეებს პროექტის გაგრძელება და თუ სურთ, როგორი ფორმით? მას შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს შემდეგი წინადადებები:

- გამოიკრას კედლის გაზეთი კლასის გარეთ, სკოლაში.
- მოსწავლეებმა მოიწვიონ პროფესიონალი ჟურნალისტი, აჩვენონ მას მათ მიერ გამოშვებული კედლის გაზეთი და სთხოვონ გამოთქვას საკუთარი მოსაზრება, მათთან ერთად განიხილოს ცენზურის საკითხი.
- რედაქტორთა გუნდმა ახალი პროექტის ფარგლებში გამოსცეს სკოლის კედლის გაზეთი.
- მოსწავლეებმა მოამზადონ მოხსენება იმ მედიასაშუალებაზე, რომელსაც ყველაზე მძლავრი გავლენა აქვს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე.
- მოსწავლეებმა აირჩიონ ერთ–ერთი მათ მიერ განხილული საკითხთაგანი და პრაქტიკულად განახორციელონ იგი. მაგალითად, მოცემულ სახელმძღვანელოში შესულ სხვა თავებთან კავშირში.

მასალა მასწავლებლებისთვის 9 ა

მედიაწიგნიერებისთვის საჭირო უნარ–ჩვევები და სტრატეგიები

ელიზაბეტ ტომანი

რადიომაღვიძარადან დაწყებული, რომელიც სისხამ დილით გვაღვიძებს, გვიან ღამის თოქ–შოუთი დამთავრებული, რომელიც ჩვენთვის ძილისპირულის ფუნქციას ასრულებს, ჩვენ ყოველ დღე გვიწევს ვიხილოთ ასობით და ათასობთ გამოსახულება და მოვისმინოთ იგივე რაოდენობის ინფორმაცია, თუ მოსაზრება, არა მარტო ტელევიზიის, არამედ ახლა უკვე გაზეთების პირველ გვერდზე დიდი შრიფტით დაბეჭდილი სათაურების, ჟურნალთა გარეკანების, ფილმების, ვებგვერდების, ფოტოების, ვიდეო თამაშების და ბილბორდების საშუალებით. დღევანდელ ახალგაზრდა თაობას ზოგი „სკრინეიჯერს“[19] (ეკრანთან მიჯაჭვულს) უწოდებს.

დღემდე თითქმის არავის შეჰქონდა ეჭვი ჩვენს ცხოვრებაზე მედიის მზარდი გავლენის პერსპექტივაში. ისინი ვინც ამ მოსაზრებას არ იზიარებდნენ, ძირითადად ყურადღებას ამახვილებდნენ ფილმებსა და ტელევიზიაში სექსისა და ძალადობის სცენების სიმრავლეზე. ზოგი ცენზურის დაწესების მომხრე იყო, მაშინ როცა სხვები ამტკიცებდნენ, რომ ტელევიზორის ყურება უბრალოდ არ ღირს. მაგრამ ფაქტი ისაა, რომ, თუ ცივილიზაციას მოწყვეტილ ადგილზე არ აღმოჩნდი, მხოლოდ ტელევიზორის გამორთვით, თავს ვერ დააღწევ დღევანდელ მედიაკულტურას. მედია უბრალოდ გავლენას კი არ ახდენს ჩვენს კულტურაზე, იგი თავადაა კულტურა.

ჩვენს გლობალურ კულტურაში მედიის უმნიშვნელოვანესი როლი არის სწორედ მიზეზი იმისა, რომ მედიაზე ცენზურის დაწესებას ვერასდროს შევძლებთ. ის რაც სინამდვილეში გვჭირდება არის ყველა ჩვენთაგანის ცხოვრებაში მედიის როლის გადასინჯვა – გადასინჯვა უნდა მოხდეს იმ გარდატეხის გათვალისწინებით, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში მოხდა და გულისხმობს ბეჭდვითი კულტურიდან გამოსახულებით კულტურაზე გადასვლას, რაც უკვე 150 წელია მიმდინარეობს, და რასაც საფუძველი დაუდო ფოტოგრაფიის გამოგონებამ, როცა გაჩნდა ობიექტის ან გამოსახულების სივრცესა და დროში დაფიქსირების და მისი რეალური, ხილული და პერმანენტული სახით შენახვის შესაძლებლობა[20].

თითქმის 500 წლის განმავლობაში ჩვენს მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენდა კითხვის უნარი, რომლის საშუალებითაც ჩვენ საზოგადოებაში ვიღებდით მონაწილეობას, როგორც ინფორმირებული და განათლებული მოქალაქეები. დღესდღეისობით ოჯახი, სკოლა, ყველა საზოგადოებრივი დაწესებულება, მათ შორის სამედიცინოც, იღებს ვალდებულებას ახალგაზრდა თაობა მოამზადოს მკვეთრი გამოსახულებების, ხმამაღალი სიტყვებისა და ჟღერადი ბგერების სამყაროში ცხოვრებისათვის[21]. ვუწოდოთ ამას „მედიაწიგნიერება“.

რას წარმოადგენს მედიაწიგნიერება?

სწორედ იმას, როგორც ჟღერს – ეს არის ფლობდე უნარს – ახსნა და საკუთარი აზრი ჩამოიყალიბო იმ ასობით და ათასობით ვერბალური და ვიზუალური სიმბოლოს შესახებ, რომლის აღქმაც ყოველდღიურად გიწევს ტელევიზიის, რადიოს, კომპიუტერის, გაზეთების, ჟურნალების და, რაღა თქმა უნდა, რეკლამების საშუალებით.

ეს არის უნარი – აარჩიო და გადაარჩიო, უნარი – ეჭვი შეიტანო და კითხვის ნიშნის ქვეშ დასვა, უნარი – ერკვეოდე რა ხდება შენს გარშემო და არ იყო პასიური და, შესაბამისად, დაუცველი.

---

[19] დუგლას რუშკოფი, *„ვთამაშობთ მომავალს: როგორ გვასწავლის ბავშვების კულტურა გავიკვლიოთ გზა ქაოსის ეპოქაში“* 1996 წელი.

[20] სტიუარდ ევანის ნაშრომიდან *„ყოვლისმომცველი გამოსახულებები:სტილის პოლიტიკა თანამედროვე კულტურაში“*, 1988 წელი.

[21] გრუნვალდი, 1982 წელი, იუნესკოს მიერ გამართული საერთაშორისო სიმპოზიუმი, მიძღვნილი მასმედიის გამოყენების შესახებ საზოგადოების განათლებისადმი, დასკვნითი მოხსენება.

„ჩვენ უნდა მოვამზადოთ ახალგაზრდა თაობა
მკვეთრი გამოსახულებების, ხმამაღალი სიტყვებისა და ჟღერადი ბგერების
სამყაროში ცხოვრებისათვის“
იუნესკო, 1982 წელი

მედიის მკვლევარები აცხადებენ, რომ დღეს ტელევიზია და მასმედია იმდენად შემოიჭრა ჩვენს კულტურულ გარემოში, რომ აღარ არის საჭირო მედიაწიგნიერება განვიხილოთ, როგორც „დაცვა“ უსარგებლო ინფორმაციისაგან. ჩვენს მიზანს უნდა წარმოადგენდეს, დავეხმაროთ ადამიანებს გახდნენ კომპეტენტური, კრიტიკული და გარკვეული ყველა სახის მედიაში, რათა თავად აკონტროლონ მიღებული ვიზუალური თუ ვერბალური ინფორმაციის აღქმა, ნაცვლად იმისა, რომ ამ აღქმამ აკონტროლოს ისინი. ლენ მასტერმანი, ავტორი ნაშრომისა *„სწავლება მედიის შესახებ“* ამას „კრიტიკულ ავტონომიას უწოდებს.[22]

სხვა განმარტებებში ვკითხულობთ, რომ მედიაწიგნიერება იმდენად ცოდნა არ არის, რამდენადაც უნარი, პროცესი და აზროვნების სახე, რომელიც კითხვის უნარის მსგავსად, მუდმივად განიცდის განვითარებას. მედიაწიგნიერება არ გულისხმობს მედიის შესახებ ფაქტებისა და მონაცემების დამახსოვრებას, არამედ საკუთარი თავისადმი მართებული კითხვის დასმას და გარკვევას იმაში, თუ რას უყურებ, რას კითხულობ და რას უსმენ.[23] მედიაწიგნიერების ქვაკუთხედს ძიებისა და კვლევის პრინციპი წარმოადგენს.

ვსწავლობთ, რა ვეძიოთ

რა უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა (ისევე რიგორც უფროსმა თაობამ) მედიის შესახებ? წლების განმავლობაში, მედიაგანმანათლებლებმა ჩამოაყალიბეს ხუთი მოსაზრება მედიის ინფორმაციის – გზავნილის – შესახებ, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს, მიუხედავად იმისა, ეს გაზავნილი მოდის კომედიური ტელესერიალიდან, კომპიუტერული თამაშიდან, მუსიკალური ვიდეოდან, საგაზეთო რეკლამიდან, თუ კინოთეატრში ნანახი ფილმიდან.[24]

1. ყველა მედიაინფორმაცია არის „შეთხზული“

საღამოს ახალი ამბების გამოშვებას ვუყურებთ თუ ქუჩაში ბილბორდს ჩავუვლით, იმ მედიაგზავნილის ავტორი, რომელიც ამ საშუალებებით მოდის ჩვენამდე, არის ადამიანი (ან, სავარაუდოდ, ადამიანთა ჯგუფი), ხოლო გამოსახულებები, რომელსაც ჩვენ აღვიქვავთ, ისევ ადამიანის მიერ არის გადაღებული და შემდეგ ვინმე დიზაინერის მიერ შემოქმედებითად დამუშავებული. მაგრამ ეს უფრო მეტია, ვიდრე ფიზიკური პროცესი. სინამდვილეში, ის, რაც რამდენიმე ადამიანის მიერ „იქმნება“, საბოლოო ჯამში ყველა ჩვენთაგანისთვის „რეალობა“ ხდება. როგორც აუდიტორია, ჩვენ ვერ ვხედავთ და არ გვესმის ის, რაც ამ რამდენიმე ადამიანმა უგულებელყო, ჩვენ ვხედავთ და გვესმის ის, რაზეც მათ არჩევანი გააკეთეს.

თუ ადამიანები შეძლებენ გაიგონ, როგორ იქმნება მედია, რა იქნა უგულებელყოფილი მის მიერ, ასევე, როგორ აყალიბებს მედია იმას, რაც ჩვენ ვიცით და როგორადაც ჩვენ აღვიქვავთ სამყაროს, რომელშიც ვცხოვრობთ, ეს მათ მნიშვნელოვანწილად დაეხმარება სწორი მიმართულებით წარმართონ თავიანთი ცხოვრება გლობალურ, ტექნოლოგიურ საზოგადოებაში.

---

[22] ლენ მასტერმანი, *„სწავლება მედიის შესახებ“*, თავი 2, 1989 წელი

[23] აღებულია მედიაწიგნიერების ცენტრის ჟურნალ *„Media & Values“*–ზე 1977 წლიდან 1993 წლამდე წამძღვარებული განაცხადიდან.

[24] აღებულია ინგლისისა და კანადის მედიაწიგნიერების მასალებიდან. პირველად გამოქვეყნებულ იქნა აშშ.–ში, სახელწოდებით „ხუთი მნიშვნელოვანი რჩევა, როგორ მივაწოდოთ ბავშვს ინფორმაცია ტელევიზიის შესახებ“ ჯეი დევისის მიერ, ჟურნალში: *„Media & Values“* 1990 წლის შემოდგომა #52/53;

2. მედიაინფორმაციის შეთხზვა ხდება კრეატიული ენის გამოყენებით, რომელსაც თავის წესები აქვს

კომუნიკაციის ნებისმიერ ფორმას, იქნება ეს გაზეთი, ტელეთამაში, თუ საშინელებათა ფილმი, თავისი კრეატიული ენა აქვს: შემზარავი მუსიკა ამძაფრებს შიშის გრძნობას, ახლოს მოტანილი კამერა ინტიმურობის აღქმას უწყობს ხელს, გამოკვეთილი დიდი ასოებით დაწერილი სათაური ხაზს უსვამს მნიშვნელობას. მედიის ენის გრამატიკის, სინტაქსისა და მეტაფორული სისტემის ცოდნა გვეხმარება სწორად აღვიქვათ და დავტკბეთ მედიასთან შეხებაში მიღებული გამოცდილებით, მაგრამ ამავდროულად ეს ცოდნა გვიცავს იმისგან, რომ არ მოხდეს ჩვენით მანიპულირება. საუკეთესო გზა იმისათვის, რათა გავიგოთ, როგორ ხდება მედიის შექმნა, არის პირადი გამოცდილება – თავად გადაიღე ვიდეო, შექმენი ვებგვერდი შენი თანამოაზრეებისთვის, წამოიწყე სარეკლამო კამპანია მოწევის მავნებლობის შესახებ.

3. სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვანაირად აღიქვამს მედიაგზავნილს

ერთსა და იმავე ფილმს ან, თუნდაც, რადიოთი მოსმენილ ერთსა და იმავე მუსიკას განსხვავებული ასაკის, აღზრდისა და განათლების ადამიანი სხვადასხვანაირად აღიქვამს. მშობლებისა და მათი შვილების აღქმაც კი განსხვავებულია, როცა ისინი ერთ ტელეშოუს უყურებენ. ეს ხედვა ეწინააღმდეგება „ტელევიზორთან მიჯაჭვული პასიური მაყურებლის“ შესახებ გავრცელებულ აზრს. ყველა ჩვენგანი, ჩვილობის ასაკიდან გამოსული პატარა ბავშვიც კი, გაუთვითცნობიერებლად ვცდილობთ ავხსნათ და მნიშვნელობა მოვუძებნოთ იმას, რასაც ვხედავთ, გვესმის, ან ვკითხულობთ. რაც უფრო მეტი კითხვა გვიჩნდება იმასთან დაკავშირებით, რაც ჩვენს გარშემო ხდება, მით უფრო გონებით ვუდგებით იმას, თუ რომელი გზავნილი მივიღოთ და რომელი არა. კვლევამ უჩვენა, რომ დროთა განმავლობაში, ყველა ასაკის ბავშვი იძენს მისი ასაკისთვის დამახასიათებელ უნარებს, რაც მათ საშუალებას აძლევს სხვა თვალით შეხედონ და სხვაგვარად აღიქვან მედიაკულტურა.[25]

4. მედია, უპირველეს ყოვლისა, არის მოგებაზე ორიენტირებული კომერციული საქმიანობა

გაზეთები, გვერდების დაგეგმვისას, პირველ რიგში ათავსებენ რეკლამებს და მხოლოდ დარჩენილ სივრცეს უთმობენ სტატიებსა და ახალ ამბებს. ასევე ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ რეკლამა ნებისმიერი ტელეგადაცემის განუყრელი ნაწილია. რაც ბევრმა ადამიანმა არ იცის არის ის, რომ ტელევიზია არა მარტო ახორციელებს რეკლამირებული პროდუქტის მაყურებლისთვის მიყიდვას, არამედ მაყურებლის მიყიდვას რეკლამის შემქმნელებისთვის!

კომერციული ტელეარხებით გადმოცემული პროგრამების მიზანი, იქნება ეს ახალი ამბები თუ გასართობი პროგრამა, არ არის მხოლოდ ჩვენი ინფორმირება ან გართობა, არამედ ემსახურება აუდიტორიის შექმნას (რომელიც მზად არის მიიღოს მათ მიერ შემოთავაზებული ნებისმიერი რამ), რათა ქსელმა, ან ადგილობრივმა არხებმა შეძლონ, მიყიდონ საკუთარი დრო სპონსორებს, მათი პროდუქტის შესახებ რეკლამის განსათავსებლად. ყველა წამი გათვლილია! სპონსორები იმის მიხედვით იხდიან, თუ რამდენი ადამიანი უყურებს მათ რეკლამას. სპონსორები, ასევე, გათვლებს აწარმოებენ განსაზღვრული კატეგორიის მაყურებელზე, მაგალითად, 20–დან 35 წლამდე ასაკის ქალები, რომლებიც მზად არიან ფული დახარჯონ რეკლამირებულ პროდუქტზე, ან 2–დან 7 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებსაც შეუძლიათ მშობლების ბიუჯეტის ხარჯვაზე იქონიონ გავლენა.

შეიძლება, ეს არ არის ის, რასაც ჩვენ ვისურვებდით, მაგრამ, როგორც მკვლევარი ჯორჯ გერბნერი აცხადებს, მედიაინფორმაცია ჩვენამდე მოაქვთ კერძო, გლობალურ კორპორაციებს, რომელთაც რაღაც აქვთ გასაყიდი, და არა ოჯახს, ეკლესიას, სკოლას, ან, თუნდაც, მშობლიურ ქვეყანას, რომელსაც რაღაც აქვთ ჩვენთვის სათქმელი.[26]

---

[25] რენე ჰობსი *„ფეხს ვუწყობთ მედიას: განათლება ინფორმაციული ეპოქისთვის*, ვიდეო 1995 წელი, გავრცელებული მედიაწიგნიერების ცენტრის მიერ.

[26] ჯორჯ გერბნერი „ტელემალადობა და კრიტიკული კითხვის დასმის ხელოვნება“ ნაშრომი: „მსოფლიო და მე: ჩვენი ცვალებადი ეპოქის მატიანე“ 1994 წლის ივლისი.

5. მედია ემყარება ღირებულებებსა და გააჩნია საკუთარი ხედვა

მედიაგზავნილი, გამომდინარე იქიდან, რომ იგი არის შეთხზული, ყოველთვის არის იმ ქვეტექსტის მატარებელი, თუ რა ან ვინ არის მისი შემთხზველისთვის მნიშვნელოვანი. მედია ასევე მთხრობელის ამპლუაში გვევლინება (რეკლამებიც კი, შეიცავს მოკლე, მარტივ მონათხრობს); მოთხრობაში საჭიროა იყოს პერსონაჟები, დადგმა და სიუჟეტი, რომელსაც აქვს დასაწყისი, განვითარების ეტაპი და დასასრული. მედიაგაზავნილში გამოყვანილი პერსონაჟების ასაკი, სქესი და რასა, მათი ცხოვრების სტილი, შეხედულებები და ქცევა, ადგილის შერჩევა, სადაც მიმდინარეობს მოქმედება (ქალაქი, სოფელი, მდიდრული გარემო, სიღარიბე), სიუჟეტი და მოქმედებათა განვითარება, ყოველივე ეს წარმოაჩენს იმ ღირებულებებს, რომლის მატარებელიც არის ტელეშოუ, ფილმი, თუ რეკლამა.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორ უნდა აღვიქვათ ნებისმიერი სახის მედიაგზავნილი, რათა ამოვხსნათ ის ქვეტექსტი, რომელიც მის მიღმა იმალება. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ჩვენ განვსაზღვროთ, მივიღოთ თუ არა ეს გზავნილები, ყოველდღიურად ვიკვლევთ რა გზას ჩვენს მედიაგარემოში.

ხუთი ძირითადი კითხვა, რომელიც ნებისმიერი მედიაგზავნილის შესახებ შეიძლება გაჩნდეს

რა უნდა გავარკვიოთ

ამ ცნებებიდან ხუთი ძირითადი კითხვა[27] იკვეთება, რომელიც ნებისმიერი სახის მედიაგზავნილის შემთხვევას ესადაგება. მიაქციეთ ყურადღება, რომ ყოველი ამ ხუთ კითხვათაგანი სათავეს უდებს და წარმოშობს შემდგომ კითხვებს:

1. ვინ არის ამ გზავნილის ავტორი და რა მიზნით გვაწვდის მას ჩვენ?

2. რა ტექნიკა იქნა გამოყენებული ჩვენი ყურადღების დასაპყრობლად?

3. როგორი ცხოვრების სტილი, ღირებულებები და თვალსაზრისია წარმოდგენილი მოცემულ გზავნილში?

4. როგორი იქნება სხვა ადამიანების, ჩემგან განსხვავებული აღქმა ამ გზავნილის მიღებისას?

5. რა ინფორმაცია იქნა გამოტოვებული გზავნილის ფორმირებისას?

ძირითადად კითხვები ჩნდება გარკვეული მედია „ტექსტის“ მიღებისას – იდენტიფიცირებადი პროდუქცია ან პუბლიკაცია, ან მისი ნაწილი: ეპიზოდი საბავშვო სერიალიდან. პეპსის რეკლამა, რომელიმე ჟურნალის ერთი გამოცემა, ლუდის რეკლამის ბილბორდი, ბანკის გაძარცვის შემთხვევის ამსახველი ფოტოები და სტატია გაზეთის პირველ გვერდზე, სუპერ თასის გათამაშების ტელერეპორტაჟი. (...)

ძირითადი ამოცანა

მედიასაზოგადოებაში აქტიური მონაწილეობისთვის, ადამიანს უნდა შეეძლოს ერთმანეთისგან განასხვავოს მედიის სახეობები და იცოდეს, როგორ მიუსადაგოს მას ზემოთ მოყვანილი ხუთი ძირითადი კითხვა და ძირითადი ცნებები. მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურის გაკვეთილებზე, ყველას გვაქვს ნასწავლი, როგორ განვასხვავოთ ლექსი ნარკვევისგან, განსაცვიფრებლად ბევრ ადამიანს არ ესმის რა განსხვავებაა ყოველდღიურ გაზეთსა და ბულვარულ გაზეთს შორის.

---

[27] გამოვხატავთ ჩვენს მადლიერებას რენე ჰობსის მიმართ, მისი ნაშრომისთვის, რომელშიც მან მოგვაწოდა ეს ძირითადი კითხვები, რაც თავისთავად შედეგია მისი სწავლებისა და წვრთნის სფეროში მიღებული გამოცდილებისა.

მზარდი ტემპი იმისა, თუ როგორ მყისიერად ხდება ქვეყნის თუ მსოფლიო მასშტაბით განვითარებულ მოვლენებზე საზოგადოების ინფორმირება ტელევიზიისა და ინტერნეტის საშუალებით, ჩვენგან, დღეს, ისე როგორც არასდროს, მოითხოვს ინფორმაციის კონტროლის უნარის ფლობას: როგორ შევამოწმოთ წყაროს უტყუარობა, როგორ შევადაროთ და განვასხვავოთ ერთსა და იმავე მოვლენაზე მიღებული განსხვავებული ინფორმაცია და როგორ აღმოვაჩინოთ მიკერძოებულია იგი თუ პოლიტიკურ კონტროლს ემსახურება. (...)

სამი ნაბიჯი წარმატებისკენ: მედიაწიგნიერების ეფექტური პროგრამის ზოგადი მიმოხილვა

„მედიაწიგნიერების“ ცნება თავის თავში სამ ურთიერთდამოკიდებულ მიდგომას გულისხმობს, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ყველა ასაკის მოქალაქისთვის მედიის შესახებ ცოდნის გადაცემა:

პირველი მიდგომა მდგომარეობს მედიარაციონის დარეგულირებასა და მართვის აუცილებლობის გაცნობიერებაში – რაც ეხმარება მოზარდებს და ოჯახებს გონივრული არჩევანი გააკეთონ და დაარეგულირონ ტელევიზორის, ფილმების ყურებისთვის, ელექტრონული თამაშებისთვის, ვიდეო მასალისა და პრესის გასაცნობად განკუთვნილი დრო.

მეორე მიდგომა მდგომარეობს საჭირო უნარისა და კრიტიკული თვალთახედვის ჩამოყალიბების უნარის განვითარებაში – რაც გულისხმობს ანალიზს და გარკვევას იმისა, თუ რა ქვეტექსტი იმალება მოწოდებული გზავნილის მიღმა, როგორ იქნა იგი ფორმულირებული და რა ინფორმაცია იქნა გამოტოვებული. კრიტიკული თვალთახედვის ჩამოყალიბებას ყველაზე უკეთ ემსახურება პრაქტიკულ მეცადინეობაზე დაფუძნებული სწავლება ან ინტერაქტიულ ჯგუფებში მუშაობა, ისევე როგორც მცდელობა საკუთარი ძალისხმევით შექმნა მედიაგზავნილი.

მესამე მიდგომა – სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ანალიზი – ემსახურება იმ ქვეტექსტის ამოცნობას, რომელიც ჩვენამდე მოსული მედიაგზავნილის მიღმა იმალება და იმის გარკვევას, თუ ვინ ქმნის ამ გზავნილს და რა მიზნით? რა გავლენას ახდენს მედია ჩვენს კულტურაზე და როგორია ჩვენი დამოკიდებულება ისეთი საკითხებისადმი, როგორიცაა მედიაძალადობა, რასობრივი სტერეოტიპების ჩამოყალიბება და მომხმარებელთა ინტერესების სტიმულირება (კონსუმერიზმი).

კვლევით, განხილვითა და პროექტებში მონაწილეობით, როგორც ზრდასრული ასევე მოზარდი მოქალაქეები არკვევენ, თუ ყოველი ჩვენგანი (და ჩვენ ყველა ერთად, როგორც საზოგადოება), როგორ ვიღებთ და აღვიქვავთ მედიასთან შეხებაში მიღებულ ჩვენს გამოცდილებას და როგორ მართავს მასმედია ჩვენს გლობალურ სამომხმარებლო ეკონომიკას. ეს მიდგომა კარგ ფონს ქმნის მედიაპროპაგანდისთვის, რომელიც მიმართულია საჯარო პოლიტიკისა და კორპორატიული საქმიანობის გამოწვევასა და გამოსწორებისაკენ.

თანამედროვე საზოგადოებაში, მედიაწიგნიერების აუცილებლობის პირველ მიზეზად შეიძლება მხოლოდ ტელევიზია და ელექტრონული მედია მივიჩნიოთ, მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, რომ მედიაწიგნიერების პრინციპები და პრაქტიკა მიესადაგება ყველა ფორმისა და კატეგორიის მედიას, დაწყებული ტელევიზიით და დამთავრებული მაისურებით, დაწყებული ბილბორდებით და დამთავრებული ინტერნეტით.

ტექსტის შემოკლებული ვარიანტი
©2003 მედიაწიგნიერების ცენტრი
www.medialit.org/
მედიაწიგნიერებაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ: www.media-awareness.ca/

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, ტომი IV
მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში
სახელმძღვანელო მოსწავლეებისთვის

მასალა მოსწავლეებისთვის

1.1 რომელმა არჩევანმა იქონია გავლენა ჩემზე, როგორც ისეთი პიროვნების ჩამოყალიბებაზე, როგორიც დღეს ვარ – და ვინ გააკეთა ეს არჩევანი?
1.2 სამი არჩევანი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს მომავალს
1.3 სამუშაოს არჩევის ჩემი კრიტერიუმები
1.4 კითხვარი: სამუშაოს შესწავლა სპეციალისტის გამოცდილებაზე დაკვირვებით
2.1 დილემის ცნება
2.2 დილემის ანალიზისა და გადაჭრის საშუალებები
2.3 რა გადაწყვეტილებას მიიღებ? დილემის მაგალითები
2.4 განვიხილავთ დილემას და ვაკეთებთ ჩანაწერებს
2.5 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წლის 10 დეკემბერი)
2.6 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვეცია ((ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია), შესწორებული მე–11 ოქმით, ოქმები 1, 4, 6 (ამონარიდები)) (1950წლის 4 ნოემბერი)
3.1 თავი 3 „მრავალფეროვნება და პლურალიზმი“ გრაფიკი
3.2 ვმონაწილეობთ დემოკრატიულ საზოგადოებაში – ძირითადი წესები და პრინციპები
3.3 პოლიტიკური პარტიის დაფუძნება
3.4 როგორ უმკლავდება დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა მრავალფეროვნებასა და პლურალიზმს?
3.5 საყოველთაო კეთილდღეობის ცნება: დემოკრატიისა და დიქტატურის განმასხვავებელი ნიშანი
3.6 სოციალური წინააღმდეგობებისა და პოლიტიკური პარტიების სქემა
4.1 მაგალითი: კონფლიქტი მეთევზეთა საზოგადოებაში
4.2 მდგრადი განვითარების მიზნების მოდელი
4.3 მდგრადი განვითარების მოდელს ვარგებთ თევზჭერის თამაშს: როგორ დავიჭიროთ „რაც შეიძლება მეტი თევზი“?
4.4 რა არის ოპტიმალური ბალანსი თევზის რეპროდუქციასა და თეზჭერას შორის
5.1 წესების სისტემის შემუშავების შესახებ კონფერენციისთვის მზადება
5.2 ინსტიტუციურ სტრუქტურაში გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები
5.3 წესების სისტემათა შედარება
5.4 პროცედურები კონფერენციისთვის – ვერსია–პროექტი
5.5 დასკვნა: რას გვასწავლის ეს თამაშები?
5.6 თავი 4 და 5, შეჯამება
6.1 პოლიტიკური ციკლის მოდელი: პოლიტიკა, როგორც საზოგადოებაში პრობლემის გადაჭრის პროცესი
6.2 პოლიტიკური ციკლი – პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესზე დაკვირვებისა და მისი შესწავლის საშუალება
6.3 თავი „მთავრობა და პოლიტიკა“ შეჯამება
7.1 უმცირესობისათვის უსამართლოა მაჟორიტარული წესი? მაგალითი
7.2 როგორ ზრუნავს დემოკრატია უმცირესობის დაცვაზე?
7.3 ამოცანა: სპორტული კლუბისთვის წესების სისტემის შემუშავება
7.4 პრეზენტაციის შესახებ ჩანაწერების გაკეთება : მიკროსაზოგადოების წესდების პროექტი
8.1 რჩევები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით
8.2 დებატებში მონაწილეობის წესები

8.3 გეგმის ბლანკი დებატებში მონაწილე გუნდებისთვის
8.4 გეგმის ბლანკი თავმჯდომარეებისთვის
8.5 ბლანკი აუდიტორიისთვის ჩანაწერების გასაკეთებლად
8.6 სამუშაო ფურცელი ახალი ამბების რეპორტიორებისთვის
9.1 კედლის გაზეთის შექმნა –ვაკეთებთ არჩევანს
9.2 რჩევები კედლის გაზეთის გამოცემისთვის
9.3 რჩევები – როგორ დავწეროთ კარგი სტატია

მასალა მოსწავლეებისთვის 1.1

რომელმა არჩევანმა იქონია გავლენა ჩემზე, როგორც ისეთი პიროვნების ჩამოყალიბებაზე, როგორიც დღეს ვარ – და ვინ გააკეთა ეს არჩევანი?

როგორ გამოვიყენოთ ეს ცხრილი: მოიფიქრეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი არჩევანი, რომელმაც განაპირობა თქვენი ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბება, როგორიც დღეს ხართ. არჩევანი, რომელიც თქვენს მიერ იქნა გაკეთებული ჩაწერეთ ცხრილის ზედა ნახევარში, ხოლო არჩევანი, რომელიც სხვა პირმა გააკეთა, ჩაწერეთ ცხრილის ქვედა ნახევარში. თუ მიიჩნევთ, რომ რომელიმე ამ არჩევანთაგანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აღნიშნეთ იგი.



მასალა მოსწავლეებისთვის 1.2

სამი არჩევანი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენ მომავალს

1. რა არჩევანის საშუალებას გვაძლევს ადამიანის უფლებები?

„ყველას აქვს თავსუფლების უფლება...“ (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (1950), მუხლი 5).

„ ყველა აქვს ნებაყოფილობით არჩეული სამუშაოს შესრულების გზით საცხოვრებელი სახსრების გამომუშავების შესაძლებლობა.“ (ევროპის სოციალური ქარტია (1996), ნაწილი 1, #1).

„სრულასაკოვნებას მიღწეულ კაცებსა და ქალებს უფლება აქვთ რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე, დაქორწინდნენ და ოჯახი დააფუძნონ...“ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წელი), მუხლი 16 (1))



2. რას ვირჩევ მე? რა არჩევანი გააკეთეს ჩემმა მშობლებმა?

რას ვირჩევთ მომავლისთვის		ჩემი არჩევანი	დედაჩემის არჩევანი	მამაჩემის არჩევანი
სამივე	პარტნიორი, შვილები და სამუშაო			
სამიდან ორი	პარტნიორი და შვილები			
	პარტნიორი და სამუშაო			
	შვილები და სამუშაო			
სამიდან ერთი	პარტნიორი			
	სამუშაო			
	შვილები			

მასალა მოსწავლეებისთვის 1.3
სამუშაოს არჩევის ჩემი კრიტერიუმები

1. თუ უკვე გაქვთ არჩეული სამუშაო, ჩაწერეთ მიზეზები ქვემოთ მოცემულ ცხრილში, რატომ აირჩიეთ იგი:

სასურველი სამუშაო	ამ სამუშაოს არჩევის ძირითადი მიზეზები	ამ სამუშაოს უარყოფითი მხარე (იმ შემთხვევაში თუ აქვს)

2. დათანხმება ან უარის თქმა შემოთავაზებულ სამუშაოზე (შრომის ბაზრის სიმულაცია)

სამუშაოს შემოთავაზება	მიზეზები, რის გამოც თანხმდებით შემოთავაზებას	მიზეზები, რის გამოც უარს ამბობთ შემოთავაზებაზე

მასალა მოსწავლეებისთვის 1.4
კითხვარი: სამუშაოს შესწავლა სპეციალისტის გამოცდილებაზე დაკვირვებით

მოცემული კითხვარი დაგეხმარებათ დასაწყის ეტაპზე, როდესაც სპეციალისტის გამოცდილებაზე დაკვირვებით სამუშაოს შესწავლის პროექტში მონაწილეობისთვის ემზადებით. თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ ან განავრცოთ იგი საჭიროებისამებრ. მაგალითად, თუ განზრახული გაქვთ მოხსენების დაწერა თქვენი პორტფოლიოსთვის, შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ მოცემულ კითხვარში შესული ძირითადი კითხვებით, რომელიც დაგეხმარებათ შინაარსის ფორმულირებაში.

ზოგადად, კითხვარი საუკეთესო ინსტრუმენტია სამუშაოს ნათლად ჩამოყალიბებული და დეტალური აღწერისთვის. დღიური უფრო იმ შემთხვევისთვის გამოგადგებათ, თუ გსურთ, ჩანაწერები გააკეთოთ სამუშაოზე თქვენი პირადი გამოცდილების შესახებ მაგ. სტაჟირების განმავლობაში.

1. სამუშაო ადგილი

- ვისთან თანამშრომლობთ? ვინ არის დამოკიდებული თქვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე? ვის მიერ შესრულებულ სამუშაოზე ხართ დამოკიდებული?
- თქვენი სამუშაო ადგილი ტიპურ „მუშაობ იმისთვის, რომ იმუშაო“ კატეგორიას განეკუთვნება?
- ...

2. პირადი მოვალეობა და სამუშაო პირობები

- რა თანამდებობა გიკავიათ ამ კომპანიაში/ოფისში/...?
- რამდენად გიწევთ თავად გადაწყვიტოთ, თუ რა სამუშაო შეასრულოთ? თუ ამ გადაწყვეტილებას თქვენ იღებთ, აღწერეთ, როგორ ახორციელებთ ამას? თუ არა - ვინ ადგენს, რა სამუშაო უნდა შეასრულოთ?
- აღწერეთ, რა სახის პასუხისმგებლობა გაკისრიათ.
- რამდენად განაგებთ თქვენს საკუთარ დროს? (სამუშაო დრო, სამუშაო საათები, თავისუფალი დრო, შვებულება.)
- საშუალოდ რამდენ საათს მუშაობთ დღეში/კვირაში?
- ...

3. სამუშაოს სახეობა და ამოცანები

- ძირითადად რა სახის სამუშაოს ასრულებთ?
- აღწერეთ ტიპური სამუშაო დღე ან კვირა.
- აქვს თქვენს სამუშაოს რაიმე გამორჩეული მახასიათებელი?
- ...

4. სამუშაოს მოთხოვნები

- რას უნდა ფლობდეს კარგად პირი, რომელიც თქვენს სამუშაოს ასრულებს, რას არ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა?
- რამდენად საჭიროებს თქვენი სამუშაო ადგილზე ტრენინგს?
- არის რაიმე განსაკუთრებული ტექნოლოგიები ან უნარები, რომელსაც უნდა ფლობდეთ?
- გიწევთ მუშაობა კონკურენტულ გარემოში?
- ...

5. სამუშაოს არჩევა, სამუშაო გამოცდილება

- რა სახის ტრენინგი უნდა გაიაროთ, რომ მოცემული სამუშაოსთვის შესაფერისი იყოთ?
- აღწერეთ თქვენი კარიერის გზა.
- რეკომენდაციას გაუწევთ თუ არა სხვებს გაიარონ იგივე გზა კარიერისკენ, რაც თქვენ განვლეთ? შესაძლებელია ეს დღევანდელ დღეს?
- რა მოსაზრებები, სურვილი და მოლოდინი გამოძრავებდათ, როდესაც ირჩევდით თქვენს კარიერას?
- გაამართლა თქვენმა სამუშაომ თქვენი იმედები?
- საშუალება რომ გქონდეთ, კვლავ იგივე კარიერას აირჩევდით?
- ...

6. სამუშაოს პერსპექტივა

ყურადღებით უნდა გაეცნოთ ბიზნესისა და სამუშაოს სამომავლო პერსპექტივებს. მაგრამ ურიგო არ იქნება ინფორმაცია მოიძიოთ სამუშაოზე დასაქმებული პესონალის მომავალზეც.

- დღეს რამდენი ადამიანის დასაქმებაა საჭირო ამ სამუშაოზე? შესაძლებელია სამომავლო პერსპექტივის განსაზღვრა?
- რას უნდა ფლობდნენ და რა კვალიფიკაცია მოეთხოვებათ მომავალში პირებს, რომელთაც სურვილი ექნებათ, შეასრულონ ეს სამუშაო?
- რა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები ასრულებენ ამ სამუშაოს და როგორია ქალებისა და მამაკაცების თანაფარდობა? *(ამ კითხვაზე პასუხის საშუალებით, თქვენ შეგიძლიათ განსაზღვროთ აღნიშნული სამუშაოს პერსპექტივა მომავალში)*

7. მოიძიეთ ინფორმაცია სხვა წყაროებში

- ქვეყნის ან ადგილობრივი დასაქმების ცენტრები.
- ინტერნეტი.
- ...

დასკვნა

მიზიდავს თუ არა ეს სამუშაო იმ ინფორმაციის მიხედვით, რომელიც მოვიპოვე?

მიუხედავად იმისა, დადებითი იქნება პასუხი თუ უარყოფითი, რა დაედო საფუძვლად თქვენს გადაწყვეტილებას?

ქმედითი და რელევანტური იყო ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც თქვენ ეს სამუშაო აირჩიეთ?

რა თქმა უნდა, გაცილებით სასიამოვნოა, თუ ზემოთ მოცემულ კითხვებზე დადებითი პასუხები გაგაჩნიათ. მაგრამ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენი პასუხები უარყოფითია, შედეგები მნიშვნელოვანია თქვენი, როგორც პიროვნების განვითარებისთვის. თქვენ გაგიმართლათ, რომ არ აირჩიეთ თქვენთვის არასასურველი სამუშაო. თქვენი მოლოდინი ზუსტი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული არ იყო, ხოლო ამჟამად თქვენ უფრო საღი წარმოდგენა გაქვთ იმ კრიტერიუმებზე, რომლითაც უნდა ისარგებლოთ სამუშაოს არჩევისას.

მადლიერების გამოხატვა

თუ თქვენ მოხსენებას წერთ, რათა შემდეგ მას სხვები გაეცნონ (რაც ხშირად ხდება), მადლობა გადაუხადეთ მას, ვინც ეს ინტერვიუ ჩამოგართვათ და ყველა დანარჩენს, ვინც დახმარება გაგიწიათ.

მასალა მოსწავლეებისთვის 2.1
დილემის ცნება

რა არის დილემა?

დილემა არის მდგომარეობა, როდესაც ჩვენ ვდგევართ ორი ალტერნატიული არჩევანის წინაშე და უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება. მაგრამ რომელი არჩევანიც არ უნდა გავაკეთოთ, შედეგები ჩვენთვის მაინც არასასურველი იქნება, ან ვერ გავამართლებთ, მნიშვნელოვან მიზეზთა გამო, მაგალითად:

- მორალური ან რელიგიური მოვალეობები;
- ჩვენი პიროვნებისადმი მოლოდინი (როგორ მოქმედებებს მოელიან სხვები ჩვენგან, როგორც მასწავლებლისგან, სტუდენტისგან, ძმისგან, მეგობრისგან ან პრეზიდენტისგან);
- კანონით დაკისრებული ვალდებულებები (უფლებები და მოვალეობები);
- ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემა:
- ჩვენი პირადი კავშირები ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან:
- ფინანსური მიზეზები (ფულის დაზოგვის საჭიროება, მოგების მიღების შესაძლებლობა);
- პრაქტიკული მიზეზები (მხარს უჭერ ან ეწინააღმდეგები რთული პრობლემის ამგვარ გადაწყვეტას).

როდესაც დილემის წინაშე ვდგავართ, ჩვენ ვაწყდებით იმ პრინციპებსა და მიზნებს შორის კონფლიქტს, რომლებიც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. დილემა თავს იჩენს როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე პოლიტიკაშიც. პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ხშირად უკავშირდება დილემას, ნებისმიერი არჩევანის შემთხვევაში შორს მიმავალი შედეგებით. აქედან გამომდინარე, დილემიდან გამოსავალი არის პრიორიტეტების განსაზღვრა – ერთ მიზანზე ორიენტირება, მეორის დათმობა.ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია კომპრომისების გამოძებნაც.

მაგალითები

ლენას მიერ დადებული პირობა

ლენა რვა წლისაა. მას ძალიან უყვარს ხეზე ცოცვა, რაშიც მთელ სამეზობლოში ბადალი არა ჰყავს. ერთ დღეს იგი ხიდან ვარდება, მაგრამ არაფერი უშავდება. ამ უმნიშვნელო ინციდენტს ლენას მამა ესწრება და ლენას გამო ძალიან ნერვიულობს. იგი სთხოვს ლენას, პირობა დადოს, რომ აღარასოდეს აძვრება ხეზე. ლენა პირობას დებს და შეთანხმების დასადასტურებლად მამას ხელს ართმევს.

იმავე საღამოს ლენა თავის მეგობარს ხვდება. პაულა, მისი საუკეთესო მეგობარი, ძალიან არის შეწუხებული. მისი პატარა კნუტი ხეზე აძვრა და ქვევით ვეღარ ჩამოდის. რაღაც აუცილებლად უნდა იღონონ, სანამ კნუტი ხიდან ჩამოვარდება. ყველა ბავშვისთვის ცნობილია, რომ ლენა საუკეთესოა ხეზე ცოცვაში და პაულაც სთხოვს ლენას კნუტის გადარჩენას.

მაგრამ ლენას ახსოვს მამისათვის მიცემული პირობა. როგორ უნდა მოიქცეს ლენა?

პატიმრის დილემა

პოლიციამ ორი ეჭვმიტანილი დააკავა. არც ერთი მათგანის მსჯავრდებისთვის არ არსებობს საკმარისი სამხილი. პოლიციამ ისინი დააცალკევა და ორივე მათგანს ერთი და იგივე წინადადებით მიმართავს. თუ ერთ–ერთი მათგანი მისცემს ჩვენებას მეორის წინააღმდეგ (უღალატებს თანამზრახველს) და

მეორე დუმილს შეინარჩუნებს (არ გასცემს თანამზრახველს), მოღალატეს გაანთავისუფლებენ, ხოლო მის თანამზრახველს, რომელმაც დუმილი არჩია, 10 წელს მიუსჯიან ციხეში. თუ ორივე მათგანი დუმილის უფლებით ისარგებლებს, ორივეს მხოლოდ ექვსი თვის გატარება მოუწევს ციხეში, მსუბუქი ბრალდებით. თუ ორივე ერთმანეთის წინააღმდეგ მისცემს ჩვენებას, ხუთ–ხუთ წელს გაატარებენ ციხეში. თითოეულმა მათგანმა უნდა გააკეთოს არჩევანი: ან გასცეს თანამზრახველი ან შეინარჩუნოს დუმილი. ორივე მათგანისთვის ცნობილია, რომ თანამზრახველს გამოძიების ბოლომდე არ აცნობებენ გასცა თუ არა მან ის. როგორ უნდა მოიქცნენ პატიმრები?
(წყარო: http://en.wikipedia.org/wiki/Prisoner's dilemma)

მასალა მოსწავლეებისთვის 2.2
დილემის ანალიზისა და გადაჭრის საშუალებები

შემდეგი კითხვები არ ამოწმებს აღქმის მართებულებას, არამედ გვეხმარება პრობლემის ანალიზში. ყველა კითხვა ყველა მაგალითს არ ესადაგება. ამრიგად, თქვენ უნდა შეარჩიოთ, რომელი კითხვებია რელევანტური მოცემულ შემთხვევაში. რამდენიმე კითხვაზე კონცენტრირება უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე ყველა კითხვაზე პასუხის ძიება.

1. შეაგროვე **ინფორმაცია**

   - ვინ არის მონაწილე?
   - რა სურთ მათ? (რა არის მათი უფლებები, მოთხოვნილებები, მიზნები ან ინტერესები?)
   - რა როლს თამაშობს ხალხი?
   - რაში მდგომარეობს პრობლემა/დილემა?
   - რა კავშირი აქვს ამ შემთხვევას ჩემთან?
   - რას გვკარნახობს კანონი? (უნდა შევასრულო კანონიერი მოვალეობა ან დავემორჩილო წესს?)
   - რა ინფორმაციას არ ვფლობთ – რა არის ჩვენთვის გაუგებარი?
   - თუ მოვიპოვებთ გამოტოვებულ ინფორმაციას, რა შედეგს მივიღებთ?
   - ...

2. გაანალიზე **შედეგები**

   - რა არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა არსებობს?
   - რა შედეგს მოიტანს თითოეული ეს არჩევანი და ვისთვის? (გავლენას მოახდენს მათზე, ვისაც უშუალო კავშირი აქვს შემთხვევასთან, სხვა ადამიანებზე, რომლებიც ჩვენ დროში ცხოვრობენ, თუ მომავალ თაობაზე, ადამიანებზე, რომლებიც ჩვენ ირგვლივ არიან, თუ სადმე სხვაგან.)
   - ...

3. ჩამოაყალიბე შენი **პრიორიტეტები**

გადაწყვეტილების მიღებისას რომელი კრიტერიუმია ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგალითად:

   - რამდენად მაქვს გაცნობიერებული ჩემი გადაწყვეტილების შედეგები?
   - რომელი მორალური თუ რელიგიური პრინციპებია ჩემთვის მნიშვნელოვანი?
   - რა არის კანონიერი – რა არის უკანონო?
   - როგორ მიიღებენ სხვები ჩემს გადაწყვეტილებას – და ჩემთვის თუ იქნებოდა მისაღები იგი (სხვის როლში რომ წარმოვიდგინო თავი)?
   - რა არის უფრო ეფექტური (პრობლემის გადაწყვეტა, ფინანსური ასპექტი)?

- რა არის სასურველი თუ არასასურველი სამომავლო შედეგები ან გვერდითი მოვლენები?
- ჩემი გადაწყვეტილება ერთხელ და სამუდამოდ კეთდება თუ მექნება საშუალება შემდგომში შევცვალო იგი?
- ...

4. მიიღე **გადაწყვეტილება**
   - აუცილებელია ერთი მიზნის მიღწევაზე გავამახვილო ყურადღება და უარი ვთქვა სხვა მიზნებზე?
   - არსებობს კომპრომისის შესაძლებლობა?
   - მოცემულ პირობებში, რას მკარნახობს ინტუიცია? რომელი გადაწყვეტილებაა ჩემ პიროვნებასთან ყველაზე ახლოს?
   - ...

მასალა მოსწავლეებისთვის 2.3
რა გადაწყვეტილებას მიიღებ? დილემის მაგალითები

1. სხვისი ნაგავი

ნაგვის პრობლემა ძალიან მწვავედ დგას თქვენს სკოლაში. ამის თაობაზე ბევრი იმსჯელეს, ზოგიერთმა კლასმა წესებიც კი ჩამოწერა დიდ ფურცელზე, რაზეც მოსწავლეებმა საზეიმოდ მოაწერეს ხელი – ჩვენ გვსურს, ჩვენ სკოლაში იყოს სუფთა, მისაღები გარემო და ჩვენ ნაგავს ნაგვის ურნებში მოვათავსებთ. შენ ამ ინიციატივას სერიოზულად შეხვდი, რადგან სულაც არ გსიამოვნებს, უყურო სხვა ადამიანების მიერ დაყრილ ნაგავს.

შესვენებაზე, სკოლის ეზოში სეირნობისას, შენ წააწყდი ქაღალდის პარკების, ხილის ნაფცქვენის და ნახევრად შეჭმული პიცის მოზრდილ გროვას – ცარიელი ურნის გვერდზე. გარშემო უამრავი მოსწავლე ტრიალებს, მაგრამ ნაგავი მათი დაყრილი შეიძლება სულაც არ იყოს. რას მოიმოქმედებ? აკრიფავ ნაგავს თუ დატოვებ იქ, სადაც ყრია?

2. ჩემი საუკეთესო მეგობარი ნარკოტიკებით ვაჭრობს

შენი საუკეთესო მეგობარი სკოლის შემოგარენში ნარკოტიკებით ვაჭრობაშია ეჭვმიტანილი. შენთვის ცნობილია, რომ ეს მხოლოდ ეჭვები არ არის. სკოლის დირექტორი სერიოზულად არის შეშფოთებული ამ ამბის გამო, ვინაიდან მას სურს დაიცვას სკოლის მოსწავლეები და განსაკუთრებით პატარა ასაკის მოსწავლეები ნარკოტიკების საფრთხისგან. გარდა ამისა, არანაირი სურვილი არა აქვს მედიასაშუალებებით მის სკოლაზე ცუდი ინფორმაცია გავრცელდეს. მისთვის ცნობილია თქვენი მეგობრობის შესახებ და თავის ოფისში გიბარებს.

თუ გაამხელ, რაც შენთვის ცნობილია, შენ მეგობარს სკოლის დატოვება მოუწევს და, შესაძლოა, სასამართლოს წინაშეც წარდგეს. თუ ჩვენებას არ მისცემ, ამით კანონს არღვევ და შესაძლოა თავადაც შეგექმნას პრობლემები. ამ სიტუაციაში კომპრომისი გამორიცხულია, ან ამბობ იმას, რაც იცი, ან - არა.

სიტუაციას ისიც ამძიმებს, რომ შენ არ იცი, რას მოიმოქმედებს შენი მეგობარი. არაფერს იტყვის ბოლომდე, თუ აღიარებს ყველაფერს, სასჯელის შემსუბუქების პირობით?

3. მეგობარს მატარებელზე აგვიანდება

ზამთრის ცივი დილა გათენდა. 6 საათია. მართვის მოწმობა სულ რაღაც სამი თვის წინ აიღე და საჭეს ჯერ კარგად ვერ ფლობ. ამჯერად მეგობარი მიგყავს შენი მანქანით რკინიგზის სადგურში. სანამ გზას შეუდგებოდით, საქარე მინიდან ყინულის აფხეკვა მოგიწია, გზაში - ბენზინგასამართ სადგურზე გაჩერება.

გაგვიანდებათ. რკინიგზის სადგური 3 კილომეტრშია და შენი მეგობრის მატარებელი 10 წუთში გადის. თან ბილეთიც უნდა იყიდოს.

დაშვებული სიჩქარე ქალაქის ტერიტორიაზე, როგორც წესი, 50 კმ/სთ–ა. როგორც ჩანს, გზა თავისუფალია. „მიდი რა, ცოტა დაუჩქარე“, გთხოვს მეგობარი. რას მოიმოქმედებ?

4. რომელი ბანანი ვიყიდო?

სუპერმარკეტში ხილის ყიდვა გინდა. ბანანის ორი პარტია იყიდება; ორივე კარგი ხარისხის არის – მწიფე და საღი. ბანანის ერთი პარტია შედარებით იაფი ღირს, ვიდრე მეორე. პარტიას, რომელიც ცოტა ძვირია, წარწერა აქვს „ვაჭრობა ურთიერთხელსაყრელობის პრინციპზე“, და საინფორმაციო ბუკლეტში კითხულობ, რომ შენ მიერ გადახდილი თანხის გარკვეული ნაწილი მოხმარდება წვრილ ფერმერებს საზღვარგარეთ. მათ კაპიტალი სჭირდებათ, რათა თავიანთი ბანანის პლანტაციები ააღორძინონ – ჩვენი სტანდარტებით, უმნიშვნელო თანხა. რომელ ბანანს იყიდი?

მასალა მოსწავლეებისთვის 2.4

განვიხილავთ დილემას და ვაკეთებთ ჩანაწერებს

(მასალა მოსწავლეებისთვის 2.3–ზე დაყრდნობით)

მაგალითი 1: სხვისი ნაგავი	
არჩევანი	**გადაწყვეტილება და მიზეზები**
ჩავყარო ნაგავი სანაგვე ურნაში *ან* დავტოვო ნაგავი იქ, სადაც არის *ან* ...?	
მაგალითი 2: ჩემი საუკეთესო მეგობარი ნარკოტიკებით ვაჭრობს	
არჩევანი	**გადაწყვეტილება და მიზეზები**
მოვახსენო მასწავლებელს ის, რაც ვიცი *ან* შევინახო საიდუმლო *ან* ...?	
მაგალითი 3: მეგობარს მატარებელზე აგვიანდება	
არჩევანი	**გადაწყვეტილება და მიზეზები**
ვიმოძრაო 50 კმ/სთ სიჩქარით და არ გადავაჭარბო დაშვებული სიჩქარის ზღვარს *ან* მაღალი სიჩქარით ვმართო მანქანა *ან* ...?	

მაგალითი 4: რომელი ბანანი ვიყიდო?	
არჩევანი	**გადაწყვეტილება და მიზეზები**
ვიყიდო იაფი ბანანი *ან* ვიყიდო ყველაზე ძვირი ბანანი *ან* ...?	
(სხვა შემთხვევა)	
არჩევანი	**გადაწყვეტილება და მიზეზები**
(სხვა შემთხვევა)	
არჩევანი	**გადაწყვეტილება და მიზეზები**

მასალა მოსწავლეებისთვის 2.5
ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წლის 10 დეკემბერი)

პრეამბულა

ვინაიდან ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობის და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს;

ვინაიდან ადამიანის უფლებათა უგულებელყოფამ და აბუჩად აგდებამ გამოიწვია ბარბაროსული აქტები, რაც აღაშფოთებს კაცობრიობის სინდისს და რომ ისეთი მსოფლიოს შექმნა, რომელშიც ადამიანებს ექნებათ სიტყვისა და რწმენის თავისუფლება და რომელშიც ისინი იცხოვრებენ შიშისა და გაჭირვების გარეშე, გამოცხადებულია როგორც ადამიანთა მაღალი მისწრაფება;

ვინაიდან აუცილებელია უფლებებს იცავდეს კანონის ძალა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადამიანი იძულებული არ გახდეს მიმართოს აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ;

ვინაიდან აუცილებელია ხელის შეწყობა ხალხათა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებისათვის;

ვინაიდან გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების და კაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობისადმი და გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთეს დონეს მეტი თავისუფლების პირობებში;

ვინაიდან წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას;

ვინაიდან ასეთ უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ვალდებულების მთლიანად შესრულებისათვის;

გენერალური ასამბლეა აცხადებს:

ადამიანის უფლებათა ამ საყოველთაო დეკლარაციას ისეთ ამოცანად, რომლის შესრულებას უნდა ელტვოდეს ყველა ხალხი და სახელმწიფო, რათა ყოველი ადამიანი და საზოგადოების ყოველი ორგანო, ნიადაგ გაითვალისწინებს რა ამ დეკლარაციას, მიისწრაფოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათი საყოველთაო და ეფექტიანი აღიარება-განხორციელების უზრუნველყოფას ნაციონალური თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით, როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ხალხებში, ასევე ამ სახელმწიფოების იურისდიქციისადმი დაქვემდარებულ ტერიტორიათა ხალხებში.

მუხლი 1

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.

მუხლი 2

ამ დეკლარაცით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავების, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის,

ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

გარდა ამისა, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს ტერიტორია - დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდული თავის სუვერენიტეტში.

მუხლი 3

ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

მუხლი 4

არავინ არ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობით მორჩილების მდგომარეობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია.

მუხლი 5

არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული წამება ან სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი.

მუხლი 6

ყოველ ადამიანს, სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, იმის უფლება აქვს, რომ აღიარებულ იქნეს მისი სამართალსუბიექტობა.

მუხლი 7

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან.

მუხლი 8

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეფექტიანად იქნეს აღდგენილი უფლებებში კომპეტენტური ნაციონალური სასამართლოების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციით თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები.

მუხლი 9

არავის დაპატიმრება, დაჭერა ან გაძევება არ შეიძლება თვითნებურად.

მუხლი 10

ყოველ ადამიანს მის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისათვის და მისთვის წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის დასადგენად აქვს, სრული თანასწორობის საფუძველზე, იმის უფლება, რომ მისი საქმე საქვეყნოდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით გაარჩიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

მუხლი 11

1. ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა დადგენილი არ იქნება კანონიერი წესისამებრ

საჯარო სასამართლო განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.

2. არავის არ შეიძლება მსჯავრი დაედოს დანაშაულისათვის რაიმე ისეთი მოქმედების ჩადენის საფუძველზე, ანდა ისეთი უმოქმედობისათვის, რომელიც ჩადენის დროს არ შეადგენდა დანაშაულს ნაციონალური კანონის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არ შეიძლება აგრეთვე უფრო მძიმე სასჯელის დადება, ვიდრე ის, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო იმ დროს, როცა ჩადენილ იქნა დანაშაული.

მუხლი 12

არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივისა და რეპუტაციისა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან.

მუხლი 13

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად იცვლიდეს ადგილსამყოფელს და ირჩევდეს თავის საცხოვრებელ ადგილს ყოველი სახელმწიფოს ფარგლებში.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დატოვოს ყოველი ქვეყანა, მათ შორის თავისიც, და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.

მუხლი 14

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეძიოს დევნისაგან თავშესაფარი სხვა ქვეყნებში და ისარგებლოს ამ თავშესაფრით.

2. ეს უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი დევნის შემთხვევაში, რომლის საფუძველს ნამდვილად წარმოადგენს ჩადენა არაპოლიტიკური დანაშაულისა, ანდა ქმედებისა, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 15

1. ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება.

2. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება თავისი მოქალაქეობის შეცვლისა.

მუხლი 16

1. სრულასაკოვნებას მიღწეულ კაცებსა და ქალებს უფლება აქვთ რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე, დაქორწინდნენ და ოჯახი დააფუძნონ. ისინი სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით დაქორწინებისას, ქორწინებაში ყოფნის დროს და განქორწინებისას.

2. დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მექორწინე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობისას.

3. ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივ.

მუხლი 17

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად.

2. არავის არ უნდა ჩამოერთვას ქონება თვითნებურად.

მუხლი 18

ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში ღთვისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წესჩვეულებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით.

მუხლი 19

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

მუხლი 20

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა.

2. არავის იძულება არ შეიძლება რაიმე ასოციაციაში შესასვლელად.

მუხლი 21

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.

3. ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა; ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების პირობებში, ფარული კენჭისყრით, ანდა სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.

მუხლი 22

ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნების თავისუფალი განვითარებისათვის.

მუხლი 23

1. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურებისა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

3. ყოველ მუშაკს აქვს უფლება იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისთვის და მისი ოჯახისათვის და რომელსაც, როცა აუცილებელია, ემატება სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.

4. ყოველ ადამიანს აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს პროფესიულ კავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.

მუხლი 24

ყოველ ადამიანს აქვს დასვენებისა და მოცალეობის უფლება სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვისა და ანაზღაურებული პერიოდული შვებულების უფლების ჩათვლით.

მუხლი 25

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურეობის ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცობულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

2. დედობა და ჩვილი ყრმის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით.

მუხლი 26

1. ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება დაწყებითი და ზოგადი მაინც, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი - ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის თითოეულის უნარისამბერ.

2. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადმიანის უფლებათა ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

3. მშობლებს აქვთ პრიორიტეტის უფლება აირჩიონ რა სახის განათლებაც სურთ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის.

მუხლი 27

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკბებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით.

2. ყველა ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორს იგი წარმოადგენს.

მუხლი 28

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ისეთ სოციალურ და საერთაშორისო წესრიგზე, რომლის პირობებშიც შესაძლებელია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილი უფლებათა და თავისუფლებათა მთლიანად განხორციელება.

მუხლი 29

1. ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.

2. თავისი უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, როგორიც კანონითაა დადგენილი მარტოოდენ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საყოველთაო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.

3. ამ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება არვითარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 30

ამ დეკლარაციაში არაფერი არ უნდა განიმარტოს, როგორც მინიჭება რომელიმე სახელმწიფოსათვის, პირთა ჯგუფისა თუ ცალკეული პიროვნებისათვის უფლებისა, ეწეოდნენ ისეთ საქმიანობას ან ჩაიდინონ ისეთი მოქმედება, რომლებიც მიმართულია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მოსასპობად.

მასალა მოსწავლეებისთვის 2.6

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვეცია (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია), შესწორებული მე–11 ოქმით, ოქმები 1, 4, 6 (ამონარიდები)

რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი

ქვემორე ხელმომწერი მთავრობები, რომლებიც არიან ევროპის საბჭოს წევრები,

ითვალისწინებენ 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ გაცხადებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას;

მხედველობაში იღებენ, რომ ეს დეკლარაცია მიზნად ისახავს მასში გაცხადებულ უფლებათა საყოველთაო და ეფექტიანი აღიარებისა და დაცვის უზრუნველყოფას;

ითვალისწინებენ, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო მეტი ერთიანობის მიღწევა და რომ ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება არის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და მათი შემდგომი განხორციელება;

კვლავ ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას იმ ძირითადი თავსუფლებებისადმი, რომელთაც ეფუძნება სამართლიანობა და მშვიდობა მსოფლიოში და რომელთა დაცვა საუკეთესოდ ხორციელდება, ერთი მხრივ, ეფექტიანი დემოკრატიული პოლიტიკითა და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთო გაგებითა და მათი უზრუნველყოფით, რასაც ისინი ემყარებიან;

როგორც მთავრობები იმ თანამოაზრე ევროპული ქვეყნებისა, რომელთაც აქვთ პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავსუფლებისა და სამართლის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობა, შემართულნი არიან, გადადგან პირველი ნაბიჯები საყოველთაო დეკლარაციით გაცხადებულ გარკვეულ უფლებათა კოლექტიური განხორციელებისათვის, და

თანმხდებიან შემდეგზე:

მუხლი I – ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულება

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I თვაში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

თავი I - უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 2 – სიცოცხლის უფლება

1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი. სიცოცხლის ხელყოფა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვილო განაჩენის აღსრულების შედეგად, ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.

2. სიცოცხლის ხელყოფა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებელობას წარმომადგენდა:

   ა. ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;

   ბ. კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;

   გ. კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.

მუხლი 3 – წამების აკრძალვა

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.

მუხლი 4 – მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა

1. არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში;

2. არავის შეიძლება მოეთხოვოს იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება;

3. ამ მუხლის მნიშვნელობით ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო სამუშაო" არ მოიცავს:

ა. ნებისმიერ სამუშაოს, რომლის შესრულებაც, ჩვეულებრივ სავალდებულოა პატიმრობისას, რომელიც შეფარდებულია წინამდებარე კონვენციის მე-5 მუხლის დებულებების შესაბამისად ან ასეთი პატიმრობიდან პირობითი თავსუფლების განმავლობაში;

ბ. სამხედრო ხასიათის ნებსმიერ სამსახურს, ან სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვალდ დაკისრებულ სამსახურს იმ ქვეყნებში, სადაც შინაგანი მრწამსის გამო, სამხედრო სამსახურის გავლაზე უარის თქმის უფლება აღიარებულია;

გ. ნებსმიერ სამსახურს, რომელიც დაკისრებულია საგანგებო მდგომარეობის ან უბედურების დროს, რომელიც საფრთხეს უქმინის ხალხის სიცოცხლეს ან კეთილდღეობას;

დ. ნებისმიერ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ ვალდებულებებს განეკუთვნება.

მუხლი 5 – თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავსუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, ესენია:

ა. უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება;

ბ. პირის კანონიერი დაკავება ან დაპიტიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

გ. პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებმოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა;

დ. არსრულწლოვანის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან მისი კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად;

ე. პირთა კანონიერი დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა თუ მაწანწალების კანონიერი დაპატიმრება;

ვ. პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, ან იმ პირის დაკავება თუ დაპატიმრება, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები დეპორტაციისა თუ ექსტრადიციის მიზნით.

2. ყველა დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის (გ) ქვეპუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასმართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.

4. ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.

5. ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევის გამო, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

მუხლი 6 – სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

1. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნოობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.

2. ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

ა. მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

ბ. ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

გ. დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

დ. დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში;

ე. ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან ილაპარაკოს ამ ენაზე.

მუხლი 7. – არავითარი სასჯელი კანონის გარეშე

1. არავინ შეიძლება მიიჩნიონ ბრალეულად რაიმე დანაშაულის ჩადენაში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ჩადენის დროს არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს.

2. ეს მუხლი ხელს არ შეუშლის ნებისმიერი პირის გასამართლებასა და დასჯას რომელიმე მოქმედების ან უმოქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის მიიჩნეოდა დანაშაულად ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების მიხედვით.

მუხლი 8 – პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

მუხლი 9 – აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებირივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის, ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

მუხლი 10 – გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად,

ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 11 – შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა, აგრეთვე სხვებთან გაერთიანების თავისუფლებისა, მათ შორის, უფლება პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანებისა საკუთარი ინტერესების დასაცავად.

2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დაწესება ამ უფლებათა განხორციელებაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოს, დააწესოს კანონიერი შეზღუდვები ამ უფლებათა განხორციელებაზე შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ.

მუხლი 12 – ქორწინების უფლება

საქორწინო ასაკის მამაკაცსა და ქალს აქვთ ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება, ეროვნული კანონების შესაბამისად, რომლებიც აწესრიგებს ამ უფლების განხორციელებას.

მუხლი 13 – სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება

ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.

მუხლი 14 – დისკრიმინაციის აკრძალვა

ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.

...

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი

პარიზი, 1952 წლის 20 მარტი

...

მუხლი 1 – საკუთრების დაცვა

ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით

სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 2 – განათლების უფლება

არავის შეიძლება ეთქვას უარი განათლების უფლებაზე, ნებისმიერი ფუნქციის განხორციელებისას, რომელსაც სახელმწიფო კისრულობს განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით, ის პატივს სცემს მშობელთა უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება.

მუხლი 3 – თავისუფალი არჩევნების უფლება

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოების არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას.

...

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი N 4

სტრასბურგი, 1963 წლის 16 სექტემბერი

...

მუხლი 2 – მიმოსვლის თავსუფლება

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს უფლება ამ ტერიტორიის ფარგლებში თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებისა.

2. ყველა თავსუფალია, დატოვოს ნებსმიერი, მათ შორის, საკუთარი ქვეყანა.

3. დაუშვებელია ამ უფლებათა განხორციელებაზე რაიმე შეზღუდვის დაწესება, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

4. 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები გარკვეულ რაიონებში ასევე შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს, რომლებიც დაწესებულია კანონის შესაბამისად და გამართლებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო ინტერესებით.

მუხლი 3 – მოქალაქეთა გაძევების აკრძალვა

1. არავინ შეიძლება გააძევონ ინდივიდუალური თუ კოლექტიური ღონისძიების გამოყენებით იმ სახელმწიფოს ტერიტორიიდან, რომლის მოქალაქეც ის არის.

2. არავის შეიძლება ჩამოერთვას იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის უფლება, რომლის მოქალაქეც ის არის.

მუხლი 4 – უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა

უცხოელთა კოლექტიური გაძევება აკრძალულია.

...

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვეციის ოქმი N 6

სტრასბურგი, 1983 წლის 28 აპრილი

...

მუხლი 1 – სიკვდილით დასჯის გაუქმება

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. არ შეიძლება , ვინმეს შეეფარდოს სიკვდილით დასჯა ან ვინმეს მიმართ აღსრულდეს ასეთი განაჩენი.

...

წყარო: www.echr.coe.int/echr/Homepage_EN

ეს არის ადამიანის უფლებათა ვროპული სასამართლოს ვებგვერდი. ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის თარგმანი წევრი ქვეყნების ენაზე ხელმისაწვდომია PDF ფორმატში.

მასალა მოსწავლეებისთვის 3.1

თავი 3 „მრავალფეროვნება და პლურალიზმი“ გეგმა

	დღის წესრიგი: მოლაპარაკებების გზით საერთო განმარტების შემუშავება იმის თაობაზე, თუ რა არის საყოველთაო კეთილდღეობა	დრო (წუთებში)
გაკვეთილი 1	**ინდივიდუალურ მოსაზრებათა მრავალფეროვნება: მოსწავლეები განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ პრიორიტეტებს**	
	1. მოსწავლეები განსაზღვრავენ პოლიტიკურ მიზნებს.	25 წთ
	2. მოსწავლეები აანალიზებენ საკუთარ გადაწყვეტილებებს.	15 წთ
გაკვეთილი 2	**პლურალიზმი: მოსწავლეები აყალიბებენ პარტიებს საკუთარი მიზნების მისაღწევად**	
	1. მოსწავლეები განსაზღვრავენ საკუთარი პარტიების პროფილს.	15 წთ
	2. პოლიტიკური მოვლენა: პარტიები აკეთებენ საკუთარი პროფილის პრეზენტაციას.	10 წთ
	3. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს საყოველთაო კეთილდღეობის ცნებას.	5 წთ
	4. მოსწავლეები განიხილავენ საკუთარ სტრატეგიებს მოლაპარაკებების საწარმოებლად.	10 წთ
გაკვეთილი 3	**მოლაპარაკებები: შეგვიძლია ჩვენ (ან უმრავლესობას) პოლიტიკურ მიზნებზე (საყოველთაო კეთილდღეობაზე) შეთანხმებას მივაღწიოთ?**	
	1. მოსწავლეები განსაზღვრავენ საკუთარ მიზნებს.	10 წთ
	2. მოსწავლეები მოლაპარაკებებს აწარმოებენ მრგვალ მაგიდასთან.	30 წთ
გაკვეთილი 4	**შეჯამება**	
	1. მოსწავლეები აჯამებენ საკუთარ გამოცდილებას.	20 წთ
	2. შემდგომი განხილვა.	15 წთ
	3. მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს.	5 წთ

მასალა მოსწავლეებისთვის 3.2
ვმონაწილეობთ დემოკრატიულ საზოგადოებაში – ძირითადი წესები და პრინციპები

დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობა საყოველთაო კეთილდღეობაზე მოლაპარაკებებში მონაწილეობას გულისხმობს

დემოკრატიულ საზოგადოებაში, ყველას – პიროვნება იქნება ეს თუ ჯგუფი – შეუძლია მონაწილეობა მიიღოს და წამოაყენოს საკუთარი ინტერესები და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები. საბოლოო გადაწყვეტილება შესაძლოა ჩვენს მიზნებს სრულად არ ემსახურებოდეს, მაგრამ თუ არ მივიღებთ მონაწილეობას, არავინ გაითვალისწინებს ჩვენს ინტერესებს.

დემოკრატიულ საზოგადოებაში გადაწყვეტილებების მიღება და პრობლემის გადაჭრა ხდება ინტერესებისა და მოსაზრებების დაპირისპირებითა და კონკურენციის პირობებში. თანხმობა მიღწევა ხორციელდება კომპრომისის საფუძველზე, რომელიც მისაღებია ყველა პარტიისა თუ უმრავლესობისთვის. სწორედ ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება დროებით მიჩნეული იყოს, როგორც საყოველთაო კეთილდღეობის განსაზღვრება.

დაპირისპირება და პოლიტიკური კონკურენცია წარმოშობს ბრძოლის ელემენტს. აქედან გამომდინარე ფრიად მნიშვნელოვანია, პოლიტიკურ ასპარეზზე მყოფი ყველა მხარე შეთანხმდეს წესების სისტემაზე, რომელიც დაფუძნებული იქნება ურთიერთპატივისცემის პრინციპზე.

დემოკრატიულ საზოგადოებაში მოლაპარაკებებისა და დაპირისპირების ძირითადი წესები და პრინციპები

1. გარკვეულობა და ურთიერთპატივისცემა

> „მე არ ვიზიარებ შენს მოსაზრებას,
> მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე დავიცავ შენს უფლებას, გამოთქვა იგი.“
> ვოლტერი (1694 – 1778)

ამ ციტატის აზრი იმაში მდომარეობს, რომ შენ განსხვავებული ინტერესებისა და შეხედულებების მატარებელ პირებს აღიქვამ შენს მოწინააღმდეგედ და არა შენს მტრად. შენ არ იბრძვი, არამედ ერთვები სპორტული შეჯიბრების მსგავს დაპირისპირებაში.

2. ადამიანის უფლებები ყველას ეხება

ადამიანის უფლებათა დაცვა გამორიცხავს ძალადობას. პოლიტიკური კონკურენცია წარმოებს სიტყვების, არგუმენტების, მოსაზრებების გაცვლა–გამოცვლის საშუალებით და ადამიანების დარწმუნების უნარისა და გონებრივი შესაძლებლობების დემონსტრირებით.

3. კომპრომისზე წასვლის სურვილი

☺ ☺ ეცადე ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომ ყველა მხარე მოგებული აღმოჩნდეს.

😐 😐 თუ ეს არ გამოდის, ეცადე ყველა მხარე თავის წილ დათმობაზე წავიდეს.

☺ ☹ ერიდე ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ერთ მხარეს მოგებულ, ხოლო სხვა მხარეს წაგებულ პოზიციაზე დატოვებს, არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება მოგებული და ვინ წაგებული.

4. რჩევები მოლაპარაკებების წარმოებისთვის

გონებაში ნათლად ჩამოაყალიბე შენი მიზნები. მონაწილე, რომელმაც კარგად იცის რა უნდა, ხშირად მხოლოდ ამ მიზეზით აღწევს წარმატებას.

შეეცადე გაიგო სხვების თვალსაზრისი. ყურადღება გაამახვილე იმაზე, თუ რა არის მათ მოსაზრებაში შენთვის მისაღები, ნაცვლად იმისა, რაც შენთვის მიუღებელია – ეძიე საერთო ინტერესები და პრობლემები და ეცადე მათზე გაამახვილო ყურადღება. მაგრამ ნათლად გამოთქვი ის, რაც შენთვის მნიშვნელოვანია. ნუ დათანხმდები გადაწყვეტილებას, რომელიც შენი აზრით უსამართლო ან არაეფექტურია, და ნურც სხვებს შესთავაზებ მსგავს გადაწყვეტილებებს.

ეცადე ყურადღება გაამახვილო საკითხებზე, რომელიც კომპრომისის საშუალებას იძლევა, რაც შეიძლება იქნეს გაზომილი ან ციფრებში გამოხატული – მაგალითად, რესურსების, ფულის, მიწის ან დროის განაწილება. ერიდე ისეთ საკითხებზე კამათს, როგორიცაა კანის ფერი, ეთნიკური წარმომავლობა და ა. შ.

მასალა მოსწავლეებისთვის 3.3
პოლიტიკური პარტიის დაფუძნება

1. დღის წესრიგის პროექტი

1. აირჩიეთ თავმჯდომარე, მომხსენებელი, მენეჯერი და ორი საქმის მწარმოებელი (იხ. ქვევით მოცემული ინსტრუქციები როლების გადანაწილებაზე).
2. შეთანხმდით დღის წესრიგის პროექტზე – შესწორებებით ან მის გარეშე (კენჭისყრის საფუძველზე).
3. რა მიზნით გავერთიანდით?
   – რა არის ჩემთვის პრიორიტეტული? ყველა მოსწავლე საუბრობს მისთვის პრიორიტეტულ საკითხზე. არ ხდება მათი განხილვა.
4. განვსაზღვრავთ ჩვენი პარტიის **პოლიტიკურ პროფილს**:

– რა არის ჩვენი პოლიტიკური თვალთახედვა? გვინდა მივიღოთ ოთხი ძირითადი თვალთახედვიდან ერთ–ერთი? თუ ვერ ვაკეთებთ არჩევანს? გვჭირდება ჩამოვაყალიბოთ ახალი თვალთახედვა?

– რა არის ჩვენი ძირითადი საზრუნავი? მაგალითად, გვაღელვებს ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ბედი? ან რომელიმე მწვავე პრობლემა ან საკითხი? რა დონეზე მოგვიწევს მუშაობა – ადგილობრივ, ეროვნულ, საერთო ევროპულ თუ გლობალურ დონეზე?

– რას დავარქმევთ ჩვენს პარტიას? რომელი სახელწოდება ესადაგება ჩვენ პროფილს ყველაზე მეტად? (ფურცელზე დატანილი სახელწოდება მოათავსეთ თქვენს მაგიდაზე ან თქვენს უკან კედელზე).

5. **მიზნები:** რა არის ჩვენთვის ყველაზე პრიორიტეტული? გვაქვს თუ არა შემდგომი მიზნები?
6. **სტრატეგია:** როგორ მოვიპოვოთ მხარდაჭერა?
   – ვინ იზიარებს ჩვენს მიზნებს – ვინ იზიარებს ჩვენს თვალთახედვას?
   – რა დათმობაზე შეგვიძლია წასვლა? რას ვერ დავთმობთ?

2. ინსტრუქციები როლების გადანაწილებაზე

თავმჯდომარე

დემოკრატიულ საზოგადოებაში ორგანიზაციები, როგორიცაა პოლიტიკური პარტიები, უნდა ფუნქციონირებდნენ, როგორც დემოკრატიული მიკროსაზოგადოებები (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 3.1) თქვენი ამოცანაა, დარწმუნდეთ, რომ შეხვედრის დროს პროცედურები და ადამიანის უფლებები დაცულია, მაგალითად ყველას აქვს თანაბარი შესაძლებლობა გამოთქვას საკუთარი მოსაზრება.

თქვენ პასუხისმგებელი ხართ შეხვედრის დღის წესრიგზე. თუ დისკუსია ჩიხში შედის, რადგან ერთდროულად განიხილება რამდენიმე საკითხი, თქვენ ამის შესახებ აცნობებთ თქვენს გუნდს და მოუწოდებთ, მათ იმ თანმიმდევრობით განიხილონ საკითხები, რომელსაც თქვენ სთავაზობთ.

მომხსენებელი და საქმის მწარმოებლები

თქვენ წარმოადგენთ დამაკავშირებელ რგოლს თქვენს პარტიასა და საზოგადოებას შორის, რომელიც პასუხისმგებელია მასზედ, რომ „პროდუქტი“, რომელსაც თქვენი პარტია „აწარმოებს“, მისაღები იქნება საზოგადოებისთვის და კარგად „გაიყიდება“ – თქვენი პარტიის სახელწოდება, თქვენი მიზნის ან მიზნების შესახებ გაკეთებული განცხადება. შეძლებს თუ არა საზოგადოება გაგიგოთ თქვენ? მისაღები და მოსაწონი იქნებით საზოგადოებისთვის?

თქვენ უნდა წარმოადგინოთ თქვენი პარტია მესამე გაკვეთილზე დაგეგმილ საჯარო თავშეყრაზე. სცადეთ, მიმართოთ მოსწავლეებს, რომლებიც ჯერ არ გაწევრიანებულან თქვენ პარტიაში და სცადეთ გადმოიბიროთ სხვა პარტიის წევრები, განსაკუთრებით ისინი, ვინც თქვენს თვალსაზრისს ნაწილობრივ მაინც იზიარებს. ჰკითხეთ მასწავლებელს, რამდენი დრო გაქვთ ამისთვის.

ჯგუფმა უნდა გადაწყვიტოს, თუ რა გზით განახორციელონ საქმის მწარმოებლებმა და პარტიის წევრებმა პარტიის რეკლამირება, მაგ. ფლაერებისა ან პოსტერების შექმნით. ჰკითხეთ მასწავლებელს რა მასალის გამოყენება შეგიძლიათ, ან თვითონ მოიმარაგეთ მასალა.

მენეჯერი

თავმჯდომარე პასუხისმგებელია უზრუნველყოს პროცესების დემოკრატიულად წარმართვა, თქვენი ფუნქციაა უზრუნველყოთ პროცესების ქმედითუნარიანობა. თქვენ უნდა აკონტროლოთ დრო, რომელსაც თქვენი პარტია შეხვედრებსა და მოლაპარაკებებს უთმობს და უზრუნველყოთ პროცესების დროული განხორციელება.

რჩევა: შეხვედრის დაწყებამდე შესთავაზეთ დღის წესრიგზე დამატებითი დრო. ჩაერიეთ, თუ მიიჩნევთ რომ თქვენი ჯგუფი დიდ დროს ანდომებს ერთი საკითხის განხილვას და შესთავაზეთ მათ დღის წესრიგში ცვილებების შეტანა. ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას, როგორ იმოქმედოს, ხოლო თქვენ აწვდით მათ ვარიანტებს.

მასალა მოსწავლეებისთვის 3.4
როგორ უმკლავდება დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა მრავალფეროვნებასა და პლურალიზმს?



გაკვეთილი 1

პირები საუბრობენ თავიანთ განსხვავებულ ინტერესებსა და მიზნებზე

გაკვეთილი 2

ინტერესთა გაერთიანება წარმომადგენლობითი წესით (პარტიები, ლობისტთა ჯგუფები ან არასამთავრობო ორგანიზაციები) ან პირდაპირი წესით (რეფერენდუმი)

გაკვეთილი 3

შედეგი არის პოლიტიკური გადა–წყვეტილება, რომელიც საზოგადოე–ბაზე ახდენს გავლენას. საზოგადოების რეაგირება სათავეს უდებს ახალ შედეგებს.

ყველა მხარე თანხმდება წესებსა და პრინციპებზე:

- პიროვნული ღირსებების ურთიერთპატივისცემა;
- ადამიანის უფლებები;
- ძალადობის გამორიცხვა;
- ინტერესებსა და მიზნებს შორის კონკურენცია;
- კომპრომისზე წასვლისთვის მზადყოფნა;
- კენჭისყრა;
- შეთანხმება მასზედ, თუ რა არის საყოველთაო კეთილდღეობა, მიიღწევა მოლაპარაკების გზით და არ არის თავს მოხვეული რომელიმე მხარის მიერ.

მასალა მოსწავლეებისთვის 3.5
საყოველთაო კეთილდღეობის ცნება: დემოკრატიისა და დიქტატურის განმასხვავებელი ნიშანი

> *La multitude qui ne se rŭduit pas a l'unitŭ est confusion;*
> *l'unitŭ qui ne dŭpend pas de la multitude est tyrannie.*
> სამართლიანობა ძალადობის გარეშე უძლურია, ხოლო
> ძალადობა სამართლიანობის გარეშე- ტირანია.
> ბლეზ პასკალი (1623–62)

პლურალურ, დემოკრატიულ საზოგადოებაში საყოველთაო კეთილდღეობის თაობაზე შეთანხმება ხდება მოლაპარაკების საშუალებით.	ავტორიტარული მმართველობისა და დიქტატურის პირობებში ხდება საყოველთაო კეთილდღეობის დაწესება და თავს მოხვევა.
	
შედეგი წინასწარ არავისთვის არის ცნობილი (AB?). ყოველთვის არის საშუალება შედეგების გამოცდისა და არა ვართ დაზღვეულნი შეცდომის დაშვებისაგან. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილებები ხანდახან შეიძლება შეიცვალოს, ხანდახან არის ამის აუცილებლობა. პოლიტიკა არის კოლექტიური სწავლის პროცესი, რომელიც ხორციელდება დებატების საშუალებით; საბოლოოდ მიღებულ უნდა იყოს გადაწყვეტილება.	D1: ღვთისმიერ ბოძებული შორსმჭვრეტელობით ან მეცნიერული კვლევით (მაგ. მარქსიზმ–ლენინიზმი) ხდება საყოველთაო კეთილდღეობის ობიექტურად განსაზღვრა. ამის უფლება აქვს მხოლოდ სათავეში მყოფ ელიტას (D2). საყოველთაო კეთილდღეობა, როგორც მიზანი ამართლებს ყველა საშუალებას, მათ შორის ძალის გამოყენებასაც, რათა დაძლეულ იქნეს ოპოზიცია(X). D1 ან D2 –ს ყველა ოპონენტი მიჩნეულია მტრად.
პლურალისტულ, დემოკრატიულ საზოგადოებაში, ადანიანთა ჯგუფებს წინა პლანზე გამოაქვთ თავიანთი განსხვავებული მიზნები, ინტერესები და ფასეულობები (მიზნები A და B). ყოველი ჯგუფი ცდილობს მიაღწიოს საკუთარ მიზანს (a1, a2, b1, b2), რომ საბოლოო გადწყვეტილება მათ სასარგებლოდ იქნეს მიღებული (AAB? – BBA?). პლურალიზმი შობს კონკურენციასა და დაპირისპირებას. თავისუფალი მედია ხელს უწყობს ცოცხალ დებატებს.	დიქტატურის პირობებში, ჯგუფები ან ინდივიდები, რომლებიც ალტერნატივას წამოაყენებენ ან კრიტიკულ მოსაზრებას გამოთქვამენ ჩახშობილ არიან (X-სიმბოლო). მონაწილეობის უფლება მხოლოდ რეჟიმის მომხრეთა პრეროგატივაა. მედია მკაცრი ცენზურის ქვეშ არის. მმართველი წყვეტს თუ რომელი პრობლემა, ინტერესი თუ მიზანი დააყენოს პოლიტიკურ დღის წესრიგში.
დაპირისპირება აუცილებელი და ნაყოფიერია შეთანხმებისა და კომპრომისის მისაღწევად. მიღებული გადაწყვეტილებები ყოველთვის ღიაა კრიტიკული შეფასებებისთვის.	თანხმობა არის მმართველის მიერ ძალად თავსმოხვეული და წინასწარ განსაზღვრული. დაპირისპირება მიჩნეულია დისჰარმონიად და საფრთხედ, ვინაიდან ძნელია მისი კონტროლი.

მასალა მოსწავლეებისთვის 3.6
სოციალური წინააღმდეგობებისა და პოლიტიკური პარტიების სქემა



ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს რამდენიმე ძირითად კონფლიქტთა ერთობლიობა, რასაც წინააღმდებობებს უწოდებენ.

მემარცხენეებსა და მემარჯვენეთა შორის წინააღმდეგობა ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაშია, სადაც თავისუფალი ვაჭრობის სისტემა მოქმედებს. ეს წინააღმდეგობა 19–ე საუკუნეში ინდუსტრიული რევოლუციიდან იღებს სათავეს.

დანარჩენი ორი წინააღმდეგობა უფრო მოგვიანებით წარმოიშვა.

წინააღმდეგობას „გარემოს დაცვა ეკონომიკური ზრდის წინააღმდეგ“ 1970–იან წლებში დაედო საფუძველი.

„ძლიერი სახელმწიფო სამოქალაქო უფლებების წინააღმდეგ“ აქტუალური გახდა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ გაჩაღებულ ტერორიზმთან ბრძოლის პერიოდში.

პოლიტიკურ პარტიათა სისტემა ასახავს ამ წინააღმდეგობებს. პარტიები წარმოადგენენ გარკვეულ ჯგუფთა ინტერესებს და წინა პლანზე გამოაქვთ ესა თუ ის წინააღმდეგობა.

ყოველ საზოგადოებას გააჩნია მისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობის სისტემა. რაც უფრო მეტი წინააღმდეგობა არსებობს საზოგადოებაში, მით უფრო ძნელია მისი მართვა.

მასალა მოსწავლეებისთვის 4.1
მაგალითი: კონფლიქტი მეთევზეთა საზოგადოებაში



I. მეთევზეთა საზოგადოება

წარმოიდგინეთ თევზით სავსე დიდი ტბა. მის ნაპირას ოთხ პატარა სოფელში ცხოვრობენ მეთევზეები – მეთევზეთა საზოგადოება. თითოეული სოფელი ნავით აგზავნის ეკიპაჟს თევზის დასაჭერად. მეთევზეები პერიოდულად აწარმოებენ სეზონის დახურვას, აძლევენ რა თევზს გამრავლების საშუალებას. ამ დროს ისინი საკუთარი ნავების და თევზსაჭერი ბადეების შეკეთებით არიან დაკავებულნი. მათ ერთადერთ საარსებო წყაროს თევზი წარმოადგენს. იმას, რასაც თავიანთ ოჯახებთან ერთად არ მიირთმევენ, ახლომდებარე ბაზარზე ყიდიან. თევზის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლით მეთევზეები იკვებებიან, იმოსებიან და ინახავენ ოჯახებს. მათი ცხოვრების დონე საშუალო, მაგრამ საკმარისია.

II. კონფლიქტი რესურსების არასწორი მართვის გამო

ბოლო ორი სამი წლის განმავლობაში სერიოზული კონფლიქტი წამოიჭრა მეთევზეთა საზოგადოებაში. მეთევზეთა რამდენიმე ეკიპაჟმა საკუთარი შემოსავლების გაზრდა მეტი თევზის დაჭერით გადაწყვიტა. წარმოების მაჩვენებელი დაეცა და თევზის მარაგი განახევრდა სამი წლის განმავლობაში. მეთევზეთა საზოგადოება მთელი რიგი პრობლემების წინაშე დგას.

1. თევზის პოპულაციის შემცირება, სრული გადაშენების საფრთხით;

2. თევზის წარმოების საერთო მოცულობის შემცირება;

3. სხვაობა ორ მდიდარ და ორ ღარიბ მეთევზეთა სოფელს შორის (წარმატებულები და წარუმატებლები);

4. მეთევზეთა სოფლებს შორის ძალადობრივი კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე.

ეს არის კონფლიქტი რესურსების არასწორი მართვის გამო. იგი ემყარება სამ ფაქტორს, რომლებიც ერთმანეთს აძლიერებს:

1. არსებობს მოტივი, რომელიც აქეზებს მეთევზეებს, დაიჭირონ მეტი თევზი;

2. არ არსებობს წესები, ასე რომ, მეთევზეებს შეუძლიათ აკეთონ ის, რაც სურთ;

3. მეთევზეთა ეკიპაჟები ერთმანეთთან არ ურთიერთობენ.

III. კონფლიქტის ანალიზი („დიაგნოზი“)

1. მოტივი, რომელიც აქეზებს მეთევზეებს, დაიჭირონ მეტი თევზი

ყველა მეთევზემ იცის, რომ მეთევზეთა საზოგადოება ტბაში თევზის მარაგზეა დამოკიდებული და, აქედან გამომდინარე, მართებულია, თევზს რეპროდუქციისა და თევზის პოპულაციას აღდგენის საშუალება მიეცეს.

მეორე მხრივ, ყველა მეთევზესთვის ისიც არის ცნობილი, რომ თუ მისი ეკიპაჟი ერთით მეტ თევზს დაიჭერს, ამით სავარაუდოდ თევზის პოპულაციას არაფერი დააკლდება, სამაგიეროდ, შემოსავლის კუთხით, სარგებელს ნახავს მეთევზეთა ეკიპაჟი, მაშინ, როცა ხარჯები – თევზის მარაგის თვალსაზრისით – აისახება მეთევზეთა მთელ საზოგადოებაზე. დამატებითი შემოსავლებისა და დამატებითი ხარჯების ასეთი არათანაბარი გადანაწილება იმ მეთევზეთა წისქვილზე ასხამს წყალს, რომლებიც მეტ თევზს იჭერენ. ეს არის მოტივი იმისათვის, რომ მეთევზეებმა ინტენსიურად ითევზაონ. ინდივიდუალური მეთევზის თვასაზრისით, მეტი თევზის დაჭერა გონივრული გადაწყვეტილებაა.



ერთი ეკიპაჟი სხვაზე მეტ თევზს იჭერს: დამატებითი შემოსავლების, დამატებითი ხარჯების და დამატებითი მოგების არათანაბარი გადანაწილება

ეს მოტივი ყველა მეთევზისთვის არის ცნობილი, და ასევე ყველამ კარგად იცის, რა მოჰყვება და რა შედეგები აქვს თითოეული მათგანის ქმედებას. დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ მოხდეს ყველაზე უარესი რამ – ყველა მეთევზე ერთნაირად მოიქცეს, და ეცადოს დაიჭიროს რაც შეიძლება მეტი თევზი. შედეგად თევზის პოპულაცია ვეღარ შეძლებს აღდგენას. ამოქმედდება მოჯადოებული წრის პრინციპი, ვინაიდან, შემოსავლებში საკუთარი დანაკლისის შესავსებად, მეთევზეები შეეცდებიან კიდევ უფრო მეტი და მეტი თევზი დაიჭირონ.

2. წესების არარსებობა

მეთევზეების მოქმედებებს წესების არარსებობა განაპირობებს – არა ხელმძღვანელობა, არა უსაფრთხოება, არა საერთო მიზნები, არა სანქციები. აქედან გამომდინარე ყველა მეთევზე ისე მოქმედებს, როგორც მას სურს და რასაც იგი დაიჭერს მხოლოდ მას ეკუთვნის.

არსებულ გარემოებებში, მეთევზეთა მოქმედება გასაკვირი არ არის – მათი მოქმედების შედეგები მეთევზეთა საზოგადოებასა და თევზის პოპულაციაზე, მეორე მხრივ, კატასტროფულია.

3. კომუნიკაციის დეფიციტი

მეთევზეები ჯერჯერობით ერთმანეთს არ შეხვედრიან და მათ შორის არ შემდგარა დიალოგი არსებულ სიტუაციაზე. ისინი მოქმედებენ ისე, როგორც მათ უმჯობესად მიაჩნიათ და რეაგირებენ სხვა ეკიპაჟების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

4. რესურსების არასწორი მართვის შედეგები

მდგრადი განვითარების მოდელი დაგვეხმარება აღვწეროთ ის ზიანი, რომელიც მეთევზეთა მიერ რესურსების არასწორმა მართვამ მოიტანა და შესაძლოა დაგვეხმაროს შევიმუშაოთ ალტერნატიული პოლიტიკის მოდელი (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 4.2 და 4.4).

IV. კონფლიქტის მოგვარება

კონფლიქტის „დიაგნოზი“ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „თერაპიის“ შერჩევის დროს.

მასალა მოსწავლეებისთვის 4.2
მდგრადი განვითარების მიზნების მოდელი



როგორ გავშიფროთ დიაგრამა

მოდელი აერთიანებს მდგრადი განვითარების სამ მიზანს და ათავსებს მათ ისტორიულ და გლობალურ განზომილებებში:

1. „გარემო“: ბუნებრივი გარემოსა და რესურსების დაცვა;
2. „ეკონომიკა“: ეკონომიკური ზრდა (პროდუქტიულობა, მწარმოებლურობა, სიმდიდრე);
3. „საზოგადოება“: სოციალური ინტეგრაცია, კეთილდღეობის სამართლიანი გადანაწილება:

ორმხრივი ისრები მაჩვენებელია იმისა, რომ მიზნებმა, რომელთაც ეს ისრები აკავშირებს, შეიძლება ერთმანეთი ასაზრდოონ ან გამორიცხონ.

მასალა მოსწავლეებისთვის 4.3

მდგრადი განვითარების მოდელს ვარგებთ თევზჭერის თამაშს: როგორ დავიჭიროთ „რაც შეიძლება მეტი თევზი“?

მდგრადი განვითარების მოდელის მიზნები	რას უნდა მივაღწიოთ თევზჭერის თამაშში
ეკონომიკა: ეკონომიკური ზრდა, კეთილდღეობის ამაღლება	
საზოგადოება: საქონლის განაწილება საზოგადოებაში	
გარემო: ბუნებრივი გარემოსა და რესურსების დაცვა	
გრძელვადიანი სტაბილურობა: მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა დღეს და სამომავლოდ	
...	

მასალა მოსწავლეებისთვის 4.4
რა არის ოპტიმალური ბალანსი თევზის რეპროდუქციასა და თეზჭერას შორის

თევზის პოპულაცია დიდი ან მცირე რაოდენობით თევზის ახალ პოპულაციას გვაძლევს, რაც ტბაში თევზჭერის სეზონის შემდეგ დარჩენილი თევზის რაოდენობაზეა დამოკიდებული. რა რაოდენობის თევზის პოპულაცია უნდა იყოს ტბაში, რომ დიდი რაოდენობით თევზის ახალი პოპულაცია მოგვცეს? ამ კითხვაზე პასუხი არის თევზჭერის სამომავლო განვითარების ამოცანის გადაჭრა.

თევზის პოპულაციის აღდგენა (ტონებში)



თევზის მარაგი სეზონის დასასრულს (ტონებში)

თევზის მარაგი სეზონის დასასრულს	აღდგენა (თევზის ახალი პოპულაცია)	თევზის მარაგი ახალი სეზონის დასაწყისში
80	29	109
85	31	116
90	34	124
95	39	134
96	**40**	136
97	**41**	138
98	**42**	140
99	**42**	141
100	**42**	142
101	**41**	142
102	**40**	142
103	**40**	143
104	39	143
105	39	144
110	36	146
115	32	147
120	28	148

ცხრილში ნაჩვენებია თევზის პოპულაციის **აღდგენის შესაძლო უმაღლესი დონე.** ეს დონე საუკეთესოა თევზჭერის სამომავლო განვითარებისთვის.

მასალა მოსწავლეებისთვის 5.1
წესების სისტემის შემუშავების შესახებ კონფერენციისთვის მზადება

განრიგი

ჩარჩო	დღის წესრიგი	მასალა და რესურსები
გაკვეთილი 1	სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება. ყოველ ჯგუფში შედის ერთი წევრი მეთევზეთა თითოეული სოფლიდან.	მასალა მოსწავლეებისთვის 5.1; 5.2.
გაკვეთილი 1 გაკვეთილი 2	ჯგუფები ადგენენ წესების სისტემის პროექტებს. ჯგუფები ამზადებენ პრეზენტაციებს. საზოგადოების წევრები იმუშავებენ კონფერენციის გამართვის პროცედურებისა და კენჭისყრის წესებს.	მასალა მოსწავლეებისთვის 5.2; 5.4. განცხადებების დაფა და მარკერები
გაკვეთილი 3	*პლენარული სხდომა:* ჯგუფები წარადგენენ თავიანთ პროექტებს. საზოგადოების წევრები ადარებენ წესების სისტემის პროექტებს და მსჯელობენ მათზე. საზოგადოების წევრები განიხილავენ, რომელი პროექტი მიიღონ.	მასალა მოსწავლეებისთვის 5.3.
გაკვეთილი 4 კონფერენცია	*კონფერენცია:* საზოგადოების წევრები საკუთარ გამოსვლებში მათ მიერ მოწონებულ მოდელზე საუბრობენ. წესების სისტემის მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით. ისინი ხელს აწერენ მიღებული დოკუმენტის ორიგინალს. *ანალიზი* მოსწავლეები ფიქრობენ და აანალიზებენ თავიანთ გამოცდილებას.	მასალა მოსწავლეებისთვის 5.4. A4 ფორმატის თეთრი ფურცლები, საწერკალმები, მარკერები.

რა არის გადაწყვეტილების მიღების თამაშის დანიშნულება?

მეთოდი, რომელიც გამოყენებულია ზემოთ მოყვანილ განრიგში წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების გათამაშებას. მიზეზი, თუ რატომ ავირჩიეთ ეს მეთოდი, გახლავთ შემდეგი:

თამაში მოდელის ფუნქციას ასრულებს. მასში შესულია რეალობის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომელთა წარმოჩინება ხდება მკვეთრად, ბევრი დეტალის გამოტოვების ხარჯზე. ყველა ქვეყანას გააჩნია რაიმე ტიპის ძირითადი სისტემა, კონსტიტუცია, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისა და კონფლიქტის მოგვარების წესებს ადგენს. ამგვარი სტრუქტურის გარეშე, საზოგადოების წევრების არ გააჩნიათ მხარდაჭერა კონფლიქტის მოგვარებაში და ისინი მიმართავენ ძალადობას.

როდესაც დემოკრატიულ საზოგადოებაში იღებ მონაწილეობას, შენ სარგებლობ უფლებით, რომელიც მონიჭებული გაქვს შენი ქვეყნის კონსტიტუციით. საუკეთესო გზა იმის გასაცნობიერებლად, თუ როგორ მოქმედებს წესებისა და კანონების სისტემა შენს ქვეყანაში, არის - თავად შექმნა მსგავსი სისტემა. ეს თამაში, გადაწყვეტილების მიღებაზე, სწორედ ამ ამოცანას სახავს.

მასალა მოსწავლეებისთვის 5.2
ინსტიტუციურ სტრუქტურაში გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები

წესების სისტემის შექმნის პროცესში გიწევთ რამდენიმე მნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთება. თქვენ ირჩევთ რომელი მმართველობის (გადაწყვეტილების მიღების) მოდელია თქვენთვის სასურველი და ვის ეკუთვნის დაჭერილი თევზი. მოცემულ ძირითად ფორმაზე დაყრდნობით თქვენ შეგიძლიათ შექმნათ სხვადასხვა კომბინაცია და მიიღოთ სრულიად განსხვავებული გადაწყვეტილებები.

მმართველობა / საკუთრება	იერარქია (ხელისუფლება)	თანამშრომლობის ქსელი
კერძო საკუთრება		
საზოგადოებრივი საკუთრება		

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია სხვადასხვა არჩევანზე

1. ვირჩევთ მმართველობის მოდელს

ძირითადი ფაქტორი	**სახელმწიფო**	**ადგილობრივი ქსელები**
ძირითადი კონცეფციები	ძალაუფლება და ხელისუფლება	პირადი ურთიერთობები, კომუნიკაცია და საერთო ინტერესები
სისტემის პრინციპის შემუშავება	იერარქია (ზევიდან ქვევით)	პარტნიორობა (ერთიანი ხედვა)
ძლიერი მხარეები	მშვიდობა და უსაფრთხოება კანონები ნათლად განსაზღვრავს რისი გაკეთების უფლება აქვს ადამიანს და რისი არა კანონის დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია მათი გატარება	პრობლემების გადაწყვეტისა და ადამიანთა ინტერესების დაცვის დიდი გამოცდილება და მოქნილობა იმპროვიზირებისა და მყისიერი რეაგირების თავისუფლება
სუსტი მხარეები და რისკები	ძალის ბოროტად გამოყენების საფრთხე სიხისტე/მოუქნელობა სუსტი სტიმული პირადი ინიციატივებისთვის	„ვეტოს უფლებით მოსარგებლეებს“ შეუძლიათ დაბლოკონ გადაწყვეტილება კანონის გატარება ძნელია მათი დარღვევის შემთხვევაში
საშუალებები	დემოკრატია და ადამიანის უფლებები კანონის უზენაესობა კონსტიტუციით უზრუნველყოფილი კონტროლი და ბალანსი	მორალური სანქციები პასუხისმგებლობის კულტურა

2. საკუთრების საკითხი: ვის ეკუთვნის დაჭერილი თევზი?

ორი ძირითადი არჩევანი და რამდენიმე კრიტერიუმი განსჯისთვის

	კერძო საკუთრება	საზოგადოებრივი საკუთრება
ქონების განკარგვის წესები	ყველა მეთევზეს ეკუთვნის თევზის ის რაოდენობა, რომელსაც იგი დაიჭერს მას შეუძლია გამოიყენოს მის მიერ დაჭერილი თევზი, როგორც სურს	ყველა მეთევზეს მის მიერ დაჭერილი თევზი მიაქვს საზოგადოების წარმომადგენელთან ამის შემდეგ თევზის საერთო რაოდენობა ნაწილდება საზოგადოების წევრებზე
მეთევზეთა მოტივი		
გავლენა თევზის წარმოების საერთო მოცულობაზე		
გავლენა თევზის პოპულაციის მარაგზე		

3. რა უნდა გავითვალისწინოთ სისტემის შექმნისას

- გაქვთ სურვილი განსაზღვროთ მიზანი, რომელიც მიღწეული უნდა იყოს?
- ვინ ფლობს გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლებას?
- გსურთ გქონდეთ კანონის გატარების საშუალებები?
- არსებობს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საფრთხე?
- ...

მასალა მოსწავლეებისთვის 5.3
წესების სისტემათა შედარება

შედარების კრიტერიუმები	ჩვენი პროექტი	სხვა მეთოდები		
		# 1	# 2	# 3
ა. საფუძვლები იერარქია				
ქსელი				
კერძო საკუთრება				
საზოგადოებრივი საკუთრება				
კომენტარი				
ბ. წესები მიზნები				
ძალაუფლება გადაწყვეტილებაზე				
კანონის გატარება				
ძალაუფლების ბოროტად გამოყენება				
...				
კომენტარი				

მასალა მოსწავლეებისთვის 5.4
პროცედურები კონფერენციისთვის –ვერსიის პროექტი

შეთანხმება პროცედურებზე

1. საზოგადოება ამტკიცებს პროცედურათა პროექტს კენჭისყრის საფუძველზე, 50% ან მეტი ხმის მიღებით.

2. თუ პროექტში ცვლილების თაობაზე შემოთავაზება არ არის, მისი დამტკიცება შესაძლებელია ერთჯერადი კენჭისყრით. ცვლილებების შეტანაზე იმართება ცალკე კენჭისყრა.

თავმჯდომარე

3. საზოგადოება ერთ თავის წევრს ხმათა უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარედ. თავმჯდომარეს აქვს პროექტზე კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება, მაგრამ შეუძლია უარი თქვას მომხსენებლის ფუნქციის შესრულებაზე (წესი # 5).

საბოლოო განაცხადის გაკეთება

4. საზოგადოების წევრები ხელის აწევით ადასტურებენ თუ რომელ პროექტს უჭერენ მხარს. ისინი ქმნიან პარტიებს, რომელიც ლობირებას გაუწევს მათ პროექტს.

5. მომხსენებელი არაუმეტეს 2 წუთის განმავლობაში გამოდის საკუთარი პარტიის სახელით და პარტიის ინტერესების დასაცავად.

6. კენჭისყრის პროცესში დებატები წყდება

ხმის მიცემის პროცედურა

7. ხმის მიცემა: საზოგადოების წევრები პროექტს ამტკიცებენ კენჭისყრის საფუძველზე. ყველა ხმას თანაბარი ძალა აქვს. კენჭისყრა წარმოებს ხელის აწევით.

8. ორ ეტაპიანი გადაწყვეტილება: კენჭისყრა პროექტზე მიმდინარეობს ორ რაუნდად.

   8.1 პირველი რაუნდი: საზოგადოების წევრები ხმას აძლევენ ერთ–ერთ პროექტს.

   8.2 მეორე რაუნდი: ორი პროექტი, რომელმაც დააგროვა ხმების უმეტესობა, ხელმეორედ დგება კენჭისყრაზე. საზოგადოება ამტკიცებს იმ პროექტს, რომელიც მიიღებს ხმების უმრავლესობას.

   8.3 თუ ორივე პროექტი ხმების თანაბარ რაოდენობას მიიღებს, გადაწყვეტილება შეჩერებულია განმეორებით კენჭისყრამდე.

დოკუმენტაცია და ავტორიზაცია

9. პროექტის დოკუმენტის შემდგენი დოკუმენტის ბოლოში სვამს თარიღს და დაიტანს კონფერენციის ადგილის სახელწოდებას.

10. საზოგადოების ყველა წევრი ხელს აწერს დოკუმენტს.

მასალა მოსწავლეებისთვის 5.5
დასკვნა: რას გვასწავლის ეს თამაშები?

1. საზოგადოების განვითარება: პრობლემებისა და მათი გადაჭრის შედეგი

პრობლემა	პრობლემის გადაჭრა
როგორ გადავირჩინოთ თავი?	უნდა გამოვიყენოთ ის ბუნებრივი რესურსი, რომელიც გაგვაჩნია – თევზი.
როგორ მოვაგვაროთ ზედმეტ თევზჭერასთან დაკავშირებული ჩვენი კონფლიქტი?	1. გვჭირდება მდგრადი განვითარების კონცეფცია. 2. გვჭირდება წესები ერთმანეთში კომუნიკაციისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების დასარეგულირებლად.
1. როგორ გვესმის მდგრადი განვითარება?	გვჭირდება რამდენიმე მიზნის შეწონასწორება. ფაქტობრივად, უნდა ვაწარმოოთ იმდენი თევზი რამდენის საშუალებასაც გვაძლევს თევზის პოპულაცია, მისი შემცირების გარეშე. ეს იქნება მომავალი სტაბილურიბის გარანტი. წარმოებული პროდუქტი სამართლიანად უნდა გავინაწილოთ.
2. რა სახის წესები გვჭირდება?	წესების სისტემის შექმნისას, არჩევანი უნდა გავაკეთოთ სხვადასხვა პრინციპებს შორის – შევქმნათ სახელმწიფო თუ თანაბარუფლებიანთა კავშირი.
როგორ ავიცილოთ თავიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება?	ერთ პიროვნებას არ უნდა გადაეცეს დიდი ძალაუფლება. კონსტიტუცია იძლევა ამ ამოცანის გადაჭრის შემდეგ საშუალებებს: კონტროლი და ბალანსი, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებებისათვის სამოქალაქო უფლებების სტატუსის მინიჭება, ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდის განსაზღვრულობა, რეფერენდუმები, კანტონალური და ფედერაციული ავტონომია, თავისუფალი პრესა და მედია.
ვინ წყვეტს წესების როგორი სისტემა გვექნება?	ჩვენ ყველა ერთად. ჩვენ ვადგენთ სტრუქტურათა პროექტებს, შემდეგ ვაკეთებთ არჩევანს და მონაწილეობას ვიღებთ ამ პროექტებზე კენჭისყრაში.
როგორ ვმართოთ პროცესი სამართლიანად და ქმედითუნარიანად?	ვადგენთ დღის წესრიგს. ჩვენ გვჭირდება წინასწარ შეთანხმებული პროცედურების სისტემა.

2. დასკვნა

1. პოლიტიკა წარმოადგენს იმ პრობლემების მოსაგვარებლად გაწეულ ძალისხმევას, რომელიც ჩვენ საყოველთაო კეთილდღეობასა და გადარჩენას ეხება. ინსტიტუციები, როგორიცაა, წესების სისტემა, პრობლემის მოგვარების საშუალებებს წარმოადგენენ. თუ ისინი იმ მიზანს არ ემსახურება, რისთვისაც შეიქმნა, შეიძლება, და აუცილებელია, რომ შეიცვალოს.

2. კონფლიქტი სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ვინაიდან შეუძლებელია კონფლიქტის სრულებით აღმოფხვრა, შეგვიძლია ვაკონტროლოთ მისი გამანადგურებელი პოტენციალი.

3. როგორც თევზაობის თამაშის, ასევე გადაწყვეტილების მიღების თამაშის სტრუქტურა შეიძლება განვიხილოთ როგორც მოდელი. ისინი ზედმიწევნით კარგად აღწერენ საზოგადოების, როგორც პრობლემათა და გადაწყვეტილებათა სისტემის ჩამოყალიბების ისტორიულ რეალობას.

4. ამ თამაშებსა და რეალობას შორის ორი მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. პირველი, რეალურ გარემოში, ჩვენ არ ვფლობთ ისეთ ზუსტ მონაცემებს ჩვენს განკარგულებაში არსებული ბუნებრივი რესურსების შესახებ, როგორც ეს თამაშშია მოცემული. მეორე, დემოკრატიული საზოგადოებები დემოკრატიული ფესვებიდან არ აღმოცენებულა. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ჩამოყალიბება კონფერენციების საშუალებით კი არ ხორციელდება, არამედ კონფლიქტების.

მასალა მოსწავლეებისთვის 5.6
თავი 4 და 5, შეჯამება

ეს კითხვარი დაგეხმარებათ შეაფასოთ თუ რა ისწავლეთ. იგი ასევე ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას მიაწვდის მასწავლებელს იმის შესახებ, თუ რისი გაუმჯობესება შეიძლება მომავალში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების თვალსაზრისით. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენეთ ფურცლის უკანა გვერდი ან დამატებითი ფურცელი.

1. რა მომეწონა ყველაზე მეტად:

2. რა არ მომეწონა:

3. ყველაზე მნიშვნელოვანი და/ან საინტერესო რამ რაც ვისწავლე:

4. რაზე ვიმუშავებდი სიამოვნებით ამის შემდგომ:

5. რას ვფიქრობ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში თამაშების გამოყენებაზე:

6. რჩევები მასწავლებელს:

   ა) რამ იმუშავა კარგად –რისი შეცვლა არ არის საჭირო?

   ბ) რისი გაუმჯობესება შეიძლება:

7. რას დავამატებდი:

მასალა მოსწავლეებისთვის 6.1

პოლიტიკური ციკლის მოდელი: პოლიტიკა, როგორც საზოგადოებაში არსებული პრობლემის გადაჭრის პროცესი



მასალა მოსწავლეებისთვის 6.2
პოლიტიკური ციკლი – პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესზე დაკვირვებისა და მისი შესწავლის საშუალება

კონცეფციები და ძირითადი კითხვები *შეცვალეთ კითხვები საჭიროებისამებრ*	**შენიშვნები**	**ინფორმაციის წყარო**
1. თემა რა საკითხია წამოჭრილი?		
2. პრობლემა ვინ ადგენს დღის წესრიგს? რაში მდგომარეობს პრობლემა? ყველა მომხრე შეთანხმებულია პრობლემის განმარტებაზე?		
3. დებატები ვის ეხება პრობლემა? რა არის მომხრეთა ინტერესები და ღირებულებები?		
4. გადაწყვეტილება რა არის გამოსავალი? რომელიმე ინტერესს პრიორიტეტი მიენიჭა თუ კომპრომისის საფუძველზე მოხდა გადაწყვეტილების მიღება?		
5. განხორციელება როგორ ხორციელდება გადაწყვეტილება? ვინ არის ჩართული ამ პროცესში ან პასუხისმგებელი? არის პრობლემები ან კონფლიქტები?		
6. მოსაზრებები რომელი პიროვნებები, მომხრეები, ჯგუფები და ა.შ. უჭერენ მხარს ან აკრიტიკებენ შედეგებს? რა არის მათი ღირებულებები, იდეოლოგია და ინტერესები?		
7. რეაქცია როგორია მათი რეაქცია? (ინდივიდუალური, კოლექტიური) რა საშუალებებს იყენებენ ძალაუფლების და ზეწოლის განსახორციელებლად?		
8. ახალი პრობლემა, ძველი პრობლემა, თუ პრობლემის გადაჭრა? ახალი დებტების გამართვის აუცილებლობა წამოიჭრა? რაში მდგომარეობს პრობლემა? ახალი პრობლემა წამოიჭრა, თუ ისევ ძველი დგას დღის წესრიგში? თუ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელმაც დაასრულა პროცესი?		

მასალა მოსწავლეებისთვის 6.3 კლასი:
თავი „მთავრობა და პოლიტიკა“ შეჯამება თარიღი:

1. სამიზნე დაფა (5: სრულიად ვეთანხმები – 1: სრულიად არ ვეთანხმები)



2. ჩემი პირადი მოსაზრება

2.1. ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი რაც ვისწავლე:

2.2. რა შეიძლება დავასახელო, როგორც არასაინტერესო და უსარგებლო:

მასალა მოსწავლეებისთვის 7.1
მაჟორიტარული წესი – უმცირესობისათვის უსამართლოა? მაგალითი

სპორტულ კლუბში უმრავლესობა ფრენბურთის მოყვარულია და შედარებით მცირე რაოდენობით ჭადრაკის მოყვარული. ორივე ჯგუფი მონაწილეობს ჩემპიონატში და ორივემ წარმატებით მოახერხა ახალი წევრების მოზიდვა. ყოველი წევრი ყოველწლიურად თანაბარი ოდენობის საწევროს იხდის. წელიწადში ერთხელ, ტარდება შეხვედრა, სადაც წევრები ხმის უმრავლესობით იღებენ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიყენონ დაგროვილი თანხა. ფრენბურთის მოთამაშეებს მოთხოვნების გრძელი სია აქვთ, ახალი ბურთების შეძენა რეგულერულად, ახალი აღჭურვილობა მათი გუნდისთვის და ფრენბურთის მოედანის განახლება. ჭადრაკის მოთამაშეებს სჭირდებათ საწვრთნელი მასალა დამწყებთათვის, წიგნები და ჟურნალები და აგრეთვე უფრო დიდი სივრცე და მეტი ჭადრაკის დაფა ფიგურებით, მაგიდები და სკამები, რაც ჭადრაკის მოთამაშეთა მზარდ რაოდენობას დააკმაყოფილებს.

როგორც ფრენბურთელთა, ასევე მოჭადრაკეთა წარმომადგენლები კრებაზე სიტყვით გამოდიან და აყალიბებენ მათი გუნდების მოთხოვნებს. შემდეგ მიმდინარეობს გადაწყვეტილების მიღება ხმათა უმრავლესობით. ყოველ წელს მოჭედრაკეებს ხმათა რაოდენობით ფრენბურთელები ამარცხებენ. მთელი თანხა ხმარდება ფრენბურთელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მოჭადრაკეებს უწევთ იმას დასჯერდნენ რაც აქვთ.

მოჭადრაკეები იმედგაცრუებულნი არიან და მათი მოთმინების ფიალა აივსო. მათ მიერ შეტანილი თანხებიც ხომ ფრენბურთელების მოთხოვნების დაკმაყოფილებას ხმარდება. ისინი თავს მეორეხარისხოვან წევრებად გრძნობენ. ზოგიერთმა მათგანმა უკვე გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ცალკე კლუბად გამოეყონ ფრენბურთელებს.

ფრენბურთელთა უმრავლესობას ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. მართვის სადავეები უმრავლესობის ხელშია – ეს არის დემოკრატია. თუ ხმების რაოდენობით დამარცხდი – ეს თამაშის ნაწილია. მაგრამ ფრენბურთელთა გუნდის ზოგიერთი წევრი მიიჩნევს რომ, ეს მიდგომა ძალიან მარტივია, და სამართლიანი თამაში გულისხმობს, რომ მოჭადრაკეთა ინტერესებიც უნდა იყოს გათვალისწინებული. მაგრამ როგორ?



სპორტული კლუბის სტრუქტურა პლურალიზმის მარტივი მაგალითია. პლურალისტულ საზოგადოებებს ერთნაირი სტრუქტურა აქვთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ისინი უფრო რთულ სტრუქტურებს წარმოადგენენ. სხვადასხვა ჯგუფს სხვადასხვა ინტერესები აქვს, რომლებიც შესაძლოა ერთმანეთს უპირისპირდებოდეს. რაც უფრო რთული აგებულების არის საზოგადოება, მით უფრო დიდია ინტერესთა კონფლიქტის ალბათობა. დემოკრატია და ადამიანის უფლებები ამ კონფლიქტთა სამართლიანი, და აქედან გამომდინარე, მშვიდობიანი მოგვარების საშუალებებს გვთავაზობს.

მაგალითი მოყვანილია დევიდ მილერის, *პოლიტიკური ფილოსოფიიდან. ძალიან მოკლე შესავალი.* ოქსფორდი, 2003, გვ. 5.

მასალა მოსწავლეებისთვის 7.2
როგორ ზრუნავს დემოკრატია უმცირესობის დაცვაზე?

უმრავლესობისა და უმცირესობების უფლებებთა შორის წონასწორობის დაცვის პრობლემა საზოგადოების ძირითად საზრუნავს წარმოადგენს მის ყველა დონეზე, დაწყებული პატარა კლუბებით და დამთავრებული სახელმწიფო დონით. ერთი მხრივ, დემოკრატია მოითხოვს უმრავლესობათა ნებისადმი პატივისცემას. მეორე მხრივ, უმცირესობათა ინტერესებიც უნდა იყოს დაცული. თუ საზოგადოებაში არსებობს ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მუდმივად წამგებლიან პოზიციაზეა და თვლის, რომ დისკრიმინაციის საგანს წარმოადგენს, ამან საზოგადოებაში შესაძლოა სერიოზული კონფლიქტი წარმოშვას.

დემოკრატიულ საზოგადოებათა კონსტიტუციები, ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, ძირითადად ორ მიდგომას იყენებენ – ორივე მიდგომა აწესებს ზღვარს, მასზედ, თუ რა გადაწყვეტილების მიღება შეუძლია უმრავლესობას. პირველი მიდგომა გულისხმობს უმრავლესობათა ძალაუფლების შეზღუდვას, მცირე ერთეულებისთვის ავტონომიის უფლების მინიჭებით (ფედერციული ან კანტონალური მოდელი). მეორე მიდგომა ადამიანის უფლებებისთვის სამოქალაქო უფლებების სტატუსის მინიჭებას გულისხმობს. ეს უფლებები იცავს ცალკეულ პიროვნებებსა და უმცირესობებს იმით, რომ უმრავლესობას მათი ინტერესებისადმი პატივისცემას აიძულებს.

1. ფედერაციულ/კანტონალური მოდელი

უმცირესობათა ჯგუფები ქმნიან რეგონალურ ერთეულებს სახელმწიფოს შიგნით – ფედერაციულ ან კანტონალურ ერთეულებს. ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, ბელგია ფედერაციულ სახელმწიფოთა მაგალითებია, მაშინ როცა შვეიცარია არის კანტონალური სახელმწიფოს მოდელი. ამ მცირე ზომის ერთეულებიდან უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებას, და ეს გადაწყვეტილებები შეიძლება მოიცავდეს საკუთარი ბიუჯეტის განკარგვის ან სახელმწიფო კანონმდებლობაში მონაწილეობის უფლებას. დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციები ერთმანეთისგან განსხვავდება ამ, მათზე დაქვემდებარებული ერთეულებისადმი სხვადასხვა დონის ავტონომიის მინიჭების თვალსაზრისით.

მსჯელობა ამ თემაზე შეიძლება კიდევ უფრო განვავრცოთ იმით, რომ შევცვალოთ უმრავლესობის განმარტება. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული გადაწყვეტილება 50–75% ან თუნდაც 100%–იან კვორუმს მოითხოვს – უმცირესობათა ჯგუფებს შეუძლიათ, ზეგავლენა იქონიონ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე და, აგრეთვე, შეუძლიათ ისარგებლონ ვეტოს უფლებით.

2. ადამიანის უფლებები, როგორც უმცირესობათა უფლებები

ადამიანთა უფლებები წარმოადგენს უმცირესობათა უფლებებს, გარკვეულად ზღუდავს რა უმრავლესობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მაგალითისთვის ავიღოთ 1950 წლის 4 ნოემბერს მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლები:

მუხლი 5, თავისუფლების ... უფლება

ყველას აქვს თავისუფლების უფლება ...

მუხლი 14 , დისკრიმინაციის აკრძალვა

ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.

მასალა მოსწავლეებისთვის 7.3
ამოცანა: სპორტული კლუბისთვის წესების შემუშავება

1. ჩამოაყალიბეთ წესები (მუხლი 1, მუხლი 2, მუხლი 3 და ა. შ. ...) რომელიც დაარეგულირებს შემდეგ საკითხებს:

   – როგორ უნდა განაწილდეს თანხა ჯგუფებს შორის?

   – ვინ იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როგორ განაწილდეს თანხა?

   – უნდა მივცეთ თუ არა ჯგუფებს ავტონომია?

   – როგორ გამოვიყენოთ დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი – რათა დავიცვათ როგორც უმრავლესობის, ასევე, უმცირესობის უფლებები და ინტერესები?

   – ... *(სურვილისამებრ, დაამატეთ საკითხები, რომლებიც თქვენი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია).*

2. მოამზადეთ მოხსენება თქვენს მიერ შემუშავებულ წესდებზე, დაიტანეთ თქვენი წესები, საჭიროების შემთხვევაში შენიშვნების ფორმით, A4 ფორმატის ფურცელზე, რომელსაც დაურთავთ მატრიცას.

3. ზემოთ მოცემული კითხვები მოგცემთ იმის საშუალებას, რომ თქვენი შედეგები შეადაროთ სხვა ჯგუფის შედეგებს (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 7.4).

მასალა მოსწავლეებისთვის 7.4
პრეზენტაციის შესახებ ჩანაწერების გაკეთება : მიკროსაზოგადოების წესდების პროექტი

გააკეთეთ ჩანაწერები თქვენი ჯგუფის შედეგების შესახებ ამ ფორმაში და დააფიქსირეთ პრეზენტაციის დროს სხვა ჯგუფების მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

ძირითადი საკითხი	ჯგუფი 1	ჯგუფი 2	ჯგუფი 3	ჯგუფი 4	ჯგუფი 5	შედარება
თანხის განაწილება						
ვინ იღებს გადაწყვეტილებას თანხის განაწილების თაობაზე?						
ავტონომია ჯგუფებს						
დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი (უმრავლესობა/უმცირესობა)						
...						

განვიხილავთ წესდების პროექტებს – ძირითადი საკითხები

1. *სამართლიანობა:* მოცემული წესდება უმრავლესობა/უმცირესობის პრობლემას სამართლიანად ჭრის?

2. *დემოკრატია:* მოცემული წესდება ესადაგება თუ არა მაჟორიტარობის პრინციპს?

3. *ქმედითუნარიანობა:* გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში წესები დაუბრკოლებლად იმოქმედებენ?

4. *რეგულირება და/ან პრიორიტეტულობის განსაზღვრა:* ამ წესდების დახმარებით გამოიძებნა კომპრომისი განსხვავებულ ინტერესებსა და პრინციპებს შორის, თუ რომელიმე ერთ ინტერესსა თუ პრინციპს მიენიჭა უპირატესობა?

5. ...

რაში გამოგვადგება ეს კითხვები?

შეეცადე, თანამიმდევრულად უპასუხო კითხვებს. თქვენ გაქვთ კითხვების დამატების უფლება.

თუ გადაწყვეტთ, გამოტოვოთ კითხვა და შემდეგ კითხვაზე გადახვიდეთ, დაასაბუთეთ, რატომ აკეთებთ ამას.

ჩაწერეთ თქვენი მსჯელობა და გაამყარეთ იგი მიზეზების დართვით.

რატომ გაძლევთ ამ რჩევებს

თქვენ გაქვთ თავისუფლება, ჩამოაყალიბოთ თქვენი მოსაზრება. თავისუფალი აზრი და გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უფლებებია.

აქედან გამომდინარე, არ არსებობს „მცდარი“ ან „მართებული“ მოსაზრება.

იმისათვის, რომ ერთმანეთს გავაგებინოთ საკუთარი მოსაზრება, უნდა გავამყაროთ იგი მიზეზების დასახელებით. სწორედ აქ იჩენს თავს ხარისხობრივი სხვაობა. ზოგიერთი არგუმენტი უფრო დამაჯერებლად, კარგად გააზრებულად ჟღერს, ვიდრე დანარჩენი.

მონაწილეობას ვიღებთ რა დემოკრატიულ საზოგადოებაში, მნიშვნელოვანია ღრმა აზროვნებისა და დასაბუთების უნარი, როცა გვსურს სხვა ადამიანების მხარდაჭერა მოვიპოვოთ ჩვენი მიზნების გასახორციელებლად. სწორედ ამ უნარის გამომუშავებას ემსახურება თქვენს წინაშე დაყენებული ეს ამოცანა.

მასალა მოსწავლეებისთვის 8.1
რჩევები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

თქვენი ამოცანა

1. ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრებები და ჩაინიშნეთ (ბრეინშტორმინგი).

2. დაახარისხეთ თქვენი მოსაზრებები კატეგორიებად.

3. შეამოწმეთ, რამდენად აკმაყოფილებს თქვენი მოსაზრებები შემდეგ კრიტერიუმებს:

   ა. რას მოითხოვს თქვენი მოსაზრება, არჩევანის გაკეთებას თუ გადაწყვეტილების მიღებას?

   ბ. თქვენს მიერ შემოთავაზებულ საკითხზე გარკვეული არჩევანის ან გადაწყვეტილების სასარგებლოდ ან წინააღმდეგ შესაძლებელია ძლიერი არგუმენტების მოყვანა?

   გ. თქვენ და სხვა მოსწავლეებმა იცით რაიმე ამ საკითხთან დაკავშირებით?

   დ. როგორ ფიქრობთ, ეს საკითხი დააინტერესებს სხვა მოსწავლეებს თქვენს კლასში?

   ე. თქვენ და სხვა მოსწავლეები ფლობთ საჭირო ინფორმაციას ამ საკითხთან დაკავშირებით, თუ თქვენ მოგიწევთ მიაწოდოთ მათ ეს ინფორმაცია? (შეიძლება თქვენ ყოველდღიური გამოცდილების საფუძველზე დაგროვილი საკმაო ინფორმაცია გაქვთ ამ საკითხის შესახებ; ან შეგიძლიათ მოიპოვოთ მონაცემები მის შესახებ სხვადასხვა წყაროდან, როგორიცაა, წიგნები, გაზეთები და ინტერნეტი.)

   თუ თქვენი პასუხები კითხვებზე ა.–ე. უარყოფითია, მაშინ საკითხი არ არის დებატებისთვის ვარგისი.

4. შეარჩიე ერთი ან ორი მოსაზრება და, საჭიროების შემთხვევაში, მოიპოვე მასალა. საკითხი შეგიძლია ჩამოაყალიბო თეზისის ან მარტივი კითხვის ფორმით, რომელზეც პასუხია „კი“ ან „არა“.

5. განათავსე შენი სახელითა და გვარით გაფორმებული შემოთავაზება განცხადებების დაფაზე იმ კატეგორიის გასწვრივ, რომელსაც იგი ეკუთვნის. დარწმუნდით, რომ დათქმულ ვადას არ გადააშორებთ, რათა ყველამ შეძლოს, გაეცნოს თქვენს წვლილს.

6. ამოჭერით ქვემოთ მოცემული ფორმა, შეავსეთ და განათავსეთ იგი მასწავლებლის მიერ მითითებულ ადგილზე. დაურთეთ თქვენს მიერ მოპოვებული მასალა.

7. გაეცანით საინფორმაციო დაფაზე სხვა მოსწავლეების მიერ განთავსებულ წინადადებებს გაკვეთილის დაწყებამდე.

✂– – – –

მასალა მოსწავლეებისთვის 8.2
დებატებში მონაწილეობის წესები

როგორ განვლაგდეთ

თავმჯდომარე იკავებს ადგილს მაგიდის თავში. დებატებში მონაწილე ორი მხარე ერთმანეთის პირისპირ განლაგდება მაგიდის აქეთ და იქით. აუდიტორია მაგიდიდან ცოტა მოშორებით იკავებს ადგილს, ისე რომ მან დებატებში მონაწილე ორივე მხარის დანახვა დაუბრკოლებლად შეძლოს. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ადგილები აუდიტორიისთვის უნდა უნზრუნველვყოთ რამდენიმე რიგად, და არა რომელიმე მხარის ზურგს უკან.



გამომსვლელთა მონაცვლეობა

ისრებით ნაჩვენებია გამომსვლელთა მონაცვლეობა დებატების პირველ რაუნდში. მეორე რაუნდში გამომსვლელთა რიგი უკუსვლით ხორციელდება, სანამ პოზიციის მხარის პირველი წარმომადგენელი არ დაასრულებს საუბარს. ამის შემდეგ ოპოზიციის მხარეს ეკუთვნის ბოლო გამოსვლა; გუნდს შეუძლია აირჩიოს თავისი წარმომადგენელი ამ მოვალეობის შესასრულებლად – მაგრამ ეს არ უნდა იყოს მათი პირველი სპიკერი, ვინაიდან ამ შემთხვევაში მას ორწუთიანი გამოსვლის საშუალება ეძლევა, რაც უსამართლობაა მეორე გუნდისთვის.

დებატების წარმოების წესები

1. დებატებს იწყებს პოზიციის პირველი სპიკერი, რომელიც თავმჯდომარის გვერდით ზის. შემდეგ, როგორც ეს ისრებით არის ნაჩვენები დიაგრამაზე, საუბრობს და პოზიციის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ეხმაურება ოპოზიციის პირველი სპიკერი. ამრიგად, ორივე მხარის გამომსვლელები საუბრობენ მონაცვლეობით. როდესაც საუბარს დაასრულებს ოპოზიციის ბოლო გამომსვლელი, იწყება დებატების მეორე რაუნდი, ამჯერად უკუსვლის პრინციპით.

2. მას შემდეგ, რაც საუბარს დაასრულებს პოზიციის პირველი სპიკერი, სიტყვა ეძლევა ოპოზიციის წარმომადგენელს (მაგრამ არა მათ პირველ სპიკერს).

3. სპიკერთა სიტყვით გამოსვლის რიგის შეცვლა არ შეიძლება.

4. ყოველ გამომსვლელს სასაუბროდ ეძლევა მაქსიმუმ ერთი წუთი. თავმჯდომარე აკონტროლებს მათ დროს. იგი ანიშნებს გამომსვლელს, როცა მას 10 წამი რჩება გამოსვლის დასრულებამდე და მას შემდეგ რაც ამოიწურება გამოსვლის დრო, გამომსვლელს შეუძლია დაასრულოს დაწყებული წინადადება, რის შემდეგაც უნდა შეწყვიტოს საუბარი. დრო, რომელიც არ გამოიყენა წინა გამომსვლელმა, არ გადაეცემა მომდევნო თუ სხვა გამომსვლელს.

5. დაუშვებელია გამომსვლელის შეჩერება ან მისთვის სიტყვის გაწყვეტინება.

6. აუდიტორია არ მონაწილეობს დებატებში.

7. დებატების დასრულების შემდეგ, აუდიტორიას ეძლევა 5 წუთი, რათა მათ თავიანთი შთაბეჭდილებები და მოსაზრებები ერთმანეთს გაუზიარონ. შემდეგ დებატებში განხილულ საკითხს კენჭს უყრიან ხელის აწევით.

8. კენჭისყრის დროს თვლიან, რამდენი არის მომხრე და რამდენი წინააღმდეგი. კენჭისყრაში გამარჯვებულია უმრავლესობა.

რა უნდა გაითვალისწინონ დებატებში მონაწილე გამომსვლელებმა

1. პოზიციის პირველი სპიკერის გარდა, დანარჩენმა გამომსვლელებმა: თქვენი გამოსვლის პირველი ნახევარი დაუთმეთ თქვენს წინ სიტყვით გამოსული მოწინააღმდეგე გუნდის წარმომადგენლის მიერ გამოთქმული არგუმენტის გაბათილებას და მხოლოდ ამის შემდეგ ეცადეთ ჩამოაყალიბოთ საკუთარი არგუმენტი.

2. პირველი სპიკერი - ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრება – გამოთქვით, რა გადაწყვეტილება გინდათ იყოს მიღწეული.

3. დებატებისთვის მზადებისას, პირველ რიგში, მოიმარაგეთ იდეები. შემდეგ გადაწყვიტეთ, რა თანმიმდევრობით გსურთ, გადმოსცეთ თქვენი მოსაზრებები, და გადაანაწილეთ ისინი გამომსვლელებზე. პირველ და საბოლოო გამოსვლაში შეეცადეთ ჩამოაყალიბოთ თქვენი ყველაზე ძლიერი არგუმენტი (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 8.2).

4. შეგიძლიათ გაიმეოროთ თქვენი ყველაზე ძლიერი არგუმენტი ან მისი სხვადასხვა ვარიანტი მიაწოდოთ მსმენელს, რათა მათი მხარდაჭერა მოიპოვოთ.

5. ბოლო გამომსვლელეთა სიტყვა უნდა იყოს მათი გუნდის თვალსაზრისის შეჯამება, სადაც კონკრეტულად სამი ან ოთხი არგუმენტი იქნება ჩამოყალიბებული. რა უნდა გაითვალისწინოს აუდიტორიამ დებატების დასრულების შემდეგ? თუ დებატები გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმართება, კარგად ჩამოაყალიბეთ, თუ რა გადაწყვეტილების მიღებას ელით მათგან, რას უნდა მისცენ ხმა.

6. ისაუბრეთ თავისუფლად. ნუ წაიკითხავთ წინასწარ მომზადებულ სიტყვას.თვალებში უყურეთ ოპონენტს და შეინარჩუნეთ თვალით კონტაქტი აუდიტორიასთან.

7. პატივისცემით მოეპყარით თქვენ ოპონენტებს. არასოდეს მიაყენოთ შეურაცხყოფა გამომსვლელს, ისაუბრეთ მხოლოდ მის არგუმენტზე.

რჩევები აუდიტორიის წევრებს (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 8.5)

1. დებატებამდე, ეცადეთ წინასწარ განსაზღვროთ, თუ რა არგუმენტების წარმოდგენა შეუძლია ორივე მხარეს. ეს საშუალებას მოგცემთ უკეთ აღიქვათ დებატებში გამომსვლელთა საუბარი.

2. გააკეთეთ ჩანიშვნები ორივე მხარის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებზე – თუ ეს შესაძლებელია, თითო წინადადებაში.

3. დააკავშირეთ არგუმენტები მათ გამაბათილებელ არგუმენტებთან ხაზებით ან ისრებით, და დაურთეთ თქვენი კომენტარი. რომელი არგუმენტი მიგაჩნიათ ყველაზე ძლიერ არგუმენტად? (საფეხური 2 და 3 შეიძლება შესრულდეს რამდენიმე მსმენელის მიერ ერთობლივად.)

4. აღნიშნეთ, რომელმა არგუმენტმა მოახდინა თქვენზე შთაბეჭდილება.

5. დებატების დასრულების შემდეგ თქვენი მოსაზრებები გაუზიარეთ სხვებს და ხმა მიეცით ორი მხარის მიერ წამოყენებული წინადადებიდან თქვენთვის მისაღებ წინადადებას.

მასალა მოსწავლეებისთვის 8.3
გეგმის ბლანკი დებატებში მონაწილე გუნდებისთვის

გამომსვლელის ვინაობა *დაიცავით მასალა მოსწავლეებისთვის 8.2 –ში მოცემულ დიაგრამაზე გამოსახული გამომსვლელთა თანმიმდევრობა*	**არგუმენტი**	**შენიშვნა**
1.	*რეკომენდებულია: ჩამოაყალიბეთ თქვენი თვალსაზრისი*	
2.		
3.		
4.		
5.		
6.		
7.		
8.		
9.		
10.*	*საბოლოო სიტყვა (ძირითად არგუმენტთა შეჯამება)*	

***გამომსვლელები, ვისაც საბოლოო სიტყვა ეკუთვნით**
პოზიციიდან პირველ გამომსვლელს ეკუთვნის ბოლო სიტყვა (იხ. დიაგრამა მასალა მოსწავლეებისთვის 8.2).

შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოდის ოპოზიციის წარმომადგენელი. გუნდი ირჩევს თავის წარმომადგენელს ამ მოვალეობის შესასრულებლად – მაგრამ ეს არ უნდა იყოს მათი პირველი სპიკერი, ვინაიდან ამ შემთხვევაში მას ორწუთიანი გამოსვლის საშუალება მიეცემა, რაც უსამართლობაა მეორე გუნდისთვის.

მასალა მოსწავლეებისთვის 8.4
გეგმის ბლანკი თავმჯდომარეებისთვის

თავმჯდომარის მისია – გაუძღვეს დებატებს

თავმჯდომარე უძღვება დებატებს და აკონტროლებს, რომ დებატების მონაწილენი დებატების წესებს იცავენ (იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 8.2) და ერთმანეთს სამართლიანად და პატივისცემით ეპყრობიან. თავმჯდომარე ნეიტრალურია და არ ემხრობა დებატებში მონაწილე არც ერთ გუნდს.

თავმჯდომარე, ამავდროულად, ე.წ. დროის აღმრიცხველია. არც ერთ გამომსვლელს არ ეძლევა სასაუბროდ ერთ წუთზე მეტი დრო. პრაქტიკულად, ეს იმას ნიშნავს, რომ მას შემდეგ რაც ამოიწურება ერთი წუთი, გამომსვლელს ეძლევა საშუალება, დაასრულოს დაწყებული წინადადება, რის შემდეგაც უნდა შეწყვიტოს საუბარი. საჭიროების შემთხვევაში თავმჯდომარე თავაზიანად, მაგრამ მკაცრად აწყვეტინებს სიტყვას გამომსვლელს და გადასცემს მას შემდეგ გამომსვლელს მოწინააღმდეგე გუნდიდან.

აღჭურვილობა

- წამზომი ან საათი, რომელიც სიზუსტით უჩვენებს წამებს. მობილური ტელეფონები აღჭურვილია წამზომის ფუნქციით.
- კალამი და ფურცელი შენიშვნებისთვის.
- ყვითელი და წითელი A7 ფორმატის ფურცლები ან მუყაოს ქაღალდი.
- დამატებითი მასალა მოსწავლეებისთვის 8.2, 8.5.

პირველი თავმჯდომარის მოვალეობა დებატების პროცესში:

1. იგი ხსნის დებატებს
   - მიესალმება მონაწილე გუნდებს, აუდიტორიას და დამსწრე ჟურნალისტებს
   - დამსწრე საზოგადოებას აცნობს მოკლე ინფორმაციას დებატებში განსახილველ საკითხზე, ყოველგვარი დეტალების გარეშე, რაც შეიძლება წაადგეს რომელიმე მხარეს.
   - შეახსენებს გუნდებს, რომ მათ უნდა დაიცვან სამართლიანობის პრინციპი და დადგენილი წესები.
   - მონაწილეებს შეახსენებს დროის დაცვასთან დაკავშირებულ წესს: 50 წამის შემდეგ იგი იძლევა გაფრთხილებას დროის 10 წამში ამოწურვის შესახებ.
   - ერთი წუთის ამოწურვის შემდეგ, თავმჯდომარე აჩერებს გამომსვლელს – რათა დაცული იყოს სამართლიანობის პრინციპი.
2. დებატების განმავლობაში:
   - თავმჯდომარე უსიტყვოდ უსმენს დებატებს.
   - აკონტროლებს საუბრის ხანგრძლივობას და 50 წამის შემდეგ იძლევა გაფრთხილებას. (ძალიან ხშირად, ეს არის მისი ერთადერთი მოვალეობა.)
   - თავმჯდომარე აწყვეტინებს საუბარს გამომსვლელს, რომელიც ერთწუთიან რეგლამენტს გადააჭარბებს.

- აღკვეთავს გამომსვლელის საუბარში ჩარევის ნებისმიერ მცდელობას, დებატების მონაწილის მხრიდან იქნება ეს თუ აუდიტორიის წევრის მხრიდან.

- იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს დებატების წესების უხეშ დარღვევასა და უსამართლობას, თავმჯდომარე ყვითელ ან წითელ ბარათს უჩვენებს მოსაუბრეს. წითელი ბარათი ნიშნავს, რომ მონაწილემ უნდა დატოვოს დარბაზი.

3. დებატების შემდეგ:

- თავმჯდომარე დებატებს დახურულად აცხადებს.

- მადლობას უხდის მონაწილეებსა და აუდიტორიას.

თავმჯდომარის ფუნქცია დებატების შემდეგ:

დებატების შემდეგ აუდიტორიას ეძლევა ხუთი წუთი დებატების განხილვისთვის და შემდეგ ხმას აძლევს იმ მხარეს, რომლის არგუმენტებიც უფრო დამაჯერებლად ჟღერდა.

მეორე თავმჯდომარის ფუნქცია – გაუძღვეს აუდიტორიის მიერ დებატებში განხილულ საკითხზე მსჯელობასა და ხმის მიცემის პროცედურას

1. *დებატების შემდგომ მსჯელობა*

- თავმჯდომარე აცხადებს, რომ აუდიტორიას ეძლევა ხუთი წუთი, რომლის განმავლობაში მათ უნდა გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები და იმსჯელონ დებატებში განხილული საკითხის შესახებ. აუდიტორიის წევრები თავსდებიან წრის ან ნახევარწრის განლაგებით, რათა ყველა მოსწავლე ერთმანეთს კარგად ხედავდეს.

- აუდიტორიის ყველა წევრს ხელთ აქვს დებატების განმავლობაში გაკეთებული ჩანაწერები და მათ ასევე საკუთარი შეხედულებები გააჩნიათ იმასთან დაკავშირებით, თუ რომელმა გუნდმა შეძლო უფრო დამაჯერებლად წარმოეჩინა საკუთარი ხედვა. თავმჯდომარე სთხოვს მათ ხელის აწევით დაადასტურონ თუ რომელ გუნდს ანიჭებენ უპირატესობას – საცდელი კენჭისყრა.

- განსხვავებული მოსაზრების მქონე მოსწავლეები მონაცვლეობით გამოდიან სიტყვით. თავმჯდომარე მათ სთხოვს, ისეთივე რიგი დაიცვან გამოსვლებში, როგორც დებატების დროს, ვინაიდან ისინი დროში შეზღუდული არიან და სასურველია ბევრ მათგანს მიეცეს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

- ხუთი წუთის შემდეგ თავმჯდომარე განხილვას დასრულებულად აცხადებს.

2. *კენჭისყრა*

- თავმჯდომარე კენჭისყრას გახსნილად აცხადებს. იგი ხელმეორედ აყალიბებს საკითხს და სვამს კითხვას, რომელსაც კენჭი უნდა უყარონ: რომელი გუნდის გამოსვლა იყო უფრო დამაჯერებელი – პოზიციის თუ ოპოზიციის? ამ ეტაპზე დაუშვებელია ნებისმიერი სახის მსჯელობა. თავმჯდომარე სთხოვს ერთ–ერთ მოსწავლეს, დაფაზე გადაიტანოს ამ კენჭისყრის შედეგები.

- თავმჯდომარე სთხოვს აუდიტორიის იმ წევრებს, რომლებიც პოზიციას ემხრობიან, ხელის აწევით დაადასტურონ თავიანთი არჩევანი. იგი ითვლის ხმების რაოდენობას და შემდეგ იმავე პროცედურით აწარმოებს კენჭისყრას ოპოზიციის მომხრეთა გამოსავლენად.

- საბოლოოდ დგება მათი ჯერი, ვინც თავი შეიკავა – არ მისცა ხმა არც ერთ გუნდს – მათი ხმებიც იგივე პრინციპით ითვლება.

- თავმჯდომარე აცხადებს კენჭისყრის შედეგებს, მაგრამ ყოველგვარი კომენტარის გარეშე. იგი მადლობას უხდის აუდიტორიას განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობისთვის და სხდომას დახურულად აცხადებს.

მასალა მოსწავლეებისთვის 8.5
ბლანკი აუდიტორიისთვის ჩანაწერების გასაკეთებლად

1. ბრეინშტორმინგი: რა არგუმენტებს ველოდებით?		
პოზიცია	ოპოზიცია	შენიშვნები
2. ჩანაწერი დებატების შესახებ		
პოზიცია	ოპოზიცია	შენიშვნები
3. ჩემი ხმა მივეცი (დაასახელეთ მიზეზები):		

მასალა მოსწავლეებისთვის 8.6
სამუშაო ფურცელი ახალი ამბების შესახებ სტატიის დასაწერად

დავალება

შექმენით სამი ორკაციანი ჯგუფი.

შემდეგი გაკვეთილისთვის დაწერეთ საგაზეთო სტატია გამართული დებატების შესახებ. გააკარით თქვენ მიერ დაწერილი სტატიები კედელზე, თუ შესაძლებელია, ორ ან სამ ეგზემპლარად.

სამივე გუნდი სხვადასხვა ტიპის გაზეთისთვის (პერიოდიკა) წერს:

- პოპულარული გაზეთი;
- გავლენიანი გაზეთი;
- ახალგაზრდული ჟურნალი.

სამი ტიპის გაზეთის პროფილი – რას ელის მკითხველი

არსებობს რამდენიმე ძირითადი წესი თუ როგორ უნდა დაიწეროს კარგი სტატია ახალ ამბავზე –იხ. მასალა მოსწავლეებისთვის 9.1.

მაგრამ, მეორე მხრივ, ყველა გაზეთს თავისი განსხვავებული მკითხველი ჰყავს, ასე რომ თქვენ მიერ დაწერილი სტატია უნდა მოიწონოს ადამიანების იმ ჯგუფმა, რომლისთვისაც ეს გაზეთია განკუთვნილი, რათა მათ შეიძინონ გაზეთი და შენ უზრუნველყოფილი იყო სამუშაო ადგილით. აქედან გამომდინარე, სტატიები ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ერთსა და იმავე მოვლენაზე – გამართულ დებატებზე წერთ. დააკვირდით როგორ ხდება ეს ნამდვილ გაზეთში.

გაზეთის ტიპი	**რას ელის მკითხველი** *** უპირველესი მნიშვნელობის / ** მნიშვნელოვანი / *არ იქნებოდა ურიგო				
	გართობა	ილუსტრაციები	ინფორმაცია (საკითხი და მისი განხილვა)	ახალგაზრდების თვალსაზრისი	„ინდივიდუალური მიდგომა“
პოპულარული გაზეთი	**	**	**	*	***
გავლენიანი გაზეთი	*	**	***	*	*
ახალგაზრდული ჟურნალი	**	**	**	***	*

მასალა მოსწავლეებისთვის 9.1
კედლის გაზეთის შექმნა – ვაკეთებთ არჩევანს

მითითებები დავალების შესასრულებლად

თქვენ უნდა გამოუშვით კედლის გაზეთი. ამ სამუშაოსთვის მზადება დაიწყეთ იდეების მოძიებით. რა სტატიები, სურათები და რომელი ამბების გაშუქება შეგიძლიათ შესთავაზოთ თანაგუნდელებს? მოიფიქრეთ, როგორ დაასაბუთოთ თქვენი შეთავაზება, რადგან ეს დაგეხმარებათ საბოლოო არჩევანის გაკეთებამდე გამართულ დიკუსიაში, დაარწმუნოთ თქვენი თანაგუნდელები თქვენი არჩევანის მართებულობაში.

რა უნდა გავითვალისწინოთ (კრიტერიუმები) **1. გასაშუქებლად ვარგისიანობა** რაში განაპირობებს მოვლენის, ამბის, მნიშვნელობას? შეიცავს ამბავი მნიშვნელოვან ან ისეთ ინფორმაციას, რომელიც უნდა იცოდეს თქვენმა მკითხველმა? **2. მოწინავე სტატია** მოწინავე სტატია უნდა იყოს მიმზიდველი, რათა დააინტერესოს პოტენციური მკითხველი. შეგიძლიათ მოწინავე სტატიას მიმზიდველობა შესძინოთ ფოტოს დართვით? **3. ფოტოები** გაითვალისწინეთ, უმჯობესია ფოტო მოკლე ტექსტით, ვრცელი ისტორიის ნაცვლად. **4. ბალანსირებული მასალა** მაგალითები: ნაცნობი/უცნობი დადებითი/უარყოფითი სენსაციური ამბები/ საინტერესო ამბები წარმატების ისტორიები/ კონფლიქტის შესახებ ისტორიები	**თქვენი წინადადება**	**დასაბუთება**
	1. მოწინავე სტატია	
	2. სხვა სტატიები	
	3. მთავარი სტატია (კომენტარი) – რა მოვლენაზე?	
	4. ფოტოები – რა მოვლენაზე?	
	5. ნაკლებმნიშვნელოვანი მოვლენები და თემები – რისი გამოტოვება შეგვიძლია?	

წყარო: მედიაწიგნიერების ცენტრი (2005 წელი), ხუთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელმაც შეიძლება შეცვალოს მსოფლიო, გაკვეთილი 1გ, გვ. 21 მიხედვით; www.medialit.org

მასალა მოსწავლეებისთვის 9.2
რჩევები კედლის გაზეთის გამოცემისთვის

გადაანაწილეთ შემდეგი ფუნქციები გუნდის სხვადასხვა წევრზე (იხ. ქვემოთ მოცემული საცნობარო მასალა):

- მთავარი რედაქტორი, რომელიც გაუძღვება თქვენს სხდომას;
- მენეჯერი (დროის აღმრიცხველი), რომელიც ზედამხედველობას გაუწევს კედლის გაზეთის გამოცემის პროცესს;
- მომხსენებელი, რომელიც თქვენს გადაწყვეტილებას წარადგენს პლენარულ სხდომაზე.

განრიგის ნიმუში

1. შეგიძლიათ იმოქმედოთ მოცემული განრიგის ნიმუშით ან შეცვალოთ იგი.

2. იმსჯელეთ და გადაწყვიტეთ რომელ თემებს შეარჩევთ თქვენი კედლის გაზეთისთვის და რომელს - არა (მასალა მოსწავლეებისთვის 9.1).

3. გადაანაწილეთ კვლევითი თუ სტატიის დაწერის სამუშაო გუნდის ყველა წევრზე. შეთანხმდით თქვენს სამუშაო განრიგზე.

4. მუშაობთ თქვენს სტატიაზე – ატარებთ კვლევას, წერთ სტატიას, ეძებთ მასალასა და ფოტოებს.

5. ააწყვეთ თქვენი კედლის გაზეთი.

6. გამოაკარით იგი კლასში კედელზე.

საცნობარო მასალა

მთავარი რედაქტორი თქვენ თავმჯდომარეობთ თქვენი გუნდის მიერ გამართულ დისკუსიებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს. დარწმუნდით, რომ გუნდის ყველა წევრს აქვს საშუალება, გუნდის სხვა წევრებს გაუზიაროს საკუთარი მოსაზრებები. ჩაერიეთ, როცა ხედავთ, რომ გუნდის რომელიმე წევრს არ უსმენენ. გამოთქვით თქვენი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რომელი სტატია მიგაჩნიათ ვარგისად კედლის გაზეთში განსათავსებლად. დარწმუნდით, რომ გუნდი ეფექტურად ასრულებს თავის სამუშაოს. შესთავაზეთ მათ რეალური სამუშაო განრიგი, რომელიც საკმარის დროს მისცემს მათ ძირითადი სამუშაოს შესრულებისთვის – ინფორმაციის მოძიებისა და სტატიების დაწერისთვის.
მენეჯერი (დროის აღმრიცხველი) თქვენ ზედამხედველობთ გაზეთის გამოცემის განრიგს. თუ შეამჩნევთ, რომ გუნდი ჩამორჩება განრიგს, რის გამოც თქვენ პრობლემები შეგექმნებათ კედლის გაზეთის დროულად გამოცემაში, გაესაუბრეთ ამის შესახებ გუნდის წევრებს და მიაწოდეთ ინფორმაცია მთავარ რედაქტორს.

შესთავაზეთ მათ, თუ რა უნდა გააკეთოს გუნდმა, რომ დათქმულ დროში ჩაეტიოს.

მომხსენებელი

მომდევნო გაკვეთილზე თქვენ უნდა გააკეთოთ მოკლე პრეზენტაცია, სადაც სხვა გუნდების წევრებს გააცნობთ:

- რატომ შეარჩიეთ ესა თუ ის თემა მოწინავე სტატიისთვის;
- სხვა რა თემების განხილვას აპირებდით თქვენს კედლის გაზეთში და რატომ აირჩიეთ ან არ აირჩიეთ ეს თემები საბოლოოდ?
- რა იყო ფოტოების შერჩევის კრიტერიუმები და რატომ აირჩიეთ ესე თუ ის ფოტო?
- სხვა საკითხებს, რომელიც განიხილა თქვენმა გუნდმა.

მასალა მოსწავლეებისთვის 9.3
რჩევები – როგორ დავწეროთ კარგი სტატია

სანამ წერას შეუდგებოდე

დაფიქრდი, რა არის შენი სტატიის მიზანი: თუ ახალი ამბის ან მოვლენის შესახებ წერ, მიზანი, უპირველეს ყოვლისა, იქნება მკითხველის ინფორმირება.

აწარმოე მცირე კვლევა და გამოკითხვა. არ დაგავიწყდეს ჩანიშვნების გაკეთება და ჩაიწერე გამონათქვამები, რომელიც სტატიის წერისას გამოგადგება.

წერის პროცესში

გამოიყენე მოქმედებითი გვარი, რათა მკითხველს ნათლად გადასცე, თუ რა ხდება რეალურად.

პირველ რიგში, ის ინფორმაცია მიაწოდე მკითხველს, რომელიც მისთვის მართლა საინტერესო იქნება.

გაითვალისწინე ქვემოთ მოცემული რჩევები.

პირველი აბზაცი

ეცადე, დააინტერესო მკითხველი – დაიწყე სასაცილო, გამჭრიახი ან განსაცვიფრებელი წინადადებით. ეცადე, შეიტანო მრავალფეროვნება – დაიწყე სტატია კითხვით ან პროვოკაციული განცხადებით. პირველ ორ წინადადებაში შეეცადე მკითხველს მიაწოდო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ, რა, სად, როდის, რატომ გააკეთა.

მეორე/მესამე/მეოთხე აბზაცები

მიაწოდე მკითხველს მომხდარის დეტალები შემდეგ კითხვებზე ვრცელი და საინტერესო პასუხების საშუალებით:

- ვინ იყო მონაწილე?
- რა მოხდა?
- სად მოხდა?
- როდის მოხდა?
- რატომ მოხდა?

ციტატის სახით მოიყვანეთ ერთი–ორი გამონათქვამი იმ ინტერვიუებიდან, რომელიც თქვენ მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების დროს აიღეთ. დაწერეთ მესამე პირში (იგი, მათ ან ისინი). არ დაგავიწყდეთ, უნდა იყოთ ობიექტური და არასოდეს ღიად არ განაცხადოთ თქვენი საკუთარი მოსაზრება. ციტატები გამოიყენეთ სხვათა აზრის გამოსახატავად.

ბოლო აბზაცი

ძალიან ნუ გააჭიანურებთ, დაასრულეთ სტატია. ეცადეთ დაასრულოთ ციტატით, ფრთიანი გამონათქვამით ან ლაკონური შემაჯამებელი წინადადებით.

(შემოკლებული ვარიანტი)

წყარო: მედიაწიგნიერების ცენტრი
პირველწყარო დოკუმენტი: გაკვეთილის გეგმა, რეპორტიორი ერთი დღით
ავტორი: ჯინი უოლერი
www.media-awareness.ca

მოცემული სახელმძღვანელო განკუთვნილია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სფეროში მოღვაწე მასწავლებლებისთვის, ასევე სასკოლო სახელმძღვანელოების რედაქტორებისა და სასწავლო პროგრამების სპეციალისტებისთვის. სახელმძღვანელოში შესულია დაახლოებით ოთხ-ოთხი გაკვეთილისგან შემდგარი ცხრა თავი, რომელთაგან თითოეული ეძღვნება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ერთ ძირითად ცნებას. თითოეული გაკვეთილის გეგმა მოიცავს გაკვეთილის ჩატარების შესახებ დეტალურ რეკომენდაციებს, მასალას მოსწავლეებისთვის და საცნობარო ინფორმაციას მასწავლებლებისთვის. ამგვარად, სახელმძღვანელო წარმოადგენს დამხმარე საშუალებას დამწყები მასწავლებლებისთვის და ასევე იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც გადიან გადამზადებას დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში. გამოცდილ მასწავლებლებს მოცემული სახელმძღვანელო აძლევს საშუალებას, ისარგებლონ მასში მოცემული მოსაზრებებითა და მასალით. სახელმძღვანელო განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი (მე-10 - მე-12 კლასები) საფეხურისთვის და წარმოადგენს ერთი სრულ სასწავლო წელზე გათვლილ სასწავლო პროგრამას. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული თავისთავად დასრულებულ თემას წარმოადგენს, სახელმძღვანელო ასევე იძლევა მოსწავლეებისთვის თემების შერჩევითი პრინციპით მიწოდების საშუალებას.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლეების აღზრდა აქტიურ მოქალაქეებად, რომლებსაც აქვთ სურვილი და უნარი, მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში დიდი ყურადღება ეთმობა პრაქტიკულ ამოცანებსა და მოსწავლეთა აქტივობას. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისთვის განკუთვნილ ამ სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია ძირითადი კომპეტენციების გამომუშავება-განვითარებაზე, რომელიც ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს, მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში და დინამიკური, პლურალური საზოგადოების გამოწვევები მიიღონ. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი კონცეფციები მოიაზრება, როგორც მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის საშუალებები.

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ექვსი წიგნისაგან შემდგარი გამოცემის პირველ წიგნს:

წიგნი I: *განათლება დემოკრატიისათვის*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - ძირითადი საცნობარო მასალა მასწავლებლებისათვის

წიგნი II: *ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის

წიგნი III: *ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურისათვის

წიგნი IV: *მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის

წიგნი V: *ბავშვთა უფლებების კვლევა*
ცხრა მცირე პროექტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის

წიგნი VI: *დემოკრატიის სწავლება*
სასწავლო მოდელების კრებული დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

www.coe.int

ევროპის საბჭოში გაწევრიანებულია 47 სახელმწიფო და იგი პრაქტიკულად მოიცავს ევროპის მთელ კონტინენტს. ევროპის საბჭოს მიზანია, შექმნას საერთო დემოკრატიული და სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებების ევროპულ კონვენციაზე და სხვა დოკუმენტებზე, რომლებიც ადამიანის დაცვას შეეხება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1949 წელს მისი დაარსების დღიდან, ევროპის საბჭო წარმოადგენს შერიგების სიმბოლოს.